რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი

X

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-285-5 (X ტომი)

რედაქტორები: **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

ენგურის ხიდთან

29 იანვარი. 1996 წელი.

ნუთუ ეს დღეც ჩვეულებრივი, მშვიდი, უქმი დღე იქნება, „უქმი დღე“, რასაკვირველია ჩემთვის – ჟურნალისტისთვის...

მეოთხე დღეა ვზივარ ზუგდიდის გამგებლობაში და ვაბოლებ.

ახალი არაფერი ხდება. რაზე დავწერო. რუსმა საზღვარი ფსოუდან ზუგდიდამდე რომ მოიტანა და ლტოლვილებს რომ უჭირთ, ქვეყანამ იცის. სხვა? ყელში ამოუვიდა მკითხველს, გაცვდა: „თავისუფლებაწართმეული ქართველები მოწყენილი სახეებით მიმოდიან რუხის ციხესთან“...

ამ ფიქრებში ვარ და სამორიგეოში დარეკეს. მორიგემ „კარგი, კარგი... ახლა თათბირი აქვს... ვეტყვი, ვეტყვი-ს“ მეტი არაფერი და ყურმილი რომ დადო, ჩვენს შეკითხვას არ დაელოდა, ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „რად უნდათ ახლა ეს. ძლივს კეთილი თვალით შეგვხედა ელცინმა. გავაღიზიანებთ ახლა ამით და ზუგდიდსაც წაიღებს იქეთ. გზის გადაკეტვას აპირებენ კიდევ. რად უნდათ ახლა ეს...“ ზურგჩანთას ხელი ვსტაცე და ქუჩაში გამოვვარდი. ჯიხურთან, მწვანე ვილისში პატრულები სხედან. უკანა კარი გამოვაღე და ჩავჯექი. – თუ ძმა ხარ, ხიდამდე უნდა მიმიყვანოთ, კორესპონდენტი ვარ, სასწრაფო საქმეა!

მძღოლმა გვერდით მჯდომ, ჟღალქურთუკიან ლეიტენანტს შეხედა და პასუხს არ დაელოდა, მანქანა დაძრა.

– აშენდა თქვენი ოჯახი.

ზამთრისთვის უჩვეულო, თბილი მზიანი დღეა.

ენგურის ხიდთან ორმოცდაათიოდე კაცი ირევა.

ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ერთმანეთში ცხარედ კამათობენ.

ხან ერთ ჯგუფთან მივალ, ხან მეორესთან... ისე არიან გართულნი ერთმანეთით რომ, ზედაც არავინ მიყურებს, სალაპარაკოდ ვერავინ მოვიხელთე.

იტყვის მგზნებარედ ერთი თავის სათქმელს, გამოვა წრიდან, გადადგამს ხუთიოდე ნაბიჯს და თითქოს ახლა გაახსენდა მთავარიო, ისევ შებრუნდება და ხელების ქნევით კვლავ მოჰყვება ქადაგებას.

როგორც იქნა, ერთი ტყაპუჭიანი, ჭაღარაწვეროსანი უქუდო, შუახანსგადაცილებული – „ამან დაგვღუპა ჩვენ მეტმა არაფერმაო!“ გადაწყვეტილად იტყვის, მოყაყანეთ გამოეცლება და ხიდისყურესთან, ჯირკზე ჯდება.

საჩემოა. არ უნდა ლაპარაკი.

– ბოდიშს ვიხდი. კორესპონდენტი ვარ, თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა.

ამომხედა, დამაკვირდა და არაფერი უთქვამს, განზე გაიხედა.

– ამან დაგვღუპაო, ბრძანებდით, რამ დაგვღუპა?

– რამ და ამან, რაც აქ ხდება. ერთი პირის უქონლობამ და გადაუწყვეტლობამ.

– მაპატიეთ, ვინ ბრძანდებით?

– რა მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, ძიკი ვარ, ჯგერენაია. ერთ დროს მასწავლებელი ვიყავი გეოგრაფიის და ახლა არაფერი არა ვარ... მათხოვარი ვარ.

– მეგრული ცუდად ვიცი. რაზეა კამათი, ხომ ვერ მეტყოდით?

– რაზე და სისულელეა ახლა გზის გადაკეტვაო, ის კაცი გეუბნება, ყველაფერი გადაწყვეტილია და ნუ მოვაყვანიებთ ახლა გულსო. დაველოდოთ, რა ჰქვია იმას, მოვლენებსო. ისე აშენდა მაგნების პატრონი. ლოდინი გვაკლია ჩვენ?

– ესე იგი უკმაყოფილო ბრძანდებით 19 იანვრის გადაწყვეტილებით? – თვითონვე ვიგრძენი, რომ, ცოტა არ იყოს ყალბი, პათეტიკური შეკითხვა გამომივიდა.

– ხოხ, სულ იმაზე მუშაობს რუსი, რამენაირად მე არ ვიყო უკმაყოფილო.

ეგ სიტყვა სულ არაა მოსატანი აქ. კიდევ ერთხელ მოატყუეს ჩვენი დელეგაცია, უნამუსოდ მოატყუეს და გამოუშვეს უკან.

– მოატყუეს კი?

– თქვენ მართალი ხართ. არ არიან ეგენი ისე გულუბრყვილო ბიჭები, ვერ მიმხვდარიყვნენ აფიორას, მარა თავს ზევით ძალა არაა. მოიტყუეს თავი და ახლა იხტიბარს არ იტეხენ. რა ჰქნან მაგნებმაც. მაგნებისაც მესმის მე. მე რომ ვყოფილიყავი იქ, რას გავაკეთებდი. ავტეხავდი ხელის ბრაგუნს სტოლზე და გამომსვამდენ, გარეთ უბოდიშოდ, შეაყოლე კუტუნია აქედანო. წადი და უჩივლე მერე რუსს დამწვარ სუდში.

რუსს ხომ ყველაფრის უფლება აქვს მსოფლიოში. მოეხასიათება და, თქვენ საიდან ხართ?

– თბილისიდან.

– მოეხასიათება და მცხეთასთან გადაგიკეტავს გაზს. საზღვარიაო გეტყვის და უყარე კაკალი. ფულს გამოგართმევს საკუთარ სახლში შესვლისათვის. ასე არაა აქაც? რა უნდა რუხის ციხესთან რუსის ჯარისკაცს.

მე ეს არ მიკვირს. მოგერია ის კაცი და როგორც უნდა, ისე გატრიალებს, მაგრამ ნაწყენი სახის მიღების თუ გეშინიათ, მთლად გახარებული მაინც ნუ გამომეცხადებით, თქვე კაი ხალხო. არნახულ გამარჯვებას მივაღწიეთ მოსკოვშიო, ვიცი შენც არ გჯერა ეს და მე მაინც ნუ მატყუებ ჩემდა წილად. სულ შეწყვიტე ლაპარაკი იმაზე, როდის ვბრუნდები მე, ლტოლვილი ჩემს სახლში და ესაა გამარჯვება? საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარესო, ავშენებულვართ აწი და ეგაა. როდის არ აღიარეს, სად არ აღიარეს ამ ოთხ წელიწადში რამე? ვის ვატყუებთ, ვის?

სანქციები დააწესესო. ხელშეკრულებას აღარ დადებს ესენგეს არც ერთი სახელმწიფო აწი აფხაზეთთანო. დიდი შეღავათი

ჩემთვის. ხელშეკრულებას არც აქამდე დებდნენ, მაგრამ ყველა მშვენივრად ეხმარებოდა „საწყალ აფსუებს“. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თურქეთის გემები შედიან ყოველდღე თავის ძმა აფსუებთან „ჰუმანიტარული ტვირთით“. რა სანქციები, ვინ გააკონტროლებს ამ „სანქციებს?“ ვის აყრიან თვალში ნაცარს? იქნებ ქართული მხარე? ცხვირს არ გაყოფიებს რუსი სოხუმში კი არა, გალშიც კი და შენ აქედან ნაცარქექიასავით ყვირი – ჩემთან შეუთანხმებლად არავინ არაფერი შეიტანოს აფხაზეთ-შიო. კვდება ალბათ გარეწარი არძინბა სიცილით.

ვთქვათ, მართლა გატარდა ეს დადგენილება და მე არ მჯერა, მაგრამ მართლა მოაქციეს ეკონომიურ ბლოკადაში აფხაზეთი, მერე? ჩვენთვის რა შედეგი მოჰყვება ამას? მო-შივდება არძინბას და დაიძახებს – შევცდი, მაპატიეთ, ახლა, მოშიებულს გამახსენდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო? ჯერ ერთი, არძინბას ყველაზე ბო-ლოს მოშივდება და კიდეც რომ მოშივდეს, იმის ჩიტია არ-ძინბა რომ „სანქციების“ შეეშინდეს და უკან დაიხიოს? ვის ვატყუებთ, ვის? თუ ასეთი კარგი იყო ეკონომიური ბლოკადა, როგორ ფიქრობ, რუსეთი ჩეჩნეთში არ გამოიყენებდა? ქვე-მეხებით რომ დაადუღა მთელი ჩეჩნეთი და რუსი ჯარისკაციც რომ ბევრი დაწვა ჩეჩნეთის მიწაზე, რატომ იქ არ მიმართა რუსმა „სანქციებს?“

ვერ გავიგე, რატომ ვიბითურებთ თავს. ნუთუ ვერ ვხე-დავთ, აშკარად რომ გვატყუებს რუსეთი.

დრო გაჰყავს და მეტი არაფერი. ჩვენთვის აფხაზეთის და-ბრუნება რო ნდომოდა, ცხრამეტ იანვარს დაადგენდა: „ოცდ-აოთხი საათის განმავლობაში განლაგდეს აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სნგ-ს სამშვიდობო ჯარი ქართულ არმიასთან ერთად. აღსდგეს საქართველოს იურისდიქცია და სამი დღის განმავლობაში დაბრუნებულ იქნას ყველა ლტოლვილი!“ ეს იქნებოდა საქმის გადაწყვეტა. თუ, მე შენ გეტყვი, დაუშლიდა ამას ვინმე რუსეთს, ან მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი არ არის შემზადებული ამისათვის?

სასაცილოა აბა რა არის, ერთი თვის ვადაში შეიმუშავეთ სამშვიდობო ჯარის სტატუსიო. ვინ კითხავს საქართველოს რუსის ჯარის სტატუსის შემუშავებას, თუ სტატუსის შემუშავება შეგვიანდა, რაო, „გამითავდა, გენაცვალე, ვადა მეო“ და გავა რუსეთის „სამშვიდობო ჯარი“ საქართველოდან? არ შეგჭამოს ტარაკანამ.

გადავკეტოთ გზა-მეთქი, სხვათა შორის ამ აზრისაა აქ უმეტესობა, მარა ხომ იცი, პრავაკატორი მოკამათე ყველგანაა – ეწყინება რუსსაო. მე არ მწყინს ამდენი რომ დამიხოცა და მესამედი ტერიტორია წამართვა? მთლად ჩვრად და დედლად უნდა ვეჩვენო მთელს კავკასიაში, მარტო მე, რუსს, მაინცდამაინც?

ჩემი მოკლე ჭკუით, აფხაზეთის დაბრუნების სამი გზა არსებობს. პირველი: ისევ გაეროს უნდა ჩავებღაუჭოთ. კი არ უნდა დავემდუროთ გაეროს, როგორც ჩვენ ვქენით ამ ბოლო დროს. დასავლეთმა უნდა იმოქმედოს რუსეთზე. ხომ ხედავთ, ისევ გაერომ და ევროპარლამენტმა, ნატოსთან ერთად, მოაბა თავი იუგოსლავიის საქმეს. რუსეთი, თავის ნებით, არ დაგიბრუნებს წართმეულს, ამდენი უნდა იცოდე. რატომ ვერ გავიცანით ჩვენი დამპყრობელი ამ ორას წელიწადში, მიკვირს ძალიან. მეორე: გაუთავებელი უნდა იყოს ჩვენი აქციები. მუდმივად უნდა ვიჯდეთ აქაც და იქაც, სადმე, თბილისში ლტოლვილები, ხელში ტრანსპარანტები უნდა გვეჭიროს და უნდა ვყვიროდეთ: „დაგვაბრუნეთ ჩვენს სახლშიო!“ თორემ არძინბა ამბობს, ქართველები აქ იყვნენ ლტოლვილები. იქ თავის სახლში არიანო. უნდა დაინახოს მსოფლიომ, რომ ასე არაა საქმე. ჩვენ მართლა გვინდა დაბრუნება და ბოლოს; დღედაღამ პარტიზანული ომი უნდა გვქონდეს აფსუა ყაჩაღებთან. არ უნდა მოვასვენოთ, არ უნდა გავახაროთ, არ უნდა მოვაშენოთ გადამთიელი ჩვენს მიწაზე. ისინი ყოველდღე გვიხოცავენ სანაიებს თუ ხურცილავებს და ჩვენ რას ვაკეთებთ? შეიარაღება არა გვაქვსო, დაუჟინია ზოგს. გადაირბინე და ქვა ესროლე, ფილთა თოფი ესროლე, რაც გაქვს, ის

ესროლე. სახლი დაუწვი, როგორც შენ გიწვავს სახლს. შეიძლება მტერი შენი შვილების თავებით ფეხბურთს თამაშობდეს და შენ იძახდე, ჰუმანისტი ვარ მე, ვერ გავწირავ, აფსუა ჩემი ძმა არისო? ხომ ხედავ შენი უნიათობისთვის როგორ დაგცინის, როგორ გაბიაბრუებს რუსეთი...

კიდევ რაღაც სურდა ეთქვა გეოგრაფიის მასწავლებელს, მაგრამ, ამასობაში, ხიდს რუხის ციხის მხრიდან რუსულდროშიანი, გიგანტსაბურავებიანი „ამფიბია“ მოადგა და ორივენი იქეთ გავეშურეთ.

„ამფიბიამ“ კარვის წინ ერთმანეთთან ზურგმიყრდნობით მიმჯდარი ლტოლვილების ცხვირწინ დაამუხრუჭა. მანქანიდან მხარზე ავტომატგადაკიდებული ორი რუსის ჯარისკაცი გადმოხტა.

– ანუ კა, ვსტანტე! ასვაბადიტე დაროგუ! – თავზე წაადგა ერთი მათგანი ფიცარნაგზე მსხდომთ და მათ თავებს, ლამის, მუხლით შეეხო. მეორე შორიახლო გაჩერდა.

– მი დაროგუ პერეკრივაემ, აკციუ პრავოდიმ, – მშვიდად აუხსნა ერთმა მჯდომთაგანმა.

– ა ნუ კა, ვსტანტე, კამუ გავარიატ, დაიტე პრახოდ! ნე ზასარიაიტე დაროჰუ! მოჟეტე პერეკრივატ, გდე ნიბუდ, ვ დრუგომ მესტე! ნე სლიშიტე?! ნამ ნეკოგდა სვამი რაზგოვარივატ! ამ სიტყვებთან ერთად ორივე ფიცარს დასტაცეს ხელი და ასწიეს. აყირავებული მეაქციენი წამოხტნენ და უკმაყოფილო ბუზღუნით მიმოიფანტნენ.

– ვი ნე იმეეტე პრავო! – ჩანს, არცთუ ხმამაღლა და კატეგორიულად მითქვამს, რაკი ჯარისკაცებს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. ფიცარი განზე მოისროლეს და ხიდისკენ ნელა წასულ მანქანას დაედევნენ.

ლურჯად მბოლავ „ამფიბიას“ გავხედე და ტუჩზე ვიკბინე.

დაბრუნება

(არცთუ სახუმარო ნოველა)

უნაპირო დემოკრატიის მომხრეებს
ვთხოვ, არ წაიკითხონ!

ტელევიზორში ჭაღარათმიანი, ქორისთვალება, ულვაშწვეტიანი, ჩოფურა კაცი გამოჩნდა. ჩიბუხი გააჩაღა. ცოტა ხანს უცქირა ტელეკამერას იმგვარი გამჭოლი მზერით, თითქოს ჯადოსნურ სარკეში იმზირება და ქვეყანას ხედავსო. მერე ჩიბუხი მარჯვენაში ისე მოირგო, რომ ცერა თითი სათუთუნე-საცეცხლურს დააფარა, ჩაახველა და ოდნავ გაბზარული ხმით დაიწყო:

– ამხანაგებო, როგორც ხედავთ, დავბრუნდი. არ ვაპირებდი მობრუნებას, და კაცმა რომ თქვას, საამისო ასაკიც აღარა მაქვს, მაგრამ თქვენი ბოლო მმართველის ინფორმაციამ გადამაწყვეტინა. ვერ შევძელი შორიდან მედევნებინა თვალი ჩემი ქვეყნის დაქცევისათვის. მაშ ასე: ახლა დილის ათი საათია;

მზის ჩასვლამდე საქართველოს ტერიტორიაზე დაილუქოს ყველა სახელმწიფო თუ კომერციული სასურსათოსამრეწველო საწყობი და ხვალიდან დაიწყოს პროდუქტების უფასოდ გაცემა სულადობის მიხედვით!

აღებულ იქნას ყველა ჯიხური და საქონელი გაიყიდოს მაღაზიებში, ბენზინის გამყიდველებს ჩამოერთვას ბენზინმანქანები და გადავიდეს ხალხის (სახელმწიფოს) საკუთრებაში.

გარდა ამისა:

სამსახურის უმიზეზოდ გაცდენისათვის – დახვრეტა!

პურპროდუქტების გადამალვისათვის – დახვრეტა!

გამოყოფილი მიწის მოცდენისათვის – დახვრეტა!

სავალდებულო-სამხედრო სამსახურის თავის არიდებისათვის – დახვრეტა!

იარაღის უკანონო ტარებისათვის – დახვრეტა!

ქურდობა-ყაჩაღობისათვის – დახვრეტა!

ცოლის ღალატისათვის – გადასახლება!

უცხო ქვეყნის ფულით ვაჭრობისათვის – დახვრეტა!

კანონის გამტარებლისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის – ადგილზე დახვრეტა!

თქვენ, კარგად იცით, მე ხუმრობა არ მიყვარს!

კარგად ბრძანდებოდეთ!

ამ გამოსვლიდან ოთხიოდე საათის შემდეგ თავისუფლების მოედანზე სამი კაცი დახვრიტეს. ქვემოთ, მორღვეულ ტრიბუნასთან, პირსახით კედლისკენ მიაყენეს და დახვრიტეს. მსჯავრდადებულთ არც პროტესტი გამოუხატავთ, არც „ჯალათებო!“ დაუძახიათ და არც ლოზუნგი უტყორცნიათ შემოჯარულ-გარინდული მაყურებლისთვის.

საღამომდე ორი კაციც დახვრიტეს საჯაროდ. ერთი სპორტის სასახლეში ქურდობისათვის და მეორე სადგურის მოედანზე პოლიციელთან უხეში შეკამათებისათვის.

„ხვრეტენ!“ ელვასავით მოედო ქალაქს.

ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა, შიმშილით ღონემიხდილი, გაცივებული, ბინებში შებუდრული ქალაქი უცებ ამოძრავდა. ქუჩები ხალხით გაივსო. ჯიხურებს ღვედებით ეზიდებოდნენ როგორც ბურლაკები ნავებს, რომელიღაც მხატვრის ნახატზე; მაღაზიების დახლები ნელ-ნელა ივსებოდა. მოქალაქენი თვითონ ამყარებდნენ წეს-რიგს. ერთნი საწყობებს დარაჯობდნენ, მეორენი სიებს ადგენდნენ, მესამენი მებენზინეებს მიერეკებოდნენ ცემა-ტყეპით. ბაზარში მკაცრი საერთო ფასი დააწესეს და აკანკალებული ქორ-ვაჭრები ტირილით ჰყიდდნენ მათდაუნებურად კატასტროფულად ფასდაკლებულ საქონელს. საზოგადო-სალაყბოები გააუქმეს და მარტო პარლამენტი დატოვეს. სამხედრო საწყობები ჩამორთმეულ იარაღს ველარ იტევდა. აქა-იქ ტროლეიბუსიც ამოძრავდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ტაქსიც გაილანდა.

ტახტზე ჩექმებიანად წამოწოლილმა ულვაშამ თვალი ჰკიდა სარკმლიდან ჩამოღვრილ ნათელს. წამოდგა, მიეგება.

– როგორ არის საქმე? – ჰკითხა ზეციურმა ხმამ.

– მიდის, ასე ვთქვათ.

– გიჭირს?

– არც ისე.

– სხვა გზა არ იყო. ვიცოდი, რომ შენ უშველიდი. არა და იღუპებოდა ქვეყანა. ვინც გამოვუშვი, ყველამ უკან წაიყვანა საქმე. თითქოსდა მოჯადოებულ წრეში ტრიალებდნენ. ხალხი გაწამდა.

– ჰკითხეთ, არა მგონია. კმაყოფილების ხმებიც ისმის.

– ბევრი დაიხვრიტა?

– ხუთი თუ შვიდი. მანამდე საშუალოდ დღეში ოცი-ოცდაათი კაცი კვდებოდა ავტომატიანების შეხლა-შემოხლით.

– ამოიღეთ იარაღი?

– ხალხი თვითონ ამოიღებს, რაც დარჩა.

– ცოლის ღალატისთვის – გადასახლება ნამეტანი ხომ არ არის?

– ეს ისეა... საერთო წესრიგისთვის. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში არ გავატარებ, ერთადერთს, მხოლოდ ამ კანონს.

– მეჯიხურეთა დაწიოკება ზედმეტი სიმკაცრე ხომ არ იყო? გვქონდა უფლება?

– განა შენც ასევე არ გამოყარე, მაცხოვარო, იერუსალიმის ტაძრიდან ვაჭრები და ფულის გადამცვლელნი? ხომ არის მომენტი, როცა ახსნა-განმარტების დრო არ არის. შენგან მაქვს ნასწავლი. მე ხომ სასულიერო სემინარიის მოწაფე გახლდით და თანაც ბეჯითი მოწაფე.

– კარგი. კარგი. დღეს მერამდენე დღეა?

– მეხუთე.

– ჩემგან რა შემწეობა გჭირდება?

– ჯერჯერობით არაფერი. აქაურობას მეც ვეყოფი. ოღონდ როგორც შევთანხმდით, რუსის ჯარი არ გადმოაშორო კავკასიონის ქედს, თორემ ყველაფერი დაიღუპება.

– შენ ამბობ ამას? კეთილი... კეთილი...

სარკმლიდან შემოჭრილი ნათელი, ნელ-ნელა, სხივ-სხივ აიკრიფა და ცოტა ხანში ოთახს აქლემისფერი დაუბრუნდა.

ტელეფონი სდუმდა. ულვაშას სათვალე მოერგო და ყურადღებით კითხულობდა გაზეთ „შანსის“ ძველ ნომერს.

შიგადაშიგ თავს ხან გადააქნევდა, ხან დააქნევდა.

გარეგნულად ვერ შეატყობდი, მოსწონდა თუ არა გაზეთის მიმართულება.

სხვა ქვეყანაში

ახლა რუსის ჯარისკაცი იშვიათად შეგხვდებათ ქუჩაში.

ადრე საბჭოთა არმიის მებრძოლებს თბილისი (და განა მარტო თბილისი) დიახაც რომ აღებული ჰქონდათ.

მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებოდით; ბაზარში, სალუდეში, აბანოშიც კი.

სვამდნენ, კაბელის ჩაგდებაზე მუშაობდნენ, იპოდრომის წინ, „ოკრუგის“ სასროლზე ვარჯიშობდნენ და ისევ სვამდნენ.

თავს აქაურობის ავანჩავანად თვლიდნენ და გითხრათ სიმართლე, არც ჩვენ ვუცქეროდით მათ როგორც სტუმრებს.

ახლა სხვა ამბავია. ახლა ისინი ზონიდან თითქმის არ გამოდიან, თვალში არ გვეჩხირებიან. იდუმალმა, თვალით უხილავმა, უნდობლობისა და აფხაზეთ-სამაჩაბლოს ვერპატიების შავმა კატამ გაირბინა ჩვენ შორის.

თითქოსდა ყველამ, გენერლიდან ჯარისკაცამდე, ერთბაშად შეიტყო, რომ სხვა ქვეყანაში, სხვა სახელმწიფოში ეწევა არცთუ სასურველ და სასახელო სამსახურს.

ქუჩაში მარტო თითქმის არ გამოდიან. ძირითადად ორ-ორად ან სამ-სამად დადიან და, უმეტესწილად, გადაცმულები.

გადაცმული რუსის ჯარისკაცი ძნელი გამოსაცნობი არ არის. როსტოვული მუქი საწვიმარი, ნეილონის თეთრი პერანგი და სპორტული პიჟამოს შარვალი ნასხვისარივით მოუხეშავად და უხერხულად აცვია.

ჯგუფ-ჯგუფად დადიან-მეთქი და უფრო ამიტომაც გამიკვირდა იპოდრომის ცარიელ ტრიბუნაზე ერთადერთი სამხედროფორმიანი კაცი.

ახლოს მივედი. მივესალმე.

რუსის მაიორია. ბეჭგანიერი, ჯანსრული ვაჟკაცი ჩანს, ქუდს ქვემოთ, ყურებზე გადავარცხნილი ოქროსფერი თმა მოუჩანს.

– ცხენოსნობა გაინტერესებთ? – ისე, სიტყვის მასალად ვკითხე;

– მაინცდამაინც არა. აქვე, ამიერკავკასიის შტაბში ვმსახურობ. ჰაერის გადასაყლაპავად გამოვდივარ ხოლმე შესვენების დროს, თვალს წყალს ვალევინებ.

– დიდი ხანია თბილისში ხართ?

– მესამე თვეა.

– თუ საიდუმლოება არ არის, რას აკეთებთ, ყოველდღე რას საქმიანობთ, მე აქვე ვცხოვრობ და ვხედავ, დილამდე ანთია ხოლმე სინათლე შტაბის ფანჯრებში.

– რა ვიცი... საქმეს რა გამოლევს... საიდუმლო არაფერია; სიტუაციას ვსწავლობთ, ბაზებს ვაშენებთ, სამხედრო წვრთნას გავდივართ, ინფორმაციებს გადავცემთ მოსკოვს.

– ეგ ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ თქვენი სურვილით წამოხვედით საქართველოში?

გაეცინა.

– როგორ ფიქრობთ, არ მირჩევნია ახლა მე ჩემს სამშობლოში, „პრუდის“ პირას, ჩინარის ქვეშ ვიჯდე და რუსულ ხატას შევყურებდე? როდის იყო ჯარისკაცი თვით ირჩევდა სამსახურის ადგილს.

– თქვენ საინტერესო კაცი ხართ. მოგწონთ აქაურობა?

– პირდაპირ გეტყვით. არცთუ ძალიან. რაღაცნაირი გაუხსნელი ბუნების, გულჩახვეული და ცოტა ბოღმიანი ხალხი უნდა იყოთ. მაპატიეთ, თქვენ ქართველი ხართ?

– დიახ... ყოველთვის არ ვიყავით ასეთი.

– ვიცი, რაც უნდა მითხრათ და მეც მანდა ვარ. რაცა გჭირთ, თქვენი ბრალია. თქვენი ახირება-ატროკება ვერაფრით ვერ ამიხსნია. რა გაწრიალებთ, რა გინდათ?

– მე მგონი, თქვენც კარგად უნდა იცოდეთ. რაც ყველა ხალხს უნდა, თავისუფლება.

– მერედა ვინ გართმევთ, ვინ გიშლით ხელს?

– ვინც ჩვენს მიწაზე ბაზებს აშენებს, ოცდაოთხი საათი სიტუაციას სწავლობს და მოსკოვს ინფორმაციას აწვდის.

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამთ. გამოიბერტყეთ თავიდან შუასაუკუნური ამპარტავნობა. თავისუფალი არ იყავით შარშან, შარშანწინ? ხომ ნახეთ მთელი კავკასია თქვენ დაგესიათ. თქვენი, „ამაყი ქართველების“ ატანა, მგონი, მარტო ჩვენ, რუსებს შეგვიძლია.

– თქვენ კარგად იცით, ვინ და როგორ დაგვესია.

– ეჭვი გეპარებათ ქართველებს მარტო დიდ ხანს რომ არ დაგტოვებდნენ? ჩვენ რომ არ შემოვსულიყავით, ირანი და თურქეთი ავად იშმუშნებოდნენ. რომელი რომელს შემოასწრებდა თქვენთან, ღმერთმა იცის.

– შეგეცოდეთ და ამიტომაც ერთხელ კიდევ შეგვიფარეთ ხომ დიადი რუსეთის ფრთებქვეშ?

– გასაგებია თქვენი ირონია, მაგრამ მეც, თანამედროვე რუსის ჯარისკაცსაც უნდა გამიგოთ. თქვენ რომ ახლა თქვენს მიწას ეძახით, მისი დიდი ნაწილი რუსმა თავისი სისხლით წაართვა თურქეთს და ნიკოლოზმა მემკვიდრეობად დამიტოვა. რა უფლება მაქვს ასე იოლად გავაჩუქო ან გავანიავო?

– განა რომანოვების რუსეთს თქვენ თვითონ არ ეძახდით „ხალხთა საპყრობილეს?“

– ვინ ეძახდა და რატომ ეძახდა და ჭეშმარიტი რუსი იყო თუ არა დამძახებელი, ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია.

– ჩვენთვის, ქართველებისთვის, ყველაფერი გარკვეულია, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვაი რომ ძალა არა გვაქვს. ცოტანი ვართ ამ დუნიაზე. რა გაეწყობა, დაველოდებით იმ კეთილ დროს, როცა მსოფლიო იმდენად მოწესრიგდება, რომ მცირე ერთა დაჩაგვრის ნებას არ მისცემენ მრავალრიცხოვან ერებს.

– ელოდეთ, ელოდეთ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, – საათზე დაიხედა – შესვენება დამიმთავრდაო, ბოდიში მომიხადა და საჯინიბოების მხარეს, ჭიშკრისკენ გააბიჯა.

ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ელდანაკრავივით მოიხედა.

რატომ მოიხედა? რატომ ჰქონდა შემკრთალი თვალები?

წესით ჩემი არ უნდა შეშინებოდა.

ესე იგი რაღაც ხდება, რაღაცაშია საქმე...

რაღაც გიჭირს ბატონო ოფიცერო.

აბი

ერებისთვის გამორჩეული, განსაკუთრებული ღირსებების დაბრალებას და ერების გამოცხადებას კეთილ და ბოროტ ერებად რასიული თეორი ჰქვია, ბაბუა. კეთილი და ბოროტი ხალხი არ არსებობს, იცოდე. სიკეთე და ბოროტება ცალკეულ ადამიანთა თვისებაა. ადამიანი კი ხან ბოროტია და ხან კეთილი. უცოდველი არავინაა, ბაბუა. ჩვენ რომ კარგ და ცუდ ადამიანებად ვყოფთ საზოგადოებას, ასიდან ოთხმოც შემთხვევაში ვცდებით. გარემოება ისე შეუწყობს ზოგიერთს ხელს, რომ ან სიკეთეს ჩაადენინებს უფრო ხშირად, ან ბოროტებას. სიტუაციის, გარემოების, აღზრდის შვილია ადამიანი, ბაბუა, და ცოდვაა მისი საქციელის ხელაღებითი შეფასება. აკი ჩვენი მაცხოვარი გვასწავლის: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“. ორიათასი წლისაა ეს ნათქვამი, ბაბუა. ორიათასი წლის წინათ იცოდა ადამიანმა, რომ სხვის სულში ხელის ფათური მკრეხელობაა.

ისტორიის ბორბალი ტრიალებს, ბაბუა. ხან წაღმა ტრიალებს ის დალოცვილი, ხან უკუღმა, ხან დაამდურვებს ერებს ერთმანეთს, ხან დააძმაკაცებს და ჩაახუტებს. ჩემმა სიყმაწვილემ ისე გაიარა, გერმანელზე უფრო საზიზღარი თუ ვინმე იყო, არ მეგონა. მე რომ ასეთი შეხედულება მქონდა გერმანელზე – ამას ემსახურებოდა მთავრობაც, კინოც, გაზეთიც, ბაბუა. გერმანელი ჩემთვის ფაშისტი იყო, ფაშისტი კი კაციჭამიაა. ძმად, რასაკვირველია, ჩვენი „უფროსი ძმა“ ჩრდილოეთელი მეზობელი მიგვაჩნდა. მერე ცხოვრება ისე შეტრიალდა, რომ ახლახანს შიმშილისაგან გასავათებულს გერმანელმა გამომიწოდა დახმარების ხელი. ხოლო ჩემმა საიმედო „უფროსმა ძმამ“, როგორ თუ დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე ფიქრი გაივლე გულშიო, ტანკით გადამიარა და ისე დამტკეპნა, არ ვიცი, ოდესმე გავიმართები თუ

არა წელში. მსოფლიოში არც ერთ იმპერიას არ დაუჩაგრავს თავისი ყოფილი კოლონია ისე, როგორც მე რუსმა დამკოდა: 1992-93 წლებში მომიკლა ოცდაათი ათასი რჩეული პატრიოტი, თავისი სახლიდან გამორეკა სამასი ათასი საქართველოს მოქალაქე და წამართვა ოცდახუთი ათასი კვადრატული კილომეტრი უკეთესი ტერიტორია.

ახლა გერმანელის ამბავს გეტყვი. შენ იცი, მე კისლოვოდსკში დავიბადე და ომის დროს იქ ვცხოვრობდი. ახლაც ბევრი ლობჟანიძე ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში.

1943 წლის ბოლო დღეებია. კისლოვოდსკში გერმანელები არიან. მამა-ბიძანი, რასაკვირველია, ომში მყვანან, შინ დედაჩემი, ბებიაჩემი და მე ვართ. თორმეტი წლის ვიყავი მაშინ.

დილით ჩამოივლიდა გერმანელი: „ახტუნგ! ახტუნგ, შნელ! შნელ!“ – მოჰყვებოდა ქუჩაში ყვირილს. ხელში ჟურნალი ეჭირა და ვინც გავიდოდა – „ლობჟანიძე, ბიტე!“, „ალიხანოვ, ბიტე“, „ვალიევ, ბიტე“ – პლიუსებს უსვამდა. გზის მშენებლობაზე დავყავდით. მე, თორმეტი წლისას, არ მეკუთვნოდა, ჩვენი ოჯახიდან დედაჩემი უნდა გასულიყო, მაგრამ თავი მოვიკალი და დედაჩემის მაგივრად ჩემი თავი ჩავაწერინე ღიპიან, პრიალაჩექმება, მკვირცხლთვალება ეფრეიტორს, რომელიც, როგორც გამოგვეცხადა, ჩვენი ქუჩის მამასახლისი იყო. თოთხმეტი წლისა ვარ-მეთქი. გერმანელის თვალწინ დამქაჩა დედაჩემმა და „ნაინ, ნაინო!“ გაუმეორა. ეგ პატარაა, მე წამოვალ, მე ვიმშუავებო. ეფრეიტორს არ შევეპუე: „დედაჩემო, თუ არ გამიშვებ, იცოდე, თავს მოვიკლავ-მეთქი“. ჩანს, ისეთი განწირული სახე მქონდა, რომ გერმანელი ყველაფერს მიხვდა და „ბიტე, ბიტეო“, ჩამწერა.

დილით ცხრა საათზე მივყავდით და ოთხ საათზე გვაბრუნებდნენ უკან. შუადღისას გაროხის სუპს, თეთრ პურს და თითო კონსერვს გვირიგებდნენ. კონსერვი ყოველ მეორე დღეს შინ მიმქონდა. კისლოვოდსკიდან გამოსასვლელი მთავარი გზა ხომ იცი, იქ გვამუშავებდნენ. ჩვენივე გზა გაგვაკეთებინეს მაშინ გერმანელებმა. ნახევარ საუკუნეზე მეტი

გავიდა და იმ გზამ დღესაც რემონტი არ იცის, ისე მკვიდრადაა ნაგები.

კინოებში რომ გინახავს, მათრახის ტკაცუნით რომ ადგანან ფაშისტები მუშებს თავზე, სრულიადაც არ იყო ასე, ბაბუა. მე ხომ პატარა ვიყავი და ნახევარ ნორმას მაძლევდნენ, არც სხვებს აძალებდნენ ვირის საპალნის თრევას. მთლად მხართეძოზე თუ არ წამოწვებოდი და ხელს ყასიდად მაინც თუ გაანძრევდი, ხმას არავინ გცემდა.

ერთხელ ავად გავხდი. დილით გავიღვიძე, ნერწყვს ვერ ვყლაპავ, სიცხე მაქვს. თავი მიბრუის, ოფლს მასხამს. გუშინ კარგად ვიყავი, არ ვიცი, რა ჭირი მეცა. თერმომეტრი არ გაგვაჩნდა. ოცდაცხრამეტეზე ნაკლები არ გექნებაო, ვიშვიშებდა დედაჩემი და ჭარხლის ფოთოლს წამდაუწუმ მიცვლიდა შუბლზე.

ცხრას აღარაფერი აკლია, „ახტუნგ, ახტუნგ... ლობჟანიძე, ლობჟანიძე!“, ყვირის ჩვენს ფანჯრებთან ლოყებფუნთულა ეფრეიტორი. „ბიტე!“ გადასძახა დედაჩემმა ფანჯრიდან და ხელი დაუქნია.

შემოვიდა მამასახლისი. შუბლჭარხლიანს რომ დამხედა, გაუკვირდა, შუბლზე დამადო ხელი. დედაჩემმა, ყელი სტკივაო, ანიშნა. ააა – დაიძახა ფრიცმა და ენა გამომიყო. გამეცინა. ააა – კვლავ გაიმეორა მან და უფრო დიდზე გადმომიგდო თავისი პატარა, ოთხკუთხედი ენა. მივხვდი, რაც სურდა, „ააა – ამოვიხრიალე და არამკითხე ექიმს ყელი ვუჩვენე. ჩამხედა, „ბიტე, ბიტეო“ – თქვა და ფაცხაფუცხით გავიდა.

ათიოდე წუთში მობრუნდა და ორი აბი ჩაუდო დედაჩემს ხელში. თან კბილებით ანიშნებს. ეს დაღეჭოსო. დედაჩემმა, „ბიტეო“, თავი დაუქნია და ეფრეიტორმაც კმაყოფილი სახით გააბიჯა.

ალბათ ჩემი მოწამვლა გადაწყვიტა-მეთქი (გაგონილი მქონდა, რომ ფაშისტები შრომისუუნარო ტუსაღებს ჰკლავდნენ) და წამლის მიღებაზე სასტიკი უარი განვაცხადე. დე-

დაჩემსაც არ დაუძალებია. ჩანს თვითონაც გაიფიქრა, მტრის მიერ მოცემულმა წამალმა ბავშვს ფარსაგი რამ არ დამართოსო.

საღამოთი შემოიარა ეფრეიტორმა. ლოგინში რომ მნახა, შუბლი შეიჭმუხნა, პირი გამაღებინა და ყელში ჩამხედა. დედაჩემს გერმანულად რაღაც უთხრა. დედაჩემმა ვერ გაიგო და ხელები გაასავსავა.

გერმანელი, ჩანს, ყველაფერს მიხვდა. გაიცინა. ჯიბიდან მინის მენზურა ამოიღო, თავი მოხსნა და სამი აბი გადმოიხელისგულა. ერთი ჩვენს თვალწინ თვითონ დაღეჭა და გადაყლაპა, ორი დედაჩემს ჩაუდო ხელში. „ბიტე, ბიტეო“, კეთილი, რაღაცნაირი, მორცხვი ღიმილით უთხრა და გავიდა.

რასაკვირველია, აბი მაშინვე დავღეჭე.

ასეთი ფაშისტებიც იყვნენ, ბაბუა.

სამასი წლის შემდეგ

– ბატონებო, დღეს 2296 წლის 5 თებერვალია! – გამოაცხადა სხდომის თავმჯდომარემ, ახალგაზრდა, მწვანეთმიანმა უულვაშო კაცმა, რომელსაც მარჯვენა ყურის ბიბილოზე სათარგმნი აპარატი ეკიდა, ხოლო მარჯვენაზე – ელექტროპენსნე დალტონიკებისათვის – უჩვეულო პრესკონფერენციაზე მოგიწვიეთ. ჩემ გვერდით ზის მეოცე საუკუნის მოქალაქე, ბატონი პავლე კვერნაძე. როგორც მოგეხსენებათ, მან ზუსტად სამასი წლის წინათ, სწორედ ამ დღეს, ხუთ თებერვალს თბილისის სამუნიციპალიტეტო თბოლაბორატორიას მიმართა განცხადებით: „გთხოვთ გამყინოთ და სიცოცხლე დამიბრუნოთ მხოლოდ მაშინ, როცა დედასამშობლო იქნება ერთიანი და განუყოფელი, საქართველოში აღარ იქნება არც ერთი რუსის ჯარისკაცი, შეუძლებელი იქნება არჩევნების ფალსიფიცირება, აღარ იქნება შიმშილი და ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდება. ლიფტს ექნება ჩვეულებრივი კარები და დამთავრებული იქნება პრივატიზაცია“. ბატონი პავლეს შეთბობა-გაცოცხლება აქამდეც შეიძლებოდა, მაგრამ მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრები შეთანხმებულნი არ იყვნენ ბოლო პუნქტზე – საქართველოში პრივატიზაციის თავისებურებებზე და მისი დამთავრების რეალურობაზე. გთხოვთ რესპოდენტს ნუ გადავღლით, რადგანაც იგი უნიკალური შემთხვევაა, ოცდამესამე საუკუნისთვის და, რასაკვირველია, სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება! შეკითხვები იყოს, შეძლებისამებრ, მოკლე და ბუნდოვანი!“
– უკაცრავად, – წამოხტა თავგადახოტრილი, ჩოხა-ლეკვერთხებიანი ქალიშვილი – გაყინვაში ფული გადაიხადეთ?!
– არა, ბატონო, უფასოდ გამყინეს, – მშვიდად უპასუხა პავლემ.

– ტანსაცმელიც იმ დროისა გაცვიათ?

– ზუსტად. ყველაფერი როგორც სამასი წლის წინათ მეცვა, ჯიბეში პურის ტალონი მედო, ისიც ხელუხლებელია. ერთადერთი ავტოკალამი აღარ წერს. ვერ გეტყვით, რა მოუვიდა.

– ლიფტის კარებზე წერთ თქვენს განცხადება-ანდერძში. ცოტა არ იყოს გაუგებარია, იქნებ აგვიხსნათ.

– იცით, რანაირი კარები ჰქონდა ჩვენს დროს ლიფტს? გახსენებაც კი ტანში მზარავს. ავტომატურად იღებოდა და, თუ ვერ შეასწრებდი, უკეთეს შემთხვევაში ფეხს მაინც მოგტეხავდა. მერე ავტომატურად იხურებოდა კარები და, თუ დენი გამოირთვებოდა (რაც ხშირად ხდებოდა), ან ავტომატი მოიშლებოდა (რაც უფრო ხშირად ხდებოდა) რჩებოდი ცოცხლად დამარხული ლიფტის სარკოფაგში. შენს განწირულ კივილ-ბრახუნზე მოცვენილი მეზობლები დანა-ჩანგლებით, იატაკის საწმენდი ჯოხებით და დაჟანგული (გასაგებია რატომაც) შამფურებით ამაოდ ცდილობდნენ ლიფტის კარის გაღებას და შენს გამოყვანას.

– რა საშინელებაა! – ამოიგმინა ჩოხა-ახალუხიანმა თავგადახოტრილმა ჟურნალისტმა ქალმა და მინი-მაგნიტოფონის საპოვნელასხელა ღილაკს თითი დააჭირა.

– შემდეგი! – თავმჯდომარის ხმა იყო.

ბოლოსწინა რიგიდან აქლემისპირიანმა, მაღალმა ზებრისსვიტრა ჟურნალისტმა კაცმა მიკროფონს წამოუდგომლად დაუმიზნა მაგნიტის ნალი. მიკროფონი მისკენ გასრიალდა.

– რუსის ჯარისკაცს რა უნდოდა 1996 წლის თებერვალში საქართველოში? თქვენ ხომ დამოუკიდებელი ქვეყანა იყავით?

– არა, ბატონო, ოდნავ დამოუკიდებელი ქვეყანა ჩვენ ვიყავით 1990-93 წლებში. ისიც მოჩვენებითი დამოუკიდებლობა იყო. რუსეთი დამოუკიდებლობანას გვათამაშებდა მსოფლიოს თვალში. მერე დამოუკიდებლობის თამაშში მწევრების დაჭერილი მელიის არ იყოს, ჩვენი სოროსკენ რომ გავიწიეთ,

არ მოეწონა და ტორი დაგვკრა.

– მოიცათ, მოიცათ, საბჭოთა კავშირი ხომ დაშლილი იყო, იმპერია ხომ აღარ არსებობდა?

– არაფერიც არ დაშლილა. არ დაუჯეროთ, თუ რომელიმე ქარაქუცა ისტორიკოსი ამას ამტკიცებს. ჩემს დროს ერთი საათითაც არ გასულა დამპყრობელი რუსი საქართველოდან.

– როდის გაგანებათ რუსეთმა საბოლოოდ თავი?

– ამაზე თუ შეიძლება მე გიპასუხებთ, რადგანაც ბატონმა პავლემ შეიძლება არ იცოდეს, – თქვა თავმჯდომარემ – რუსი დაპყრობილი ტერიტორიებიდან მთლიანად წავიდა 2025 წელს, როცა იმპერია საბოლოოდ დაინგრა. ბატონი პავლეს სიცოცხლეში კი რუსეთი საკმაოდ ძლიერი იყო და მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა. იგი საშინელი სისასტიკით სჯიდა ქართველებს, ტაჯიკებს, აზერბაიჯანელებს... შეიძლება, არ დაიჯეროთ, საკუთრივ რუსეთს მაშინ უზარმაზარი ტერიტორია ეჭირა იაპონიის ნაპირებიდან პოლონეთამდე და მოსახლეობით 250 მილიონს აღემატებოდა.

– არ გამაგიჟოთ?! – გაკვირვება ვერ დაფარა ვიღაცამ.

– დიახ, რუსი ისეთი სრულიადაც არ იყო, როგორსაც თქვენ ახლა იცნობთ – წყნარს, მშვიდს, გულუბრყვილოს. რუსეთი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დედამიწაზე ყველაზე აგრესიული სახელმწიფო იყო. იმპერიის დაშლის მერე თვით რუსეთმაც იწყო დაშლა და ახლა იგი, როგორც იცით, როსტოვის, ტულის და რიაზანის ოლქებსღა მოიცავს თხუთმეტი მილიონი მოსახლეობით.

– თითქმის იგივე დამართნია, რაც მონღოლეთს დაემართა – თქვა ზებრისვიტრამ.

– უარესი, – დაუდასტურა თავმჯდომარემ.

– ბატონო პავლე, საქართველოს მთლიანობაზე და განუყოფლობაზე ოცნებობდით, – განაგრძო აქლემისტუჩამ – რა მთლიანობაზეა ლაპარაკი?

– სანამ ვუპასუხებდე, მე თვითონ მაინტერესებს, – თავმ-

ჯდომარეს მიუბრუნდა პავლე – თუ შეიძლება, მითხარით, რუსი რომ საქართველოდან გავიდა, საქართველოს ხომ არ წაეპოტინენ თურქეთი და ირანი, ან ჩრდილოეთელი პატარ-პატარა ფინია სახელმწიფოები ხომ არ აწკავწკავდნენ?

– ვინ გაბედავდა. რუსის წასვლის მეორე დღესვე საქართველოსკენ ნატომ გამოიხედა. ნატოს წევრი გახდა. ნატოს წევრებს კი, მოგეხსენებათ, უზარმაზარი სამხედრო მანქანა იცავდა. – ახლა, რაც შეეხება მთლიანობას. საქართველო არასოდეს არ ყოფილა ისე პატარა, როგორიც ჩემი გაყინვის დროს იყო. ჯერ კომუნისტებმა გამოიჩინეს გულუხვობა და ტაო-კლარჯეთი თურქეთს დაუტოვეს, ლორე სომხეთს აჩუქეს, საინგილო აზერბაიჯანს, მერე დარჩენილ საქართველოში გამოგონილი მინისახელმწიფოები – ე. წ. ავტონომიები შექმნეს. ბოლოს რუსეთმა 1993 წელს საქართველოს 25 ათასი კვ. კმ. ჩამოაჭრა – აფხაზეთი და სამაჩაბლო წაართვა.

– ესენგეში რომ „თქვენი ნებით“ შეხვედით, არც მაშინ დაგიბრუნათ წართმეული რუსეთმა?

– მარტო ესენგეში კი არ შევედით, ოცდახუთი წლით ბაზები დავუთმეთ, რუსეთთან ცალმხრივ, მონურ ხელშეკრულებას რატიფიკაცია გავუკეთეთ და რუსეთისვე მითითებით საქართველო გუბერნიებად დავყავით, რა თქმა უნდა, ეს ხდებოდა ქართველი ხალხის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მარიონეტულ ხელისუფლებას ამ „უნაპირო სიკეთე მორჩილებით“ სურდა ემოქმედნა ელცინ-გრაჩოვის პირსისხლიან რუსეთზე, არც ამან გაჭრა. სხვა უბედურებაც გვჭირდა იმ დროს. კომუნისტურმა და პროკომუნისტურმა ხელისუფლებამ საქართველო ინტერნაციონალისტურ უღობო ქვეყნად, სხვადასხვა ერთა თანაცხოვრების ლაბორატორიად გადააქცია. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აზერბაიჯანში არ ცხოვრობდა არც ერთი სომეხი და სომხეთში – არც ერთი აზერბაიჯანელი. უპატრონო საქართველოში კი ოთხმოცამდე ეროვნების სხვადასხვა სტუმარი ჯიუტად იყო დამკვიდრებული. მათ შორის ნახევარ მილიონამდე სომეხი,

ოთხასი ათასი აზერბაიჯანელი და სამასი ათასამდე რუსი. ფაქტობრივად საქართველო აღარ არსებობდა. იგი მსოფლიო დერვიშთა შესაკრები პუნქტი იყო.

– ეგ მართალია, – ჩაერია სხდომის თავმჯდომარე – 2075 წელს საქართველოს დემოგრაფიულ მოწესრიგებაში გაერო რომ არ ჩარეულიყო, სტუმარ ერთა წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა თავთავიანთ ქვეყნებში არ გაესახლებინა და ისტორიული წონასწორობა არ აღედგინა, საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობას შეადგენდნენ.

– აი, რას ვგულისხმობდი, ბატონო, მე საქართველოს გამთლიანებასა და განუყოფლობაში. სიხარულისაგან ეს ნატანჯ-განაყინავი, ძლივს მფეთქავი გული კინაღამ გამიჩერდა ჩემი გაცოცხლების მეორე დღეს როცა შევიტყვე, რომ იმპერიის დანგრევისთანავე მეზობლებმა ლორე, სოჭის ოლქი და საინგილო დაგვიბრუნეს, ხოლო ტაო-კლარჯეთი თურქეთმა 2050 წელს სტამბულის ხელშეკრულებით საქართველოს შემოუმტკიცა. ეს ჩემი ოცნების ახდომა იყო.

– ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ სახლდებოდნენ ასეთი გაშმაგებით მეზობლები თქვენს მიწებზე, თავიანთი სახელმწიფო ხომ იქვე, ერთ ნაბიჯზე ჰქონდათ? – იკითხა ჩალისფერზუჩიანმა, ფანტომასის სახის მქონე რადიოჟურნალისტმა.

– რა მოგახსენოთ, ჩანს, ძალიან ვუყვარდით – იხუმრა პავლემ, მაგრამ რაკიღა არავის გასცინებია, მეოცე საუკუნის კაცმა დაასკვნა: ალბათ, ამათთან ან ხუმრობა საერთოდ აღარ არის მოდაში, ან სხვა რაღაცებზე ეცინებათო.

– ერთი რამ მაინტერესებს, – ხორხისმიერი, ოდნავ დაგუდული ხმით თქვა ზუჩიანმა – მეოცე საუკუნის ბოლოს ქართველები რომ ასე გაუბედურებული იყავით, ჩემთვის უკვე გასაგებია, რას აკეთებდა ხელისუფლება და რატომაც აკეთებდა, მაგრამ თქვენ რაღას აკეთებდით – უსავარძლო და უპორთფელო ქართველები, ასე ვთქვათ, ერის ჯანსაღი ნაწილი?

– ღამით გულში მჯიღს ვიცემდით, დღისით კი გახურებული ცეკვა-თამაში გვქონდა გამართული. ჩემი გაყინვის მერე ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონია, კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე იმდენი არ უცეკვ-უმღერია და „შოუ-მანა-მიდი-მიდი“ არ უთამაშნია, რამდენიც ჩვენ, ქართველებმა, 1992-96 წლებში ვიმხიარულეთ. არძინბა (აფსუა მომთაბარეთა ლიდერი) შეძრწუნებული გვიგდებდა ყურს, ფიქრობდა: ან გიჟები არიან ეს შობელძაღლები, ან რაღაც უბედურებაა ჩემს თავზეო.

– არჩევნების ფალსიფიცირება რით გამოიხატებოდა?

– კომუნისტების დროს ბიულეტენებს საერთოდ არ ითვლიდნენ. უმეტესობას არც საარჩევნო უბნებში მისვლაზე გვაწუხებდნენ. მერე „დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში“ რამდენიმეჯერ ჩატარდა არჩევნები, მაგრამ ვაი იმ არჩევნებს. იქ, სადაც ბიულეტენების მთლიანად გამოცვლა არ ხერხდებოდა, საარჩევნო ჯიხურში გხვდებოდა ბრგე „ინსტრუქტორი“ და „კონსულტაციას გვიწევდა“ – ეს წაშალე და ეს დატოვეო.

– საარჩევნო კომისია რას აკეთებდა?

– ყველაზე ვერ ვიტყვი და ზოგი მისი წევრი რეგისტრაციაში გატარებისათვის ფულს სძალავდა საარჩევნო კომპანიისგან ისედაც გაძვალტყავებულ პარტიებს.

– უცხოელი დამკვირვებლები რაღას აკეთებდნენ?

– აკვირდებოდნენ, მხოლოდ იმას, რისი გარეგნულად დანახვა შეიძლებოდა.

– საარჩევნო დარღვევებს სასამართლო არ ასწორებდა? – კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სად იყო სამართალი. სასამართლოს, რასაც უბრძანებდნენ, იმას აკეთებდა – აქ პავლემ გაიფიქრა, „თუ ძმა ხარ“ ნამეტანი შინაურულად გამომივიდა, არ ეწყინოს ამ პატიოსან ჟურნალისტსო. – ელექტროენერგიას რას ეძახდით და რას ერქვა გამოთიშვა? – ისევ „ფანტომასის“ ხმა იყო.

– მაშინ ჰაეროენერგია არ არსებობდა და ენერ-

გიას ძირითადად ჰიდრო და თბოელექტროსადგურებიდან იღებდნენ – დააზუსტა თავმჯდომარემ.

– „ითიშებოდა“ რაღას ჰქვია?

– მიწოდების შეწყვეტას.

– ვისი ან რისი მიზეზით „შეწყვეტდნენ“ ხოლმე?

– ორმოცდათხუთმეტისა მოვიყარე და ეგ ვერ გავიგე – გულწრფელად განაცხადა პავლემ – დანამდვილებით ის შემიძლია გითხრათ, რომ დენის გამოთიშვის დროს თბილისში საშუალოდ ცხრა კაცი კვდებოდა (მეტრო, საავადმყოფო, სასწრაფო დახმარება...), ხოლო ჩართვის დროს სიხარულის ელდისგან – სამი კაცი.

– ბატონო პავლე, შიმშილი ძალიან გაწუხებდათ? – მარჯვნივ მესამე რიგში ნახევრადწამოწოლილ, ჯინსიან ულამაზეს ჟურნალისტ გოგონას გრძელი, ჯინსმგლეჯი ფეხები წინ მჯდომი ბატისჭუკისფერთმიანი მამაკაცის მხრებზე ჰქონდა შემოწყობილი ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით. პავლეს სულ არ უკვირდა, რომ როგორც მის დროს, მეოცე საუკუნეში, არც ახლა ცდილობდნენ ლამაზი გოგოს ფეხებისგან თავის გათავისუფლებას.

– როგორ აგიხსნათ, ქალიშვილო. გაყინვის გადაწყვეტილებამდე შიმშილმაც მიმიყვანა. წარმოიდგინეთ, ხელფასი ოთხი ლარი მქონდა. ოთხი ლარით ხუთი დღის სამყოფ პურს თუ იყიდდი, მეტს ვერაფერს.

– ანაბრები ბანკში?

– კომერციული ბანკირები ყაჩაღები აღმოჩნდნენ და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გაიქცნენ.

– თქვენც სახელმწიფო ბანკს მიაბარებდით.

– რას?

– დანაზოგს.

– სახელმწიფომ უარესი გვიქნა – მე პირადად ოცი წლის ნაშრომი ერთ დღეში კუპონად მიქცია. ასე რომ ცხრა ავტომანქანის საფასური მივაბარე და უკან ცხრა კოლოფი ასანთის საფასური დამიბრუნა.

– არ შერცხვა?

– ვის?

– სახელმწიფოს.

– მგონი არა. ყოველ შემთხვევაში მე სინდისის ქენჯნის ვერაფერი შევატყვე.

– სახელმწიფოსგან ადამიანის გაძარცვის მსგავსი შემთხვევა მე წიგნებშიც კი არ წამიკითხავს, – თქვა იმ მამაკაცმა, რომლის მხრებზეც ანგელოზის ფრთებივით მოჩანდა ჟურნალისტი გოგონას ორი, ღუნღულაწინდებიანი, ნატიფი ფეხი.

მართალია პავლეზე ლამაზი ფეხები დამამშვიდებლად მოქმედებდა, მაგრამ ოცი წლის ნაშრომის სახელმწიფოსგან მიტაცების გახსენებამ, ჩანს სევდა მოჰგვარა და წნევამ აუწია.

პრესკონფერენცია დამთავრდა.

ნოველა, რომელიც არ უნდა დამეწერა

საქართველოს მაგალითზე დავრწმუნდი, ბატონო, ყველაფერს განაძლება ადამიანი. გაზეთში რომ წამეკითხა: ამა და ამ ქვეყანაში ორი წელია ხალხს ხელფასი არ მიუღიაო, არ დავიჯერებდი. ჟურნალისტურ ხუმრობად ჩავთვლიდი ამ ამბავს. არა და, ჩვენს თავზე დატრიალდა ეს სასწაული, სხვისაზე კი არა. ორი წელი იწურება, ბავშვს რომ სატყუარას ჩასჩრიან პირში, ისე გვჩრიან კუპონ-ნახატებს. მეტი დაცინვა შეიძლება? ეს მოწიფული ხალხი თვის ბოლოს სერიოზული სახით ვდგავართ სალაროსთან, რათა ჩვენი წილი არაფერი, ჩვენი წილი აბუჩად აგდება ხელმოწერით დავადასტუროთ და მივითვალოთ ფერადი ქაღალდი, რომელიც დედამიწაზე არსად არავის არა სჭირდება, რომლითაც ოხრახუშ-მაკინდოლსაც ვერ იყიდი.

და მაინც ვართ, ვარსებობთ. დადის ხალხი ქუჩაში. ქორწილებიც ტარდება და ქელეხებიც. ქვას არავინ ისვრის, შიმშილისაგან, მგონი, არავინ კვდება. შეიძლება ერთი-ორი, სადმე, უჭმელობით მუცელამწვარი თითებს იკვნეტს, მაგრამ შიმშილისაგან აღრიალებული მე პირადად არავინ მინახავს. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ორი წელია ადამიანებს უხელფასოდ ამუშავებენ. ჰქვია ახლა სახელმწიფო ისეთ სახელმწიფოს, სადაც შრომის ელემენტარული ანაზღაურებაც არ არსებობს? მომხდარა ასეთი რამ საქართველოს გარდა სადმე დედამიწაზე? ჩვენზე უარესი კრიზისი ჰქონია ქვეყნებს სხვადასხვა დროს, ფულის ინფლაციის მეტი რა იცის მსოფლიომ, მაგრამ მშრომელი კაცისთვის (ქურდს, იცოცხლე, ყველა ხელს აფარებს და ყველგან გზა ხსნილი აქვს) საარსებო წყარო ასე ბეჯითად გადაეკეტოთ, როგორც ჩვენ გადაგვიკეტეს რუსებმა, მე მგონი, არსად მომხდარა.

წანატეხი ფეხის ფრჩხილი ყოველთვის ქვას ხვდებაო, ნათქვამია და ჩვენ რა გვჭირს ასეთი უსაშველო, ერთსა და იმავე ილეთზე რომ გვიჭერს ჩვენი „საყვარელი“ დამპყრობელი. რაც გაგვიკეთა ოცდაერთ წელს, ის გვიქნა შარშანაც. როგორც მაშინდელ მარცხს აბრალებენ ისტორიკოსები უჯარობას, ეკონომიურ უსუსურობას და შინააშლილობას, ისე დააბრალებენ ამ დაცემასაც. თითქოსდა მიზეზი ყველაფრის ვიცით, მაგრამ მეხსიერება არ გვივარგა, თუ რა ჯანდაბა გვჭირს, ვერ გამიგია.

ვატყობ, თუ პოლიტიკისკენ გამექცა ხელი, ამ ნოველას განზე გადასდებ, ჩემო მკითხველო, და მართალიც იქნები. არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩაგძახიან და რაც უფრო ხშირად გიმეორებენ, უფრო აღარ ეკარება გულისყურს. რა მშვენიერი სიტყვაა „გულისყური“. აქვთ ნეტავ სხვებს ასეთი სიტყვა?.. „გულისყური“ ხომ მარტო მსმენელს არ ნიშნავს. იგი რაღაც უფრო მეტია, უფრო ღრმა ჩაწვდომის, მიხვედრის, გულთან მიტანის გამომხატველი.

უმჯობესია ჩემ თავზე გიამბო.

შიშს დიდი თვალები აქვს და შიმშილზე უფრო საშიში, დამერწმუნე, მამალი მგელიც არ არის. შიმშილი მოდისო, დაიძახეს თუ არა, ყველამ რაღაცა ისაშველა, რაღაც ფოთქი მოძებნა, რაღაცას მიაგნო. ზოგმა უკადრებელიც იკადრა, მაგრამ ვერ გაამტყუნებ, ბროკერობა-სპეკულიანტობა და მაქინაცია-კომბინატორობა (პოლიციის თვალის ასახვევად ბიზნესმენობას რომ ეძახიან) ბავშვური თამაშია იმასთან, ზოგმა რომ მოიფიქრა და კარს მომდგარ შიმშილს ააფარა. რას იზამ, სული მწარეა.

გითხრა სიმართლე, მეც ვიმტვრიე თავი, როგორმე გამომძვრალიყავი უსახსრობის ხვრელიდან და ცოლ-შვილი ღვთის ანაბარა არ დამეგდო ამ ტოტალური უხელფასობის ჟამს. პედაგოგიურ ინსტიტუტში ვკითხულობ, ჩემო ბატონო, მე, პედაგოგიკას. ე ჩემი საგანი, მოგეხსენება, მისაღებ გამოცდებში არ შედის და, აქედან გამომდინარე, არც

მოწაფე აბითურიენტი გიმტვრევს კარს. მოკლედ, სუფთა ხელფასზე თუ ვინმე ზის ამ დარგის სპეციალისტები ვართ და რაკი ხელფასი არ არსებობს, დიაღაც, განწირული გახლდით შიმშილით სიკვდილისათვის, მაგრამ ვენაცვალე გამჩენს, ისეთი მუღამისთვის მიმაგნებინა, მთლად შერცხვენილიც არა ვარ და შიმშილითაც კბილებს არ აკაწკაწებს ჩემი ჯალაბობა.

პედაგოგიკა ჯერჯერობით ორი სემესტრი იკითხება. პირველი სემესტრის ბოლოს „ჩათვლა“ უნდა მივცე სტუდენტებს, მეორე სემესტრის ბოლოს გამოცდა უნდა ჩავიბარო.

ქრთამის აღების ვაჟკაცობა და გაბედულობა მე არა მაქვს, ამიტომ ასეთ, ერთი შეხედვით, უპრეტენზიო, აფიორას მივმართე.

გამოცდა-ჩათვლამდე (ე. ი. ორჯერ წელიწადში) ოთხი დღით ადრე საავადმყოფოში ვწვები, ვითომ კუჭის წყლული მაქვს, ან ქუსლის დაბეჟილობით გამოწვეული ანთება.

დაწოლამდე ფაკულტეტის მდივანს ვურეკავ და ვთხოვ, გამოაკრას განცხადება, რომ მე – პედაგოგიკის ლექტორი კეჭაყმაძე მე-2 საავადმყოფოში (პალატა №8) ვწევარ და ჩათვლასა თუ გამოცდას იქ ჩავიბარებ.

ვიღაც ღვთიან-მადლიანის მიერ ლიბოდადებული ქართული ტრადიცია ავადმყოფთან ხელცარიელი რომ არ უნდა მიხვიდე, ჯერ კიდევ ძალაშია ჩვენში და თუ მთლად დაქცეულ-გამოკეტილი ოჯახიდან არაა, რა გული მისცემს სტუდენტს ხელცარიელმა მინახულოს, მით უმეტეს, რომ ამ უნებლიე ნახვა-ვიზიტს ჩათვლის მიღების ან გამოცდის ჩაბარების არცთუ უბრალო მიზანი აქვს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იწყება ხელდამშვენებულთა პარადი ჩემს პალატასთან. ექიმები და სხვა ავადმყოფები გაოცებულ-გაოგნებულნი არიან მნახველთა სიმრავლით და მხოლოდ ამ ნოველის წაკითხვის შემდეგ თუ მიხვდებიან, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაგების მსურველთა ესოდენ ერთსულოვანი მარათონი ოდენ საგნის პოპულარო-

ბითა და ლექტორის სიყვარულით არ გახლავთ გაპირობე-ბული.

ორ დღეში ერთხელ, კარგა შეღამებულზე, შინ მომაქვს ნაალაფარი მაცივარ-საყინულეში გულდასმით ვაბინავებ და დილით კვლავ საავადმყოფოში ვბრუნდები „სამორიგეოდ“.

ასე გამაქვს თავი.

არ დამძრახო და არ დამცინო, თუ ძმა ხარ.

არ უნდა მეამბნა, ვიცი. ჯერ ერთი, ასეთი გულახდილობა შერცხვენის მეტს არას მომიტანს და მეორეც, ისეთი იღბალი მაქვს, წამბაძველების არმია გამიჩნდება და დავიღუპები.

ამ გზით თავის რჩენას მაზანდა დაეკარგება.

არც ეს ნოველა უნდა დამეწერა, მაგრამ ენამ წამასწრო და კალამმა დამქაჩა.

კალე

შესახედავად კალე გებელსს ჰგავს. ოღონდ გებელსზე ოდნავ მაღალია და მარჯვენა ყურის ბიბილო მოღეჭილ-მოჩვარული აქვს. აკვანში ბატმა მომაჭამაო, ამბობს. ვინ იცის, იქნებ ეს მაინცაა მართალი, და კიდევ, რომ გელაპარაკება, მარჯვენა ზედა ტუჩი უთამაშებს; არ ვიცი, გებელსს უთამაშებდა თუ არა.

ერთი რამითაც განსხვავდება გებელსისაგან. გებელსს თავისი პრინციპები ჰქონდა, ამას – არავითარი.

პროფესიად გაიხადა არსებული ხელისუფლებისადმი ერთგულება.

ჯერ იყო და კომუნისტებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. ბოლო ცეკას მდივანს „დავით აღმაშენებელს“ ეძახდა, მაგრამ საჯაროდ, დაუფარავად ერთ შენიშვნას ეუბნებოდა:

– ყოველის სიბრძნით შემკულს ძალიან კეთილი გული გაქვს. რეპრესიებს დროულად თუ არ მიმართე, ეგ უნაპირო სიკეთე სიავედ დაგიბრუნდებაო.

ის ცეკას მდივანი რომ დააცურეს, უტიფრად აცხადებდა – ხომ ვეუბნებოდი მეო.

მერე იყო და ეროვნულ ხელისუფლებასთან ჩახუტება სცადა. თავგასაპნული იჯდა პირველი პრეზიდენტის მოსაცდელში და ენის მიმტანთა გასაგონად ხმამაღლა ამბობდა: – ჯერ კიდევ არ ვიცით ქართველებმა, რა მხსნელი ანგელოზი მოგვივლინა ამის სახით ღმერთმაო. აბა, მითხარით, ვინ წერს პრეზიდენტზე უკეთეს ლექსებს, ვინ იცის ამდენი ენა, ან ვინ უკრავს უკეთესად როიალზეო.

მსტოვართ, რასაკვირველია, პრეზიდენტთან ენები მიჰქონდათ მაგრამ პრეზიდენტი ამ არამკითხე მაქებრის დაძახებას და მოფერებას რატომღაც აგვიანებდა.

ვერ ვიტყვი, კალეს ეს ამბავი არ აწუხებდა-მეთქი, თუმცა გარეგნულად არ იმჩნევდა და მისი გასაპნული თავი მოსაცდელში მყოფთ თვალში რომ არ მოხვედროდათ, კანონიერი პრეზიდენტის მიმართ შიგა და შიგ ერთადერთ შენიშვნასაც ჩაურთავდა:

– შეუმცდარად სჭრის და კერავს. ჭკუა-გონებით სოლომონ ბრძენსაც არ ჩამოუვარდება, მაგრამ ნამეტანი მიმტევებელია. მტრებსაც სიკეთით უხდის. რეპრესიებს რაც დროზე დაიწყებს, მით უკეთესი იქნება მაგისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

მოსკოვიდან სახელმწიფოს მეთაური რომ ჩამოვიდა, პირველი მივარდა ტრაპთან და ხელზე აკოცა. გვეშველა, როგორც იქნა! ბღაოდა.

ერთ დღეს სახელმწიფო მეთაური რომ გაგულისდა, გადადგომა გადაწყვიტა, კალე რუსთაველზე დამჩოქებელთა პირველ რიგში ჩანდა. მუხლებზე ჩავარდნილი ხმის ჩახლეჩამდე ბღაოდა – არ დაგვღუპო, არ დაგვაგდო უმწყემსოდო.

მეთაურმა წასვლა რომ გადაიფიქრა, კალე მაინც მუხლებზე იდგა და აცხადებდა:

– ეს თქვენ ის და ის არ გეგონოთ. ამას არაფერი შეეშლება. ნახავთ, სულ მალე დაიწყებს რეპრესიებსო.

მეთაური რეპრესიებს რომ აგვიანებდა, კალე შეშფოთებული იყო და ფიქრობდა: ალბათ, ასეა საჭირო ჯერჯეროობითო.

წინასაარჩევნო შეხვედრებზე გამოსვლას მოუხშირა კალემ. ვის ხედავთ უკეთესს, ვის აირჩევთ უკეთესს. უნაკლო თუ ვინმეა, ჩვენი კანდიდატია. თუმცა მე არაფრის არ მეშინია და საჯაროდ უნდა ვუთხრა, თუ ეწყინება ეწყინოს – არ შეიძლება ამოდენა სიკეთე ერთი კაცის გულში იყოს. მომრავლდნენ მოლაყბეები. ჩვენი მეთაური კი ჭიანჭველასაც ფეხს არ ადგამს. მას მოსისხლე მტერიც უყვარს. გემუდარებით, ბატონო ედუარდ, დაიწყეთ რეპრესიებიო.

არჩევნები რომ დასრულდა და ინაუგურაციამაც მშვენივრად ჩაიარა, კალე კაბინეტში ესტუმრა პრეზიდენტს და რეპრესიების დაწყება სთხოვა.

პრეზიდენტმა მშვიდად მოუსმინა; დაგიძახებ, დაგიძახებო, დაპირდა, მაგრამ, აღარ დაუძახა.

მერე „მოვლენები“ კალესთვის არცთუ სახარბიელოდ „განვითარდა“.

კალე პარლამენტში ვერ მოხვდა.

მინისტრობის იმედი ჰქონდა და მინისტრობამაც გვერდით ჩაუარა.

მინისტრის მოადგილეობა ითხოვა და არც მოადგილეობა აღირსეს.

დადის ყურჩამოყრილი და იმ დღეებზე ოცნებობს, ხუთი წლის მერე ახალი პრეზიდენტი რომ მოვა, კალეს რომ დაუძახებს, გვერდით მოისვამს და საყოველთაო რეპრესიებს გააჩაღებს.

მაშინ კი გაიხარებს კალე.

გუშინწინ რედაქციის დერეფანში მოვკარი თვალი. ვიღაცას ეუბნებოდა: ჩემმა პირშიმთქმელობამ და პრინციპულობამ დამწია უკან მეო, მე არ შემიძლია ზოგიერთივით მლიქვნელობა და თითლიბაზობაო.

რედაქციის დერეფანი, მოგეხსენებათ, ვიწროა. ე მანდ, პირისპირ არ შევეფეთო, ხელის ჩამორთმევამ არ მომიწიოს-მეთქი და გავბრუნდი.

ისევ ეროვნულ ქურასთან

რასაც ახლა გეტყვით, ბატონო ისაკ, არავისთვის მითქვამს. კაცმა რომ თქვას, არც დავფიქრებულვარ ამ საკითხზე. მეგონა, სინდისი სუფთა მქონდა და როცა კონკრეტულად არაფერი დაგიშავებია, სხვათა ირონია-ქილიკსაც არად აგდებ, თურმე. იყეფონ, რამდენიც უნდათ, მე ხომ მე ვარო, ამბობ გულში. არ ყოფილა საქმე მთლად ისე, როგორც მეგონა. თურმე კარგა ხანია ჩემთვის უხილავი ძალა განაგებს ჩემს ბედს. ღმერთზე არ მოგახსენებთ ამქვეყნიური ძალები მაქვს მხედველობაში. ჩაუვლია ვიღაცას უჩინარი ხელი ჩემთვის და თავის გემოზე დამატარებს. „მე მოუსყიდველი, მე ასეთი მე ისეთი-მეთქი“, ამაყად რომ ვაცხადებდი, ეს სამი დღეა ჩემი სიამაყე ერთბაშად დაიმსხვრა და აი, მოვედი თქვენთან, ჩემს მასწავლებლებთან. ჩანს, ძალიან ადრე ფრთებგაუმაგრებელი წავსულვარ თქვენგან, ნაადრევად მიფიქრია, აწი ჩემით გავცურავ წუთისოფლის მდინარეს-მეთქი. რომ მეგონა, აღმა მივაპობ-მეთქი წყალს, თურმე, ქვევით წავუღივარ დინებას. ასე მართვადი თუ აღმოვჩნდებოდი, არა და არ მეგონა.

თუ გახსოვთ, ამ ერთი კვირის წინათ, თქვენი ინტერვიუ იყო „შანსში“, სადაც სხვათა შორის ბრძანეთ: ნახეთ რა უყვეს ახალგაზრდებს, საზოგადოების ამ ყველაზე რევოლუციურ ნაწილს, როგორ გაიყვანეს განზე ეროვნული საფიქრალიდან, როგორ ამოსდეს თანამდებობათა ალიკაპიო. რომ წავიკითხე, თავდაპირველად, რასაკვირველია, გავიფიქრე: განზე გაყვანილ ახალგაზრდებში მე არ ვიგულისხმები-მეთქი. აქ მოსყიდულ, სუსტ, მერყევ ახალგაზრდებზეა ლაპარაკი-მეთქი.

და, მიუხედავად ამისა, გაგულისებულ კრაზანასავით ამეკვიატა თქვენი ფრაზა და არ მომასვენა. შუაღამისას გამომაღვიძა და მაიძულა, ჩემი ბილიკებისთვის სხვისი თვალით შემეხედა.

„შენც! შენც! შენც ხომ ის აღარა ხარ, რაც ამ ოთხი წლის წინათ იყავი, შენც შეუბიხართ შეგუების ეტლში და მიგაჩიქჩიქებენ. თურმე შენც ამშვენებ სულიერად კასტრირებული ახალგაზრდების კოლექტიურ სურათს, თურმე შენც უზიხარ მარიონეტული ხელისუფლების მიერ დადგმულ ტაბლას და ყუჩად მიირთმევ ოსპის წვენს საერთო ქვაბიდან – ვუთხარი ჩემს თავს და დილით, ჩემს სიცოცხლეში პირველად, ავარიდე თვალები საკუთარ სახეს. შემრცხვა ჩემი გაპარსულ-დავარცხნილი, ჩაჰალსტუხებული ორეულისა. დაწინაურებული ახალგაზრდა ჩინოვნიკის კმაყოფილებით რომ მიმზერდა.

ნუთუ ეს მე ვარ, ნუთუ ეს მე ვწევარ წუთისოფლის ბანგიან წუმპეში და კამეჩივით ვიცოხნი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქვეყანა ისევ დაპყრობილ-დამონებულია და ეროვნული ურმის შინ მიტანამდე ჯერ კიდევ ფათერაკებით აღსავსე სააღზევანო გზაა?

რა თრიაქით მომწამლეს, რა მარილ-მანქანებით გამიშრეს ასე ენა, რომ სიტყვა რაა, სიტყვაც ვერ დამიძრავს და გამოლენჩებული მივყვები ტყუილებით ყურაჭედილი თანატოლების ქარავანს?

ხომ გახსოვთ ჩვენი მღელვარე სტუდენტობა. სწორედ რომ უნივერსიტეტიდან დაიწყო ეროვნული ბრძოლის ახალი ტალღა ქარიშხალივით რომ მოედო ქვეყანას და ასე ამრეზილ-დამამცირებლად, აგდება-გაბიაბრუებით რომ მოიხსენიებს ამ ბოლო დროს არაერთი გრიმ-პარიკოსანი, ცხვრის ნიღბით მოვლენილი ბღენძი და, სამწუხაროდ, ზოგიერთი თქვენი კოლეგაც.

საოკუპაციო ჯარის ჭურვებისგან გარეჯის ფრესკების დაცვის პატარა მიტინგებით დავიწყეთ და რამდენიმე თვეში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ასიათასკაციან დემონსტრაციად ვიქეცით.

ჩვენმა ეროვნულმა ლაშქარმა, ჩვენმა თავგანწირულმა კვეთებამ დიდებული ნაყოფი მოგვცა – საქართველოში დაემხო საძულველი კომუნისტური წყობა.

ფინიშთან დავიგულეთ თავი და წამით გავდექით განზე, წამით ჩავიხარეთ მუხლებში ქარის ამოსაღებად, წამით ჩავთვლიმეთ, წამით გაგვაბრუა გამარჯვების ეიფორიამ და ეს წამით გარინდება საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც. თურმე მტერს არ ეძინა.

მოვიხედეთ და სახელმწიფოს პულტთან უკვე სხვები, კომუნისტური წარსულიდან კარგად ნაცნობი, მაგრამ ეროვნული მოძრაობისთვის სრულიად უცნობი „გმირები“ ჩანდნენ.

თვალთაგან ლიბრი ერთბაშად გადაგვეცალა და გაბრაზებულებმა ვიწყეთ მაღალ კაბინეტთა კარებზე მუშტის ბრახუნი: „ჩვენ ხვალინდელი საქართველო ვართ! ეს ჩვენ გავაცოცხლეთ ქვეყანა და თავისუფლების დროშის ქვეშ მტრის სამიზნეზე პირველნი დავდექით, კეთილ ინებეთ და გაგვიღეთ კარი! მოგვისმინეთ!“

კარიც გაგვიღეს და მოგვისმინეს კიდეც.

თურმე იმ შეხვედრა-დისპუტებზე მშვენივრად გაგვიცნეს და ჩვენზეც იზრუნეს.

მე პირადად ორი წლით საზღვარგარეთ „დამაბინავეს“. დამოუკიდებელ საქართველოს უცხოეთში განსწავლული ახალგაზრდები სჭირდებაო. ბელგიამ სწორედ შენ მოგითხოვა სტუმარ-სტაჟიორად, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერი, მებრძოლი და პერსპექტიული ბიჭიო. ჰა, შენ, საგზურ-რეკომენდაცია, ჰა, შენ, სტიპენდია ჩქარა გაემგზავრე, რათა ორი წლის მერე დაბრუნებულ-დაბრძენებული სწორედ შენ დადგე რესპუბლიკის საჭესთანო.

გავბრიყვდი და „შევჯექ ვირსა“.

ახლაღა მივხვდი, თურმე აქაურობას გამარიდეს. თურმე მე და ჩემი ძმები საქვეყნო საზრუნავს, საეროვნო ცხელ ქურას მოგვაშორეს და განზე გაგვიტყუეს.

რომ დავბრუნდი, საქართველო ვეღარ ვიცანი.

ბრძოლის ჟინი ჩამცხრალიყო, საერო ღველფი ჩანავლულ-ჩანაცრულიყო.

ასპარეზზე აღარ ჩანდა ჩვენი ლიგა.

ერთ დროს პატრუქივით ანთებული გოგო-ბიჭები პოლიტიკური ობობას ქსელის სხვადასხვა კუთხეში მინივრანებულნი ძლივსღა ტოკავდნენ.

უყურადღებოდ არც მე დამტოვეს. არარსებული „ახალგაზრდული დეპარტამენტი“ გამომიგონეს და მანაფესტივალების, შოუკონცერტების გამართვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის „საპატიო მისია“ დამაკისრეს.

მაშინ, მხოლოდ მაშინ გამკრა გულში: ეროვნულ საქმეს ხომ არ მომაშორეს-მეთქი, მაგრამ პირში წყალი ჩავიგუბე. ვითომ, ჩემი ჭკუით, ხელსაყრელი დროის მოლოდინში გავინაბე.

ეგ იყო, თქვენ თვალს გარიდებდით, მრცხვენოდა თქვენი.

და აი, მოთმინების ფიალა ამევსო.

ამ დილით „დეპარტამენტს“ ჩემი გადადგომის განცხადება შევუგდე და პირდაპირ თქვენთან წამოვედი.

ღამურა

ქარი – ყურისძირებში და სახელოებში რომ გიძვრება, მიმართულებას რომ ვერ გაუგებ, შორს კი არა, აქვე, შენს ირგვლივ რომ ტრიალებს, ისეთი აბეზარი და ხულიგანი ნოემბრის ქარია.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან მილეთის ხალხი ირევა.

აქ მაინც წარმოუდგენელია ტროლეიბუსში შეღწევა. სჯობია ერთი-ორი გაჩერება ფეხით გავიარო. ჯერ ერთი სხვა გაჩერებაზე ხალვათობა იქნება და ქარსაც გავერიდები.

ქარს გაჩერებული და გაჯიუტებული კაცი არ უყვარს. უნდა იარო, უნდა მიჰყვე, ცოტა არ იყოს.

ნაცნობს ვეძებ; ასე, ჩემსავით რომ იფიქრებს და დამემგზავრება.

მარჯვნივ გადაქანჯულ ბოძთან თოჯინების თეატრ „მიმის“ მსახიობს – ცირამუას მოვკარი თვალი.

– გამარჯობა ხარიტონ!

– რამაზს გაუმარჯოს.

– ტროლეიბუსს უცდი, არ უნდა ლაპარაკი.

– აბა, ბაბუაჩემი კიწი ცირამუა აქ აღარ ჩამეივლის ათასი წელიც რომ ვუცადო. დაბინავებულია საიმედოდ უტროლეიბუსო ქვეყანაში, იქით გაღმა, ნეტავი მეც იქ ვიყო.

– რავა?!

– რაღა რავა, თუ ძმა ხარ. საჭმელი არა, სასმელი არა, დენი არა, ტრანსპორტი არა, შეშა არა. ე, პატარა თეატრი მახალისებდა რაცხას და ამანაც ჩაიძინა.

– რატომ? ხომ ჩამოგივიდათ რეჟისორი.

– ჩამევიდა, მარა რაღა დროს.

– ფეხით გავუყვეთ ერთი გაჩერება. უქმად დგომას უქმად შრომა სჯობია. სხვა თუ არაფერი გავხურდებით მაინც – შევთავაზე.

– ბატონი ხარ, – უყოყმანოდ დამთანხმდა.

ხარიტონ ცირამუა გამხდარი, წელში მოხრილი, თხელცხვირა და ელამთვალება სამოციოდე წლის კაცია. ჯერ მესხიშვილის თეატრში მუშაობდა, მერე ერთხანს ოპერაში იყო და, ხანში რომ შევიდა თოჯინების თეატრში გადავიდა. დავისვენე, მარტო ის რად მიღირს, ამ ხნის კაცი სცენაზე რომ არ დავხტუნაობ და გრიმს რომ არ ვიტყაპნი სახეზეო. ხელფასი ერთი და იგივეა ყველა თეატრში და ხეირიანი როლის მომცემი მაგენი რომ ჩემთვის ყოფილიყვნენ, აქამდე მომცემდნენო.

ამ ქუჩას ადრე სტალინის ქუჩა ერქვა. მერე ანდრია პირველწოდებულის ქუჩა დაარქვეს და ამ ბოლო დროს ისევ დაუბრუნეს სტალინის სახელი.

თეთრ ხიდზე ქუდები მოვიხადეთ და ხელში დავიჭირეთ. ქუჩაში იმდენად საშიში არაა, გამოეკიდები და დაიჭერ ქარისგან წართმეულ ქუდს, მაგრამ ხიდზე თუ გადაგასწრო, მოგჭამა ჭირი.

გადავიარეთ ხიდი და ისევ დავიხურეთ ქუდები.

უსახსრობა-უამინდობაზე ლაპარაკი მოგვწყინდა და თეატრს მივუბრუნდით.

თოჯინების თეატრს სახელოვანი რეჟისორი ჰყავდა – თალგამაძე. მთავარი რეჟისორი ხომ იყო და იყო; პიესებსაც თვითონ წერდა. უფრო სწორად მსოფლიო დრამატურგების შემოქმედებას გადააქართულებდა ხოლმე. რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ქართულ წიგნებს ვერ კითხულობდა. კითხვით წაიკითხავდა, მაგრამ ვერ გებულობდა და რაკი ვერ გებულობდა, ქართულ ენას ნაკლად, ღვარჭნილობად უთვლიდა სიტყვებს „ამოთავთავდება“, „ეპიტნავება“, „გასისხლმდინარდა“, „ამომზევდა“ და სხვ. სამართლიანობა მოითხოვს აქვე ავღნიშნოთ, რომ მისი ნაკლული ქართული თოჯინების თეატრს ჰყოფნიდა. თუ მშობლიური ენის სუსტად ცოდნას მხედველობაში არ მივიღებთ, თალგამაძეს სხვა მხრივ არა უშავდა რა, ენერგიული კაცი იყო. როგორც მოგახსენეთ რეჟისურის გარდა, პიესებსაც სწერდა,

დეკორაციების ესკიზებსაც ხატავდა, თოჯინებსაც თვითონ აკეთებდა და სპექტაკლს მუსიკალურადაც აფორმებდა. თალგამაძე ბოლო სამი წელი ქალაქ უსკუპიაში აღარ ჩანდა. ახლახან ხმა გავრცელდა, ჩამოვიდაო და თუ მიაქცია ყურადღება საყვარელმა მკითხველმა, სწორედ ამიტომ ვკითხე წეღან გაჩერებასთან შეხვედრილ მსახიობს, რეჟისორი ხომ ჩამოგვიდათ-მეთქი.

თეთრ ხიდს რომ გავცდით, მსახიობმა ხარიტონ ცირამუამ მიამბო:

– ქვეყანა რომ ეირია, თალგამაძემ გამოგვიცხადა მივდივარ, გტოვებთ და თქვენ მიხედეთ აწი თქვენს თავსო. სად მიდიხარ, მე ვუთხარი, ეს თეატრი შენ დააყენე ფეხზე და ახლა მიდიხარ-მეთქი? აქანაო, პირობები არ არიო. რა პირობებს თხოვ დაქცეულ-დაპყრობილ, დაჩოქებულ-გალახულ ქვეყანას, მე ვუთხარი. რავა სტუმარივით ლაპარაკობ, მე ვუთხარი. პირობები თუ არაა, ჩვენ უნდა შევქმნათ, თუ ვერაფერს გავხდით, უნდა გავიჭირვოთ, აბა რავა გინდა მე ვუთხარი! ეს შენი ქვეყანაა! სამშობლოს ვერავინ ვერ გამოცვლის. რავარიცაა, ისეთი უნდა გიყვარდეს, მე ვუთხარი. მიყვარს მარა, აქანა ვერ ჩავკლავ ჩემს ნიჭს მეო. ახლა ჭირდება ქვეყანას გამხნევება და თეატრი, ახლა გარბიხარ და გაჭირვებაში ტოვებ შენს ხალხს-მეთქი?

წარმოიდგინე ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და ვაჟა-ფშაველას რომ გამოეცხადებინათ ერთ მშვენიერ დღეს – პირობები არ მოგვწონს საქართველოში და უნდა გევიქცეთ აქედანო. რას ჰქვია პირობები, რას უძახი შენ პირობებს. ფიროსმანი, შე კაი კაცო, კიბის ქვეშ ხატავდა, მე ვუთხარი.

მომისმინა, არ მომისმინა-თქვა ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც თავისი გააკეთა. აიკრა გუდა-ნაბადი და წავიდა. გითხრა სიმართლე, თავიდან ნამეტანი დევიბენით. გვეგონა ყველაფერი დამთავრდა და უთალგამაძოდ თეატრი ველარ იარსებებდა. კარგა ხანს მართლა უყოჩო ფარასავით აქეთ-იქით ვაწყდებოდით მარა, მერე წამოვიდგით ფეხი, მივხედეთ ჩვენს

თავს და რავარცხა იყო, ორი-სამი სპექტაკლიც მოვახლა-ფორთეთ.

თალგამაძე ერთხანს, მოგეხსენება, გერმანიაში იყო. ამ სამ წელიწადში ორჯერ ჩამევიდა და ორივეჯერ პირდაპირ ტელევიზიაში მივიდა, ჩვენთან არ მოსულა თეატრში. მეო, მსოფლიოს სამ თეატრს ერთდროულად ვხელმძღვანელობო, ამაყად ყელმოღერილი გვიცხადებდა ეკრანიდან – ფრანკ-ფურტის, რიაზანის და უსკუპიას თოჯინების თეატრებსო.

მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, სამი ერთმანეთისაგან ასე დაშორებული თეატრის კი არა, ერთდროულად, თუნდაც, ერთმანეთზე მიდგმული სამი თეატრის ხელმძღვანელობა შეი-ძლება? მთავარმა რეჟისორმა თუ შენს თეატრს ყველაფერი არ მიეცი, თუ ყოველ წუთს სული არ უბერე, ხელად ჩაქრება და ჩანაცრდება.

მეორედ რომ გამოვიდა ტელევიზიით, ცალი რქა ჩამო-ტეხილი ჰქონდა. მეო, ფრანკფურტის თეატრს თავი გავანებე და მარტო რიაზანის თეატრის ბელადი ვარო. თეატრმა ნამ-ეტანი კარგად მიმიღოვო. საერთოდ რუსებს ძალიან უყვართ ქართველები, სულ პირზე კოცნით მოკითხვას მაბარებენ თქვენთანო. იმავე გამოსვლაში პოლიტიკაშიც წეიჩურჩუტა ცოტა, მაგრამ ეგ არაფერი. პოლიტიკაში რომ ფეხი არა აქვს წაყოფილი, ისეთი ჩვენში არის ვინმე?

ვიცოდი, როგორც დამთავრდებოდა თალგამაძის მსოფლიო რეჟისორობა, მაგრამ თუ ასე ჩქარა გამოგვიგზა-ვნიდნენ მოკითხვამდე უკან, გითხრა სიმართლე, არ მეგონა.

ჩვენ ამჯერადაც ტელევიზიით გავიგეთ თალგამაძის ჩამოსვლა. მეორე დღესვე რომ მოვარდნილიყო თეატრში და ეთქვა: შევცდი რომ მიგატოვეთ, ხელოვანის მთავარი საქმე თავისი ხალხის სამსახური ყოფილა, საბოლოოდ დავრწმუნდი ამაშიო, შეიძლება, ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო, მაგრამ ეტყობა ჩვენს თხოვნას ელოდებოდა. ჩამოსვლიდან ათი დღე ისე გავიდა, არ იკადრა თეატრში მოსვლა. ამასობა-ში ჩვენ ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, ღამურა-

რეჟისორისათვის უარი გვეთქვა. გვყავს უკვე რეჟისორი, ახალგაზრდა კაი ბიჭი ქლიბაძე. შარშან დაამთავრა, ჯერ დიდი გამოცდილება არა აქვს, მარა თეატრი უყვარს და არსად გარბის პირობების მომიზეზებით.

რავა მკადრეთ უარის თქმაო, გაცოფდა თალგამაძე. გამოუგზავნია სია თეატრში – ეს და ეს თოჯინებიო, ეს და ეს რეკვიზიტიო, ჩემი საკუთრებაა და გამომიგზავნეთო. არ მეგონა, შვილებს გეფიცები, ამას თუ იკადრებდა.

მთავარ რეჟისორობას ვეღარ მივანდობთ, მართალია, მარა, მამაჩემსა აქვს ცხონება, მევიდეს, მეითავმდაბლოს ცოტა და იყოს რიგით რეჟისორად, არავინ უშლის, თუ რამის დამდგმელია, დადგას. რეჟისორი სარეჟისორო პულტთან უნდა იჯდეს. რად უნდა რეჟისორს კაბინეტი. ა? რავა იტყვი შენ?!

გაბრაზებულთა პარადი

ვდგავარ ჩემი უპრივატიზაციო, კომუნალური სახლის მტვრიან აივანზე და გაბრაზებულ, გაბრუებულ, სასოწარკვეთილ ადამიანთა პარადს ვღებულობ.

ვაკე-საბურთალოს გზის დასაწყისში ვცხოვრობ. ჩემი სახლის ბოლოს ქვაცვენია კლდეა, კლდეს თუ მშვიდობით გაცდი (დღეში ორ-სამ კაცს მაინც ხვდება ზურგ-კისერში სიპსასხლეტილი ქვა), მერე საბურთალოს თავდაღმართი იწყება და დენგათიშული, საეჭვოდაჩქარებული ტროლეიბუსები სახიფათოდ მიშლიგინებენ.

აქ კი, ჩემი სახლის წინ, მდუმარე ლაშქარი მოირწევა; დაღლილი, დაოსებული მოქალაქეების უაბჯრო ლაშქარი.

მოდის აგერ უპეებჩამობერილი, ნარუხალი ფერის მოსასხამიანი, მაღალლანჩებიანი – ასე, ჩემი ხნის თმაჭაღარა კაცი. თავი მაღლა აუწევია, შორს და მაღლა ჯიუტად, მტკიცედ დაშტერებია ბაც სივრცეს, ხელებს ისე მიიქნევს, გეგონება საჭიდაოდ გადისო.

მერე ავანქუჩაზე კენგურუსავით მკერდსქვემოთ ბავშვჩამოკიდებული ახალგაზრდა დედა გამოჩნდება. ცალ ხელში პურიანი ცელოფანი უჭირავს, მეორეში ცარიელი ბოთლებით სავსე ჩანთა. ცოტას გაივლის, შეჩერდება, ახლოს ჩავლილ მანქანას პურიან ხელს გაუწვდის, ზედ ყურისძირთან ჩასრიალჩაშხუილებულს წყრომით გახედავს და გზას განაგრძობს.

აგერ, მზესუმმზირის კვნეტა-ფურთხებით ხუთი უავტომატო ოციოდე წლის ყმაწვილი მოიწლაწება. შუბლზე ზუჩივით ჩამომხობილი შავი ნაქსოვი ქუდები მათს პატარა, ლამაზ სახეებს ერთნაირ, იდუმალ და უაზრო გამომეტყველებას ანიჭებს. შუბლი და თვალები რომ არ უჩანთ, ალბათ, იმიტომ.

არ თავდება მდუმარე ლაშქარი.

მოდიან... მოდიან...

თითქოსდა მთელი ქალაქი გარეთ გამოსულა და სადღაც მიიჩქარის.

გენიალური „ოქროს კერპის“ ავტორთა კლასიკური ფრაზა ამეკვიატა: „ფეხით მოსიარულენი უნდა გიყვარდეთ“.

თუ რამე ანსხვავებთ ადამიანებს ერთმანეთისაგან – სიარულის მანერაც.

ყველა თავისებურად დადის, ყველა სხვადასხვანაირად მიიქნევს ხელ-ფეხს და თავ-კისერს.

უეცრად გიჟურმა სურვილმა შემიპყრო, რაღაც მოვიმოქმედო, რაღაცით მივიპყრო გაბრაზებული, მდუმარე ლაშქრის ყურადღება. აივანს გადავაწექი და რაც ძალა და ღონე მქონდა, დავიღრიალე:

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

თქვენც არ მომიკვდეთ, ერთმაც არ ასწია თავი, არავინ ამომხედა.

...ვუცქერი ახლა სარკეში ჩემს საზიზღარ, ბზიკის ნაკბენივით დასივებულ სახეს.

უადგილო ხუმრობამ საშინელი სევდა მომგვარა.

რა გიყვეს, რა სამსალა გასვეს ასეთი, ჩემო საქართველოვ, რომ ნახირს გამორიდებული, ბუზანკალ-გაცლილი, გასავათებული საქონელივით ოჩან-ოჩან მიაბიჯებ კისერგაშეშებული და საუკუნეების განმავლობაში შენთვის ყველაზე საყვარელი ლოზუნგის გაგონებაზე ყურსაც არ იბერტყავ.

არ მეგონა სიზარმაცის ძალადმოხვევაც თუ შეიძლებოდა.

ნეტავ, სხვაგან რომელიმე ქვეყანაში თუ დაუშვებდნენ მილიონიან ქალაქში ლამის არც ერთი ფაბრიკა არ მუშაობდეს, საავადმყოფოებს ვირთხები დაეპატრონონ და ოთხი მილიონი კაცი ლოკატორივით ატრიალებდეს თავს – ჰუმანიტარული დახმარების მოლოდინში.

უსაქმურობას მიჩვევა სცოდნია.

ლამის ყელგაგლეჯით ვიყვირო: – მსოფლიოვ, შეგვიწყვიტე შემარცხვენელი, დამცვედნებელ-გამზარმაცებელი ჰუმანიტარული დახმარება, იქნებ ხელი გამოვიღოთ!

არ დაიჯერო შენი სიგლახე და მცონარობა, ქართველო კაცო.

შენი შიმშილიც, შენი გაზარმაცებაც, უპატრონო ნახირივით შენი აღმა-დაღმა დინებაც დაგეგმილია, სადღაც შორს, მტარვალთა ჯოჯოხეთურ კაბინეტებში.

დაბმული ძაღლი

ადამიანი ყველაფერს ეგუებაო. ოცდაჩვიდმეტსაც კი შეეგუაო. ღამით ყველა შიშით გატრუნული იჯდა თავის სახლში, ხოლო დილით ჩეკაში გარბოდნენ მეზობლისათვის დასმენა რომ დაესწროთო. შენ და რამდენიმე კაცი ხტუნავთ, თორემ ლტოლვილები უკვე შეეგუენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვასო. მეტსაც გეტყვი, მასა უკვე აღარ განიცდის შარშანწინ საქართველო ხელმეორედ რომ დაიპყრო რუსეთმაო.

სხვისგან არ გამიკვირდებოდა და შენ მაინც როგორ მეუბნები ამას. რას ჰქვია შევეგუეთ. ვინ ეგუება შიმშილს, სიცივეს, დამცირებას, მონობას, დახვრეტას... დროებით რომ გავჩუმდები, მომენტამდე რომ ყუჩად ვარ, შენ ეს შეგუება გგონია?

არ დაიჯერო, ადამიანი კი არა, ძაღლი ვერ ეგუება დაბმას, თავისუფლების ხელყოფას.

თუ დაკვირვებიხარ, დაბმული ძაღლი ან ნიადაგ წკმუტუნებს და აშვებას ითხოვს, ან წინა თათებზე აქვს თავი დადებული და ნაღვლიანად ათვალიერებს გარემოს, ან გაანჩხლებული იღრინება და ყეფს. დაბმული ძაღლი ყოველთვის აშვებულზე უფრო ავია, რადგანაც იგი თავისმა მძიმე ხვედრმა გააავა და გააბოროტა.

რა სალაფავიც უნდა დაუდგა, რა სახვრეპელიც უნდა ახვრიპო, დაბმული ძაღლი მაინც უბედურია. არასრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობს და იმიტომ. მაწანწალა, გაძვალტყავებული ძაღლებიც კი სიბრალულით შესცქერიან და შიშით ჩაირბენენ მისი გალიის წინ, ე მანდ ვინმემ ხელი არ გვტაცოს და კისერზე თოკი არ შეგვაბასო.

შენ გგონია, ძაღლმა არ იცის, რომ თუნდაც თბილი ჯიხურ-საკანი და სახრავი ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის?

რომ ამ ბალნით გაფერილი ჯაჭვისა და ღობიანი ეზოს მიღმა სხვა, მართალია ფათერაკიანი, მაგრამ თავისუფალი და საინტერესო ცხოვრება იწყება?

ხომ გინახავს, რა ამბავშია დაბმული ძაღლი შორიახლო ძუკნასდადევნებული თანამოძმენი რომ ჩაურბენენ.

ჯერ არის და შორიდანვე რომ შეუღიტინებს ნაცნობი, სანეტარო, თავბრუდამხვევი სუნი, ადგილზე ტრიალს, წრიალს, წკმუტუნს მოჰყვება. ქარავანმა თუ აქეთ ჰქნა პირი, სიხარულით ტოკავს და კუდს აქიცინებს. ძუკნა წამით შეჩერდება ღობესთან და გამოიხედავს. აქაოდა, რა ვქნა, ხომ ხედავ, რა დღეში ვყავართ, ნაბიჯზე არ მტოვებენ, დაბმული რომ არ იყო, მოვიფიქრებდი რამეს, ახლა მანდ ჩემი შემოსვლა ზღაპარიაო.

ძაღლს ესმის ძუკნას უენო ენა. ერთ ამბავშია: ყეფს, ლამის გაწყვიტოს, გაღრღნას ჯაჭვი. პირზე ქაფი ადგება. ხავილ-ხრიალი ამოსდის ყელიდან. თითქოსდა ხვადებს გასძახის – ღმერთი არა გწამთ? მოდით, მომეშველეთ, როგორმე ამხსენით, მეც თან წამიყვანეთ, რა დავარდნილ-უვარგისი მნახეთ ამისთანაო!

ხვადი ძაღლები ცოტა არ იყოს, დარცხვენილ-დამუნჯებულნი კუდში უდგანან ძუკნას და დაბმულ თვისტომს თვალს არიდებენ. რა გიყოთ, რით გიშველოთ, ჩვენ, მართალია ყელზე თოკი არ გვიჭერს, მაგრამ ხომ ხედავ! ის დიდი შავი ნაგაზი როგორ გვერდით ეწეპება ძუკნას და რა გაავებით გვიღრენს. ახლო მისვლის, სუნის დაკვრის საშუალებასაც არ გვაძლევს, არც ჩვენ ვიცით, როგორ იქნება ჩვენი საქმეო.

რა აღტაცების ხტუნვა-თამაშით, კუდის ქიცინით და გიჟური თრთოლვა-წკმუტუნით ხვდება ძაღლი იმ დროს მოახლოვებულ პატრონს. რა მორჩილებით უგორდება ფეხქვეშ და ულოკავს ხელებს, როცა პატრონი კისერზე აშლილ ბეწვს შორის ყელსაბამის შესაკრავს დაეძებს.

რა სიხარულის კანკალით, მადლიერების ლამის სულშემხუთველი შვება-ძიგძიგით, ფრთებასხმული, ლომის ძალა-

ენერგიით ერთს შემოურბენს იგი ეზოს და ღობეს გადაევ-
ლება.

... მერე როდის როდის, მართალია ალაგ-ალაგ ბალანგაძ-
არცვული, ყურსისხლიანი და ქედნაკბილარი, მაგრამ ვნებ-
ადამცხრალი, ბედნიერი მოადგება იგი თავის ეზოს, თავის
ადგილის დედას. შიშით გახედავს თავის ჯიხურს და ჭიშ-
კართან მიეგდება. იქნებ ჯაჭვი აქამდე ველარ მომწვდეს და
პატრონმა ისევ არ მიმაბას ერდოზეო.

ეშმაკზე ადრე დაბადებული

ვუძღვნი ალეკო მიქაბერიძეს

ბედნიერი ხალხი ხართ, თქვენ – მწერლები, ბატონო რევაზ. მარტო იმიტომ კი არა თქვენი ნახელავი საორდღისო რომ არ არის და, შეიძლება, საუკუნეებსაც კი შერჩეს, იმიტომაც რომ, თქვენ ადამიანს უპირატესად სიკეთის სარკმლიდან ხედავთ. ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინეთ; ვიკითხე მთელი ღამე, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდია. აგერ რომანტიკული მნათე ოქროპირი, აგერ სულმშვენიერი კონსტანტინე არსაკიძე. აგერ მომხიბვლელი და ბრძენი თამარ შერვაშიძე, აგერ ზღაპრიდან გადმოსული მზეთუნახავი და გმირი ქალი შორენა... დავხურე წიგნი გამთენიისას, დავიხურე ქუდი და სამსახურში წამოვედი. ჩემთან – მილიციის სამმართველოს უფროსთან დღის განმავლობაში დამნაშავეთა სამყაროს ცხოვრების კადრები ცვლიან ერთიმეორეს. შემოჰყავთ ქალი, რომელიც მისი შვილისტოლა უწვერულ ბიჭებს ნარკოტიკებით წამლავს, შემოჰყავთ ქალი, რომელმაც მამამთილს თავში ნაჯახი დაჰკრა, შემოჰყავთ ქალი, რომელმაც თავის დაქალს ქვედა საცვალი მოჰპარა, შემოჰყავთ ქალი, რომელმაც დედინაცვალი გაზით გაგუდა. ქალებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ თქვენთან – მწერლებთან ქალი განსაკუთრებით იდეალიზებული და შელამაზებულია. და აი, ჩემი პროფესიის გადამკიდე, ცხოვრების მორევს რომ ვაკვირდები, ილუზიები ერთბაშად ქრება და ზეციდან ცოდვით სავსე მიწაზე ვეშვები. მოვდივარ ქუჩაში და ჩემი – პოლიციელის თვალი ქალს ისე როდი უცქერის, როგორც შორენა კოლონკელიძეს და თამარ შერვაშიძეს, მკაცრმა სინამდვილემ და პროფესიამ მასწავლა ადამიანს საერთოდ და, ამ შემთხვევაში მანდილოსანს შევხედო, როგორც პოტენციურ დამ-

ნაშავეს. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ, რაც დრო გადის, უფრო ეჭვიანი ვხდები. ფიცისა უფრო და უფრო ნაკლებად მჯერა და თვალთმაქცობის ელემენტებს იქაც კი ვხედავ, სადაც სხვები მხოლოდ ბაჯაღლო სიწრფელეს ხედავენ. ურთულესი ბუნების არსებაა ქალი, ბატონო რევაზ. ქალი რომ არ მოიფიქრებს და არ ჩაიდენს, ისეთი რამ არ არსებობს. ამ გარეგნულად სათნო ქმნილებას სფინქსისებური იდუმალება აქვს და უკიდეგანო ფანტაზია.

ერთ ძველ ამბავს გიამბობთ. იგი ჩემს წინაპარს შეემთხვა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. ასე რომ კაი ასი წლის ამბავია. ბაბუაჩემის ბაბუის ბიძა კოტე მიქაბერიძე ჩვენი გვარის გენეალოგიურ ხეზე მარჯვენა, საკმაოდ მსხვილ ტოტს რომ აგვირგვინებს, – ფოთში ცხოვრობდა. ორმოცსმიღწეული, დაოჯახებული, არცთუ ყმაწვილი იყო (შეცდომა, თუ ამას შეცდომა ჰქვია სიყმაწვილით რომ გავამართლოთ), მაშინ, როცა ეს ამბავი შეემთხვა.

ქალაქის თავის საარჩევნო კამპანიაა გაშლილი ფოთში. ქალაქის თავს – ვინმე ზუმბაძეს დღედღეზე ვადა გასდის. ისეა საქმე, რომ ზუმბაძეს, ალბათ გადაირჩევენ. უხეში და ტლანქი კაცია. რა თქმა უნდა, რუსეთის დამქაში და კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი. ამიტომაც ხალხს არ უყვარს. ქალაქის თავობის ერთადერთი რეალური კანდიდატი კოტე მიქაბერიძეა. პეტერბურგში განსწავლული საზღვაო ინჟინერი, ენაწყლიანი და მლმობელი გულის პატრონი კოტე, რომ იტყვიან, საყოველთაო სიმპატიით სარგებლობს. ზუმბაძემ, რომელსაც როგორც სიკვდილი, ისე ფოთის ქალაქის თავის სავარძლის მიტოვება არ სურს, ეს ყველაფერი კარგად იცის და ცოფსა ჰყრის. რა ხერხს არ მიმართა, საშიში მეტოქე რომ ჩამოეცილებინა, მაგრამ ამაოდ. კოტე იმხანად ნავსადგურმშენის სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე იყო და თან ფოთის თევზსაჭერსაც ხელმძღვანელობდა. ხან კონტრაბანდა შეუგზავნა, ხან საიდუმლო პოლიციის აგენტის გარიგებით ერთი ბერძენი მისიონერის ხელით ქრთამიც კი შეაძლია,

მაგრამ ვერ იქნა და ვერა – ძელქვასავით მაგარი და პატიოსანი მიქაბერიძე მახეში ვერ გააბა.

დღეები გარბიან, სასოწარკვეთილი ზუმბაძე დღედაღამ ფიქრობს კოტე მიქაბერიძის კომპრომეტირების გზა-საშუალებებზე და ბოლოს მიაგნო როგორც იქნა.

კოტეს ქალაქის თავმა თავისი ცოლი მიუგზავნა. ზის თავის კანტორაში ერთ მშვენიერ დღეს კოტე. მოახსენებენ ეტლით მოსული მაღალი წრის, ხელმარაოიანი, ჩაპენსნეჩაკრუჟაოებული ლამაზი ქალი გკითხულობთო. კოტე ეტლს გაეგება, რასაკვირველია იცნო ქალაქის თავის მეუღლე, ხელი გაუწოდა, სტუმარმაც ნაზად დააყრდნო თავისი თეთრი ფუნჩულა თითები და ეტლიდან ციმციმ ჩამოხტა. იგი ნახევრადრუსი და ნახევრადქართველი, რომელიღაც სამურზაყანოელი ვაჭრის ქალიშვილი იყო, გვარი ვიცოდი, მაგრამ გადამავიწყდა.

ქალმა კოტეს კაბინეტში შეთქმულივით მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო და აჭიკჭიკდა; მეო, წელიწადზე მეტია გაგიჟებით მიყვარხარო, ჩემი ბაიყუში ქმარი მძულსო. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ისე მიდის საქმე, რომ მალე შეიძლება სულ მოვშორდეთ აქაურობას და იცოდე შენგან ხელნაკრავი თავს არ ვიცოცხლებო.

ქალი ვის არ უყვარს, მაგრამ კოტე მიქაბერიძე, თურმე, ამ საქმეშიც მეტად თავდაჭერილი კაცი იყო.

„მოიცა შე ქალო, დამშვიდდი, რანაირად, როგორ ხომ იცი ორივენი ღმერთთან ფიცით ვართ შეკრული ჩვენ ჩვენი ოჯახების სიწმინდის დაცვაზე, როგორ გამოვა ეგ ამბავიო...“

ქალი ხომ იცი, ეშმაკზე ორი კვირით ადრეა გაჩენილი, უარის გაგონებაც არ სურს. თუნდაც ერთხელ შენს მკლავებში განაბვა თუ არ მეღირსა ჩამომხრჩვალს მიპოვიან, ჩვენი ბაღის მაგნოლიაზეო. მეო, ყველაფერი გამოზომილ-აწონილი მაქვსო. ხვალ თბილისიდან მეფისნაცვლის პირველი თანაშემწე ჩამოდის ხე-ტყის სარეწების დასათვალიერებლად, ჩემი ქმარი მთელი ღამე შინ არ იქნება და ამა და ამ საათზე გელოდებიო.

ქალის ცრემლი ქვას ალბობს, ბატონო და, გატყდა კოტეც. ვაჟკაცია, ქალს ვერ ჰკრა ხელი.

მივიდა მეორე დღეს დათქმულ დროზე. კარი თვითონ ქალაქის თავის ცოლმა გაუღო. ჩუო, ტუჩებზე ხელი მიაფარა, მარჯვნივ ოთახში მოსამსახურე ქალი აუთავებს და არ შეგნიშნოსო. ფეხაკრეფით შეიყვანა საწოლ ოთახში. აბა, გავიხადოთ და ჩავწვეთ, ჩემო გვრიტუნი, ვერ ვითმენ უშენობასო ქალმა. გაიხადა კოტემ (ქალიც ეხმარება) აზიაცკ-ჩექმები და გალიფე შარვალი. უეცრად ქალმა გადახედა გაწყობილ საწოლს, ჩემი ქმრის სარეცელთან უსიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, სხვა საწოლ ოთახში გავიდეთო. მოჰკიდა ხელი და ქურდულად, ფეხაკრეფით მიჰყავს სხვა ოთახისკენ. კოტე მიქაბერიძემ ცალ ხელში ჩექმები და შარვალი უჭირავს, მეორე სატრფოსთვის ჩაუვლია და პიწკად, ნაზად მიჰყვება „სხვა ოთახისკენ“.

სიბნელეა. შენ აქ დამიცადე. სანთელს შემოვიტანო, ქალმა. წამიც და სასტუმრო ოთახი განათდა.

როგორ ფიქრობთ, რა ხდება. სავარძლებში სხედან მეფისნაცვლის თანაშემწე, ქალაქის თავი ზუმბაძე, ფოთის პოლიცმეისტერი, საიდუმლო პოლიციის შეფი და სამიოდე მაღალი ჩინის ხმოსანი.

დგას კოტე მიქაბერიძე ფეხშიშველა, ნიფხვისამარა, ჩექმებით და გალიფე-შარვლით ხელში. ქალმა ყასიდად „აჰო!“ ერთი ნაზად შეჰკივლა, სანთელი შანდალზე დაამაგრა და გავიდა.

რას მივაწეროთ, ბატონო კოტე, თქვენი ამაღამდელი სამასკარადო მოკაზმულობა-სტუმრობაო, მშვიდად ჰკითხა ზუმბაძემ.

... მეორე დღეს კოტე მიქაბერიძემ სახლი ჩალის ფასად გაყიდა, გუდა-ნაბადი აიკრა და იმის შემდეგ ფოთში აღარ გამოჩენილა.

გაპენსიონერება

ვუძღვნი მერაბ ბერაძეს

– როგორაა თქვენთან საქმე?

– სიწყნარეა ჯერჯერობით.

– „ჯერჯერობით“ როგორ გავიგო?

– ზამთარი, მოგეხსენებათ, მკვდარი სეზონია. ყინვა და თოვლი ძალიან გვშველის. ნავთზე და შეშაზე მორბენალ ხალხს არ სცალია „მაღალი მატერიებისათვის“. ზაფხულში ვართ ცოდვა. რომ დათბება, ერთბაშად გაახსენდებათ ხოლმე, რომ საქართველო გასათავისუფლებელია, აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელია, ხელფასი რომ არ ჰყოფნით და მზე ჩრდილოეთიდან კი არა, აღმოსავლეთიდან რომ ამოდის.

– ზაფხულამდე მივიდეთ და, ღმერთია მოწყალე, ზაფხულში რაღაცას მოვიფიქრებთ.

– დაპირებები უკვე აღარ მუშაობს. ტყუილი კი არა, მართალიც აღარ სჯერათ. „გაზაფხულზე იონჯა ამოვა-მეთქი“, რომ ვიტყვი, „არ გვჯერა! არ გვჯერაო!“ გაიძახიან.

– ნუ გეშინია, როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს. მთავარია, არ გაძღეს ხალხი, ყოველგვარი ცუღლუტობა თავში გალაღებულ-კმაყოფილ ხალხს მოსდისო, სწორს გვეუბნებიან ურდოდან. გააგრძელეთ ძველებურად. დენი ხშირად გამოურთეთ, ბაზარი გააძვირეთ. ხომ გაამართლა გაზის გამოთიშვამ? ზოგი წინააღმდეგი იყო, საჭირო ეფექტს ვერ მივიღებთო. ჩემი რომ არ გამეტანა და გაზი არ გამომეთიშა, ვინ იცის, იქნებ ახლა მე და შენ აქ არ ვმჯდარიყავით.

– პურის გაძვირებამ სულზე მოგვისწრო. ისინიც კი, აქოჩრილები რომ ჰქვიათ, „ხალხს რომ აღვიძებენ“ თავის

ჭკუით, დადიან და ლაპარაკობენ თურმე; გავჩუმდეთ, ხალხო, თორემ უარესს გვიზამენო.

– ზაფხულში თუ ძალიან აფუთფუთდნენ, შენახული მაქვს ერთი კოზირი.

– ?!

– წყლის გადაკეტვა და მისი ჯანი.

– მეც მქონდა თადარიგში ერთი ხერხი. თუ გაჭირდა-მეთქი, ვფიქრობდი, ჩემი მოკლე ჭკუით, შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება და ხელად გადაირთვება ხალხის ფიქრი.

– ომი, იცოცხლე, მაგ დროს მისწრება იყოს, მაგრამ ომს, სხვა გამოსავალი რომ არ იქნება, სულ ბოლოს უნდა მივმართოთ. ომი ცუდად გვაქვს დაცდილი. ხარჯი უნდა დიდი და, ესეც არ იყოს, ჩვენიანიც ბევრი კვდება. ჯერჯერობით სამაგისო არაფერი გვჭირს. გავაგრძელოთ ძველებურად და, რაც მთავარია, ეკონომიკა არ ავაღორძინოთ, თორემ დავიღუპებით, ფაბრიკა-ქარხნები არ აამუშავო შენს მხარეში და ბიზნესს ხელი არ შეუწყო, ჩვენთან ბიზნესმენობა ჩარჩვაჭრობას არ უნდა გაცდეს, გასაგებია? და ბოლოს, ინტელიგენციის პრობლემა. ინტელიგენცია დაამათხოვრე, ყოველგვარი ცხოვრებისეული სახსარი გადაუჭერი, შეჩერდეს ერთი ორმოცდაათი წლით მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის განვითარება, ნუ გეშინია, არ დაიქცევა ქვეყანა, ისედაც წინ ვიყავით. ნამეტანი ბევრი გვაქვს შეტანილი მსოფლიოს საგანძურში.

ინტელიგენციაზე გამახსენდა.

– ჰო?

შემჭამა სუთიძემ, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო.

– ეგ სუთიძე კიდევ ხტუნავს, კიდევ ტოკავს? არ ისწავლა ჭკუა?

– ჭკუა ისწავლაო? ასე დაქიჩმაჩებული არასოდეს ყოფილა. მეო, ქვეყნის გადარჩენის პროგრამა მაქვს შედგე-

ნილიო, საქართველო უნდა ვიხსნაო. ორჯერ დავიბარე, დაეტიე შენს კვერცხებზე, ნუ ბზრიალებ ტანაჯორივით-მეთქი. თქვენაო, უნდა გიხაროდეთო, ფაქტობრივად თქვენს საქმეს ვაკეთებო, თქვენც ხომ ქვეყნის შველის სურვილი გაქვთო, რას ვეტყოდი. გულში გამეხარდა, ასეთი მიამიტები რომ კიდევ არსებობენ. სუთიძეს ჰგონია, რომ ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს ხალხის გათბობა-განათების, შემოსვა-დაპურების და ამ ოთხი წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოგვიხერხებია.

სუთიძის პოლიტიკურ „იდეებს“ კიდევ გაუძლებდა კაცი, ამ ბოლოს დროს, სხვა სნება რომ არ შეყროდა. გამომგონებლობამ გაიტაცა. დენი არ გვყოფნისო? ადგა და ტაბურეტის სკამისხელა მცირე „ჰესი“ გამოიგონა. დადგამ წისქვილის ღარისხელა წყალვარდნილზე და ხუთ ოჯახს ჰყოფნის. არც ნავთი უნდა და არც მაზუთი. რუსეთმა გაზი გადაგვიკეტაო? იტრიალა, ოჯახირა და, ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი – ნაკელისგან გაზის მიღების ტექნოლოგია დაამუშავა. კასრისხელა დანადგარია, ჩაჰყრის სკორეს (სულ ერთია კურდღლის ცურცლა იქნება, თხის კურკლა, ძროხის ნაკელი თუ ფრინველის ნარკტენი), დასაწყისისათვის ცოტას გაათბობ და შენგან მეტი არა უნდა რა. შეაერთე მილი და გაიყვანე გაზი, სადაც გინდა. მერე იმ გაზით გინდა ლობიო მოხარშე, გინდა სახლი გაათბე, გინდა ოთახი გაანათე და გინდა სათბური აამუშავე, ჩვეულებრივ, ბუნებრივ გაზზე უკეთესი თუ არ არის, არც ნაკლებია. მზის ენერგიის ინკუბატორი გააკეთა – უკრუხოდ წიწილები დააჩეკინა. სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყლისაგან ლიმონათს აყენებს და ნახერხისაგან ისეთ კარ-ფანჯრებს დაგიმზადებს, მუხის მასალისგან გეგონება. გამოგონება თავისთავად ცუდი როდია, მარტო თავისთვის რომ უნდოდეს, მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ სუთიძე ამ თავისი გამოგონებით ტელევიზიაში მოძვრება. გინდა თუ არა, ჩემი ცოდნა-გამოცდილება

ხალხს უნდა გავუზიაროო. ისეთი ჯიუტი ვინმეა თუ თოკით არ დააბი, ვერ დააკავებ. ერთი კარიდან რომ გააგდებ, მეორედან შემოძვრება. თავის აღმოჩენა-გამოგონებას მეტი შთამბეჭდაობისთვის ახალ ანეკდოტს წარუმძღვარებს და მერე ეს ახალი მოდის განმანათლებელი მაყურებლის დამოძღვრას იწყებს. აღარ შეგვიძლია, დაგვღალა სუთიძის უკბილო ხუმრობებმა და ნაკელისსუნიანმა გამოგონებებმა. როგორც გითხარით, არაერთგზის დავუშალეთ, მაგრამ არ დაიშალა. ყველგან ცხვირსა ჰყოფს, სახელმწიფო უწყებებში დაძვრება, ყველას ქომაგი და მამიდაა. ხმა რომ გავავრცელეთ, მეცხრე ბლოკს ჯერ ვერ ვრთავთ, ტექნოლოგიას ვითვისებთო. წერილები დაუგზავნია და გერმანიიდან ხუთი სპეციალისტი მოგვაყენა, კინაღამ დაგვღუპა, კინაღამ ჩაგვართვევინა მეცხრე ბლოკი.

– რა ხნისაა ეგ სუთიძე?

– ორ თებერვალს საპენსიო ასაკი შეუსრულდა.

– გაუშვი სასწრაფოდ პენსიაზე.

– თუ წავიდა...

– რას ჰქვია, თუ წავიდა. მაგის გამო სხვასაც ნუ დატოვებ. ვინც საპენსიო ასაკისაა, ყველა გაუშვი. ახალგაზრდებს ასპარეზი უნდა დავუთმოთ-თქო. მადლობა გამოუცხადე და გაუშვი. თუ გინდა, ორდენითაც დავაჯილდოვოთ... თუმცა არა, ორდენი ნამეტანი იქნება. ერთი სიტყვით, ნახე, შენ იცი, როგორც საქმეს მოუხდება, პენსიაზე უსათუოდ უნდა წავიდეს.

* * *

ამ საუბრიდან ორი კვირის თავზე სუთიძე დამსახურებულ პენსიაზე გააცილეს.

ჯერ კიდევ ბევრი იდეა მაწუხებს, ჯერ კიდევ შემიძლია მუშაობაო, მაგრამ არ დაუჯერეს.

გავიდა ხანი და სუთიძემ ერთ ოპოზიციურ გაზეთში გაგრძელებებით დაბეჭდა მრისხანე წერილი. ძალად პენსიონერი თავის ძალადგაპენსიონერებაში ბრალს სდებდა განყოფილების უფროსს ვარლამ ბეშკენაძეს. მერხის ამხანაგები ვიყავით და ბავშვობიდანვე გადაკიდებული იყო ჩემზეო.

თუ ამ ნოველას წაიკითხავს, ამიერიდან მაინც ეცოდინება გამომგონებელ სუთიძეს, სად და რატომ გადაწყდა პენსიაზე მისი გასტუმრების საკითხი.

სენს ვინღა დაეძებს

ამ მგლურ დროში, პატივცემულო რევაზ, ვის არ უჭირს, მე რო არ გამჭირვებოდა. წარმაიდგინე კაცის მდგომარეობა, ჯალაბითვინ კილო შაქარი რომ ვერ უყიდნია, დილას ჭიქა ჩაი მაინც რომ დაალევინოს. ინგრე შავღონდი, ინგრე რომა, ერთი პირობა, თავი მოკვლაც კი გადავწყვიტე... სახლში შესვლა მრცხვენოდა. ადრე ავდგებოდი და გამოვიძურწებოდი, გვიან ღამით კი მელიასავით შავიპარებოდი, როცა ყველას ეძინა. თვალს ვარიდებდი ბალღებსა, კაცო. იმათ რო არ ეთქვათ, განა მე კი ვერა ვხვდებოდი სათქმელსა – თუ რჩენი თავი არა გქონდა, რათ გაგვაჩინეო.

ცოტაი მავითმინოთ გაზაფხულზე იონჯა ამოვა-მეთქი, ვაიმედებდი ოჯახს უხეირო მწყემსივითა. სოფლის მასწავლებელი მითხარი და მერე იმი ხელფასი. არ იქნა და არ გათენდა ჩვენთვინა. გვატყუეს, გვატყუეს და ბოლო გამოგვიცხადეს: ჩვენი იმედი ნუ გექნებათო. კარგი ნუგეშია, მე და ჩემმა ღმერთმა. სამი წელი უფასოდ მამუშავე, რაც მოსაპარი იყო, ქურდებ მააპარინე, უსახსროდ, უილაჯოდ დამაგდე და ახლა იმედი თითიც გამამაცალე, პირიდანა – საბაზრო ეკონომიკი დროა, შენს თავს შენვე უშველეო.

საწყალ კაც ქვა აღმართში მაეწიაო. ამ ნერვიულობაზე კუჭი წყლულიც დამერთო. დღით კიდე დავხანხალებ აქეთ-იქითა, შუაღამისას რო შამამიტევს, ვაი დედას მაძახებინებს.

ვსვი ხან სოფლის, ხან კიდევ აფთიაქი წამლები, რასაც ჩემი გაფხეკილი ჯიბე გაწვდა, მაგრამ არ მიშველა, მაგაი ოპერაციის მეტი არაფერი უშველისო.

ჩამოველ ქალაქს. დამაწვინეი ცარიელ პალატაში. ბიჭოს, ე რა პატივი მცეს ცალკე ნომერში დამაწვინეს-მეთქი, თვალ

ვუკრამ ცოლსა.

თურმე მთელი საავადმყოფო ცარიელია. განა ავად არა ხდება ხალხი, ავადმყოფი ჩეჩქივით ჰყრია, მაგრამა საავადმყოფოს, თურმე, არავინ ეკარება, ახლავე მიჰხვდები, რატომ და რითვინა.

ნახევარ საათი შესული არ ვიყავ ჩემ ცარიელ პალატაში, სანიტარი რო შამაბრძანდა. როგორ არი თქვენი საქმეო. გმადლობთ კარგად-მეთქი. რამდენ ხანს აპირებთ ენგრე პრუჟინებზე ჯდომასო. მალე, ალბათ, თეთრეულ და საბანს შემოგვიტანენ-მეთქი. თქვენ პარიზიდან ხომ არ ჩამობრძანდითო, იქნებ სადილ-ვახშამიც მოგართვან აქვე, საწოლთანაო. თეთრეულიც, საბან-ბალიშიც და სარჩოც თვითონ უნდა მოიტანოს ავადმყოფომაო.

რა მექნა, ვაფრინე ცოლი ნათესავებთან და საწოლ-სახემსი მოვატანინე. ის ღამე როგორც იქნა. გავძელით, დილით სიცივ-ტკივილისაგან აძიგძიგებულს ექთანმა რო ჩამაწერინა; ოპერაციითვინ ბინტიდან დაწყებული, შედედებული სისხლით დამთავრებული, ყველაფერი შენ უნდა მაიმარაგო, ქირურგს ამდენი დოლარი უნდა, ანესთეზიოლოგს ამდენი, ექთანს ამდენი და დამლაგებელ კიდევ ამდენიო... სისხლი როგორ არ ჩამექცა, ახლაც მიკვირს. იმოტოლა ფულსა მთელი ჩემი სახლ-კარი და ავლადიდება რომ გამეყიდნა ეზო-ვენახიანად, ვერ მოვაქუჩებდით.

დავკარ ფეხი და გამოვიპარე საავადმყოფოდან. ჩანს, იმათაც იცოდნენ, რომ გამოვიპარებოდი, რაკიღა ძებნა-განგაში არ აუტეხამთ. ჯერ ერთი, მომარაგება შაუწყვიტეს და ვადაგასული იმპორტული წამლების ამარა დააგდეს, მეორეც – ისინი ჩვენზე მეტად შიმშილობენ. შიმშილს კიდე, მოგეხსენება, დიდი კუჭი აქვს.

ვზივარ ერთ საღამო დარდისგან საღედაღრეჯილი ცივ ბუხართან და რადიო ალაპარაკდა. ჩემდა იღბლად, ასეთი

სიტყვები ჩამესმა; ჩვენს ყოფილ სპორტმსენსაო, ამა და ამ ოლიპიური თამაშების პრიზიორსაო. საზღვარგარეთ სასწრაფო ოპერაცია სჭირდებაო. გთხოვთ შემოწირულებანი ამ და ამ ანგარიშზე ჩაურიცხოთო. გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და გავაშანშალე მეორე დღეს განცხადება – მე, დამსახურებულ მასწავლებელს კუჭის მძიმე დაავადება შამყრია. საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრება მჭირდება და ვისაც რამედ ვუღირვარ, დამეხმაროს-მეთქი.

ჯერ განათლები განყოფილებიდან დავიწყე და გავუყევ ზევით-ზევით. დღეში დაახლოებით შვიდ განცხადებას ვწერდი და დავატარებდი კარიდან კარადა. გამგებელმა სამინისტროში გამგზავნა, სამინისტოომ მეორე სამინისტროში, იქედან კიდე იმი ფონდში, იმი ფონდიდან – იმი ფირმაში, იმი ფირმიდან იმი ბანკში, იმი ბანკიდან – ისევ იმი ფირმაში და, გული რო არ გაგიწყალო, არ მოვეშვიყე. ერთი კარიდან რო გამამაგდებდენ, მეორეში ვდურთავდი თავსა. მერე მე თვითონ დავიჯერე რო სხვაზე არანაკლები დამსახურება მქონდა ქვეყნის წინაშე და სხვას თუ ეკუთვნოდა საზღვარგარეთ მკურნალობა, მეც მეკუთვნოდა.

ამ საქმეში, მთავარი თავმოყვარეობის განზე გაწევა და სიჯიუტეა. ერთი წელი დამჭირდა აღმა-დაღმა კიბეზე სირბილი და მოსაცდელებში შარვლი ცვეთა. წლის თავზე მივაღწიე მიზანს – სამი არასაქველმოქმედო ფონდი მივაყენე კედელზე ჩემი შუამდგომლობა-რეზოლუციებით, გავუწყალე გული აჯა-ხვეწნით და დავამარცხე – საზღვარგარეთ სასწრაფო ოპერაციისათვის ხუთიათასი დოლარი დავაყაჭინე.

მეორე წელია გამოზოგვით იმ ფულსა ვჭამთ.

რითი ცხოვრობო, ამას წინათ, თავს რით ირჩენო, მასწავლებელთა რაიკონფერენციაზე ერთმა ძველმა ნაცნობმა მკითხა. ოპერაციის ფულით-მეთქი.

რაო, ექიმობა დაიწყეო?

არა ავადმყოფი ვარ-მეთქი.

ეჭვით შამამხედა და გამშორდა. იფიქრა, ალბათ, ჭკუიდან-აც შაქანებულაო.

დიახ, ოპერაციის ფულს გეახლებით.

კუჭი წყლული ისევ ძველებურად მაწუხებს.

თუმც სენს ვინღა დაეძებს.

ღვინის წერტი

დღეს მეოთხეჯერ მოვედი და მაინც ვერ მოვიხელთე ქვათა სამმართველოს უფროსი. იყო და ამ წუთში გავიდაო, მომახარებს ხოლმე ტანკენარი მდივანი გოგონა.

გადავწყვიტე, დაველოდო.

ეტყობა ისეთ ხელმძღვანელთა რიგებს მიეკუთვნება, სამსახურში დღეში რამდენჯერმე რომ შემოირბენენ ხოლმე და გადაუდებელ საქვეყნო საქმეებზე რომ ეჩქარებათ.

წარმოიდგინეთ ტიპური ძველთბილისური ეზო.

ერთ მხარეს ქვათა სამმართველოა. მეორე მხარეს ღიაკარიან სარდაფში ვიღაცები ფუსფუსებენ. ქუჩის გადაღმა თამბაქოს ქარხანაა. ფანჯარასთან გრძელი რიგი დგას. დაახლოებით ათ წუთში ერთხელ ფანჯარა გაიღება და სიგარეტით სავსე ყუთი გამოჩნდება. რიგში დაწინაურებული ამოიღლიავებს ყუთს, ფანჯრიდან ამოწვდილ ხელს ფულს ჩაუჩურთავს და მიდის. ჩემს წინ შუშაბანდია. ეზოში ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ.

მოხვდება თუ არა ბურთი შუშაბანდს, შუბლწაკრული, ხანშიშესული, სრულიად არასანდომიანი სახის, წუნკალცხვირა, ქალი გამოვარდება:

– ესაა, მიშიკო, შენი პირობა?! ამათ არ ველაპარაკები, ამ ხვადაგებს! მე შენთან მაქვს საქმე! არ გინდა სახლში მიხვიდე ამაღამ?! ნახე, რას გიზამს მამაშენი! ხომ არ გგონია, დავუმალავ იმდღევანდელივით! დაგიჯენ ჩემი ნერვების გლეჯას ფასად, თუ ვარ ქალი!

– მე არ ვთამაშობ, გოგუცა დეიდა! ე, ბიჭო, უთხარი, ვთამაშობ მეე?!

– არ თამაშობს! – დაემოწმა ჭორფლიანი ბიჭი მიშიკოს.

– კარგი მე შენ, მიშიკო. მე ამ ველურებთან საქმე არა მაქვს. შენ უნდა მიკეთებდე ამას, მამაშენის შვილი?! არ გინ-

და ამაღამ სახლში შესვლა?! მოვახსენებ ყველაფერს წვრილ-წვრილად, თუ ვარ ქალი!

ზუსტად ერთი და იგივე ტექსტით ხუთჯერ რომ გამეორდა ის დრამატული სცენა, მობურთალთადმი ინტერესი დავკარგე.

ქვათა სამმართველოს უფროსი არა და არ ჩანს.

იმ ეზოში ერთადერთი ჩემთვის ბუნდოვანი პუნქტი სარდაფია. საქმე მეტი არაფერი მაქვს, ჩავექვსსაფეხურდი და სარდაფში შევიხედე.

ღვინის წერტია.

უზარმაზარ კასრთან შავხალათიანი, მკლავებდაკაპიწე-ბული და შარვალაკარწახებული, მკერდბალნიანი კაცი დგას, მუჭში გაღუნული რეზინის მილით ხელში.

კაცები დგანან ზურგშექცევით, თითო-ორორად და მინის სამურაბე ქილებიდან ღვინოს წრუპავენ. დაცლიან ქილას, ტუჩს სახელოთი შეიწმენდენ, ფულს თიხის ჯამზე დადებენ თუ ხურ-და ეკუთვნით, თვითონვე აიღებენ, მეღვინეს ქილას გაუწვდიან და სავსე ქილით ხელში სარდაფის კუთხეში მიდგებიან.

ლაპარაკი თითქმის არ ისმის. არც სადღეგრძელოებს ამ-ბობენ, არც რაიმეს აყოლებენ ღვინოს.

ღვინის ვაჭარს და მომხმარებელს ლამის უსიტყვოდ ეს-მით ერთმანეთის.

საქმეში ჩახედული მკითხველი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ნახევრადლეგალურ ღვინის სავაჭრო წერტთან გვაქვს საქმე, საქმეში ჩაუხედავს კი ახლახანს ვაუწყე და ეგ არის.

ამგვარი, სპეციალურად ლოთებისათვის განკუთვნილი, იაფფასიანი ღვინის სარდაფი თბილისში მილიციას, როგორც ამბობენ, ასოცამდე აქვს აღრიცხული. დანარჩენ ინკოგნიტო ორმოცდაშვიდს ამ უახლოეს დღეებში აღმოაჩენს და აღ-რიცხავს.

ყმაწვილურმა ჟინმა შემიპყრო, გავთამაშებოდი არალეგა-ლური ღვინის სარდაფის იდუმალ კლიენტებს.

სარდაფიდან ამოვედი და სარდაფის სიახლოვეს ეზოში ბოლთის ცემას მოვყევი.

საკინოვე სურათია:

ეზოში შემოდის ორი ან ეული ლოთი. თითოეულ მათგანს ხელში იაფფასიანი, ხელოსნის სუმკა უჭირავს. ჯერ მე გამომხედავენ, – შავმოსასხამიან, ჰალსტუხიან მოსეირნე კაცს. წელში გასწორდებიან და თითქოს აქ არაფერიაო, ეზოში გადაბელილი თუთის ხის ქვეშ აგურით ამოკეთებულ ონკანს მიუახლოვდებიან. ჩანთიდან მინის ქილას ამოიღებენ, წყალს გამოავლებენ, ერთხელ კიდევ შემომხედავენ და ქილამომარჯვებულები სარდაფში ჩადიან.

სარდაფიდან ამოსულნი კიდევ ერთხელ შემათვალიერებენ, კვლავინდებურად ამაყად გამართულნი, ოღონდ სახედამშვიდებულნი, ისევ ონკანს მიუახლოვდებიან, ქილას დააძრობენ, წყალს შეუჩქაფუნებენ, სუმკაში ფრთხილად, ძვირფასი ნივთივით ჩადებენ და ჭიშკრისაკენ მიაბიჯებენ.

სხვას იმას გეტყვით, რომ ლოთები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან; გამხდრები, ელეგანტურნი, დარბაისლურად მოსაუბრენი.

ლოთების კასტა, გამოგიტყდებით, მიყვარს. ბევრი მათგანი ღირსეული პიროვნებაა; თავდაჭერილი, უაღრესად განათლებული, გამგებიანი. თქვენი არ ვიცი და მე, პირადად, ლოთს წამლისათვის ყველაფრის მკისრებელ, უთავმოყვარეო, აბეზარა ნარკომანს არც კი შევადარებ.

შუშაბანდის გასწვრივ, თუთისქვეშ მივდექი. სარდაფში ჩამსვლელმაც და ამომსვლელმაც ჩემ წინ უნდა გაიაროს. ჩამსვლელს ხმას არ ვცემ. მე მხოლოდ ამომსვლელთან მაქვს საქმე.

– უკაცრავად.

– ბატონო? – კურდღლისფერკეპიანმა, ხელდაძარღვულმა ლოთმა ქილა ჩანთაში ჩადო და ამომხედა.

– მანდ რას ჰყიდიან?

– სად? – იდუმალი ხმითვე მიპასუხა.

– სარდაფში, ჰყიდიან რამეს?

– არ ვიცი, გენაცვალე.

– როგორ, თქვენ იქედან არ ამობრძანდით?

– მერე რა, რომ „ამოვბრძანდი“. მე ხომ შეიძლებოდა, სხვა საქმე მქონოდა.

– რა საქმე?

– კაცს ვეძებდი.

მეტ კითხვას არ დაელოდა. ჩქარი ნაბიჯით წავიდა ჭიშკრისაკენ.

მეორე ლოთი. იგი წინასთან შედარებით დაბალია, მელოტი, არანაირი ფერის ქუდი არ ახურავს.

– ბოდიში, მანდ რას ჰყიდიან?

ამრეზილად შემომხედა.

– რასაც სხვაგან ჰყიდიან, ალბათ, მანდაც იმას გაჰყიდიან. თუ ძალიან გაინტერესებთ, შებრძანდით და ნახეთ!

ონკანთან მივიდა, მაგრამ ქილის გარეცხვა გადაიფიქრა. წყალს მარჯვენა შეუშვირა. სველი ხელი თავზე გადაისვა და ჩემკენ არ გამოუხედავს.

მესამე და მეოთხე ლოთი ერთად ამოვიდნენ.

ქილების გარეცხვა ორივეს ვაცალე. შეკითხვა უნდა შევცვალო. „ბოდიში, მანდ რას ჰყიდიან“. გულუბრყვილოდ და სულელურად ჟღერს.

– ვარგა რამედ? – ჯიბიდანხელისამოუღებლად, შეთქმულივით ვკითხე და განზე გავიხედე.

შედგნენ.

– რა? – მკითხა ტყვიისფერტელეგრეიკიანმა.

– ვარგა-მეთქი, ღვინო?

კოლეგას გახედა.

– ვარგა?

– რა? – ახლა მეორემ იკითხა.

– ღვინო.

– ღვინოა რა, – ამხედა-დამხედა და ჩანს საინტერესო მოსაუბრედ არ მიმიჩნია, სწორიც იყო. მან პროფესიონალი ლოთის ლაკონური და ამომწურავი პასუხი მომცა. საერთოდ, ლოთები ღვინის ხარისხზე არასოდეს ლაპარაკობენ. ღვინის უკეთეს-უარესობაზე მხოლოდ დამწყები, დილეტანტი მსმელები და კუდაბზიკა სტუმრები მსჯელობენ.

ათიოდე წუთში ჩემ წინ მელოტმა, წეღანდელმა ნაცნობმა ლოთმა გაირბინა და სარდაფში ტუცა თავი.

მისი აჩქარებული კატის ნაბიჯები და სარდაფში ამტყდარი ფაცხაფუცხი ცუდად მენიშნა. მით უმეტეს, რომ მელოტის სარდაფში გაუჩინარებას სარდაფის კარის მიკეტვა მოჰყვა.

ქვის სამმართველოს უფროსი არა და არ ჩანს.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სარდაფიდან გრუზათმიანი, კენგურუსსვიტრიანი, ხელჩანთიანი, წარმოსადეგი ლოთი ამოვიდა სტვენა-სტვენით წამოვიდა ჩემკენ. რომ დამიახლოვდა, ფეხი აითრია, აშკარა იყო ჩემ შეკითხვას ელოდებოდა.

– დალიე? – ვეკითხები, – რა მეტი საქმე მაქვს.

– კი, – სუმკას ხელი ამოუნაცვლა და სვიტრი გაწლიკულ მუცელზე ჩამოქაჩა.

– ვარგა?

– წავა.

– რამდენად ჰყიდის?

– რას?

– ერთ ქილა ღვინოს.

– კი არ ჰყიდის, სიდედრის ქელეხზე მორჩა და ძმაკაცებს გვასმევს. მეტი აღარცა აქვს. გაუთავდა. გუშინწინ ორმოცი ჰქონდა. გასაყიდი ღვინო სადა აქვს. აქ ღვინოს ვინ გაგაყიდინებს.

– კაი ერთი, თუ ძმა ხარ.

– რა „თუ ძმა ხარ“, არ გჯერა?

– ვინ გგონივარ, სიდედრის ქელეხს ვჭამ მეე?

– ნუ დაიჯერებთ? ბატონო – კოპები შეიკრა და ერთხელ კიდევ ამათვალიერა – რა მაზალო ხალხია, თქვენი შიშით ძმაკაცთან ჭიქა ღვინო ვერ უნდა დავლიო? თუ რამე შეგიძლიათ, ქურდებს და მაფიოზებს სდიეთ, რომ შეჭამეს ქვეყანა. ჩვენ თავი დაგვანებეთ. ჩვენ არაფერს ვაშავებთ!

კულტურის გადამრჩენი

მდივან გოგონასა და ჩემ შორის ყოველ დარეკვაზე ასეთი დიალოგი იმართებოდა:

– ბოდიშს ვიხდი, ზუმბაძე მინდოდა.

– უკაცრავად, ვინ ბრძანდებით?

– მეგობარი ვარ, არ არის?

– მაპატიეთ, როგორ მოვახსენო?

– გადაეცით, შუბლაძეა მწერალთა კავშირიდან-თქო.

– მაპატიეთ, რა საკითხზე?

– საქველმოქმედო თანხის გადმორიცხვის საკითხზე-თქო. მოსვლა მინდა, როდის მიმიღებს, იქნებ გამირკვიოთ.

– იცით რა, ჯერ არ მოსულა.

– საერთოდ ხომ თბილისშია?

– საერთოდ კი, მაგრამ სტუმრებთან არის. შემოირბენს ხოლმე.

მეშვიდე დარეკვაზე ჩემთვის აშკარა გახდა, რომ მდივანი გოგონა ცრუობდა. ამიტომაც არც ვაციე, არც ვაცხელე, ავიკაპიწე შარვალი და ფეხმადინით გავეშურე. სამნახევარკილომეტრიანი მარათონული სრბოლა და ლამაზად გაფორმებულ ფირნიშთან ვდგავარ. სარეკლამო დაფას დიდი, ოქროსფერი ასოებით „ფირმა „ელვა“ აწერია.

ფირმის პრეზიდენტის ტუგო ზუმბაძის კაბინეტში მზეთუნახავი მდივანი გოგონა ზის.

მივესალმე და ჩამოვჯექი. ახლა რომ ვკითხო, არის თუ არა-მეთქი, ადვილი შესაძლებელია; ამ წუთში გავიდა, ერთი ფეხით გაგასწროთო, მიპასუხოს.

ნურას უკაცრავად. არც მე ვარ ციდან ჩამოფრენილი. ვზივარ და ველოდები.

– უკაცრავად, თქვენ, ბატონ ტუგოსთან?

– დიახ.

– მაპატიეთ, რა საკითხზე?

რა ნაცნობი და საყვარელი ხმაა.

– აუცილებელია თქვენ აგიხსნათ? – მევე მესიამოვნა ჩემი გაბედულობა.

– თქვენი ნებაა... საერთოდ იცის? გელოდებათ?

– დაბარებული ვარ.

– შებრძანდით.

მისაღებში ლოდინით გათანგულო მოქალაქენო, დაიმახსოვრეთ ეს ფრაზა. მდივან გოგონებზე „დაბარებული ვარ“ ლამის დამათრობლად მოქმედებს.

შევედი. ზუმბაძე – თმაშეთხელებული, ფრაკიანი, თეთრპერანგოსანი და პეპელაჰალსტუხიანი ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა მბრუნავი სავარძლიდან მეყვსეულად წამოხტა და შემომეგება.

– მობრძანდით, დაბრძანდით, მაიკო ყავა! როგორ ბრძანდებით?

– როგორ ვიქნებით, ბატონო ტუგო, როგორც ქვეყანა – ისე ჩვენც.

– გვეშველება რამე?

– თქვენ უფრო გეცოდინებათ.

ტელეფონი აპეტელდა.

ტუგომ ბოდიში მომიხადა და ყურმილი აიღო.

– ჰო... ჰო... გასაგებია... კარგი... ის მეორე? არ გვინდათქო... დაანებეთ თავი და წამოდით... აქეთ შემოგეხვეწებიან...

ყურმილი დადო და კიდევ ერთხელ მომიხადა ბოდიში.

– ბატონო ტუგო. თქვენ შეწუხება არ გაკლიათ, მაგრამ ძალიან რომ არ გაგვჭირვებოდა, არ მოვიდოდი თქვენს კარზე. რაც ახლა უნდა გითხრათ, დამამცირებელია ჩემთვის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გაგვიგებთ. მე კარლო შუბლაძე გახლავართ, ჟურნალ „ტოროლას“ მთავარი რედაქტორი.

– გიცანით, ბატონო კარლო. რით შემიძლია გემსახუროთ?

– საქმე ჟურნალის გადარჩენას შეეხება. გრამი ქაღალდი არა გვაქვს. ვერც ერთი ჟურნალი ვერ ინახავს ახლა თავს. წელიწადში თორმეტის ნაცვლად ოთხი ნომერი მაინც უნდა გამოვცე, რომ არ დაიხუროს. არა და, „ტოროლა“ არ არის ცუდი ჟურნალი. მოგეხსენებათ... ვიცი თქვენი მდგომარეობა, მაგრამ იქნებ შეგვეწიოთ.

– რამდენზეა ლაპარაკი, ბატონო კარლო?

– რა ვიცი... მე ვერ შემოგბედავთ, თქვენ რისი საშუალებაც გაქვთ... მკითხველების სახელით გთხოვთ.

სავარძელი მარჯვნივ შეაქანა და გაიღიმა:

– რომ არ დაგიმალოთ, ახლა ფირმასაც უჭირს, მაგრამ თქვენი ხათრით გამოვძებნით საშუალებას... პირადად თქვენი ხათრით, ბატონო კარლო. წერილი გაქვთ?

– ხვალე მოგართმევთ. ვიფიქრე, ჯერ შევუთანხმდებიმეთქი. დიდი მადლობა.

– კი ბატონო, მოიტანეთ ჩემს სახელზე წერილი. თქვენი ანგარიშის ნომერი ზუსტად მიუთითეთ, თანხის რაოდენობას ნუ ჩაწერთ. გადავხედავთ ჩვენს შესაძლებლობას და იმის მიხედვით გადმოვრიცხავთ. სასწრაფოდ გჭირდებათ?

– ასე ვთქვათ. ნომერი გაგვიჩერა სტამბამ.

– ჩვენ არ დაგაგვიანებთ. ერთ კვირაში ფული თქვენს ანგარიშზე იქნება. შევთანხმდით.

– დიდი მადლობა. არ დაგივიწყებთ.

– აი კაცი – გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა არ მითქვამს, ქათინაურად არ ჩამითვალოს-მეთქი – ყველა რომ ასე ზრუნავდეს კულტურის გადარჩენისთვის.

წამოვდექი და ხელი გავუწოდე.

მდივანმა გოგონამ ყავა შემოიტანა.

– დაბრძანდით, ყავა მიირთვით... ბატონო კარლო, მე თქვენ დიდ პატივს გცემთ... შეიძლება თქვენთან გულახდილი ლაპარაკი?

– გისმენთ, ყურადღებით.

ყავა მოსვა. სავარძელი ასოთხმოცი გრადუსით შეატრი-

ალა. შემომხედა, რაღაცნაირი, ნიშნისმომგებიანი შემოხედვით. ცოტა არ იყოს, არ მომეწონა ეს თამამი მზერა.

– ბატონო კარლო, მე პირში მთქმელი კაცი ვარ... ესეც არ იყოს, ჩემთვის მჭირდება რაღაც-რაღაცების გარკვევა. მაინტერესებს რამდენი გაქვთ ხელფასი, როგორც „ტოროლას“ რედაქტორს?

– გაგეცინებათ რომ გითხრათ, ჩემი ხელფასი ორ კილო კარტოფილს ძლივს ყიდულობს. სიმბოლური ხელფასია, აღებადაც არ ღირს.

– გასაგებია... ჟურნალის ყოველი ნომრის გამოცემაზე ასე გიწევთ წვალება.

– სამწუხაროდ. მესამე წელია სახელმწიფო ერთ კილოგრამ ქაღალდს ვერ გვაძლევს. სპონსორის ძებნაში ფეხსაცმელზე ლანჩები აღარ შემრჩა.

– წარმომიდგენია თქვენი მდგომარეობა... მძიმე სურათია. არა და ერთხელ რომ გაგიმართავს კაცი ხელს, იმასთან მეორედ ვეღარ მიხვალ. მე, მაგალითად, ასე ვარ.

– რასაკვირველია... მეორეჯერ კი არა, ერთხელაც რომ მივდივარ, ფეხები უკან მრჩება.

– ბუნებრივია. არ გეწყინოთ და რატომ ჩაიგდეთ თავი ასეთ დღეში. მესმის რომ თქვენი საკუთარი რაღაცები სწეროთ და სხვამ ბეჭდოს. ჟურნალის გამოცემა რას გაძლევთ, როგორც მწერალს?

– რა ვიცი... ყველამ რომ ასე იფიქროს, ხომ არ ივარგებს. ჩემი ჭკუით, სხვა მწერლებსაც ხელს ვუმართავ. მათს ნაფიქრსაც ვამზეურებ.

– გიფიქრიათ სხვა საქმისათვის მოგეკიდათ ხელი?

– რა საქმისთვის?

– კომერციისთვის, მაგალითად. ახლა კომერციის ეპოქაა. თქვენ ნიჭიერი, გონებაგახსნილი კაცი ბრძანდებით.

– კომერსანტად ვერ ვივარგებ. ჩემს ტვინს სხვა საქმეზე ვეღარ გადავაწყობ... დასწყევლოს ღმერთმა, ჩემი საქმე ლიტერატურა მგონია... იქნებ ვცდები, მაგრამ სულ ამ საქმეს

მივდევ კომუნისტების დროსაც ვმწერლობდი და ჟურნალს ვცემდი.

– თქვენ გგონიათ, საქართველო გულისფანცქალით ელოდება თქვენი ჟურნალის ყოველ ნომერს? რამდენი გაქვთ ტირაჟი?

– ხუთი ათასამდე.

– და გასაღებაც გიჭირთ ხომ? გულწრფელად მითხარით.

– ამ ბოლო დროს გაჭირდა.

– მეც მანდა ვარ. სხვა დრო მოვიდა და იმიტომ. ახლა აუარება ავტომატიანი დგას და იმის ცდაშია, ვის გახადოს ტანზე, ხოლო უავტომატო იმას ფიქრობს, როგორ დაიცვას თავი ავტომატიანისგან. დამერწმუნეთ, არც ერთს და არც მეორეს ჟურნალ „ტოროლასთვის“ არა სცხელა.

– რა ვიცი, „ტოროლა“ ჩემი ჭკუით სულიერი საზრდოა. ლექსია, მოთხრობაა.

– რა დროს ლექსი და მოთხრობაა, ხალხს შიმშილით სული სძვრება.

– იქნებ, ხვალ ისევ მობრუნდეს ქვეყანა ლექსისკენ და მოთხრობისკენ. შენ არც ისე ბავშვი ხარ, რომ არ გახსოვდეს, რა რიგები იდგა ამ ხუთიოდე წლის წინ ოპერასთან, წიგნის მაღაზიაში.

– მახსოვს, მაგრამ იმ წყალმა ჩაიარა. სხვა ქვეყანა მოვიდა. ხავსს ნუ ებღაუჭებით. ჩემს გასამტყუნებლად; გავიდეთ, თუ გნებავთ, ახლა ქუჩაში და ნებისმიერ ახალგაზრდას ვკითხოთ, დაგვისახელოს მისი საყვარელი მწერალი. ასიდან ერთი თუ დაასახელებს თქვენს კოლეგებს, თანამედროვე მწერლებს, ეს ულვაში მომპარსეთ.

– რუსთაველს, ილიას ხომ დაასახელებენ?

– ალბათ, ისინიც ასიდან დიდი-დიდი ოცმა დაასახელოს. დასახელებით იქნებ მეტმა დაასახელოს, მაგრამ წაკითხული ასიდან ხუთს არ ექნება. ახლა კითხვის ეპოქა არ არის.

– რა ვქნათ, აბა, ჩვენ? დავდოთ კალამი, არ ვწეროთ, არ გამოვცეთ წიგნები და ჟურნალები?

– მე რჩევას ვერ მოგცემთ, ეგ ჩემგან ზედმეტი სითამამე იქნება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ინერციით ცხოვრობთ, მოდიდან გასული ხალხი ხართ, ნუთუ ვერა გრძნობთ?

– ჩვენი ბრალია რომ ასე მოხდა?

– რა?

– ჩვენს მიმართ თქვენმა თაობამ ინტერესი რომ დაკარგა.

– მე ვერ გეტყვით, იქნებ თქვენი ბრალიც არის. მე ერთი რამ ვიცი; თქვენ ადგილზე მიზეზებს გამოვძებნიდი. ჩავუღრმავდებოდი... მიზეზის ძიება თვითონ გამიყვანდა ახალ გზებზე.

– ახალი გზები ყოველთვის ჩნდებოდა... კულტურა მუდამ ზიგზაგებიანი გზით მიემართებოდა... ჩვენ ბაზრის მოთხოვნილების დონეზე ვერ დავალთ. ნუ გაგვათანაბრებთ პროდუქციის შექმნელ-გამსაღებლებთან. ჩვენი „პროდუქცია“ სხვა პროდუქციაა. ახლა თუ დროებით სხვა „საზრუნავმა“ გაიტაცა ადამიანი, ხვალ ზეგ უფრო მეტი ინტერესით შემობრუნდება წიგნისკენ. ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვაკეთოთ. უნდა ვწეროთ, თუნდაც ორასი წლის შემდეგ წაიკითხონ. თქვენ როგორ ფიქრობთ, რუსთაველის დროს საქართველოში მთელი მოსახლეობის ორმა პროცენტმა თუ იცოდა წერა-კითხვა. იმ ორი პროცენტიდან ნახევარიც ვერ წაიკითხავდა რუსთაველის სიცოცხლეში „ვეფხისტყაოსანს“. სად იყო ამდენი გადამწერი. თქვენი ლოგიკით „ვეფხისტყაოსანი არ უნდა დაწერილიყო. ხომ ასეა.

– მაშინ, იქნებ სწყუროდათ, იქნებ ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ „სნიკერსის“ და „მალბოროს“ ჯიხურთან დღეს საშუალოდ წუთში ხუთი კაცი მიდის, წიგნის მაღაზიის გამყიდველები კი მოწყენილობისაგან ამთქნარებენ?

. . . . . .

კიდევ რამდენიმე რთული ქვეწყობილი წინადადება გავუცვალეთ ერთმანეთს მე და ფირმა „ელვის“ პრეზიდენტმა ტუგო ზუმბაძემ.

გამომაცილა. ქუჩაში თავაზიანად ჩამომართვა ხელი და მანქანით მომსახურება შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი – ფეხით გავლა მირჩევნია-მეთქი.

წერილი, რასაკვირველია, აღარ მიმიტანია.

„ტოროლას“ იმ ნომრისთვის ერთი ტონა ქაღალდი „საქ-ჩაის“ დირექტორმა, სახელოვანმა სპორტსმენყოფილმა და-ვით გობეჯიშვილმა გვაჩუქა.

ორი ნაპირი

ყველაფერი ისევ ისე დარჩა ორ ნაწილად, ორ ნაპირად გაყოფილი.

ბევრი იძახა მარჯვენა ნაპირმა, მარცხენა მხარეს მხოლოდ უნიჭოები დგანან, მარჯვენა მხარეს კი მხოლოდ ნიჭიერები დავგროვდითო, მაგრამ ამ ძახილს ის შედეგი სრულიადაც არ მოჰყოლია, მარჯვენა ნაპირმა რომ ჩაიფიქრა.

პირიქით, იქითა მხარის მესვეურთ გადახედეს ერთმანეთს და ერთმანეთი ძალიან მოეწონათ, რის შემდეგაც თავს ნება მისცეს კატეგორიულად არ დათანხმებოდნენ მარჯვენა ნაპირის წარმომადგენლებს მარცხენა ნაპირის წარმომადგენელთა შეფასებაში.

ნაპრალი კიდევ უფრო გაიზარდა.

იქეთა მხარეს თავისი ბელადები ჰყავს, აქეთას – თავისი.

იქეთა მხარეს თავისი ავადმყოფები ჰყავს, აქეთა მხარეს – თავისი.

საავადმყოფოში იქეთისტებს იქეთისტი ექიმები მკურნალობენ, აქეთისტ ავადყოფებს, აქეთისტი ექიმები.

თუ უფლის ნებით (და ხშირად ტერორისტის წახმარებითაც) იქეთა მხარის წარმომადგენელი გარდაიცვალა, დაკრძალვას მხოლოდ იქეთისტები ესწრებიან. სამგლოვიარო მიტინგზე სევდიან სიტყვებს მხოლოდ ისინი ამბობენ. შესაბამისად, აქეთისტის დამკრძალავთა შემადგენლობაც მკაცრადაა განსაზღვრული პოლიტიკური ორიენტაციისა და სახელმწიფოებრივი პოზიციის შეუვალი პრინციპებით.

იქეთა მხარეს თავისი გაზეთები აქვს, აქეთას თავისი.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, იქეთა მხარის გაზეთი დიდი ტირაჟით, აბრეშუმივით ქაღალდზე გამოდის, აქეთისტთა გაზეთი აგურის გასახვევ, სქელ, მოუხეშავ მოშავო ქაღალდზე იბეჭდება და ტირაჟით რუსთაველის პროსპექტს არ სცილდება.

იქეთა მხარეს თავისი პოეტები ჰყავს, აქეთა მხარეს თავისი.

იქეთა მხარის პოეტები ზოგჯერ აქეთა მხარის პოეტთა ყრილობას ესწრებიან, შუა ყრილობაზე ფეხზე დგებიან და მოწოდებაზე „სწორება ზურგში“ გრძლად, საყვარლად გამწკრივებულნი დიდხანს სევდიანად, ჯიუტად მიაბიჯებენ კარებისაკენ.

აქეთა მხარის პოეტები იქეთა მხარის პოეტთა თავყრილობას არ ესწრებიან, იქნებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქეთა მხარის ლიტერატორები ყრილობებს საერთოდ არ ატარებენ.

იქეთა მხარეს თავისი პრემიები აქვს, აქეთას თავისი.

შესაბამისად, იქეთას თავისი ლაურეატები ჰყავს, აქეთას თავისი.

იქეთისტი ლაურეატები თავიანთი გვარის ქვეშ ამაყად აწერენ ვისი სახელობის პრემიის ლაურეატები არიან ისინი, აქეთა მხარის წარმომადგენლები – რატომღაც არა.

ორივე მხარის წარმომადგენლებს თითქმის ერთნაირად სცივათ და შიათ.

აქეთისტები წელიწადში ერთხელ ჰუმანიტარულ დახმარებას გამოტყუებენ მთავრობას.

იქეთისტები თავს არ იმცირებენ და ჰუმანიტარულ დახმარებას არ სთხოვენ. მათი აზრით, უკანონო ხელისუფლებას, რადგანაც ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მსგავსსაც კი ვერაფერს მიიღებენ.

კუჭი თავისას მოითხოვს, და აქეთისტების რიგში ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ზოგჯერ იქეთისტებიც დგებიან. აქეთა მხარის წარმომადგენლები მდუმარედ, არცთუ დაუმადლებლად უნაწილებენ ყოფილ კოლეგებს ჰუმანიტარულ დახმარებას.

მეორე დღეს, ჰუმანიტარული დახმარებით სულმოთქმულნი კვლავ ეძახიან იქეთისტები აქეთისტებს: „წითელი ურჩხულის დამქაშებს“, აქეთისტებიც არ რჩებიან ვალში და

იქეთა მხარის წარმომადგენლებს „პროვინციული ფაშიზმის მოციქულთა“ საალერსო ტერმინით ამკობენ.

იქეთა მხარეს თავისი, კანონიერად რეგისტრირებული პარტია-საზოგადოებები და საიდუმლო შეიარაღებული ფორმირებები ჰყავს, აქეთას იქეთასაგან განსხვავებით ლეგალური შეიარაღებული ფორმირებები ჰყავს.

აქეთისტები იქეთისტთა უწყინარ დაცვა-კარატისტთა ქვეჯგუფს ბანდფორმირებებს ეძახიან, იქეთისტები აქეთისტთა მოლაშქრე კომპატრიოტებს – ოკუპანტებს.

იქეთისტებს თავიანთი დეპუტატები ჰყავთ პარლამენტში, აქეთისტებს – თავისი.

მე დავრჩი მარტო შუაში, დაუცველად და უპატრონოდ ღობეში მოყოლილი კვახივით.

ორივე მხარე გულმოდგინედ, გაბრაზებით მაკვირდება, ფიქრებს მისინჯავს. მერე თავის, სამსოფლიო მოღვაწეობის მანძილზე პირველად დაეჭვებულნი ერთდროულად მკითხავენ:

– ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინე, ვის მხარეს დგახარ?

მორცხვად ვიღიმები და ვცდილობ, ავუხსნა, რომ მე ორივე საქართველოს გზაგასაყართან ვდგავარ და გაღმა-გამოღმა ნაპირის გამაერთიანებელი ტივის ორთაყვირებს ვეჭიდები.

მხრებს იჩეჩავენ და ჩემს აბსურდულ სურვილში დარწმუნებულნი წუხანდელზე უფრო დასერიოზულებულები, მტკიცე, ჯიუტი ნაბიჯებით მშორდებიან.

ერთი სიტყვით...

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ (გალაკტიონი).

ვიზიტი

ვუძღვნი ოთარ ჟორდანიას

ქუთაისელი ბრძანდებით? კილოზე შეგატყვეთ, ბატონო. ესეც არ იყოს, ქუთაისელებს სხვანაირი იერი გაქვთ, ჩაცმულობითაც გამოირჩევით. ქუთაისში შეკერილ ქუდს და პიჯაკს შეხედვისთანავე ვცნობ. უშუალო, უკომპლექსო ხალხი ხართ ქუთაისში. ისე გაგიბამს მუსაიფს უცნობი ქუჩაში, თითქოს მთელი ბავშვობა შენთან ერთად გაეტარებინოს. რაც შეეხება მასპინძლობას, ნამეტანი გადაყოლა იცით. ქუთაისური მასპინძლობა, არ გეწყინოს და, ხანდახან შემაწუხებელიც კია სტუმრისთვის. გასაქანს არ მოგცემენ. მარტო დარჩენა, თავის ფიქრებთან ყოფნა აკრძალული აქვს ქუთაისელ სტუმარს. არ ვიცი, ახლაც ასეა თუ არა. ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ არა მგონია, ქუთაისელს საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ჩვევა – სტუმრის ღვთის კაცად მიჩნევისა გადაეგდო. ეკონომიკური სიდუხჭირე რაზე არ მოქმედებს – მითხარი შენ. თუმცა ქუთაისელის ხასიათს ასე ჩქარა ვერ შეცვლიდა. ერთი ხანია არ ვყოფილვარ თქვენსკენ.

თუ დრო გაქვთ, ქუთაისში ჩემი პირველი სტუმრობის ამბავს გიამბობთ. ცოტა არ იყოს, სასაცილო ამბავია და იქნებ დაგაინტერესოთ.

ათას ცხრაას სამოცდაათი წელია. შემოდგომის გრძელი წვიმების პერიოდი. ოქტომბერი. რიცხვი არ მახსოვსს, ვერ მოგატყუებთ. მაშინ სადოქტორო დაცული მქონდა, მაგრამ დამტკიცება არ იყო მოსკოვიდან მოსული. მატარებელში ვზივარ და ქუთაისს მივემგზავრები. ბავშვობაში ვარ ერთიორჯერ ქუთაისში ნამყოფი ბიძაჩემთან. პავლე საკანდელიძე თუ გაგიგონიათ. ფინგანში მუშაობდა მისი დღე და მოსწრება. დედაჩემის ბიძაშვილი გახლდათ. ბავშვობის ვიზიტს ვიზი-

ტად არ ვთვლი, რასაკვირველია, და მოხდა ისე, რომ მონიფულობაში პირველად მივდივარ ქუთაისში. ბიძაჩემი უნდა ვინახულო, თიაქარი გამიზეზებია და საავადმყოფოში წევსო, დაგვირეკეს.

კუპეში ასე ჩემი ხნის, ორმოციოდე წლის, ხინკლისქუდა, ბობრი კაცი დამხვდა, ევგენი ერქვა, გვარი გადამავიწყდა. შუმი ქუთაისელი. ენაწყლიანი და ზრდილობით სავსე. გავიცანით ერთმანეთი. აქეთურ-იქეთური და გაირკვა, რომ ბაქოს პარტიულ სკოლაში სწავლობდა, ბაბუა გარდაცვლოდა და დაკრძალვაზე წამოსულიყო.

მატარებელმა ქუთაისს რომ მიაკივლა, ჩემმა თანამგზავრმა მთხოვა: ბიძათქვენი, ღმერთმა კარგად გიმყოფოთ, არსად გაგექცევათ, დამდეთ პატივი და გასვენებაში მხარი დამიმშვენეთო. ხათრმა კაცს ცოლი გააშვებინაო, ნათქვამია და უარს როგორ ვეტყოდი.

ქუთაისში იმ დღეს ისტორიულად წვიმდა. ბრწყინვალე სიტყვა გაქვთ იმერლებს – „თავსხმა“, სწორედ, რომ თავსხმა იყო. დავკრძალეთ, როგორც იქნა, მიცვალებული. მახსოვს, ვედროებით ხაპავდნენ სავსე საფლავიდან წყალს. გავილუმპე. დეპეშების კითხვა რომ დაიწყეს, ევგენის შევეცოდე, როგორც ჩანს, და მითხრა – გადი სასაფლაოს ჭიშკართან, ავტობუსში ჩაჯექი, მეც ახლავე მოვალ და რაკი ასე დამაფასე, თუ ძმა ხარ, ბოლომდე მეცი პატივი, ქელეხზე მიცვალებულს თითო ჭიქა წავუქციოთო.

თითქოს ჩემ მოსვლას ელოდნენო, ავედი თუ არა, დაიძრა ავტობუსი. ევგენი, ალბათ, სხვა ავტობუსით წამოვა-მეთქი. სასაფლაოს შესასვლელთან რამდენიმე ავტობუსი იდგა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მოვუსხედით საქელეხო სუფრას. ევგენი არ ჩანს, თამადამ მიცვალებულის შესანდობარი რომ დალია, მივხვდი, სხვის ქელეხზე ვიყავი მისული, მაგრამ უკვე გვიან იყო. მე იქ არავის ვიცნობდი და იქნებ, სწორედ ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღებით ვიყავი გარემოცული. ქელეხი დასასრულს უახლოვდებოდა, კარებისაკენ რომ

გავიწიე, ორმა ჩასქელჩაულვაშებულმა ვაჟკაცმა გზა გადამიღობა, რატომ ჩქარობთ, პატივცემულოვო. თბილისიდან გახლავართ და სადგურზე მიმეჩქარება, მატარებელს უნდა მივუსწრო-მეთქი. გაგაცილებთ, ბატონო, მარტოს გაგიშვებთ ამ წვიმაში თქვენო? ნუ შეწუხდებით-მეთქი, ელდა მეცა. რა შეწუხებაა, პატივცემულო, შეწუხებაზე მეტი არ არის? თქვენ ამხელა გზაზე თბილისიდან სპეციალურად რომ ჩამობრძანდით და სამუდამოდ დაგვავალეთო?

მოკლედ, ამიღეს ბილეთი, ჩამსვეს ვაგონში, შემოიტანეს ოთხი ბოთლი შამპანური თავის ფორთოხალ-შოკოლადებით. ვფიქრობ, ჩავლენ თუ არა, ვტუცავ თავს მეორე ვაგონში და ჩავხტები ძირს-მეთქი. თქვენ არ მომიკვდეთ, რიონამდე გამომაცილეს და რიონში იმ დელგმა-წკვარამში სადღა წავიდოდი.

ჩამოვედი თბილისში. ორ საათამდე სადგურში ვიყურყუტე. ორზე ჩავჯექი თბილის-წყალტუბოს მერვე ვაგონში და გავუყევი ქუთაისისკენ. ზესტაფონამდე საერთაშორისო კუპით მარტო ვიმგზავრე. ზესტაფონში მექორწილეებით გაივსო ვააგონი.

... საავადმყოფოში ბიძაჩემს მეოთხე დღესღა ვეახელ ღვიძლგაბერილი და თვითონ მოსარჩენი.

ჟურნალისტი ბზიკაძე და ხელმწიფე

ვუძღვნი „შანსის“ რედაქციას

ჟურნალისტ ბზიკაძეს, ისე როგორც ყველა ჟურნალისტს ამ დუნიაზე, სახელის განთქმა სურდა.

ჰეროსტატეს დროსაც ჟურნალისტისთვის სახელის დაგდების ერთადერთი გზა არსებობდა და ახლაც ერთადერთი გზა არსებობს – ხელმწიფე უნდა აქიაქო.

თუ ხელმწიფეს საქიაქო არაფერი აქვს, წასულია ჟურნალისტის საქმე. უკვდავებას ვეღარასოდეს გაეთამაშება და განწირულია დასავიწყებლად.

მაგრამ არსებობს ხელმწიფე, რომელსაც დაკვირვებული ჟურნალისტი ნაკლს ვერ მოუძებნის?

არ არსებობს.

თუმცა ამ ნოველის მკითხველმა არაერთი ჟურნალისტი იცის, ხელმწიფის მრუდ ნაქნარს ოქროდ რომ ასაღებს. ასეთ ჟურნალისტს ჩინ-ტემლაკებს არ აკლებენ, დელეგაციის წევრად ჰხდიან და სალონ-თვითმფრინავშიც ისვამენ საინტერვიუოდ, მაგრამ ამ ნოველაში მათზე საუბარი არ გვექნება. საერთოდაც, ეჭვი მეპარება, ასეთ ჟურნალისტზე ოდესმე ნოველის დასაწერად მოვიცალო.

ჩვენ ბზიკაძესთან გვაქვს საქმე.

ბზიკაძეს კი, არც მეტი არც ნაკლები, სახელის მოხვეჭა სურდა. ადგა და ერთ ღრუბლიან დღეს ხელმწიფე გააქიაქა.

რაკიღა ნაბუქოდონოსორიდან და აშურბანიპალიდან მოყოლებული დღემდე, ჯერ არ სმენილა ხელმწიფეს – გაქიაქება რომ ახარებდა, ბუნებრივია ამ ხელმწიფესაც ეწყინა გაქიაქება.

ეწყინა და საიდუმლო ბრძანება გასცა: ჟურნალისტ ბზიკაძეს ჭკუა ესწავლოსო.

მეორე დღეს ხელმწიფის გაზეთში ჟურნალისტი ბზიკაძე გააბიაბრუეს.

ბზიკაძემ უკან არ დაიხია. ახალი სტატია გამოაცხო; ხელმწიფე მეორედ გააქიაქა, თანაც დააყოლა: ხელმწიფე რომ გავაქიაქე, იმიტომ გამაბიაბრუესო.

ხელმწიფე გაწყრა და საიდუმლო ბრძანება გასცა: ჟურნალისტ ბზიკაძეს ჭკუა ესწავლოსო.

ბზიკაძეს ჭკუა ესწავლოსო?

ბზიკაძეს ყური აუწიეს.

შეურაცხყოფილმა ბზიკაძემ უკან არ დაიხია, ახალი სტატია გამოაცხო, მეფე მესამედ გააქიაქა და თანაც დააყოლა შეხედეთ, ხალხნო, რა დემოკრატია მოსულა, ხელმწიფის გაქიაქებისთვის ყური ამიწიესო.

გაქიაქებული ხელმწიფე სასტიკად გაბრაზდა და საიდუმლო ბრძანება გასცა: ჟურნალისტ ბზიკაძეს ჭკუა ესწავლოსო.

მოკიდეს ხელი და ბზიკაძე ციხეში ჩასვეს. სახელგანთქმულმა ბზიკაძემ ციხეში მეოთხე სტატია გამოაცხო, გაიღვიძეთ, ხალხნო! ხომ ხედავთ, მე თქვენი ქომაგი, სიმართლის მთქმელი ჟურნალისტი, ხელმწიფემ გაქიაქებისთვის ციხეში ჩამსვაო.

ხალხმა გაიღვიძა. უცხოელი დამკვირვებლების დაუსწრებლად ნამდვილი, არაფალსიფიცირებული არჩევნები ჩაატარა და ხელმწიფე გადაირჩია. ბზიკაძე ციხიდან გამოუშვეს.

უხინჯოდ და უზადოდ ვერც ახალი ხელმწიფე მართავდა ქვეყანას.

ბზიკაძემ ცოტა ხანს უყურა, მერე ველარ მოითმინა და ახალი ხელმწიფეც გააქიაქა.

ნაზირ-ვეზირებმა გაზეთი მიურბენინეს ხელმწიფეს და სთხოვეს, ნება დაერთო მათთვის, რათა ბზიკაძისთვის ჭკუა ესწავლებინათ.

არაო, ხელმწიფემ, ჟურნალისტს სამაგიეროს ხომ არ გადავუხდი, არაფერი აწყენინოთო.

ბზიკაძე გაბიაბრუებას ელოდა და რომ არ გააბიაბრუეს, გაუკვირდა.

გაკვირვებულმა ბზიკაძემ ახალი სტატია გამოაცხო და ახალი ხელმწიფე მეორედ გააქიაქა.

დამარქაფებული ნაზირ-ვეზირები ხელმწიფესთან გაჩნდნენ. ისევ გაგაქიაქა, ახლა მაინც ვასწავლოთ ჭკუა ბზიკაძესო.

არაო, ხელმწიფემ, რა ვაჟკაცობაა ხელმწიფისგან ჟურნალისტის მორევაო. ხელი არ ახლოთ, ბოლოს და ბოლოს, სამაგიეროს ხომ არ გადავუხდიო.

კარგა ხანს ელოდა ბზიკაძე ყურის აწევას და რომ არ აუწიეს, საშინლად მოიწყინა.

მოწყენილმა ბზიკაძემ ახალი სტატია გამოაცხო, ხელმწიფე კიდევ ერთხელ გააქიაქა.

გაშმაგებულმა ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფეს კატეგორიულად მოახსენეს: ხომ ხედავთ, ბზიკაძე არ ისვენებს, ციხე და მისი ჯანიო!

როგორ გეკადრებათო, ხელმწიფემ, ჟურნალისტი რომ ციხეში ჩავსვა, რაღა პირით შევხედო ქვეყანასო. უბრალო მოხელე რომ ვიყო, მაშინაც არ გავყვებოდი საჭიდაო ხალიჩაზე ბზიკაძეს, ახლა მით უმეტეს, ჩემი მდგომარეობის კაცს, სამაგიეროს გადახდა არ მეკადრებაო.

ბზიკაძე ამაოდ ელოდა დაჭერას. მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა ახალი სტატიის სათაური – „რეპორტაჟი ციხიდან“, მაგრამ არ გაუმართლა, ცრემლმორეული შეჰყურებდა თავისი სახელის ბარომეტრს, რომელზეც სახელგანთქმის ისარი დღითიდღე დაბლა იწევდა.

ეს ნოველა, თვით ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდაც კი, ფრიად სავალალოდ მთავრდება:

ჟურნალისტმა ბზიკაძემ კალამი გადააგდო და რომელიღაც სახლმმართველობაში რიგით მარკშეიდერად მუშაობს.

არა ვარ მართალი?

ვუძღვნი დია ჩიანელის და
თეიმურაზ ჭუმბურიძის ხსოვნას

ოთხმოცდაცხრა წელი შემისრულდა მე, ახლა, ბატონო, თოთხმეტ გიორგობისთვეს. სამოცდახუთი წელია აქ, ერთ ადგილზე, ქუთაისის ციხეში ვმუშაობ. ოცდაოთხი წლის გოგო ვიყავი 1931 წელს რო დევიწყე მუშაობა ბუღალტრად და ბუღალტრად ვმუშაობ დღესაც. ბარე ცხრამეტი ციხის უფროსი გამევიცვალე. ვითვლიდი გუშინწინ. მეოცე ხარ შენ-თქვა, ახლანდელ უფროსს ვეუბნები – ბადრის, კაი ბიჭია ძალიან. მეც მომინელებ, საშა დეიდა, ნუ გეშინია, იმნაირ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული შენო, მეხუმრება.

გასახსენებელის მეტი რა მაქვს, პატივცემულო. ციხეში შემთხვევებს რა გამოლევს. ახლაც იყო ა, შარშანწინ პატიმარი გადმოგვიხტა სახურავიდან, სალდაძე იყო გვარად, უბედურ დღეზე გაჩენილი. სახურავზე ასულიყო. გეეპარა, ალბად, ზედამხედველს, ან „პრაგულკაზე“ რომ გამოყავდათ, მაშინ მიიმალა საცხა და აძვრა მერე ზევით. შენიშნა კოშკიდან ყარაულმა, რასაკვირველია, ატეხა განგაში. მთელი თანამშრომლები გამევედით გარეთ. ჩამოდი, ბიჭო, ძირსო, ეუბნება დაცვის უფროსი. არ ჩამოდის. ეხვეწებიან, არ ქნა სისულელე, ბიძია, არ დეიღუპო თავიო. იციან პატიმრებმა, რომ ცხვედიანი გადახტა სახურავიდან ორმოცდათვრამეტ წელს. ყაჩაღი ცხვედიანი, თუ გაგიგონია. იმას მომზადებული ჰქონდა გარეთ თივით სავსე მანქანა. გადახტა კედელზე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ექვს მეტროზე მეტია სახურავიდან კედლამდე და პირდაპირ იმ მანქანაში ჩახტა, ასე გაიქცა. ცხვედიანი ფოცხვერივით ბიჭი იყო, რავა არ მახსოვს, საცრისხელა თვალებს აბრიალებდა. ის გადახტა, რაცხა სასწაულად, ღმერთიც შეეწია ცოტა და სხვა რას გადახტება

აქანა. მით უმეტეს პატიმარი ნაშიმშილევი და დასუსტებული. ერთი სიტყვით, არ ჩამოდის სალდაძე. უფროსმა დაცვას გადაუჩურჩულა, ადით, მიეპარეთ უკნიდან და გაკოჭეთო. როგორც ჩანს, მიხვდა უბედური, ასე მიპირებენო. დეიხია უკან, გამეიქცა სახურავზე „ჰოოპო“ დეიძახა, ვუყურებდი ა, ასე, რავარც თქვენ გიყურებთ. კედელს შუა ადგილზე მიახტა და, აბა, ფეხს სად მეიკიდებდა. წამევიდა თავით და ასფალტს დაასკდა. იქვე გაძვრა სული საწყალს. რომ მივცვივდით, ბოლო ფეთქვა ჰქონდა.

იმაზე ადრე, ოთხმოცდათერთმეტი იყო, თუ თორმეტი, ზვიადის დროს სამასამდე პატიმარი გაგვექცა. თითქმის მთელი ციხე დეიცალა. მეორე დღეს ორმოცდაშვიდი კაცი მისით მობრუნდა. რა გვექნა, რომ არ გავსულიყავით დაგვხოცავდნენო. პატიმარს ერთი და ორი წელი რომ აქვს დარჩენილი, ის რავა გეიქცევა, მთლად სულელი თვარაა. „ძებნილობა“ უნდა კიდევ? მეიხდის და წავა სახლში. ის დიდი გაქცევა, მე მგონია, ჩემი მოკლე ჭკუით ვლაპარაკობ, ეგება ვცდები და ცოდვას ჩავდივარ, ციხის ადმინისტრაციიდან რომელიღაცის ხელშეწყობით მოხდა, თვარა სანამ გარეთ არ აღმოჩნდა, ამდენი ზღვა პატიმარი რავა ვერ გევიგეთ ვერც ერთმა.

დია ჩიანელზე და თეიმურაზ ჭუმბურიძეზე მეკითხები შენ. რავა არ მახსოვს. დია ჩიანელს მანამდისაც ვიცნობდი. ჩემი ქმარიც წერდა რაცხარაცხეებს და ერთი-ორჯერ ჩვენთანაც იყო სტუმრად ბატონი დავითი. ტკბილად მოლაპარაკე, გუგულივით კაცი იყო. ჭუმბურიძეს პირადად არ ვიცნობდი და ისე, ვინ არ იცოდა. მთელი ქალაქი აქებდა მაგენს ორივეს. ღვთის კაცებიო, რომ იტყვიან, ისინი იყვნენ სწორედ, გაჭირვებულის დამხმარე და ხელის გამმართავი, სიმართლის მთქმელი და ქვეყნის ავა-ჩავანი. რას ერჩოდნენ, რა უნდოდათ.

რა იყო მაინც ოცდაჩვიდმეტი და ოცდათვრამეტი. გახსენებაც კი ტანში მზარავს. მე რომ მუშაობა დევიწყე, ოცდათერთმეტში თითქმის ცარიელი იყო ციხე. მაგი კი არა, იძახდნენ, დანაშაული აღარ იქნება, სოციალიზმის დროსო

ციხეები უნდა დეინგრესო და, ვფიქრობდი, ნეტავი ცოტა ხანს არ გააუქმებდნენ, სად ვიშოვნო სამსახური-თქვა. მაშინ სამსახურის შოვნა ჭირდა. ოცდათექვსმეტიდან დეიწყო მომატება პატიმრებმა, მარა ისე, ასატანად. ჩვენი ციხე ნორმალურად თუ მოათავსებს პატიმარს, ოთხასადგილიანია კარცერებიანად. ოცდაჩვიდმეტში ივნისის რომელიღაც რიცხვი იყო, აღარ მახსოვს, ცხელოდა, ციხის უფროსმა ნამორაძემ, კრება ჩაგვიტარა. ამაღამ ვმორიგეობთ არ წახვიდეთ სახლში, დიდ პარტია პატიმრებს მოიყვანენო. გავამზადეთ ციხე, თუმცა ამდენს ვინ ელოდა. მოყარეს, მარა რა მოყარეს; დილის სამი საათიდან დეიწყეს მოყვანა. მეორე დღესაც ისე... მესამესაც... მოკლედ, არ წყდება პატიმრების ნაკადი. რა ამბავი იყო მაინც, სკასავით ბზუოდა მთელი ციხე. ჩვენ, თანამშრომლები, დღედაღამ აქ ვიყავით. გვარების ჩაწერას ვერ ვასწრებდით. საბუღალტრო საქმე ბევრი არაფერი გვქონდა და ყველას თითო რაცხა დაგვავალეს. მე ჩეკა რომ პატიმარს ჩაგვაბარებდა, ის ქაღალდი უნდა გადემეწერა სამ ცალად. ასე რომ ახალი მოყვანილების გვარებს პირველად მე ვნახულობდი. ერთი კვირის დაწყებული არ იყო ეს საშინელი რიარია, ჩხეიძის და ჭუმბურიძის გვარებს რომ მოვკარი თვალი. ქმარმა დილას საჭმელი რომ მომიტანა, ხომ გითხარი, სახლში არ გვიშვებდნენ, იქვე გვეძინა-მეთქი, ვუთხარი, ჩიანელი და თეიმურაზ ჭუმბურიძე მეიყვანეს წუხელი-თქვა. ვიცი, ვიციო, მიადევნე თვალიო, ეგება რამე ვუშველოთ, ხომ იცი რავარი პატრონი იყო ჩემი, ბატონი დავითიო. შველა მე კი არა, ციხის უფროსს არ შეეძლო, იმ დროს. ჩეკა რომ მოიყვანდა, მე მგონია, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მაშინ არ დავკვირვებივარ და ახლა რომ ვიხსენებ, მე მგონია, სხვადასხვა ფერის ქაღალდებზე მოდიოდა სიები. ერთი უფრო მუქ ქაღალდზე იყო, მეორე – უფრო ღიაზე. რუსულად, რასაკვირველია, დაბეჭდილი არა, ხელით დაწერილი. მთელი ღამე მუშაობდა გამოძიება და სამეული. იყო ერთი კვნესა-გნიასი, ტირილი და ბღავილი არ ყოფილა, არც გინება. ზედამხედველები მუდმივ ჭვრეტაში იყვნენ, კამერის სათვალთვალო ფირფიტა არ

ჩამოფარებულა იმ ორ წელიწადს, რა ვქნა, რა ვქნა და ათი დღის დაპატიმრებული არ იყვნენ, ჩვენთან ნადზორი შემოდიოდა გაგოშიძე, ომში დეიღუპა, კაი ბიჭი, საწყალი. ხომ იცი, ჩიანელი და ჭუმბურიძე რომ არიან მაქანა-თქვა. ეგება, რამე დანაბარები, ორი სიტყვა მაინც გოვუტანო მაგენის უბედურ ოჯახებს-თქვა. ჯერ ახლა რავარი სასჯელია ამაზე და მაშინ რა იქნებოდა. მიკვირს, როგორ გავბედე. ახალგაზრდობა, რასაკვირველია, თვარა ახლა ვერ ვიზამ ამას. ან იმ გაგოშიძეს რავა ვენდე, მარა ხომ იცი, შეატყობ ადამიანს, ცოტა თვალებსაც მიპრაწავდა და, რა ვიცი, რავა გამყიდის-მეთქი. მესამე დღეს დია ჩიანელის წერილი მომიტანა, ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი რამდენიმე სიტყვა იყო: „ფაცურა (ფაცურა ერქვა, თუ არ ვცდები, მის ცოლს) არ შეგეშინდეს. ბავშვებს მიხედე, ყველაფერი კარგად იქნება. მალე გამომიშვებენ. ხომ იცი, ყელამდე მართალი ვარ“. უბეში ლიფქვეშ ამევიდევი ეს წერილი და... რავარც ნაკვერცხალი ჩაგიდვია უბეში, ისე მწვავდა, სანამ ქმარს გადავცემდი. თეიმურაზ ჭუმბურიძეს ვარი უთქვამს. არავისთვის არაფერი არ მაქვს მისაწერი მეო. რავა, დამნაშავე კი არ ვარ, ქურდულად ვწერო ჩემს ოჯახს წერილებიო. თუ მომცემს გამომძიებელი უფლებას, მაშვინ მივწერო. არ ენდო, როგორც ჩანს, გაგოშიძეს. მერე და მერე გავთამამდი ცოტა და სამი თუ ოთხი დავითის სხვა წერილიც გამოვართვი გაგოშიძეს. ერთი-ორჯერ ცოლის პასუხიც შევატანიე, აშენდა მისი ოჯახი, მადლიანი ბიჭი იყო. მე პირადად ერთხელ მოვკარი დია ჩიანელს თვალი კიბეზე ორ ჩეკისტს ჩაყავდა. ძლივს იდგა ფეხზე, იქით-აქით ირწეოდა, გაწუწული იყო, ეტყობა წყალი გადაასხეს, სახეზე არ დავკვირვებივარ, ნაცემი იყო თუ არა, ვერ გეტყვით. სამეულის გადაწყვეტილების ოქმი ჩემამდე არ მოდიოდა, პირდაპირ ციხის უფროსი ინახავდა სეიფში. მახსოვს დილას გამშრალი გაგოშიძე ამევიდა და წუხელის გოუყვანიათო გამაგებინა. გვიან გოუყვანიათ-თქვა? მაშინათვე ვკითხე, თავი დამიქნია. რავა იყო თუ იცი, გადასახლებამისჯილები ახალშებინდებულზე გაყავდათ ბრეზენტგადაფარებული მანქანით, დასახ-

ვრეტები გვიან, შუაღამეგადაცილებულზე. ასე პირველიდან ორამდე და ახალი პატიმრები ოთხის მერე მოყავდათ. პირველის მერე გაყვანილებს ხვრეტდნენ საღორიის ტყეში. მაშინაც ასე ვიცოდით, საღორიის ტყეში ხვრეტენო. ადგილი, რასაკვირველია, გასაიდუმლოებული იყო. ახლა აღმოუჩენიათ. იქვე მარხავდნენ ახლომახლო, ალბად, აბა სად წეიღებდნენ. თვე, ჰა, თვენახევარი მეტი არ იყვნენ ციხეში ჩიანელი და ჭუმბურიძე. ჭირისუფლებს რა თქმა უნდა, დახვრეტა მიესაჯათო, არავის ეუბნებოდნენ. შენ თვითონ უნდა მიმხვდარიყავი. თუ გეტყოდნენ, გადაიყვანეს და წერილს ელოდეთო, იმედი უნდა გქონოდა, რომ ცოცხალი იყო. თუ გეტყოდნენ გადაასახლეს „ბეზ პრავა პერეპისიო“, უნდა მიმხვდარიყავი, რომ გათავებული იყო მისი საქმე.

დევესწარი იმ დღეს, ბატონო, დია ჩიანელის და თეიმურაზ ჭუმბურიძის ხსოვნის საღამოს. ნამეტანი ლამაზი სიტყვები ითქვა. რაი მერე? მაგ დროს, პატივცემულო, ლექსები და ანდაზა-შედარებები კი არ უნდა იძახო, ერთი გამომსვლელი მეორეს კი არ უნდა გეეჯიბროს, აბა რომელი უფრო ლამაზად იტყვისო, უნდა ზმუოდე ხარივით, ან უნდა ყმუოდე მგელივით. რას მიქვია ლამაზი ლაპარაკი. გამოდი, საშა დეიდა, თქვი რამეო. რა უნდა მეთქვა; მრცხვენია რომ ცოცხალი ვარ-თქვა, მრცხვენია რომ ადამიანი ვარ საერთოდ-თქვა. ამას ხომ არ ვიტყოდი. არა და მარტო ეს მადგა იმ საღამოს პირზე. ჩემნაირმა ადამიანმა არ ესროლა საღორიის ტყეში დია ჩიანელს და თეიმურაზ ჭუმბურიძეს? ჩემნაირმა ორფეხამ არ დაახალა ტყვია კეფაში და არ ჩაყარა ცოცხალ-მკვდარი ორმოში? მოდი ახლა და ილაპარაკე ლამაზად, ასე იყო, ისე იყო-თქვა. არ ვართ არა, არც ერთი არ ვართ მართალი ერთმანეთთან.

თავშენახულნი

დიდი ძარცვა-გლეჯობია რომ იყო საქართველოში იმ წლებში ადამიანის გაძარცვა-გაპუტვის რა ხერხს არ მიმართეს ყაჩაღ-თულებმა, მარა ჩვენი სოფელი რო გაწმინდეს, იმფერი აბრაგობა მე არ გამიგონია. თუ რამეს ჰქვია, ძამა, ნამდვილი, კულტურული გაძარცვა ეს იყო, სწორედ.

არც სახლებში შემოსულან და არც უთო-ავტომატით დოვუშინებივართ. ჩვენი ხელით მიგვატანიეს, თუ რამე ღირებული გვქონდა.

რაფერ და მშვენივრად. რავარც მიყურებ ახლა მე შენ, წყნარად, ხმისოუწევლად კუდის რიკამდე გაგვაძრეს ტყავი და წევიდნენ თავის გზაზე.

ოთხნი ჩამოხტნენ კოლმეურნეობის მიტოვებულ კანტორაში. ერთი ქალი ახლდათ. მაღალ-მაღალი, გამხდარი კეხცხვირიანი ქერა ქალი. იმ ქალს ეჭირა სწორედ გადასაღები კინოაპარატივით, რაცხა, ვერ ვერკვევი სახელებში მაინცდამაინც.

დოუძახენ სამ-ოთხ ბაღანას და უთხრენ: ჩამეირბინეთ სოფელი და უთხარით ყველას ტელევიზიიდან არიენ ჩამოსული-თქო. ვინცაა ხანშიშესული, ყველა გამევიდენ უნდა გადვუღოთ, ახალი გადაცემა იქნება – „თავშენახული სოფელი“ ერქმევა. უნდა გეიგოს ქვეყანამ, კაი ყაზახი და დასაფასებელი ქალი, ვინცხაა სოფელში-თქო. წამეიღოს ყველამ, თუ რამე აქვს ძვირფასი ბებია-ბაბუას დანატოვარი, გამოსაჩენი რამე ძველი ნივთი-ბეჭედი, ყელსაბამი, ანტიკვარი. ვისაც არა აქვს, მეზობლიდან ინათხოვროს. ზოგმა ძველი ორდენები და მედლები გაიკეთოს და ისე წამევიდეს. ნიკოლოზის ოქროს ჯვრები თუ ვინმეს შერჩა, გაიკეთოს გულზე, თუ არადა სტალინის ორდენებით და მედლებით მევიდეს. ჩვენ გადევიღებთ ყველაფერს. აღწერას გავაკეთებთ ძვირფასეულობისას

და, თუ კაი რამეები აღმოჩნდა თქვენს სოფელში, ჯერ ერთი ხომ ტელევიზორში ჩაგხატავთ და გამოგაჩენთ, მეორეც, ვეტყვით მთავრობას და დაცვას დაგიყენებთ სოფელში. ახლა გლახა დროა და დაზღვეული იქნებით ყაჩაღებისგან. თული და დამცემი ველარ შემოვა თქვენს სოფელში-თქო.

გურულს თავის გამოჩენა და ტელევიზორი უხსენე შენ და დეიძრა იმ საათში კანტორისაკენ მთელი სოფელი. ერთი მეორის გადასწრებაზე მიქუსქუსებდნენ ბებრები შუკებში. ძველებური ყამა-ჩაბალახი და ორდენ-მედლები ხომ ზედ ჰქონდათ, ჯიბეში ყველას ედო (ჩემზე მეტი თავშენახული ვინ არისო) რამე ძვირფასი ნივთი ბაბუის დანატოვარი თუ თავისი ნაშოვარი.

დიდი ცერემონია არ გამართულა კანტორაში. უბრალოდ საათივით ჰქონდათ ყველაფერი აწყობილი.

„თავშენახულები“ კლუბში შეგვიყვანეს და გამოგვიცხადეს: მოიხსენით ხანჯლები, იარაღები... ამეიღეთ ძვირფასი, რაც გაქვთ, გაახვიეთ ამ ქაღალდებში და დააწერეთ თქვენი გვარი, რომ არ აგერიოთო. გადით მერე გარეთ, სათითაოდ გამოგიძ-ახებთ და გადაგიღებთ ყველას ცალ-ცალკე. ვისაც ლაპარაკი ეხერხება, ილაპარაკებს, სიმღერა ვინც იცის, იმღერებს, ძაან მოგვწონს, გურულ სიმღერას ბებრები რომ მღერიანო.

ისე ვქენით ჩვენც, რავარც გვითხრეს. გეივსო სტოლი. გევედით გარეთ და ვუცდით დაძახებას. ჯერ ქალი გამევიდა, შეგვათვალიერა და სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, გვთხოვა „ვინც სიმღერა იცის, მიდექით ეგერ ცაცხვის ძირში და რეპე-ტიცია ქენითო“.

მერე ორი გამევიდნენ ლაპარაკ-ლაპარაკით. ერთს აპარა-ტი ეჭირა. ცოტა უკან დაიწით, ჯერ სოფლის საერთო სურათი და კანტორის შენობა გარედან უნდა გადევიღოთო. ყველამ ერთმანეთში ილაპარაკეთ, ასთე უფრო ბუნებრივი იქნებაო.

ვლაპარაკობთ ჩვენ, ვითომ, ერთმანეთში და გვიღებენ ვითომ სურათს. ბოლოს ჩემოდნით რომ გაირბინა მეოთხემ და მანქანისკენ ჩქარა წევიდა, ცოტა ეჭვმა გაგვკრა, მარა ვინ

ამეიღებს ხმას. გვიღებენ ორი მთავარი გადამღები და უკან-უკან ნელ-ნელა უახლოვდებიან მანქანას.

გეიცინეთ, გეიცინეთ, ბოლოს და ბოლოს გურულები ხართ, რას ჩამოგტირით ცხვირ-პირიო. სიცილის დროს უკეთესი გამოდის ნახატი ტელევიზორშიო.

ვიცინით ჩვენც, ძალათ სიცილით, გლახა არტისტებივით. ჩაჯდნენ მანქანაში და ტყვიასავით გავარდნენ.

მერე ქე მოვსხიპეთ სიცილი და მივხთით ყორფელს, მარა რაღა დროს.

სიბნელე

ჩვენი სახლი ასოცბინიანია. მეოთხე სადარბაზოში ოცი ოჯახი ვცხოვრობთ. სხვები სხვა სადარბაზოებში ცხოვრობენ. შუა ზამთარია. ჩაქრა სინათლე. ეს იმას ნიშნავს, რომ წავიდა წყალი, გამოირთო ტელევიზორი, მაცივარი. გაჩუმდა რადიო, დადუმდა ტელეფონი, აღარ ირთვება უთო, განელდა ელექტროღუმელი, მეექვსე და მეშვიდე სართულს შორის გაიჭედა ლიფტი, რომელშიც ისხდნენ სალუქვაძის ორი აბიტურიენტი, დისერტანტი ხოხობაშვილი და ტუსკიას სიდედრი...

ხოლო ვისთვისაც ძნელი წარმოსადგენია, რას ნიშნავს უმაცივრობა, უტელევიზორობა, ამ უგაზობის დროს უელექტროღუმელობა, უუთოობა, უწყლობა, ურადიობა, უტელეფონობა და ულიფტობა, ამ ნოველის კითხვა შეწყვიტოს და სხვა საქმეს მოკიდოს ხელი. ეს მცირე, ტრაგიკულსიუჟეტიანი პროზა მისთვის არ იწერება.

იმ ღამეს, რასაკვირველია, ბნელში ვიჯექით. იმ ღამის მომდევნო ათ ღამესაც ვიჯექით ბნელში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ უკვე ვიცოდით: მთავარი კაბელი იყო გადამწვარი, ხოლო როდის გამოგვიცლიდნენ მთავარ კაბელს, მხოლოდ ღმერთმა იცოდა, ჩვენ არ ვიცოდით.

მეჩვიდმეტე უსინათლო ღამით, როცა კაბელის გამოცვლის იმედი საბოლოოდ გადაგვეწურა, კარს მომადგა ჩემი კარის მეზობელი გორდაძე და მოკითხვის გარეშე მითხრა:

ხომ ხედავ, რა დღეში ვართ. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. დავდოთ ოთხმა მეზობელმა ფული და საჰაერო მავთულით გამოვიყვანოთ შუქი მეზობლის სახლის ტრანსფორმატორიდან. კაკუშაძე და ჩანგაშვილი თანახმა არიან, შენ მეოთხე იქნები.

ცდუნება დიდი იყო. ამოვიქექე ჯიბეები. კომერციულ ინსტიტუტში ლექციების გასამრჯელოს დავამატე შავი დღისთ-

ვის გადანახული საახალწლო ქათმის ფული და გორდაძეს გადავეცი.

ვიყიდეთ მავთული, დავიქირავეთ მონტიორი, მონტიორმა მოძებნა ამწე-მანქანა და საქმე, რომ იტყვიან გაიჩარხა.

იმ ღამეს ჩვენ ოთხი მეზობელი გავნათდით. მონტიორმა მკაცრად გაგვაფრთხილა: საჰაერო მავთული მოგეხსენებათ, კაბელი არ არის, სუსტია. მხოლოდ ოთხ ბინას თუ გაუძლებს, ისიც მსუბუქი დატვირთვით. მეზობლები არ დაიმატოთ, თორემ მავთული გადაიწვება და თქვენს თავს დააბრალეთო.

დილით ჩვენი განათების ამბავი მთელმა სახლმა იცოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეუხერხულებოდა მარტონი რომ გავნათდით, მაგრამ ამ საქციელში სასირცხვილოს ვერას ვხედავდით, მითუმეტეს რომ ყველას შეეძლო ჩვენთვის მიებაძა. ოთხ-ოთხად დაჯგუფებულიყვნენ. შეეკრიბათ ფული და დენი თვითონაც გამოეყვანათ.

სამწუხაროდ, მეზობლები სხვა გზას დაადგნენ.

თითქოს პირი შეკრესო, ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდნენ.

ყოველ ნაბიჯზე ნართაული საყვედურები და შურიან კაცთა სისინი გვესმოდა:

„ახალი მოდის ბურჟუები!“...

„ფულით გაქსუებული კუსტარ-ინდივიდუალისტები!..“

„აი, თურმე ვინ ყოფილან, ვის გვერდით ვცხოვრობდით!..“

„სუფრის ჰუმანისტები!“

„რა იციან, რომ ბნელ გონებას, დენი ვერ გაანათებს!“

შუქის ხათრით ვიტანდით ამ დამცირებას, მაგრამ იერიში სხვა მხრიდანაც დაიწყო. მეორე სართულზე მცხოვრებმა ლაზღაიძემ ღამით ჩვენს მავთულს მოკაუჭებული მავთულის ქამანდი ესროლა და ბინა გაინათა.

დილის რვა საათზე გორდაძე, კაკუშაძე და ჩანგაძე მომადგნენ. ჩავუხტეთ ლაზღაიძეს და მავთულ-ქამანდი ჩამოვუგლიჯოთ, თორემ ჩვენც გადაგვეწვებაო.

ვიფიქრე, ვიფიქრე და უარი მოვახსენე. ვერა ძმაო, მე ლაზღაიძის ბავშვის ნათლია ვარ და დენს ვერ გამოვურთავ-

მეთქი. თვითონ უნდა ჰქონოდა იმხელა შეგნება, რომ ეს არ ჩაედინა, მითუმეტეს, რომ ყველანი გავაფრთხილეთ. რაკი შეგნება არ აქვს, მე ვერ ავდგები და ამ უშეგნებო ნათლიმამას ვერ მოვიმდურებ-მეთქი.

გორდაძეს, კაკუშაძეს და ჩანგაძეს ბევრი არ უფიქრიათ; შტრეიკბრეხერი და მოღალატე მიწოდეს. გამორიცხული არ არის, რომ შენ მიგეცა ნებართვა ლაზღაიძისთვისო. უკანასკნელი (უახლესი) გასალანძღავი სიტყვებით გამლანძღეს და წავიდნენ.

ლაზღაიძის ბინიდან კარგა ხანს ისმოდა უცენზურო სიტყვების გრიალი და, თუ თვალმა არ მომატყუა, გაბდღვნილი ბალიშიდან ბატის ბუმბულიც დაირწა ჰაერში. ბოლოს გორდაძის ნაცადი ხელი აივნიდან, როგორც იქნა, მიწვდა ლაზღაიძის ქამანდ-მავთულს და სტატუს-კვო აღსდგა.

იმავე ღამით შუქი ნელ-ნელა, მაგრამ საბოლოოდ წავიდა.

ფანჯარას მივვარდი.

ჩვენს მავთულზე აკიდოსავით ეკიდა ჯიუტ მეზობელთა უამრავი მავთულ-ქამანდი.

მავთული, რა თქმა უნდა, ამის გამო გადამწვარიყო.

უნდა გადავსახლდე აქედან.

ახლა ჩემზე უბედური კაცი დუნიაზე არ მეგულება.

„ბნელსა ვზი“ და არცერთი მეზობელი აღარ მესალმება.

რცხვენოდა, რომ ცოცხალი იყო

გომეოპათ ვარდენ ჯაჭვაძეს 1996 წლის 26 თებერვალს, გამთენიის ხუთ საათზე, მოეჩვენა რომ კვდებოდა. გული დაუმძიმდა, სუნთქვა შეეკრა, ხელ-ფეხი გაუცივდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

ჯერ შეეშინდა სიკვდილის: სანამ ხმა არ ჩამწყვეტია, მეუღლეს დავუძახებო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. ატყდება აურზაური. დაიწყება მომაკვდავის ჯიჯგნა-ნემსობია. ხელოვნურ სუნთქვას ვინ დაეძებს, ვინმემ, შეიძლება, პირი ძალით გამიღოს და ენა გამომქაჩოს. მაინც ვერაფერს მიშველიან, ტყუილად გაწვალდებიან თვითონაც და მეც გამაწვალებენ. არ მინდა ჩემს სასიკვდილო ხროტინს, ჯალაბობის ზლუქუნ-კივილი ახლდეს, რაც არი, ეგ არი. სჯობს ახლა იმაზე ვიზრუნო, ფეხები მოღუნული არ დამრჩეს და პირი ღია. სახეზე სიკვდილისწინა განცდის კვალი არ უნდა მეტყობოდეს. დამშვიდებულ, სერიოზულ, ძილში გაპარულ მიცვალებულს უნდა ვგავდეო.

თანდათანობით სუსტდებოდა. თუმცა სიკვდილი არც ისე ჩქარა მოდიოდა, როგორც ეგონა.

დაბორკილივით წამოლასლასდა. ძველი პიჟამო გაიხადა, კარადიდან ახალი გამოიღო და ჩაიცვა.

მუხლები აუკანკალდა.

პირის დაბანას და კბილების გამოხეხვას, ალბათ, არ დამაცლის გამჩენიო, სავარცხელი აიღო, ლოგინს დაუბრუნდა და ცალი ხელით დიდხანს ისვამდა სავარცხელს წოლისგან გაურჩებულ ქოჩორზე.

მერე ფეხები გამართა, გულზე ხელები ისე დაიწყო რომ თითებშუა სანთლის ჩამაგრება შესაძლებელი ყოფილიყო, თვალები ჭერს გაუსწორა და სიკვდილის მოლოდინში გაიტრუნა.

ანდერძი ხომ არ დამეწერაო, აეკვიატა, მაგრამ ანდერძი ზედმეტ სენტიმენტალობად მოეჩვენა.

სანამ გონება დაებინდებოდა, საოცარი სიმშვიდე დაეუფლა და თავს გამოუტყდა; კარგია რომ ყველაფერი მთავრდება. გაუწვალებლად ვკვდები. კაცმა რომ თქვას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩემს სიცოცხლეს – სიკვდილი სჯობდაო.

რა მოხდა ამ ხუთი წლის განმავლობაში გომეოპათ ვარდენ ჯაჭვაძის ცხოვრებაში ისეთი, რისთვისაც ამ სერიოზულმა კაცმა სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა?

ათი წლის წინათ ვარდენ ჯაჭვაძე გომეოპატთა საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

მაშინ საქართველოში უკუღმართი კომუნისტური წყობა იყო და ახლა რომაა ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები, ასე როდი იყო ათი წლის წინათ. როგორც ბევრი სხვა რამ, არჩევნებიც გაუკუღმართებული გახლდათ.

ვარდენს თავმჯდომარეობაში სამი გომეოპათი ეცილებოდა, მაგრამ ცეკა ვარდენის მხარეზე იყო. თუ რატომ იყო ცეკა ვარდენის მხარეს, ეს კარგად იციან მხოლოდ იმ პირებმა, ვისაც ომალოში საზეიმო კოცონთან ცეკას მდივანზე ვარდენის მგზნებარე სადღეგრძელოები მოუსმენია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯაჭვაძე ორმოცდაცხრა წლის ასაკამდე კარგად სვამდა და ხმაც საკუთარი ჰქონდა.

ცეკას მეცადინეობით ვარდენის არჩევა ასე მოხდა: წითელნარმოვან ჯიხურში იდო საარჩევნო ყუთი. საარჩევნო ყუთში ცელოფნის პარკი. გომეოპათები ჯიხურში შედიოდნენ, ბიულეტენში სათავმჯდომარეოდ მათთვის სასურველ გვარს ტოვებდნენ და დანარჩენს ხაზს გადაუსვამდნენ ხოლმე. როცა „ხმის მიცემა“ დამთავრდა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ცეკას წარმომადგენლები ნარმოვან ჯიხურში შევიდნენ, ყუთიდან ცელოფანის პარკი ამოიღეს და სცენაზე მსხდომი ხმის დამთვლელი კომისიისკენ წავიდნენ. გზად, წითელ კუთხესთან, წამით „შეყოვნდნენ“, დაუთვლელ-

ბიულეტენებიანი ცელოფნის პარკი წინასწარგამზადებული დათვლილხმებიანი პარკით შეცვალეს და სცენაზე ავიდნენ.

ასე „აირჩიეს“ გომეოპათებმა ვარდენი თავიანთი საზოგადოების თავმჯდომარედ. საიდან იცის ეს „ოპერაცია“ ასე კარგად ნოველის ავტორმაო, თუ დაჟინებით მკითხავენ, ვუპასუხებ რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისაგან ვიცი. ხომ არიან იშვიათზე იშვიათად საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებიც თუ მთლად პატიოსანი არა, ნახევრადპატიოსანი ადამიანები მაინც, ზოგჯერ სინდისი რომ შეაწუხებთ თავიანთი კომუნისტური წარსულის გამო.

ნამდვილბიულეტნიანი პარკი ვარდენ ჯაჭვაძეს მეორე დღეს შინ მიუტანა მძღოლმა და როცა თავმჯდომარემ ხმები დაითვალა, სახტად დარჩა; წინააღმდეგი – 211, მომხრე – 19. ამ, არც თუ უბრალო მიზეზის გამო ვარდენმა შეიძულა ყველა ქართველი გომეოპათი. როგორც კი გომეოპათს მოჰკრავდა თვალს, გაახსენდებოდა რომ იგი გომეოპათების კი არა – ცეკას არჩეული იყო.

შეიძლება თავმჯდომარეს თავისი მრევლი სძულდეს?

ჯაჭვაძეს გულს ურევდა გომეოპათთა სტატიები, ამრეზილად იჯდა კონფერენციებზე. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა თავისთავში დარწმუნებულ, გომეოპათ-ფეოდალად. ახარებდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ხუთი პირადი მეგობრის წრეში ყოფნა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მას არც მეგობრები უყვარდა. უბრალოდ მეგობრებმა იცოდნენ რა ვარდენის პატივმოყვარე ხასიათი, წამდაუწუმ „გენიოსს“ და „საუკუნის უპირველეს გომეოპატს“ ეძახდნენ.

თავმჯდომარის პერმანენტულ გათავხედებას საზღვარი არ ჰქონდა; ერთ დღეს მან გომეოპათთა საზოგადოების შენობას კლიტე დაადო და გამოაცხადა: ამდენი გომეოპათი ქვეყანას არ სჭირდება (მეც ვეყოფი) და არცერთი გომეოპათი არ დავინახო აქაო.

კარების დაკეტვა რომ გაემართლებინა, ავტომატიან გუშაგს გაურიგდა და შუაღამისას შენობის ფანჯრები ტყვიით

დააცხრილვინა. სხვათაშორის, გომეოპათთა სასახლეს ახლაც აჩნია ნატყვიარი.

რით უპასუხეს გომეოპათებმა თავიანთ გალიფრებულ თავმჯდომარეს? რასაკვირველია, სიყვარულით არა.

ქუჩაში დარჩენილი გომეოპათები აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჩურჩულებდნენ: შევიკრიბოთ, ვიმსჯელოთ, ვრეკოთ პანღური და ისევ იმ ცეკას დავუბრუნოთ, რომელმაც ასე უსინდისოდ მოგვახვია თავსო.

ამასობაში ქვეყანა აირია. რევოლუცია მოხდა. ცეკა დაემხო. ახალი ხელისუფლება მოვიდა.

ვარდენი თავისი მოტორტმანე სავარძლიდან წამით ჩამოხტა, ახალ ხელისუფლებას ეახლა და მოახსენა – გარეგნულად არ ვიმჩნევდი, თორემ თავიდანვე თქვენი თანამოაზრე გახლდით. ცეკასთან იმიტომ ვმეგობრობდი, რომ ეჭვი არ აეღოთ ჩემს იატაკქვეშა საქმიანობაზე, ახლა თქვენა ხართ და მიმსახურეთ-მიპატრონეთო.

შეიფარეს ფრთებქვეშ გომეოპატთა თავმჯდომარე. ახალი დავალებაც მისცეს: დილის ცხრიდან ათამდე და საღამოს ხუთიდან ექვსამდე ჭავჭავაძის პროსპექტზე უნდა მდგარიყო და პირველი კაცი რომ გამოივლიდა უნდა ეყვირა: „მამაშენმა უნდა თქვას შვილი მყავსო და შენ უნდა თქვა – მამა მყავდაო!“

ვერ გეტყვით, ეს ახალი როლი ვარდენს ძალიან სიამოვნებდა-მეთქი, მაგრამ მას სხვა გზა არა ჰქონდა. ოღონდ მდგომარეობა შეენარჩუნებინა და ჯაჭვაძე მისთვის დამამცირებელ უფრო გრძელ, რთულ თანწყობილ და თქვენ წარმოიდგინეთ, რთულ ქვეწყობილ წინადადებებსაც დაიძახებდა.

დრო კი მაინც გადიოდა. საქართველოში კიდევ ერთი გადატრიალება მოხდა.

ისე როგორც ისტორიაში ყველა გადატრიალებამ საერთოდ, ამ გადატრიალებამაც უამრავი უბედურება მოუტანა ქვეყანას, მაგრამ მეისტორიე როცა „შედეგებს დააჯამებს“,

უსათუოდ იტყვის, რომ ამჯერად გომეოპათებს საშუალება მიეცათ უმაქნის-უვარგისი თავმჯდომარე გამოეცვალათ.

როგორ თუ გამომცვალეთო, ქოში უკუღმა ჰყარა ვარდენმა.

მეტი რომ ველარაფერი შეძლო, სათავმჯდომარეო ავტომანქანა მოიპარა და გადამალა.

გომეოპატთა ყრილობიდან კუდამოძუებული ნელა, დინჯად მიდიოდა კარებისაკენ და უკან თავის ერთგულ ცრუ-გომეოპატთა ერთობ შემცირებული ამალა მიჰყვებოდა.

ჯაჭვაძეს ეგონა ჩემს გადაყენებას ერი არ შეურიგდება, გომეოპათებს ჩემს დაჩაგვრას არ აპატიებენ, ხვალვე საპროტესტო დემონსტრაცია-მიტინგი წალეკავს მოედნებს და სასწრაფოდ დამაბრუნებენ ჩემს სათავმჯდომარეო კაბინეტებშიო, მაგრამ ამჯერადაც შეცდა ვარდენ.

მისი მუნდირის დასაცავად ქუჩაში ერთი კაციც არ გამოსულა.

სასოწარკვეთილმა ჯაჭვაძემ ნაცად ხერხს მიმართა. ახალ პრეზიდენტს შეუთვალა: ხომ გახსოვს, ახალგაზრდობიდანვე რა ერთგული ვიყავი შენი, თუ კაცი ხარ, მტერმორეული არ გამაგდო, არ მკრა ხელი თავმჯდომარეობიდან დაცურებულს, მიმიღე შენს ამალაში და მერე მე ვიციო.

პრეზიდენტმა ვარდენის თხოვნას წაუყრუა და კარგადაც მოიქცა.

მაშინ კი დაიბნა ჯაჭვაძე.

ტაშმოკლებულს ერთ დღეს თავისი მეგობრებიც კი მოსწყინდა. ამომივიდა ყელში ამათი გაუთავებელი ხოტბა-ღაღადიო.

იმდენად შესძულდა ერთგული დამქაშები, რომ როცა ერთი მათგანი გარდაიცვალა, პანაშვიდზეც კი არ მივიდა.

ვარდენს არ იცნობთ თქვენ, გომეოპათების ნახვა არ უნდა და პანაშვიდზე იმიტომ არ მოდის. ნახავთ, შუაღამისას მოვა და იტირებს ძმაკაცსო, თავს იიმედებდნენ იხ-

ტიბარგატეხილი, ცოცხლად დარჩენილი მეგობრები, მაგრამ ამაოდ.

ყოფილი თავმჯდომარე არა თუ პანაშვიდზე, თავისი მეგობრის ეულ საფლავზეც არ მისულა და სანთელი არ დაუნთია.

ჯაჭვაძე ნელ-ნელა მოწყდა ცას და ქვეყანას. გულჩახვეული, გულჩათხრობილი, უსალმო და უცხვირპირო, მარტოდ-მარტო, დიდი ნაბიჯებით, ბოხი ხველებით, დააბიჯებდა ვაკის პარკში და საეჭვოდ ბუტბუტებდა.

არავინ ენატრებოდა, აღარავის ნახვა სურდა.

პირზერიდემოხვეული, საყელოაწეული, ქუდჩამოფხატული დადიოდა გაზონებს შორის, რათა არავის ეცნო და არ ეკითხა: სად დაიკარგე ვარდენ, რასა იქმ, როგორა ხარო?

რაც დრო გადიოდა, უათკეცდებოდა სიბრაზე და სიძულვილი თავისი ერის, თავისი სამშობლოს მიმართ. „ასე როგორ დამივიწყეს და გადამაგდეს, როგორ სძლებენ უჩემოდ. ნუთუ ჩემი გომეოერთგულება არად უღირდათ, სად არიან, რატომ არ ღრიალებენ ჩემს ფანჯრებთან: „ვარდენ, ვარდენ! გამოდი გარეთ, გაგვიჭირდა უშენოდო“.

საკუთარი ხალხის სიძულვილი მთელი კაცობრიობის სიძულვილში გადაეზარდა.

ბოლო დროს ტელეფონის ყურმილსაც აღარ იღებდა. გაზეთებს აღარ კითხულობდა, „მაცნეს“ დაწყებამდე წვებოდა და თავისი უაზრო, ბოთურ-ბრიყვული თვალებით ჭერს ასცქეროდა.

სიკვდილს ელოდა.

სიკვდილის მოლოდინიც ანგარიშიანი იყო მისთვის.

სიკვდილი იმიტომ სურდა, რომ თავი შეეხსენებინა ქვეყნისათვის, რათა მავანთ მისი დასაფლავების დღეს მაინც წამოსცდენოდათ: „არა ვართ ამ კაცთან მართალი. ასე არ უნდა გაგვერიყა. რა მოხდა, შეეშალა, ჩვენ მაინც უნდა გადაგვედგა მისკენ ნაბიჯებიო“.

* * *

ვარდენ ჯაჭვაძე ერთხელ კიდევ შეცდა.

სიკვდილმა ფრთა არ შეახო, სიკვდილის აჩრდილი არ დაეშვა მის სასთუმალთან.

მეორე დღეს კვლავ მიტოვებული და მოწყენილი მორ-ცხვად, სიარულახალნასწავლივით დააბიჯებდა ფიჭვისა და მაგნოლიის ხეებს შორის.

რცხვენოდა რომ ცოცხალი იყო.

სამების ტაძრის ქვა

3 მარტი 1996 წლისა

მარტისთვის უჩვეულო თბილი, მზიანი დღე.

ელიას მთაზე ტოტებშეჭრილ ნაძვს მიყრდნობილი უზარამაზარ ქვაბულს ჩავცქერი.

ქვაბულის ფსკერზე მილეთის ხალხი ჭიანჭველებივით ირევა.

მიკროფონს ჯერ მშვენიერი სიტყვები, მერე ლოცვა-ლიტანიის და გალობის ზეციური ხმები მოაქვს ჩემამდე.

დღეს აქ სამების ტაძრის საძირკვლის კურთხევის ცერემონიალი მიმდინარეობს.

ეს დღე-საათი დიდი ისტორიის კუთვნილებაა და ამ წუთიდან ისტორიის ნაწილი ვხდები მეც, წუთისოფლისგან ნათრევ-ნაგვემი ერთი ცოდვილი კაცი. საქართველო დღეს, როგორც ამბობენ, ფიზიკური მასშტაბებით ჩვენს მიწაზე ყველაზე დიდი ტაძრის საძირკველს ადუღაბებს.

ყელში მოწოლილმა სიამაყემ, გაკვირვებამ, სევდამ, სიხარულის ცრემლმა, ტკივილმა – ყველაფერმა ერთად ჯერ გული დამიმძიმა, მერე, ჩემდაუნებურად, აქაურობას მომწყვიტა და ფიქრით წარსულში გადამაგდო.

ნეტავ რა თქვა დავით აღმაშენებელმა გელათის საძირკვლის კურთხევის დღეს?

არავინ იცის.

დილიდანვე იქ იყო კათალიკოსთან ერთად, მშენებელთა შორის დაფუსფუსებდა და მრევლის შეგროვებას ელოდა, თუ ჯერ ალოდინა შეკრებილი ხალხი და მერე მობრძანდა, ვითარც მეფეს შეშვენის? ღირსეულად თავაწეულად გაიარა აზრიალებულ ერისკაცთა შორის, უზარმაზარ ხის ჯვართან მდგომ კათალიკოსს გვერდით რომ დაუდგა, ჩაახველა და

ხელი შემართა? თუ მეფის გამოჩენისთანავე ისედაც გაისუსა ხალხი?

ეტლით მობრძანდა თუ ცხენით?

როგორ დაიწყო, რა თქვა?

როგორი ხმა ჰქონდა?

გარს ეხვივნენ თუ არა ასე მჭიდროდ დაცვის ბიჭები, ან განაწილებულნი იყვნენ თუ არა მეფის უსაფრთხოების მოყურადენი ქვაბულის შემოგარენში (ერთი ჩემს ახლოს დგას) როგორც ახლაა?

რა იყო მაშინ დავითი... მორჭმულ-დამძიმებული მეფე კი არა, ახალგაზრდა კაცი.

ნეტავ იმერულად თუ უქცევდა საუბრის დროს, ან განსხვავდებოდა თუ არა მაშინ კახური კილოკავი იმერულისაგან ისე, როგორც ახლა?

დავითს ჯერ დიდგორი არ გადაუხდია.

არც საქართველო იყო განფენილი ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.

თბილისიც მტერს ეპყრა.

და საერთოდ, არაბულ-სპარსულ თვალშეუდგამ სიმდიდრესთან შედარებით, საქართველო საკმაოდ ღარიბი ქვეყანა იყო.

რამდენ ხანს გაგრძელდა საძირკვლის კურთხევა?

მეფის და კათალიკოსის გარდა სიტყვის თქმა სხვამაც თუ გაბედა?

მზიანი დღე იყო თუ არა?

რამდენი კაცი დაესწრო ცერემონიალს?

რა ეცვა ტანზე ყმას, მონას, კირითხუროს?

არავინ იცის, დოკუმენტურად არსად სწერია და მწერლის ფანტაზიით დახატულ-შემოსილი ბევრი წამიკითხავს.

ვის ეკუთვნის გელათის იდეა? ალბათ მეფეს. ადგილი თვით შეარჩია, თუ სხვათა შერჩეულს მისცა დასტური?

ტაძრის პროექტი ვინ შექმნა? ვინ იყო მთავარი ხუროთმოძღვარი – მშენებლობას რომ ხელმძღვანელობდა?

სახსრები სამეფო სალარომ გაიღო, თუ მორწმუნეთა შემოწირულობების იმედით შენდებოდა? ერთიანი ერთ მუშტად შეკრული იყო მაშინ ერი და ყველამ ერთსულად მიიღო გელათის იდეა თუ მაშინაც იყვნენ მოქირქილენი – „რა მშენებლობა აუტყდა, ხალხი შიმშილობს, ჯერ ქვეყანა გასამთლიანებელია, თბილისი გასათავისუფლებელია...“

ახლა სხვა დროა, სხვა საქართველო მოსულა.

თუ დავით აღმაშენებლის დროს სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი რუსთაველის დაბადებამდე და დიდგორის ლომი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ვერ წაიკითხა, ახლა რუსთაველი კარგა ხნის გარდასულია და ქართველი ერის განძთსალაროს ამშვენებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი მარგალიტი ჩვენი თავმოწონების უპირველესი საბუთი ქართული ბიბლია – „ვეფხისტყაოსანი“. ხოლო საქართველო? დავითის საქართველო?

იგი ლეჩაქმოხდილი, დამარცხებული, დაჩოქებული, დამცირებული, მიწასთან გასწორებული, იავარქმნილი დაცვედნებული, გალახული, ბალახმოვლილი და გაყიდულია.

საქართველო დამარცხებული არაერთგზის ყოფილა, მაგრამ ჯერ არ მომხდარა დამპყრობლისათვის მიენდოთ შურისმაძიებელი ქართველი ლაშქრის შექმნა-განმტკიცება.

არსაიდან ხმა... არსაიდან ძლევის ყიჟინის თუნდაც შორეულზე შორეული გუგუნი, არსად იწრთობა საჯავარდნო ხმლები.

საქართველო დაპყრობილი ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ არავის უქცევია იგი მსოფლიოს დერვიშთა სამუდამო თავშესაფრად. უკულტურო მოხეტიალე ტომთა თავშესაფრად, თანამედროვე პოლიტიკის ენით რომ ვთქვა „ინტერნაციონალისტურ ლაბორატორიად“ და არავის უტრაბახნია იმით, რომ საქართველოში ქართველი დღეს ნახევარიც აღარ არის და თუ ასე გაგრძელდა, ორმოცდაათ წელიწადში ქართველ პრეზიდენტსაც ვეღარ ავირჩევთ.

არასოდეს გაგვიგია გადამთიელთათვის ქართული მიწა ფიანდაზად და არც არასოდეს დაგვიკანონებია ჩვენი მიწა წასვლადაგვიანებულ სტუმართა საკუთრებად. თითოეულ მტკაველს ჩვენი მიწისას სისხლით ვიცავდით, რადგანაც ვიცოდით მისი ფასი, ვიცოდით, რა გეოგრაფიულ სივრცეში, რა გარემოცვაში ცხოვრება გვარგუნა ბედმა და ისიც უწყოდნენ ჩვენმა მეფეებმა, რომ დაკარგული თავისუფლება შეიძლება დაიბრუნო, მაგრამ გაყიდულ მიწას ვეღარასოდეს დაიბრუნებ და უმიწო ერი ჰაერში გამოკიდებული რჩება. მას ბაბუაწვერასავით ათამაშებს და წაიღებს ისტორიის ქარბორია.

დღეს კი, დღეს, ჩვენდა სავალალოდ, სამების ტაძრის ამ საძირკვლის შორიახლო უცხოელი დასახლებულა და ზეცას წვდება მისი ყაყანი.

არასოდეს მორეულ მტერს ისე არ დაუცინია საქართველოსთვის, როგორც ახლა რუსეთი დაგვცინის. მისი ცინიზმი უსამანოა; გვაიძულებს ველურ აფსუათა ტომის სისხლიან ატამანს ხელი ჩამოვართვათ და ვეხვეწოთ, ბედიის ტაძარში სალოცავად შესვლის ნება დაგვრთოს.

... და მაინც უზარმაზარ ქვაბულში ფუსფუსებენ ქართველნი. ზუჩისფერ მიწას ქვიტკირის არტახებით კრავენ. დიდი ტაძრის აგებას იწყებენ.

ეს დღე 1996 წლის 3 მარტი ერთ სულად, ერთ გრძნეულ ჰარმონიად, ერთ მუშტად ჰკრავს ამ წუთებს და იმ შორეულ წუთებსაც, გელათის საძირკველში ესოდენ საყვარლად, იმედიანად, გამართულად რომ იდგნენ ჩვენი შუბლნათელი წინაპრები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერის სული გადარჩენილია.

საძირკვლის კურთხევა დამთავრდა.

ხალხი ქვაბულიდან ნელ-ნელა გაიკრიფა.

ჯვართან შეუმშრალი დუღაბი, მოელვარე სანთლები და რამდენიმე მლოცველიღა დარჩენილა.

ბრტყელი სიპი ვიპოვე. ზედ კაჟის ნატეხით „აჩიკო მიშველაძე“ ამოვკაწრე და საძირკველში კი არ ჩავაგდე,

ტყვიისფერ დუღაბში ჩავაკარ-ჩავაწებე. ეს ქვა აქედან აღარასოდეს გამებნევა. თუნდაც ასი საუკუნის შემდეგ ტაძარი შეიძლება დაინგრეს (ღმერთმა ნუ ჰქნას), მაგრამ საძირკველი ყოველთვის გადარჩება ხოლმე, შენობის აღდგენა-განახლების ურყევ ბალავრად და გარანტად. იყოს სამების ტაძრის საძირკველში საქართველოსთვის შეწირული ერთი პატარა ბიჭის სახელიც.

უიღბლო

ვუძღვნი ვაჟა აბაკელიას

უიღბლო ვარ, აბა რა ვარ, ყველაფერში უიღბლო. ზოგს იმნაირი ყისმათი დაყვება, უკუღმა რომ გადააგდოს, წაღმა დავარდება. ყველამ მოუძებნა რაღაცა მუღამი ამ ახალ ცხოვრებას და მე – ვერა. ასი კვერცხისმდებელი ქათამი რომ გაუშვა ეზოში და ერთი გოურიო არამდებელი, დაიჭირე რომელიც გინდაო, რომ მითხრა, იმ ერთს დავიჭერ. შენ გგონია არ ვცდილობ? ამის ნახევარს არ წვალობს ზოგი, მარა ქე აქვს აწყობილი საქმე. გაკეთდა ხალხი შავი დედალივით, მე დავრჩი ცარიელ-ტარიელი გალოკილი თითივით.

ჯერ იყო და სამი ქცევა მიწა ავიღე იჯარით, დავთესე სიმინდი, მუხუდო და ლობიო. მოსავლის ნაწილს მე დავიტოვებ, ნაწილს გავყიდი და იჯარას გადავიხდი-მეთქი. რაც მე ოფლი ჩავაქციე, არ ვაგდებ სათვალავში, ცოლ-შვილს წელი რომ მოვწყვიტე მუშაობით, თუ გინდა არც ამას ვანგარიშობ, ტრაქტორის და სასუქის ფული მაინც ამომეღო. გვალვები ჩემს ბედზე დაიჭირა მაინცდამაინც. მოკლედ ათი კილო ლობიო დავთესე და ხუთი ამოვიღე, საშუალოდ რომ ვთქვა, ასე წავიდა ჩემი საქმე. მერე თურქეთში წასვლა მირჩიეს. წავალ, მე ვთქვი, ქვეყანა დადის, ვსინჯავ რა გამოვა-მეთქი. სამი ტომარა თხილი და ორასი პაჭკა მარგარინი წამოვიღე გასაყიდად, ეგება ორი კაპიკი მოვუგო-მეთქი. ქუთაისსა და სამტრედიას შუა წამართვეს ყაჩაღებმა. ბოლო იმედი ბირჟა იყო. ფულის გაყიდვაში მომეხმარე და ამ თვეში მინიმუმ ხუთი ათასს გაგაკეთებინებო, მეზობელმა. წავყევი. პირველ დღესვე ერთი დახეულ-დაწეპებული ასდოლარიანი და ორი ყალბი ორმოცდაათდოლარიანი შემომაჩეჩეს. ამით დამთავრდა ჩემი მებირჟეობა.

ამასწინათ მატარებელში ერთი უყაბალახო, წკანტულვაშა კაცი ჰყვებოდა; ბიძაშვილი მყავს ერთი უბედურნახევარი, ავარიებით ირჩენს თავსო. რა ავარიებით, რანაირად, მე ვუთხარი. როგორ და დგება სვეტაფორთან, წითელზე გავლილ მანქანას წინ აუფრთხიალდება, ვითომ დაიბნა, იქეთ ეცემა, აქეთ ეცემა, იმდენს იზამს რომ წაარტყმევინებს ბარძაყზე ან იდაყვშიო. აბა კივილი, აბა ხალხი, შოფერი გამოჭერილია ნახაფანგარი მაჩვივით. ოხრავს, ხვნეშის, ეს ჩემი ბიძაშვილი, თითქოსდა, სასიკვდილოდ არა, მაგრამ ძალიან დაშავდა, თითქოსდა ხერხემლის მოტეხილობა თუ არა, გაბზარვა მაინც აქვს. თუ იმ წუთში არ შეაწერა პინგვინ-შოფერს ასი ათასი მაინც, საავადმყოფოში წვება და სასამართლოში უჩივლებს. ბოლოს, ჩვენში, ხომ იცი ყველა საქმე მორიგებით მთავრდება და დაზარალებული თავის წილს იღებს.

მთელი კვირა ვფიქრობდი ფულის შოვნის ამ მეთოდზე. ერთი-ორჯერ კინაღამ გავრისკე. დავარტყმევინებ ვინმეს მსუბუქი დაჟეჟილობის თუნდაც ორმოცდაათათასიანი დარტყმით-მეთქი, მაგრამ რა დაგიმალო, ვერ გავბედე. ბოლო მომენტში ვიხევდი უკან. ვაი თუ ვერ მოზომოს შოფერმა, კაცია ისიც, ხომ შეიძლება, შეშინდეს და რული გაექცეს, მხიოს დასხოშიანად და გადამაგდოს სამ მეტრზე. პრასი ხომ არა ვარ მეორეჯერ მოვიდე-მეთქი.

ეზოში ერთი დანჯღრეული, პირველი გამოშვება ჟიგული მიდგას. ოცდაოთხი წლის მანქანაა, რომ არ დაგიმალო. ძარა-იატაკი კი ისე დალპა, ასხლეტილი ქვა ხანდახან იატაკიდან სალონში ხტება. ისე ჯაყჯაყებს, გეგონება კარები საცაა ჩამოწყდებაო. ბენზინს რომ თავი დავანებოთ, ათ კილომეტრში ორას გრამ ზეთს ჭამს. მიგდია ხუთი წელია. საგარაჟო ადგილის მოსაკავებლად თუ მარგია, თორემ სხვაში არაფერში. ყიდვით არავინ ყიდულობს. წელიწადი რომ ეგდოს ქუჩაში, მოსაპარ-გასაძარცვავად კაცი არ გაეკარება.

შევხედე ამ ჩემს ბებერ ჟიგულს და ერთი ცუღლუტობა მომივიდა თავში.

მეზობელს აკუმულატორი ვენათხოვრე, დავქოქე რის წვალება ვაი-ვაგლახით და გავფართხუნდი ქუჩაში, ელბაქიძის დაღმართზე წინ ჩავუდექი „ვოლგას“. გაზ-24 თერთმეტია, თეთრი ფერის. საჭესთან ტყავისპალტოიან-ჰალსტუხიან-ღაბაბიანი მამაკაცი ზის. ხელმომართული ბიძები რომ არიან, იმ ტიპისა გახლავთ. გასწრება უნდა. გაიწია განზე, მივიწიე მეც იქეთ, აქეთ გამოიწია, მეც აქეთ გამოვიწიე. სიგნალს მაძლევს, ვითომ არ მესმის. შევურჩიე მომენტი და დავატორმუზე. დამარტყამს, არ უნდა ლაპარაკი. დამარტყამს და დამნაშავე თვითონ იქნება. უკნიდან დარტყმა ხომ ყოველთვის დამრტყმელის ბრალია. ასე, რომ მოგიწევს ჯიბეში ხელის ჩაყოფა, ჩემო გვრიტო, ვამბობ გულში, მუხრუჭს ვაწვები და სარკეს თვალს არ ვაშორებ.

ხომ გითხარი, უიღბლო რომ დაიბადება ადამიანისშვილი, იმას არ შველის არაფერი-მეთქი. ვოლგიანმა კატის რეაქცია გამოამჟღავნა. სასწაულით მოღრიჯა საჭე და ამაცილა, სამაგიეროდ ტროლეიბუსი მოჰყვებოდა თურმე უკნიდან და ტროლეიბუსმა ისე ღონივრად მგლიჯა, თავით პარპრიზი კინაღამ გამატანინა.

ტროლეიბუსის შოფერს რა უნდა ელაპარაკო. კაპიკის მოხერხებას რომ იყოს, ტროლეიბუსზე დაჯდებოდა? ჩემსავით გაღლეტილი აღმოჩნდა, ვიღაცა იყო. წაიშინა თავში ხელი, ფარი გამიტყდა, ასე ვერ შევალ გარაჟშიო.

ბოლო ათასმანეთიანი მედო ჯიბეში შავი დღისთვის, ამოვიღე და მივეცი.

ჩემს ჟიგულს რა ჭირდა? უკანა სავარძელი წინაზე იყო მიტყუპებული, ხოლო შიტოკი ისე იყო დაგრეხილი, რომ განასკვული გეგონებოდათ.

ახალი არხი

მოხუცი მწერალი (მწერლებიც ბერდებიან) ნიკა შერვაშიძე მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში იჯდა და უერთგულეს ბიბლიოთეკარს ქ-ნ დოდოს ეწუწუნებოდა.

ნავთზე გამომგზავნეს და გითხრათ სიმართლე, არც მეგონა ბიბლიოთეკა თუ ღია დამხვდებოდაო. დაკეტეთ და წადით შინ, ვინ შემოვა ამ ყინვაში, ვის უნდა დღეს წიგნი და ჟურნალიო. დილით რომ გავიღვიძებ, ლოგინიდან გადმოსვლა არ მინდა, თავი მომბეზრდა. ახანხალდი, იკანკალე, გაძვირებული პურის რიგში, უწრუწუნე, მერე ჩაიდანს ადუღებამდე სამჯერ რომ გამოურთავენ შუქსო. ათი ცალი წიგნი მქონდა დარჩენილი შარშანწინდელი გამოცემიდან. მივიტანე მაღაზიაში, მეხუთე თვეა დევს. ერთი ცალიც არ გაყიდულა. გურამი რომ არ ყოჩაღობდეს და თავისი მიდგომ-მოდგომით რაღაცას არ შოულობდეს, შიმშილით ამოგვძვრებოდა ჭუკივით, მწერლებს სულიო!

ბიბლიოთეკარს თავის მხრივაც ჰქონდა სათქმელი. როგორც კი პაუზას მოვძებნი, ვეტყვი: ბატონო ნიკა, ხანდახან ისე გამეყინება თითები, გასაღების გადატრიალებასაც ვერ ვახერხებ. ლამის აქ გავატარე მთელი ცხოვრება და მენანება აქაურობის მიტოვება. რა ვქნა, უარეს დღეშიც რომ ჩავვარდე, მე უმწერალთაკავშიროდ ერთ დღესაც ვერ ვიცხოვრებ. არ შემიძლია ჯიხურში ჯდომით თავის რჩენა და რა ვქნაო, ფიქრობდა იგი.

უფრო საინტერესო რამეებიც ჰქონდა სათქმელი ქ-ნ დოდოს, მაგრამ ვერ ამბობდა, იმ არც თუ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხცოვანი მწერალი ნიკა შერვაშიძე თავის შთამბეჭდავ მონოლოგში დროის ღრიჭოს არ ტოვებდა და მსმენელს სიტყვის ჩაგდების საშუალებას არა და არ აძლევდა.

თებერვალი იწურებოდა.

ბებერი ფიჭვის ქვეშ სველი ყვავები გაუნძრევლად მიჰკვროდნენ ერთმანეთს და ამაოდმოფუსფუსე, ცალფეხა შაშვს მდუმარედ შესცქეროდნენ.

ცალფეხა შაშვი დახტუნაობდა, ჭახჭახებდა, გამხმარ ბალახს და გირჩებს უაზროდ, უშედეგოდ ჩაჰკრავდა შიგა და შიგ ნისკარტს, თითქოს ქანდაკებადქცეულ ყვავებს ეუბნებოდა – ცოტა გაინძერით, ბიძია, აბა რავა გინდათ თქვენო.

ბიბლიოთეკაში თავყურშეფუთული, ქურქიანი გოგონა და მაღალი მოკლეწვეროსანი გამხდარი ბიჭი შემოვიდნენ.

ბიჭმა პატარა ჩემოდანი გახსნა. ვიდეოკამერა მხარზე გაიდო, გოგონას მიკროფონი გაუწოდა. გოგონამ ზონარი გაკეცილად დაიჭირა, ერთმანეთს თავი დაუქნიეს და შერვაშიძეს მიუახლოვდნენ.

– ბატონო ნიკა,

– ა? – რამდენადაც მოახერხა სწრაფად წამოდგა შერვაშიძე. ამ ნოველის ავტორმა იცის, რომ „სწრაფად წამოდგომა“ „წამოხტომაა“, მაგრამ ბატონი ნიკას წამოდგომას წამოხტომას ვერა და ვერ დაარქმევს.

– ჩვენ ახალგაზრდული ტელევიზიიდან ვართ, ახალი არხი იხსნება სახელწოდებით „დაუკარით!“ გთხოვთ მოგვესალმოთ – ჭკვიანური გამომეტყველებით, მაგრამ, ცოტა არ იყოს, საზეიმო ინტონაციით უთხრა გოგონამ.

– რა ვქნა? – ნიკა შეცბუნებული ჩანდა.

– გთხოვთ მოგვესალმოთ, – გაიმეორა გოგონამ და ამ განმეორებაში იგულისხმებოდა: „არ შეგეშინდეთ, ბატონო ნიკა, თქვენგან მოსალმების მეტს არაფერს ვითხოვთო“.

– მოიცათ, მოიცათ, გამორთე შვილო, ეგ კამერა – ოპერატორისკენ გაიშვირა ხელი ნიკამ.

ოპერატორმა ღილაკს თითი აუშვა.

– „დაუკარით!“ რამე მუსიკალურია?

– არა. ახალგაზრდული გადაცემა იქნება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური. საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე.

– საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე... კარგი რამ არის... მაგრამ „დაუკარით!“ რა შუაშია?

– ეს საერთოდ არხს ერქმევა. ახალგაზრდულია და მოგეხსენებათ...

– მე არაფერი არ მომეხსენება... ის ლექსი, საიდანაც ეგ „სახელწოდება“ აიღეთ, ბოლომდე წაკითხული გაქვთ?

– რა თქმა უნდა.

– მაშ, ისიც გეცოდინებათ. კომუნისტები რომ ყელყელაობენ, ქართულ აზრს ცენზურის მარწუხები ყელში რომ უჭერს, კაცის დაპატიმრება-დახვრეტა ორშაურად რომ არის, მაშინ თქვენი ხნის, ოცდასამი წლის ჭლექით ფილტვებდაღრღნილი ბიჭი განწირული ხმით ჰყვირის: „ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებო“... „ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენიაო“, როგორ ფიქრობთ, რამოდენა გაბედულება იყო ამის თქმა მაშინ? როგორ ფიქრობთ, „მტერში“ ვის გულისხმობდა ლადო ასათიანი?

– საქართველოს დამპყრობლებს და ჩვენც „დაუკარით“ იმიტომ დავარქვით ახალ არხს.

– არა შვილო, თქვენი „დაუკარით“ ის „დაუკარით“ არ არის.

– რატომ, ბატონო ნიკა?

– ვხედავ, როგორც უკრავთ და იმიტომ. კარგად ვიცი, რა იქნება თქვენი ახალგაზრდული არხი. ორი წუთი, როგორც ამბობთ, საჭირბოროტო საკითხებზე საუბარი, სადაც ყველაფერს იტყვით, როგორ არა: მაგალითად თქვენი საჭირბოროტო პრობლემა დღეს ახალგაზრდისთვის ის არის, რომ ცოტაა ქალაქში გასართობი ადგილები. თავისუფალი დროის პრობლემა გაქვთ. აი, რაზე ილაპარაკებთ.

– ალბათ მაგაზეც და სხვა პრობლემებზეც.

– ჰო, სხვა მსგავს პრობლემებზეც, მაგრამ მინიშნებითაც კი არ იტყვით, რომ საქართველო დღეს მგლოვიარე ქვეყანაა და ყელზე აქვს დადგმული რუსული ჩექმა.

– ჩვენ პოლიტიკისაგან თავისუფალი არხი გვექნება.

– ჰოდა, პოლიტიკისაგან თავისუფალ არხს მე ვერ მივესალმები, ბიძიკო.

– დღედაღამ ხომ ვერ ვიწუწუნებთ, ხომ უნდა გავართოთ, გავამხნევოთ ერთმანეთი ბატონო ნიკო.

– გამხნევება და გართობა სხვადასხვა ცნებებია. ნუ გეშინიათ, მე კარგად ვხვდები თქვენი პროგრამა სამხიარულოგასართობი პროგრამა იქნება. ერთი წუთი უპრობლემო პრობლემის გამოგონება, ხუთი წუთი ფამილარული, გულისამრევი, უკბილო ხუმრობები და ოცი წუთი ცეკვა-თამაში. აბა რა, თქვენ ხომ ახალგაზრდები ხართ. ახალგაზრდის მოწყენა როგორ შეიძლება. არა და ლადო ასათიანი როცა „სალაღობოს“ წერდა – მოწყენილი იყო. ეგ ლექსი სასოწარკვეთილი კაცის გულისგამგლეჯი ბღავილია.

– რატომ გადაგვიწურეთ წინასწარ წყალი. რა იცით თქვენ, როგორი იქნება ჩვენი არხი, ჯერ ხომ ეთერში არ გავსულვართ.

– ვიცი, შვილო, ვიცი. სხვანაირად თქვენი არხი არ დაიბადებოდა. მე მარტო „არხი“ კი არ ვიცი. სხვაც ვიცი ცოტა რამ და ამიტომ ვარ ცუდ ხასიათზე. ამიტომ ჩავდივარ გულდამდუღრული საფლავში.

– რა, არ მოგწონვართ თანამედროვე ახალგაზრდები?

– რა უფლება მაქვს, არ მომწონდეთ... ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხომ მომცემთ უფლებას ხუთი წლის წინანდელ ახალგაზრდობას შეგადაროთ და თქვენი გულისამრევი შემგუებლობით უკმაყოფილო ვიყო.

– რა, ტანკს ჯოხი დავარტყათ? რას მიაღწიეს ხუთი წლის წინანდელმა ახალგაზრდებმა?

მოხუცი მწერალი შეაწუხა ქალიშვილის შეკითხვაზე უფრო იმან, რომ იგი მისი ასაკისათვის შეუფერებელი, ნიშნისმოგებითი სითამამით შესცქეროდა.

– რა გააკეთეს და საქართველო გამოაღვიძეს.

– მერე და ხომ ზის ახლა გამოღვიძებული საქართველო

თქვენსავით ამ გაყინულ ბიბლიოთეკაში. მაპატიეთ მშიერი და მწყურვალი.

– მარტო მშიერ-მწყურვალი არა, დამცირებულიც.

– ოღონდაც.

– და იქნებ გასართობი პროგრამით ცოტა შევამხიარულოთ, ხომ?

– რა შუაშია შემხიარულება? საერთოდ ახალგაზრდულ წამოწყებას უნდა ესალმებოდეთ.

– რას მოგცემთ ჩემი მისალმება, ქალიშვილო. მე მაშინ მოგესალმებით სამ-ოთხ გადაცემას რომ გააკეთებთ და რომ დავინახავ, თქვენ საქართველოსთვის საჭირო არხი ხართ. მაშინ მოგესალმებით კიდეც და ჩვენს დღევანდელ სიტყვებსაც უკან წავიღებ.

ნიკა შერვაშიძე ნელა დაეშვა სკამზე და ქალბატონ დოდოს მიაჩერდა.

ახალი არხის წარმომადგენელს კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ჩანს გადაიფიქრა და, მე მგონი, სწორად მოიქცა.

წვეროსანმა ბიჭმა კამერა ჩემოდანში ჩადო და მიკროფონშნურიც ლამაზად ჩაუკეცა გვერდზე.

ორივენი გამოუმშვიდობებლად გაწბილებულნი მაგრამ წეხანდელზე უფრო დაფიქრებულნი წავიდნენ კარებისაკენ.

თებერვალი იწურებოდა.

ბებერი ფიჭვის ქვეშ სველი ყვავები გაუნძრევლად მიკვროდნენ ერთმანეთს და ამაოდმოფუსფუსე, ცალფეხა შაშვს მდუმარედ შესცქეროდნენ.

ცალფეხა შაშვი დახტუნაობდა. ჭახჭახებდა. გამხმარ ბალახს და გირჩებს უაზროდ, უშედეგოდ ჩაჰკრავდა შიგადაშიგ ნისკარტს, თითქოს ქანდაკებადქცეულ ყვავებს ეუბნებოდა – ცოტა გაინძერით, ბიძია, აბა რავა გინდათ თქვენო.

იმიგრანტი

იდგა 2096 წლის 7 აპრილი.

ჟვანიას სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ათასფრად აციალებულ პლანეტარიუმს ჰგავდა.

ღამეულ ცას კარგად თუ დააკვირდებოდით, სამხრეთ-დასავლეთისკენ შეამჩნევდით ძლივსმბჟუტავ, ბებერ მთვარეს, „ნამლევ მთვარეს“ რომ ეძახდნენ ქართველები.

კომპიუტერული ცენტრი სკასავით ბზუოდა.

დარბაზში ტევა არ იყო.

ერთნი ნერვიულად მიმოდიოდნენ ისე, რომ, თავიანთ ნერვიულ მიმოსვლაში ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ. მეორენი სავარძლებზე მიწოლილიყვნენ, მაგრამ, როგორც სავარძელზე მიწოლის დროს იცის ხოლმე, ღრმა ფიქრებში კი არ იყვნენ ჩაძირულნი, შვიდკუთხა მინის დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელ-ტაბლოს გაფაციცებით შესცქეროდნენ.

„ვაცლავ კვატაშიძე“ – დაჩნდა ტაბლოზე.

ციცრისფერმოსასხამიანი, პერპენდიკულარულადთმადდავარცხნილი, საშუალოასაკგადაცილებული მამაკაცი წამოხტა და ტაბლოსკენ გაიქცა. ექვსიოდე გრძელი ნაბიჯი რომ გადადგა, შემოტრიალდა („შემოტრიალდა“ და „შემობრუნდა“ ერთი და იგივე შინაარსის მქონე სიტყვაა, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ „შემოტრიალდა“ სიჩქარეს უსვამს ხაზს, „შემობრუნდა“ უფრო ნელია), თეთრ რიდეს და მონიკელებულ მინიჩემოდანს ხელი სტაცა და არავის დამშვიდობებია, გაღიმებითაც კი არავისთვის გაუღიმია, სერიოზული, ზრუნვითპყრობილი სახით, წეხანდელზე უფრო დიდი ნაბიჯით გაექანა ტაბლოს ქვემოთ, თითბერის უზარმაზარი კარებისაკენ, რომლის თავზეც ამასობაში წითელი ნათურა ჩამქრალიყო და მწვანე ანთებულიყო.

წუთის შემდეგ კვატაშიძე ოთხკუთხთავიან კომპიუტერ-რობოტის წინ იჯდა.

რობოტი პოლიპებიანი კაცის ინტონაციით, უსიამოვნო ყიყინა ხმით, მაგრამ მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს:

„გილოცავთ, კომპიუტერმა თქვენი ქართული წარმომავ-ლობა დაამტკიცა. თქვენი პაპისმამა ბუთხუზ კვატაშიძე 1993 წელს ლტოლვილა ჰოლანდიისკენ და მოჩვენებითი სტაბილი-ზაციის შემდეგაც იქ დარჩენილა. თქვენ ათ წუთში მიიღებთ საქართველოს მოქალაქის პასპორტს. კიდევ ერთხელ გილო-ცავთ“.

რობოტის შუბლზე ცისფერი ნათურა აციმციმდა.

– გმადლობთ. როგორ იქნება დასახლების საქმე?! – რო-ბოტის თავყურს ჩასძახა კვატაშიძემ.

– ვერ გავიგე, რას მეკითხებით და საერთოდ, თუ შეი-ძლება ხმადაბლა ილაპარაკეთ, რა გაყვირებთ.

– ბოდიშს ვიხდი, – ჩურჩულზე გადავიდა ჰოლანდიის ყო-ფილი ქვეშევრდომი, აწ უკვე საქართველოს მოქალაქე – სად დავსახლდე, მიწის საქმე როგორ იქნება-მეთქი.

რობოტი წამით ჩაფიქრდა. – თქვენმა პაპისმამამ ბუთხუზ კვატაშიძემ ჰოლანდიაში გაქცევის წინ ალი უსუპ ოღლის მი-ჰყიდა სააგარაკე მიწის ნაკვეთი სოფელ მუხაწყაროში, ხოლო თბილისში ოროთახნახევრიანი ულოჯო ბინა მდებარე თეიმუ-რაზ ჩალაბაშვილის ქუჩის მეორე ჩიხში გაასხვისა მოქალაქე სარვაროვზე.

– რა ვქნა აბა მე. იქნებ ხელისუფლებამ გამომიყოს სადმე მცირე ნაკვეთი როგორც იმიგრირებულ ემიგრანტს.

– სამწუხაროდ, სახელმწიფოს თავის განკარგულებაში ერთი მტკაველი მიწაც არ გააჩნია.

– ეს როგორ?

– 1996 წელს მიღებული მიწის კანონით პარლამენტმა მიწა კერძო მფლობელობაში დააკანონა, მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის უფლებით.

– მერე?

– იმდროისათვის ქართული მიწების დიდი ნაწილი ღორმუცელა ფუნქციონერების მიერ უკვე მიყიდული იყო არაქართველებისათვის. პარლამენტმა ამ დანაშაულს სასწრაფოდ წააფარა კანონი. დარჩენილი მიწები 1996-2000 წლებში გაიყიდა.

– ვინ იყიდა?

– ვისაც ფული ჰქონდა. ძირითადად სომეხმა და აზერბაიჯანელმა.

– რა უფლებით?

– ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. იმ წლებში ტელევიზია პროვოკაციულად იმეორებდა კანონის ერთ პუნქტს: „მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ეძლევათო“. დოყლაპია ქართველებს „საქართველოს მოქალაქეები“ მხოლოდ ქართველები ეგონათ. მაშინ, როცა, იმ დროს საქართველოში უკვე ცხოვრობდა ნახევარი მილიონი სომეხი, ოთხასიათასი აზერბაიჯანელი და სამასიათასი რუსი.

– კი მაგრამ ქართველებს რატომ არ ჰქონდათ ფული?

– რატომაც არა აქვთ ხოლმე, საერთოდ, ბედოვლათ, მოქეიფე, გულარხეინ ადამიანებს. ესეც არ იყოს სომხებს და აზერბაიჯანელებს თავიანთი დიასპორები გაფაციცებით უგროვებდნენ ფულს – არიქა ქართველები მიწას ჰყიდიან და დაეპატრონეთო.

– ქართველებმა არ იცოდნენ რომ უმიწო ერი ჰაერში რჩება და განწირულია დასაღუპავად?

– ვინც ეგ იცოდა, იმას ერი არ უსმენდა. კაცმა რომ თქვას, ერი არც მარიონეტულ ხელისუფლებას უსმენდა, უბრალოდ მაშინ მძიმე სიტუაცია იყო და უცხო ტომებმა ამით ისარგებლეს.

– რა სიტუაცია იყო ასეთი?

– შიმშილი მძვინვარებდა. სახელმწიფო თავის მოქალაქეებზე იოტისოდენასაც არ ზრუნავდა. გლეხი მიწას ტექნიკასასუქის უქონლობის გამო ვერ ამუშავებდა. ახალგაზრდობის ლამის მესამედი სოფლად და ქალაქად ნარკომანი იყო.

– შიმშილმა და ნარკომანიამ გამოაცალა მიწა საქართველოს?

– ოღონდაც.

– ჩემი სამშობლოს მიწა ხომ მეც მეკუთვნოდა ასი წლის მერე დაბადებულ ქართველს.

– მაგაზე პარლამენტს და ხელისუფლებას უნდა ეზრუნა. მიწის გაყიდვის უფლება როდი უნდა დაეშვა, პირიქით, მიწის გასხვისებაზე სასტიკი სასჯელი უნდა შემოეღო. იმ დროს ასე იყო საჭირო. მიწა სახელმწიფოს თავის ხელში უნდა აეღო – ხელშეუხებელ საკუთრებად უნდა გამოეცხადებინა. მაგრამ იმ დროს პარლამენტის წევრებს, თავისი თავი სტალინზე უფრო ჭკვიანი ეგონათ.

– რა ვქნა ახლა მე? – სასოწარკვეთილი ხმით იკითხა კვატაშიძემ.

– ჩვენ რჩევებს არ ვიძლევით – დაიყიყინა რობოტმა.

– იქნებ საყიდლად მაინც ვიშოვო სადმე მიწა საქართველოში.

– მიწის ბირჟის ბოლო მონაცემებით საქართველოში მიწის ფასი მსოფლიოში ყველაზე მაღალია. რაც შეეხება ყიდვას, მოიმარჯვეთ ბლოკნოტი და ჩაიწერეთ: „ზემოქართლის ზონა, პკბჩგნიანცის კანტორა – 1 კვადრატული მეტრი ორმოცდაათიათასი დოლარი, მესხეთის ზონა, მკრტიჩიანის კანტორა – 1 კვადრატული მეტრი ორმოცდარვაათასი დოლარი, ქვემო ქართლის ზონა, ყურბან ყურბან ოღლის კანტორა, 1 კვადრატული მეტრი – ორმოცდათორმეტი ათასი დოლარი, იმერეთის ზონა, ზურაბოვის კანტორა – 1 კვადრატული მეტრი – ორმოცდათხუთმეტი ათასი დოლარი. გურიის, სამეგრელოს და კახეთის ზონაში გასაყიდი მიწები აღარ არის“.

„კიდეც რომ იყოს ჰოლანდიიდან ჩამოყოლილი ორიოდე კაპიკით ამ დევურ ფასებს მე მაინც ვერ შევწვდებიო“, გაიფიქრა კვატაშიძემ და იგრძნო, როგორ დაუარა უიმედობის ავმა სიცივემ ფეხის ფრჩხილებიდან ხელის ფრჩხილებამდე.

– როგორ მოვიქცე. იქნებ რაიმე მირჩიოთ, გემუდარებით – გმინვა, ისმოდა იმიგრანტის ხმაში.

– ხომ გითხარით, ჩვენ რჩევებს არ ვიძლევით.

– გამონაკლისის წესით.

– ჩვენ გამონაკლისებს არ ვაკეთებთ – რობოტს, ცოტა არ იყოს, მკაცრი, კატეგორიული ხმა ჰქონდა.

– ჩემი პაპისპაპის საფლავის მიწა ხომ მაინც მე მეკუთვნის. იქნებ მითხრათ, სად არის დასაფლავებული ნეტარხსენებული ბუთხუზ კვატაშიძის მამა?

– ბუთხუზ კვატაშიძის მამა, ანუ თქვენი პაპისპაპა გიგლა კვატაშიძე დასაფლავებულია ქუთაისში, ყოფილი ოღასკურას სასაფლაოზე, მთავარი შესასვლელიდან მარცხნივ, მეცხრამეტე საფლავი.

– გმადლობთ – კვატაშიძე ნელა წამოდგა.

– მოითმინეთ, პასპორტი წაიღეთ, – ამ სიტყვებთან ერთად რობოტმა რკინის პირი გააღო და პასპორტი გადმოაგდო.

* * *

2096 წლის 14 აპრილს შუაღამისას ქუთაისში ოღასკურას სასაფლაოზე თავისი პაპისპაპის გიგლაია კვატაშიძის საფლავის ლოდზე იჯდა ქართველ ემიგრანტთა შთამომავალი ვაცლავ კვატაშიძე და ტიროდა.

ქარი არ ქროდა. სასაფლაოს ორღრუბელგაშვებით შიგადაშიგ თვლემამორევით დასცქეროდა ბებერი მთვარე.

ტელესაუბარი

მოსკოვი ჩავრთე.

ტელევიზორის ეკრანზე ჯერ მაღალბოხოხიანი, შავწვეროსანი, გამხდარი, შუახნის კაცი გამოჩნდა. მერე მის წინ ორი რუსი და ბოლოს დარბაზში მჯდომი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცთუ ნეიტრალური მსმენელ-მაყურებელი.

ჩეჩენისა და რუსის ტელესაუბარზე მოგიწვიეთო, პროგრამის წამყვანმა, თუ „პროგრამის მსვლელობისას“ შეკითხვა გაგიჩნდეთ, ამ ნომრებზე დაგვირეკეთო და ეკრანზე რიცხვებმა გაირბინეს. არც მიცდია მათი დამახსოვრება. გადაცემის დროს ჩვეულებრივ არ ირეკება ხოლმე.

იჯდა კრაველისქუდიანი ჩეჩენი. სახეზე დაღლილობა ეტყობოდა, მაგრამ გამართულად, ამაყად იჯდა. ალბათ ასე იჯდა ერთ დროს შამილი იმპერიის საგამომძიებლო კანცელარიაში. ვიცი, ახლა აქ არავითარი ტელესაუბარი არ გაიმართება. ეს იქნება ჩვეულებრივი დაკითხვა. ჩეჩენს შეეკითხებიან, ჩეჩენი უპასუხებს.

მართლაც ასე მოხდა.

რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი, პაპახოვი და რუსეთის მოქალაქე სერგეევი თქვენს ეკრანებზეო, ლუბიმოვმა.

ჩეჩნეთის მოქალაქეო, შეუსწორა პაპახოვმა.

როგორ, თქვენ რუსეთის მოქალაქე არა ხართო? სერგეევმა ჰკითხა ჩეჩენს.

არაო, მე ჩეჩნეთის მოქალაქე ვარო.

კი მაგრამ, ჩეჩნეთი ხომ რუსეთის ნაწილიაო.

ეგ თქვენ გსურთ, სინამდვილეში ჩეჩნეთი ჩეჩნეთია, რუსეთი – რუსეთიაო.

იქნებ შუა რუსეთში მდებარე თათრეთის ავტონომიური ოლქიც არ არის რუსეთიო.

ეგ თათრებს ჰკითხეთო, მშვიდად მიუგო ჩეჩენმა.

გაგვაგებინეთ რა გინდათ ჩვენგანო, კითხვა დაასწრო სერგეევმა.

სწორედ თქვენთვის მაგ შეკითხვის დასასმელად მოვედი დღეს აქაო.

საიდან გაქვთ ამ პატარა მთიელ ერს ასეთი სისასტიკეო. ნუთუ არ გრცხვენიათ, ყოველდღიურად ათობით პირტიტველა რუსის ჯარისკაცი რომ კვდება გროზნოშიო.

თქვენ გინდოდათ გეკითხათ, გვეცოდება თუ არაო, ჩეჩენმა, როგორ არ გვეცოდებაო. თქვენზე მეტად გვეცოდებაო.

როგორ ჩვენზე მეტადო.

თქვენ რომ გეცოდებოდეთ, ერთი კვირის გაწვეულ ლამაზ ბიჭებს სასიკვდილოდ არ გასწირავდითო.

რუსი საუბრის დროს თავს აკანტურებდა, მაგიდის ხან ერთ კუთხეს მიუჯდებოდა, ხან მეორეს. აშკარად ეტყობოდა, ღელავდა. ჩეჩენი კისერგაშეშებული იჯდა, ალბათ იმის შიშით, ბოხოხი არ გადამივარდესო. საერთოდ, საუბარში რეჟისორები რომ იტყვიან, სიტუაციას უფრო ჩეჩენი მართავდა.

ჩვენო, ის ბიჭებიო, სერგეევმა, საომრად და სასიკვდილოდ კი არა, წესრიგის დასამყარებლად გამოვგზავნეთო.

თუ გაქვთ საშუალება აჩვენეთ გროზნოს კადრები და ქვეყანა დაინახავს, რა წესრიგი დაამყარეს რუსის ჯარისკაცებმაო, პაპახოვმა.

კადრები არ უჩვენებიათ.

რა გინდათ, რას გვერჩითო, სერგეევმა, იცით თუ არა თქვენ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ორი მილიონით შემცირდა რუსი მოსახლეობაო. ჩვენ გადაშენების გზაზე ვდგავართო.

პაპახოვს ხმა არ ამოუღია. ვერ გეტყვით გულში შეეცოდა თუ არა, „გადაშენების გზაზე“ დამდგარი რუსეთი.

ნუთუ მუსულმანური რელიგია იმას გასწავლით, მფარველი რუსეთი არ დაინდოთო, სერგეევმა.

ალაჰი ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგია და ოდენ მშვიდობას და სათნოებას ქადაგებსო, ჩეჩენმა.

მითუმეტეს, შე კაი კაცო, თუ ასეა, რამ გაგამწარათო.

ჩვენ, ერთ დროს წაშლილი და დასაკარგავში გადასახლებული ხალხი, ძლივს მოვშენდით მამაპაპეულ მიწაზე და ტანკებით გვსრისეთ უმოწყალოდ, მაინც ჩვენ ვართ დამნაშავეო? ჩეჩენმა.

„ტი სმატრი!“

„კაკ ემუ ნე სტიდნო!“

„რასია ვამ ნე პრახადნოი დვორ!“

„ბესტიჟიე კაკოე!“

„ანი ჟე ვსე რაზბოინიკი!“

ისმოდა დარბაზში. ჩეჩენი ხანდახან შებრუნდებოდა და არწივულ მზერას მოავლებდა მაყურებელს. რუსი წამოძახილებს ყურადღებას არ აქცევდა. ჩანს, მასის რეაგირება ტელესაუბრის სარეჟისორო ნაწილი იყო.

შეგიძლიათ თუ არა მოკლედ ჩამოგვითვალოთ თქვენი სურვილი და პრეტენზიები რუსეთის მიმართ, გამჭოლი მზერა ესროლა ჩეჩენს სერგეევმა. აქაოდა, ამ კითხვას მაინც სად გაექცევიო.

როგორ არაო, პაპახოვმა, მთელი ჩეჩნეთის სურვილი ერთი სიტყვით გამოითქმის, იმ სიტყვას „თავისუფლება“ ჰქვიაო.

რუსებმა გაიცინეს. ლუბიმოვმა კი გაიღიმა.

შენ ბავშვი აღარა ხარ, წარმოიდგინე ერთი წუთით, ასე რომ არიგოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერებისთვის დამოუკიდებლობა და თავისუფლება რუსეთმა, რა დარჩება დიდი რუსეთისგანო.

რაც ისტორიულად რუსეთს ეკუთვნის, ის დარჩებაო. თქვენს ისტორიას მე ვერ გასწავლით და არც თუ შორეული ამბავია; ხომ გახსოვთ, როგორ დაიპყარით კავკასიაო.

კი არ დაგიპყარით, შეგიფარეთო.

ხომ შეიძლება ოქროს გალიიდან გაფრენა გვინდოდეს. თავისუფლების სურვილისთვის ბომბავთ ჩეჩნეთს ყოველდღე. ეს ფაშისტებსაც არ უქნიაო, ჩეჩენმა.

აბა, აბა ცოტა შედარებები შეარჩიეთო, გაუწყრა სერგეევი. უმჯობესია გვითხრათ, როდის მოეგებით გონს, რას დააკლებთ რუსის ჯარს თქვენ, უბადრუკი დუდაეველებიო.

ჩხუბი მორევაზეაო, ჩეჩენმა.

მაინც სანამ აპირებთ წინააღმდეგობის გაწევას?

სანამ თუნდაც ერთი ჩეჩენია ცოცხალიო, პაპახოვმა.

ბევრი დარჩით კიდევო? რუსმა.

ძალიან ბევრიო, ჩეჩენმა.

უარესის ღირსი ვართ რუსები, ეს შავები რომ თავზე დაგისვითო! აღშფოთება ვერ დამალა დარბაზში ქერაფცუა, ცხვირპაჭუა, რუსმა-პატრიოტმა.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

დარბაზს ვთხოვ, ხელს ნუ გვიშლის. საერთოდ ვის ხედავთ აქ „შავს“. თუ წვერებს მხედველობაში არ მივიღებთ, მე და პაპახოვი ერთნაირად შავები ვართო, უკბილო ხუმრობით სიტუაციის განმუხტვა სცადა ლუბიმოვმა, მაგრამ ამაოდ.

ჩეჩენმა მთელი საუბრის განმავლობაში პირველად ასწია ხელი.

– გთხოვთ ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ხომ შეიძლებოდა წამოცდენოდა. განვაგრძოთ საუბარი. რაც შემეხება მე, მიპატიებია ჩემი „სიშავე“ იმ ყმაწვილისთვისო.

მაყურებელმა ტაში დასცხო.

რა იყო ეს ტაში? საიდან მოვიდა იგი ორი მოსისხლე მტრის დაძაბულ დიალოგში?

იქნებ ჯერ ყველაფერი დაღუპული არ არის?

საუბარი გაგრძელდა.

* * *

ვიჯექი ტელევიზორთან თითებშიჩაფერფლილი სიგარეტით და ვცდილობდი შორსგაქცეული ფიქრების დაურვებას.

არცერთ მხარეს მოსაუბრეთაგან, შენ არ გახსენებიხარ, ჩემო სამშობლოვ.

არავის უთქვამს, რომ სანამ გროზნოს დაესხმოდნენ, რუსის ტანკებმა ჯერ საქართველოს გადაუარეს.

არავის უხსენებია, შარშანწინ რუსის მიერ უმოწყალოდ მოშთობილი ოცდაათიათასი ქართველი.

რუსს საქართველო, ალბათ, უკვე დამორჩილებული, გაჭრილი კარტი ჰგონია, ჩეჩენს კი, იქნებ, სინდისი ჰქენჯნიდა, საქართველოს დაპყრობაში მისი ხელიც რომ ერია.

ტელესაუბარი ტელესაუბრად, შენ კი მაინც შენი გზა გაქვს, ქართველო კაცო, და შენს ბილიკს უნდა უერთგულო.

შენი მკლავის გარდა ამ დუნიაზე შენი პატრონი არავინ არის.

1995

საკლასო წერა

დღეს საკლასო წერა გვქონდა. ქართულის მასწავლებელმა დაფაზე დაგვიწერა: „თბილისის ორმოცდამეთოთხმეტე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის (აქ წერტილები დაუსვა, ჩვენი სახელი და გვარი უნდა ჩაგვეწერა) საკლასო ნაშრომი თემაზე „მე ვიხსენებ“. დაწერეთო, რაც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათო. რასაც პირველ რიგში გაიხსენებდითო. გადახედეთ თქვენს ცხოვრებას და ყველას გექნებათ ერთი რამე, ყველაზე მკაფიოდ რომ დაეტყო თქვენს მეხსიერებასო. დაიწყო ჩემს გარდა ყველამ წერა. შენ რატომ არ წერო, ირაკლი, მასწავლებელმა. მე არაფერი მაქვს-მეთქი გასახსენებელი, პატივცემულო. ამაზე მთელმა კლასმა გაიცინა. როგორ, მასწავლებელმა, შენ, სოხუმელს, ლტოლვილს, არაფერი გაქვს გასახსენებელიო? არა-მეთქი. ისევ გაიცინეს. ჩვენს კლასში ცუდი ბავშვები არ არიან. სათითაოდ ყველა კარგია, მაგრამ ნაკლი აქვთ, მე მგონია, იცინიან ყველაფერზე. ბევრს იცინიან ძალიან. დაწერე სოხუმის ამბებიო, დაწერე შენი ოჯახის შესახებო, როგორ დაბომბეს სოხუმი, როგორ გამოიქეცით, რა გადაგხდათ გზაზეო. მე ვფიქრობ, სწორედ შენი ნაწერი უნდა იყოს ყველაზე საინტერესო, მასწავლებელმა. მაგას რა გახსენება უნდა-მეთქი, გასახსენებელი ის არის, რაც გავიწყდება და მეხსიერებიდან უნდა გამოიტანო, თორემ ჩემი სოხუმში ცხოვრება ჩემთვის გასახსენებლად ღმერთმა ნუ აქციოს-მეთქი. ფიქრებით მე ახლაც და ყოველ წუთს სოხუმში ვარ-მეთქი. კიდევ რომ გაიცინეს, ავდექი და გამოვედი გარეთ.

რა დამეწერა, აბა, მითხარი დედა, რა მქონდა გასახსენებელი. გასახსენებელი, იცი, რა არის? ვთქვათ, მაგალითად, ზოოპარკიდან მგელი რომ გაექცევათ და შენ დაჭერაში მიეხმარები, ან მატარებელზე რომ გაგვიანდება და უცნობი ბიძია რომ უფასოდ მიგიყვანს სადგურზე. ჩვენს ამბავში რა უნდა გამომეყო, რომელი ერთი უნდა დამეწერა.

ხომ არ დავწერდი სოხუმს მთელი წელი ბომბავდნენ, მაგრამ ჩვენ ქუჩას, წამლად რომ გინდოდეს, ერთი ბომბი არ დაცემია-მეთქი. ჩვენი ქუჩა ფუნიკულიორის ძირშია, მაღალ ადგილზე და, ხელისგულივით ჩანდა, როგორ იწვოდა-მეთქი სოხუმი. ხომ არ დავწერდი, დღე ეზოში ვიჯექით და ღამე სარდაფში გვეძინა-მეთქი. ამას რომ წაიკითხავდა მასწავლებელი, სიცილს უფრო არ დამაყრიდნენ? რაზე და ერთხელაც რომ არ გამიშვით ცეცხლის ჩასაქრობად, ერთხელ რომ არ გამიშვით სამორიგეოდ. შენო, აქედან იმორიგევეო, მომატყუა მამაჩემმა. ხელზე წითელი ლენტი გამიკეთა და ჩვენს ჭიშკართან დამსვა შუაღამემდე. იქ რა იყო საინტერესო. დამეძინებოდა, აბა რა იქნებოდა. ეს დამეწერა? იბრძოდნენ, ბატონო. ჩემზე პატარებიც იბრძოდნენ თურმე, თქვენ კი ყველაფერი გააკეთეთ, რომ გასახსენებელი ისეთი რამე, სერიოზული, არაფერი მქონოდა.

ის ხომ არ დამეწერა, დაბომბვის პირველ დღესვე ჩვენი კატა რომ გაქრა და როგორც კი გრადების გრიალი ატყდებოდა, ამხელა ნაგაზი ბროლია წკმუტუნით იკლებდა იქაურობას, სანამ სარდაფში ჩამოუვუშვებდით.

იქნებ ის დამეწერა, მურმან ბიძიამ ერთი თვით ადრე რომ დატვირთა მანქანები, არ უჩანს ამას კარგი პირიო და ფოთში რომ წაიღო ყველაფერი. დამეწერა? თქვენი ბრალი რომ არის, ახლა ფეხსაცმელი რომ არ მაცვია? ხომ გითხრათ მურმან ბიძიამ, ზეგვე უკან გამოვგზავნი ამ მანქანებს, დააწყეთ, რაც გაქვთ, წამოასხით, რაც გაბადიათ და წამოდითო. შენ და მამაჩემმა ხელები რომ გაასავსავეთ, სოხუმს ვერ აიღებენ, სოხუმი საიმედოდ არის დაცული და კიდეც რომ მოხდეს სასწაული, ჩვენ ხელს არავინ გვახლებს, ორივენი ექიმები ვართ. ავადმყოფებს ვმკურნალობთ, სულერთია ვინ იქნება ავადმყოფიო. დაგვეჯერებინა მურმან ბიძიასათვის, ხომ გადავარჩენდით ცოტა რამეს.

იმას ხომ არ დავწერდი, ბოლო დღეს იაშთუხის გზით რომ ჩამორბოდა ჩვენი ჯარი, მამაჩემი რომ გავიდა დოქით ხელში, რამდენიმე კაცი რომ გაუჩერდა, წყალი დაგვალევინეო. რა-

ტომ გარბიხართ, ბიჭებო, არავინ მოგსდევთ, რატომ მიატოვეთ პოზიციაო, მამაჩემმა რომ შეუყვირა და ერთმა ოფიცერმა კინაღამ დოქი რომ გადააფშვნა თავზე. წადი და იბრძოლე შიშველი ხელებით, მამა გიცხონდა, დაუდექი ტანკს წინ ავტომატით და გააჩერეო. მამაჩემს აქ მოსაკლავად არ გავუზრდივარ. ნამდვილი, თანასწორიარაღიანი ომი რომ იყოს, ვინ მამაძაღლი დაიხევდა უკან. სოხუმი მტერმა მაშინ აიღო, როცა მოტყუებით ტანკები და ქვემეხები გაგვატანია აქედანო. ეს დამეწერა? ხომ იცინებდნენ ბავშვები ჩვენს დოყლაპიობაზე.

ანდა ის რა დასაწერი იყო, ფაციფუცში ერთი ჩემოდანიც რომ ვერ ჩავალაგეთ ხეირიანად. ჩემი ფოტოაპარატი „კოდაკიც“ კი რომ დაგვიტოვებია, ჩავდევიო, შენ რომ მითხარი და არ ჩაგიდვია. ჭიშკარზე რომ გადმოვედით და მე რომ ვთქვი, ძროხას და ძაღლს დაბმულს ნუ ვტოვებთ, ცოდვები არიან-მეთქი. ამ ჩემს სიტყვაზე რომ შებრუნდა მამაჩემი და ყველაფერი აუშვა. ქათმები და ინდაურებიც ქუჩაში რომ გამოყარა და ჭიშკარი ღიად დატოვა, ეგება ძაღლმა მაინც უშველოს თავსო.

იქნებ ის დამეწერა, ძაღლმა „ბარათაშვილის ვაგზლამდე“ რომ ჩამოგვსდია და მამაჩემმა ქვის სროლით გააბრუნა უკან.

რა სასაცილოა, მერე ესო, შენ მეუბნები. შენი და ჩემი ჭკუით შეიძლება არ იყოს სასაცილო, მაგრამ კიდევ გეუბნები, ბავშვები ასეთ რამეებზე იცინიან. თბილისია ეს, სოხუმი არ არის. თბილისი, შენ თვითონ ამბობ, სხვანაირი ქალაქიაო.

იქნებ ის დამეწერა, თქვენ სოხუმის დამბრუნებლები არა ხართ, რომ მე უნდა შევიდე სამხედრო სასწავლებელში და, როცა იქნება, ჩემი მკლავით დავიბრუნო სოხუმი. ახლა ამას კლასში ტრაბახად ჩამითვლიდნენ და ამაზეც გაეცინებოდათ. აი, რატომ არ დავწერე და რატომ გამოვედი.

მეძავი

არ იქნა, აღარ მოვიდა ჩვენი რიგი.

სარფის საბაჟოსთან ლოდინით ქანცგაწყვეტილს ასე მგონია, მთელი საქართველო დაძრულა და თურქეთისაკენ მიიჩქარის.

არის ერთი ორომტრიალი. ყაყანი, წუწუნი, ჩივილი, გადასწრება, გადაწოდება, ვედრება, ფულის შეგროვება...

თავს დამცირებულად გრძნობ, თითქოსდა შენც ჩართულხარ სოვდაგრულ მარათონში და ორი კაპიკის საშოვნელად სამსუნ-სტამბულისაკენ გაგიწევია.

აქაური, ერთგულად გამლუმპავი, წყლის შოლტების წაღმაუკუღმა ქამანდივით მსროლელი, დაუღლელი, კისერშიცივადმძრომი წვიმა ლოდინს უფრო გაუსაძლისს ხდის.

სამჯერ მივიდა თურქ მებაჟესთან ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი; ჩვენ ვაჭრები არა ვართ, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდიუმის წევრები ვართ. ართვინის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად მივდივართ, იქნებ დაგვიჩქაროთ გაშვებაო. მაგრამ საბაჟოს მოხელემ, რომ იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა ჩვენი სათხოვარი.

მუქთი დერვიშები თურქეთის მხარეს, როგორც ჩანს, არ აინტერესებს.

ეს ჩვენ ვეგებით ფეხქვეშ ყველა უცხოელს და ფულის საკეთებლად ჩამოსულ საქმოსნებსაც კი, არათუ საბაჟო პრობლემებს ვუქმნით, „უცხოელ ბიზნესმენთა და ინვესტორთა დელეგაციის“ სახელით ვნათლავთ და სამთავრობო დონეზე ვღებულობთ.

რა საქმეზე მივეშურებით თურქეთს? საქართველოში ქართველ ხალხთან შეუთანხმებლად, მავანთ თურქული უნივერსიტეტის გახსნის საქმე გაუჩარხავთ. იჯარით მიწაც გამოუყვი-

ათ და ხვალზეგ თურქები ბაზალეთში უნივერსიტეტის მშენებლობას იწყებენ. ბაზრით ხომ დაგიპყრო, ახლა საგანათლებო ოკუპაციასაც გიმზადებს ეშმაკი აღმოსავლეთი. მივდივართ ჩვენ დონკიხოტის კვალზე შემდგარი კონგრესელები ე. წ. „შემხვედრი“ თხოვნით: „მოგეხსენებათ, თურქეთის პატივცემულო ხელისუფალნო, რომ დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე თორმეტ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს. ეს ხალხი გათურქების პოლიტიკის მსხვერპლი ხდება და დღითიდღე ჰკარგავს ეროვნულ მეობას. იქნებ მოიღოთ მოწყალება და თერთმეტი მილიონი ქართველისათვის სამიოდე ქართული სკოლა მაინც გაგვახსნევინოთ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში“. გულუბრყვილოდ ვფიქრობთ, რომ თურქული უნივერსიტეტის ფონზე ჩვენი თხოვნა შესმენილი და დაკმაყოფილებული იქნება. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, დიდი იმედი არა გვაქვს. ერთხელ უკვე მივმართეთ, შარშან, ასეთი თხოვნით და ცივი უარით გამოგვისტუმრეს; თურქეთში ქართველები არ ცხოვრობენ და ქართულ სკოლაში სწავლის მსურველი არ არსებობსო.

ის იყო წვიმამ ოდნავ გადაიღო, საბაჟოს თურქეთის მხრიდან მინიავტობუსი (ჩვენთან რომ რაფს ეძახიან) მოადგა.

რაფიდან სამი შავქურთუკიანი თურქი პოლიციელი გადმოხტა. ერთს ხელში საქაღალდე ეჭირა.

სიცილ-ხარხარით, ჯიკავ-ჯიკავით ჩვენი საბაჟოს ორსართულიან შენობაში გაუჩინარდნენ. ხუთიოდე წუთში გამობრუნდნენ. კვლავ რაფში ჩასხდნენ და ჩვენკენ წამოვიდნენ.

გუშაგს ქაღალდი გაუწოდეს. ორმა მებაჟემ რაფში შეიხედა. პოლიციელებს თავი დაუქნია და მანქანამ საზღვარი გადმოკვეთა.

რაფი ჩვენს ახლოს გაჩერდა, მაგრამ ახლოსაც რომ არ გაჩერებულიყო, მე მაინც მივირბენდი თურქეთის მხრიდან ჩამოტანილი ძვირფასი „ტვირთის“ სანახავად.

შოფერმა წინა და უკანა კარები გამოაღო თუ არა, ერთბაშად დაჩნდა მიწაზე ათიოდე თავგადახოტრილი ქალიშვილი. გაბრუნებულ რაფს სტვენა-ჟივჟივით და ცხვირთან მიტანილი ათი თითის „სალამური“ მიაყოლეს.

– ნახე, ნახე – მეუბნება ჩვენი მძღოლი, – თურქებმა ჩვენი ბოზები გამოყარეს.

ონკანთან შეჯგუფულ, ერთმანეთით გართულ მეძავების ირგვლივ ცნობისმოყვარენი რიალებენ.

ღმერთო ჩემო, სულ ბავშვები თხუთმეტ-თექვსმეტი წლისანი. ლამის გული გამიჩერდეს.

ისინი კი მხიარულად კისკისებენ. წელში იკეცებიან, ბილწსიტყვაობენ, უტიფრად, წრეგადასული სითამამით შესცქერიან მძღოლებს და ბათუმში წაყვანაზე იყაბულებენ.

ერთმა ტუჩშეღებილმა, გადახოტრილ თავზე წარბებამდე ჩაჩჩამოფხატულმა გოგომ, იაფფასიანი მაღაზიის მანეკენს რომ წააგავს, სიგარეტი მთხოვა.

გავუწოდე. თავი მიუსრისა, პირში ჩაიდო და ჩემკენ დაიხარა, მომიკიდე კიდეცო.

სანთებელა გავაჩხაკუნე. პატარა, ფაფუკი, ბავშვური თითები აქვს. გამხდარ სახეზე, ყვრიმალებთან ცისფერი ძარღვები უჩანს.

– საიდან მოდიხართ? – ვკითხე.

გააბოლა და ამხედ-დამხედა.

– ესენი სტამბულიდან ჩამოაფრინეს, მე ტრაპიზუნში ვიჯექი.

– იჯექი?

– დიდხანს არა. სულ თვენახევარი. მიშპიონა ვიღაცა ჩათლახმა. ჩვენიანმა, ქართველმა, ვინც მიცნობდა.

– გაგასამართლეს?

– კი.

– საბუთი რამე გქონდა

– აპა, უსაბუთოთ ვინ გამიშობდა თურქეთში.

– ჩამოგართვეს?

– ჩამოგვართვეს და ახლა დაგვიბრუნეს, მარა სურათები გადაგვიღეს და ხუთი წლით თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა აგვიკრძალეს.

– ორი თვის შემდეგ რომ დაბრუნდე? ვინ გაიგებს.

გაიცინა.

– მასთე არაა, თვარა კი. ჩვენი სურათები ყველა საბაჟოში დევს. სურათებიც და გვარებიც.

– კიდევ კარგად გადარჩენილხართ. სადაური ხარ?

– ოზურგეთელი. გადავრჩი იმიტომ, რომ გამსინჯეს და არაფელი არ მჭირდა, თვარა, ვისაც ავადმყოფობა აღმოაჩნდა, სამ-სამი წელიწადი ჩამოურიგეს.

– თან მკურნალობენ იქ, ციხეში?

– მკურნალობენ, ალბათ, ისე რავა იქნება, რომ არ მოარჩინონ, ხომ დალპა ქალი სამ წელიწადში.

– რატომ წახვედი თურქეთში? – წამცდა მიამიტური შეკითხვა.

– მეზობლის ქალმა წამიყვანა. ცოტა ფული მინდოდა გემეკეთებია. კომერციულ ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას.

– ის ქალიც დაიჭირეს?

– არა, ის ქეა ტრაპიზონში. მეც ვერ დამიჭერდნენ, აბდლურად მევიქეცი. კლიენტთან ვიჯექი რესტორანში, რომ შამევიდნენ. მივხთი, პოლიციელები რომ იყვნენ. პირდაპირ ჩემთან არ მოსულან. დაჯდნენ ახლომახლო. პივა დალიეს. შემეძლო ავმდგარიყავი და გამოვქცეულიყავი. არ ვქენი. რაცხა სისულელემ ფეხი შემიბორკა.

– რას იზამ ახლა?

– წავალ სახში.

– ვინ გყავს ოზურგეთში?

– შიგ ოზურგეთში არ ვცხოვრობ. ახლოს ვარ სოფელში. დედა მყავს და ორი პატარა ძმა.

– მამა?

– მამინაცვალი.

– იცოდა, რა საქმეზეც წახვედი თურქეთში?

– რო ცოდნოდა, სიკტილი გამოწერილი მქონდა. ახლაც რომ გეიგოს, ცოცხალს არ გამიშვებს. სანამ თმაი არ წამეზრდება, ვერ მივალ სახში. ბათუმში უნდა ვიყვე დაქალთან. იცოდაო? თურქეთში რომ წევედი, რავა არ იცოდა. წამევდეს ჩემთან სავაჭროთ. ორ კაპიკს გავაკეთებინებო, ასე უთხრა, ვინც მე წამიყვანა.

– შენ იცოდი, რა საქმეზე მიყავდი?

– კი. თვითონ წელიწადი ათი თვე თურქეთშია ის ქალი. ყველას იცნობს.

– სხვებიც ჰყავს, ალბათ, ასე, შენსავით.

– ჩაყავს გოგოები და სხვას უტიებს. ჩვენ ხუთი გოგო ვიდ-ექით თურქის ბინაში. ის თურქი გვაქირავებდა, ქუჩაში კი არ დავდიოდით.

– მერე? ის თურქი არ დაიჭირეს?

– არა. მე არ ვთქვი. თვარა დაიჭერდნენ. იმის თქმა რაფერ შეიძლება. პირობას გვადებიებენ, რავარც ბაბაიეს („ბაბაის“ ვეძახით) სახელს გაამხელ, მოგვკლავენ.

– იშოვე ქე მაინც რამე?

– ცოტა.

– წაგართვეს ალბათ.

– რაც ჩამოგვართვეს, სასამართლოს ჯარიმამ წეიღო – ჯიბეში რაც მქონდა. სახში მქონდა იმ თურქთან დატიებული ცოტა და იმას დევიბრუნებ.

– როგორ დაიბრუნებ?

– დავაბარებ ვინცხას. დადიენ ჩვენი გოგოები. თუ შეი-ძლება, ერთ სიგარეტსაც ევიღებ.

კოლოფს ჩემი ტელეფონის ნომერი წავაწერე და გავუწოდე.

– აიღე მთლიანად, რა გქვია?

– მზია.

– მზია, მანდ ჩემი ტელეფონის ნომერი წერია. თბილისში რომ ჩამოხვალ, დამირეკე.

– კი. აუცილებლად. თბილისში მალე ჩამუალ. ეს სახლისაა?

– ბინის ტელეფონია.

– მერე?

– არაუშავს, დამირეკე. არ მყავს ეჭვიანი ცოლი.

- კაი აბა. წევედი.

– კარგად.

„დაქალებს“ შეუერთდა. მეც გამოვბრუნდი. ხანდახან გავხედავ ხოლმე. აშკარაა, ჩემზე ელაპარაკება. თამამად შემ-ცქერიან. ასე „უპარდონოდ“ თვალის გასწორება მხოლოდ

დამწყებ მეძავებს შეუძლიათ.

მალე მზია ჩემკენ წამოვიდა.

– სხვანაირად არ მიიღოთ და, თუ გაქვთ ცოტა ფული. უკაპიკოდ დავრჩი. სხვანაირად არ მიიღოთ.

ოცლარიანი გავუწოდე.

– მადლობთ – მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო – ჩამუალ მალე თბილისში და ჩემზე იყოს.

გაიღიმა და ლამაზად, ფიქრიანად გააბიჯა.

წინ ხუთიოდე მანქანაა.

აღარ დაადგა საშველი ჩვენს რიგს.

ვზივარ და „ლიტერატურულ მეძავებს“ ვიხსენებ.

ჭოლა ლომთათიძის მეძავი ამოტივტივდა გონებაში. შუაღამისას ნოველის ლირიკულ გმირს ქუჩაში ქალი აედევნა. ჭოლამ ქუჩის ქალს მაშინვე „ჩამოაცვა“ სოციალური მოსასხამი: „გცივა დაია? გშია დაია და მიტომ ხარ ქუჩაში გამოსული?“

გორკის მოთხრობის მეძავი პოლიციაში შედის, მეძავის „დოკუმენტის“ მისაღებად. პოლიციელის კითხვაზე, – რამ გაიძულა ბოზობაო, ქალი პასუხობს – მცირეწლოვანი შვილები მყავს, ქმარი გალოთდა. დღისით მრეცხავად ვმუშაობ, მაგრამ პურის ფულადაც არ მყოფნის, იქნებ მეძავობით ნაშოვნი ცოტა ფული მაინც წავამატო, ბავშვები რომ შიმშილით არ დამეხოცოსო.

და ბოლოს, მოპასანის მიერ დახატული ფრანგი მეძავი ქალი გამახსენდა. გერმანელმა კლიენტმა მისი სამშობლო – საფრანგეთი რომ აუგად მოიხსენია, მეძავში პატრიოტულმა გრძნობამ იფეთქა და სექსუალურ პარტნიორს შუბლი გაუხვრიტა.

რომელს ჰგავს მათ შორის მზია?

რას ჩადიხარ, საით მიდიხარ შენ, თექვსმეტი წლის ქართველო ქალო?

სად იყავით მაშინ

უმცროს ასისტენტ შოთა სამხარაძეს ამდენი აღელვებული ინტელიგენტი ერთად კარგა ხანია არ უნახავს.

უნივერსიტეტის 107-ე აუდიტორიაში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ამ კრების დანიშვნის შესახებ არც გაზეთებს უცნობებიათ, არც რადიოტელევიზიით მოუწვევიათ ხალხი, შოთამაც სრულიად შემთხვევით გაიგო: ასმეშვიდეში დაუსწრებლებთან სემინარი უნდა ჩაეტარებინა და კარი რომ შეაღო, სახტად დარჩა.

ისხდნენ ფანჯრის თაროებზეც, იატაკზეც, მერხებს შუა ერთმანეთს მიყრდნობოდნენ. ტრიბუნასთან დეპუტატი ბარამიძე იდგა და ქადაგებდა.

დეპუტატ ბარამიძეს შეშინებული სახე ჰქონდა.

გამძვინვარებული ინტელიგენტები აქეთ-იქიდან არცთუ მოსაფერებელ-გამამხნევებელ, რეპლიკებს ესროდნენ ბარამიძეს.

როგორ გაბედე შენ, ქართველმა კაცმა, პარლამენტის წევრმა, რომ თურქული უნივერსიტეტის გახსნას დასტური მიეციო, სხვა წვრილმან ბრალდებებთან ერთად, მთავარი ბრალდება მოქადაგის მიმართ ეს გახლდათ.

მეო, თავს იმართლებდა ბარამიძე, საქართველოში თურქული უნივერსიტეტის გახსნის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის და ახლა მით უმეტესო.

არა ვარ მე ის კაცი, თქვენ რომ გგონივართ, ნუ შემრისხავთ, ნუ ჩადგებით ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაშიო. მეო, თურქული უნივერსიტეტის კი არა, შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტის გახსნის იდეა დავაყენე, მერე იარა, იარა ამ იდეამ და, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად, თურქულ უნივერსიტეტად ჩამოყალიბდაო.

ეს „დიდებული“ აზრი შენ თვითონ მოგივიდა თავში, თუ სხვამ დაგავალაო, ვიღაცამ ჰკითხა.

სხვამ დამავალაო.

შავი ზღვის აუზში ბარე ხუთი (თუ მეტი არა) ქვეყანა შედის, რაღა საქართველოში უნდა გახსნილიყო მაინცდამაინც უცხოენოვანი უნივერსიტეტიო.

იმ ქვეყნებს შორის ყველაზე ინტერნაციონალური ქვეყანა ჩვენ ვართო.

ამ უნივერსიტეტს თურქეთი, როგორც სახელმწიფო გვიხსნის, თუ კერძო ფირმებიო?

ორი კერძო ფირმა აფინანსებს და მათი საკუთრება იქნებაო.

როგორ აღმოჩნდა შავი ზღვის ქვეყნის ანსამბლეაზე, სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტილი პრობლემა საეჭვო რეპუტაციის მქონე კერძო ფირმების ხელშიო.

ვინ გეტყვითო, ბარამიძემ.

ამასობაში სინათლე ჩაქრა და მიკროფონი გამოირთო.

ამ ნოველის ავტორი ფიქრობს, რომ ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციიდან გამომდინარე, მიკროფონი გაცილებით ადრე უნდა გამორთულიყო.

დაახლოებით იმ ადგილას, როცა ბარამიძეს ჰკითხეს: ეს „დიდებული“ აზრი შენ თვითონ მოგივიდა თავში, თუ სხვამ დაგავალაო.

უმიკროფონობამ ვერ ჩააქრო უნივერსიტეტის 107-ე აუდიტორიაში დანთებული ცეცხლი.

როგორც შოთამ შეატყო, დარბაზში ზვიადისტებიც იყვნენ, შევარდნაძისტებიც და ცენტრისტებიც (არც იქეთ არიან და არც აქეთ. უფრო სწორად, ხან იქეთ რომ არიან და ხან აქეთ). თურქულ უნივერსიტეტს ყველანი ისე აეღელვებინა, რომ იმ დღეს ერთმანეთს არათუ ჰკბენდნენ, ბატონობით მიმართავდნენ და, რაც ყველაზე გასაოცარი იყო, ერთ დროს ღრმად დარწმუნებულ შევარდნაძისტს ნერვიული ზვიადისტის (როგორც ექიმები ამტკიცებენ ზვიადისტები ერთნახევარჯერ

უფრო ნერვიულები არიან, ვიდრე არჩევნებში „ობიექტურად“ გამარჯვებული „მმართველი პარტიის“ წევრები. ჩვენ შორის დარჩეს და ზვიადისტებს აქვთ კიდეც მიზეზი მობრუნებულ ბოლშევიკებზე უფრო ნერვიულნი იყვნენ) გამოსვლიდან ციტატაც კი მოჰყავდა.

თურქული უნივერსიტეტის გახსნა საქართველოს გაყიდვა-დაკაბალების ერთი მკაფიო ნიშანიაო, ისე ომახიანად გაჰყვიროდნენ ინტელიგენტები, რომ უმცროსმა ასისტენტმა გაიფიქრა, ნეტავ მთელი საქართველო უსმენდეს ახლა ამ კრებას და ინტელიგენტზე ხელჩაქნეულმა ქვეყანამ ნახოს, რა ვყოფილვართ ინტელიგენტებიო.

გადით საქართველოს ტრასებზე და ნახეთ თურქული მანქანების ქარავანი განუწყვეტლივ რომ მოედინებაო.

საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე არანაკლები უბედურების მომტანია, რომ იცოდეთ, ეს ქარავანიო.

თურქეთმა დაიპყრო საქართველოს ბაზარი. აღმოსავლური ქათინაურით შეგვაპარა – ნუ ჩამოასხამ ლუდს, მე შემოგიტანო, ნუ გაირჯები კარაქის დღვებით – მე შემოგიტანო, ნუ დათესავ პურს – ხორბალს იაფად მოგაწვდიო, ნუ შეკერავ პერანგს – აგერ არ ვარ მეო. დოყლაპია ქართველები წამოვეგეთ ბაზრის ანკესზე. ჩვენი წარმოება გავყინეთ და თურქული საქონლის გამსაღებლებად ვიქეცით, ასე გაავაჭრა (სხვა უხერხულ სიტყვას რომ მოვერიდოთ) თურქმა ნახევარზე მეტი საქართველოო.

ბაზრით რომ დაგვიპყრო, ახლა ქვეყნის ყველაზე ფაქიზ ნერვს – განათლებას შემოუტიაო.

ბაზალეთის ტბასთან თურქული უნივერსიტეტის გახსნა სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს კულტურული ექსპანსიაო.

თურქული უნივერსიტეტი ოციათასი თურქი სტუდენტის შემოსვლას ნიშნავს საქართველოში. ოციათას სტუდენტს ორიათასი თურქი მასწავლებელი შემოჰყვება. ამოდენა ჯამაათს მომსახურე პერსონალი (ძირითადად თურქები) დას-

ჭირდება. თურქი უმეჩეთოდ ვერ გაძლებს და, ვისმინოთ ქართველნო, მოლას გალობა ბაზალეთის ტბის სუფთაქართულ, ისტორიულ არემარეზეო.

ჯერ მიწის კანონი არ მიგვიღია და ბედოვლათ ხელისუფალთ ოთხმოცდაცხრამეტი წლით (რატომ ასი წლით არა. „ასით“ არ შეგვაშინეს, მაინც, რაც არ უნდა იყოს სამი არაბული ციფრისაგან შედგება. 99 ხომ მთელი ერთი წლით ნაკლებია 100-ზე. ერთი წელი კი ცოტა როდია, ძვირფასო მკითხველო) გაუცია ორმოცდაათი ჰექტარი უცხოელ მოქალაქეებზეო.

რას ფიქრობდა განათლების სამინისტრო, როცა თურქულ უნივერსიტეტს ლიცენზიას აძლევდაო.

უკანა რიგიდან ექვსიოდე სტუდენტი გოგონა წამოდგა და ტრიბუნისკენ გამოეშურა. შოთას ეგონა, დადგებიან ახლა ეს ანგელოზივით გოგონები ტრიბუნასთან და ერთხმად დაიძახებენ: ჩვენ თქვენთანა ვართ, ძვირფასო პროფესორ-მასწავლებლებო. არ დავუშვებთ ჩვენს მიწაზე თურქული უნივერსიტეტის გახსნას. თუ გაჭირდა, წავალთ და ტრაქტორებს დავუწვებით ბაზალეთთანო, მაგრამ მოტყუვდა უმცროსი ასისტენტი შოთა სამხარაძე. სტუდენტებმა ტრიბუნას გულგრილად ჩაუარეს და აუდიტორიის შეძახილებით („სად მიდიხართ? არ გრცხვენიათ?!“ „თქვენი არაა ეს საქართველო?“ „თქვენი იმედი უნდა გვქონდეს?!“) ნაბიჯაჩქარებულნი უკანმოუხედავად გაიკრიფნენ დარბაზიდან. რა საქმეზე მიდიოდა ექვსი, სიგარეტისაგან თითებდაკბილებგაყვითლებული, ქართველი სტუდენტი გოგონა, ვერ გეტყვით და არც არაფერი შანსი მრჩება, რომ უახლოეს ორ წელიწადში გავიგებ.

სანამ გაგრძელდება ასე, ქართველ ხალხს რატომ არაფერს გვეკითხებიანო, გულამოსკვნით იმეორებდა ჭაღარა პროფესორი, რომელმაც სამიოდე წლის წინათ თბილისის დამანგრეველ „ოპერაციას“ მხურვალედ დაუჭირა მხარი.

კრება დასასრულს უახლოვდებოდა.

აქა-იქ გაისმა – შეწყდეს კამათი, ისედაც ყველაფერი ნათელია, რეზოლუცია მივიღოთო.

შოთას არ ახსოვს, როგორ გაჩნდა ტრიბუნასთან, მაგრამ ერთი რამ ცხადად ახსოვს; რომ არ ეთქვა, იმ წუთში, რასაც ფიქრობდა, გული გაუსკდებოდა.

ღელავდა, პირი უშრებოდა. მერე, როგორც იქნა ნერწყვი გადაყლაპა და დაიწყო:

– მე, ასისტენტი შოთა სამხარაძე, ვაცხადებ, რომ ეს კრება ისტორიული კრებაა. იმიტომ კი არა, თითქოს უსათუოდ მივაღწევთ თურქული უნივერსიტეტის გაუქმებას, უფრო იმიტომ, რომ ამ სამწლიანი ჯანჯგარ-ქიჩმაჩის მერე, როგორც იქნა, დღეს პირველად ერთად დავდექით, ერთმა აზრმა მუშტივით შეგვკრა. რატომ არაფერს გვეკითხებიანო, აქ ვიღაცამ იკითხა, იმიტომ აღარ გვეკითხებიან არაფერს, რომ ძალად არ გვთვლიან, მოპასუხე მხარედ არ მივაჩნივართ, ისე გვიყურებენ, როგორც ექსპერიმენტის ობიექტებს – აცრილ მაიმუნებს, რომელთაც როცა უნდათ, მაშინ გაუკეთებენ გამაგრილებელ ოყნას და თუ არ უშველა, შავ ნემსს სამუდამოდ დასაძინებლად.

მიხარია ეს ერთად დგომა და მეშინია, ხომ არ დავაგვიანეთ. იმასაც ვფიქრობ, ასე აღვშფოთდებოდით თუ არა, საქართველოში რუსული უნივერსიტეტი რომ გაეხსნათ? რაო, რუსი უფრო ახლობელია? არ დაიჯეროთ, დამპყრობელი ყველა დამპყრობელია!

მომიტევეთ ჩემი დაეჭვება, მაგრამ განა თქვენ ის ეროვნული ინტელიგენცია არა ხართ, ხუთი წელია საქართველოს დაქცევას რომ გაუჩუმდით?

სად იყავით მაშინ, როცა პირველი პრეზიდენტის ირგვლივ, ცრუპატრიოტები, პარანოიკები და საეჭვო სქესის „მოღვაწენი“ დაჯარდნენ ხელის მოსათბობად?

სად იყავით მაშინ, როცა რუსთაველის პროსპექტი იწვოდა?

სად იყავით მაშინ, როცა საქართველოს ყაჩაღები და მოსკოვში გაწვრთნილი მარიონეტები დაეპატრონენ?

სად იყავით მაშინ, როცა საქართველოს რუსთან საიდუმლო გარიგებით გაყიდულ ომში ოცდაათიათასი ბიჭი მოუკლეს?

სად იყავით მაშინ, როცა დაქცეული საქართველოს ტახტისთვის ამბიციით შეპყრობილი კარიერისტები ერთიმეორეზე აქეზებდნენ ქართველებს?

სად იყავით მაშინ, როდესაც უძღებ შვილთაგან ყელგამოჭრილი ჩვენი სამშობლო, დაჩოქილი და ხელშეკრული ესენგეში შეათრიეს?

სად იყავით მაშინ, როცა საქართველოს მესამედი ტერიტორია ჩამოაჭრეს და წასვლადაგვიანებულ ველურ სტუმართა ურდოებს გადასცეს?

სად იყავით მაშინ, როდესაც სამასი ათასი ქართველი თავის სახლ-კარს მოაშორეს და გრძელვადიანი ტყუილებისთვის განწირულნი მათხოვრებად აქციეს?

სად იყავით მაშინ, არაერთი ცრუინტელიგენტი, პოეტის ქურქში გახვეულ თაღლითი უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა-დაპატიმრებას რომ მოითხოვდა?

სად იყავით მაშინ, როცა გალიფრებულმა ფუნქციონერებმა საქართველოს მიწა ნაჭერ-ნაჭერ გაყიდეს და თავიანთ უმძიმეს დანაშაულს სრულიად უვარგისი მიწის კანონი წააფარეს?

სად იყავით მაშინ, როდესაც იმპერიის გეგმის შესაბამისად საქართველო გუბერნიებად დაჰყვეს და „გათიშე-იბატონეს“ წისქვილზე დაასხეს წყალი?

სად იყავით მაშინ, როდესაც საქართველო ინტერნაციონალურ ლაბორატორიად აქციეს და ყველა პერსპექტიულ მტერს ფართოდ გაუღეს კარი საქართველოში უცხო თესლის მოსამრავლებლად?

სად იყავით მაშინ, როდესაც სამოციათას ქართველს საინგილოში გვარ-სახელი, ეროვნება წაართვეს და თათრული პასპორტები ჩამოურიგეს? რატომ დაიგუბეთ პირში წყალი?

სად იყავით მაშინ, როდესაც თურქეთს ხელი მოუწერეს, თქვენთან ტერიტორიული პრეტენზიები არა გვაქვსო თქვენ ხომ მაინც იცით, რომ საქართველოს მესამედი ტერიტორია – უძველესი ტაო-კლარჯეთი თურქეთსა აქვს მიტაცებული და თორმეტი მილიონი ქართველი დღეს სწორედ თურქეთში ცხოვრობს?

სად იყავით მაშინ, როცა დამპყრობელ რუსეთს ოცდახუთი წლით დაუკანონეს სამხედრო ბაზები საქართველოში. ესე იგი, ოცდახუთი წლით საჯიჯგნად შეატოვეს ქართული მიწა?

სად იყავით მაშინ, როცა დაგომისის ხელშეკრულებით ქართველებს მართლაც რომ, ხელები შეგვიკრეს და მოღალატურად გაჭრილი როკის გვირაბით ფაქტობრივად ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთეს „სამხრეთ ოსეთი?“ წაგვართვეს ჩვენი მშვენიერი სამაჩაბლო.

სად იყავით მაშინ, როცა ბეცმა პოლიტიკოსებმა ნაციონალიზმი სალანძღავ სიტყვად გვიქციეს და ნაციონალ-პატრიოტულ მოძრაობას „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდეს?

სად იყავით მაშინ, როდესაც ყალბად გაგებული პრივატიზაციის ეგიდით კაპიკებად გაყიდეს უზარმაზარი ფაბრიკა-ქარხნები. თითო-ოროლა „ყოჩაღი ბიჭები“ გაამილიონერეს, ხოლო მილიონობით მშრომელნი ბედის ანაბარა, უსახსროდ დატოვეს?

სად იყავით მაშინ, როცა ველურ აფსუათა თვალწვრილ, ნაძირალა ატამანს საქართველოს წარმომადგენელი გულთბილად ართმევდა ხელს და „ბატონ არძინბას“ ეძახდა?

სად იყავით მაშინ, როდესაც მეოცე საუკუნის საქართველოს უდიდესი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას სახლი იწვოდა და ხელისუფალნი სეირის საყურებლადაც არ გამოვიდნენ თავიანთი მღვიმეებიდან?

სად იყავით მაშინ, როცა დამპყრობელს „სამშვიდობო ძალების“ სტატუსი მიანიჭეს და რუსეთ-საქართველოს საზღვარი ზუგდიდთან მოიტანეს? სად იყავით მაშინ, როცა ქართველებს „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ პასპორტები

დაგვირიგეს და ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა გააქრეს ჩვენი პასპორტებიდან?

სად იყავით მაშინ, როდესაც ხალხს სახელმწიფო ბანკში მიბარებული ორიოდე გროში უნამუსოდ წაართვეს და კომპენსაციის ნაცვლად სამი თითის კომბინაცია უჩვენეს?

სად იყავით მაშინ, როცა ჟურნალები, გამომცემლობები, თეატრები, ფაქტობრივად გააუქმეს და ეროვნულ წისქვილების გარეშე დარჩენილი ერი მატყუარა ტელევიზიის ამარა დააგდეს?

სად იყავით მაშინ, როდესაც ეროვნულ გზიდან ახალგაზრდობის გადასაყვანად ქვეყანა ნარკომანიის და საცეკვაო შოუ-კლუბების ქარვასლად აქციეს?

სად იყავით მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლისმსმელთ ჩვენს მიწაზე ფიანდაზად ეგებოდნენ და კბილების ჩიჩქნით თვითმფრინავისკენ მიმავალთ კოცნა-კოცნით აცილებდნენ?

სად იყავით მაშინ, როდესაც საქართველოს ფაქტობრივად საზღვრები გაუუქმეს, სარფში ქართული დროშა ჩამოხსნეს და რუსული დროშა ააფრიალეს?

რაო, გავჩუმდე? აღარ გავაგრძელო? კარგი, მე გავჩერდები, მაგრამ თქვენც გაჩერდით, შეწყვიტეთ ყველაფერზე თავის კანტური და დასტურის მიცემა. ხალხს დაუდექით გვერდით, ერს მიეპატრონეთ, სანამ გვიან არ არის!

ბედნიერი კაცი ვარ დღეს, რომ ერთსუნთქვად, ერთფიქრად შეპყრობილთ გხედავთ თქვენ. მრავალნატანჯ და ბევრჯერ მოტყუებულ-გაცურებულ ინტელიგენტებს.

ვინძლო არ შედრკეთ, არ შეგეშინდეთ, აღარ დაიფანტოთ, არ გათითოკაცდეთ და აღარ გაებათ უწმინდურთა აბლაბუდაში!

დავამთავრე ჩემი სიტყვა.

ტაში არ დამიკრათ. მე ვყეფდი და ვტიროდი მხოლოდ. ყეფას და ტირილს ტაში არ უხდება!

* * *

მზე ისევ ისე, ალალად და უშურველად ერთგულად და განურჩევლად დასცქეროდა ქვეყანას. როგორც ამ ათასი, ორი ათასი, ასი ათასი წლის წინათ.

უძოს ფერდობებზე დაგვიანებული ნუშის ხეები სანთლებივით ჩანდნენ.

ასისტენტი შოთა სამხარაძე შინისკენ მიაბიჯებდა.

ზურგში ავ მზერას გრძნობდა, თითქოსდა, ვიღაც უხილავი ჩუმად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა. ეჩვენებოდა, რომ კეფაში დამიზნებული შაშხანის ლულა მიაცილებდა.

კისერი ერთს და კინჩხი მეორეს

ჩვენ ვიყავით გლახა დღეში, თვარა მაგნებს რა უჭირდათ. ავტომატიანი კაცი დადის ზევით-ქვევით, არ ეშინია არაფრის. შენ ხარ ცოდვა – უბრალო მოსახლე. შეყუჟული ხარ ბინაში და არ იცი, როდის შემოგიმტვრევენ კარს. დამალვა ვარესია, რომ იცოდე შენ. თუ მართალი ხარ, რატომ იმალებიო, გეუბნება ჯარისკაცი და ტყავს გაძრობს. ჯარისკაცი-მეთქი, წამომცდა. ბოდიშს ვიხდი ყველა ნამდვილ ჯარისკაცთან, ყველაფერს გავდნენ მაგნები ჯარისკაცების გარდა. შემოვიდოდნენ ეზოში, ვითომ ეძებდნენ ვიღაცას. ჩხრიკავდნენ სახლს, იხედებოდნენ შკაფის უჯრებში, გადააბრუნებდნენ ლეიბ-საბანს, ჯიბეში გიყოფდნენ ხელს და კაი დედ-მამიშვილი იყავი, ამოგეღო ხმა, პანღურით გაგიხეთქავდნენ უკანალს. პანღურს თუ დაგაჯერებდნენ, მადლობელი უნდა ყოფილიყავი.

დამალვა ვარესი იყო-მეთქი, გითხარი ხომ? ბარე ორი მეზობელი ამოათრიეს ქვევრიდან და გამოქაჩეს ბეღლიდან. რტყმევით ხომ ურტყეს და ურტეს, ზოგს თვალწინ გაუბახეს ცოლი და ქალიშვილი. მალავენ ახლა საწყლები. რა ქნან, როგორი ასატანია თავმოყვარე კაცისთვის ეს ამბავი. საშინელი სიზმარი მგონია, ბატონო, ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა. არსად გამიგონია, კინოშიც არ მინახავს მსგავსი არაფერი მე პირადად და სხვისა რა მოგახსენოთ.

ვიმალე ერთხანს და მერე, ახლა რომ აგიხსენით, იმ მიზეზის გამო, გამოვედი გარეთ. ჯერ ერთი, დამალვაზე რაღაცა შარს მომდებენ-მეთქი და ესეც არ იყოს, შევხედავ მაინც ვინ შემოდის, რა უნდა, გადამთიელი ხომ არ არის, შენი თვისტომია, დაელაპარაკები, ეგება ასე უფრო გადაარჩინო სახლ-კარ-ჯალაბობა-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის.

დავდიოდი იქეთ-აქეთ ჩემი სახლის სიახლოვეს. დაბომბვის დროს ვიმალებოდი მარტო. დამალვას ვეძახი სამზადში რომ შეიყუჟები ადამიანი, თვარა სანგარი მე არ მქონდა და ჩვენთან სარდაფები, საერთოდ არ ვიცით. გულს იკეთებ კაცი, რომ იმალები, მეტი არაფერი. ბომბი თუ დაეცა სახლს, რა სარდაფი გიშველის.

ბოლო დღეებში ისე წავიდა საქმე, ხელიდან ხელში გადადიოდა სენაკი. ატყდებოდა ბათქა-ბუთქი, შენ ხარ ჩემი ბატონი, შემოვარდებოდნენ ზვიადისტები, მიდგებ-მოდგებოდნენ და სულის მოთქმას ვერ მოასწრებდნენ, ისევ ატყდებოდა ბათქა-ბუთქი. გაიქცეოდნენ ზვიადისტები და შემოცვივდებოდნენ შევარდნაძისტები. ასე იყო ეს. ჩხუბი მაგნებს ჰქონდათ ერთმანეთში და ჩვენ რა შუაში ვიყავით, უბრალო ხალხი, დღემდე გაურკვეველია ეს ამბავი ჩემთვის.

გამოვედი ქუჩაში (გიჟი ვეგონე, ალბათ, მეზობლებს), მაგრამ იმ კვირაში გამიჭირდა ძალიან. ვერ ვანსხვავებდი, რომლები იყვნენ ზვიადისტები და რომლები შევარდნაძისტები. ფორმა მაგნებს არ ეცვათ საერთოდ და ვისაც ეცვა, ა, კინოში რომ უჩვენებენ ბოევიკის ფორმებს, ის ეცვათ შევარდნაძისტებსაც და ზვიადისტებსაც. თუ მე შენ გეტყვი ენით გაარჩევდი „შენიანს“ და „გერმანელს“. ქართველები იყვნენ ორივე მხარეს. ვკითხულობ ამის მერე ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებს“, ჩემო ბატონო, მინდოდა გამეგო, სხვა დროს თუ ყოფილა ამის მსგავსი შინაომი. თუ დარევიან ქართველები ერთმანეთს. ყოფილა, კი ყოფილა, ბატონო, პატარ-პატარა შეტაკებები ქართველებს შორის, მარა ოთხმოცდაცამეტში რომ იყო ასეთი დიდი შინა დაჯახება არ იცის საქართველოს ისტორიამ. რა სირცხვილი დაგვემართა, ვერ იტყვის ენა. როდის ჩამოვირეცხავთ ამ სირცხვილს, არ ვიცი პირდაპირ.

ერთი სიტყვით, ვერ ვხვდებოდი ვინ გარბოდა და ვინ შემოდიოდა. გითხარით მისი არ იყოს, შესახედაობა ერთ-

ნაირი, თოფი ყველას ეჭირა და ყაჩაღობით ორივე მხარე ყაჩაღობდა. სახლში რომ შემოვიდოდნენ, ხელცარიელი არ გავიდოდნენ მაგნები. თუ წასაღებს ძვირფასეულს ვერაფერს მოიხელთებდნენ, ხბოს გეიგდებდნენ წინ, ქათამს აგაცლიდნენ საბუდრიდან ან ყველს არეკავდნენ დერგიდან. რას ეტყოდი, ომს დიდი პირი აქვსო, შემოგიბღვერდნენ.

ვიყავი ქუჩაში და ტკბილ სიტყვას ვეუბნებოდი, ვესალმებოდი ვინც შემოვიდოდა. ეს იყო, ვითომ, ჩემი გადარჩენის მუღამი. თავისიანად რომ დამიგულებდნენ, აღარ დამარბევ-გამძარცვავენ-მეთქი, ასეთ ეშმაკობას მივმართე. თუმცა, ერთი-ორჯერ მაინც გავილახე, ა, სასაცილო ეს არი, კაცს თუ გინდა:

ატყდა შორს სროლა. ჩამოვარდა სროლის მერე სიჩუმე. მოდის ჩვენს ქუჩაზე სამი ბიჭი, გადაუკიდიათ თავდაღმა ავტომატები. იხედებიან ეზოებში. აშკარაა ეძებენ რაღაცას. მომიახლოვდებიან და მიყურებენ. მიყურეთ, მიყურეთ, გულში ვამბობ, ჩემგან ვერ წაიღებთ ვერაფერს, ოქრო ხერხს მივაგენი თქვენს დასაბმელად. მოვუშვი ასე ოც მეტროზე სამივენი, ავწიე მუშტი მაღლა და ვიყვირე.

– გაუმარჯოს ზვიადს!

გაქვავდნენ. ერთმა ავტომატისკენ წაიღო ხელი. მეორემ შეაჩერა. გადმოდგეს რამდენიმე ნაბიჯი ჩემსკენ. იბღვირებიან. ალბათ, ვერ გაიგონეს კარგად-მეთქი და უფრო ვაჟკაცურად შევძახე:

– გაუმარჯოს ზვიადს!

მსტაცეს ხელი. ერთმა ისეთი სარმა გამომკრა, კინაღამ წელში გადავტყდი. რა უნდოდა, ჩემს წაქცევას. ხელი არ გაუნძრევიათ, ტყუილს ვერ ვიტყვი, წიხლებით მცემეს. ბატინკიან ფეხებს ცხვირპირში და ფერდებში მირტყამდნენ. ეს ორი კბილი მაშინ ჩამიტეხეს. მთელი ღამე სულს ვერ ვითქვამდი. კიდევ კარგი ელენთა ან ფილტვი რომ არ გამიხეთქეს.

ორ დღეს სახლიდან არ გამოვსულვარ. მესამე დღეს ისევ ატყდა ავტომატების კაკანი. ავტომატის ხმას მიჩვეული ვიყავი, დედის ნანასავით ჩაგვესმოდა. იმას აქვს საშინელი ხმა, გაუბიცას თუ გრადს რომ ეძახიან. გეგონება, დედამიწა გასკდაო. ვზივარ ჭიშკართან. ლაპარაკი მესმის. ქვევით ჭასთან ჯგერენაია ცხოვრობს, მისი ჭიშკრიდან ოთხი ავტომატიანი „მებრძოლი“ გამოვიდა. ორ დიდ ჩემოდანს მიათრევენ, ერთს ორი ზურგჩანთა ჰკიდია წინ და უკან, ერთს, შედარებით ახალგაზრდას, ავტომატები. მივხვდი, მოუსწრიათ უკვე ჯგერენაიას „გაწმენდვა“. პატარა ღარიბულ სახლებს ზედაც არ უყურებენ. მე, როგორც ხედავთ, ძველთაძველი, გაუბედურებული ოდა მიდგას, მიკვირს ჩემსკენ რომ აიღეს გეზი. ადგომას და დამალვას ველარ მოვასწრებ, შეიძლება ეჭვი აიღონ და გესროლონ. მივმართე ჩემს „კაროლნი ნომერს“ მოვუშვი ახლოს და ორივე ხელის შემართვით ვახარე:

– გაუმარჯოს შევარდნაძეს!

თურმე შევარდნაძისტები წასულან და ლოთის ხალხია რომ ვესალმები.

ვის გაუმარჯოსო? მკითხა ზურგჩანთიანმა.

შევარდნაძეს გაუმარჯოს-მეთქი, ცოტა შეეჭვებულად და არც თუ ისე რიხით ჩავილაპარაკე. ჩემოდან-ხაბაკი ძირს დააწყვეს, მიმაყენეს ბჟოლასთან და ისე მჟეჟეს, რომ ძვალრბილი გამიერთიანეს. მაინც რას განაძლება ადამიანი. თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა.

გიშველოს ახლა შენმა შევარდნაძემ, შე ერის გამყიდველო და რუსეთის მონავ, შე მათხოვარო, შენო, მაღალმაღალმა ზვიადისტებმა. აკრიფეს, რაც ებადათ და გატრიალდნენ.

ჩემს ეზოში არ შემოსულან.

გითხრა სიმართლე, ცემაზე მეტად „გამყიდველი“ და „რუსეთის მონა“ რომ მიწოდეს, ის მეწყინა.

ამის მერე ჭკუა ვისწავლე და ჩვენს ქუჩაზე თოფიანი ბიჭები რომ გამოჩნდებოდნენ ანგარიშმიუცემლად შევყვიროდი:

– ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

ძალიან ჭრიდა სხვათაშორის. ყველას მისიანი ვეგონე. გულში კი, გულში რაც მქონდა, თქვენ მიხვდებით, რასაკვირველია: „მოძმისთვის კარზე მიმხტომს და თოფის მომღერებელს კისერი ერთს მოუტეხია და კინჩხი მეორესმეთქი“.

ORSAXOVANNI

– ჩვენმა ბედნიერმა ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ ადამიანი ერთი საქმით, ერთი პროფესიით თავს ვერ ირჩენს.

ამიტომაც გაორსახოვანდა (როგორც მინიმუმი), გაორსართულდა სპეცსამსახურებისთვის ერთდროს ასე ადვილად შესაცნობი ლეგალურსახოვანი მოქალაქე.

რა მანჭვა-გრეხა, რა ნემსის ყუნწში ძვრომა და ქამელეონივით ფერ-კანის ცვლა უხდება, რომ იცოდეთ, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს ორშაბათიდან ორშაბათამდე, რომ სული მიიტანოს.

ღმერთი მოჰკითხავს იმათ, ვინც საბჭოთა კონსტიტუციით და მილიცია-პროფკავშირებით სოციალურად საიმედოდ დაცული კაცი ასეთ მძიმე დღეში ჩააგდო.

დღისით რომ კაცი ჰუმანიტარული დახმარების მტვირთავად მუშაობს და ღამით სააფთიაქო ჯიხურში წამლებს ჰყიდის, ან დღის განმავლობაში რომ ქალი საფეიქრო ფაბრიკაში ჯახირობს და საღამოთი ძაფს ჰყიდის, – აქ გასაკვირი არაფერია.

გასაკვირი სხვა რამ გახლავთ:

დღისით-მზისით მავანი სამშობლოს გადარჩენაზე ქადაგებს და იმავე ღამით ეროვნული ბანკიდან სესხად გამოტანილი, დოლარად გაცოცხლებული კუპონით საზღვარგარეთ „ქოხს“ ყიდულობს.

დღისით-მზისით თეთრი ხალათი აცვია და ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას, ღამით ოპიუმს ჰყიდის.

დღისით-მზისით წესრიგის დაცვის სამსახურში ვხედავთ, ღამით ავტომატმომარჯვებული შარაგზის ყაჩაღია.

დღისით-მზისით აბატისსახიანი, ეროვნულ შემოსავალზე მზრუნველი კაცია, ღამით – მევახშე.

დღისით ბებიაქალია, ღამით მესაფლავე, ანდა პირიქით.

დღისით სამშობლოს გუშაგია, ღამით სამშობლოს გამყიდველი.

დღისით ღვთის მოციქულია, ღამით – ეშმაკის მოციქული.

შენ? შენ როგორა გაქვს ამ მხრივ საქმე-მეთქი ვკითხე, არა მგონია კურდღლისკუდისხელა ნოველებით თავი ირჩინო-მეთქი.

ცოტა ხანს კიდევ გავუძლებ ერის მშიერი მემატიანის უმადური ტვირთის ზიდვას და, თუ საშველი არ იქნა, საროსკიპოს გავხსნი, გამგე-მებილეთედ ვიმუშავებო, მითხრა და ვარაზისხევზე ამოვარდნილ ეულ ტროლეიბუსს დაედევნა.

ტროლეიბუსის მძღოლს ჭირივით სძულდა ის მგზავრები, ჩასვლისას უფასო მგზავრობის დამადასტურებელ მოწმობას რომ უჩვენებდნენ ხოლმე.

ჭავჭავაძის პროსპექტზე თებერვლის ცივი ქარი ჰქროდა.

ჭადრის ქვეშ მდგარი ახალგაზრდა პოეტი ამაოდ ელოდა თავისი პირველი წიგნის მყიდველს.

მოქალაქენი წიგნს აღარ ეკარებოდნენ.

ვერტმფრენი

– ვერტალიოტის მართვა ჯარში ვისწავლე.

– ვერტმფრენის – გავუსწორე.

– ჰო, მართალია. ზოგი ვერტმფრენს ეძახის. ზოგი შვეულმფრენს. რას ნიშნავს, იცი, ვერტმფრენი? მეც გეკითხები რაღა, როგორ არ გეცოდინება, შენი ხელობა ეგ არი. ვერტმფრენი – ვერტიკალურად მფრენს ნიშნავს.

მერე, ვიღაცამ, ვერმტფრენი ნამეტანი ენის მოსატეხი სიტყვააო და შვეულმფრენი დაარქვა. მე ვერტალიოტზე მაქვს ენა მიჩვეული. ვერტალიოტს უფრო მოხერხებულად გამოვთქვამ – კაცია და გუნება. ისე, რად უნდა ლაპარაკი, ქართული სახელი სჯობია. თუ სადმე სამართალია, შვეულმფრენი უნდა დამკვიდრდეს, უფრო რბილი და ადვილად გამოსათქმელია.

თუ შიგადაშიგ არ შემეშალა, შენს საპატივცემულოდ შვეულმფრენს ვიტყვი. ერთი ამბავი მინდა მოგიყვე. შენ ამბავზე მონადირე კაცი ხარ და იქნებ გამოგადგეს რამეში.

ოცი წლისა არ ვიყავი, შვეულმფრენის საჭეს რომ მოვკიდე ხელი, ახლა ორმოცდაცხრის ვარ. მაშინ ეს დალოცვილი მანქანა ახალი შემოსული იყო. ჩვენ გვასწავლიდნენ ჯარში; პირველმა საბჭოთა კონსტრუქტორებმა გააკეთესო. ისე, ხალხი ლაპარაკობს, პირველმა ამერიკელებმა გააკეთესო, ზოგი იაპონელებს თუ გერმანელებს აბრალებს. სადღაც ამოვიკითხე, ჩვენს გაზეთში შვეულმფრენი საბჭოთა და დასავლეთელმა ავიაკონსტრუქტორებმა ერთდროულად გამოიგონესო. ერთდროულადო ჩვენები რომ დაწერენ, მაშინ რაღაც მთლად ისე არაა ეტყობა, უფრო იმათი გამოგონებულია და ჩვენმა სამხედრო-სამრეწველო დაზვერვამ იმუშავა. ასეა თუ ისე, ჭკვიანი კაცის მოფიქრებული რომაა, არ უნდა ლაპარაკი.

ჩუკოტკაზე ვმსახურობდი მე ჯარში. გუშინდელივით მახსოვს, დივიზიამ ხუთი ახალთახალი შვეულმფრენი მიიღო, ცხრა-ცხრა კაცი გაგვამწესეს, თითოზე ერთი სტარშინა და ორი ჯარისკაცი. მოსკოველი ინსტრუქტორები გვასწავლიდნენ მართვას. მალე ავითვისეთ ბიჭებმა. არ არის ძნელი საქმე, სხვათაშორის. მერე საგამოცდო ფრენები-თეორია და პრაქტიკა ჩაგვაბარებინეს და ახლაც მაქვს ის მოწმობა, მაშინ რომ ტაშის გრიალში, ხაზზე გადმოგვცეს.

ოცდაათი წელი გახდება მალე, შვეულმფრენის პლეტს არ მოვშორებივარ. ამ ხუთი წლის წინ პენსიაზე გავედი, მაგრამ რუსეთ-საქართველოს სოხუმის ომის დროს ისევ გამომიძახეს და ახალთახალი შვეულმფრენი ჩამაბარეს.

რატომ გიყვები ახლა ამ ამბავს?

პირველი გაფრენა ჩუკჩების პატარა სოფელში მოგვიწია. ნოემბერი იყო. ნოემბერი ჩუკოტკაზე ყველაზე მკაცრი თვეა. „ჩუკჩა“ ჩუკოტკის მცხოვრებს ნიშნავს. ეს სახელი რუსების შერქმეულია. ჩუკჩები თავის თავს სხვა სიტყვას ეძახიან. არ მახსოვს ახლა, ვერ მოგატყუებ.

საღამოვდებოდა, თეთრად განათებულ ყინულზე დავჯექით ჩუკჩების ქოხების ლამის შუაგულში. ირმებს სახადი გასჩენოდათ და სარაიონო ცენტრიდან წამლები და ნავთი ჩავიტანეთ.

უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა. ჯერ გუგუნი რომ მოესმათ, მთელი სოფელი გამოეფინა; როცა დარწმუნდნენ, რომ ძირს ვეშვებოდით, იხუვლეს ერთბაშად და ქოხებში შეიმალნენ; როცა შვეულმფრენის გუგუნი შეწყდა და პროპელერი გაჩერდა, ფრთხილად, შიშით გამოჰყვეს ირმისქუდიანი თავები.

ხან წამლები ვუჩვენეთ, ხან ნავთის ბიდონები, ცენტრიდან რომ რუსი გვახლდა, ჩუკჩას ენაზე წამდაუწუმ რაღაცას უყვიროდა შემკრთალ მასპინძლებს. ბოლოს, როგორც იქნა გვენდნენ და მოგვიახლოვდნენ. ჩვენ იმდენად აღარ ვაინტერესებდით, შვეულმფრენზე გაგიჟდნენ. ხელს უსვამდნენ,

ჰკოცნიდნენ, უზარმაზარ ხელთათმანებს უტყაპუნებდნენ. იცინოდნენ.

ბარგი რომ გადმოვტვირთეთ, გვიანი არ იყო და მაშინვე შეგვეძლო უკან დაბრუნება, მაგრამ ნაბრძანები გვქონდა, ღამე იქ გაგვეთია. ირმის რძე-ხორცით და ჩუქჩური ცხელი არყით გაგვიმასპინძლდნენ. რძეს რომ არაყი აქ დავაყოლო, დედის რძე არ შემრჩება. იქ, ყველაფერი მშვენივრად წავიდა. ჩანს, ირმის რძე იგუებს არაყს, თუ რაშია საქმე, ვერ გეტყვი.

დილის ექვსი საათი იყო, ჟრიამულმა რომ გამომაღვიძა. დოლის ბრაგუნი და ღორღოც-ხმაური მთელი ღამე ჩამესმოდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ, სადმე ქორწილია-მეთქი და ძილს თავი აღარ წავართვი.

ჩავიცვით და ოთხივენი შვეულმფრენისკენ წავედით. უნდა გენახა, რა ამბავი იყო. მთელი სოფელი რკინის ფრინველს ეხვია. დაენთოთ კოცონები ახლომახლო. ხელჩაკიდებულნი, ცეკვითა და სიმღერით გარს უვლიდნენ მანქანას. იცინოდნენ, მხიარულობდნენ. ზოგ-ზოგი ჩაუქი და გაუბედავი, ნელ-ნელა მიეპარებოდა და საბურავზე ჩამოჯდებოდა, მერე თითქოს რაღაც იაზრაო, წამოხტებოდა და უკან მორბოდა საერთო ხარხარსა და ორომტრიალში. შვეულმფრენის ირგვლივ ირმის ტყავის ვერცხლისფერ დარაიებს მანქანის მუცელზე უსვამდნენ, არ ვიცი, რომ არ გაყინულიყო თუ, რაღაც რიტუალს ასრულებდნენ.

ბოლოს მასპინძლებს რომ დავემშვიდობეთ, შვეულმფრენში მოვკალათდით და ძრავა ჩავრთეთ. პროპელერისაგან დარწეულმა ქარმა სახეზე მიასუნთქა თუ არა, ჩუკჩებმა უკანმოუხედავად მოჰკურცხლეს. ჩვენ სიცილით ვიგუდებოდით. მიწას რომ მოვწყდით, ზემოდან დავცქეროდით ირმის ტყავებსა და სარკმელ-ღრიჭოდან გამომზირალ ჩუკჩებს.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი ვერტპოლკი აქეთ ტუნდრაში გადმოიყვანეს. ტუნდრაში ჰავა ჩუკოტკასთან შედარებით, უფრო რბილია. ჩუკოტკაზე თუ ორმოც გრადუსამდე აღწევს ყინვა, ტუნდრაზე ოცდაათს არ შორდება.

– დიდი შეღავათი – გამეცინა.

– ჩუკოტკასთან შედარებით მაინც შეღავათია. წელიწადში ორ თვეს ბალახს და ხახვს მაინც მოჰკრავ თვალს. მახსოვს, გაზაფხულის პირზე ნენცების სოფელში გავფრინდით. ნენცებს თვალის ჭრილი ჩუკჩებზე უფრო ფართო აქვთ და ისინიც მეირმეობას მისდევენ. თავიანთი ენა აქვთ, თუმცა ჩუკჩებისაგან განსხვავებით, რუსულად თითქმის ყველანი ლაპარაკობენ.

შვეულმფრენი ახლოდან არც ნენცებს ენახათ და ნენცებიც თავდაპირველად ძალიან დავაფრთხეთ. დაჯდომის მერე კარგახანს კაციშვილი არ მოგვკარებია, ძაღლების წკავწკავი და ირმების ბღავილი ჩაგვესმოდა მხოლოდ. ბოლოს რაციით სოფლის მამასახლისი გამოვიძახეთ. ვილისით მოვიდა, წამლები და ფოსტა ვილისში გადავალაგეთ და სოფელს მივაშურეთ.

დილაადრიან, შვეულმფრენთან მისულებს, ასეთი სურათი დაგვხვდა: მთელი სოფელი შვეულმფრენს შემოხვეოდა. ძარაზე, შასებზე, ჰაერმწმენდის მილაკებზეც კი ათასი ფერის ტყავის თუ აბრეშუმის ნაჭრები შეებათ. ერთნი ძვლის კეტებს ერთმანეთს სცემდნენ და როკავდნენ, მეორენი „ზღაპრული ფასკუნჯის“ წინაშე პირქვე დამხობილიყვნენ. იქვე, შორიახლო, ნენცი დედაკაცებისაგან შემდგარი გუნდი გრძელ, რელიგიურ სიმღერას მღეროდა.

წუხანდელი გულუხვი მასპინძლობით ნასიამოვნებთ გვსურდა მასპინძლებისთვის რითიმე სამაგიერო გადაგვეხადა და შვეულმფრენით გასეირნება შევთავაზეთ, მაგრამ მილეთ ნენცში ერთიც ვერ დავითანხმეთ, რომ მანქანაში ჩამჯდარიყო. კაბინაშიც შემოვიყვანეთ, კისრებს იგრძელებდნენ, ყველა კუთხე-კუნჭული შეათვალიერეს, მაგრამ როგორც კი გასაღებისაკენ ხელი წავიღე და ძრავა აწუილდა, კისრისტეხით გაცვივდნენ კარებისაკენ და კიბეზე ერთმანეთს ასწრებდნენ.

ახლა ორიათასხუთასი კილომეტრით აქეთ, ჩვენს სამშობლო საქართველოში გადმოვინაცვლოთ. ოცდაექვს სექტემბერს სოხუმი რომ დაეცა, გალიდან სამტრედიაში დაჭრილები

ჩამოვიყვანე. ოცდაშვიდში დილით, ერთი რეისი კოდორისკენ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ვერ გავფრინდი, მეტეოსამსახურმა გზა არ მომცა, ღრუბლებიაო. შუადღისას მაინც მოვახერხე გაფრენა, მაგრამ დაჯდომით ვერ დავჯექი, გაუბედურებულ ხალხს ზემოდან ჩავუყარეთ პური. ხეობაში გამწკრივებულ ლტოლვილებს ძლივს ვხედავდი. დასაჯდომი ადგილი არ იყო და ფთილა ღრუბლებში (რაც ყველაზე საშიში, მატყუარაა ფრენის დროს) ხანდახან გაკრთებოდა ბილიკი. იმ ბილიკს დავუპირისპირეთ პური, მაგრამ ვერ გეტყვი, შეამჩნიეს თუ არა თავყბაახვეულმა დევნილებმა. იმათი ცოდვა მიეცეს ჩვენს „უფროს ძმებს“. სისასტიკე, თუ გინდა, სწორედ მაშინ მოხდა. ხალხი ჭუბერის თოვლიან გზაზე ითოშებოდა და რუსეთმა მსოფლიოს სამაშველო სამსახურებს ნება არ მისცა, საზღვარი გადმოელახათ და დაგვხმარებოდნენ. მხოლოდ მეოთხე დღეს გამოუშვეს უკრაინის ხუთი შვეულმფრენი ხელფეხმოყინულების და მკვდრების გამოსაზიდად. რატომ ამოგვიღეს ასე გულიდან რა დავუშავეთ ასეთი რუსებს, დღემდე ვერ გამიგია.

ოცდაცხრაში სოფელ ქვრწაში ჩავფრინდი. მთიანი სოფელია, ზემოთკენ. გაგონილი გექნება, იქ ერთ გენერალს ინფარქტმა დაარტყა, ქუთაისში უნდა ჩამოგვეყვანა.

საერთოდ, შვეულმფრენის ეკიპაჟი მინიმუმ ოთხი-ხუთი კაცი მაინც უნდა იყოს – პილოტი, სათადარიგო პილოტი, ბორტმექანიკოსი, შტურმანი და სტიუარდესა, მაგრამ ჩვენთან ამის საშუალება სად არის და ომის დროს მთელი ხუთი თვე მარტო ვმართავდი მანქანას, ერთი სანიტარკა მახლდა – ეგ იყო და ეგ.

მოკლედ, სოფელ ქვრწაში დასაჯდომი ადგილი არ იყო. ვიწრო ხეობაში ძლივს ჩავაღწიე და მანქანა სოფლის ბოლოს, პაწაწინა მინდორზე დავსვი.

მალე სოფლის გამგებელი მოვიდა ორი ცხენით. შეჯექი და წამოდიო. გენერალი თავისი ბიძის ოჯახში წევს, თავზე რაიონის ექიმი ადგას, მაგრამ იგი უროლოგია და გულის საკითხში მთლად კარგად ვერ ერკვევაო.

ქუთაისში წაყვანა მაქვს დავალებული-მეთქი.

მივიდეთ, ადგილზე გავარკვიოთ ყველაფერიო.

ეს მანქანა-მეთქი?

იყოს აქ, ხელს არავინ ახლებსო.

შემოვსვი სანიტარკა ცხენზე და გავწიეთ სოფლის შუაგულისკენ.

იქ გაირკვა, რომ გენერლის დაძვრა ორი დღე მაინც არ შეიძლებოდა.

დაველაპარაკე რაციით ქუთაისს.

რა ვქნა, წამოვიდე-მეთქი?

დაელოდე, იქნებ ხვალ უკეთესად გახდესო: მეორე დღეს ავადმყოფმა ცოტა მოიხედა, მაგრამ ახლა ამინდმა გვიღალატა. როგორც იქნა, მესამე დღეს გადაიყარა მთამ ღრუბლები და ავადმყოფი მარხილით მივიყვანეთ შვეულმფრენამდე. შევხედე ჩემს მანქანას და, ვაი, ამ შეხედვას.

რისი მოძრობა-მოპარვაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოპარულ-მომძვრალი იყო.

ახალთახალი შასები ბორბლებიანად მოხსნილი. პნევმატური ამორტიზატორები რეზინის სახურავებიანად ჩაჭრილი, პროპელერის საკისარები, პარპრიზის მინები, კიბე, კარის სახელურები... ერთი სიტყვით, ჩემი გამოანგარიშებით, დაკეტილი შვეულმფრენის ასე კარგად გაძარცვას დაახლოებით ოცი კაცის რვასაათიანი საგულდაგულო მუშაობა მაინც დასჭირდებოდა.

იმავე დღეს სახანძრო მორიგე შვეულმფრენი გამოვიძახეთ სამტრედიიდან და ჩავაღწიეთ ქუთაისამდე.

ჩემი გაძარცვულ-გაუბედურებული შვეულმფრენი, როგორც მითხრეს, ახლაც იქ დგას. ახლა პროპელერებიც (ვის რაში ჭირდება) მოხსნილი იქნება. ალბათ, ჩონჩხიღაა დარჩენილი.

ხელმაქცი

ფოკუსი რომ ფოკუსია, იმასაც თავისი ადგილი აქვს, იმანო. როგორც ყველგან ყველაფრის თქმა არ შეიძლება, ისე არ შეიძლება ყველგან ყველანაირი ფოკუსის გაკეთება. ფოკუსი რა არის? ცირკში ილუზიონისტის ნომერს რომ ეძახიან. ჰქვია კი ქართულად სახელი? არა და ჩვენში რომ ფოკუსნიკებია, იმდენი სადაა. დავარქვათ რამე, აგერ არ ვართ მე და შენ? ვთქვათ, ხელმაქცობა (ხომ არის თვალთმაქცობა) არ ვარგა? არ ვარგა, გეთანხმები. ხელმაქცი, ვთქვათ, ის კაცია, რომელიც ფოკუსებს აკეთებს, მაგრამ თვითონ ფოკუსს რა დავუძახოთ? ვკითხავ ერთი კორნელი დანელიას და თუ არ არსებობს ფოკუსის გამომხატველი ქართული სიტყვა, მერე უფრო საგულდაგულოდ წავიმუშაოთ. შეუძლებელი არაფერია, მე მგონი, გამოვძებნით, ან შევქმნით მოხერხებულად გამოსათქმელ ფოკუსის გამომხატველ ტერმინს.

ამასწინათ სუფრაზე ვართ გეგელაშვილებთან შვილიშვილის დღეობა ჰქონდათ. თხუთმეტი-თექვსმეტი კაცი ვიჯექით, მეტი არა. კაი, ძვირფასი ხალხი, ძვირფასი სუფრა. ჩვენ ვიყავით, კანტორის ბიჭები, ვინც გეგელაშვილთან ვმუშაობთ. უცხო კაკოიას ქვისლი იყო, თბილისელი, ეკონომისტად ნამუშევარა წყალტრესტში. ამ ბოლო დროს დაუნებებია თავი და, როგორც ყოველ მეორე კაცს, ფირმა ჰქონია თავისი. ცოლი ახლდა, გლახათ არ ჩამომართვათ, ჩემგან ჯვარი წერია, მე ვინ მკითხავს სხვისი ცოლის შეფასებას, ღმერთმა კეთილად მოახმაროს მის პატრონს, დახატული ქალი. ანგელოზიო, რომ იტყვიან. ბავშვი ახლდათ, შვილი, ხუთი-ექვსი წლის ბიჭი. ესენი იყვნენ უცხოები, ჩემო ბატონო, და გიგლაიას ჰყავდა, გოშაძეს, თავისი ძმაკაცი ვიღაცა, გურგენა ერქვა. ესენი იყვნენ უცხოები. ეს გურგენა არ იყო გლახა ბიჭი, სხვათაშორის, მარა ყველა ფოკუსის ყველგან გაკეთება არ შეიძლებამეთქი, რომ გითხარი, სწორედ იმ გურგენაზე გიყვები.

სამი-ოთხი სადღეგრძელო აქვს ნათქვამი თამადას. მთავარი დარტყმაო, რომ იტყვიან, გადავლილია სუფრაზე. კუჭი მიბმულია მისაბმელზე და იმ სტადიაშია სუფრა, გართობას და ღადაობას რომ ეძლევა გასავალი. ცეკვა-თამაშამდე ჯერ დიდი დროა. ცეკვა-თამაში ჩვენთან თხუთმეტი სადღეგრძელოს მერე იწყება.

გურგენამ ფოკუსები იცისო, აიჩემა გიგლაიამ. ფოკუსნიკს ამნაირს, მეორეს ვერ ნახავთ, ბალახვანშიო.

კაი, თუ ძმა ხარ, რა დროს ფოკუსებია, ვის უკვირს ახლა ფოკუსებიო, თავს იფასებს გურგენა.

ჰაი იქით, ჰაი აქეთ, შევეხვეწეთ ჩვენც, დაგვაინტერესა, რა იცის ამნაირი. რა გვაქვს მეტი საქმე.

კარგიო, გურგენამ, თუ შეიძლება სათითური მომიტანეთო. გავარდა კაკოია გელაშვილის უფროსი გოგო, შემოურბენია სათითური.

გთხოვთ ყველას, თვალი არ მოაშოროთ ამ სათითურსო, გურგენამ. ორი თითით უჭირავს. ჰოპ, ჰოპ და ჩაიგდო პირში. პირში უდევს, არ უნდა ლაპარაკი, გამოკუზული აქვს ლოყა საღეჭ კბილებთან. აბა ჰე, აბა ჰეო, თვალს აშტერებს, ხელს ასავსავებს გურგენა და ტყაპ, ჩაიფუშა ლოყაზე კუზი. ნერწყვიც მოაყოლა გურგენამ და შემოირტყა თავზე ხელი, გადამცდა, რაღა მეშველებაო.

ზოგიერთმა, შეიძლება, დაიჯერა, მარა უმრავლესობამ არ ვჭამეთ გურგენას ფოკუსი. არაფერიც არ გადაგიყლაპავს, მაგერ გაქვს ჯიბეში-მეთქი.

ადგა გურგენა. გაშალა ხელები გამკლავზე; გამჩხრიკეთ ბატონო, თუ მიპოვით სათითურს, თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო.

დგას გურგენა. მივდივართ, ვჩხრიკავთ სათითაოდ, არის ერთი სიცილ-ხარხარი. ზოგი ჯიბეში უყოფს ხელს, ზოგმა უხერხულ ადგილებშიც ქე შეუღიტინა! არაა არსად სათითური.

დაიკუზა ბოლოს გურგენა, გაიჭინთა საეჭვოდ. მიიფარა ხელისგული უკანალზე და, ა, ბატონო, თქვენი სათითურიო.

იცინოდა ყველა, მაგრამ მე პირადად ნაკლებად. რა ვიცი, კაცია და გუნება.

მაინცდამაინც მე მომიბრუნდა გურგენა. გადაეცით ბატონო, პატრონს მისი სათითურიო.

მაგას მოვკიდებ ხელს, მაგ ჭკუაზე ვარ სწორედ-მეთქი და ზიზღით განზე გავწიე. გული კინაღამ ამერია.

სიცილმა იმატა.

კაკოიამ სალფეთქით მოკიდა ხელი სათითურს.

– მოდი აქ, გოგო შენ, წეიღე და გარეცხეთ კარგად ეს სათითურიო.

სუფთაა, ბატონო, ფოკუსია ესო, იჭაჭებოდა გიგლაია.

ვიცი ფოკუსია, მარა გარეცხონ მაინცო, მასპინძელმა. გოგომაც სალფეთქიანად ცხვირაბზუებულმა და სახეგანზემიბრუნებულმა გაიტანა სათითური.

თურმე მთავარი ფოკუსი წინ გველოდა.

გურგენამ ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, ჩვენს თვალწინ სამ ადგილას განასკვა და კაკოიას ქვისლის ლამაზ ცოლს მიართვა:

არ გეწყინოთ ქალბატონო. ეს ფოკუსი-გამოცდაა, თუ თქვენი ქმრისთვის არასოდეს გიღალატიათ, ერთს რომ შეუბერავთ ამ ცხვირსახოცს, სამივე ნასკვი გაიხსნებაო.

სუფრაზე წელშიგამწყვეტი სიჩუმე ჩამოწვა.

ქალი გაწითლდა, ქმარს სიყვითლემ გადაჰკრა.

ქალი, ცოტა არ იყოს, გამწყრალი, თავის ლამაზ თვალებს ხაფანგში მოხვედრილი მელიასავით აცეცებს აქეთ-იქით.

არ უბერავს.

რატომ არ უბერავთ, ქალბატონო, ხომ არ შეგეშინდათ, არ ეშვება გურგენა.

რომ არ გაიხსნას? ლუღლუღებს ქალი და ხსნას, თავისი ქმრისა და გურგენას მიღმა, მასპინძელთან ეძებს – რა ფოკუსია ახლა ეს?!

– შეუბერე! – უბრძანა ქმარმა.

კაკოიას ქვისლს ადამიანისფერი არ ადევს.

ქალმა მორცხვად, ნაზად, გაუბედავად, შიშით და ძრწოლით, თვალდახუჭულად შეუბერა.

ცხვირსახოცი, რომელიც გურგენას ხელისგულზე ედო, იმწამსვე სამივე ნასკვში გაიხსნა.

ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ.

ქმარი წელში გაიმართა, დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით შეიწმინდა.

სუფრა თავის კალაპოტში ჩადგა.

გურგენასთვის მეტი ფოკუსი არ გვითხოვია და, მე მგონი, სწორადაც მოვიქეცით.

შიშის ზაფრა კიდევ კარგა ხანს ეხატათ სახეზე ცოლსაც და ქმარსაც.

ნასკვები გაიხსნა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მთლად უსაბუთოდ არ ეშინოდა კაკოიას ქვისლის ლამაზ ცოლს.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და ყველგან ყველა ფოკუსის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება.

გენერალი მუსხელიძე

თადარიგის გენერალ-მაიორი გახლავართ მე, ბატონო. მუსხელიძეა ჩემი გვარი. ოცდაშვიდ სექტემბერს სოხუმი რომ დაეცა, ოცდარვაში განაცხადი მივიტანე თავდაცვის სამინისტროში და გადავდექი. სოხუმის დაცემის შემდეგ მე, ქართველ გენერალს მორალური უფლება არა მაქვს მოქმედი სამხედრო მერქვას-მეთქი. მეორე წელია ვიმალები, ხან ერთ ნათესავთან, ხან მეორესთან. მაკითხავენ, მეძებენ, ჩემს ცოლს ულტიმატუმს უყენებენ. თუ ერთ კვირაში არ გამოცხადდა, შენ დაგაპატიმრებთო. ერთი კვირის მერე დაუყვავებენ – რაღაც უნდა ვკითხოთ, უბრალო საკითხია, თქვენ გეცოდინებათ სად არის, ბუზსაც არ ავუფრენთ, უბრალოდ დაგვენახოს, ძალიან მოგვენატრაო. იცის ჩემმა ცოლმა რას ნიშნავს ეს მონატრება. ტირილით ეუბნება – რაც სოხუმი დაეცა, თვალი არ მომიკრავს, არ ვიცი საერთოდ მკვდარია თუ ცოცხალიო.

რატომ მოვედი თქვენთან! სათქმელი მაქვს. შეიძლება ხვალ მიპოვონ და გამბაწრონ, თქვენ მწერალი ხართ და მინდა სიმართლე იცოდეთ. ჩემი სიმართლე, რასაკვირველია, რაც ჩემს გარდა ორმა-სამმა კაცმა იცის, მაგრამ მათი პირიდან, ალბათ, არასოდეს ამოვა სხვადასხვა გარემოებათა გამო.

სოხუმში შტაბის უფროსის მოადგილე გახლდით. ოცდაშვიდი ივლისის ხელშეკრულების მერე თავი რომ განვიარაღეთ, იქ ვიყავი. ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა. რას ჩავდივართ, ვკარგავთ სოხუმს და თავსაც ვიღუპავთ-მეთქი, ვწუწუნებდი, მაგრამ ვინ მომისმინა. რუსებმა ჩვენი ხელით დაგვატვირთვინეს ტანკერები ჩვენი სიმწრით ნაშოვნ-ნაყიდი იარაღით ამ „პატივისცემაში“ კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფულიც გადაგვახდევინეს და შიშველი ხელებით დაგვტოვეს სოხუმში. ქალაქში ანარქიაა. როცა ჯარს გაიყვან პოლიცია მაინც უნდა

შეიყვანო წესრიგის დასამყარებლად, ჩვენ არც პოლიცია შეგვიყვანია. უიარაღო ბიჭები, ჩვენი მოხალისე ჯარისკაცები უსაქმოდ დაყიალობენ, ზოგი შინ ბრუნდება, ზოგი სექტემბრის მზეს ეფიცხება პლიაჟზე. ერთი სიტყვით, ჯერ რა ჯარი გვყავდა და ისიც მოვშალეთ, ხერხემალში გადავტეხეთ. რადიოში და ტელევიზიაში პათეტიკური სიტყვები ისმის: სამუდამოდ დამკვიდრდა მშვიდობა აფხაზეთშიო. ქალაქი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგაო. სოხუმში აწ და მარადის თოფი აღარ გავარდებაო.

რვა სექტემბერია. ახალი შეღამებულია, ასე ცხრა-ათისნახევარი იქნება, მეტი არა. ტელეფონები გამორთული იყო. რაციის მორიგე შემოვიდა, კავშირზე გიხმობენო. მივედი, ყურთან მივიტანე აპარატი, ჟღრიალი მესმის, უცებ ჟღრიალი შეწყდა, გისმენთ გისმენთ-მეთქი. ვინ ბრძანდებითო, მკაფიო რუსულით მეკითხებიან. მე მგონია რუსული დივიზიიდან რეკავენ, შტაბის უფროსის მოადგილე გენერალი მუსხელიძე ვარ-მეთქი. ყურადღებით მომისმინეთო, მე არძინბა ვარო. გადაეცით თქვენს ხელმძღვანელობას რომ ერთ კვირაში შეტევას ვიწყებთ, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. გაიყვანეთ მოსახლეობა და გადით თქვენც. ქალაქს ნუ დაგვანგრევინებთ. კიდევ ერთ დანაშაულს ნუ ჩაიდენთ საკუთარი ხალხის წინაშეო. ალო, ალო გესმოდათ თუ არა ჩემი ხმაო. დიახ-მეთქი, მეტის თქმა ვერ მოვასწარი, კავშირი შეწყდა.

თხუთმეტ წუთში მთავარბანაკში გახლდით. ყველანი იქ იყვნენ. ვიცით, ვიცით რაზეც მოხვედიო, სიცილით მეუბნებიან, არძინბა დაგელაპარაკებოდათო. შენს გარდა სამ-ოთხ სხვასაც ელაპარაკა. სხვათა შორის დასახვრეტი ხართ, საიდან იცის არძინბამ თქვენი სატელეფონო კავშირი. ეს ამბავი სახუმარო სრულიადაც არ არის-მეთქი. სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი. არძინბას ხმა რომ მომისმენია რადიოში, ზუსტად ის ხმა იყო-მეთქი. თბილისს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ ეს ფაქტი-მეთქი. წადი, მშვიდად დაიძინეო. რუსებთან რკინის ფიცით ვართ შეკრული აფსუამ რომ პრა-

ვაკაცია გაბედოს, თვითონ რუსები გასცემენ პასუხსო. არ შეიძლება რუსის ნდობა-მეთქი. წადი, წადიო ფეხები სკამებზე შეუწყვიათ ჩვენს სარდლებს და აბოლებენ. რაც შეეხება თბილისს, ამ ამბავს აუცილებლად შევატყობინებთ, აბა როგორ იქნებაო.

თექვსმეტ სექტემბერს არძინბას დარეკვიდან ერთი კვირის თავზე მტერმა სოხუმის იერიში დაიწყო. სარდლობის პირველსავე სხდომაზე ვთქვი, ხომ ველოდით ამ შეტევას, ვისი ბრალია საბრძოლო მზადყოფნა რომ არა გვაქვს-მეთქი. თეთრი ყვავივით შემომხედეს და კბილები გამიკრაჭუნეს, სოხუმი საიმედოდაა დაცული, აქ ჩიტიც ვერ შემოფრინდება და პანიკას ნუ ჰქმნიო. ყოველდღე ვკარგავთ პოზიციებს. აშკარაა, რუსები გვიტევენ. ბრძოლის ველიდან მკვდრების გამოტანას ვერ ავუდივართ. ვაჟკაცურად იბრძვიან და წყდებიან ჩვენი უიარაღო ბიჭები. მთავარბანაკში დაბნეულობაა. ერთმანეთს ამხნევებენ უაზრო, უსაბუთო გამხნევებით. თითქმის ალყაში ვართ.

ოცდასამი სექტემბერია. დადუმებული რაცია ამუშავდა. ვინ უნდა იყოს. გავედი სამორიგეოში.

ისევ ის ხმა. ნუთუ ისევ გარეწარი არძინბა რეკავს.

– ვინ ბრძანდებით. თუმცა მნიშვნელობა არა აქვს. ნუ მეტყვით თქვენს ვინაობას. მე არძინბა ვარ. გადაეცით ყველას: ოცდაექვს სექტემბერს სოხუმი აღებული იქნება. რისი იმედი გაქვთ. რატომ იქცევით ასე უცნაურად. თქვენ რა, სრულ ჭკუაზე არა ხართ? არ გეგონოთ, რომ თქვენ მეცოდებით. უდანაშაულო სოხუმელები მეცოდებიან და იმიტომ გაფრთხილებთ. გაიყვანეთ ხალხი და სასწრაფოდ გადით აფხაზეთიდან.

კავშირი გაწყდა.

რასაკვირველია, დაუყოვნებლივ ვაცნობე ეს ამბავი, ვისაც საჭირო იყო.

ყურადღებით, დუმილით მომისმინეს. შეკითხვაც არ მოუციათ – უსიტყვოდ თავი დამიქნიეს.

შტაბში რომ დავბრუნდი, ტელეფონოგრამა გადმომცეს; გათავისუფლებული ვიყავი შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან და ორ საათში თბილისს უნდა გავფრენილ-იყავ სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსის მერე-ბაშვილის განკარგულებაში.

ოცდაშვიდ სექტემბერს სოხუმი დაეცა.

მაღლა, მთაზე

კერპები ბავშვობიდანვე მძულდა.

ვერავის დავისვამ თავზე და ვერც ვერავის ვემონები. ხასიათი მაქვს ასეთი და მომკალი, თუ გინდა.

სასტიკად მაღიზიანებს შეკითხვა: „ვის ხედავ უკეთესს?“

შევარდნაძე კი არა, დავით აღმაშენებელი რომ გაცოცხლდეს, ვერც იმას დავუჩოქებდი რუსთაველზე.

ასეთ კაცად ჩამოვყალიბდი და აწი რაღა გადამაკეთებს.

პატარძალი მთაზე ცეკვავდა, არც აქეთა მხარე უმადლოდა და არც იქეთაო, ხომ გაგიგონია, ისეა ჩემი საქმე.

ენაზე კბილის დამჭერი და პირში წყლის დამგუბებელი რომ არა ვარ, შენც კარგად იცი. კალმის დადება და განზე გადგომა არ მეხერხება. რაც მომწონს, ვაქებ, რაც არ მომწონს, ვაძაგებ. ეს არის ჩემი უბედურების თავი და თავი.

ცუდი მაყარივით, ხანდახან, ლხინსაც მოვცდები და ძილსაც.

მე ჩემი კაცური სიმართლე მაქვს. ხელმწიფეს ნავში არასოდეს ვუჯდები. ამალაში ყოფნა მოსაწყენ, დამთრგუნველ საქმედ მეჩვენება და ვერც მეხოტბედ გამოვდგები ზოგიერთივით.

პირში მთქმელი კაცი, არ დაიჯერო, არავის უყვარს.

თუ არ გეჩქარება, მოკლედ მოგიყვები ჩემი წამების ამბავს. „წამებაზე“ არ გაგეცინოს. შენ გგონია, მარტო ძველმორწმუნენი ეწამებოდნენ? დღესაც ბლომად არიან მოწამენი.

კომუნისტების დროს რა დღეში ვიქნებოდი, მოგეხსენება.

საკმარისი იყო ოდნავ ამოგეწია თავი სანგრიდან, წამით აცდენოდი „კომუნისტური იდეურობის“ არხს, რომ საშინელ რისხვას დაგაფრქვევდნენ თავზე.

მრავალთაგან ერთ მაგალითს გეტყვი: „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდე ნოველა „გიყვარდეთ მტერნი

თქვენნი“. ასეთი ამბავი ხდება ნოველაში: ერთი მხატვარი ძალიან შეაწუხა ჩინოვნიკურმა ბარიერებმა ხელოვანს რომ ყოველ ნაბიჯზე წინ ეღობება. ადგა, გაერიდა ქალაქს, სადღაც სოფელში ერთი ნახევრადდანგრეული, მიტოვებული საყდარი იპოვა, კედლები ამოუშენა, გადახურა, გალესა და დაიწყო ფრესკების ხატვა. გაცოცხლდა კაცი. მარტოა თავის საქმესთან. რომ დაიღლება, ბალახზე წამოწვება და ცას შეჰყურებს.

წაუკითხავთ ცეკაში ხელოვანის თავისუფლებაზე დაწერილი ეს პატარა, უპრეტენზიო ნოველა და საშინლად აღშფოთებულან. ვხვდებით ჩვენ, საით უკაკუნებს მიშველაძეო.

გადავშალე ერთ დილით „კომუნისტი“ და საშინელი ლანძღვა-გინებაა ჩემზე დაბეჭდილი. პასკვილს ხელს აწერს ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ციციშვილი.

დანა პირს არ მიხსნის.

გაზეთის რედაქტორს ბ-ნ ვახტანგ ჭელიძესაც აუწიეს ყური.

ჩემი თავი ჯანდაბას, რედაქტორისა მრცხვენია. ჩემს გამო კაცს არაფერი უხიმანონ.

სხვათა შორის, ვახტანგი არ იყო მშიშარა კაცი, თორემ სხვა რედაქტორები ასეთ შემთხვევაში სათოფეზეც აღარ გამიკარებდნენ.

ცეკას შერისხულიაო და გამომცემლობები შენს წიგნს აღარ გამოსცემდნენ, მწერალთა კავშირის მდივანიც ამოიღებდა შენს გვარს თავისი საანგარიშო მოხსენებიდან, ორმოცდაათ ახალგაზრდა მწერალთა შორის თუ სადმე ჰყავდი მოხსენებული.

ორი კვირის თავზე ციციშვილი ქუჩაში შემხვდა.

გეძებდიო, მითხრა. ის წერილი ცეკაში დაიწერა, ჩემთან არც შეუთანხმებიათ, რაკი შინაარსობრივად ჩემს უწყებას ეხება, ჩემი გვარი მოუწერიათო.

რა შუაშია თქვენი უწყება, ნოველა ზოგადად ხელოვანის

თავისუფლებაზეა დაწერილი-მეთქი. შიშით შემომხედა, თუ ძმა ხარ, არსად წამოგცდეს, რაც გითხარიო. იმის თქმა მინდოდა, რომ რაც ამ წერილში ეწერა, ჩემი აზრით სრულიადაც არ არიო.

ა. ასეთი დრო იყო და ასეთ დღეში ვიყავით.

მერე ვითომ გათავისუფლდა ქვეყანა და გამსახურდიას დრო მოვიდა. საქართველოს პირველ პრეზიდენტს კარგად ვიცნობდი. ერთ კურსზე ვსწავლობდით. ახალგაზრდა მწერალთა წრეზეც ერთად დავდიოდით (თარგმნიდა მაშინ და იგავ-არაკებს წერდა). შეხვედრებზეც ერთად გვიწევდა სიარული.

მიყვარდა, როგორც შეიძლება ადამიანს უყვარდეს მისი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი.

რამდენჯერმე შინაც მიმიპატიჟა.

ბატონი კონსტანტინე მძიმედ იყო ავად და სწორედ მაშინ ჩავიწერე უკანასკნელი დიალოგი კონსტანტინე გამსახურდიასთან.

ახლაც დიდი განძია ჩემთვის ბ-ნი კონსტანტინეს მიერ ნაჩუქარი მისი წიგნი წარწერით და იმ დიალოგის ხელნაწერზე მიწერილი „თანახმა ვარ, დაიბეჭდოს, კ. გამსახურდია“.

დაგვიძახა ერთ დღეს ზვიადმა თავის საპრეზიდენტო კაბინეტში შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, გურამ გვერდწითელი, გიორგი გაჩეჩილაძე, მზია ხეთაგური და მე.

მოსკოვში წასვლა გვთხოვა ქართველ მწერალთა დელეგაციის სტატუსით. პრესკონფერენციები ჩაატარეთ, გააგებინეთ რუს და უცხოელ ჟურნალისტებს რომ საქართველოში დაემხო კომუნისტური ხელისუფლება, რომ ქვეყანა დამოუკიდებელი და დემოკრატიულიაო, უთხარით რუს მწერლებს, რომ ყოველგვარი ეთნოკონფლიქტი საქართველოში ინსპირირებულია მოსკოვის ხელისუფლების მიერ საქართველოს დასაჩოქებლადო.

დელეგაციის ხელმძღვანელად მე დამნიშნა.

ხუთი დღე დავყავით მოსკოვში.

სირბილი საელჩოებში, უცხოელი კორესპონდენტების მოგროვება, პასუხი უამრავ სარმა-შეკითხვაზე... მოკლედ, ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ პრეზიდენტის დავალება შევასრულეთ.

ბოლო პრესკონფერენციაზე დარბაზში დეპუტატი ნოდარ ნათაძე შემოვიდა. ვიღაცამ „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემაზე გვკითხა. ნოდარმა ხელი ასწია, თუ შეიძლება, მე ვუპასუხებო. თავი დავუქნიე. გამოვიდა და ქართველებისა და ოსების ისტორიულ ურთიერთობაზე ილაპარაკა. იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სამაჩაბლო, სადაც ოსები გასული საუკუნის ბოლოს ჩამოსახლდნენ, საქართველოს ძირძველი მიწაა. ერთი სიტყვით სწორად თქვა ყველაფერი და მე, როგორც სხდომის თავმჯდომარეს, დასამატებელი აღარაფერი დამრჩა.

თბილისში რომ დავბრუნდით, მესამე დღეს გამსახურდიას მდივანმა – ლალიმ დამირეკა, პრეზიდენტი გიბარებსო. მარტო მე, თუ მთელ დელეგაციას-მეთქი. მარტო შენო, თერთმეტზე გელოდებითო.

მივედი თხუთმეტი წუთით ადრე.

ვზივარ, ველოდები.

მდივანმა რამდენჯერმე მოახსენა.

მოიცადოსო.

გავიდა ერთი საათი, ორი, სამი, ოთხი...

ამასობაში, ვისაც მოეპრიანება, ყველა პუგაჩიანი შედის პრეზიდენტთან. რევოლვერს მაგიდაზე დადებენ და უბოდიშოდ შედიან.

ვხვდები, ოთხსაათიანი ლოდინი ჩემი დასჯის ფორმაა.

ხუთ საათზე მიმიღო, როგორც იქნა.

საპრეზიდენტო სავარძლიდან არც ამდგარა, ხელიც არ ჩამოურთმევია. შენ იმიტომ გაგგზავნე მოსკოვში რომ ნათაძისთვის სიტყვა მიგეცაო?! მომახალა. ფეხზე ვდგავარ, არც სალამი, არც ხაბარი.

მე მგონი, თქვენი დავალება შევასრულეთ, ხუთი პრესკონფერენცია ჩავატარეთ. რაც შეეხება ნათაძეს, ბოლო კონ-

ფერენციაზე შემოვიდა, თქვენი დეპუტატია, ხელი ასწია და პასუხის უფლება რანაირად არ მიმეცა-მეთქი.

შენ კარგად იცი, რომ ეგ შიზოფრენიკი ნათაძე ჩემი დაუძინებელი მტერიაო.

ამის სათქმელად დამიძახე-მეთქი? განზე გაიხედა.

ბუზად არ მაგდებს.

სიბრაზე ყელში მომაწვა.

„დიდი მადლობა ასე თბილად მიღებისთვის-მეთქი. რაც შეეხება ნათაძის შიზოფრენიკობას მე არც თქვენი და არც ნათაძის საავადმყოფო ანკეტაში არ ჩამიხედავს-მეთქი. გულახდილად გეუბნებით, როგორც თანატოლს და თანაკურსელს, არ მომწონს დილიდან საღამომდე რადიო თქვენს ლექსებს და თარგმანებს რომ კითხულობს-მეთქი. საერთოდ მეგონა თქვენგან უფრო თავმდაბალი პრეზიდენტი დადგებოდა-მეთქი.

ეგ შენი საქმე არ არისო, თვალები დამიბრიალა და კარებისკენ მიმითითა.

ასე დამცირებული ჯერ არცერთი კაბინეტიდან არ გამოვსულვარ.

ვერ დავიტრაბახებ, ეს შეურაცხყოფა დიდსულოვნად გადავყლაპე-მეთქი. ავდექი და „დრონიში“ წერილი დავსტამბე, ჩვენი პრეზიდენტის მიღების ფორმა არ მომწონს და ცოტა მეტი ზრდილობა მოეთხოვება მის ოჯახიშვილობას-მეთქი.

ეგ როგორ გამიბედაო, თავის ჭინჭრაქა მაგრამ დიდი თანამდებობის მქონე ლაქიას, რომლის გვარის ხსენებითაც ამ ნოველას არ გავაფუჭებ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილი გამოაცხობინა – მიშველაძე უნიჭო, გამოგონილი მწერალიაო. რაც შეეხება პრეზიდენტთან მის ურთიერთობას, პრეზიდენტი აცხადებს, რომ საერთოდ არ იცნობსო.

ამ ამბიდან სამი დღის თავზე კარებზე ბომბი ჩამომიკიდეს და სახლი დამიწვეს. ცოდოს ვერ დავიდებ და ვერავის დავაბრალებ. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომელი მხარე „გამეხუმრა“ ასე ბოროტად.

მერე ერთხელ კიდევ ამოტრიალდა ქვეყანა და საქართველოს სათავეში კვლავ შევარდნაძე მოექცა. მე არც თვითმფრინავის ტრაპზე დავხვედრივარ და არც რუსთაველზე დამიჩოქნია – არ გადადგე, არ დაგვლუპო-მეთქი. ვუცქეროდი და ვუცქერი ისე, როგორც შეიძლება თავისუფალი მწერალი პრეზიდენტს უცქეროდეს. მე ჩემი საქმე მაქვს. ვწერ რაც მეწერება. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება აღფრთოვანების საბაბს რომ არ იძლევა, ყველამ კარგად იცის.

ამასწინათ ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად ტელევიზიით გამოვედი. ვალერი კვარაცხელიას შეკითხვაზე – რაში არ ეთანხმები ახლანდელ ხელისუფლებასო, ვუპასუხე, არ მომწონს საქართველოს რომ უმალავენ, რომ ქვეყანა რუსეთის მიერ დაპყრობილი და ანექსირებულია-მეთქი. ახლანდელი პარლამენტი კი ერთხმიან ორკესტრად მეჩვენება და მოსაწყენია-მეთქი.

ჩვენს გამოსვლას შედეგად ის მოჰყვა, რომ მეორე დღეს მოქალაქეთა კავშირის ფრაქციაზე ერთმა ბღენძმა (არც მის გვარს დავასახელებ, იმის შეგნებით, რომ ზოგჯერ ნანობს ხოლმე თავის წინდაუხედაობას) განაცხადა, დროა კვარაცხელია და მიშველაძე სამართალში მივცეთო. ამ განცხადების პასუხად ტელევიზიის ერთადერთი დემოკრატიული გადაცემა „პირისპირ“ აიკრძალა. კვარაცხელიას ეთერში გამოსვლის საშუალება მოუსპეს. ჩემს დაპატიმრებას კი, მიუხედავად იმისა, რომ ძველებურად პირში მოვახსენებ სათქმელს, შევარდნაძე აგვიანებს და მგონი, არც აპირებს.

ჩემი პოზიციის გამო ხშირად მირეკავენ ტელეფონით და მეუბნებიან; მადლობელი ვართ, გულისმოსაფხან სიტყვას რომ გვეტყვი ხოლმეო. განსაკუთრებით ზვიადისტები შემეხმიანებიან ხოლმე, გვიხარია რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენს მხარეს გადმოხვედიო. ვპასუხობ, მე არსად არ გადავდ-გადმოვდივარ, რასაც ვწერდი ათი, ხუთი, ოცი წლის წინათ, ახლაც იმას ვწერ-მეთქი. რაც მომწონს, იმასაც ვამბობ და არ ვმალავ-მეთქი. მე ორი საქართველოს გზაჯვარედინზე ვდგა-

ვარ და ნიადაგ შერიგებას ვქადაგებ-მეთქი. არ ვიცი, სჯერა თუ არა იმას, ვისაც მეორე მხარეს უჭირავს ყურმილი.

ახლახანს, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მიტინგს ვესწრებოდი რუსთაველზე. ჩემ ახლოს პირველი პრეზიდენტის მომხრეთა ხუთიათასკაციანი დემონსტრაცია გაჩერდა. რაც ამ ბოლო დროს ჩემი ეროვნული პოზიციის გამო (ესენგეში შესვლის წინააღმდეგი ვარ, არ მომწონს მიწის კანონი, არ მომწონს რომ უბედურ ლტოლვილებს გაუთავებლად ატყუებენ...) ამათგან ქება მესმის, ე მანდ ხელში არ ამიყვანონ და გულში არ ჩამიხუტონ-მეთქი. ეს დემონსტრაცია საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ პატრიოტთა დემონსტრაციაა, შეველიმილე.

– რას იღრიჯები, შე გველო, შე შევარდნაძის ლაქია! მომესმა სისინით ნათქვამი. ნეტავ ვინ გააბედნიერეს-მეთქი და მივიხედე. ჭინკისხელა ზვიადისტი ქალი თვალს არ მაშორებს. თურმე ეს მე ვარ „გველი“ და „შევარდნაძის ლაქია“.

რა მექნა, ხომ არ დავუწყებდი იმ ყრუ, ავადმყოფ ქალს, რომელსაც არაფერი ესმის და არაფერს კითხულობს, რომ მე ჩემს ცხოვრებაში ერთი საათითაც არ ვყოფილვარ არც „ზვიადისტი“ და არც „შევარდნაძისტი“. ავდექი და იქაურობას გავეცალე.

მოკლედ, ჩემი წამება გრძელდება.

როგორც ვატყობ ანდაზის გმირივით, ჩემთვის მთაზე ვცეკვავ, არც იქეთა მხარე მიმადლის და არც აქეთა.

იქნებ ასე სჯობდეს.

იალა, იატაკქვეშ

ამ ატელიეში შვიდი მკერავი ვმუშაობთ, სამი თვეა პრივატიზაცია ვუყავით; ახლა დამფუძნებელიც ჩვენ ვართ და ჩვენი თავის ბატონ-პატრონიც. როგორც ბუღალტრები იტყვიან – თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე ვართ. ერთი შეხედვით ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს, ხომ მართალია? მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვინც არ იცის – ცერცვია და ვინც იცის – ცეცხლიაო, ხომ გაგიგონია. გეტყვი, სინამდვილეში რა დღეში ვართ და თავად განსაჯე, რანაირი თავისუფლები ვართ და მართლა ჩვენი საკუთრებაა თუ არა ეს ატელიე.

დავიწყოთ იმით, რომ ამ დაზგა-მაგიდებში და საკერავ მანქანებში სახელმწიფომ ოთუსბირი გადაგვახდევინა. ოთხჯერ მოგვიმატა ფასი და ოთხჯერ გვაყიდვინა. შენობა, რომელიც ჩვენი სახსრებით გავარემონტეთ, ბალანსზე მაინც არ გადმოგვეცა. რაკიღა ბალანსზე არ გადმოგვეცა, ყოველი მტკაველი დაგვიბეგრა. გახედე, ის შემოსასვლელი ხომ საერთოა, ფულს მარტო ჩვენ გვახდევინებს, თქვენაო, სახელმწიფო სექტორი არა ხართო.

ადრინდელ ატელიეში თუ ყოფილხარ, ქსოვილები იყო გამოფენილი. შეგეძლო, აგერჩია ნაჭერი და იქვე მიგეცა შეკვეთა. ახლა, ჭიპზე რომ გასკდე, ერთ მტკაველ ქსოვილს ვინ მოგათეთრებს.

უნდა იყიდო და მოიტანო, მაგრამ რა ფასი აქვს ერთ წესიერ საკოსტუმეს, გეცოდინება. ნაჭრის და შეკერვის ფასი ერთმანეთს რომ მიუმატო, იმ ფასად ორ მზა კოსტუმს იყიდი. ამიტომაც აღარ იკერავს ხალხი არაფერს. თუ ორი კაპიკი იშოვა, წავა და ფირმის შეკერილს იყიდის. მაგ ფირმის შეკერილზეც მოგახსენებ. ყველაფერი, რასაც მოქალაქეები

გულუბრყვილოდ „ფირმენნის“ ეძახიან, თბილისში იკერება. საზღვარგარეთიდან აქამდე კონტეინერებით ეზიდებოდნენ იარლიყებს და თბილისში შეკერილს მიაწებ-მიაკერებდნენ. ახლა იარლიყების დამზადებაც აქ დაიწყეს. მიიტანს კაცი თბილისში შეკერილ ჯღან შარვალს შინ. ჩაიცვამს და ნახავს სარჩული არა აქვს, „ზმეიკა“ ილინცურადაა მიკერებული, დოგმა ძვრება. დახედავს კიდევ ერთხელ იარლიყს და აგინებს ამერიკას იმ ბებია-გამომქაჩავს. რა იცის, რომ ეს „ამერიკული შარვალი“ მისი სახლიდან ნახევარ კილომეტრში მიწისქვეშა არალეგალურ ატელიეშია შეკერილი. მე ვერ ვიკადრე ასეთი რამ. ორმოცი წელია მკერავად ვმუშაობ, თორმეტი წლის ბიჭი მოვედი აქ და თუ კლიენტი მომეტყუებინოს, თუ უღირსად მოვქცეოდე, წარღვნამ უყოს პირი ჩემს ნაგრამ-ნაწვალებს – რაც გამაჩნია.

გეკითხები ახლა მე შენ, რატომ იმ არალეგალურ ატელიებს არ დასდევს მთავრობა მე რომ მიდგას კრიჭაში, რაკიღა მე არ ვიმალები და აფიორას არ ვაკეთებ? ოცდაცხრიდან შვიდი მკერავი დამრჩა. ა, გახედე, ცარიელია ეს მაგიდები. ოცდაორმა მკერავმა სწორედ იმ საჩუმათო, არარსებულ ატელიეში მიიტანა თავი. დიდი მიხვედრა არ უნდა, რატომ. მეტს უხდიან და იმიტომ.

ვის უნდა, ბატონო, შავი სათვალით, რევოლუციონერივით მისვლა სამსახურში, შიშით ჩაძვრომა სარდაფში და თავაუწევლად ვირივით მუშაობა. მაგრამ რა ჰქნას საწყალმა. ჩემთან სამი წელი ლოკა იმედის თითი. საკუჭნაოში თაგვები დაუწყდა შიმშილითა და ბავშვებს ხმელა პურიც ვერ მოუტანა შინ. ამიტომ ადგა და უპატენტო საქონლის სამკერვალოში დაიწყო მუშაობა. მარტო ფულზე არაა საქმე. ნამდვილი ხელოსნისთვის, თავმომწონე ადამიანისთვის ამის გაკეთება ადვილი არ არის. ფაქტიურად ქურდებად აქციეს ხელოსანყარაჩოხელები. რცხვენიათ ჩემს ყოფილ თანამშრომლებს ჩემი და, რომ მხვდებიან, თვალს მარიდებენ.

ახლა ისევ ჩვენს ატელიეს მივუბრუნდეთ. რაკიღა უხამსობა-უსაქონლობის გამო, როგორც გითხარი, ახალ ტანსაცმელს თითქმის არავინ იკერავს, წვრილმან, დღიურ სამაიმუნო დაკვეთებზე გადავედით. წინა კვირას ორასი ზეწარი შევკერეთ სამხედროების დაკვეთით. ზეწარს რა შეკერვა უნდა, გადაჭერი ქსოვილი და შემოუმაშინე ირგვლივ. დღეს, ხედავთ, დილიდან პატარა შეკვეთა გაგვიჩნდა – სამუშაო უთითებო ხელთათმანებს ვკერავთ. ესაა ჩვენი საქმე? კოსტუმზე სახელო ორი წელია არ მიმიკერებია. დამავიწყდა, მე მგონია კერვა-გამოჭრა.

რა ვქნათ, სული მწარეა. ამ წვრილმანი შეკვეთებიდან რაღაც კაპიკებს გადმოგვირიცხავენ და, ალბათ, ცოტა ხანს სულს მოვითქვამთ. ეს გადმორიცხვაც ცალკე სალაპარაკოა. გადმოგირიცხავთო, რომ მეუბნება მომხმარებელი, ყველის ვაჭარივით ვეღრიჯები – მესამედ ფასში დაგიმზადებთ, ოღონდ ფული ხელზე მოგვეცით-მეთქი. გამოცდილი გვაქვს – გადმორიცხული ფული დაკარგულია. გადარიცხავს დაწესებულება, მოგიტანს ავიზოს ბუღალტერი, გაივლის თვეები, დადიხარ ბანკში. არ მოსულა, ბატონო, გამზადებული აქვთ პასუხი. სად მიდის, სად იკარგება, არავინ იცის და პასუხსაც ვერავის მოთხოვ. აგერ, ჩვენს წინ მარცხნივ შენობას რომ ხედავ, გეცოდინება, ბანკია. იმ ბანკის გვერდით სახლში ათასი ფირმა და სახელმწიფო დაწესებულებაა. ხომ ათი მეტრია მათ შორის მანძილი, რომ გადარიცხოს რომელიმე უწყებამ ფული და ათი მეტრის გავლას ხუთ თვეს მაინც მოანდომებს. მე უკეთეს ვარიანტს მოგახსენებ; თუ არა და საერთოდ დაიკარგება. ეძებე მერე, სად გაეჩხირა შენი ანგარიში.

ხო ასეთ დღეში ვართ, დაბრძანდი ჩვენთან თუნდაც ორი საათით და ამ ორ საათში ცხრა კონტროლ-შემმოწმებელი მაინც შემოვა – სასწაული ამბავი ხდება საქართველოში ბატონო. ნემსის და ძაფისთვის ხელის მოკიდება არავის უნდა. ყველამ შემმოწმებელ დამბეგრავ, დამსჯელ, დამჯარიმებელ უწყებას მიაშურა. სად იყო კომუნისტების დროს ამდენი

რევიზორ-განმკარგულებელი. დღეს ყველა ჩვენი უფროსია. ერთი მუშის სარჩენი ასი მუქთამჭამელი რომაა, იმ ქვეყანას ხეირი დაადგება? მითხარი ერთი.

ა, ძმიშვილი რომ შემოვიდეს ჩემი და პიჯაკზე აწყვეტილი ღილის დაკერება მთხოვოს, ან უარი უნდა ვუთხრა, ან ქვითარი უნდა გამოვუწერო და ფული გადავახდევინო. არა და თუ შემომისწრო კონტროლმა, ტყავს გამაძრობს – ასმაგ ჯარიმას გადამახდევინებს. წარმოგიდგენია, კაცო? ვითომ პრივატიზებული ვართ, ვითომ ჩვენ ვართ დამფუძნებელი და პატრონი ამ ატელიესი და ღილს ვერ დავუკერებ ახლობელს, რომ მინდოდეს.

შენობა ხომ დაქირავებული გვაქვს და იჯარას ვიხდით. არავინ დედამიწაზე არ არის ვალდებული ჩვენი სახელოსნო წესრიგში მოიყვანოს. ჩვენ ვხვეტავთ იატაკს, ჩვენ ვრეცხავთ. მეტი რა შეგვიძლია, აიხედე, სახურავიდან წყალი ჩამოდის. თქვენი სახსრებით უნდა შეაკეთოთო, ოფიციალურად გვითხრეს. თუ ასეა, ფულს შენ რაში მახდევინებ, შე ოჯახაშენებულო.

რისი გათბობა, რისი ღუმელი, მთელი ზამთარი კბილების კაწკაწით გავატარეთ. მე მგონი ჩვენგან ამ შვიდი მკერავიდან, ერთ-ერთი თელასის აგენტია. როგორც კი პატარა შეკვეთა გაგვიჩნდება, მაშინვე გამოგვირთავენ შუქს. მივირბენ სამორიგეოში, ჩვენგან ყველაფერი რიგზეა ქალაქიდან გამორთესო, გეუბნებიან ქალაქის სადისპეჩეროში, გაჩვენებენ დაფაზე; ა, ხომ ხედავ, ჩვენ ჩართული გვაქვს, რაიონი მაიმუნობსო. მოვირბენ რაიონში, არიქა, თუ ძმა ხარ, შემკვეთი გველოდება, დროში ვიწვებით-მეთქი, რა გიყოთ, არა გვაქვს საშუალებაო. გადმოვიბრუნებ ჯიბეებს და ჩავუთვლი სიმწრით ნაშოვნ კაპიკებს სინდისგარეცხილ მორიგეს; სხვას გამოვურთავ და შენ ჩაგირთავ, ოღონდ იცოდე, ძაბვა თუ დაეცა, შენც გამოგირთავო. არ გამომჭრა ყელი, ეხვეწები, მოდიხარ, ხელაკანკალებული მიუჯდები საკერავ მანქანას და ორ საათში ისევ ჩაბნელდება სახელოსნო. მიირბენ სამორი-

გეოში, იქ უკვე სხვა მორიგეა. ის ჩემი მორიგე „შეუძლოდ გამხდარა და შინ წასულა“. რატომ გამორთო დენი? „ფიდერია“ შესაკეთებელი. სხვა ფიდერზე ვერ გადაგვრთავთ დღის ბოლომდე? ჩვენ ატელიე ვართ, კლიენტი გველოდება, ატელიეს კი არა საავადმყოფოს ვერ ვაძლევთ დენს, გაჭრილი კაცი უწევთ და ნაოპერაციევის ამოსაკერად ოცი წუთით ჩართვას გვეხვეწებიან, ყალბმოწყენით მეუბნება მორიგე.

გამოვიქცევი ატელიეში და ისევ შევაგროვებთ კაპიკებს. მივურბენინებთ ნერვებმოშლილ მორიგეს, ისიც მოიღებს მოწყალებას და ჩაგვრთავს სხვა „ფიდერზე“. თანაც ეშმაკურად გვაფრთხილებს, თუ წნევა დაეცა, არ გეწყინოთ, გამოგირთავთო.

სამორიგეოში ნახევარ საათში შედის ათასი სარევიზიო დაწესებულებიდან ერთ-ერთის წარმომადგენელი. ამოწერს იმ ობიექტებს, რომლებსაც დენი (იცით, რის ხარჯზეც) მიეწოდება. აჰა, ესე იგი მუშაობენ, ჩაილაპარაკებს თავისთვის და მოგადგება.

ელექტროღუმელი არა გაქვს ჩართული, მრიცხველი არა გვაქვს გამორთული, დენს არ იპარავ, რა ჰქნას, რაღაცას რომ უნდა ჩაეჭიდოს. აიღებს უთოს და ნერწყვით დასველებულ თითს გაუტკაცუნებს. უთო რატომ გაქვთ ჩართული? მრისხანედ იკითხავს. ჩვენ მწარედგაღიმებულ-შეშინებულნი მივაჩერდებით, როგორც ფარეხში მოულოდნელად გაჩენილ მგელს. ეს ატელიეა, ბატონო, უთო ყოველ წუთს გვჭირდება, ამოილუღლუღებს რომელიმე ჩვენთაგანი. ამოიღებს დაუპატიჟებელი სტუმარი და ზემდგომი ორგანოების განკარგულებას დაგვიდებს წინ; დაწესებულებებში აიკრძალოს ყოველგვარი გათბობ-გამაცხელებლის ჩართვა, გარკვევით წერია შიგ. ეს ხომ გამთბობი არ არის, შევბედავთ ჩვენ, სამაგიეროდ გამაცხელებელია, გვიპასუხებს ის და ჯარიმის ოქმის წერას იწყებს. შვიდპირტყავგამძვრალებს გვირჩევნია საქმე მორიგებით (ისევ ფულის შეგროვება) დავამთავროთ, რაკიღა ჯარიმა ასტრონომიულ თანხას ითვალისწინებს.

მეტს ველარ გავძლებთ, ბატონო. ვატყობ, ჩვენი პატრონ-ქომაგი უახლოეს ხანში არ გამოჩნდება. მალე მივაკეტავთ ამ პრივატიზებულ სახელოსნოს (ერთადერთ სახელოსნოს ამ ქუჩაზე) და ჩვენც იატაკქვეშა საქმიანობაზე გადავალთ; იარლიყებს ვიშოვით და შევკერავთ ჰოლანდიურ შარვლებს, იტალიურ პერანგებს, ჰონკონგურ მოსასხამებს და ფრანგულ ნიფხვებს.

ხუთიათასი წლის ფიალა

ვუძღვნი რამინ რამიშვილს

ურვეთში მეგობრის მამის დაკრძალვაზე ჩავედი, თებერვლის სუსხიანი წვიმიან-ბურუსიანი დღე იყო. ჭირისუფლებში ჩემი მეგობრები ვერ შევნიშნე, სასაფლაოზე გაყოლოდნენ ვიღაცას. ეზოში შავად გაბარჯღული ბებერი ბლის ქვეშ გავჩერდი. საოცარი იერი აქვს ზამთარში ხეს. თუ დააკვირდებით, ზამთარში უფრო შთამბეჭდავია იგი, ხე კი არა, ხის ჩონჩხი უფროა, გაძარცვული, ზეცისკენ ხელებაპყრობილი, კივილად დამდგარი. მწვანით დაფარული ხე სხვაა, კმაყოფილის, ბედნიერის, გამძღარის, დამცხრალის იერი აქვს. დაკრძალვამდე თუ მეტი არა, ორი საათი მაინც რჩება.

თუმცა ხეებს გავცქერი და არაფერს ვიმჩნევ, მაგრამ ვგრძნობ გარს მივლიან, ცნობისმოყვარედ მიცქერიან, ჩემს ირგვლივ წრე ვიწროვდება, აი, ახლა გადმოდგამს ნაბიჯს მათ შორის ყველაზე გაბედული და მკითხავს:

– რას იტყვით, ბატონო ვარლამ, გვეშველება რამე? ვინ მამაძაღლი დაამადლის პასუხს, მართლა რომ ვიცოდე გვეშველება თუ არა საერთოდ და თუ გვეშველება, როდის.

სანამ პეტრე მოვა, პავლეს შერჩება თუ არა ტყავი და გამრთელდება თუ არა დაჩეხილ-დალეწილი საქართველო.

ბრძენის პოზის მიღებას და „საერთოდ გაზაფხულზე იონჯა ამოვას“ ანდაზას ვერც ამ ხალხს ვკადრებ და არც მე მეკადრება.

ყველამ ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის.

ეთნოგრაფიულ მუზეუმს ავაკითხავ, დროსაც მოვკლავ და ხალხსაც გავერიდები.

მუზეუმი მაღლა გორაკზე ამილახვართა სასახლეშია, აქედან შორს არ არის, დათვალიერებული როგორ არა მაქვს,

მაგრამ რას ვნახავ უკეთესს. თანაც სამი წელია აქეთ არ ვყოფილვარ. სამანქანო გზა მარჯვნივ ხვეულად მიუყვება მთას სასახლემდე. ვიწრო ორღობით საურმეზე გავედი და მუზეუმს სამხრეთიდან მივადექი.

კარგა ხანს ვიძახე „მასპინძელო, მაპინძელო“ და იმედი რომ გადამეწურა, სწორედ მაშინ გამიღო გალავანში დატანებული წნული რკინის კარი მაღალშუბლა, სანდომიანი სახის ქალმა, ლურჯ ხალათზე თეთრი შალი რომ მოუსხამს და ნიკაპს საყელოში მომხიბვლელად, ქალურად მალავს. – ჩემი სიკვდილი... ალბათ დიდხანს იძახეთ. საყდრის მხარეს ვართ ყველანი, აქეთ უფრო თბილა. აქეთა მხრიდან არ ველით სტუმარს და გვაპატიეთ ბატონო... თქვენ...

ეჭვი რომ გაუმართლდა, გაეხარდა. შემობრძანდით ბატონო ჯიმშერიც აქ ბრძანდება. მე უბრალო ექსკურსიამძღოლი ვარ, თვითონ ბატონი ჯიმშერი მოგემსახურებათო.

ნუ შეაწუხებთ... არც დრო მაქვს იმდენი... ახალი ექსპონატების დასათვალიერებლად ამოვირბინე-მეთქი, მაგრამ არ დაიშალა. რომ არ გავაგებინო ძალიან ეწყინება, კატეგორიულად ვყავართ გაფრთხილებულიო.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ჩემს წინ სახელგანთქმული არქეოლოგი, ურვეთის ექსპედიციის ხელმძღვანელი, მუზეუმის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი ჯიმშერ წავკისელი იდგა. თეთრწვერა, სათვალიანი მოხუცის ჩავარდნილ ლოყებზე, განზე გასულ ყვრიმალებზე და წარბებს შორის ცხვირის ზემოთ სამ შვეულ ნაოჭზე ბერის სიმტკიცე-სიჯიუტე და თვითგვემის კვალი იკითხებოდა. დაბამბულ ქურთუკს შიგნით ლურჯი პიჯაკი და თივთიკისსახელოიანი, გაცრეცილი სვიტრი უჩანდა.

ჩემი მოსვლით კი არა, საერთოდ სტუმრის მოსვლით იყო გახარებული. ამას ასე კატეგორიულად იმიტომ მოგახსენებთ, რომ მე არაფერ შუაში ვარ. ჩემი სახელი ექსკურსიის განმავლობაში არაერთხელ დაავიწყდა და ბოლოს, გითხრათ სიმართლე, მეც აღარ შემიხსენებია.

ექსკურსიამძღოლ ქალბატონს გასაღებების შეკვრა ამოატანინა და მუზეუმის დათვალიერება ამილახვართა ეზოდან დავიწყეთ.

წყალსატევის ფსკერგამორიდებული მეთორმეტე საუკუნისდროინდელი მექოთნე-კერამიკოსის სახელოსნო და სამოცდაოთხჩონჩხიანი მეთერთმეტე საუკუნის სამარხი არც კი გვქონდა გავლილი, მაჯისკენ რომ ჩავაპარე თვალი, სამს აღარაფერი უკლდა. მიცვალებულს სადაცაა გამოასვენებენ, მაგრამ მოდი და უთხარი, ბატონო ჯიმშერ თუ შეიძლება, ცოტა დავაჩქაროთ, დაკრძალვაზე მიმეჩქარება-მეთქი.

სხვას შეიძლება გაებედა ამის თქმა, მე ვერ გავბედე.

კაცი მთელი არსებით გიყვება, გიხსნის. შთაგონებით იგი ახლა იქ არის, დავითის და თამარის ეპოქაში და რა კადნიერებაა რომ შეაწყვეტინო, გამოიყვანო ეს სახეგანაზებული ხმაათრთოლებული მოძღვარ-ისტორიკოსი თავისი გრძნეულების საუფლოდან.

ქრისტიანობამდელი არქეოლოგიური ექსპოზიციის დაწვრილებით გაცნობას რომ მოვრჩით, მუზეუმის სარკმელში უკვე მოღონიერებული ღამე იმზირებოდა, პროფესორმა ლამპით შემომატარა დანარჩენი სამი დარბაზი, კოშკის თავზე პატარა სენაკიდან ქონგურებიან აივანზე რომ გავედით და მთვარით განათებულ დაბას გადავხედეთ, შუაღამის ჟამი მოწევნულიყო.

ციოდა. უსიამო, შემაშინებელი სიჩუმე იდგა ირგვლივ. და სხვათაშორის მითხრა იმ ღამეს ბატონმა ჯიმშერმა:

ეს მეორე წელია დავტოვე თბილისი და აქ გადმოვსახლდიო.

სხვა გზა არ მქონდა. გაპარტახდებოდა აქაურობა. მუზეუმისთვის თავშეწირული ორი თანამშრომელი შემრჩა. დანარჩენებმა ვერ გაუძლეს შიმშილს და დამეფანტნენ.

დარაჯიც მე ვარ და დირექტორიცო.

მესამე წელია მიწაზე ბარი არ დაგვიკრავს, არქეოლოგისთვის კი არა, საბავშვო სახლებისთვის არა გვაქვს ფული,

რა დროს გათხრებია ბატონო ჯიმშერ, ასე მითხრა ერთმა მინისტრმა და თითქოს ბაგეზე ლოდი დამკიდეს, ხმა ვერ ამოვიღეო.

ბოლოს აღარ მახსოვს მერამდენედ, ნაახალწლევს მესტუმრნენ ავტომატიანი ყაჩაღებიო. შუაღამისას ლოგინიდან წამომაგდეს და სანამ ყველა კარი თუ სკივრი არ გამახსნევინეს, არ მომეშვნენო. სულ მუჯლუგუნ-კინწისკვრით დამატარებდნენ ოთახიდან ოთახში. ბოლოს მაინც არ დამიჯერეს, რომ აქ ოქროსა და ვერცხლის ექსპონატებს არ ვინახავთ, ეზოში ჩამიყვანეს და შესაშინებლად ავტომატი მომიშვირესო. ასე მივეჩვიე დამცირება დატუქსვას, ნანასავით ჩამესმის ყურში ბანდიტის გამყინავი, დაგუდული, უტიფრული სისინიო.

უნდა მაპატიოთ, უხეირო მასპინძელი ვარ. ჩემი პროფესორული ხელფასი, რა ვქნა, გამხელა მრცხვენია, პურის ფულადაც არ მყოფნისო.

ამ ერთი კვირის წინ ჰუმანიტარულ დახმარებად ათი კილო ბარდა-სოიო დაგვირიგეს. ყოველდღე სოიოს ფაფას გეახლებით და მოვითქვი სულიო.

მოწუწუნე კაცი არ გეგონოთ, ამ მუზეუმს არ დამინგრევდნენ, ხუთიათასი წლის ფიალებს არ დამაფშვნიდნენ თავზე და მოვითმენ ყველაფერსო. ცრემლი მომერია, მადლობა მოვახსენე და წვერზე ვაკოცე.

რბილი და ფაფუკი, მაგრამ ცივი წვერი ჰქონდა.

ტალახიან შუკაში ვეშვებოდი და წამდაუწუმ ექვთიმე თაყაიშვილი მახსენდებოდა.

ერი, რომელსაც მეოცე საუკუნის დასასრულს კიდევ შერჩა ბატონი ჯიმშერისთანა მოხუცები ღვთისაგან განწირული არ უნდა იყოს.

უბრალო საქმე

მახმუდ მახმუდის ძე მახმუდოვი ამ ოცი წლის წინათ ქალაქს მოადგა.

სწორედ ამ ადგილას, საიდანაც გრიგოლ ორბელიანს უყვარდა თურმე გადმოხედვა, კარავი დაიდგა. კარავში თავისი სამი ცოლი და თოთხმეტი შვილი შერეკა. თვითონ ბოხოხი მუხლზე ჩამოიდო, კარვის წინ დაჯდა და ჩაის სმას შეუდგა.

მეორე დღეს უბნის რწმუნებული გამოეცხადა.

ვინა ხარო, ჰკითხა.

მახმუდს თავისი ვინაობა არ დაუმალავს.

აქ საიდან გაჩნდიო.

„მახმუდი ერთი საწყალი კაცი ხარ, შორი გზიდან მოვდივარ, კარავში ორი დღე დაისვენებს და წავალ ჩემ გზაზეო“.

რწმუნებულს ისე შეებრალა ყარიბი მოგზაური, რომ ცრემლი მოადგა. სტუმარს მისი გულჩვილობა რომ არ შეემჩნია, შებრუნდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

გავიდა ხანი. რწმუნებული ქალაქის მკვიდრთა მიერ სახლებზე უპროექტოდ და უნებართვოდ მიშენებული კიბეების ნგრევით გაერთო და მაღლა ასასვლელად ვერ მოიცალა.

მახმუდს ისე მოეწონა უსამნოდ კეთილი, გულუბრყვილოდ სტუმართმოყვარე, მასპინძლობაზე გაგიჟებულ-გადაგებული, სტუმართა სიმრავლით ნიადაგ მოტრაბახე ქალაქი, რომ გადაწყვიტა, სამუდამოდ აქ დამკვიდრებულიყო.

კარავს ალიზის ქოხი შემოაშენა, თვითონ პირველი ცოლით და პირველი ხუთი შვილით ქოხში დარჩა, დანარჩენ ორ ცოლს და ცხრა შვილს იქვე ახლომახლო ალიზის ქოხები აუშენა.

მახმუდის ნაშიერნი უსაქმურად წუთსაც არ ჰკარგავდნენ, მახლობელ ტყეებში შვინდს და პანტა ვაშლს აგროვებდნენ, რომელიღაც ბედოვლათი ნათავადარის მიერ მიტოვებულ მიწაზე მწვანილი მოჰყავდათ და ქვევით ბაზარში ჰყიდდნენ.

ქალაქის გარეუბანში ხანდახან ექსკურსიაზე ამოსულ ჟურნალისტებს და აღმასკომის მუშაკებს რცხვენოდათ, რომ საბინაო კომუნალური მშენებლობა ჩვენში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იდგა. „რას ჰგავს ეს, ჩვენი თავი ჯანდაბას, ქალაქის მახლობელ სერებზე მოძმე ერების წარმომადგენლებსაც კი დღემდე ვერ შევუქმენით ნორმალური საბინაო პირობები, ჩვენდა სამარცხვინოდ, დღემდე ალიზის ქოხებში ცხოვრობენო“, წუწუნებდნენ ისინი.

დრო კვლავ ძველებურად გარბოდა, ხან შედარებით ნელა, ხან ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა.

ერთ დღეს ქალაქში ხმა დაირხა, მიტაცებულ მიწებს და უნებართვო სახლებს სწავლობენო.

უბნის რწმუნებული და საბინაო სამმართველოს უფროსი ავარდნენ იმ მაღლობზე, საიდანაც ერთ დროს გრიგოლ ორბელიანს უყვარდა თურმე გადმოხედვა.

ავარდნენ და სახტად დარჩნენ.

სადღა იყო მახმუდ მახმუდის ძე მახმუდოვის ალიზის ქოხი. თეთრ-ყვითლად და ცისფრად შეღებილი ქარვასლებიდან შიქასტა-ბაიათები ისმოდა. ერთ-ერთი ქარვასლის წინ სამ ცოლთან ერთად მახმუდი ჩამომჯდარიყო, კრიალოსანს მარცვლავდა და ეზოში მოჯირითე ორმოცდათვრამეტ შვილიშვილს ხანდახან სიყვარულით გაედუდუნებოდა: თქვე გასაზრდელებო, ფრთხილად ითამაშეთ, ე, მანდ, არ დამაქციოთ კაკალი კაცი, კისერი არ მოიტეხოთო.

როგორ ბრძანდები, მახმუდ ეფენდიო, ჰკითხა რწმუნებულმა. როგორ იქნება საწყალი მახმუდიო, თვალები მინაბა მახმუდოვმა.

რა ამბავია ეს ამდენი უკანონო სახლიო, აიმრიზა საბინაო სამმართველოს უფროსი.

მეც ეგ მიკვირსო, მახმუდმა. ამდენი ხანია ველოდებით დაკანონებას და არ დაადგა საშველიო. მოსკოვს უნდა მივწეროთ, ცუდად მუშაობს აღმასკომიო.

მართლა მოსკოვს არ მიწეროსო, დაფრთხნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ძუნძულით დაეშვნენ დაღმართზე და მეორე დღეს ბეჭედდასმულ-გაფორმებული საბინაო წიგნი მიართვეს ახალი დასახელება „საამური ცხოვრების“ კანონიერ მკვიდრს მახმუდ მახმუდის ძე მახმუდოვს.

იბარტყა და იმრავლა ახალმა დასახლებამ. ქალაქს ლამის გარს შემოეწყო.

ბოლოს ვიღაცამ ხმა ამოიღო, რაშია საქმე, ბოლოს და ბოლოს, იმ ადგილებს მაინც მოვუაროთ, საიდანაც გრიგოლ ორბელიანს უყვარდა გადმოხედვაო.

ავიდნენ სერზე რაიაღმასკომის მესვეურები და თვალწინ გადაეშალათ მჭიდროდ დასახლებული სოფელი, ჰიგიენური თვალსაზრისით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ერთი ყველაზე დიდი სახლის წინ თავის სამ ცოლთან ერთად იჯდა მახმუდ მახმუდოვი, რომელიც პაპობრივი სიყვარულით აყოლებდა თვალს უკიდეგანო ეზოში მოთამაშე ოცდარვა შვილიშვილს და ოთხმოცდაშვიდ შვილიშვილიშვილს.

ეს რა გიქნიათ, მახმუდ ბატონოვო, ჰკითხეს. ჩვენ სამი სახლი დაგიკანონეთ, თქვენ სამოცდარვა სახლი გაგიმართავთო.

არაო, გეჩვენებათ, ჩემი პატიოსანი მამის მზემაო, მახმუდმა, ესენი აქ არ ცხოვრობენ, ჩემი ნათესავები არიან, დღეს ჩამოვიდნენ ჩემს სანახავად და ხვალ, ალიონზე აპირებენ უკან წასვლასო.

ბარე ოცდაათი ალიონი გავიდა, მაგრამ მახმუდის „სტუმრებს“ წასვლა არც უფიქრიათ.

ბოლოს აღივსო მოთმინების ფიალა და გამგეობამ, თავის ერთ-ერთ სხდომაზე უმკაცრესი დადგენილება გამოიტანა: „დანგრეულ იქნას ახალ დასახლებაში უნებართვოდ აშენებული სამოცდარვა სახლიდან ორი ფარღალალა საქათმე-ჯიხური და ერთი ალიზის ქოხიო“. ის ქოხი მახმუდოვებს ბარნიჩბის შესანახად დაეტოვებინათ.

გამგეობამ გადაწყვიტა, მაგრამ რწმუნებული ყოყმანობს დანგრევას.

ბოლოს და ბოლოს, ქართველი კაცი ვარ, მოძმე ერის წარმომადგენელს ასეთ უბრალო საქმეზე ხომ ვერ მოვიმდურებო.

სახლ-მუზეუმი

ოპოზიციური გაზეთები არ ისვენებდნენ, თორემ სახლ-მუზეუმის თავი ჰქონდა დამშეულ ქალაქს? მთელმა მსოფლიომ აღიარა გოგრიჭიანი უდიდეს მოცეკვავედ, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ იგი გვიმრიანშია დაბადებული, ჩვენი ქალაქის მერიის მოუქნელი მუშაობა კი იქამდე მიდის, რომ დღემდე გოგრიჭიანის მუზეუმი ვერ გაგვიხსნიაო, სხვადასხვა სიტყვებით ამ აზრს იმეორებდნენ ოპოზიციური გაზეთები და ბოლოს, როგორც იქნა ყინული დაიძრა. მერმა უფროსი ინსტრუქტორი გოგოლაშვილი დაიბარა და დაავალა: მიდი, მოელაპარაკე, ვინც გოგრიჭიანის ბინაში ცხოვრობს. უნდა დაგვიცალო ბინა მუზეუმისათვის-თქო. გაიგე, რას მოითხოვს, რა უნდა, იმ კვირაში უნდა დავამთავროთ ეს საქმე, თორემ ნამეტანი აყაყანდა პრესაო.

იქნებოდა ასე ნაშუადღევის ოთხი საათი, როდესაც ინსტრუქტორი გოგოლაშვილი ნოე ჟორდანიას ქუჩაზე აგურისკედლებიან, სართულნახევრიან სახლს მიადგა. ჯერ ზარის ღილაკს დააჭირა თითი, მაგრამ ჭიშკარი რომ არავინ გაუღო, იაზრა, ალბათ დენი არ არისო. გოგოლაშვილი მართალი გახლდათ. გვიმრიანის მთელი ბობოქარი ისტორიის მანძილზე მესამე შემთხვევა იყო ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონის დაწევის (?!) გამო დენი რომ გაითიშა.

გოგოლაშვილი არ დაიბნა. ჭიშკრის ღრიჭოს პირი მიადო და გაბედულად დაიძახა:

– მაპინძელო!

კოინდრიან, უნაბ-კორკიმელით დამშვენებულ იმერულ ეზოში გაზაფხული დავანებულიყო. მარცხნივ ჩაყოლებული ნამყენი მტევნის ხეივნიდან დამათრობელი სურნელი ჰქროდა.

სიჩუმეს დროდადრო ეულად მომუშავე ფუტკრის ბზუილი არღვევდა.

სახლის კანონიერმა მფლობელმა, ჰიდრომეტსადგურის ქარის განყოფილების გამგემ ევსიხი შარაბიძემ ჯერ ფანჯარა გამოაღო და სტუმარში ნაცნობი რომ ვერ შეიცნო, ფანჯარა სწრაფად მიხურა. ვიეტნამურ თეთრ მაისურზე ფლანელის პიჟამო გადაიცვა, სარკეში თმა გაისწორა, სიჩქარეში ფლოსტებს რომ ვერ მიაგნო, მაღალყელიან სანადირო ჩექმებში ტუცა ფეხი და კიბეზე დაეშვა. მოსაწყენი, მაგრამ აუცილებელი იმერული სალამ-მოკითხვისა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე აზრთა ბუნდოვანი გაცვლა გამოცვლის შემდეგ რკინის უძრავ სკამეიკაზე ჩამომსხდარ სტუმარ-მასპინძელს შირის დაახლოებით კი არა, ზუსტად ასეთი საუბარი გაიმართა:

– გაგიკვირდებათ ახლა, ევსიხი ბატონო, ჩემი მოსვლის მიზეზი.

– ბრძანეთ, ბატონო, ამ მთავრობის ხელში გაკვირვებას კაი ხანია გადავეჩვიე.

– ამ სახლში მოგეხსენებათ, ვიქტორ გოგრიჭიანია დაბადებული.

– კი, ბატონო.

– სირცხვილია ჩვენს ქვეყანაში გოგრიჭიანის სახლ-მუზეუმი რომ არ გვაქვს.

– მოგვეჭრა თავი და ეგ არის. რა ეშველება ახლა ამ საქმეს?

– ქალაქის მერიამ გადაწყვიტა; ამ სახლში გოგრიჭიანის მუზეუმი უნდა გაიხსნას. მე გამომგზავნეს მოსალაპარაკებლად.

– თუ გადაწყვიტა, გაუთავებია საქმე, ჩემო ბატონო. მოლაპარაკება მე მგონია, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, მანამ იყო საჭირო.

– მაგაშიც მართალი ხართ.

– ისე, ზოგადად ვლაპარაკობ რასაკვირველია.

– უნდა მითხრათ, რანაირად, რა ფასში, თუ ფულზეა საქმე. თუ არა და ჩვენ შემოგთავაზებთ გამზადებულ ბინას.

– რა მაგის პასუხია და თბილისში რატომ არაა გოგრიჭიანის მუზეუმი?

– აქაა დაბადებული.

– ამ სახლში, ბატონო, სულ ხუთი წელიწადი ცხოვრობდა. ხუთის არც იყო, თბილისში რომ წაიყვანეს და სამოცდაშვიდი წელიწადი იქანა გაატარა. დაბადების ადგილს როგორ არა აქვს მნიშვნელობა, მარა მე, მაგალითად, საღორიაზე რომ მეოთხე სამშობიაროა, იქ ვარ დაბადებული.

– მაგით რა გინდათ თქვათ, ბატონო ევსიხი?

– ისე, ზოგადად ვლაპარაკობ, რასაკვირველია.

– მე არ ვწყვეტ ამ საკითხს. მე, მოგეხსენებათ, პატარა კაცი ვარ, მოსალაპარაკებლად გამომგზავნეს.

– მუზეუმი, ბატონო, მშიერ ქვეყანას კი არ ჭირდება.

– რა შუაშია შიმშილი?

– როგორ არაა შუაში? რამდენი სახლ-მუზეუმია ჩვენს ქალაქში, ბატონო, შვიდი ხომ მაინც იქნება. წამოდით, ნიძლავს დავდებ, დილიდან საღამომდე დავდგეთ რომელიმესთან ერთი დამთვარიელებელიც თუ შევა, კისერს მოვიჭრი.

– დღეს არ შედიან, ხვალ შევლენ.

– ჰოდა ხვალ გავხსნათ, შე კაი დედმამიშვილო, დაწყნარებულ ხასიათზე, რა გვეჩქარება. ერთს ვიტყვი ახლა მე. ჩემი ბრალია გოგრიჭიანი რომ კარგად ცეკვავდა?

– ვერ გავიგე?

– რაღა მე უნდა ავიყარო, ბატონო, დედა-წულიანად. რაღა მე უნდა მოვიშალო საბუდარი.

– შე კაცო, ეგება უკეთეს ბინას გაძლევთ.

– ვიცი, რა უკეთესსაც მომცემთ. შეხედე იმ ნაგვერდულის ჯიხურს, უკან, მარჯვნივ ტოლით რომაა გადახურული, თხა მყავს შიგ, ბატონო. ორ ლიტრ რძეს მაძლევს ყოველდღე. თქვენ რომ მეშვიდე სართულზე სამოთახიან სკვინჩის ბუდეს მომცემთ, თხა სად წავიყვანო, მითხარი ლოთიანად.

– ეგებ სხვაგან მოგცეთ, მოლაპარაკების ამბავია.

– ჩემი და შენი მოლაპარაკება კი არა, მთელი მსოფლიოს თვალწინ ყოველ კვირას ატყუებს, ბატონო, ელცინი შევარდნაძეს.

– რა ვქნათ აბა, რა პასუხი ვუთხრა უფროსობას. – ერთს გეტყვი მე, შენი სახელი?

– ჯიმშერი, ჯიმშერ გოგოლაშვილი.

– ბატონო ჯიმშერ, ოთხი თვის შვილიშვილი მიწევს ახლა მე, ეგერ, შუშაბანდში. აკვანში ვერ ვაჩერებთ, არტახებს გლეჯს, გელაპარაკები. ხომ არ ვიცით მე და შენ, რა გამოვა ეს ბღარტი, ეგება სიტყვაზე გეუბნები, ისეთი მოცეკვავე დადგეს, გოგრიჭიანს მოწაფედ რომ არ აიყვანს. რა ვქნათ მერე, დავტოვოთ უმუზეუმოდ ჩემი შვილიშვილი რომაა იმიტომ?

– მე სერიოზულად გელაპარაკები, თუ ძმა ხარ, ღმერთმა ქვეყნის თვალი გაგიზარდოს. შენ რავა ფიქრობ, მეხალისება ამ სიცხეში სიარული აქანა მეე? მე რომ მკითხო, ორჯერ არ ვარ ოპერაში ნამყოფი. იძახიან კაი მოცეკვავე იყოვო, თვარა მე მაგის ცეკვა არ მინახავს.

– არ ცეკვავდა გლახად, მარა იძახიანო შენ რომ თქვი, სხვა რაღაცასაც ქე იძახდნენ, სხვათაშორის.

– კაი ერთი, მაგი რა სალაპარაკოა, თუ ძმა ხარ.

– ისე ვამბობ, ზოგადად თვარა, მე მაგნაირი რამე, ბატონო საერთოდ არ მჯერა, ისე მაცოცხლოს გამჩენმა, მუზეუმი ურიგო საქმე არაა, მარა მუზეუმი მე ილია ჭავჭავაძის ვიცი და აკაკი წერეთლის...

– რავა?

– რავა და რამდენი წლის მკვდარია გოგრიჭიანი?

– ოთხის, რა მნიშვნელობა აქვს?

– კი აქვს ცოტა მნიშვნელობა. დრო უნდა გავიდეს, ისტორიამ უნდა შეიფაროს. გოგრიჭიანთან არ მაქვს ამ წუთში საქმე, ცოტა ინტელიგენტმა შეირცხვინა თავი ამ ბოლო დროს? დღეს რომ ერთს იტყვი, შე კაი კაცო და ხვალ მეორეს.

ხალხი რომ შემოგყურებს და უნამუსოდ ატყუებ, ან პირში წყალი გაქვს ჩაგუბებული, შენი რა იმედი უნდა მქონდეს. ქვეყანა შენი განზე გადგომით დააქცევინე ყაჩაღებს და ახლა სახლ-მუზეუმს მთხოვ აქანა? ის თხა, გითხარი მისი არ იყოს, ორ ლიტრ რძეს მაძლევს ყოველდღე...

სტუმარ-მასპინძელს შორის საუბარი აქ არ შემწყდარა, მაგრამ ნოველის ავტორს ხალისი აღარ შერჩა ამ დიალოგის დაწვრილებითი გადმოცემისა.

მკითხველმა, როგორც გაეხარდება, ისე გააგრძელოს.

... ეგ იყო, ჭიშკარში რომ გადიოდა, ინსტრუქტორი გოგოლაშვილი დაიხარა და, ლამის ყურში უჩურჩულა მასპინძელს:

– ისე, ვერც ცეკვით ცეკვავდა, მაინცდამაინც, გადასარევად.

გალია

ადრე გამეღვიძა.

ვიწრიალე-ვიტრიალე საწოლში. ხან ძველ გაზეთს წავავლე ხელი, ხან ჩემი უბის წიგნაკი ვათვალიერე. ძველთაძველი უბის წიგნაკი მაქვს. ბარე ოცდაათი წლის იქნება. თვალისჩინივით ვუფრთხილდები მხოლოდ ტელეფონის ნომრები და მისამართები მაქვს ჩანიშნული. სამჯერ დავკარგე და სამივეჯერ ვიპოვე. ნახევარი აღარაა ცოცხალი იმათგან, ვისი სახელიც მიწერია და მით უფრო ძვირფასია ეს ბლოკნოტი ჩემთვის. უბრალო უბის წიგნაკი კი არ არის, ჩემი ცხოვრებაა შიგ მოქცეული. ყველა სახელთან რაღაც მოგონება მაკავშირებს. დროს მოკვლის უკეთესი საშუალება არ მეგულება – გადაშალე უბის წიგნაკი და გაიხსენე. რაც სიბერეში შევდივარ, მით მეტი ფასი აქვს ჩემთვის. ასე მგონია, ჩემი უბის წიგნაკი მე თვითონ ვარ. რომ მოვკვდები, თუ ვინმე ჩემით დაინტერესდება, ყველაზე უკეთ უბის წიგნაკიდან დაადგენს, ვინ ვიყავი, რა ვიყავი, ვისთან მქონდა საქმე. თუმცა რას ვროშავ, თქვენ მწერლები ხართ ბედნიერი ხალხი ამ მხრივ, სიკვდილის მერე რომ უფრო და უფრო მაღლდებით და ათასი წელი რომ ელაპარაკებით ადამიანს თქვენი დღევანდელი ფიქრით, თვარა ჩემისთანა უბრალო კაცი ვის გაახსენდება. რამდენი დაზღვევის აგენტი დაჩალიჩობს ამ ქვეყანაზე, ვის რაში აინტერესებს.

ჩავიცვი და გამოვედი. სასტუმროს მორიგეს გასაღები გავუწოდე და ვკითხე: დადიანების ბაღში მინდა გავიარო, საიდან არის-მეთქი შესასვლელი.

– მთავარი ჭიშკარი თეატრთანაა, მაგრამ შორს არის აქედან და აგერ მოკლეზე შეიძლება შესვლა, პირდაპირ ქორთუას ეზოში შედით, სახლის უკან კარი აქვს და პარკში გახვალთ. ნამეტანი ადრეც არ ვარგა შესვლა, ცოტა საშიშია,

ჩვენს შორის რომ დარჩეს. ათასი ქურდი და მამაძაღლი დადის მაგ პარკში ღამე, – საათზე დაიხედა, – თუმცა არც ისე ადრე ყოფილა, ცხრა წამოსულა უკვე, ა, პირდაპირ პალმა რომ დგას ეზოში, ქორთუას სახლია ეგ. შებრძანდით და უკანა აქვს კარები. დაინახავთ იქვე.

მადლობა მოვახსენე და ქუჩა გადავჭერი.

ათი წელია ზუგდიდში არ ვყოფილვარ.

გუშინ ცუდ ხასიათზე დავიძინე.

ასე მეგონა, სხვა ქვეყანაში მოვხვდი: ზუგდიდი თორმეტ კილომეტრიან ზონაშია. ყოველ ნაბიჯზე რუსის პატრულები, უცხოურდროშიანი მანქანები, სირენის კივილი... მოკლედ ოკუპირებული ქალაქია. რა უნდათ, ვინ დაპატიჟათ, ვის იცავენ, ვისგან... ყველაფერს ვიფიქრებდი და საქართველო-რუსეთის საზღვარი თუ ზუგდიდთან ჩამოაღწევდა, ვერ წარმოვიდგენდი.

ერთხანს ვიძახე „მასპინძელო“ და რომ არავინ გამეპასუხა, ჭიშკარი შევაღე. ხუთი ნაბიჯი არ მექნებოდა გადადგმული, ქალის ხმა მომესმა: – რამბავია! ანუ კა გადადი ეზოდან!

ავიხედე. აივანზე ჭრელი თავსაფრით თავყბაშეხვეული, რუსის ბებერი ქალი დგას.

– მე... ქალბატონო... იქეთ მინდა გასვლა თუ შეიძლება, – დადიანების ეზოსკენ მივუთითე.

– არშეძლება! ეს პრახადნოი დვორი არ არის! გადადი! დაკეტე ჩიშკარი!

– ქალბატონო, ქურდი არ გეგონოთ. ბოდიშს ვიხდი, ეზოში რომ შემოვედი.

– ჩვენ კურტის არ გვეშინია. მე ტვიტონ შენზე დიდი კურტი არის. გადადი! გადადი! შენ კარგად იცის, საიდან შესასვლელი!

კიდევ ერთხელ მოვიხადე ბოდიში და კარი გავიხურე.

სასტუმროს მორიგეს ვკითხე, სად მიმასწავლე, შე კაი კაცო, რუსის ქალმა უბოდიშოდ გამომაბუნძულა-მეთქი.

გალია ჩამოსულაო, გაეცინა. კიდევ კარგი ქვა არ გდრუ-ზათ ზურგშიო. ისეთი მამაცი ქალია, ჩიტს არ აჭაჭანებს ქორთუების ეზოშიო.

ვინ არის, თუ ძმა ხარ. ან საიდან შემოეხეტა, ან ქორ-თუების ოჯახთან რა ხელი აქვს-მეთქი.

მორიგემ ასეთი რამ მიამბო:

– ეგ ქალი, პატივცემულო, შეატყობდით, ალბათ, რუსია. დიდი ხნის ჩამოსულია რუსეთიდან. აქ დაბერდა. ახალგაზრდა იყო რომ ჩამოვიდა. რა ვიცი, მე ეგ ახალგაზრდა არ მახსოვს. მე ორმოცს გადავშორდი და ეგ სულ მასეთია, როგორც თქვენ ნახეთ. ადრე ფოსტალიონად მუშაობდა თურმე, როცა ფოსტა იყო. ახლა ფოსტალიონი ვის რაღად უნდა. როგორ მოხვდა ქორთუებთანო, თქვენ მკითხეთ. მოხვდა კი არა, მაგია დი-ასახლისიც, პატრონიც და ყველაფერი. მაგნაირ მუყაითს და თვალფხიზელს მეორეს ვერ ნახავ ზუგდიდში, პატივცემუ-ლო. საწყალი ჯვეზე ქორთუა და მისი ცოლი, ჩიტო ერქვა ცხონებულს, ადრე დაიხოცნენ. ორი ბიჭი დარჩათ. უფროსი გენო თერთმეტის იყო და ბორია ათის. დარჩნენ ბიჭები ნათე-სავების და მეზობლების ამარა. ნათესავი და მეზობელი ორ დღეს, ორ კვირას მოგივლის და მერე წავა თავის გზაზე. ხომ ასეა. ყველას თავის თავი უჭირს. ეს გალია, თურმე, ფოსტას რომ დაარიგებს, მივა ქორთუებთან, მიულაგებს, დაურეცხ-ავს, საჭმელს გაუმზადებს ობლებს. კვირაში ორჯერ-სამჯერ, უფასოდ, რა თქმა უნდა უსასყიდლოდ. ეგ კი არა, ფოს-ტალიონობაში აღებული თავისი კაპიკებით უზიდავს პურს და ყველს. მოკლედ, ღმერთმა გამოუგზავნა გალია უპატრონოდ დარჩენილებს, თვარა კაცმა არ იცის, სად იქნებოდნენ ახლა ორივენი. ასე უვლიდა მისვლა-მოსვლით ბარე ექვსი თვე ობ-ლებს გალია და მერე ქორთუების ჭერქვეშ დაიდო ბინა, თვი-თონ ბიჭებმა ისურვეს ასე. დაინახეს დედის მაგიერ სუფთა, ერთგული და პატიოსანი ქალი და რატომ ეტყოდნენ ვარს.

დაამთავრეს სკოლა გენომ და ბოჩიამ. სანამ მოსწავლეე-ბი იყვნენ, გალია სულ სკოლასთან იყო ატუზული. ერთხელ

სიგარეტი უპოვა თურმე ჯიბეში ბოჩიას და ჩხოუშიმდე სდია სახრით ხელში. გამოწკეპილი, სამაგალითოდ დავარცხნილი, სულ გატკიცინებულ-დაუთავებულში ჩაცმული დაჰყავდა ბიჭების გალიას. დაამთავრეს სკოლა და ორივეს ექიმობა უნდა. თბილისში უფულოდ ვინ მიგიღებდა სამედიცინოზე და ფული სად ჰქონდათ ქორთუებს. ორი წელი აბარა გენომ, ბოჩიამ – ერთი. სია რომ გამოაკრეს, გალია მივარდა, თურმე, კომისიის მდივანს და სულ „ჟულიკო“ უძახა. ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან.

სხვა გზა არ იყო და პეტროგრადში გადაწყვიტეს ბიჭებმა სწავლა. გალიაც თან გაჰყვა. ზღაპრებს ჰყვებიან პეტროგრადის წლებზე, ვინც, გენოსთან და ბოჩიასთან ერთად სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში. ნაბიჯზე არ ტოვებდა გალია ბიჭებს. მთელი ინსტიტუტი იცნობდა გალიას სტუდენტებიან-პროფესორებიანად. აბა ერთი, ლექცია გაეცდინა რომელიმეს, ან ჩათვლა ვერ მიეღო დროზე. აქედან ნათესავები ერთორ კაპიკს უგზავნიდნენ, მაგრამ რას ეყოფოდათ. პეტროგრადში ცოტა უნდა ორ სტუდენტს? გალია ღამით სამრეცხაოში მუშაობდა და იმით არჩენდა შვილობილებს. ახლა სხვას არ იკითხავთ? კატეგორიული წინააღმდეგი იყო, თურმე, გალია რუსის გოგოზე გენოს და ბოჩიას დაქორწინებისა. ჯერ ამათ ეჩიჩინებოდა დღე და ღამე, ვიცი, მე რაც არიან რუსის ქალები, არ გამოგადგებათ ზუგდიდში, ქართველი უნდა ითხოვოთ თქვენო. თუ ეს დარიგება არ გაჭრიდა და ნამეტანი ჩაეფსკვნებოდნენ გამოუცდელი ბიჭები რუსის გოგოებს, ახლა იმ გოგოსთან მიდიოდა გალია. ტყუილად დროს ნუ კარგავთო, ამათ თავიანთი წესები აქვთ, აკრძალული აქვთ ოჯახიდან სხვა ეროვნების ქალის ცოლად მოყვანაო. იმდენს იზამდა, რომ მაინც დააშორებდა ერთმანეთს. ერთხელ, გენომ მეხუთე კურსზე იყო თურმე მაშინ, ინსტიტუტის თანამშრომელთან, ასისტენტ ქალთან დაიკავა საქმე. არაფერმა რომ არ გაჭრა, გალიამ სასწრაფო დეპეშა გამოუგზავნა თურმე ბიჭების ბიძას – „გენო გიბნეტ! პრიეზჟაიტე ნემედლენნო!“

მთელი ნათესაობა დაადგა იმ ქალს, თურმე თავზე და ძლივს გამოწოწკნეს გენო ხელიდან.

ახლა ორივენი, გენო და ბოჩიაც, ექიმები გახლავან. ორივე ცოლშვილიანია და თბილისში ცხოვრობს. მაგათი ცოლის შერთვაც ერთი ამბავი იყო. სანამ გალიას არ მოაწონეს სარძლოები, არ დაადგათ საშველი. „ნე ნრავიტსია!“ იტყოდა გალია და კარგი დედის შვილი იყავი, არ დაგეჯერებინა.

თბილისში ხან ბოჩიასთანაა გალია, ხან გენოსთან. თვეში თითო კვირა აქ ჩამოდის და ქორთუების სახლ-კარს უვლის. გაზაფხული და მთელი ზაფხული აქ არის. დაბარავს, დაფარცხავს, დაასუფთავებს ეზო-გარემოს, შეღებავს კარ-ფანჯარებს, კრუხს დააჯენს, გოჭებს იყიდის, ბოსტანს დათესავს. ყველაზე კარგი ბოსტანი მთელს ამ ქუჩაზე გალიას აქვს. მისი ბოსტანის შეხედვას არაფერი სჯობია.

ყოველ შაბათს სასაფლაოზე მიდის. ჯვებეს და ჩიტოს სანთლებს უნთებს. მოვლილ-მოწკრიალებული აქვს საფლავი.

უხეშობა არ გაგიკვირდეს. ლტოლვილები ანერვიულებენ ამ ბოლო დროს გალიას, თორემ არ იყო ასეთი. ლტოლვილისთვის, ხომ იცი, ღობე არ არსებობს. გადადის და გადმოდის, სადაც უნდა. დაწანწალობს დილიდან საღამომდე ლუკმაპურის საშოვნელად. ვერც გაამტყუნებ, ლტოლვილს, პატივცემულო, აბა შენი თავი წარმოიდგინე მაგათ დღეში; უპატრონოდ დაყარეს და ატყუებენ უსასრულოდ და უნამუსოდ. კიდევ კარგი, ქვას რომ არ ისვრიან.

ნათლისღება საინგილოში

დღეს ქურმუხობაა.

წმინდა გიორგის დღესასწაული.

გულდაწურულნი, ნირწამხდარნი, სასომოხდილნი ვსხდებით მანქანაში.

გუნება ვერც ჭიქა არაყმა გამოგვიკეთა და ვერც იმდილანდელმა ულამაზესმა პირდაბანილმა კრიალა ცამ, ასე ახლოს, ლამის ხელისმიწვდენაზე ლურჯ კამარად რომ ადგას საინგილოს ხოხბისფერ მთებს.

რას ვიზამთ ასეთი ბედი გვქონია, როგორმე გასძელითო. ემშვიდობება კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე მასპინძელს და მანქანის დაძვრისას ყელგამშრალი მეტყვის:

– შენც არ გეძინა წუხელის. მთელი ღამე სინათლე გენთო.

– ვიწვები ამათი საცოდაობით. ხომ ნახეთ, ბავშვებს უკვე აღარც ახსოვთ ქართული გვარები.

– კარგად ელაპარაკე გუშინ იმ, რა ერქვა?

– მუსტაფა მუსტაფაევიჩი.

– ყველაფერი უთხარი, რაც სათქმელი იყო.

– რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს თქმას.

– მაინც ხომ უნდა სცოდნოდა. ჩაფიქრდა ხომ იცი, ბოლოს, ცოტა არ იყოს.

– მაგათი ბრალიც არ არის ბევრი რამ, სხვათა შორის ჩვენს მიმართ, თუ შეატყვე, ცუდად არ იყო განწყობილი, მაგრამ ამგვარ შეხვედრა-მუსაიფს ჩვენს დონეზე აზრი არა აქვს, ბატონო რეზო. პრეზიდენტმა უნდა უთხრას ალიევს.

– ეტყვის. იქნებ დიდი პოლიტიკის დონეზე ჯერ სხვა საკითხებია მთავარი და ამიტომაც არ ჩქარობს. ჩვენს ვიზიტს მე მაინც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. საზოგადოებრივი აზრი მაინც ჩვენ უნდა შევქმნათ.

– ვინ ჩვენ?

– აი, ვინცა ვართ; ყოველთა ქართველთა კონგრესმა ქართული ფენომენის აკადემიამ, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, ჰერეთის საზოგადოებამ...

– საზოგადოებრივი აზრი კარგა ხანია მომწიფდა და გადამწიფდა კიდეც. ჩვენმა ვოიაჟებმა, შეიძლება, უარესი შედეგიც გამოიღოს. მუსტაფა მუსტაფაევიჩისთანა, შედარებით რბილი ჩინოვნიკები, იქნებ განაწყენდნენ კიდეც, ბატონო რეზო, ხომ იცით, ყველა თავის სკამს უფრთხილდება.

– აბა რა ვქნათ?

– რა ვქნათ და სწორედ ახლაა დრო. ჩვენი ურთიერთობა აზერბაიჯანთან კეთილმეზობლურ საწყისებზე შენდება. განსაკუთრებით ნავთობსადენმა გადაგვაბა ერთმანეთზე. არა მგონია, ალიევმა უარი უთხრას შევარდნაძეს, ბოლოს და ბოლოს ტერიტორიის დაბრუნებას ხომ არ სთხოვს.

– რა უნდა უთხრას, შენ როგორ წარმოგიდგენია?

– ელემენტარულად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, დაახლოებით ასე: ბატონო გეიდარ, ან როგორც არის მათ შორის მიმართვა, ვთქვათ, გეიდარ ალიევიჩ. მოგეხსენებათ თქვენს ტერიტორიაზე (ვაი ჩვენს ბედს) საინგილოდ წოდებულ ისტორიულ კახეთ-ჰერეთში ცხოვრობენ ქართველები, ისე როგორც ჩვენთან, მარნეულის რაიონში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები. სტალინის სიკვდილის შემდეგ ქართველებზე განაწყენებული ნაძირალა ხრუშჩოვის თანხმობით საინგილოში კომუნისტმა ხელმძღვანელებმა ძნელადწარმოსადგენი დანაშაული ჩაიდინეს: ქართველებს აზერბაიჯანული გვარები მისცეს და პასპორტშიც ეროვნებად „აზერბაიჯანელი“ ჩაუწერეს. ამჟამად საინგილოში მცხოვრები სამოცდაათი ათასი ქართველიდან სამოცდახუთიათასს არაქართული გვარი აქვს და ეროვნებაც მათი სურვილის და საერთაშორისო კანონების საწინააღმდეგოდ, გამოცვლილი. ჩვენ, ქართველებს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები არცერთი აზერბაიჯანელისთვის არ გვიკადრებია გვარისა და ეროვნების შეცვლა. ახლა, რაკი რუსეთის იმპერია თითქმის

დაიშალა და ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, როგორც თანასწორი და მოყვარული ძმები, გთხოვთ, გაასწოროთ ორმოცი წლის წინათ დაშვებული შეცდომა და დაუბრუნოთ ქართველს თავიანთი გვარტომობა.

– დათანხმდება ალიევი?

– აუცილებლად.

– ქართველები? – ბატონმა რეზომ თვალი ღიმილით მოჭუტა – ხომ იცი, მუსლიმანური რელიგია, რა ძლიერია.

– მერედა, ვინ ართმევს მუსლიმანობას. სადაც გაეხარდება იქ ილოცოს ქართველმა. მსოფლიოში, ბატონო რეზო, ოცი მილიონი მუსლიმანი ქართველია და მხოლოდ სამნახევარი მილიონი ვართ ქრისტიანი ქართველები. აქ მხოლოდ გვარის და ეროვნების დაბრუნებაზეა ლაპარაკი და რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის თავისი ნამდვილი გვარის, თავისი მამა-პაპის გვარის დაბრუნებაზე უარს. თუ ეს დიალოგი ორ პრეზიდენტს შორის დროულად არ შედგა, მსოფლიოს თვალწინ, კიდევ ერთი ტრაგედია თამაშდება – ქართველებს ათათრებენ. საინგილო ხელიდან გვეცლება. ქართული ფენომენი სულს ღაფავს.

– აბა, აბა, ხომ ნახე გუშინ რა ყინჩ-მამლურად მოვიდა მუსტაფა. კაცს ეგონებოდა დივერსანტები დაიჭირესო. რა გულმოსული გადიგამოდიოდა ავტოინსპექტორი.

– თუ მიაქციეთ ყურადღება, როცა ჩვენი ვინაობა გაიგო, მუსტაფამ მშვიდად გვითხრა. აქ მხოლოდ სამი ქართული სოფელია. დანარჩენ სოფლებში შესვლის უფლება თქვენ არა გაქვთ, იქ მხოლოდ აზერბაიჯანელები ცხოვრობენო.

– იურიდიულად მართალია. სამი სოფლის გარდა სხვაგან ქართული გვარი არ ჭაჭანებს.

– მაინც ხომ ვერ ამოძირკვეს ჩვენი გენი. ხომ ნახე ოჯახებში ქართულად ლაპარაკობენ.

– ეჰ, ბატონო რეზო, თავს ნუ დავიმშვიდებთ. წელიწადში ერთხელ ჩატანილი ათიოდე ქართული წიგნი და გამხნევების მოწოდება „გასძელით როგორმე“ საქმეს ვერ უშველის. გა-

მოცვლილი გვარი და ეროვნება მაინც თავისას შვრება. ხომ ნახეთ, გუშინ სკოლაში პირველკლასელმა ქართველმა გოგონამ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ რომ წაიკითხა, ჩემს შეკითხვაზე, რა გვარი ხარ-მეთქი, აბასოვაო, ნამდვილი გვარი თუ იცი-მეთქი. შეკითხვაც ვერ გაიგო, ჯერ შავი, წყლიანი თვალებით მიყურა და მერე თანაკლასელებისკენ გაიქცა დარცხვენილი. უფროსებს ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი გვარები, უმრწემესთ ავიწყდებათ. ასე არაა თურქეთშიც?

– ისე, თუ შეატყვე, ბოლოს თვით მუსტაფაც მიხვდა, რომ უსამართლობა ხდება. რაღაცნაირად მოლბა, დაგვიყვავა კიდეც. თუ მე მომეჩვენა...

– ასე იყო ნამდვილად. ხომ ნახეთ, დამშვიდობებისას, მეო, პატარა კაცი ვარო, მე, რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს, ვინ მკითხავს გვარების გამოცვლასო. ეგ საქმე ბაქოში უნდა გადაწყდესო...

გზა შეუმჩნევლად გაილია.

ქურმუხის მონასტრის აღმართს მივუყვებით.

საურმე გზა ხალხს ველარ იტევს.

ათასობით მორწმუნე – მოხუცი, ახალგაზრდა, ქალ-ბავშვი დადგომია ქურმუხის გზას.

მოდიან წინგაგდებული ცხვრებით, იღლიაში ამოჩრილი ქათმებით, მხრებზე შემსხდარი ბალღებით...

ირგვლივ ინგილოური ქართული და აზერბაიჯანული ისმის. მხიარული შეძახილები, ცხვრის ბღავილი, თხის პეტელი ერთმანეთში ირევა.

რაც მაღლა-მაღლა მივიწევთ, მით უფრო დიდებულად მოჩანს ალაგ-ალაგ ნისლდაფენილი ქურმუხის ზღაპრული ჭალა.

ხალხის ნაკადი არა და არ წყდება.

ტაძრის პატარა ეზო მლოცველთ ველარ იტევს.

ტყეში ჯგუფ-ჯგუფად სხედან თვალშეხვეული ქალები და ჯუბაჩიანი მამაკაცები. ბალღები ხავსიან კლდეზე მიცოცავენ

სახელდახელოდ გამოჩორკნილი ხის ჯვრებით ხელში. ახალ-დაკლული ცხვრის ტყავშიგანთან ძაღლები ჩაცუცქულან და ერთმანეთს უღრენენ.

ჩვენს გამყოლს, ინგილო სტუდენტ გოდერძის ვეკითხები მრევლის უჩვეულო სიმრავლის მიზეზს.

ეღიმება. თქვენო, სწორად შეგინიშნავთო, ამდენ ქართველს მთელს საინგილოში ვერ იპოვითო. რა თქმა უნდა აზერბაიჯანელებიც არიანო.

კი მაგრამ, როდიდანაა მუსულმანი ქრისტიანულ და ისიც წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში რომ ლოცულობს-მეთქი, ვეკითხები.

ცოტ-ცოტა თათრები ყოველთვის ჩანდნენ ქურმუხობაზე, მაგრამ ამდენი არ მახსოვსო. საერთოდ ამ საყდარს თავიანთ სალოცავადაც თვლიანო. ღმერთის ერთადერთობით ამართლებენ თავიანთ საქციელსო. აკი ალავერდობაზეც ბლომად ჩამოდიან ქისტებიო.

წმინდა გიორგი ყველა გაჭირვებულს შეეწიოს, მაგრამ მე მაინც ვერ ამიხსნია ისლამის მიმდევართა ესოდენ ერთსულოვანი გამოცხადება ქურმუხობაზე. თუ ვცდები, ღმერთმა მაპატიოს; აქ სხვა რამ, სხვისი სალოცავის დაპატრონების მზაკვრული მიზანი არ იმალებოდეს. აკი გვითხრა მუსტაფამ გუშინ; როგორც მე ვიცი, ინგილოები გაქართველებული აზერბაიჯანელები არიან და სამოციან წლებში მათ სწორედ თავიანთი ნამდვილი გვარები დაუბრუნესო.

ამ მონაჩმახს ისე სერიოზულად გვეუბნებოდა რაიაღმასკომის თავმჯდომარე, რომ შექსპირი გამახსენდა: „ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე“.

ქურმუხის ნახევრადდანგრეულ, ფრესკებჩამოფხეკილ, სანთლებისგან კედლებგაშავებულ საყდარში მეუფე დანიელმა წირვა აღავლინა. დაახლოებით სამ საათზე თავისი საეკლესიო ამალითა და მგალობელთა გუნდით წმინდა გიორგის სახლს გარსშემოუარა და ჭალისკენ დაეშვა.

ჩვენც ახლომახლო მივსდევთ.

დაღმართი ჩავათავეთ და ქურმუხის ძლიერ ტოტთან, პატარა მინდორზე შევჩერდით.

მეუფე დანიელმა გამოაცხადა, ვისაც მონათვლა სურს ფეხზე გაიხადოს და ჯვრით ხელში აქვე ნაპირთან, ტირიფის გასწვრივ გამწკრივდესო.

მე და რეზომ ერთმანეთს გადავხედეთ. ჩვენს უკან დაახლოებით ხუთ ნაბიჯზე, ინგილოები ირევიან. არის ერთი წაჯიკავება-გადაძახილი.

კარგა ხანი გავიდა და მონათვლის მსურველი არ ჩანს.

ღმერთო, ორიოდე ბავშვი მაინც მოინათლებოდეს ღონისძიება რომ არ ჩაგვეშალოს-მეთქი, ლამის მეუფე დანიელის გასაგონად ვთქვი.

იქნება, იქნებაო, იღიმება ღვთის მოციქული, ზემოთ რამდენიმე კაცმა მთხოვაო, უბრალოდ მიკროფონი არა გვაქვს, რომ გამოვაცხადოთ, მე მგონი, მაინც მოგვძებნიანო.

ტირიფთან პირველი თექვსმეტიოდე წლის თეთრყირმიზა გოგო დადგა. გრძელთასმიანი „ბატინკები“ უკან ვიღაცას მიაჩეჩა. გოგოს გვერდით თორმეტიოდე წლის შავტუხა ბიჭი გაჩნდა. წუთის შემდეგ ბრბოს სამნი გამოეყვნენ. მაღალმა, თხელცხვირა კაცმა გასანათლ ადგილამდე უთავშალო, წარბმშვილდა, ცოტა შემკრთალი ქალი მოიყვანა. ქალს ხელში ძუძუთა ბავშვი უჭირავს. კაცმა თვითონ გახადა ქალს ფეხსაცმელები, გაზეთში შეახვია და უკან მიდგა.

მოსანათლავთა რიგი სწრაფად იზრდება.

ქურმუხიდან დაშვებული ჯგუფი ჯერ შორიახლო შეჩერდება. შეიკრიბებიან და ყაყანებენ ისე, რომ მამა დანიელს მგალობელ ქალებს, წითურ მნათეს და მაღალ უანაფორო მორჩილს თვალს არ აშორებენ. მალე შექუჩული მრევლი ისევ გაიშლება და მოდის რიგისკენ ორი-სამი მოსანათლი ცალ ხელში პაწაწკინტელა ჯვრით და მეორეში ფეხსაცმელებით.

მწვანე ბალახზე გვერდით მდგომს ესაუბრებიან და ზოგჯერ იცინიან კიდეც რაღაცნაირი ნერვიული სიცილით.

უკან მდგომნი მოსანათლავებს შეეხმიანებიან ხოლმე

დროდადრო. „ღვთის ცხოვარნი“ თავს მიაბრუნებენ და ძალზე სერიოზულად, ცოტა გამწყრალნიც გაეპასუხებიან.

რიგში ყავარჯნიანი ცალფეხა ჯარისკაცი და თმათეთრა, წელში მოხრილი ბერიკაციც გაჩნდა.

სიხარულის, შინაგანი განგაშის თუ ზეიმის განცდამ პირი გამიშრო და ხელიც მიკანკალებს.

„ეს რა ხდება, სასწაულია პირდაპირ, ორასი კაცი მაინც იქნება. ამათ მონათვლას დაღამებამდე ვერ მოასწრებს მეუფე დანიელი“, ჩურჩულებს ბატონი რეზო და ვგრძნობ, ჩემზე უკეთესი დღე არც მას ადგას.

მეუფე დანიელმა სანათლისღებო ლოცვა დაიწყო.

მნათე რიგის ბოლოს დადგა და ორი ფეხშიშველა ბიჭი უკან მიაბრუნა, დაგაგვიანდათო.

მეუფემ ლოცვა რომ დაამთავრა, ხელდავთრიან მორჩილთან ერთად სათითაოდ ჩაუარა მოსანათლ მრევლს და ქრისტიანული სახელი აჩუქა ყველას – „ბაჯის“ „მარიამი“ დაარქვა, „ასრათს“ – „საბა“, „ალის“ – „გიორგი“.

ამ ცერემონიამ ორ საათზე მეტი წაიღო.

მზე საცაა მთაზე შემოჯდება.

მეუფე დანიელი მორჩილთან ერთად წყლის პირას დგება, მორჩილს ნაკურთხი ხის კასრი უჭირავს და ეპისკოპოსის ბრძანებას ელის.

დაიწყო.

პირველს თეთრყირმიზა, თექვსმეტი წლის გოგონას უხმეს.

გოგონამ კაბა მუხლამდე აიკაპიწა და წყალში ჩადგა.

მრევლი გაისუსა.

გალობაც შეწყდა.

– სახელი? – მეუფე დანიელი გოგონას თავზე ხელს ადებს.

– მარიამი – ჩურჩულით პასუხობს მარიამი და შორს, ჭალისბოლოს, გაწეწილ თეთრ ნისლს შესცქერის.

– ნათელს იღებს მხევალი ღვთისა მარიამ! – აცხადებს მეუფე.

წამით და მარიამის თავზე კასრიდან ქურმუხის ცივი, კამკამა წყლის ჩქერი ეშვება.

მარიამი სიცივისაგან შეჰკივლებს, მაგრამ ფეხს არ იცვლის. ჩანს, გააფრთხილეს რომ სამგზის უნდა გადაევლოს თავზე განსაწმენდელი ღვთიური ნაკადი. სამგზის უნდა განიბანოს.

მეორე კასრი... მესამე... მარიამი თავიდან ფეხებამდე გალუმპულია. თეთრი კვართი ტანზე შემოეტმასნა და წყლიდან ამოსულ ანგელოზს ჰგავს.

თმასახიდან წყალს იწურავს, ამაყად მიდის ტირიფისაკენ და თავის ადგილს იკავებს. ვიღაცამ უკნიდან პირსახოცი შემოახვია თავმხრებზე. მარიამმა სახე ოდნავ გაიმშრალა და პირსახოცი ხის ტოტზე ჩამოჰკიდა.

„არ გაცივდეს“, გამიელვა თავში. ეს, ალბათ, ის პირველი ფიქრია ჩემნაირ „მცირედმორწმუნეს“ რომ გაუჩნდება განათვლის ცერემონიალის ხილვისას.

თითქოს მიმიხვდაო, ბატონი რეზო ტუჩებზეხელმოფარებით მიხსნის: სხვათაშორის, როგორც მითხრეს, ნათლისღების დროს გაცივება გამორიცხულია“.

ბიჭმა წელზევით გაიხადა. თვალები დახუჭა, ხელები მომუშტა და არც გატოკებულა, ისე შეხვდა მეუფის მიერ მის თავზე მიყოლებით შემართულ სამ კასრ წყალს.

ქალმა პატარას მთლიანად გახადა და მორჩილს გაუწოდა.

წყალი რომ დაასხეს, ჩვილს მოულოდნელობისაგან ჯერ სუნთქვა შეეკრა, ლამის გალურჯდა, მერე ისეთი ჭყივილი მორთო, რომ იქაურობა გააყრუა.

მეორე... მესამე... დედამ აკანკალებულ-აბღავლებული პირმშო პირსახოცმომარჯვებულ ქმარს გადააწოდა, დოინჯი გაიკეთა და მაღლა აიხედა.

პირველი კასრი, მეორე... მესამე... დედას ხმა არ ამოუღია. ქმართან მივიდა ბავშვის შემშრალებაში მიეხმარა და თავისი პატარა ანგელოზით ხელში რიგს დაუბრუნდა.

ფრესკიდან გადმოსული მადონა ბედნიერი სახით შეჰყ-

ურებს მეუფე დანიელს და დაბნეულ ქმარს თავმოუბრუნებ-ლად რაღაცას უმტკიცებს, ხანდახან უარის ნიშნად თავს გააქნევს.

ჩანს, ქმრის შეშფოთებას არ იზიარებს.

საღამოსკენ საგრძნობლად აგრილდა.

ნათლისღების ექსტაზი არ ცხრება.

ეს უნდა ნახო, ამის აღწერა არ შეიძლება.

რა სიჯიუტე-სიკერპეა. ნებისყოფის რა წრთობა-გამ-ჟღავნებაა.

შემინდოს უფალმა, აქ ოდენ მონათვლის რიტუალი არ სრულდება. ეს უფრო მეტია. ვითარებისა გამო ოდნავ მო-ჭოჭმანე, ისტორიის უსამართლობით თავისი სამშობლოს გარეთ მირჩენილი კაცის ქართველად მოქცევა ხდება სამუ-დამოდ, შეუბრუნებლად.

ნოემბრის ამ ცივ საღამოს, თავზე და კვართპერანგზე ცივი წყლის გადასხმით იგი პროტესტს უცხადებს გათათრე-ბას და ამბობს – მე მზადა ვარ ყოველგვარი გვემა-წამება ავიტანო. მე ვიცი ჩემი მისია!!.

მეუფე დანიელი დასველდა, დაიღალა.

შუბლი დაეცვარა.

და მაინც კლდესავით დგას. ბოლომდე უნდა გავიდეს. ნათლისღების ცერემონიალი სრულად უნდა შესრულდეს.

მრევლმა დაღლა არ უნდა შეგატყოს.

ასეთმა მრევლმა და ასეთმა ხუცესმა გააძლებინა ჩვენს ჯილაგს აქამდე და იქნებ ღვთისგან მთლად განწირულნი არც ახლა ვიყოთ.

ერთი-ერთზე

ჟურნალისტები უკმაყოფილო სახეებით გავიდნენ.

ჟურნალისტებს არ უყვართ „ობიექტთა“ მარტო, პირისპირ დატოვება.

მასპინძელმა სტუმარს გაუღიმა და თანაშემწეებს გადახედა.

თანაშემწეებმა ტყავის საქაღალდეები მაგიდაზე დააწყვეს და ერთმანეთის წინგაშვება-გაპატიჟებით მაღალ კარებში გაუჩინარდნენ.

პეპელაჰალსტუხიანი, ტანმომცრო თარჯიმანი სკამის უკან, სმენაზე გაჭიმულიყო.

– იქნებ თარჯიმანსაც შევლეოდით, ჰა? – თქვა მასპინძელმა.

– თქვენი ნებაა, – უპასუხა სტუმარმა ისე, რომ გაოცება არ შეიმჩნია. ოცი წელია იცნობს ამ კაცს. არა მხოლოდ თბილისში უმაღლეს დონეზე ვიზიტის დროს, საერთაშორისო ფორუმებზეც ხშირად შეხვედრია, მაგრამ ქართული სიტყვა მისგან არასოდეს სმენია.

თარჯიმანი უკანსვლით, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული, მაგრამ ყურებამდე ღიმილაფარებული წავიდა კარებისაკენ.

სტუმარ-მასპინძელი მარტონი დარჩნენ.

– მაპატიეთ, საერთაშორისო საოქმო თვალსაზრისით იქნებ მთლად სწორი არ იყოს ჩვენი მარტო დარჩენა.

– პირიქით, ერთი-ერთზე საუბარი სწორედ ეს იქნება. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა – თავაზიანად მიუგო სტუმარმა. იგი ამაოდ ცდილობდა თავისი ბობოქარი დიპლომატიური ცხოვრების მანძილზე მსგავსი შემთხვევა გაეხსნებინა.

– ხომ არ დაიღალეთ?

– რას ბრძანებთ. რა შორი-შორს ჩვენ ვცხოვრობთ.

– მადაგასკარზე თუ ბრძანებულხართ?

– არა.

– აბა ფრენა ის არის. ოცდახუთი საათი ვიფრინეთ.

– საშინელებაა.

– ხომ არ გიკვირთ ჩემი ქართული?

– ფრიად სასიამოვნო მოულოდნელობაა. თუმცა, მე ვიცოდი, რომ თქვენ ქართულს ფლობდით. თბილისში, უბრალოდ, ვერ გაგიბედეთ, მეკითხა.

– იქაც მინდოდა რაიმე მეთქვა ქართულად, მაგრამ მომენტი არ იყო. თბილისში მარტო არ დავრჩენილვართ. ერთადერთი თხოვნა მაქვს. პრესისათვის – ჩვენ ვილაპარაკეო ინგლისურად.

– ბატონი ბრძანდებით.

– შეგიძლიათ გულახდილი იყოთ ჩემი მდგომარეობის კაცთან. ჩვენი საუბარი არ იწერება და ამ ოთახში მესამე არავინ არის.

– ეჭვიც არ მეპარება.

– ხილი მიირთვით.

– გმადლობთ.

– საქართველოს მთავარი საქმე ამჟამად არის აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება. ხომ მართალს ვამბობ?

– მართალი ბრძანდებით. თუ ეს შევძელი, მშვიდად ჩავალ საფლავში, ჩემი მისია შესრულებული მექნება.

– ისტორია იტყვის, რომ თქვენ ცდა არ დაგიკლიათ.

– როგორც ჩანს, ჩემს შესაძლებლობას აღემატება ამ საქმის დაგვირგვინება. ადრე შედარებით უფრო ოპტიმისტი გახლდით.

– რას ემყარებოდა თქვენი ოპტიმიზმი. რუსეთს თქვენზე უკეთესად ვინ იცნობს.

– იცით რა, მე პოლიტიკაში ყოველთვის ღია კარტით ვთამაშობდი. სიტყვას ვენდობოდი და ვენდობი დღესაც.

– თქვენი ჩრდილოეთელი პარტნიორების სიტყვა და საქმე, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

– ოღონდაც. მე იმდენჯერ მომატყუეს და ჩემი მხრივ მომატყუებინეს სხვანი, რომ მიკვირს ჩემი ხალხის სულგრძელობა. კიდევ რომ შერჩათ რწმენა ჩემს მიმართ.

– სრულ ინფორმაციას ფლობთ თქვენი ხალხის ნდობის პროცენტზე თქვენი ხელისუფლების მიმართ?

– მე მგონი. ესეც არ იყოს, ჩემი დასკვნა ახლახანს ნოემბრის არჩევნებით დადასტურდა.

– თეთრი დათვის პოლიტიკურ დაბნეულობას საზღვარი არა აქვს. მისი საქციელი ზოგჯერ არავითარ პოლიტიკურ ლოგიკას არ ემორჩილება. თქვენ ახლა თქვენი ისტორიის ყველაზე საშიშ მოსახვევს გადიხართ. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს აგონიაში ჩავარდნილი იმპერია.

– ამიტომაც ვცდილობ, ნემსის ყუნწში ვძვრები, რათა საქართველოს მოსალოდნელი გლობალური განადგურება ავაცილო.

– თქვენ კი არა, ჩვენ კინაღამ გადმოგვწვდა. თქვენ რომ ყურმოჭრილ მონად მიაჩნიხართ. ეს ყველაფერში ჩანს. მეთანხმებით?

– სამწუხაროდ, მართალს ბრძანებთ.

– ამასწინათ, ტერორისტებმა გემი რომ გაიტაცეს, მოსკოვმა წინადადება მოგვცა, თუ თქვენ ძალა არ გყოფნით, ჩვენ ჩამოვალთ და გავანადგურებთო. ამას ჩვენ გვეუბნებიან – ნატოს წევრ ქვეყანას, წარმოგიდგენიათ ასეთი თავხედობა?

სტუმარმა არაფერი უპასუხა.

– ისე, თქვენც არაერთი შეცდომა დაუშვით. არ უნდა მიგეცათ ბაზები ოცდახუთი წლით. ეს ჩვენთვისაც საშიშია.

– ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ. აქაც ხომ არის, ვთქვათ, ამერიკის ბაზები.

– მერე, თქვენ გგონიათ კარგია? ყველანაირად ვცდილობთ იანკი გავიდეს ჩვენი მიწიდან.

– ბევრს მსოფლიოში და, მგონი, თქვენც გჯერათ, რომ ესენგეში შესვლა ჩემი სურვილით მოხდა. ჩვენ დაგვაჩოქეს.

– რა თქმა უნდა. დასავლეთმა და აღმოსავლეთმაც ყველაფერი იცის. თქვენ დაგამარცხეს და დაგიპყრეს, ამ საუკუნეში მეორედ.

სტუმარი ამჯერადაც გაჩუმდა.

– ერთი რამ მაინც მიკვირს. არსად, არც ერთ დონეზე თქვენ ხაზს არ უსვამთ, რომ დაპყრობილი და დამონებული ქვეყანა ხართ.

– რატომ, თუ წაგიკითხავთ ჩემი დეპეშა; 93 წლის 27 სექტემბერს მე მოსკოვს ვაცნობე ამის შესახებ.

– ეგ იყო ერთადერთხელ.

– მერე, მართალი ხართ, პირში წყალი ჩავიგუბე მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთის იმედი დავკარგე, გამძვინვარებული ვეშაპის წინაშე საქართველო, ლამის მარტო დარჩა.

– ჩვენ?

– თქვენ რა შეგიძლიათ. ვთქვათ, გულახდილად, საქართველოს გულისთვის თქვენ კი არა, ამერიკაც არ აწყენინებს რუსეთს.

– არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ ჩვენგან სრული მორალური მხარდაჭერა გაქვთ?

– რას გულისხმობთ?

– მოსკოვში ვიზიტის დროს აეროპორტში მეშვიდე კაცი დაგხვდათ, აქ კი... თუმცა ოქმით ჩემი დახვედრა არც კი იყო გათვალისწინებული. მე მსურდა მსოფლიოს დაენახა, რომ პრეზიდენტი ხვდება პრეზიდენტს. ამით მე თქვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას დავუჭირე მხარი.

– შეგეძლოთ არ აგეხსნათ, მე ამას ვხვდები.

– მაპატიეთ, რომ ხაზი გავუსვი. უბრალოდ წამომცდა.

– მე მგონი, ჩვენს კეთილგანწყობასაც უნდა გრძნობდეთ. თქვენ გგონიათ, უხარია რუსეთს ბაზარი რომ მთლიანად დაგითმეთ?

– თურქეთის საქონელმა რუსული ბლოკადით დაგეგმილი შიმშილისაგან იხსნა ქართველი ხალხი.

– მაგრამ ბაზარი თქვენს ინტერესებშიც ხომ შედიოდა?

– ნავთი? იცით თუ არა, რომ ნავთობსადენის თქვენ ტერიტორიაზე გავლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსეთი. ლამის კბილებით გავიტანეთ. ამერიკა-ინგლისიც ენერგიულად გიჭერდნენ მხარს.

– ვიცით, ეს ჩვენი დიდი პოლიტიკური მხარდაჭერაა

– და ეკონომიურიც.

– ეკონომიურზე რა მოგახსენოთ. ცოტა არ იყოს, მოგვატყუეს. წელიწადში ორასი მილიონი დოლარი უნდა მიგვეღო, მაგრამ მხოლოდ რვა მილიონს მივიღებთ.

– მაგრამ ხელშეკრულებას ხომ თქვენ მოაწერეთ ხელი.

– ფაქტის წინაშე დამაყენეს. ვაჭრობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

– თანდათანობით, დროთა განმავლობაში, გამოსწორდება, რაც მთავარია დავიწყეთ...

– დიახ.

– ნავთობის მაგისტრალით და აბრეშუმის გზით თქვენ უკვე მსოფლიო ეკონომიკაში ჩაერთეთ. ამიერიდან თვითიზოლაცია გაგიჭირდებათ.

– არც ვაპირებთ.

– ამიერიდან მსოფლიომაც უნდა იზრუნოს თქვენს სტაბილიზაციაზე.

– ოღონდ, ისე ნუ იზრუნებენ, როგორც ქართულ ანდაზაშია: წაქეზებული თხა მგელს რომ შეაჭამეს.

– რას გულისხმობთ?

– არც გაერომ, არც ევროპარლამენტმა თითიც არ გაანძრიეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ჩემმა დასავლეთელმა მეგობრებმა კი უბრალოდ მომატყუეს და პილატესავით ხელი დაიბანეს. სხვა გზა არ დამრჩა, გარდა რუსეთისათვის ძე შეცდომილივით პატიების თხოვნისა.

– მართალი ხართ, მძიმე დღეები გამოიარეთ, მაგრამ გაეროსგან რა დახმარებას ელოდით?

– სამშვიდობო ძალების გამოგზავნას.

– სთხოვეთ?

– რასაკვირველია და უსახსრობის გამო უარი გვითხრა.

– დამკვირვებლები ხომ გამოგზავნა.

– როგორ არა, ორი წელია გაეროს დამკვირვებლები ბიჭვინთაში ზღვის თხილამურებით დასრიალებენ და არძინბას ხაჭაპურს მიირთმევენ.

– რუსეთის „სამშვიდობო ძალები“ ხომ თქვენ ჩამოიყვანეთ?

– დიახ, იმის შემდეგ, რაც გაერომ უარი გვითხრა.

– ჩვენ რა შეგვიძლია?

– ჯერჯერობით არაფერი. მადლობელი ვართ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას რომ აღიარებთ, მაგრამ უფრო მადლობელი ვიქნებოდით, არძინბას დატვირთულ გემებს რომ არ უგზავნიდეთ.

– ჩვენ არძინბას როდი ვეხმარებით. უბრალო აფხაზ ხალხს ვუმართავთ ხელს. თქვენც ასე მოიქცეოდით ჩვენს ადგილზე. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ თურქეთში მძლავრი აფხაზური დიასპორაა.

– არ დაგავიწყდეთ, რომ თურქეთში ქართველებიც ბლომად ცხოვრობენ.

– მაინც რამდენია თქვენი მონაცემებით?

– ოთხ მილიონამდე.

– თუ არ გამცემთ და ჩვენს შორის დარჩება, გეტყვით სიმართლეს – თურქეთში ჩვიდმეტი მილიონი ქართველი ცხოვრობს.

– კოლოსალური ციფრია.

– მაგრამ თქვენ მეჯლისზე გამოსვლისას, თითქმის არაფერი გითქვამთ თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

– არ ვიცი... სიმართლე გითხრათ, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მეგონა, ვერ გამიგებდნენ.

– ალიევმა თბილისში ყოფნის დროს შეგახსენათ, რომ საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, თქვენ კი

თქვენის მხრივ საინგილო არ გიხსენებიათ. რას მივაწერო თქვენი „გულმავიწყობა?“

– მართალი ხართ... სწავლა სიბერემდეა. ზოგჯერ თავს შემახსენებს წყეული კომუნისტური უნაპირო ინტერნაციონალიზმი.

– საბოლოოდ როგორ გესახებათ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია; ჩრდილოეთი, დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?

– ჩვენ ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში ვცხოვრობთ, რომ მხოლოდ სრულ ნეიტრალიზაციას უნდა ვესწრაფოდეთ.

– მეზობლებთან ურთიერთობა?

– მხოლოდ კეთილმეგობრული.

– და მაინც, ვაზიანიდან აფრენილი თვითმფრინავებიც ბომბავდნენ გროზნოს.

– თქვენ კარგად იცით, რომ თუ მსგავსი რამ მოხდა, რუსები მე არ შემითანხმდებოდნენ, ხოლო ჩემის მხრივ მოგახსენებთ, რომ აფსუა-რუსეთის მხარეზე საქართველოს წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდნენ ჩეჩნები. ასევე დანამდვილებით ვიცი, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩეჩნების წინააღმდეგ ქართველს არ უბრძოლია.

– საბუთი არა მაქვს მე უკანასკნელ ფრაზაში ეჭვი შევიტანო. ხომ არ დაიღალეთ?

– არა ბატონო. თქვენთან საუბარი ფრიად სასიამოვნოა.

– რაზე შევთანხმდით?

– თუნდაც იმაზე, რომ საძმო-სამეზობლო ფიცს არასოდეს გავტეხავთ და მშვიდობას არ ვუღალატებთ.

– ჩვენ კი ჩვენის მხრივ ყოველთვის ვეცდებით საქართველოს დამოუკიდებლობას და სრულ ნეიტრალიტეტს ყოველის მხრით ხელი შევუწყოთ.

– დიდი ქემალ ათათურქის სურვილიც ეს იყო.

– გმადლობთ.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

პირისპირ შეხვედრა საუბარი დამთავრდა.

იუპიტერებით განათებულ დარბაზში კინო-ტელეკამერების ზუზუნსა და ფოტოაპარატების ტკაცუნ-ჩხაკუნში ერთმანეთის გვერდით მდგარი სტუმარ-მასპინძელი სიამოვნებით საუბრობდნენ მოლაპარაკების შედეგებზე და ზოგჯერ ისეთ საკითხსაც ჩაურთავდნენ, რაზეც ლაპარაკი არ ჰქონიათ, მაგრამ რომ ჰქონოდათ, უეჭველად დადებითად გადაწყვეტდნენ.

ბოლოს წაბლისფერთმიანმა, ტანკენარმა ჟურნალისტმა გოგონამ სტუმარს ჰკითხა:

– ნება მომეცით გკითხოთ, რა ენაზე საუბრობდით?

– ინგლისურად.

– მაგრამ თქვენ რომ ინგლისური არ იცით?

– ეგ მასპინძელს უნდა ჰკითხოთ, თუ ის გეტყვით, რომ ვერაფერი გავაგებინეთ ერთმანეთს, თქვენ მართალი იქნებით და აღმოჩენა გეკუთვნით – უპასუხა სტუმარმა და კი არ გაიღიმა, გაიცინა.

სეროგა

ყურმილი დამსახურებულმა მეთალგამემ, მსოფლიო მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა მევლუდ თავთავაძემ აიღო.

– ბატონი მევლუდ ბრძანდებით? – ქალის სასიამოვნო სატელეფონო ხმა იყო.

– დიახ, ბატონო.

– ხომ მობრძანდებით ჭიმჭიმისში?

– სად, ბატონო?

– ჭიმჭიმისიდან გაწუხებთ მე, ქალაქის თავის დავალებით.

– გისმენთ ყურადღებით.

– მოწვეული ბრძანდებით ცხრადღიან ზეიმზე. უთქვენობა არაფრით არ შეიძლება. მე მგონი პატივს დაგვდებთ. სხვა არა იყოს რა, თქვენი მშობლიური ქალაქია. მოსაწვევი ხომ მიიღეთ?

– არა, ბატონო.

– გამოგიგზავნეთ აკადემიაში. თექვსმეტ მაისსაა გამოსვლა თავისუფლების მოედნიდან, ავტობუსით, შვიდ საათზე. ალო! ალო! ალო!

– გაითიშა, – მეთალგამემ ყურმილი დადო და ისევ აიღო. ტელეფონი სავსებით და უშეღავათოდ, საიმედოდ იყო გათიშული.

წამოჯდა. ლეიბსა და კედელს შორის ჩაკუჭული ბალიში გაისწორა და ზურგით მიეყრდნო.

– რას უნდა ნიშნავდეს ეს?

– რა მოხდა? – ჰკითხა მეუღლემ, რომელიც აქამდე დაახლოებით მაინც ხვდებოდა, ვინ ურეკავდა მევლუდს და რა საქმეზე.

– ჭიმჭიმისში მპატიჟობენ ცხრადღიან ზეიმ-სეირნობაზე.

– რა სეირნობა აუტყდათ? – იმგვარი ინტონაციით იკითხა ცოლმა, პასუხს რომ არ მოითხოვს.

– როდის იყო, ზეიმზე მეძახდნენ. რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი?

მევლუდ თავთავაძე საგონებელში ჩავარდა.

მეორე დღეს აკადემიის პრეზიდენტის მდივანს მიაკითხა, ჩემს სახელზე მოსაწვევი უნდა იყოს ჭიმჭიმისიდანო. მე აქ მოსაწვევებს არ ვიჩერებ, თანაშემწეს ვაბარებ ხოლმე, საერთოდ არ მახსოვს, მაგრამ თუ რამე იყო, თანაშემწეს შევუტანდიო.

მსოფლიო სახელის მქონე მეთალგამე თანაშემწის კაბინეტს მიადგა. გაირკვა, რომ თანაშემწეს შემოქმედებითი დღე ჰქონდა. იგი სამსახურში მხოლოდ ორშაბათს და პარასკევს დადიოდა, თვით პრეზიდენტი სამშაბათს და ხუთშაბათს, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი მხოლოდ ოთხშაბათობით.

პარასკევს თანაშემწე სამსახურში ადრე მოვიდა და, ბუნებრივია, გაუკვირდა, მასზე ადრე მოსული თავთავაძის დანახვა. რამ შეგაწუხაო, ბატონო ამ დილაადრიან, თანაშემწემ. მოსაწვევი უნდა იყოსო, თქვენთან ჩემი. ვის სახელზეო, მაგიდას დახედა თანაშემწემ. ჩემს სახელზე ჭიმჭიმისიდანო, მეთალგამემ. ბოდიში, თქვენი გვარი გადამავიწყდაო, თანაშემწემ. თავთავაძე ვარ მეო, თავთავაძემ. მაგიდაზე უამრავი ქაღალდ-კონვერტი იდო და, ვინ იცის, იქნებ მათ შორის ბატონი მევლუდის მოსაწვევიც ყოფილიყოს, მაგრამ თანაშემწემ ყოველგვარი პანიკა-ფუსფუსის გარეშე აუწყა მეთალგამეს: მოსაწვევებს პატივცემულო, მე არ ვიტოვებო, საერთოდ. მე რომ მოსაწვევების დარიგება დავიწყო, ჩემი საქმე გვერდზე დამრჩებაო. დარგობრივ ინსტიტუტში გადააგზავნიდნენ, ალბათ, კანცელარიიდან, ისიც იმ შემთხვევაში, ხელით თუ მოიტანეს, თუ ფოსტით გამოგზავნეს, მოგჭამა ჭირი თქვენმა მოსაწვევმაო.

ჯიუტი მეთალგამე მებოსტნეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანთან მივიდა. აკადემიკოს მდივანმა მეც დამირეკეს, მაგრამ ვერ მივდივარ, სახსრები მაწუხებს. იკარუსს მაღალი საფეხური აქვს, ასვლა კიდეც რომ მოვახერხო, ჩამოსვლა გამიჭირდება, გადმოხტომა კი დამღუპველია ჩემთვისო. რაც შეეხება მოსაწვევს, შიკრიკი არიგებს ხოლმე. დღეს პარასკევია, ალბათ შინ წაიღო და სამშაბათს მოიტანს. თუ სადმე წააწყდე ჩემი მოსაწვევიც გამოართვი, მე, საერთოდ ჩემს სახელზე გამოგზანილ მოსაწვევებს ჩემს არქივში ვინახავო.

– რა თქვი, როდის მოიტანსო? – მევლუდს სასოწარკვეთილი კაცის ხმა ჰქონდა.

– სამშაბათს, შიკრიკი ჩვენთან სამშაბათობით მუშაობს. დანარჩენი შემოქმედებითი დღეები აქვს. რა ვქნათ, გვიჭირს, ფინანსურ ეკონომიას ვაკეთებთ.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წასვლა რომ კვირასაა?

– რომელ საათზე?

– შვიდზე თავისუფლების მოედნიდან.

– ყველაფერი გცოდნია და მოსაწვევი რაღად გინდა, შე კაი კაცო. მაგდენიც არ ეწერება მოსაწვევში – მშვიდად, აკადემიურად მიუგო აკადემიკოს-მდივანმა.

მთელი ღამე ფხიზლობდნენ ცოლ-ქმარნი. წამდაუწუმ საათს დასცქეროდნენ და, როგორც ასეთ დროს ხანშიშესულ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, სწორედ მაშინ ჩაეძინათ, როცა მსოფლიო მეთალგამე უნდა ამდგარიყო და გამგზავრების თადარიგს შესდგომოდა.

შვიდს თხუთმეტი აკლდა წყალგადასხმულივით რომ გაელვიძა. არც თუ მთლად ჯენტლმენური მეთოდით გამოიყვანა თანამეცხედრე ძილბურანიდან.

შვიდზე უკვე ლიფტს ელოდებოდნენ.

– გესმის, რას გეუბნები?! – ჩასძახოდა მეუღლე – თუ სიცხე იქნეს, ეს ნაცრისფერი ქუდი დაიხურე, თუ ქარიც იქნეს, შეიკარი თასმებით ნიკაპთან. მიგიკერე თასმები, ა

შეხედე. ისე განასკვე, რომ გახსნა არ გაგიჭირდეს. თუ წვიმა იქნა, ეს შავი ქუდი დაიხურე, წყალს არ ატარებს. არ ჭამო არაფერი. ხომ იცი, შენთვის იქაური საჭმელები არ შეიძლება, ნიგვზიანი და წიწაკიანი იქნება ყველაფერი...

დალევაზე მეუღლეს არაფერი უთქვამს. იცოდა, მეთალგამე, ახლა კი არა, ალკოჰოლს ახალგაზრდობაშიც სათოფეზე არ ეკარებოდა.

თანაბარაჩქარებული, ბებრული ყუნცულით თავისუფლების მოედანს რომ მიადგა, რვას ოცი აკლდა. მოედანზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. შადრევანთან ერთადერთი „იკარუსი“ იდგა. მძღოლი საჭეს შუბლით დაყრდნობოდა და თვლემდა.

– ბოდიში, ჭიმჭიმისში წავიდნენ უკვე ხომ?! – ყელგამშრალმა მევლუდმა ახედა.

– ზეიმზე?

– დიახ, ბატონო.

– ჩვენ ვართ. ჯერ არავინ მოსულა. კიდევ ერთი ავტობუსია მოსასვლელი. ავტობუსი რათ გინდა, ხალხი არ ჩანს. თქვენ პირველი ხართ. შვიდზე იყავიო მითხრეს, კიდო კაი რვის ნახევარზე მევედი.

სტუმრებმა ნელ-ნელა იწყეს მოსვლა, მალე მეორე „იკარუსიც“ გამოჩნდა და ცხრამდე აღარაფერი იყო დარჩენილი ზეიმზე-მოსეირნეთა კოლონა ჭიმჭიმისისკენ რომ დაიძრა.

ამინდი მშვენიერი იყო, განწყობილება – მხიარული.

ავტობუსში სტუმრებს გაზეთი „აყვავებული ჭიმჭიმისი“ და ზეიმის პროგრამა დაურიგეს.

ერთ ავტობუსში მწერლები, მეცნიერები, დამსახურებული ჭიმჭიმისელები და ისრაელიდან ჩამოსული სტუმრები ისხდნენ, მეორეში, როგორც მევლუდმა მოგვიანებით შეიტყო, სამეფო-საგვარეულო არისტოკრატიის უბრწყინვალესი წარმომადგენლები, ღვთის წყალობით ამ ბოლო დროს ფრიად გამრავლებული, მაგრამ კუთვნილი სამეფო გვირგვინის ამაოდ მომლოდინე ბაგრატიონები.

პოლიტიკაზე მსუბუქი დისკუსია, ორ საათში ერთხელ ხუთწუთიანი ფსმა-გაჩერებები და გლეხის სადილობას კარგა გადაშორებული იყო, ავტობუსები სოლომონ მეფის მოედანზე სწორედ რესტორნის წინ რომ შეჩერდნენ.

მძღოლებმა ბედნიერი ზეიმ-სეირნობა უსურვეს მგზავრებს. ჩვენა, ჩვენი დავალება შევასრულეთო, აწი მასპინძლების ხელში ბრძანდებითო, ფილარმონიის კონფერანსიეს ინტონაციით სარკმლიდან გადმოსძახეს ტროტუარზე შეყუჟულ სტუმრებს და ავტობუსები დაძრეს, სწორედ რომ გაურკვეველი მიმართულებით.

გავიდა წულუკიძის ნაძეგლარის თვალიერების, თეთრი ხიდიდან გადახვევის და „ტყუილია, ჭიმჭიმისს მაინც თავისი პენი აქვს“-ის ერთი საათი.

მასპინძლები არ ჩანდნენ.

გაურკვეველი წოდების გვარების წარმომადგენლებმა ტროტუარზე ცხვირსახოცები გააფინეს და დასხდნენ. ტახტის აზნაურებმა თავიანთ ხელჩანთა-საკვოიაჟებზე მოიკალათეს, ბაგრატიონები კედელსმიყრდნობილნი და დეკადენტურად ხელჩახვეულნი გასცქეროდნენ ჰაერში სამუდამოდ დაკიდულ, ინდუსტრიის უტყუარ ნიშანს – საბაგირო გზის მშვენივრად დაჟანგულ კაბინას.

იმედი რომ გადაეწურათ, სტუმრები ყოფილი პარტიის ქალაქკომის შენობას, ამჟამად ქალაქის თავის რეზიდენციას მიადგნენ.

გაირკვა, რომ მოზეიმე ქალაქში არცერთი სასტუმრო არ მუშაობდა, მოსეირნე სტუმრებს ცოცხალი თავით არ უნდა დაეტოვებინათ ავტობუსები, რადგან მათ წყალტუბოს სანატორიუმებში უნდა დაედოთ ბინა, რაც შეეხება ქალაქის ხელმძღვანელობას, ისინი ღონისძიებებზე დარბოდნენ და სტუმრებისთვის არ ეცალათ. რაკიღა წვეულთა წყალტუბოში გადაყვანის საშუალება აღარ არსებობდა, სამასპინძლო-საორგანიზაციო შტაბის წევრებმა გამოსავალი მაინც იპოვეს – სტუმრებს ქველმოქმედ ქუთაისელთა მისამართები

ჩამოურიგეს. სტუმრის მოკრძალებულ ამოცანას შეადგენდა – მისულიყო აღნიშნულ მისამართზე. მასპინძლისათვის თავისი სტატუსი გაეცნო და თავშესაფარი ეთხოვა.

ლოდინით გაწამებული მგზავრები გადამრჩენი მისამართებით ხელში, დაბნეული, მაგრამ იმედიანი სახეებით გამოდიოდნენ შტაბის ოთახიდან.

– მთელი სიცოცხლე შაუმიანზე გავატარე, მე ვთქვი; მეზობლებ ვნახამ-თქვა, ისე იცოცხლე. ნინოშვილის ქუჩაზე წადიო. ნინოშვილის ქუჩა მინდა მეე?! – წუხდა ისრაელიდან ჩამოსული, მოელვარეკოსტუმიანი ებრაელი, რომელსაც თეთრი, აბრეშუმის, პაწაწინა ქუდი მხოლოდ ჭკვიან კეფას უფარავდა და სასწაულებრივად ჰქონდა ჭაღარა თმებში ჩამაგრებული.

მისამართები ხელში ეჭირათ, მაგრამ სტუმრები ადგილიდან არ იძვროდნენ. აშკარად ჩანდა, კიდევ სურდათ რაღაც გაეგოთ და იმ „რაღაცის“ დადგენა, როგორც ყოფილ ჭიმჭიმისელს, ბატონ მევლუდს სთხოვეს.

– ახლა ხომ მოვთავსდებით, მერე როგორ იქნება ჩვენი საქმე, რომელ საათზე და სად უნდა შევიკრიბოთ? – გაუბედავად ჰკითხა მევლუდმა შავულვაშა ყმაწვილს, რომელსაც მკლავზე ლამაზი, ეროვნული ასოებით „მორიგე“ ეწერა.

– არსად, ბატონო. პროგრამა ხომ გაქვთ. ჩახედეთ, ღონისძიებებია ჩამოთვლილი და რომელ ღონისძიებაზეც გაგეხარდებათ, მიბრძანდით, რომელიც უფრო ახლოსაა თქვენს საქმესთან. ასე მესმის მე.

– ეგ გასაგებია, მაგრამ სტუმრებს აინტერესებთ, რასაკვირველია, სადილის ან ვახშმის საქმე როგორ იქნებაო.

– მაგაზე ბოდიში უნდა მოგიხადოთ – ხმას აუწია, არ გამამეორებინონო, მორიგემ, – გუშინ ტელევიზიით გამოვიდა ქალაქის თავი და ბრძანა: სტუმრებზე თან გადაყოლა რომ იცით ჭიმჭიმისელებმა, არ დავინახო მაგის მსგავსი არაფერიო. რესტორნები და კაფეები ღიაა და სტუმრებმა თავისი ხარჯით მიირთვან, რაც გაეხარდებათო.

მევლუდმა სტუმარ-კოლეგებს გადახედა. ამ საბედისწერო სიტყვების ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია. ყველას ყველაფერი ესმოდა, ყველაფერი ნათელი იყო.

– რა ქნას მაგანაც, თვითონ ეგება არ უნდოდა ამის თქმა, მარა შეჭამეს კაცი. ხომ ხედავ, როგორ ღადაობენ პარლამენტზე. შენგელაიას საგლახაო ვართ ჩვენ? მაგენმა იციან ქვეყანას საზეიმოდ რომ არა აქვს საქმე და ჩვენმა ქალაქის თავმა არ იცის ვითომ? იცის მარა მტრების გულზე გასახეთქად აკეთებს ყველაფერს – თავს ნება მისცა მორიგემ ქალაქის პირველი კაცის გუშინდელი სატელევიზიო გამოსვლისთვის ასეთი განმარტება მიეცა.

ნირწამხდარი სტუმრები დაბნეულობამ შეიპყრო. ზოგმა უბის წიგნაკში ნათესავების მისამართს დაუწყო ძებნა, ზოგმა თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. შტაბის წევრები დაუზარებლად უხსნიდნენ სტუმრებს, რომ ავტობუსების სადგური ქარხანა „მაღაროელის“ მხარეს სამტრედიის გადასახვევთან იყო და ბილეთის შოვნა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგანაც თბილისისკენ ორი სახელმწიფო და შვიდი კომერციული რეისი გადიოდა დაახლოებით ყოველ ორ საათში ერთხელ.

მევლუდ თავთავაძემ დარჩენა გადაწყვიტა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მწარედაც ინანებს.

განაწილებით შეხვედრილი მასპინძლის – მამაგეიშვილის სახლს კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნო ეროვნული არტილერიის ქუჩაზე. საწოლი სამზარეულოს გვერდით მიუჩინეს. დაღლილობისაგან მუხლები უცახცახებდა. ერთი სული ჰქონდა წამოწოლილიყო და ფეხები გაემართა, მაგრამ თავს ძალას ატანდა – ქალაქს შენი იმედი აქვს, წამოსაწოლად წამოგიყვანეს აქაო?

რა სჯობია თქვენთან ჭუკჭუკს, მაგრამ რა ვქნა, ჩემს თავს არ ვეკუთვნიო, დაუგდო კარებში ჩამდგარ, მსოფლიო პოლიტიკით დაინტერესებულ მასპინძლებს და ქუჩაში გამოვიდა.

ბაზართან სასწაულებრივად შემორჩენილ ჯიხურში ბულკი იყიდა და გზაში წაიჭამა.

საათზე დაიხედა. ოთხ საათზე სინაგოგაში ქართველთა და ებრაელთა ლოცვა-შეხვედრა იყო და, რადაც უნდა დაჯდომოდა, უნდა მოესწრო.

ალბათ სიტყვას მათქმევინებენო, ფიქრობდა და გონებაში ალაგებდა კიდეც ორი უძველესი ერის ძმობის ფაქტებს. უკვე ისიც იცოდა, როგორ დაეწყო სიტყვა, რათა სხვების ნათქვამს არ დამსგავსებოდა.

სინაგოგას რომ მიაღწია ექვსის ხუთი წუთი იყო. კარებში შეჰყო თავი და ფეხისწვერებზე აიწია თუ არა, ხალხის ტალღამ უკან მიაგდო. ელვისსისწრაფით გამოვარდნენ ჩინოსანი სტუმარ-მასპინძლები და ჩახმახშემართული დაცვის ბიჭების თანხლებით თავიანთი მანქანებისკენ გაიქცნენ. კარების ტკაცატკუცი, გაფაციცებული უკან ხედვა, ასფალტის ღრჭიალი, მტვრის ბუღი და სინაგოგას ეზოში წამის შემდეგ ბიბლიურმა სიჩუმემ დაისადგურა.

მევლუდმა პროგრამას ჩახედა. შვიდ საათზე მინისტარის ქარხანაში უკანასკნელი ნახევარლიტრიანი ქილის გამოშვების ზეიმი იყო დანიშნული. ქარხანა აწ და მარადის, მხოლოდ ორლიტრიან ქილებს გამოუშვებდა.

დავით აღმაშენებლის მოედანზე პირველივე შემხვდურმა დაუზარებლად მიასწავლა; წულუკიძის ყოფილ ქუჩას ბოლომდე ჩაჰყევით და გეგუთის გზის დასაწყისში მიადგები, ბიძია, მინისტარის ქარხანასო.

მევლუდი თვალს აყოლებდა, არც თუ საზეიმო გამომეტყველების მქონე ჭიმჭიმისელებს და ფიქრობდა: ზეიმი ახალი დაწყებულია და, ალბათ, ჯერ არ იციან, რა ბედნიერები არიან, ნელ-ნელა, სეირნობის ეშხში რომ შევლენ, გაეხსნებათ სახეო.

„თქმა არ უნდა, დამინახავს თუ არა ქალაქის თავი, მისალმებისთვის სიტყვას მომცემს, რაც შეიძლება ლაზათიანად

უნდა დავასაბუთო ორლიტრიანი ქილის უპირატესობა ერთ-ლიტრიანთან შედარებით“.

ის იყო შევიდა მინისტარის ეზოში, რომ კიბეზე სირ-ბილით დაშვებულ რამდენიმე პოპულარულ, საყვარელ სახეს ჰკიდა თვალი. ვიღაცამ უბოდიშოდ გასწია განზე, სათვალე გაუვარდა და, რაკი აღებას ვერ ასწრებდა, ფეხებშუა მოიქ-ცია; ვინმემ არ გამიტეხოსო. ტაშის გრიალში სტუმრები მან-ქანებისკენ გარბოდნენ, ინსტიქტურად მევლუდმაც დაუკრა ტაში. ჰაეროვანი კოცნებით შავი ლიმუზინ-მერსედესები ღრჭიალით მოსწყდნენ ადგილიდან.

მევლუდმა სათვალე გაიკეთა და გვერდით ჩავლილ, მარაოიან მანდილოსანს ჰკითხა:

– მითხარით ერთი, ქალბატონო, კარგად ჩატარდა?

– კარგად, კარგად, ბიძია, ნუ ნერვიულობ.

– კი მაგრამ, რატომ გაიქცნენ, რაშია საქმე?

– ყველაფერი რიგზეა. ასეა დაგეგმილი, რვაზე თეატრში გალა-კონცერტია.

– რა კონცერტია?

– გალა!

მევლუდ თავთავაძე სვენებ-სვენებით გაეშურა თეატ-რისკენ. გზაში მეორე ბულკი იყიდა, ბულკი ძველი აღმოჩნდა. მოხუც მეთალგამეს გადაყლაპვა გაუჭირდა, ამიტომაც ჩინურ ვაზასთან დადგა და თითო ლუკმას თითო ყლუპ წყ-ალს აყოლებდა. ასე რომ, გამოუვალი მდგომარეობა ჩვენ რომ ვიცით, იმ სამი მდგომარეობის გარდა არ არსებობს, ძვირფასო მკითხველო.

ახალი შებინდებული იყო, თეატრის კიბეები რომ აათავა.

– მოწვეული ვარო, – კარისქალს პროგრამა უჩვენა.

– ეჭვი არ მეპარება რომ მოწვეული იქნებით, მაგრამ რაღა დროს მოსვლაა, მთავრდება უკვეო.

ამის თქმა და ტაშის გრიალში ყველა ლოჟის კარი ერთბა-შად გაიღო. ჩქარი ნაბიჯები დაღლილი, შემკრთალი და მაინც

ბედნიერი სახეები... ნაბიჯები... ნაბიჯები... ნაბიჯები... ტკა-პა-ტკუპი, ტკაპა-ტკუპი, ტკაპა-ტკუპი... მევლუდმა განზე გახტომა მოასწრო. ქალაქის თავმა ვიღაცას ხელი ჩამოართვა და იმწამსვე ორი გიგანტური ნახტომით კიბე ჩაათავა! საოცარი ის იყო, რომ სამღვდელოების დინჯი და დარბაისელი წარმომადგენლებიც კი შავი მანქანებისკენ საოცარი სისწრაფით გარბოდნენ.

შუაღამისას დაბრუნდა ეროვნული არტილერიის ქუჩაზე თავის ძალადმასპინძლებთან მევლუდ. სუფრიდან მოვდივარო... მასპინძელსაც არ დაუძალებია, იცოდა დამსახურებულ მეთალგამეს უვახშმოდ არ დატოვებდნენ ჭიმჭიმისელები.

ცუდად ეძინა. ხუთჯერ დაესიზმრა ერთი და იგივე. ვითომ პატარა იყო, თეთრი ხიდიდან ფეხით ხტებოდა და ჰაერში აღმოაჩენდა, რომ დამშრალ რიონში გიგანტური თეთრი ქვებიღა გაწოლილიყვნენ დინოზავრების ზურგებივით.

მეორე დღეს, დილის ათ საათზე, ვაკისუბანში მეთალგამეთა სახლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი იყო ზეიმსეირნობის ყოვლისმომცველი გეგმით გათვალისწინებული.

„ეს მაინცაა ჩემი პირდაპირი საქმე. ეჭვი არაა, რომ ამ სახლს ჩემი – ქალაქის უპირველესი მეთალგამის პატივსაცემად ხსნიან. ალბათ, პირველ სიტყვას მე მომცემენო“ – და მევლუდ თავთავაძე ლამის ყველაზე ადრე, ცხრა საათზე უკვე დანიშნულ ადგილზე იყო.

ათზე მოგრიალდნენ მანქანები. საძირკვლის ჩაყრის ზეიმი დაიწყო. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. ბატონ მევლუდს ყველა ხედავდა. ზოგიერთები ღიმილით თავსაც უქნევდნენ, მაგრამ სიტყვა არ მიუციათ. ბოლოს ქალაქის თავმა განაცხადა: ჩვენაო, ჭიმჭიმისელები ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს დღევანდელ ზეიმს ესწრება (რა საჭირო იყო ჩემი ასე გამოყოფაო, თავისი სახელის გაგონების მოლოდინში თავი ჩაიქნია მეთალგამემ) სამი (კიდევ კარგი, ჩემს გარდა ორს სხვასაც ასახელებსო, მევლუდმა) ღირსეული ადამიანი: ჩიხრია ფიქრაძე, მოსე თევდორაძე და ნიკა ნიკაძე!

მოზეიმეთა ტაშის გრიალი ხელს უშლიდა გაეხსენებინა, ვინ იყვნენ ეს ღირსეული ადამიანები და რა დამსახურება მიუძღოდათ მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის წინაშე;

თორმეტ საათზე გოჭოურაში ხალხური თამაშობების წარმოდგენა-კონკურსი იყო დანიშნული და მევლუდ თავთავაძე ბედს შეჩვეული ერთგული, ბებერი ცხენივით იქეთკენ წავიდა.

გზაში ბულკი არ უყიდია.

პირველს ათი აკლდა გოჭოურას აღმართი რომ აათავა. თითქოს მევლუდის მოსვლას ელოდნენო, გაისმა მქუხარე ხანგრძლივი ტაში და შუატაშისკვრაში მანქანებისკენ ენერგიული, გრძელი, ქარივით სწრაფი, ხმაურიანი ნაბიჯით დაიძრნენ ენერგიაშემატებული სტუმრები.

და სწორედ ამ დროს ჰაერში განწირულის ხმით დაირხა:

– გაჩერდით! გაჩერდით-თქვა, მე შენ გელაპარაკები!

წამით ყველანი გაირინდნენ.

აცახცახებული, გაოფლილი, გაფითრებული მოხუცი მეთალგამე იმ წამიერ გარინდებაში ქალაქის თავის მანქანასთან მივიდა. დემონსტრაციულად გამოაღო კარი და ჩაჯდა.

შარი

ნამეტანი მივეჩვიეთ დახმარებას, ბატონო. არ ვარგა ეს. ჩვენთვის ხომ არ ვარგა და არ ვარგა – ვზარმაცდებით სხვისი მოიმედე. შენ წარმოიდგინე, არც იმისთვის ვარგა, ვინც გვეხმარება. ჯერ ერთი გადასაყრელი არავის არა აქვს დღეს საჭმელ-სასმელი. იმ ამერიკა-გერმანიაშიც ბევრი შიმშილობს თურმე. მეორეც, ერთხელ და ორჯერ რომ გაჭმევს ის კაცი, მესამეჯერაც თუ არ გაჭამა, გული მოგდის, ბრაზდები. რას ემართლები, კაცმა რომ თქვას, მარა ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება. ხომ გაგიგონია: „მიუჩვეველს ნუ მიმაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადამაჩვევო“. ამასწინათ ხმა გავრცელდა, დასავლეთი მალე ჰუმანიტარულ დახმარებას შეგვიწყვეტსო და, ხომ ნახე, ერთი ამბავი ატყდა. დაბღვერილი დადიოდა ხალხი. აშკარად დაიწყეს ლაპარაკი – რას მოელოდით უკეთესსო. ამერიკისგან და გერმანიისგან ღალატი ახალი ამბავი ხომ არ არის ჩვენთვისო. ა, ეს ითქვა, ბატონო იმ დასავლეთის გასაგონად. თავისი მოქალაქეებისთვის მოკლებული ხორაგით შენ რომ შიმშილით სიკვდილს გადაგარჩინა. ეგ კი არა, ერთ დღეს რომ თეთრ ფქვილს გამოგვიგზავნიდნენ და მეორე დღეს სერ ფქვილს მოაყოლებდნენ, მაშინაც იგინებოდა პურის რიგში ზოგიერთი, კაცმა არ იცის, რას გვაჭმევენ. ამ ფქვილისგან, თურმე, ძროხის საჭმელს ამზადებენ ამერიკელებიო, ხომ სწორს ვამბობ, შენც მოკრავდი ყურს.

ამას წინათ ოტია იოსელიანმა თქვა ტელევიზორში: ნუ მივეჩვიეთ ამ ჰუმანიტარულ დახმარებას. არ ვიცი, რატომ მიგვაჩნია ღირსეულ საქმედ ჰუმანიტარული დახმარების მიღებაო. ჰუმანისტი ისაა, ვინც იძლევა დახმარებას, თვარა ვინც ღებულობს – მათხოვარიაო. ჩვენ კიდევ მათხოვრები, დიდი სერიოზულობით და თავმომწონებით ვღებულობთ მოწყალებას და თან ჰუმანიტარულ ტვირთს მუშტრის

თვალით ვზომავთ, ხომ არაფერი დაგვაკლეს წინა თვესთან შედარებითო.

რაღა შორს წავიდე, გეტყვი, რაც პირადად შემემთხვა, ამ ანგარიშმიუცემელ დახმარებასთან დაკავშირებით.

ბაზარში ვმუშაობდი მაშინ, დირექტორის მოადგილე მერქვა. ბევრი არაფერი, მარა ცოლ-შვილის სარჩენ ფულს ვშოულობდი, რომ არ დაგიმალო და ერთი-ორი კაპიკიც მრჩებოდა საქეიფო-სახარჯოდ. აბა, ახლა ვარ კაცი, შენისთანა საპატივცემო ადამიანს, ასე, ქუჩაში რომ ველაპარაკები და ორი ბოთლის ფულიც რომ არ მიჭყავის ჯიბეში?

ჩემს ქუჩაზე ბუხუტი ლექვინაძე ცხოვრობდა. აღმასკომში მუშაობდა, მე მგონია. გაზეთების გამოწერა და გავრცელება ეხებოდა. მოკლედ ყველაზე პატარა კაცი იყო აღმასკომში. ჩვენს შორის დარჩეს და ცოტა ზარმაციც იყო. ეზო სულ დაუბარავი ჰქონდა. რასაკვირველია, ხელმოკლედ ცხოვრობდა.

შემხვდა ერთ დილას ბაზარში. ოკრიბელ გლეხს ყველს ევაჭრებოდა. იმდენი ეხვეწა, დამიკელი ცოტაო, რომ გული მომეწვა. მოვკიდე ხელი და დახლს გამოვარიდე. წამოდი, ჩემო ბუხუტი ჩემთან, საქმე მაქვს პატარა-მეთქი. ვუყიდე ოთხი კილო კაი, უშობლის ხორცი, სამი კილო ყველი, თევზი (მაშინ გაუყინავი თევზი იშოვებოდა), მწვანილი, რაღაც-რაღაცები... ა, ეს ჩემი ფეშქაში იყოს-მეთქი. გაუკვირდა, გაეხარდა, შენ აგაშენა ღმერთმაო, სად მქონდა ამის ფული მეო. ერთი კილო ლობიოს და ნახევარ წველა ყველის ყიდვას ვაპირებდიო.

ერთი კვირის მერე კიდევ შემხვდა, ასე, შემთხვევით, ბუხუტია ლექვინაძე ბაზარში. გადავაწყდი-მეთქი შემთხვევით მეზობელ კაცს. ყოველშემთხვევაში, მე ასე მეგონა.

არ დავწყვიტე, მეორედაც გული. ვუყიდე რაღაც-რაღაცები. გავუვსე ჩანთა და მივაცილე ბაზრის კარამდე.

მე რომ ბუხუტის ადგილზე ვყოფილიყავი და მესამედ შემხვედროდა ჩემნაირი კაცი, მე, მაგალითად, დავემალებოდი. უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს-თქვა და

საერთოდ: თავმოყვარეობის ამბავია. ერთხელ გცა პატივი, თან, რა ვალი აქვს შენი, კაცმა რომ თქვას.

შენ არ მომიკვდე, ბუხუტის ჩემთვის თვალი არ აერიდებინოს. პირიქით, დიდი, ცარიელი, ფართხუნა ჩანთით ხან ბაზრის ერთ კუთხეში გამეჩითებოდა, ხან მეორეში. ჩემი კაბინეტის წინაც ჩაივლიდა ისე, „შემთხვევით“, ისე, მომესალმებოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, აითრევდა, რომ იტყვიან, ფეხს.

ჯერ ერთი ყოველთვის არ ხარ კაცი ერთნაირად, არ გრჩება ჯიბეში ფული, ხომ შეიძლება და მეორეც შენ თვითონ გგონია: ხომ არ დავამცირებ გაუთავებელი დახმარებით, არ ეწყინოს ეს არამკითხე მამიდობა კაცსო, ფიქრობ შენთვის. რა ვიცი, ამნაირი ფიქრიც ხომ არსებობს.

მოკლედ, მხვდება ბუხუტი ხშირად ბაზარში მაგრამ, რომ არ მოგატყუო, მეტი აღარ გამიკრავს ჯიბეზე ხელი და აღარ დავხმარებივარ. თვენახევარი-ორი თვე გავიდა ამნაირ მშრალ შეხვედრა-განშორებებში. შემოდის ერთხელ ბუხუტი გამწარებული ჩემს კაბინეტში. აქაო, მეუბნება, მიშვებულია ყველაფერიო. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ასეთი სიძვირეო, მეორეც, ანტისანიტარიაა ბაზარშიო, თვალსაჩინოება არ გივარგათო, კედლის გაზეთი არ გამოდის ბაზარშიო. მიედმოედება რაღაცას, შარზეა, აშკარად ჩანს.

მე რისი ბაზრის ხელმძღვანელი ვიქნებოდი, ბუხუტი ლექვინაძის რომ შემშინებოდა. მოკლედ, მაგარ-მაგარი რაღაცები ვუთხარით ერთმანეთს და მტრებივით დავშორდით.

ამის მერე ჩვენ ერთმანეთისთვის სალამი არ მიგვიცია.

ხომ მიხვდით, ბატონო, რატომ მოგიყევით ეს ამბავი.

თქვენ თუ არ მიხვდებით, ვინ მიხვდება.

ა, ეს ქნა ჩემმა ნაჩქარევმა, მოუზომავმა ნაბიჯმა.

ხომ უნდა იცოდე, ვის ეხმარები და რატომ ეხმარები.

ყისმათი

დილიდანვე უგუნებოდ ვიყავი.

წუხელის მესიზმრა, უზარმაზარ საბუდარზე ვიჯექი.

შავი ძაღლები მესეოდნენ და კვერცხებს მართმევდნენ. ვქოთქოთებდი, სვეგამწარებული ვიბრძოდი, მაგრამ ჩემი ფრთანისკარტით ძაღლებს რას დავაკლებდი.

ცას და ქვეყანას შევჩიოდი, მიშველეთ, მე დედას, კრუხს დღედღეზე გამოსაჩეკ, წიწილებიან კვერცხებს მინადგურებენ-მეთქი, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა. საშინელ ხასიათზე გავიღვიძე.

ჩვენ, ქათმებსაც გვაქვს ავი წინათგრძნობა.

მთელი დღე მარტომ გავატარე.

საკენკს არ გავკარებივარ.

მაჯლაჯუნასავით მაწვა გულზე სევდა.

მამალი რომ დამეღირა, შენი თავი არა მაქვს-მეთქი და ჩირგვებში შევვარდი.

გაუკვირდა სხვათაშორის.

ჩირგვებამდე მომდია და, ჩემი გაწბილება სხვებმა არ შენიშნონო, უხმოდ გატრიალდა.

ახია მასზე.

უდროო დროს და უადგილო ადგილას წამოგაჯდება ხოლმე. არ გეკითხება; ხარ, არა ხარ ჩინჩვლის ხასიათზე.

ხანდახან მაინცდამაინც არც თვითონ უნდა, ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით გაგექაჩება; აქაოდა რიგმა მოგიწიაო.

რომ მოსაღამოვდა, საქათმეში შესვლა არ მინდოდა.

დარწმუნებული ვიყავი, რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო, სიზმარი უნდა ამხდომოდა.

გამხმარი ხურმის ტოტზე შევსკუპდი ზაფხულში ზოგჯერ იქ ვიბუდრებთ ხოლმე დაქალები, გრილა და სკინტლის სუნიც არ გვაწუხებს.

ლამის ძალით ჩამომაგდო მამალმა.

შენაო, რაღაც უცნაურად იქცევიო ამ ბოლო დროს. გატყობ თავს გაგივიდაო, ახლავე ჩამოხტი და შედი საქათმეში, სანამ ღერღერა არ ამიცლია ეს ნაზი ბუმბული მაგ თიმთიმა კურტუმზეო.

ახსნა-განმარტებას აზრი არა ჰქონდა.

მინდოდა მეთქვა, ავი წინათგრძნობა მაქვს-მეთქი, მაგრამ არც მომისმენდა, ისეთი თავნება და ჯიუტია.

დავწყევლე ჩემი გაჩენა და ჩავყევი.

მთელი ღამე ძილი არ მომკარებია.

მამლის პირველ ყივილამდე, ალბათ, ასე ნახევარი საათით ჩამთვლიმა და ძლიერმა ბიძგმა გამომაღვიძა.

მარჯვენა ფრთაში საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

თითქოს მიწა იძრაო. ყველაფერი თავდაყირა დადგა.

მეგონა, ქვეყნიერება ინგრეოდა.

მთელი საქათმეთი რომ ახმაურდა და ძაღლები აყეფდნენ, მელია უკვე ბოსტანს გამცდარი იყო და თელებისკენ მიჰქროდა.

მარჯვენა ფრთით ვეჭირე. თავი ფრთისქვეშ მქონდა ჩაბრუნებული და სული მეხუთებოდა. საფეთქელთან მელიის ცხელ სუნთქვას ვგრძნობდი. მთელი ქათიბი სველი მქონდა სისხლით თუ ოფლით. სიკვდილის ოხშივარი უბერავდა მტაცებლის ხახიდან.

ნუთუ ყველაფერი დამთავრდა.

რაც შემიძლია ვფართხალებ, ბრჭყალი მოვდე ყელზე, სოლისმსგავსს დინგზე, მაგრამ ამაოდ.

ქარივით მიჰქრის. ამის დამწევია ჩვენი პატრონის ბებერი ძილისგუდა ძაღლი?

ტრასაზე შევარდა თუ არა, ზემოდან მომავალმა მანქანამ გაბმული სიგნალი მისცა და შუქის გრძელი შოლტი ქამანდივით ესროლა.

მელა დაიბნა, წამით შეყოვნდა, მაგრამ შუაგზიდან უკან გაბრუნებაზე არც უფიქრია, პირი მიშვა და ღობე-თხრილს გადააფრინდა.

მუხრუჭის ღრჭიალმა ნერვები დამიფლითა.
შიშმა თუ ტკივილმა ფეხები გამიბორკა.
თხიპიანივით ვფართხალებ.
მანქანიდან სამნი გადმოხტნენ.
„ყოჩაღ სანდრო!“
„იცის ბიჭმა, ნახე რა ბრინჯივით დააბნია სიგნალმა?“
„ე რამოდენა დედალი დაუღლიავებია ამ ვერანას ამასა!“
„მააშ, კაცო“.
„გაუშვი სანდრო, რასა შვრები!“
„რა გაუშვა, შენა თავში ნახერხი ხომ არ გიყრია“.
„ვერა ჰხედამ, ნაკბილარია, მოკვდება“.
„ეგ მე ვიცი, რას იზამს“.
„ქურდის ქურდი ცხონებულია“.
„ბაგაჟნიკს დაგვისვრის, სისხლიანია!“
„მაშ, ფეხებშუა ჩაისვი შენს მხარეს!“
„წავედიით!“
მანქანა დაიძრა.
ნეტავ სად მივყავართ.
მშვიდობით აქაურობავ! ჩემს საქათმეში რომ აღარავინ დამაბრუნებს, ნათელია.
რაკი ცოცხალი გადავრჩი, ამას დავეძებ?
ქვეყანა დიდია.
მანქანაში მსხდომნი ერთხანს დუმდნენ და ხიდს რომ გავცდით, ალაპარაკდნენ:
„რა ვუყოთ ამ ქათამს?“
„ნახე, ხომ არ მოკვდა?“
„არა, ცოცხალია“.
„თბილისში ჩავიყვან, ბალღებს გავახარებ“.
„თბილისში არა, შენ ხომ არ გაგიჟდი?“
„რათა?“
„ჯერ ერთი, იქნებ, დილამდე ვერც გაატანოს, ხომ ნახე მელას თავ-ფრთით ეჭირა. ვინ იცის სად ჩაასო ალმასივით კბილები“.

„თანაც რა თარსი ცხოველია, რა მოხერხებული?“

„ქურდია ნამდვილი, ქურდი“.

„ნეტა საიდან ჩამოამსერა“.

„საქათმიდან ჰყავს გამოყვანილი, მელა ხეზე ვერ ადის“.

„ვინ იცის, როგორ შეიპარა“.

„მიწას გამოთხრიდა“.

„თანაც წონიანი ქათმისათვის რომ დაუვლია პირი!“

„იცის ბიჭმა“.

„ისე, საცოდაობა ვქენით, რომ გავაგდებინეთ, ვინ იცის, რამდენი იწვალა“.

„მერე რა მონდომებით მიჰქონდა, უკან მოუხედავად“.

„ნადირობა ჩავუშალეთ“.

„გამიკვირდა, ეგრე იოლად რომ შეელია“.

„იქნებ თხრილგაღმა ძმაბიჭები ელოდებოდნენ და სიცილი დააყარეს; შე ბემურაზო, სიგნალის როგორ შეგეშინდა, გამზადებული ქათამი როგორ გააგდე პირიდანო“.

„შეეშინდა, სული მწარეა“.

„იქნებ შინ პატარა, მშიერი მელუკები ჰყავს და იმათთან მიარბენინებდა ვახშამსა“.

„რას დააძღებოდნენ?!“

„იმას გეუბნებოდი, იქნებ დილამდე ვერც გაატანოს და მეორეც, რა იცი, რა სჭირს იმ მელიასა!“

„მაინც მტაცებელია!“

„მორჩით ბაზარს, მელიას რა უნდა სჭირდეს, ვერა ნახე? ისარივით მიჰქროდა“.

„მოღუნული ისარივითა“.

„მაგაი რა დაემართება, შვილოსა, სულ ეგრე დარჩეულ ქათმებ შაექცევა“.

„მიართმევენ ყოველდღე ბლუდითა“.

„არა ბიჭო“.

„მელია ისეთი სუფთა ცხოველია, წვიმაში სანადიროდ არ გამოდის, ფეხი დამესვრებაო, მელაი რა უნდა სჭირდეს“.

„მელია ჯანმრთელია!“ – განაჩენივით დაასკვნა ბოხმა ხმამ, აქამდე რომ თითქმის ჩუმად იყო.

„თბილისში ჩაყვანა მაინც არა ღირს, რაც უნდა იყოს ნამელია“.

„რა არის?“

„ნამელია“.

„ე რა ახალი სიტყვა მოიგონე; ნამელია კი არა ნამელიებია“.

„როგორც არი. მცხეთასთან რესტორანში მზარეულ მივგვაროთ, კარგად ჩვენებურად მოვახარშვინოთ და შევუბეროთ, არა?“

„მოვიდა!“

„რა დროი რესტორანია“.

„დახედე, რა დროა“.

„ოთხია!“

„გადარჩა!“

„რა ყისმათიანი ქათამია!“

„ღმერთი არა გწამთ, მაშ მართლა უნდა დაგეკლათ, კაცო. ღმერთმა მელიის პირიდან იხსნა და თქვენ უნდა შეგეჭამათ, თქვე ულმერთოებო, თქვენა?“

„არა ბიჭო, პირამიდონ ვაყლაპებდით“.

„ჰა, სანდრიკ, შენ წაიყვა, შენი არჩივია“.

„შენ გამოსტაცე მელასა“.

„ხვალ დილით რენტგენზე წაიყვა, ფილტვები გაუსინჯე, არ დაგავიწყდეს“.

. . .

მგონი გადავრჩი.

წერილი

ხრუშჩოვის ჩამოსვლა საქართველოში შენ, რა თქმა უნდა, არ გემახსოვრება. ამბავი მაშინ იყო თუ იყო, ახლა რა არის. იმპერატორი ჩამოდიოდა მის მიერ დასჯილ-გათელილ რესპუბლიკაში. სტალინის გამო შეგვიძულა ქართველები ხრუშჩოვმაო, ახლაც გაიგონებთ. არ იყო მთლად ასე. მე მგონია, ხრუშჩოვის ადგილას სხვა რუსი რომ ყოფილიყო, ისიც შეგვიძულებდა. დამთავრდა იმპერიაში „ქართული პერიოდი“ და გაიღვიძა ველიკორუსულმა შოვინიზმმა. სტალინს და ბერიას ვინ გვაპატიებდა. ხრუშჩოვი ქართველებისადმი ზიზღით ცდილობდა აღედგინა თავის დაბინდულ გონებაში ათეული წლების განმავლობაში სტალინისადმი მონური მორჩილებით გალახული თავმოყვარეობა. ქართველთა გვემა ხრუშჩოვის დროიდან დაიწყო და იმის შემდეგ ვერ იქნა, წელში ვერ გავიმართეთ.

რა უნდოდა, რატომ ჩამოდიოდა? სიყვარულს ეძებდა იმ ხალხში ვისაც მარტის სისხლიანი ორგია მოუწყო? ასეთი სულელი არ იყო ხრუშჩოვი. მე მგონი, მას მის ფერხთა ქვეშ გართხმული, დაჩოქებული საქართველოს ნახვა სურდა.

რაღა დროს ხრუშჩოვია, მაგრამ ერთი რამ მინდა გიამბო. იმ ვიზიტმა კინაღამ სამუდამოდ შეცვალა ჩემი ცხოვრება და ცხოვრების შეცვლას ვინ დაეძებს, კინაღამ დამღუპა.

ოცდაცხრა წლის ბიჭი ვიყავი მაშინ. უფროსი გოგო ორი წლის მყავდა. უნივერსიტეტის ასპირანტი გახლდით და თანაც ვთარგმნიდი რაღაც-რაღაცებს.

შუაღამეგადასულზე ჩემს ფანჯრებთან მანქანამ დაამუხრუჭა. არავის ველოდი და ფანჯრიდან არ გადამიხედავს. კიბეზე ტკაპატკუპით ამოირბინეს და ჩემს კარზე დააკაკუნეს. გავაღე. ორი მაკინტოშიანი კაცი დგას. მგელაძის ასპირანტი ბიბიჩაძე თქვენ ბრძანდებითო? კი-მეთქი. ჩვენაო, უშიშროებიდან ვართო, საბუთი მიჩვენეს. პარტიამ დიდი ნდობა გამოგიცხადათო.

ხვალიდან ხრუშჩოვის თარჯიმნობა უნდა გასწიოთო. მთელი სტუმრობის განმავლობაში თქვენ მის გვერდით იქნებითო. დილით, რვა საათზე მოვალთ მანქანით და წაგიყვანთო. ამის შესახებ დღეს მეუღლის გარდა არავისთან კრინტი არ დაძრათო. შევძლებ-მეთქი? ესღა ვკითხე. თუმცა შევატყვე, ისინი ჩემი პასუხით დიდად არ იყვნენ დაინტერესებულნი. მაშინ ასე იყო – პარტიას სურდა, მორჩა და გათავდა. თანაც გაითვალისწინეს, რომ პარტიის წევრობის კანდიდატის მოწმობა მედო ჯიბეში.

ეშინოდათ სტალინის სამშობლომ შური არ იძიოსო და საიდუმლო სამსახურის აგენტები დღე და ღამეს ასწორებდნენ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ხრუშჩოვს მოსკოვიდან ათასამდე დაცვის თანამშრომელი ჩამოჰყვა. მთარგმნელი, ალბათ წინასწარ ჰყავდათ შერჩეული, მაგრამ, ჩანს, მათი ნდობით აღჭურვილ მთარგმნელს, რასაკვირველია, რაღაც შეეშალა და არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. რასაკვირველია გამეხარდა. მაღალ ეშელონებში ჩემი სამდღიანი გაწვევით იქნებ ბოლო მოღებოდა ჩემს სიდუხჭირეს და უმუშევრობას. გულს იმედი ჩამესახა, თავი თუ კარგად გავაჩვენე ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ვინ იცის, იქნებ მოწყალე თვალით გადმომხედონ და სადმე, მუდმივ სამსახურში დამნიშნონ-მეთქი.

დილით მოგრიალდნენ შავი მანქანით და წამიყვანეს. მანქანაში რომ ვჯდებოდი, ჩემს ფანჯარას ავხედე. შუბლით მინას მიყრდნობილი მეუღლე საწყალი თვალით ჩამომყურედა.

რომ გითხრა, დიდი ჯაფა დამადგა-მეთქი, ვერ მოგატყუებ. რუსულიდან მთარგმნელი თითქმის არ დაჭირვებიათ. მაღალი სტუმარიც და მასპინძლებიც რუსულად გამოდიოდნენ და მაშინ რუსულიდან თარგმნა შეურაცხყოფად ითვლებოდა. მე ალბათ, გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის ვიყავი დაძახებული. უფრო ქალაქგარეთ შეიძლება დავჭირვებოდი გენერალურ მდივანს. ხომ შეიძლებოდა, სოფლად სადმე შეჩერებულიყო და კოლმეურნე გლეხისთვის რაიმე ეკითხა, ან ამ უკანასკნელს შეებედა ორი სიტყვა, ასე იყო თუ ისე, მთელი დღე ხრუშჩოვთან და მჟავანაძესთან გავატარე. მე, ერთი გალეული, შავ-

ტუხა ბიჭი, მათს შუა ვჩანდი. როცა ისხდნენ, ყველაზე ახლოს უკან ვიდექი შინაურივით. ხრუშჩოვი „უპარდონო“ უტიფარი მოხუცი, მჟავანაძეს ქედმაღლურად შენობით ელაპარაკებოდა. ჩემი სკვინჩობა ახალისებდა. ა, ქართველი ამაზე დიდი არ უნდა იზრდებოდესო, რამდენჯერმე იხუმრა და თავისსავე ნათქვამზე თვითონვე ხმამაღლა, პირახეული იცინოდა.

პირველ დღეს შინ ასე, თერთმეტისთვის დამაბრუნეს. რა ჰქენიო, ცოლმა, რას ვიზამდი-მეთქი, დიდი კაცის ინტონაციით ვპასუხობ. თანამდებობიანმა, ვითომ ხალხზე ზრუნვით დაღლილმა კაცებმა რომ იციან ლაპარაკი.

ხუთი წუთის შემოსული არა ვარ, თითქოს ფეხდაფეხ მომყვა ჩემი ყოფილი ლექტორი, უნივერსიტეტის პროფესორი შერმადინ გურგენიძე. ენათმეცნიერებას გვიკითხავდა. შარშანწინ გარდაიცვალა. დიდებული მოქალაქე იყო ცხონებული.

ჩემო უშანგი, ერთი მამულიშვილური საქმე უნდა გააკეთო შენო. უბიდან კონვერტი ამოიღო. ეს წერილი ხრუშჩოვს უნდა გადასცეო. თუ ვინმე დაინტერესდეს, უთხარი, რომ შემოსვლის დროს ვიღაც უცნობმა შემოგაჩეჩა. არავითარ შემთხვევაში არ გაამხილო, რომ მე მოგიტანე, ისეთი არაფერი სწერია, მაგრამ ხომ იცი, კუდს გამოაბამენო. გაშალა და წამიკითხა, ქართველი ერის სახელით ხრუშჩოვს წერდნენ. საქართველო ერთმორწმუნე რუსეთის ერთგული იყო და ასეთად დარჩება მუდამო. თქვენს სამშვიდობო ღვაწლს და დემოკრატიულ რეფორმებს დიდად ვაფასებთო. მოგესალმებით ქართულ მიწაზე და ორ პატარა სათხოვარს გიბედავთო: პირველი – სტალინის შეცდომები ქართველი ერის შეცდომებად არ მიიჩნიოთ; მეორე – აზერბაიჯანში ახლახანს ორმოცი ათას ქართველს ქართული გვარტომობა აზერბაიჯანულით შეუცვალეს, რაც საკაცობრიო დანაშაულის ტოლფასია და უმორჩილესად გთხოვთ, აღადგინოთ სამართლიანობაო. ქვემოთ ისევ მობოდიშება-რევერანსები და ერთგულების დაპირება მოდიოდა.

ბატონმა შერმადინმა ჩანს, სახეზე შემატყო რომ შევშინდი, წერილი ისევ კონვერტში ჩადო და მითხრა: ამ წერილს დაგიტოვებ, ჩემო უშანგი, გედოს ჯიბეში. თუ მომენტს შეარჩევ და

გადასცემ, შენი ქვეყნისთვის კარგ საქმეს გააკეთებ, თუ ვერ გაბედე, უკან დამიბრუნე. არც მაგაზე დაგემდურები, ოღონდ არავისთან წამოგცდეს, არც ნებართვა სთხოვო ვინმეს და, ამ წერილის გადაცემის თაობაზე, არც აზრი გაუზიარო, თორემ არაფერი გამოვა და ტყუილად შენს საქმესაც გაიფუჭებ. ხვალიდან რაიონებში მიდიხართ და, მე მგონი, გექნება საშუალება მოხერხებულად გადასცეო.

რომ არ დაგიმალო, იმერეთი და სამეგრელო ისე შემოვიარეთ, დანა პირს არ მიხსნიდა. ჯიბეს მიწვავდა ის წერილი. ასე მეგონა, ყველამ ყველაფერი იცოდა. უშიშროების ბიჭები რომ მეკითხებოდნენ, რატომ ხარ უგუნებოდო, წრუწუნასავით გავინაბებოდი. ერთი პირობა გადავწყვიტე, არ მიმეცა საერთოდ. მერე ვიფიქრე, მაინც საშარო საქმეა, მოდი, წერილს დავხევ და გადავაგდებ, პროფესორ გურგენიძეს კი მოვატყუებ, ვითომ გადავეცი ხრუშჩოვს-მეთქი, მაგრამ ვერ ვიკადრე. ბოლოს, რაც მომივა-მომივაო. ბოლოს და ბოლოს ხომ არ ჩამომახრჩობენ-მეთქი, მარტო ბატონი შერმადინის საქმე ხომ არ არის, ჩემი საქმეცაა ინგილოების შველა-მეთქი. ავდექი, შევურჩიე წამი ხრუშჩოვს როცა კარგ ხასიათზე იყო და მჟავანაძემაც თვალი მომაცილა. ამოვიღე წერილი და მივაწოდე: კარებში მოქალაქემ გადმომცა-მეთქი.

ხრუშჩოვმა წერილი გამომართვა. რა თქმა უნდა არ წაუკითხავს და იქვე გადასცა მჟავანაძეს – უპასუხეო. მჟავანაძემაც ციმციმ კარებში თავშემოყოფილ ინაურს გაუწოდა.

ტყუილს ვერ ვიტყვი: არც რაიმე უკითხავთ ჩემთვის იმ წერილთან დაკავშირებით და არც საყვედური უთქვამთ. იქნებ იმიტომ, რომ წერილი უაღრესად ტაქტიანად და კეთილმოსურნის პოზიციით (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა) იყო დაწერილი.

რაც შეეხება თარჯიმნობას, მთელი ცხოვრება ისე გავიდა, მეტი აღარ დავუძახნივართ.

სანამ პირში სული მიდგას

ამ თვეში მესამედ შემხვდი და ყოველ შეხვედრაზე ერთსა და იმავეს მეუბნები; ნუ ხარ ჩუმად, არ გშვენის ჩუმად ყოფნა, არ გეკადრება ჩუმად ყოფნა შენო. მეც პირველ ცოდვაზე დაჭერილი ყმაწვილივით მორცხვად გაგიღიმებ ხოლმე, „იქნება, იქნება! გამოვსწორდები-მეთქი“, ხელებს ავწევ, დაგემშვიდობები და მერე მთელი დღე ცუდ ხასიათზე ვარ.

ახლა დრო მაქვს და ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა. ჩვენი ურთიერთობა სიკვდილამდე გარკვეული მეგონა, ძმობა გვაქვს ნათქვამი ერთმანეთისათვის, მაგრამ ხანდახან თურმე საჭიროა, სარეკელა გამოუცვალო წისქვილის დოლაბს და ისე მიუგდო ყური. სადმე კაჟი ხომ არ უსტვენს და ქვას ზედმეტად ხომ არ ხეხავს. ასეა კი. დავიწყოთ იქედან, რომ შენ ორმოცდაათი წლისა ხარ და მე სამოცდაათის. არ იფიქრო, ამას იმიტომ გეუბნებოდე, თითქოს „შენგან ჭკუის სწავლება არ მეკადრება“ გიარაკებდე. ვიცი, როგორ არ ვიცი, პატარა მელია დიდ მელიას ზოგჯერ არშიყსაც კი ასწავლის. ეს შენგან არაერთხელ მომისმენია და დამიჯერებია კიდეც შენთვის. დამიჯერებია და გვერდითაც ამოგდგომივარ, გაგყოლივარ და შენს გვერდით ხმალი მიქნევია. ახლა რაღა დამემართა? რაღაცნაირად ისე აეწყო, რომ ფეხს ვერ გიბამ ამ ბოლო დროს. ნურც შიშს მიაწერ ამ ამბავს და ნურც ჩემს სიბერეს. კარგად მიცნობ, კრიალოსნის ბერიკაცი ჩემგან არ გაკეთდება. მე ასე ჩაკირულ-ჩაძვალული, ფეხზე მოვკვდები, აღმა-დაღმა წანწალში და ფათიფუთში.

შიშით მაშინ არ შემშინებია, წითელი ურჩხული რომ გვწოვდა სისხლს და ენას გვგლეჯდა, იცი შენ. ახლა რა ჯანდაბის უნდა მეშინოდეს, ჩემი კალო გალეწილია და იმ ქვეყნის მატარებლის მოლოდინში ჩემოდანზე ვზივარ.

ასე რომ ჩემს გაჩუმებას, იქნებ უფრო გულისგატეხვა, იმედის დაკარგვა ჰქვია და არა სხვა რამ. მკითხავ: მთელი ცხოვრება სხვებს რომ აფრთხილებდი და ჭირში გამაგრებას ასწავლიდი, მთელი ცხოვრება რომ შეურიგებლობის ფანდურს აჩხაკუნებდი, ახლა რა ღმერთი გაგიწყრაო. გეტყვი, გეტყვი პატიოსნად და გულახდილად. მე ნატანჯი და ნაუბედურალი, ჩემი ჭკუით საქვეყნო ამბოხებაში წილდადებული, არ აღმოვჩნდი მზად იმ დღეებისათვის, რომელიც იმპერიის ვითომ დანგრევის პირველ წლებში გადავიტანეთ. შენ ის კაცი არა ხარ, ჩემი ნათქვამი პატივმოყვარეობის ნერვის ტოკვად რომ მოგეჩვენოს, თორემ არ გეტყოდი. მეგონა, ჩემმა ქვეყანამ თავი დაიხსნა და ერთი კაცი მაინც აღმოჩნდება, რომელიც მეტყვის: მადლობელი ვართ შენიც, პოეტო, ცენზურის თავში ჩაჩქუნს რომ გაუძელი და თავისუფალი სიტყვა გადაარჩინე, მადლობელი ვართ, კრიჭაში რომ ედექი ბოლშევიკურ რეჟიმს, აღსრულდა შენი ოცნება და მოგვილოცავსო.

ამის მაგივრად, ქუჩაში პირაქაფებული, ნახევრადშეშლილი დედაკაცების ქირქილი მესმოდა და ჩემი მისამართით გულმგლეჯი სისინი – „რაო, წითელო პოეტო, ვერა ხარ ხასიათზე?!“

მე თუ ვინმე წითელ პოეტს დამიძახებდა, მთელი ცხოვრება წითელი პოეტების წინააღმდეგ მებრძოლ კაცს, ამას ვიფიქრებდი?

ბრბო ყველგან ყოველთვის ბრბოა და წავუყრუე, მოვერიე ჩემს გულს, მაგრამ ისინიც რომ ამ ჭკუაზე იდგნენ, ვისაც სამთავრობო სკამები მიართვა ახალმა ვითარებამ და, სამწუხაროდ, მათ შორის ზოგი ჩვენი კოლეგაც რომ ერია?

მოვდივარ ერთ დღეს რუსთაველზე, მიტინგია და ერთი თავზღარბა, უნიჭო ჩინოსანი, თავის თავს რომ ინტერვიუებში მწერალს ეძახდა ბღავის: დამთავრდა კორუმპირებუ-

ლი ინტელიგენციის დრო! ძირს ლაურეატები და ნიჭიერები. ახლა ჩვენი დროა. სად არიან ქართველი მწერლები? ჭეშმარიტი ქართველი მწერლები მთაწმინდაზე წვანან.

ხომ შეიძლება, ეს ერთი ნაძირალა ერიოს ახლა მთავრობაში, აბა, ახლა ნახე, რას გიზამენ მაგ ყრანტალისათვის-მეთქი და რაღაც საშინელების მოლოდინში გავინაბე. მეგონა წვდებოდნენ ჩვენი გაზრდილი ეროვნულად მომართული მკითხველები საყელოში იმ არაკაცს და კინწისკვრით გააგდებდნენ მიტინგიდან. შენც არ მომიკვდე, „სწორია, სწორიაო ახარხარდა მიტინგი და მასამ ტაში დასცხო. ე მანდ ვინმემ არ მიცნოს და როგორც „კორუმპირებულ, წითელ პოეტს“ ზურგში ქვა არ მდრუზოს-მეთქი, ქუდი ჩამოვიფხატე და იქაურობას გავშორდი.

მერე დიდხანს ვიჯექი გულჩამკვდარი შუშაბანდში და ხალხის უაზრო რიალ-ზრიალს ვუგდებდი ყურს. ველოდი დამიძახებდნენ, რაღაცას მკითხავენ, ჩემს გამოცდილებას ისულგულებენ-მეთქი ვიფიქრე და გავერიდე საიმდროო ორომტრიალს. სროლა-ფეთქების ხმა რომ მომესმა, გამოვედი ჩემი მღვიმე შუშაბანდიდან. რუსთაველი იწვოდა, თბილისი ზანზარებდა. სკამისთვის ერთიმეორეს საშინელი კბილთა ღრჭიალით შებმოდნენ ქართველები. იწვოდა ბიბლიოთეკები, მუზეუმები, თეატრები, გალერეები, სასტუმროები... მივვარდი ოპერასთან შეჯგუფულთ. რას უყურებთ, ხომ ხედავთ, ორივე მხარეს გონი დაუკარგავს. კაცებმაც, ქალებმაც ავაფრიალოთ თეთრი ალმები, წავიდეთ და ჩავდგეთ შუაში. ენით უთქმელი სამარცხვინო ამბავი გვჭირს-მეთქი: ხმა არავინ გაიღო. არავინ გამომყვა. იდგნენ შეშინებული ძროხებივით და იცოხნებოდნენ. რუსთაველის თეატრს რომ გავცდი, ავტომატიანმა ყაჩაღებმა შემაჩერეს. რისი შერიგება, რა შერიგება, წადი, ბერიკაცო, შენს საქმეს მიხედეო. რომ გავუძალიანდი, მკრეს პანღური და სულ კინწისკვრით

გამომაგდეს. ერთმა ავტომატიც მომიშვირა: „ზვიადისტია, როგორც ჩანს, მივახვრიტოთ, ეს დამპალიო“.

გამოვბრუნდი და ოპერასთან მდგარ, სეირისმაყურებელ ლაშქარს მივმართე: რაც გვჭირს და ხვალ რაც დაგვემართება, ღირსი ვყოფილვართ-მეთქი.

ვის გამოვექომაგო, ვისთვის მოვიკლა თავი. იმათთვის ხომ არა, სოხუმს მტერი რომ დაესხა და შვილები, არაფერი მოუვიდეთო, საზღვარგარეთ რომ გადამალეს? ხოლო ვინც იბრძოდა, ნახევარი იმათგან ნარკოტიკების ნირვანით აქანავებული, მოსახლეობას ძარცვავდა?

იქნებ იმათთვის დავდო თავი, სოხუმიდან გამოქცეულ ქართველობას ბეჭედ-საყურისათვის ზურგში ტყვიას რომ ესროდა?

დამარცხებულ-შერცხვენილნი იმპერიაში რომ შეგვაბრუნეს, მეგონა, გაივსება საქართველო საპროტესტო დემონსტრაციებით, ერი დაჩოქება-დამონებას არ შეეგუება. ისევ რუსის აპეურს არ შეიბამს ყელზე-მეთქი. შენც არ მომიკვდე, კაციშვილს ხმა არ გაუღია. გახედნილი, ერთგული ცხენებივით შეუშვირეს ზურგი რუსის უნაგირს.

ვიცი, ძნელია ჩეჩნობა, შუაზე გაჩეხილი, განგებ დამშეულ-დაცვედნებული ხალხი ყველა სახლს ციხე-სიმაგრედ ვერ გადააქცევს, მაგრამ იმას მაინც რა უდგას წინ, სადმე, მოსახვევში კედელს მიაწერო: „დამპყრობელო, ოცდაათიათასი ბიჭი რომ მომიკალი, იკმარე ჩემი სისხლი და წაეთრიე შინ, თორემ გეტირება ყოფაო“, ან უფრო რბილად: „წასვლადაგვიანებულო სტუმარო, როცა მიჭირდა, გვერდით რომ არ დამიდექი, უარესიც; მტრის ბანაკში რომ გადაბარგდი და თოფი დამიმიზნე, კეთილი ინებე და აიკარი გუდა-ნაბადიო. მტერს ვერ მოვაშენებ ჩემს მიწაზე-თქო“. ამასაც არ ვაკეთებთ. ჩვენს ბედოვლათობას ინტერნაციონალიზმის და ტოლერანტობის სახელით ვნათლავთ და დავით აღმაშენე-

ბლის დანატოვარ, წინაპართა სისხლით გაჯერებულ მიწას ფიანდაზად ვუგებთ გადამთიელს. არა ძმაო, მე ჩემი ლექსები ამ ყრუ, დაჭედილი, მორჩილი ნახირისთვის არ დამიწერია. არც იმ ცრუქაქუნა, კარიერისტი ყმაწვილებისთვის – ეროვნული ნერვი უდროოდ რომ გაუხმათ და დამონებული ქვეყნის გლოვის ნაცვლად საცეკვაო-საროსკიპოებში დილამდე რომ ტლინკაობენ, ან, რაც უარესია, მარიონეტული რეჟიმის მაგიდებს რომ უსხედან ახალგაზრდა მეგობარ-ჩინოვანთა მედალიონებით მკერდდამშვენებულნი.

ჩემი ნაწერი და ჩემი სიტყვა იმ გაბედულ, დაუჩოქებელ საქართველოს ეკუთვნის, რომელიც ხვალ თუ ზეგ მოვა.

თავს ვერ მოვიტყუებ, მე იმ ხალხს ვერ დავუდგები ქომაგ გუშაგად „სნიკერს-მალბოროზე“ რომ ნადირობს და წიგნის მაღაზიაში ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად არ შევა. კარგი, ვთქვათ, მე მოდიდან გასულ, გაბრაზებულ პოეტად ჩამთვალეს და ისტორიის სანეხვეზე მომისროლეს, შენ? შენ ხომ პირში მთქმელი, მარად მოფუსფუსე, მებრძოლი კაცი ხარ, არც შენი ნაწერების ძებნა-კითხვით იკლავენ თავს, ჩვენს შორის რომ დარჩეს.

ჩუმად ნუ ხარო, შენ მეუბნები. ჩუმად ყოფნაც ხომ საქმეა. ჩუმად ყოფნაც ხომ პოზიციაა. იმათ ხომ ამით ვჯობივარ; იმას რომ მიირთმევენ და იფ. იფ რა გემრიელიაო, იძახიან. ამათ სამსახურში რომ არ შევედი, ამათ ამალაში რომ ვერ მხედავ, შენ გგონია, ეს შემთხვევით ხდება? მაცალე ჩემთვის ყოფნა, ფიქრი, შე კაცო. ხომ გაგანდე ჩემი გულისთქმა შენ, მხოლოდ შენ გითხარი, სხვას არ ვეტყოდი, რომ გამწყრალი ვარ დღევანდელ საქართველოზე და არ ვიცი, როდის მომიშუშდება გულის იარა.

ნეტავ, არ გაგენდო.

ნეტავ, საერთოდ არ შემხვედროდი დღეს და შენგან ეს აღსარება არ მომესმინა.

რას მიქვიან, თავის ხალხზე გამწყრალი მესიტყვე.

დაგემშვიდობე და ჩქარი ნაბიჯით მივუყვები მამადავითის ბილიკს.

წვიმა-თოვლი მილოკავს გალიგვებულ სახეს.

სხვამ თავისი საქმის იცის, მე ჩემი გზა მაქვს.

გადავძვრები ღობეზე, ავიპარები სამრეკლოზე და ბებერ, მიძინებულ ზარებს დავარისხებ: სანამ პირში ეს გაძაღლებული სული მიდგას და დაღლილ-დამჭკნარი მკლავი მემორჩილება.

დევნილი

მიიპარებოდა მზე მამადავითის თხემზე. მაღალ შენობებს შორის შიგა და შიგ ჩაჰკრავდა თვალს რუსთაველის პროსპექტს და, თითქოს არ უნდა უფრო მეტად გაანათოს აქაურობაო, მაღლა აწევას არ აპირებდა. მზეც კი, ყველასთვის კეთილმოწყალე მზეც, ჩვეულებრივ არ ედღეხალისებოდა ამ გაუბედურებულ ქვეყანას.

აპრილის ბოლო კვირა იდგა.

შორს, მახათას მთაზე, უშეშო ზამთარსგადარჩენილი, თეთრად აფეთქებული ხეები ჩანდნენ. აპრილს თავისი გაეტანა.

ათი სრულდებოდა. აფხაზეთიდან დევნილი კოკი გერსამია პარლამენტის შენობას რომ მოადგა და „საშვთა ბიუროს“ წინ აზრიალებულ ხალხს შეერია.

კოკი აქ ყოველდღე მოდიოდა. სასტუმროსთან დგომა არ უყვარდა. კარებში შესვლისას ტელეეკრანიდან ნაცნობ სახეებს რომ მოჰკრავდა თვალს. ზოგს ამოჩემებული შეკითხვის ქამანდს ესროდა – თუ დაგვადგება საშველი, პატივცემულო, ჩვენ, აფხაზეთიდან გამოყრილ ხალხსო, ზოგს დალის ხეობის ბრძოლებზე ცოცხალ ამბავს დასტყუებდა. შორიახლოს მდგომი, ჰალსტუხიანი, სამსახურის წარმომადგენლის გასაგონად ერთ-ორ გულისმოსაფხან, არც თუ სიყვარულით აღსავსე სიტყვას აღავლენდა ხელისუფლების მისამართით. ერთი სიტყვით, სასტუმროსთან ჭორების ოკეანეში ფართხალს და კბენია მზისათვის კეფის მიშვერას აქ დგომა ერჩია. ეგონა, მთავარ საქმესთან აქ უფრო ახლოს იყო.

რაც შეეხება საიდუმლო სამსახურის აგენტებს, ელეგანტური ჩაცმულობით და სერიოზული სახეებით სხვათაგან ადვილად რომ გამოარჩევდით, ისინი, წინა ხუთწლედების მათი კოლეგებისაგან განსხვავებით, მთავრობის გმობაზე და პოლიტიკურ ანეკდოტებზე არ რეაგირებდნენ. მათი მთა-

ვარი საქმე, როგორც კოკიმ დაასკვნა, მასივებიდან მოვარდნილი, უწყლობა-უსინათლობით გამწარებული მოქალაქეების და მუშტტუჩმოკუმული, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გაუვნებელყოფა გახლდათ.

გაზონებს გარდიგარდმო გაჭრილ-გატყაპნილი ბილიკები აჩნდა.

ქუჩაზე ლურჯად მბოლავი, ხმამხშობმოშლილი („ხმამხშობი – „გლუშიტელი“, მიგნება ჩემია რ. მ.), აღრიალებული მანქანების გასწვრივ ნაბიჯდამძიმებული მეძავები, ლოყებჩავარდნილი ჩინოვნიკები, გაბრაზებული ჟურნალისტები და მოქალაქეთა კავშირის წევრები მიირწეოდნენ. ეს უკანასკნელნი პარლამენტის შენობის წინ ჩავლისას წელში შესაძლებლობისამებრ სწორდებოდნენ, თითქოს რაღაც გაახსენდათო, კარებში მდგომ თავაზიან, ავტომატიან ბიჭებს მიეახლებოდნენ და ჰკითხავდნენ: ხომ სიწყნარეა, ხომ არაფერში ვართ საჭირო? კარისმცველთაგან დამამშვიდებელ პასუხს რომ მიიღებდნენ, უკანსვლით მოშორდებოდნენ პარმაღს და შთაგონებული სახეებით მიიჩქაროდნენ, მათი ფიქრით, ქვეყნისათვის სასიცოცხლო საქმეებზე.

ფოსტა-ტელეგრაფის წინ, კიბეზე მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები გამოეფინათ და მუშტარს ელოდნენ. კოკი ვერ იტყოდა, რომ ფერწერას მყიდველი ბუზივით ეხვია. რაც აქ იდგა, მხოლოდ ორიოდე ნახატის გაყიდვას შეესწრო, მაგრამ აფხაზეთიდან დევნილს დიდი მოწიწება ჰქონდა ლოდინით გათანგული, წვერმოშვებული ბიჭებისადმი. უხაროდა, რომ ამ მატყუარა, ჭრელ ქალაქში სასწაულებრივად კიდევ შემორჩენილიყო რამდენიმე კაცი დილით ადრე რომ დგებოდა, ჩარჩოზე ტილოს გადაჭიმავდა, ფუნჯს მოიმარჯვებდა და ისეთ ნაკლებსარფიან საქმეს შეუდგებოდა, როგორიც მხატვრობაა.

ხმამაღალი სიცილი მოესმა და ისე უცხო ხილი იყო ამ მჭმუნვარე ადგილას სიცილი, რომ კოკიმ უნებურად მიიხედა. ლომისთავიან მოაჯირთან ირიბთვალება, წითელტუჩა

ლამაზი ქალი გრძელცხვირა, მოხარხარე, მაგრამ ჰალსტუხიან მამაკაცს მწყრალად ასცქეროდა.

– რა გაცინებს? მე არ გეხუმრები.

– რა გინდა ოპოზიციაში. შენ ხომ არ გაგიჟდი. – სიცილი მოგუდა ყვავისცხვირამ.

– გადავალ ოპოზიციაში და დავისვენებ ცოტას.

– კი აბა, დაგასვენებენ.

– ჯერ ერთი, ჩვენსავით ყოველდღე თათბირი მაინც არ ექნებათ. მეორეც, ამდენი სანერვიულო არ მექნება. დენი გამოირთვება და პური არ გამოცხვება, ჩვენ ვართ დამნაშავე. მომკლა ნერვიულობამ, ჩამოვხმი ქალი (კოკიმ თვალი შეავლო. გადაღლილს და, ოდნავ სევდიანს იქნება ჰო, მაგრამ ჩამომხმარს ნამდვილად არ ჰგავდა). რომ დავუკვირდი, ოპოზიციონერობაზე ადვილი არაფერია. „არ მომწონს“ მორჩა და გათავდა. ოპოზიცია პასუხს არაფერზე აგებს. გადავალ და დავისვენებ ცოტას.

– ნუ სულელობ, ხომ იცი, მერე უკან ველარ გადმოხვალ.

– ვიქნები. რა, უმცირესობაში ხალხი არ არის?

– არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. თუ მეტი არ შეგეძლო, რად გინდოდა დეპუტატობა, ვერ დაეტიე სახლში?

– მინდოდა? შენ ამტეხე და ახლა ნიშანს მიგებ? არ გეხვეწებოდი, დამანებე თავი, რა ქალის საქმეა პარლამენტიმეთქი?!

– ნუ ყვირი. ხომ ხედავ იმ კაცს, ლოკატორივითა აქვს ყური მოშვერილი!

კოკიმ, ალბათ ჩემზე უთხრაო, და იქაურობას გაეცალა.

ფოსტის წინ ხალხი შეჩოჩქოლდა; კოკიც, რასაკვირველია, იქეთ წავიდა. შუახანსგადაცილებული, თაგვისფერშლაპიანი, თეთრულვაშა მამაკაცი ფეხსაცმლის საწმენდ დაზგას მართავდა. ზურგჩანთიდან ბოლოს დასაკეცი სკამი და მუყაოს ქაღალდზე გოგებაშვილის ასოებით გამოყვანილი წარწერა ამოიღო: „კუპონს არ ვიღებ“. ცნობისმოყვარენი მდუმარედ შესცქეროდნენ ფეხსაცმლის მწმენდავის ყოველ მოძრაობას.

მალე რადიოჟურნალისტი, მოკლეკაბიანი, ცისფერთვალა, შავბერეტიანი გოგონა გამოჩნდა.

– ბატონო ბაგრატ.

– ბატონო.

– თვალი ხომ არ მატყუებს?

– არა, ბატონო, არა.

– ხომ ბატონი ბაგრატი ბრძანდებით?

– კი, ბატონო, კი.

– რას მივაწეროთ თქვენი, ცნობილი ფილოლოგის, პროფესორ ბაგრატ ქვემოკლიძის ახალ ამპლუაში გამოჩენა?

– შიმშილს, ჩემო კარგო, შიმშილს.

– ფეხსაცმლის წმენდა სარფიანი საქმეა?

– ყოველშემთხვევაში, ალბათ, კათედრის გამგეობაზე უფრო სარფიანი.

– იცით, ფეხსაცმლის წმენდვა?

– რა ცოდნა უნდა.

– ბატონო ბაგრატ. გაქვთ სათანადო პატენტი?

– რა პატენტი?

– თუ, რა ჰქვია იმას... ერთი სიტყვით საბუთი, რომ მოქალაქეებს მოემსახუროთ.

– არა.

– თუ არ გეწყინებათ, სხვა კუთხით დაგისვამთ შეკითხვას; რაღა ამ ადგილზე, პარლამენტის წინ გადაწყვიტეთ მუშაობა.

– აქ, შედარებით ბევრი ხალხი ირევა.

– მხოლოდ ეგ არის მიზეზი? ხომ არ იგულისხმებოდა თქვენს ამ ნაბიჯში ცოტა ავანტურის ნამცეცი?

– კერძოდ?

– რომ უსათუოდ მოვიდოდა ჟურნალისტი და ქვეყანა გაიგებდა, რომ ბატონი ბაგრატი პროფესორ-ფილოლოგობიდან ფეხსაცმლის მწმენდავობაზე გადაკვალიფიცირდა.

პროფესორს ხმა აუთრთოლდა და ხელი აუკანკალდა.

– რას გეტყვი, შვილო, იცი?.. ყველაფერში პროტესტის ფორმას ნუ ეძებთ. მე დავიღალე... ჩხუბის ხასიათზე რომ

ვიყო, ქვას ავიღებდი და ვრეკავდი იმ ფართო ფანჯრებს. მე აღარაფრის თავი აღარა მაქვს. მე უკვე საბოლოოდ დამაჩოქეს. მშია ბატონო, მშია. ხომ შეიძლება რომ მშიოდეს. რაო, შიმშილის უფლებაც აღარა მაქვს?!

ეს ბოლო სიტყვები ბაგრატმა ისე ხმამაღლა და აგზნებულად წარმოსთქვა, რომ რადიოჟურნალისტი დაფრთხა, მიკროფონი თავზეხელისდაჭერით თავის ბუდეში შეაცურა, მაგნიტოფონი გამორთო და ისე გაეცალა მეფეხსაცმელეს, მადლობაც არ უთქვამს.

სამხრობისკენ მთხოვნელთა რიგი შეთხელდა. ვინც შესაშვები იყო, შეუშვეს, ვისაც შესვლა არ ეკუთვნოდა, რასაკვირველია, უარით გამოისტუმრეს. ნაუარევნი ერთხანს ბოლთას სცემდნენ საპარადო შესასვლელთან, მერე, იმედი რომ საბოლოოდ გადაეწურათ, წავიდ-წამოვიდნენ და თავიანთ რთულ საქმეებს დაუბრუნდნენ.

– რავაა კოკი საქმე?

სოხუმელ ექიმს ვაჟა ჯანაშიას აფსუებმა სიდედრი დაუხვრიტეს. ჯერ თვითონ არ იცის ეს ამბავი. სხვათაშორის, სიდედრი აფსუა ჰყავდა ვაჟას. მე ხელს არ მახლებენ, სახლკარს მაინც მივხედავო, უფიქრია საწყალს და დარჩენილა. არძინბას რაინდები სოხუმში რომ შემოვიდნენ, ქართველის სიდედრი რატომ ხარო, უკითხავთ. კითხვით კი უკითხავთ, მაგრამ პასუხი არ დაუცლიათ (ან რა უნდა ეპასუხნა) მოხუცი ქალისთვის, ეზოში გამოუყვანიათ და ცარიელ საქათმესთან დაუხვრეტიათ.

– ღმერთის მეტმა არავინ იცის – მიუგო კოკიმ და მხარიღლივ გაიხედა, იყავი გუშინ?

– კი.

– რაო?

– არაფერი. რას იტყოდნენ. იმაზე ჰქონდათ კამათი, ჩვენ ლტოლვილი დაგვარქვან, თუ დევნილი.

– მე მგონია, ვინც ადრე გაიგო ეს ამბავი და ნელა წამოვიდა – ლტოლვილია, ვინც გამორბოდა და მოსდევდნენ – დევნილი.

ვაჟას გაეცინა.

– შენ წარმოიდგინე, ჰქონია მაგასაც მნიშვნელობა, ჩვენი დაბრუნებისათვის.

– მნიშვნელობა კი არა, ეგაა მთავარი, – მიაყარა კოკიმ – ეგ თუ დადგინდა, გვეშველება მაშინვე. არ უნდა ლაპარაკი. კიდევ რა თქვეს?

– რასაც ყოველდღე ამბობენ. ფული შეაგროვეთო.

– საიდან მოიტანეთ ფულიო, არ უთქვამთ? ჯერ რაც შეგროვდა, სად წაიღეს. რაში დახარჯეს.

– გვეტყვიან, ალბათ.

– კი. კაპიკ-კაპიკ გიანგარიშებენ.

კიბეზე ასკინკილით ამორბოდა ახალდამტკიცებული, სათვალიანი თავგადახოტრილი მინისტრი. მინისტრს კენგურუს ნახტომებით მოსდევდა გალიფეშარვლიანი იმერულქუდა, ულვაშცოცხა ყოჩაღი მოხუცი.

– გესმის შენე? ჩაართვევიე დღესვე დენი, არ მომატყუო იმდღევანდელივით. ჩაართვევიე დენი და გამოაშვებიე გაზი!

– მინაგო ბიძია, – იღიმებოდა და სათვალის შიგნით ოფლიან ქუთუთოებს იმშრალებდა მინისტრი, – ლტოლვილი იმას ჰქვია, რომ უნდა გაუძლოს, უნდა მეითმინოს პატარა.

– მიდი, მიდი, ნამეტანი ბევრი ვითმინეთ ჩვენ. მთელი ზამთარი ბადიში არ ჩამიბანია და ცხელი ჩაი არ დამილევია. დავბეჩავდი კაცი.

– მინაგო ბიძია. ე თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ გინდათ, მეტს ვერ უნდა გაუძლოთ?! – იხტიბარს არ იტეხდა მინისტრი.

– შედი, კაცო შედი. არაფერი დამოუკიდებლობის მომტანი თქვენ არ ხართ. დენი ჩაართვევიე და გაზი გამოაშვებიე. ნუ ატყუებთ ხალხს, თვარა თავის გატეხვა არ აგცდებათ. ასე მითქვამს მე და ა, აღდგომა და ხვალეო.

– ვალი გვაქვს, ბატონო, ვალი.

– ვისი?

– რუსეთის და აღარ გვაძლევს დენს. ე დამოუკიდებლობა რო გინდათ, ვერ უნდა მოითმინოთ?

– რისი ვალი, იმანო, მე შენ სულელი ხომ არ გგონივარ! ვინ გვიანგარიშა. ვინ დაგვადო ვალი, რავა ყველაფერზე უწერთ ხელს, თქვე უბედურებო. წაღმართიანი მოანგარიშე იქეთ დაადებდა ვალს. რავა ე ჩვენი ღვინო-ჩაი-მარგანეცი არაფერი არ ღირდა? შედი და გამოაშვებიე რაც გითხარი. ნამეტანს ნუ იზამთ, მამაჩემსა აქვს ცხონება.

– რა ვქნა მე... მე პატარა კაცი ვარ... მე გადავკეტე? ე დამოუკიდებლობა და თავისუფლება რო გინდათ... – ბუზღუნებდა მინისტრი და კართან ჭადრაკის ფიგურებივით გაწყობილ მთხოვნელებში გზას მიიკვლევდა.

ვაჟა ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად წავიდა. დახმარება ბევრი არაფერი იყო, მაგრამ იმედის ნაპერწკალს აღვივებდა ლტოლვილთა გულში. ჰუმანიტარული დახმარება იმას ნიშნავდა, რომ დედამიწაზე ვიღაცას ჯერ კიდევ ახსოვდა თავის ბუდიდან უდანაშაულოდ აყრილნი.

შაოსანმა ქალმა მისი გამოჩენისთანავე გაჩენილი ცოცხალი დერეფანი გამოიარა და საშვთა ბიუროს მიადგა.

კოკი შორიახლო გაჩერდა. აინტერესებდა, რა საქმეზე იყო მოსული მგლოვიარე დიაცი.

კარგა ხანს, ხან ერთ სარკმელს შესჩურჩულებდა შაოსანი და ხან მეორეს. ბოლოს მის უბედურებაში სრულიად უდანაშაულო მცველებს მიადგა და დაიქუხა მოთმინებადაკარგული, ილაჯგაწყვეტილი მდედრის ქუხილით.

– რას ჰქვია მოვითმინო?! შვილი დავკარგე, ქათამი კი არ დამიკარგავს! ექვსი თვე სრულდება ზეგ! არ უნდა მომცენ რამე პასუხი?! სად წაიყვანეს, რატომ წაიყვანეს, რა დაემართა, არ უნდა მითხრან? იმ ომის დროს ცნობას მაინც უგზავნიდნენ, თურმე, დედებს – დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგაო! სიმწრით გაზრდილი შვილი ჩაგაბარეთ და იმის ღირსიც არ ვარ, ამბავი მაინც გამაგებინოთ?!

დევნილს მეტის გაძლება აღარ შეეძლო.

ჩქარი ნაბიჯით მოშორდა იმ ადგილს და სასტუმროსკენ წამოვიდა.

ყურში ზარივით რეკავდა უბედური დედის ხმა.

– რომელი? – ჰკითხა ლიფტში დამგზავრებულმა უწვერო ბიჭმა.

– ბოლო!

ანგარიშმიუცემლად მიუგო.

კიბის მოაჯირზე გადახოხდა და სახურავზე აღმოჩნდა.

იდგა და ჭიანჭველებივით მორიალე ქალაქს დაჰყურებდა.

შუბლი უხურდა. ორი ნაბიჯიღა რჩებოდა, რომ ყველაფერი დამთავრებულიყო. ბოლო მოღებოდა იმას, რასაც გამწარებული სიცხადე ერქვა და გაურკვევლობის ბურუსს შერთვოდა.

ორი ნაბიჯიც გადადგა. გულმა ბრაგაბრუგი ასტეხა.

თითქოსდა სხეულის ყველა ნაწილმა ახლა შეახსენა თავი. ყველაფერი დაიძაგრა და ფეთქვა-შუილი დაიწყო.

თვალი დახუჭა.

„არა... ასე არ ხდება... ჯერ კიდევ არ ვიცი ბოლო ჩემი უთავბოლო ორომტრიალის... დღეიდან ხომ მაინც მეცოდინება, რომ სიკვდილი ძალიან ადვილი ყოფილა. სიკვდილი ხომ უკვე უბეში მყავს – დამარცხებული და მოთვინიერებული. აქ ამოსვლას ყოველთვის მოვასწრებ...“

* * *

ესიზმრა კოკის.

შორს, სადღაც, მტრის ხელში ჩარჩენილ აფხაზეთში მისი დამწვარი ოდის ბუხარზე მამალი ჰყიოდა.

დიდი, ოქროსფერი, მეწამულდეზებიანი მამალი იყო.

მორიგეობით, ოთხივ-კუთხისკენ შეტრიალებით, ყელის გაგლეჯამდე ჰყიოდა მამალი. თითქოსდა მთელ დედამიწას ამ შებილწულ კერასთან და გამჭვარტლულ ბუხართან უხმობდა.

„სხვა რაღა დარჩა?“

რაღა როგორა ვარ. წარმოიდგინე მდგომარეობა ქალისა, რომელსაც თავის მოკვლამდე დათვლილი დღეები დარჩა.

ჩვენს ამბავს, ალბათ, გაიგებდი – თეატრიდან დაგვითხოვეს.

უბრალოდ, უცერემონიოდ, რომ იტყვიან, შემცირებაში მოგვაყოლეს.

ახლაო, საბაზრო ეკონომიკის დროაო და აღარ გვჭირდებითო. საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ჩვენთვის, ოცდათხუთმეტი მსახიობისათვის ყოფილა. თეატრიდან ჩვენი დათხოვნის ფორმა გაინტერესებს? არა, ეგ პენსიაზე გაშვება არ არის. ეგ გაცილებით უარესია.

მოვედით თეატრში და კედელზე გაკრული დაგვხვდა სია: ამა და ამ მსახიობებს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდებათო.

ესე იგი, მარჯანიშვილის თეატრს აღარ ჭირდებითო, თავისუფლები ხართო. ოცდათხუთმეტი ავი თუ კარგი მსახიობი ქუჩაში გამოგვყარეს.

აქაოდა, ხელფასის ფონდი შეზღუდული გვაქვსო, აქაოდა, თეატრი ვერ არჩენს ამდენ მსახიობს და სხვა გზას ეწიეთო.

რა საქმეს მოვკიდო მე, სამოცდაათს მიღწეულმა ქალმა, ხელი, რომელსაც მთელი სიცოცხლე ამ კედლებში გამიტარებია?

მე არტისტი ვარ და სისასტიკე არ უნდა მიკვირდეს.

მთელი ჩემი სიცოცხლე სისასტიკესთან შეხვედრა იყო. სცენას რომ თავი დავანებო (მოგეხსენება, ჭეშმარიტი დრამატურგია სისასტიკის წინააღმდეგაა მიმართული), განა ჩემი და ჩემი მომდევნო თაობების ბედი სისასტიკის ნიშნით არ ჩატარდა?

რა ჩემი ჩამოთვლა გინდა, მწერალი ხარ და შენ უკეთ არ იცი? ოცდაჩვიდმეტი, სამამულო ომი, ორმოცდათერთმეტი, ორმოცდათექვსმეტი, ორმოცდაცხრამეტი, სამოცდათვრამეტი, ოთხმოცდაცხრა, ოთხმოცდათერთმეტის დეკემბერი, ოთხმოცდათორმეტ-ოთხმოცდაცამეტი წლების საშინელი ომი რუსეთთან... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

მაგრამ სულ სხვაა თურმე, სისასტიკეს პირისპირ რომ შეეჯახები. იქ რომ შემოგასუნთქავს სახეში, სადაც არ ელი. მეგობრის ღალატი გამოგიცდია?

თანაც ისეთი მეგობრისა, შენი ბედი თვითონვე რომ ანდე. ხმა მიეცი და ჩემი ამქრის კაცია, თუ ვინმე გვიშველის, ეს გვიშველისო, ფიქრობდი?

რა კარგად გვიშველა? წადითო, აქ თქვენი ადგილი აღარ არისო, ხელი აგვიქნია, თითქოს ერდოზე შემომსხდარი ჩიტები ვიყავით.

იმ საშინელ დილას, ის შავი სია რომ ჩავიკითხე, რაღაც სამუდამოდ ჩაკვდა ჩემში. იმ რაღაცას რწმენა ჰქვია. ჯერ გამოკვეთილად მეგობრისადმი რწმენის დაკარგვაზე მოგახსენებ, მაგრამ ვგრძნობ, იმ დაღუპული რწმენის მასშტაბები ჩემს არსებაში თანდათან ფართოვდება და სხვა განზომილებასაც იძენს.

სახეზე მწარეღიმილშეყინულნი დავბორიალებდით თეატრის ფოიეში. „შეენც? შეენც?!“ – ვეკითხებოდით ერთმანეთს – „ვინღა დარჩა?“

პასუხი? არავითარი წუხილის კვალი სახეზე, არავითარი თანაგრძნობა. ჩვენი კოლეგა კი არა, თითქოსდა სასტუმროს მკაცრი მენეჯერი გელაპარაკებოდა.

ჩვენაო, ექვს ობიექტურ პიროვნებას ვთხოვეთო ფარული კენჭისყრით გადაეწყვიტათ, ვინ სჭირდება თეატრს და ვინ არაო. მე პირადად, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელმა, ყველას ხმა მოგეცითო. ხომ იცით, როგორ მიყვარხართო. კენჭისყრის შედეგები ასეთია. ამ შედეგებს აწი მე კი არა, შევარდნაძეც ვერ დაარღვევსო.

ჩვენ შევარდნაძესთან მისასვლელი გზაც კარგად ვიცით, მაგრამ ჩივილს არ ვაპირებთ. როგორ მივიდეთ და როგორ ვუთხრათ იმ კაცს; ჩვენმა ამხანაგებმა გვირქინეს, თეატრიდან ნახირივით გამოგვდენეს და გვიშველეო. დამცირების მეტი რა მახსოვს, მაგრამ ასე დამცირებულად თავი არასოდეს მიგრძვნია.

ვინ იყვნენ ის რჩეულნი, ვინც ჩვენი ბედი ასე ჰაიჰარად გადაწყვიტა, ვინც ასე შეგველია და გაგვიმეტა... იმ ავადსახსენებელი სამეულების პრინციპით ხომ არ შეადგინეთ ის ექვსეულიც. ვინ არიან, თვალებში შემოგვხედონ, დაგვისახელეთ გვარები-მეთქი.

ვერაო, საიდუმლოაო. იმათაო, თქვენი ეშინიათო. კაცნი ვართ, ე მანდ იქნება, სცემოთ კიდეცაო.

ტაქტი და ჰუმანიზმი ნახე. ჩვენ თეატრიდან გვერეკება და არ ვეცოდებით, იმათ გვარებს კი არ გვიმხელს, ვინც ჩვენს გაგდებაში მიეხმარა.

ექვსეულის წევრებს ნერვები რომ არ ავუშალოთ.

შეიძლება, ერთ მსახიობს გადააწყვეტინო (და ისიც ფარული კენჭისყრით), მეორე მსახიობი იყოს თუ არა თეატრში? განა ეს სადიზმი არ არის?

თეატრი ხელოვნების მექაა. ჩვენ აქ ათეული წლების განმავლობაში ერთმანეთთან ჩვენეული დამოკიდებულებები ჩამოგვიყალიბდა. ზოგს ჩემი თამაშის მანერა არ მოსწონს, ზოგს ხმის ტემბრი, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ სხვა მანერა და სხვა შემოქმედებითი პრინციპები აქვთ.

დაუმატეთ ამას ფარული სამსახიობო კონკურენცია, რომელიც რა დელიკატურობის ნიღბითაც არ უნდა დავმალოთ, მაინც არსებობს თეატრში და მივიღებთ ურთულეს ორგანიზმს, ამ ჩვენს დაძაბულ დროში საოცრად ფაქიზი მოპყრობითაც რომ ძნელი მოსავლელია.

ან თვითონ რა სინდისით დათანხმდა ექვსეული, ფარული კენჭისყრით გადაეწყვიტა მე, მისი ამხანაგი, დავრჩენილიყავი თუ არა თეატრში?

ხელი არ აუკანკალდა მარტოხელა მოხუცი ქალის ქუჩაში გაგდებას რომ მისცა ხმა?

თეატრს სახელმწიფო ვერ არჩენსო, ამაზე სასაცილო ფრაზა გაგიგონიათ? თეატრი მარტო სახელოვნო წისქვილი როდია, თეატრი ეროვნული ფიქრის სამჭედლოა. განა ამ ასზე მეტი წლის წინათ თეატრის სცენაზე აფრიალებული დროშა არ უძღოდა წინ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას? თეატრი უბრალო კაცს ინტელიგენტად, მოაზროვნედ აქცევს, სიკეთესა და სათნოებას უნერგავს გულში, სწორად ლაპარაკს ასწავლის, მონას გამოდევნის მისი არსებიდან. ხელისუფლება რომ თეატრზე უარს იტყვის, ის ხელისუფლება დაღუპულია, ან თავისი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობს.

რა სჭირს თეატრს სახელმწიფოს სარჩენი? პირიქით, თეატრმა უნდა არჩინოს და გაამაგროს სახელმწიფო.

რა მწარედ მოგვატყუეს. არიქა, ხელოვნების გადამრჩენი კომიტეტი შევქმენით, საქართველომ უნდა გადაარჩინოს ხელოვნება და ხელოვნებამ უნდა გადაარჩინოს საქართველოო. ლოზუნგების წამოსროლა დიდებული იციან.

სინამდვილეში თითი-თითზე არ დაუკარებიათ ხელოვნების საშველად. თეატრის დახმარება ჩინოსნებს პრემიერის მერე კულისებში ამორბენა და ოფლში გახვითქული მსახიობების ხელის ჩამორთმევა ჰგონიათ.

მეორე ლოზუნგი ნახეთ: ან თეატრს უნდა შეველიოთ, ან ამ მსახიობებსო.

რა ბრძნული ნათქვამია? განა ჩვენ თეატრი არა ვართ? განა ათეული წლების განმავლობაში ჩვენი მხრებით არ ვატარეთ თეატრი? როდის შემდეგ ვიქეცით სვავ-ყორნებად თეატრის გადარჩენის გზაზე?

როგორ არ მინდა დავიჯერო საშინელი ეჭვი, რომელიც ამ ბოლო დროს ტვინს მიღრღნის, და სულს მიფორიაქებს; რაკი თეატრის ხელმძღვანელის სავარძელში თავი დაიგულა, ერთბაშად გადაწყვიტა მათგან გათავისუფლება, ვინც წლების

განმავლობაში არ მოსდიოდა თვალში, კაცნი ვართ, ვინ იცის, სად, როდის, რა ვაწყენინეთ. ან იქნებ, სულაც ჩვენი პოზიციის გამო მოგვისროლა? ყველანი ერთნაირად ვერ ვუკრავდით ტაშს მის მწიფე პოლიტიკურ შეხედულებებს, საქართველოს იმპერიაში შებრუნებით გამოწვეულ მისეულ აღტაცებას, მგონი ყველანი არ ვიზიარებდით.

ასე რომ არ იყოს, რა რჩენაზეა ლაპარაკი?

ხუთი წელი უხელფასოდ (ჯერ პრეზიდენტის ხელფასი რა არის ამ ძალადდამშეულ საქართველოში და საცოდავი მსახიობის რა უნდა იყოს), შიმშილსა და სიცივეში გავატარეთ და ახლა გაახსენდათ ჩვენი რჩენა?

რაო, ჩვენ, ვისაც ახლა უბოდიშოდ კარებისაკენ მიგვითითეს, თავის სარჩენად, ფულის საშოვნელად ვიყავით შეფარებული თეატრს?

ისე გამდიდრდა და ისე აშენდა იმის დამაწყევარი, ვინც ამ კრეტინობას დაიჯერებს.

მე ჩემი ტაძარი მქონდა. ქვეყნის აყალმაყალით ნერვებდაგლეჯილი ამ ტაძარს შევეფარებოდი და სულს მოვითქვამდი.

მე თეატრი ვიყავი, მსახიობი მერქვა – ამ დიდი ტაძრის ერთი ქურუმთაგანი.

ამ სცენაზე ვკანკალებდი და ვტიროდი, ლამის ორმოცდაათი წლის განმავლობაში. იქნებ ვარსკვლავებს არ ვწყვეტდი ხელოვნების ცაზე, მაგრამ ჩემი თეატრიდან გაგდება ფიქრშიც არ გაუვლიათ ვერიკო ანჯაფარიძესა და ვასო გოძიაშვილს, გიორგი შავგულიძეს და შალვა ღამბაშიძეს... ჩვენ კოლეგები გვერქვა. თეატრში ყველას თავისი ადგილი აქვს, ზოგს დიდი, ზოგს პატარა.

ამ საგრიმიოროში მიმიღია ლოდინით დაღლილს ათასი თაიგული და ხელზე კოცნა.

ახლა სად წავიდე? როგორ შევურიგდე იმ აზრს, რომ ხვალ ამ საგრიმიოროს კარებზე ჩემს გვარს ჩამოხსნიან?

ხელმძღვანელის ცინიზმი ნახე: დოდო ჭიჭინაძე სადაც

არ უნდა იყოს, მაინც დოდო ჭიჭინაძე იქნებაო... თქვენ როგორ ფიქრობთ, მე თენგიზ არჩვაძეს ჩემს ძმას, შიმშილით მოვკლავ, ჩემს ლუკმა-პურს არ გავუყოფო?

რა სიკეთეა, რა ჰუმანიზმია! ჩვენი ქუჩაში გაგდებით „თეატრი გადაარჩინა“ და ახლა იმაზე ფიქრობს, მისგან ხელნაკრავი ე მანდ ქუჩაში არსად წავიქცეთ შიმშილისაგან გულწასულნი.

ამაოდ შიშობს; თენგიზ არჩვაძეს და მის მსგავს სულით სპეტაკ ადამიანებს, მოწყალება არ სჭირდებათ. სხვამ იკითხოს, უმეგობროდ ვინც გაატარა წუთისოფელი, თორემ თენგიზ არჩვაძეს საქართველოში ჭიქის მიმწოდებელი არ დაელევა.

დაბეჯითებით ვიმეორებ და უნდა დამიჯერო, რაც ჩვენ გვიყვეს, ადამიანური ურთიერთობის (დელიკატურობაზე არაფერს ვამბობ) ყველაზე ვიწრო ჩარჩოებშიც არ ეტევა. ეს პენსიაზე გაშვება როდი გახლდათ, ეს რაღაც ამაზრზენი იყო, ქურდულად გარეთ გატყუებას და უტიფრად კარის ჩაკეტვას ჰგავდა.

ან მსახიობის პენსიაზე გაშვება როგორ შეიძლება. ჰკადრებდა ვინმე სერგო ზაქარიაძეს: მოხუცდი და დროა, პენსიაზე გაგაცილოთო?

მსახიობი სცენაზე უნდა მოკვდეს. ვინ გაიგონა დამცხრალი, პენსიაზე გაშვებული, ხელკრიალოსანი მსახიობი.

ვის ჰქონდა უფლება, ასე გავეწირეთ?

ნუ მოგვცემდნენ ხელფასს. ნუთუ ჯერ კიდევ ვერ დავარწმუნეთ ხელისუფალნი, რომ ქართველი ერის სამსახური ქართველი კაცისთვის წმინდათა წმინდა საქმეა და არად უჩანს ამ სამსახურში აღებული ფული?

ცოტა გვყავს დღესაც ამ მგლურ დროში, ექიმი უგასამრჯელოდ რომ არჩენს ავადმყოფს, ლექტორი უხელფასოდ რომ კითხულობს ლექციას?

სცენაზე ჩვენი დგომა სანგარში ყოფნას ნიშნავს ჩვენთვის და, განა სამშობლოსათვის მებრძოლი კაცი ვერცხლის

უზალთუნებისთვის იცავს თავის სამშობლოს? ოღონდ ხელი არ ეკრათ, ოღონდ თეატრიდან არ გავეშვით...

გაშვებული არ ვიყავით? ხუთი წელია ქართველი რეჟისორები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ და თეატრები ბედის ანაბარა დააგდეს.

ხუთი წელია როლი არ მოუციათ, რეპეტიცია სცენაზე გასვლა მოგვანატრეს და ახლა ჩვენვე გვადანაშაულებენ. წლების განმავლობაში სცენაზე არ ჩანხართო. თურმე ესეც ჩვენი ბრალი ყოფილა. დაგვიძახა, დაგვასაქმა ვინმემ და ჩვენ უარი ვუთხარით?

ამ დღეში ვართ, ძვირფასო რეზო.

ხომ ძნელი წარმოსადგენია შენთვის პოეტობიდან გათავისუფლებული, შემცირებაში მოყოლილი, ან პენსიაზე გაშვებული გალაკტიონ ტაბიძე?

მე თავს მოვიკლავ და ანდერძს დავტოვებ – თეატრიდან არ გამასვენონ.

უარს ვამბობ ჩემი დასაფლავების სპექტაკლში მონაწილეობაზე.

არ მივცემ თავის გამოჩენის საშუალებას იმათ, ვინც ქუჩაში დაგვაგდო.

ვიცი, ეს იქნება საშინელი სიყალბე. ყელს მოიღერებენ და ჩემს კუბოსთან მოგონება-ანდაზებით შეზავებულ, გულისამაჩუყებელ გამოსათხოვარ სიტყვებს იტყვიან.

კმარა. არ მინდა!

უიმედოდ ჩავდივარ საფლავში და ყველაზე ძნელი ესაა ჩემთვის.

უიმედოდ რატომ? დარწმუნებული არა ვარ, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს.

„სხვა რაღა დარჩა, საუკუნო სიმშვიდე მხოლოდ“.

გაიღვიძე!

გულზე გამსკდარი, პირგამშრალი დავბრუნდი შინ.

გვიანი შეღამებული იყო.

ერთი სული მქონდა, ბალიშამდე მიმეტანა თავი და გადარეული ქუჩის ხმაურს გავრიდებოდი, სანეტარო სიჩუმეში ჩავძირულიყავი.

სიჩუმის ფასი არის რამე?

ყურთასმენა გიბრუნდება, შენს თავთან მოდიხარ კაცი.

შევაღე კარი და პირკატა მეცა. „ვაის“ გაყრილი „ვუის“ შევეყარე. აგიტპუნქტის ზეიმუტიფრული კაკაფონია მომაწყდა სახეყურზე და ერთბაშად ვიგრძენი, როგორ შემიდედდა ძარღვებში დაღლილაჭრილი სისხლი.

რადიო ამდილანდელი პარადის რეპორტაჟს იმეორებს: „მოდიან ჩვენი სახელოვანი მებრძოლები, ამაყად მოაბიჯებენ სამხედრო მომზადების წარჩინებულნი; მიჩმანები და ზემდეგები, სერჟანტები და ოფიცრები... მფრინავები და მატროსები. ტანკისტები და პარაშუტისტები...“

მარშსგარეული ყალბი პათეტიკა, კომუნისტური ოხოხოია იღვრება ოთახში. ტელევიზია სტუდენტური გაზაფხულის დღიურს გადმოსცემს.

ცეკვა-თამაში... ცეკვა თამაში... ცეკვა თამაში...

ღმერთმა ჯანი მისცეთ, გავამაღალი გოგონები ჯინსმგლეჯ ფეხებს კეფაზე ირტყამენ, ჟილეტიანი ნაზი ბიჭები სცენაზე თრიაქმიღებულივით ირწევიან, ჩემთვის სრულიად გაუგებარი ხუმრობით ხუმრობენ და შიგადაშიგ ღრმადდამაეჭვებელ ხმებს გამოსცემენ.

კი არ გამოვრთე, ერთბაშად გამოვგლიჯე ჩამრთველს რადიოცა და ტელევიზორიც. ოთახი დადგა. სკამები აღარ ხტოდნენ, თეფშებმა რაწკარუწკი შეწყვიტეს.

ღმერთო, მაპატიე, ალბათ მართალი არა ვარ, გულს რომ მირევს ეს აჩემებულ-გაუთავებელი ზეიმსერობანი.

განა არ ვიცი, ახალგაზრდობა იმისია, რომ უნდა იცეკვოს და იმხიარულოს.

რა სჯობია, ცხრამეტი წლის გავათიმთიმა, მონარნარე გოგოს ყურებას, მაგრამ რა მოხდა ისეთი, ჩემო მშვენიერო ხბორებო, ასე ერთბაშად რომ აკუნტრუშებულხართ?

რაო, აღსრულდა, მივაღწიეთ იმ მიზანს, რისთვისაც თქვენი ტოლები ამ ხუთი წლის წინათ, მთავრობის სასახლის წინ, ნოემბრის ცივ ღამეში შიმშილით გათანგულნი კიბეებზე ისხდნენ და შავლეგოს სისხლში გახამებულ დროშას აფრიალებდნენ?

რაო, დავიბრუნეთ ის მიწები, რის დასაცავადაც რუსის კომპიუტერულ ტანკებს უწვებოდნენ მოტყუებით იარაღაყრილი, შუბლწაკრული, ანგელოზივით ბიჭები?

იქნებ აღარ იმზირებიან დამწვარი სასტუმროს გამჭვარტლული აივნებიდან დატანჯული ლტოლვილები და აღარ სხედან „მეტროს“ ჩასასვლელებთან შიმშილით კუჭამწვარი ბავშვები?

საით გაგიტყუეს, რას ჩადიხართ, რა გეზეიმებათ, რა გახტუნავებთ, რა მოგივიდათ?

ერთი წუთით შეაჩერეთ როკვაძიგძიგი და დაფიქრდით, სიკვდილის აგონიას ხომ არ გათამაშებენ?

ასე დაგლეჯილ-დაფლეთილი, დამღიერებულ-დაცვედნებული, ყოველგნით მტერმორეული საქართველოთი შევიდეთ ოცდამეერთე საუკუნეში?

იქნებ ვცდები, იქნებ ამ ცეკვასა და ცეკვას შორის, შესვენების დროს, რაიმე დიდ საქვეყნო საქმეს შეჭიდებიხართ და მე ვერ ვხვდები?

იქნებ საქართველოს საზღვრებთან სახლდებით წასვლადაგვიანებულმა სტუმარმა რომ არ დაიკავოს?

იქნებ ბაზალეთს გუშაგობთ, მტერმა საუნივერსიტეტო კარავი რომ არ დასცეს? იქნებ ზაფხულობით იავარქმნილი

ისტორიული ძეგლების რესტავრაციაზე მუშაობთ, ან დადუმებულ ფაბრიკა-ქარხნებს სულს უბერავთ, რათა ქურა გაღვივდეს და მილიდან ნაჯაფი კვამლი კვლავ შეერთოს მშობლიურ ზეცას?

იქნებ პოეტ-მამათა ლექსებს იზეპირებთ ხვალ-ზეგ თავისუფლების ბარიკადებზე სათქმელად?

ასე არ ივარგებს, ასე არ აჯობებს, ასე არ გამოვა... დაფიქრდით... გემუდარებით...

ამას გეუბნებით მე, სამოცი წლის ბერიკაცი – სოსო ბუხაიძე.

სხვისი ცხოვრება სხვისი არხსავალი არ იქნება, კარგად ვიცი მე. ყველამ თავისი გზა უნდა გაიაროს, მაგრამ ჩემი ცხოვრების მაგალითი ერთ გაკვეთილად თუ არ გამოგადგებათ, ფიქრში გასატარებლად, წამის შესავსებად მაინც ივარგებს და გიამბობთ, სანამ ორკესტრი კვლავ გიხმობდეთ მაგ საცეკვაო (კინაღამ „საბედისწერო“ წამომცდა) მოედანზე. მეცხრე კლასში რომ გადავედი, მამაჩემმა გამომიცხადა; უკვე დიდი ხარ, შენხელა რომ ვიყავი, გუთანს ვეკიდე და ერთ ქცევა მიწას ვხნავდი ყოველდღე. მიჭირს შენი რჩენა. შენს თავს აწი შენ თვითონ მიხედეო.

რა ვქნა, დავანებო სწავლას თავი-მეთქი? ვკითხე.

შენზე ნაკლები ბიჭები არ სწავლობენ ღამის კლასში. თან ისწავლე, თან იმუშავეო.

გადავიტანე საბუთები მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში (მაშინ ასე ერქვა) და ლიმონათის ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მე ვთქვი, ლიმონათს მაინც დავლევ-მეთქი.

როგორც „არიფი“, მზა პროდუქციის საამქროში გამამწესეს. ლიმონათიან ყუთებით მანქანა უნდა დამეტვირთა.

რა დაგიმალო და მიჭირდა თხუთმეტი წლის ლაწირაკს ყუთის აწევა.

სამი საათის დაწყებული არ მქონდა მუშაობა, ერთმა ცხვირგაბუშტულმა, ცოცხულვაშა, ოთხკუთხედმა მუშამ რომ გამომართვა ყუთი და განზე გამწია:

ცოდვა ხარ ბიძია შენ, აქანა, პატრონი არ გყავს? წაი სახლშიო.

რავა, რა იყო-მეთქი, მეწყინა.

რა იყო და ტრიკი ჩამოგივაო.

ყველამ თავისი ტრიკი ათვალიეროს-მეთქი და ყუთს მოვეჭიდე.

მომკიდა ხელი არც თუ ძალიან რბილად და საამქროს გამგესთან მიმიყვანა.

ვითომ უფრო „ადვილ საქმეზე“ – წუნმდებლად დამნიშნეს.

კონვეირის ბოლოში უნდა ვმდგარიყავი, ოთხი ბოთლი ლიმონათისთვის უნდა დამევლო ხელი, მაღლა ამეწია და ელვისსისწრაფით შემეთვალიერებინა. რატომ თუ იცით? ბუზი ხომ არ იყო ბოთლში ჩაფრენილი. არ იყო ლიმონათში ბუზის აღმოჩენა იოლი. ჩემს გარდა სხვა წუნმდებლებიც იყვნენ. ოფლში გახვითქულები ვეძებდით ბუზებს. ბუზიან ბოთლებს რკინის კასრში ვყრიდით, უბუზოებს ყუთებში ვაწყობდით.

ერთ კვირაზე მეტი ვერ გავუძელი „წუნმდებლობას“. კონვეიერი, ეს დასაწვავი, ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდა.

უფროსს ვთხოვ და სამრეცხაო საამქროში გადამიყვანეს.

შენ გგონია, ბოთლებს ვრეცხავდი? ბოთლი უზარმაზარ ქვაბში იხარშებოდა. მე ბოთლიდან პროპკის საცობი უნდა ამომეღო. მაშინ ნეილონის ფირფიტები არ იყო და ლიმონათს პროპკის საცობს უკეთებდნენ. ზოგიერთ ნალიმონათარ ბოთლში პროპკა ჩაგდებული იყო. წვერწაქლიბული მავთულით უნდა დამეჭრა ის პროპკა და გადმომეყარა ბოთლიდან. სანაძლეოს ჩამოვალ, შენ თუ მოახერხებ ბოთლიდან პროპკის ამოღებას, მე კი ისე დავვოსტატდი, ხუთ წუთზე მეტს არ ვანდომებდი.

რაც შეეხება ლიმონათს, პირველ სამ კვირაში ბლომად დავლიე და მერე მთელი წელი აღარ გავკარებივარ. იმ ინერციით არც ახლა მიმდის გული. ერთი წელი გავძელი ლიმონა-

თის ქარხანაში და მეათე კლასიდან სამკერვალო ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა პრეს-უთოზე. წულუკიძის ქუჩაზე რომ დიდი სამკერვალოა, ხომ იცით, იქ ვმუშაობდი. მაზარებს ვაუთოებდი. ანაზღაურებაც მეტი იყო და, ჩვენს შორის დარჩეს, ზღვა ქალები მუშაობდნენ სამკერვალოში. რომ შეხვიდოდი, ქალის სუნი გაგაბრუებდა. ერთი ბიჭი ვიყავი მთელ საამქროში და ბარე ორი გოგო მიპრაწავდა თვალს. ალმასივით ბიჭი ვიყავი, ახლა რო ვარ ასეთი კი არა.

ბოლო ერთი წელი საკონსერვო ქარხანაში ვიმუშავე მტვირთავად, ბარდით და პამიდვრით სავსე მანქანებს ვცვლიდი, ბარდის დაცლა არ იყო ძნელი, ფიწლით უნდა გადმოგვეყარა. პამიდვრის წვენით კი მთელი ზურგი დასველებული მქონდა.

ყველაზე უფრო კოშმარულად საკონსერვო ქარხანა მახსოვს, მაგრამ იქ თავი იმიტომ მივიტანე, რომ მანქანის გადმოტვირთვაში ბითუმად მიხდიდნენ. არა და ფული ბლომად მჭირდებოდა; ოთხ საგანში ერთდროულად ვემზადებოდი, უნივერსიტეტში უნდა ჩამებარებინა.

დაღლილ-გასავათებული სამუშაოდან რომ ვბრუნდებოდი, მთელი ღამე წიგნს ვუჯექი. რაც მე სიმწარე ვნახე ფარბრიკა-ქარხნებში, გამიათკეცდა სწავლის სურვილი. სხვა მუღამიც ვიხმარე; ვიცოდი, მისაღებ გამოცდებზე სპორტსმენებს და ხელოვნების ხალხს შეღავათს აძლევდნენ. ცეკვა დავიწყე ელგუჯა გუმბარიძის ანსამბლში.

დილიდან ექვს საათამდე საკონსერვოში ვმტვირთავობდი, შესვენების დროს – პირველიდან სამამდე, ცეკვის რეპეტიციაზე გავრბოდი. რვიდან ათამდე მასწავლებელთან ვიჯექი. ფეხზე წავიჭამდი ერთ ლუკმა რაღაცას და მერე სამ-ოთხ საათამდე წიგნებს ვუჯექი. როგორი გასაძლებია.

ამ ტემპში, ასეთ ჯახირში სამი წელი გავატარე.

პირველ წელს, როგორც მოველოდი, ქულა არ მეყო. ეკონომიურზე ვაბარებდი.

მარტში ჯარში დამიძახეს. ვითრიე ფეხი. ხანდახან მეზობლებშიც ვათევდი ღამეს, მაგრამ მაისში მაინც დამიჭირეს.

„პრეპისნოი“ და პასპორტი ჩამომართვეს და გამომიცხადეს – ქალაქიდან არ გახვიდე, ივლისში გაწვევა გიწევსო.

მეზობლის ქალი მილიციაში პასპორტისტკად მუშაობდა. შეველმერთე, მინდა, თბილისში ერთხელ კიდევ ვცადო ბედი, იქნება, რამე მისაშველო-მეთქი. განცხადება დამაწერინა; ვითომ პასპორტი დავკარგე და დროებითი პასპორტი გამომიწერა. გავიქეცი თბილისში და შევიტანე საბუთები უნივერსიტეტში.

მოცეკვავის ცნობაც წარვადგინე. ვახტანგ ჯანჯღლავა პროფკომი იყო მაშინ და, აშენდა მაგის ოჯახი, რაც შეეძლო, მომეხმარა. ოთხ საგანში ჩვიდმეტი ქულა დავაგროვე და მათემატიკა ზეპირში ჩამჭრეს.

ტვინში სისხლი კინაღამ ჩამექცა.

ღვთისნიერ კაცს, გრიშა გამსახურდიას (მაშინ დოცენტი იყო), შევეცოდე სიმწრისაგან აღრიალებული და მირჩია-რექტორის სახელზე განცხადება დაწერე, კარგი კაცია, მოგისმენსო.

ჩავდექი რიგში რექტორის მისაღებთან. რექტორი ვიქტორ კუპრაძე ბრძანდებოდა.

მოცეკვავე ვარ, ბატონო, და ჩავიჭერი-მეთქი.

ამხედ-დამხედა, რაში ჩაიჭერი, ცეკვაშიო?

არა, მათემატიკა წერაში, უბედური ბილეთი შემხვდა, თვარა, მომზადებული ვარ. სამი წელია ვემზადები, ჩემი წონა ფული მაქვს მომზადებაში გადაყრილი-მეთქი.

რა მოხელეა მამაშენიო.

უბრალო მუშაა, ბატონო-მეთქი.

სად გქონდა მერე ამდენი ფულიო.

ღამის კლასში ვსწავლობდი და დღე საკონსერვოში ვმუშაობდი, მამაჩემს ვინ მისცა ფული-მეთქი.

კიდევ ერთხელ ჩაიკითხა ჩემი განცხადება და წააწერა: „ამხანაგ ზერაგიას, გთხოვთ, გამოსცადოთ ხელმეორედ. პრეტენზია დამაჯერებელია“.

რექტორს კინაღამ ხელზე ვაკოცე.

ზერაგიამ უკითხავად გადამიკეთა „ორიანი“ „სამიანად“ და მერე მკითხა, რა პრეტენზია გაქვს, ბიჭო, შენო.

კაპიტან ბუხაიძის ძმისშვილი ვარ და თან ვცეკვავ, მე ვუთხარი.

რა გეცეკვება, ბიძაშენი ბალყარეთის მთებში წევს და საცეკვაოდ გაქვს საქმე შენო? მე და ბიძაშენი ერთად ვიბრძოდით მინვოდთან, კაცი კი არა, შევარდენი იყო, ვინ დარჩა მაგასო.

გოგო ჰყავს ერთი-მეთქი, ვიცრუე. კაპიტანი ბუხაიძე მოგვარე იყო ჩვენი, მაგრამ მის შესახებ ირაკლი აბაშიძის ლექსის მეტი არაფერი ვიცოდი.

რა ხნისაა გოგოვო, ზერაგიამ ჩამსდია ტყუილის ბოლომდე.

გაისად ამთავრებს-მეთქი.

უნივერსიტეტში თუ ჩააბაროს, გადაეცი, მოვიდეს ჩემთან, მივეხმარებიო.

კი, ბატონო, გადავცემ-მეთქი.

წადი ახლა, ოცი ქულა გაქვს, ჩარიცხული ხარ, მომილოცავსო, ზერაგიამ. შუბლზე მაკოცა და კომისიის წევრებს გამოუცხადა; ესაო, კაპიტან ბუხაიძის ძმისშვილიაო.

ქე ჰგავს, ქე ჰგავსო, წევრებმა სათვალეების ქვეშიდან ამომხედეს.

ზერაგიას „სამიანი“ ჩარიცხვას ნიშნავდა. ოცი ქულა მიგროვდებოდა და ოცქულიანი სულ შვიდნი ვიყავით.

ასე გავხდი სტუდენტი.

შიმშილი არც მერე დამკლებია, მაგრამ სტუდენტობის შიმშილის ხუთწლედი ძაღლის ნაკბენივით მახსოვს.

მამაჩემს რა ჰქონდა, რას გამომიგზავნიდა.

სადგურთან, ვორონინის შესახვევში, ოცდაშვიდ მანეთად ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი.

ბინა კი არა, პატარა ჯიხური იყო, ეზოში ონკანთან, საქათმეზე მიდგმული.

სტიპენდიით ვირჩენდი თავს და ძალიან რომ გამიჭირდებოდა, სადგურში საღამოობით ვაგონს ვტვირთავდი, ორიოდე კაპიკი რომ მეშოვა.

ასე გავატარე სტუდენტობა.

სიკვდილის გარდა ყველაფერი გამომაცდევინა ჩემმა წილმა წუთისოფელმა.

როგორც იქნა, მოვაბოლოჭიშკრე ჩემი გაძაღლებული ცხოვრება, მაგრამ ლამის გაღმა გასულს, ჩამისაფრდნენ და მესროლეს.

ჯერ 9 აპრილს მომკლეს, მერე ოთხმოცდათორმეტის იანვარში, მერე სამაჩაბლოში დამიფლითეს სხეული და ბოლოს სოხუმში მომიღეს ბოლო.

ჩემი აჩრდილიღა დალასლასებს ახლა გაყიდულ-დაპყრობილი საქართველოს გზებზე და იმედის თვალით შენ შემოგყურებს.

შენ კი, რას სჩადიხარ? სასიმღეროდ და სატანცაოდ გაქვს საქმე, შე კაი დედმამიშვილო?

სარკეში ჩაიხედე, ჰგავხარ შენ ახლა თავისუფლებისათვის ამბოხებულ, მკლავშიშველ და თვალებანთებულ იმ გოგოებს და ბიჭებს?

შენ მოგატყუეს, გაგაცურეს, ნარკოტიკებით გაგაბრუეს, შენს თავზე წარმოდგენა გაგიფუჭეს და ნირვანაში მყოფი, ეროვნული საქმეებიდან განზე გაგიყვანეს.

ახლა ყელზე თოკშებმული მაიმუნივით ყოველდღე გაცეკვებენ და გახტუნავებენ თავისუფლების (ჰმ!) მოედანზე, ფილარმონიაში, სტუდენტურ კლუბებში... აბა, ჰე, არ გაჩერდე, გაირთე თავი. შენ ხომ გამარჯვებული, გალაღებული, აყვავებული საქართველოს შვილი ხარო.

მერე რა მოხდა, მეტროს ჩასასვლელთან სიგარეტის ბლოკით ხელში, ცხრა ჩეჩენისაგან გაუპატიურებულ, შიმშილით გათანგულ, ლოდინით დაღლილ შენს თანატოლ გოგონას თუ წააწყდები, თვალი აარიდე და ჩაიარეო.

შენ მისთვის სად გცალია. შენ კვნ-ზე, შოუ-კონცერტზე, სახალხო (ჰმ!) ზეიმზე, თბილისურ გაზაფხულზე, იუმორისა და გართობის საღამოზე მიგეჩქარებაო.

კარგად დამიგდე ყური!

ჩემს ცხოვრებაში იმიტომ ჩაგახედე, რომ მეთქვა შენთვის: ქართველობა მარტოოდენ ეროვნულობის აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, ქართველობა ბედისწერაა.

გაიღვიძე! გაიღვიძე! თორემ მერე გვიან იქნება!

ქმარი თორმეტი დღით

აბა, მე რა უნდა ვთქვა, შენ შე ქალო, რვა წელიწადია ქმართან ცხოვრობ და მეუბნები, თურმე არ ვიცნობდი კარგადო. მე რჩევას ნუ მეკითხები, დაია, მე მხოლოდ თორმეტი დღე მყავდა ქმარი, მეტი კი არა. საერთოდ, მაგ საქმეში რჩევას ვერც ვერავინ მოგცემს. შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო. მიღალატა და ვშორდებიო, აგიჩემებია. არის, საწყენი როგორ არ არის, მარა ისეთი ამბავიც არაა ეგ, თავი გაიგიჟო და არ აპატიო. კაცია, შეემთხვა. შენ ახლა გაიგე ხომ? ეგება მანამდისაც გღალატობდა. ახლა ასე ვსვამ საკითხს მე; რომ არ გაგეგო, ხომ არაფერი მოხდებოდა. სანამ გაიგებდი, ხომ არ მოგსვლია აზრად, ქმარს გავშორდებიო. ესე იგი არ იყო გლახა ქმარი. ვინც შენ ეგ ამბავი დაგირეკა, იმას გაუხმა ენა. შენ გგონია, კარგი უნდა იმას შენთვის? დამირეკეს, დავუდარაჯდი იმ ადგილას და გამოვიჭირე ორივენიო, გამარჯვებულის სახით რომ მეუბნები; ჩემთვის, მანამდე რომ გეკითხა, არ გაგიშვებდი სადარაჯოდ. „დიდი მადლობა, ვიცი, გენაცვალე, ყველაფერი, შეარგოს ღმერთმა ჩემს ქმარს. თუ შენ გული გწყდება, შენთანაც გამოვუშვებ, როცა მოიცლის-თქვა“, ა, ასე გაპასუხებინებდი იმ შენი „კეთილისმყოფელისთვის“ ტელეფონზე და ამით გათავდებოდა საქმე. ისიც მოისვენებდა და შენც მოისვენებდი. თუ მთლად ქვეყანა არ იქცევა, ისეთი სიმართლე არც უნდა დაიჯერო დღეს ადამიანმა, რაც ხელს არ გაძლევს, თვარა მთლად გამწარდება ეს გამწარებული წუთისოფელი.

მე რა უნდა გირჩიო, დაია, მე თორმეტი დღე მყავდა ქმარი, მეტი კი არა. რომ გაიგებ, რაზე გავშორდი, შეიძლება ეს კეტი მდრუზო თავში, თუმცა ამდენი ხანი გავიდა და ერთი წუთითაც არ მინანია. მართალია, მერე ვეღარც გავთხოვდი და დავრჩი ასე მარტოხელა, მაგრამ ახლაც დარწმუნებული

ვარ, რომ სწორად მოვიქეცი. იმნაირ კაცთან ცხოვრებას ეს მტანჯველი მარტოობა სჯობდა.

ოცი წლის წინ მოხდა ეს ამბავი.

ხელი მოვაწერეთ და იტალიაში წამიყვანა. საქორწინო მოგზაურობა ერქვა ფაქტიურად ჩვენს წასვლას, თორემ ისე ტურისტული ჯგუფის წევრები ვიყავით. ჯერ ერთი მაშინ ორს მარტო, უვიზოდ (მითუმეტეს ცოლ-ქმარს), ვინ გაუშვებდა საზღვარგარეთ და მეორეც, სად იყო საშუალება. ტურისტად წასვლა შედარებით იაფი ღირდა.

გადარეული ვიყავი. ღამით არ მეძინა შთაბეჭდილებისაგან. წარმოიდგინე ოცდაორი წლის გოგო იტალიაში. რომი... პეტრეს ტაძარი, კოლიზეუმი, მოსეს ქანდაკება, ლეონარდოს ჩანჩქერი, ვენეცია, დავითი... ხუთი უბის წიგნაკი გავავსე ჩანაწერებით. გიდს ნაბიჯ-ნაბიჯ დავსდევდი. პირდაპირ ვყლაპავდი მის სიტყვებს.

ეს ჩემი ქმარი ისე მშვიდი და გულგრილი იყო, თითქოს მთელი ცხოვრება რომში, ვიქტორიას მოედანზე ჰქონდა გატარებული. არაფერი უკვირდა, არაფერი აოცებდა. საღამოს ნომერში რომ მოვბრუნდებოდით, ვერ იყო ხასიათზე. მე ვჭიკჭიკდები გაუთავებლად. არ აგაჭიკჭიკებს ნორმალურ ადამიანს სიქსტის კაპელა? ეს ჩემი ქმარი ოცდახუთი წლის ბიჭი, გესმის ქალო? ოხრავდა, წუხდა საღამოობით, რაზე, თუ იკითხავ, ყველაფერი ძვირი ღირსო, ტყვილად დავხარჯეთ გზაზე ამდენი ფულიო. ამ ფასად თბილისშიც ქე ვიყიდიდით ყველაფერსო. შენაო, შემომიბღვირა, ნამეტანი ფუქსავატი ყოფილხარო. რავა მიმაცემიე ბუკლეტში (პეტრეს ტაძარში რომის ბუკლეტი ვიყიდეთ) ორი დოლარიო. ასე თუ ვფანტეთ ფული ცხოვრებაში, კარგი დახლი დაგვიდგებაო. მეო, შენაო, უფრო ხელმომჭირნე და მუყაითი მეგონეო. ძლივს გავამეტებინე, ქალო, ბუკლეტისთვის ორი დოლარი, ძლივს გამოვწიწკნე ხელიდან. რად მინდა ბუკლეტი, ბუკლეტი მინდაო მეო? ბუკლეტს ვერც შეჭამ, ვერც ჩაიცვამ და ვერც დაიხურავო.

გაშლიდა საღამოს საფულეს და დაიწყებდა ანგარიშს.

მეტროს ამდენი მივეცით, სიროფიან წყალში ტყვილად გადავყარეთ ფული, მათხოვარისათვის მაინც რამ მიგაცემინაო; გროშები ჩავუყარე ქუდში, შე კაცო, იმ გროშებით მაინც ვერაფერს ვიყიდდი-მეთქი. გროშებისგან შედგება ფული, უნდა იცოდეს შენხელა ქალმაო. საერთოდ, ჩვენ, ტურისტები ვართ, ტურისტს ალაგობრივი მათხოვრებისთვის მოწყალების მიცემა არ ეკუთვნის ჩვენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მათხოვრები გვეხებაო.

ეს რომ მითხრა, ისედაც ყელში მქონდა სევდა მოწოლილი და მეტის მოთმენა აღარ შემეძლო; მაშინ ვუთხარი ჩემს თავს; ვერა, მე ამასთან ვერ ვიცხოვრებ-მეთქი. ვთქვი და გადავწყვიტე. იქ რაღას ვეტყოდი, თბილისში რომ ჩამოვედი, აეროპორტშივე გამოვუცხადე: მე შენი ცოლი აღარ ვიქნები, ხვალიდან შენ შენთვის, მე ჩემთვის-მეთქი.

თითქოს ელოდაო, მიზეზი არც უკითხავს, წარმოგიდგენია? საქორწინო მოგზაურობიდან ერთი წუთის მობრუნებული ცოლი ვშორდები და არც მეკითხება, რა მოხდა, რაშია საქმეო.

ამდენი ხანი გავიდა და, ვისაც მოვუყევი ჩემი გათხოვებაგაყრის ამბავის, ყველა მე მამტყუნებს. სულელი ყოფილხარ, ასე პატარა მიზეზის გამო, რავა გაშორდი ქმარსო.

ასე რომ, მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, ჩემო დაია, რაკი შენ ამდენი ხანი არ ისურვე წასულიყავი მისგან, ეს იმას ნიშნავს, რომ არაა ურიგო ქმარი. ესე იგი შეგიძლია მასთან ცხოვრება. ასე რომ არ იყოს, ჩემთან რჩევის საკითხავადაც არ მოხვიდოდი. შენ თვითონ არ გინდა გაშორდე, ჩემგან სწორედ ისეთ რჩევას ელი, ოჯახს რომ არ დაგანგრევინებს, ჰოდა ჩემი სიტყვაც ეგ არის – იყავი შენს ქმართან, ნუ გეშინია, არ დაქცეულა ქვეყანა.

კაცია, შეემთხვა.

არსენა

უნივერმაღ „თბილისის“ შესასვლელთან, კიბის თავზე, ბაზალტის ცივ ქვაფენილზე დაგლეჯილი ფარდაგი იყო დაფენილი. ფარდაგზე ხუთიოდე წლის, შავტუხა, ბრიალათვალება ბიჭი იჯდა და მხიარულად, წკრიალა ხმით იმეორებდა: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადაჰხვეოდა ნიავსა“... ბოლო სტროფამდე რომ მივიდოდა, თავს მაღლა ასწევდა და ხმამაღლა, თავმომწონედ დასძახებდა: „აყვავდი ტურფა ქვეყანავ! ილხინე ივერთ მხარეო! და შენც ქართველო სწავლითა სამშობლო გაახარეო!“

ამ ერთადერთ ლექსს სთავაზობდა პატარა ბიჭი ათასი მწარე ფიქრით შუბლშეჭმუხვნილ მოქალაქეებს. შიგა და შიგ კონსერვის კოლოფზე გამობმულ ძაფს ორივე ხელით დაატრიალებდა, ცოტა ხანს გაერთობოდა და, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად დასერიოზულებული ისევ ლექსს იწყებდა.

ფარდაგზე დადებულ ძველ კეპიან ქუდში იშვიათად რხევა-ფრიალით ჩაეშვებოდა ქაღალდის ფული; ძირითადად კუპონი, ზოგჯერ რუბლიც. ბიჭი ქუდს არც კი უყურებდა, თითქოსდა ეს ამბავი სრულიადაც არ ეხებაო, მადლობასაც არ ეუბნებოდა მოწყალების გამღებთ.

ყინავდა.

ბიჭს ცხვირი ასკილივით აჩნდა მზედაკრულ სახეზე. შუბლზე აბურდულ-აბურძგნული თმა ჩამოფარებოდა. დაძონძილი სვიტრიდან დაუბანელი ყელი და იდაყვები მოუჩანდა.

– რა გქვია? – ვკითხე.

– არსენა.

– დედაშენი სად არის?!

– სახლშია.

– აქ ვინ მოგიყვანა?

– მამამ.

– გცივა?

– კი.

თითები დაიორთქლა, კაცივით გაუსვ-გამოუსვა ხელისგულები ერთმანეთს და კონსერვის ქილას დაწვდა.

მაშინღა შევნიშნე, იქვე, გვერდზე სახელოებწაჭრილი, ოთხკუთხედი ნაკერებით დახაზული ფრენჩი.

ფრენჩს ხელი დავავლე და ბეჭებზე მოვასხი.

– ჩაიცვი ახლავე, გაცივდები. სად წავიდა მამაშენი?

– ე... გერ...

ათიოდე ნაბიჯზე გამხდარ-გალეული, ცხვირპაჭუა ნაბდისქუდიანი ახალგაზრდა კაცი ნიჩბის ტარებს ჰყიდდა.

ხელი დავუქნიე.

მოვიდა.

– მიაქციე ყურადღება. ხომ ხედავ გაიყინა ბავშვი. გამეტებული თუ გყავს, მე გამატანე, მე გავზრდი.

ტარები გვერდზე მიაგდო და ბიჭს ყურზე წვდა.

არსენამ გაგულისებით ამომხედა და ატირდა.

– რამდენჯერ გითხარი, ნუ გაიხდი-მეთქი. შენი ავადმყოფობის თავი მაქვს? იხდის ბატონო. მეოთხეჯერ ჩავაცვი დილის მერე. თვალს მოვაშორებ თუ არა, გაიხდის მაშინვე.

– რატომ იხდი არსენა. არ შეიძლება ბაბუა. ხომ ხედავ როგორ ცივა. არ გეშინია გაცივების?

– კი.

– აბა, რატომ იხდი ამ ფრენჩს?

– რას?

– ფრენჩს.

– არ მიყვარს.

მამამ ქუდიდან ფული აიღო. ერთი ათასკუპონიანი ჩატოვა. ტარები ამოიღლიავა – არ გაიხადო, თორემ ყურს აგიწევ იცოდეო, გააფრთხილა არსენა და კიბეზე დაეშვა.

მესაფლავე

ორმოცი წელია აქ ვარ, ამ სასაფლაოზე, მე, პატივცემულო და საფლავებს ვუვლი. კვირა ჩემთვის არაა და დასვენება. ფეხზე თუ ვდგავარ, სახლში ვერ ვჩერდები. ასე მგონია ჩემი მიცვალებულები მეძახიან. ვბორგავ მთელი ღამე, ვერ ვისვენებ საწოლში, ინათებს და მაშინვე აქეთ ვიზამ პირს. აქ რომ შემოვალ და ცოტას მივდგებ-მოვდგები; ყვავილებს მოვრწყავ, საფლავის ქვებს მტვერს გადავაცლი, სარეველა ბალახს ამოვპუტავ... ვმშვიდდები რაღაცნაირად.

არ იღლებიო? შენ მკითხავ, როგორ არ ვიღლები, დილიდან საღამომდე ჩიკორივით ვტრიალებ, მაგრამ ეს დაღლა სხვა დაღლაა. არ გეგონოს ისე ვუყურებდე ამ საქმეს, როგორც სამსახურს. დილით რომ წავა ადამიანი, რვა საათს იმუშავებს, თან წამდაუწუმ საათს რომ დასცქერის, ზედმეტი არ მომივიდესო. არც იმ ორი კაპიკისთვის ვჯახირობ მე აქ, ჭირისუფლები რომ მომცემენ ხანდახან. არა პატივცემულო, ჩემი აქ ყოფნა ღმერთმა ჩამაგონა და სანამ პირში სული მიდგას, საფლავებს უნდა მივხედო, ღმერთს ვერ ვუღალატებ. როგორც ამას მართალს ვამბობდე, ისე მიცხონოს ღმერთმა საცოდავი დედაჩემი. ისიც აქვე მისაფლავია, ეგერ, იმ კიპაროსის ქვეშ. გაგიკვირდება და ყველაზე მოუვლელი ამ სასაფლაოზე დედაჩემის საფლავია. რომ ვერ ვიცლი ხანდახან, მისვლა რომ დამიგვიანდება, ასე მგონია დედაჩემი მაპატიებს-მეთქი.

ძველთაძველი სასაფლაოა, პატივცემულო, მოგეხსენება, ეს სასაფლაო. ოცდახუთი წლის გოგო მოვედი აქ და, გითხარით უკვე, ორმოცი წელია საფლავებს ვემსახურები. ე, გახედეთ, საყდრის ნანგრევი რომ ჩანს, აქედან დაწყებული ჭიშკრამდე, სულ ეს იყო სასაფლაო. იმატებდა ცოტ-ცო-

ტას ქვევითკენ, მაგრამ ამ ბოლო ხუთ წელიწადში ძალიან გაიზარდა.

ასე მგონია, ამ დედამიწაზე ჩვენ ვიხოცებით, მარტო, ქართველები. კი, ომი იყო, აფხაზეთიდან ბევრი ჩამოასვენეს, მაგრამ ახლა ომი ხომ დამთავრდა, რა ხოცავს ამ ხალხს. ღმერთო, შენ მაპატიე. მერე მოხუცებულები კი არ მოჰყავთ, სულ ახალგაზრდები. რა მოგვივიდა, რა დაგვემართა, რა ღვთისწყრომაა ჩვენს თავზე. სამი კვირის წინ გზის აქეთ იყო სასაფლაო, ახლა შეხედე, გაღმა გადავიდა. ასე თუ გაგრძელდა, იმ ფერდობს მთლიანად მოივლის.

არაფერი არა ვართ არა, აქედან რომ ვუყურებ მაინც, პატივცემულო. აქედან სულ ამაო ჯახირად ჩანს ჩვენი ცხოვრება. მისვლა-მოსვლას, მიხედვ-მოხედვას ვერ ასწრებს ადამიანი და უკვე აქ არის, ხის კოსტუმში გამოწყობილი, რომ იტყვიან. ისე იქცევა მე მგონია, არ სჯერა ყველაფერი რომ აქ თავდება, ამ სასაფლაოზე. ასე ფიქრობს, ალბათ: სიკვდილს ჩემთან რა უნდა, სიკვდილი სხვებისთვის არისო. აქ უნდა მუშაობდე, კარგად რომ გაიგო ამ წუთისოფლის ავანჩავანი. ხანდახან ისე დავღლილვარ, ისე გავსავათებულვარ, წაღმა-უკუღმა ტრიალით რომ გადამიხედავს ამ ჩემი მიცვალებულებისათვის და – ნეტავი თქვენ, დამთავრებული რომ გაქვთ საამქვეყნო ზრუნვა-ჩალიჩი-მეთქი, გულში მითქვამს.

ახლა ჭირისუფლები? ათასნაირია ადამიანისშვილი. ზოგიერთი ნორმალურად ხვდება უბედურებას. იცის, გარდაუვალია. იცის, ვალი გაქვს მიწის გადასახდელი და ადრე თუ გვიან, შენც აქ მოგიწევს მოსვლა. ასეთ ჭირისუფალთან ლაპარაკიც უფრო იოლია და საფლავიც ადვილი მოსავლელია. იცის იმან თავის დროზე ყველაფერი, არაფერს აკლებს თავის მიცვალებულს, მაგრამ ამას ჩუმად, წყნარად, სხვის შეუწუხებლად აკეთებს.

ზოგმა, მე ვინ მკითხავს სხვის საქმეში ჩარევას, მაგრამ ნამეტანი გადარევა იცის. თითქოსდა, ისეთი რამ დაემართა,

სხვას რომ არავის დამართნია. ვერაფრით ვერ ეგუება, თავს იკლავს, დღედაღამე დამხობილია საფლავზე და მოთქვამს. არ შეიძლება ასე, პატივცემულო, მიცვალებულის სულიც წუხდება, თურმე, ნამეტანი ოხვრა-ვიშით.

მე ჭირისუფლები მყავს; უბედურებამ მთლად რომ მოშალა და დააჩოქა. ცხოვრებიდან რომ ამოეწერნენ და აქ, სასაფლაოს ცხოვრებაში რომ გადმოერთვნენ. აგერ, ა, ჩემს თვალწინ გაფუჭდა ხალხი. ქალია და საათობით გაუნძრევლად დგას საფლავთან, ბუტბუტებს რაღაცას და აწვიმს თუ ათოვს თავზე, აქედან წასვლა არ უნდა. კაცია და არიქა, ჩემი მიცვალებულის საფლავი ყველასგან გამორჩეული უნდა იყოსო. გამწარებული დაშლიგინებს, ქორივით ადგას საფლავის მკეთებელს: რას ჰქვია, ქვა ისე ვერ მიაჯინეთ, რას ჰქვია, ღრიჭო დაგრჩათო, რას ჰქვია, პაწაწკინტელა ბალახმა ამოჰყო თავიო, რას ჰქვია, ვარდმა ყვითელი პირი გამოიღო და არა შავი ხავერდისფერიო.

დამშვიდდით, დაწყნარდით ვეუბნები, ნუ მოიკლავთ თავს, მიცვალებულს ჭირდებით თქვენ და რაც დიდხანს იქნებით, მით უკეთესია მისთვის-მეთქი. ვის ესმის. ასე ნერვიულობით, ფაციფუცით; ჩვენ როგორ დაგვემართაო და ჩვენ არ გვეკუთვნოდაო ძახილით გადის იმათთვის გაუხარებელი წელი. გაიხედავ და მოასვენებენ ჭირისუფალსაც. რა გააკეთა? მოისწრაფა სიცოცხლე, შეამოკლა თავისი გზა-სავალი. მეტი ხომ არაფერი.

რჩება მერე საფლავი უპატრონოდ. ეს უარესი არ არის? სიკვდილი, ეს დასაწვავი, ისეთი აქლემია, ადრე თუ გვიან ყველას ჭიშკართან დაიჩოქებსო, ნათქვამია. სიკვდილი აგერ გვაზის მხარზე. დაბადებიდან ნაცნობი და ამხანაგია ჩვენი. სიკვდილმა როგორ უნდა გაგაგიჟოს. მოულოდნელი და გასაგიჟებელი, მე თუ მკითხავ, სიხარული და სიცოცხლე უფროა ამ ქვეყანაზე, თორემ სიკვდილი რა გასაკვირია. ერთი სულელური თქმა იციან: ალბათ რაღაც ცოდვა მიუძღოდა, ღმერ-

თმა რომ დასაჯაო. ვითომ ვინც აქ წევს, ცოდვილია და ვინც ზევით დააბიჯებს, უცოდველია ამ ქვეყანაზე? არა, პატივცემულო, უფრო ხშირად პირიქითაა. სიკვდილს, როგორც სასჯელს, არ უნდა შეხედოს ჭკვიანმა კაცმა. კაცმა არ იცის, რა უფროა დასჯა; გაგიხანგრძლივოს ბოლომდე აქ ყოფნა, გამაიმუნოს და გაჯანჯღაროს ბოლომდე, თუ, ერთ მშვენიერ დღეს შეგიცოდოს და გაგათავისუფლოს საამქვეყნო ორომტრიალისგან.

ისე, მე გამოგიტყდები და, დილით რომ მოვალ, ჯერ უსახელო საფლავებს, აგერ ცხრა ამოუცნობი ჯარისკაცი რომ ასვენია, მერე იმ საფლავებს ჩამოვუვლი, ჭირისუფალი ან საერთოდ რომ აღარ დარჩა, ან რომ ვეღარ აკითხავს ამ ბოლო დროს. ასეთი წესი მაქვს. მიტოვებული საფლავისკენ უფრო მიმიწევს გული, უფრო მეცოდება.

ახლა იმას მოგახსენებ, როგორ აღმოვჩნდი აქ, როგორ მოვკიდე ხელი ამ საქმეს: ორმოცი წლის წინ დავასაფლავე დედაჩემი. მამა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს, ბუნდოვნად მახსოვს მამაჩემი. დედამ გამზარდა. ერთი შვილი ვყავდი. დედაჩემი იყო ყველაფერი ჩემთვის. მოულოდნელად მოკვდა. ადამიანი როცა ავადმყოფობს, ასე თუ ისე, ცოტათი შეგუებული ხარ მის სიკვდილს. დედაჩემი საღ-სალამათი ქალი, ასე ა, როგორც მე გელაპარაკებით, მელაპარაკებოდა, უცებ გადავარდა სკამიდან, სიტყვაც არ უთქვამს. ჩიტივით დალია სული.

მოგაბეზრეთ ხომ თავი, გამიყოლა ლაპარაკმა. მოკლედ, თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ არ დამანებეს. ერთი კვირის დასაფლავებული მყავს დედაჩემი, სიზმარი ვნახე: მარიამ ღვთისმშობელი ზის სკამზე. შემოხვეული ვართ გოგოები. არის ერთი ჟრიამული. ზოგი ცოდვას ანდობს, ზოგი რჩევას ეკითხება. მე, ბავშვობიდანვე მორცხვი და გაუბედავი, ვდგავარ განზე, ვაცლი სხვებს. არა და ვხედავ, ყველა დაასაქმა ღვთისმშობელმა, მე დავრჩი მარტო. დგება სკამიდან და მიდ-

ის. სადაცაა შეერევა თეთრ, თვალისმომჭრელ ნათელს. „მე! მე რა ვქნა-მეთქი?!“ გამოვეკიდე, მომიბრუნდა – „საფლავებს მოუარეო“. მეტი არაფერი უთქვამს.

ის დღე და ის დღე, ვენაცვალე მის სახელს, აქ ვარ. საფლავებს ვუვლი, როგორც ჩამაგონა. ერთგულად ვემსახურები რაც შემიძლია და, თვითონაც არ მაკლებს მადლს – ხომ ასე ციბრუტივით ვტრიალებ დღედაღამ. ზამთარში ცეცხლი არაა ჩემთვის და ზაფხულში ჩრდილი, მაგრამ ჯერ ავად არ გავმხდარვარ.

ექიმი და წამალი არ ვიცი.

სიმწრის სიმღერა

ციხის კარები რო დააღეს და ყაჩაღები გამოუშვეს, იმ-დროინდელი ამბავია. ყაჩაღების და ქურდების გარეთ გამოშ-ვება, ვთქვათ, არაფერი; ავტომატები მისცეს ბანდიტებს ხელში და წესრიგის დაცვა დაავალეს. დრო შეიცვალაო, ყა-ჩაღებს უთხრეს: ახალი საქართველოი ვაშენებთ და თქვენი იმედი გვაქვსო. თქვენ ყველაფერი გეხებათო. სადაც გაგეხ-არდებათ, შედით-გამოდითო, ვისაც გინდათ, იმაი აახიეთ ყუ-რიო. ეგეთი რამ, ნეტა, თუ მამხდარა სადმე, რომელიმე ქვეყ-ანაში. გაგონილა კაცო, პოლიციელებითვინ და ქურდებით-ვინ ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით როლები შეეცვალოთ. თქვენაო, ქურდებითვინ ეთქვათ, დღეიდან იპოლიციელეთ და პოლიციელებითვინ კიდე – ქურდები ხართ და თავს უშველი-თო.

ზაფრაცემულ, მეხსეტყვილ ქვეყანაი კიდევ ეგ უნდოდა? ჭირი ჭირზე დაუმატეს. შუაღამისას ხან ერთ სახლში აკაკან-დებოდა ავტომატი, ხან მეორეში. იჩივლებდი და უარესს გი-ზამდნენ. ქურდები საქმე ისევ ქურდს უნდა გაერჩია. შუაღა-მის ყაჩაღთულებს დღთისითმზისით ქვეყნი მხსნელებად ნათ-ლავდნენ და ტაშის გრიალით აორდენგორგასალებდნენ.

თიანეთში დეიდა გარდაგვეცვალა. რის ვაინაჩრობით შეგვატყობინეს ჭირისუფლებმა საგარეჯოში. შეტყობინება ერთია და თანაც ამბის მომტანს დააბარეს, იქნებ მაქედან სახარჯი რამე წამოგვაშველოთ, აქეთ ჩვენაც გაგვიმძიმე-დროვდა, გვიჭირს, ვაითუ მიცვალებულის საკადრისი პატივ-ისცემა ვერ შევძლოთო.

უნდა წავიდეთ, რა მეტი გზაა. ოთხი ჩაფი ღვინო და სამი-ოდე ფუთი ბრინჯი, ჩვენდა წილად გადავდეთ ჩვენი პატიო-სანი დეიდის საქელეხცრემლოდ, მაგრამ წაღება არ გინდა?

მეზობელ შაქრია ვარაზაშვილს „ნივა“ ჰყავდა.

მივადექით და ვეაჯეთ ამაზე მეტი ჩვენ არ გაგვიჭირდება, გვეცი პატივი, დეიდაშვილებთან სირცხვილ ნუ გვაქმევ და ორივე ძმები გვიმსახურე სიკვდილამდე-მეთქი.

ვერაო, შაქრიამ, დიდი ხათრი მაქვს, მაგრამა ახლა თიანეთში თქვენი წაყვანა იმაი ნიშნავს ელექტრონი ხერხს გავუწვე კისრითაო. ყოველ ნაბიჯზე ყაჩაღები დგანა. „ნივაზე“ კიდე, ხომ იცით, როგორ ნადირობენო.

ჰაი იქეთ, ჰაი აქეთ და ბოლოს, თავი რომ ძალიან შევაცოდეთ; ა, ძმაო მანქანა, თქვენ თვითონ დასხედით, მადლობა ღმერთს, ორივენი პრავიანი შოფრები ხართ, მართვა არ გეშლებათ და გზაო. წადით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, არ დამღუპოთ, კია. გზაში ფრთხილად იარეთ, „ნივა“ არავის წაართმევინოთ, ხომ იცით რა წვადაგვით მიყიდნია. მაგ „ნივი“ ვალიკუდი დღესაც გაუსტუმრებელი მააქვსო.

დილით ადრე გავმართეთ მანქანა, მაგრამ ცხრამდე არ გავსულვართ გზაზედა. ჩვენ სულელებ გვეგონა ყაჩაღები მხოლოდ შუაღამეგადასულზე და მზის ამოსვლამდინ მუშაობდნენ, მერე კი ნადავლ იყოფდნენ ან მხართეძოზე ეძინათ.

თურმე ყაჩაღებმაც მშვენივრად იციან, რომ ჩვენა – იმათ ცხვარდუმებს, ღამით სიარულის გვეშინიან და კარგა გათენებულზე გვისაფრდებიან მოსახვევებში. მე შენ გეტყვი, ეშინიათ ვინმესი. ერთადერთი ეგ არი, საყაჩაღოდ ხეირსარფიანი ადგილის შერჩევაზე ერთ ბანდას მეორესთან თუ მოუვა შეავტომატლაპარაკება, მეტი არაფერი.

თიანეთის ტყის დასაწყისთან გაგვაჩერეს. სამნი იყვნენ. ბაევიკის ფორმებით, ავტომატებით, მოკლედ, ისე ლამაზად მორთულ-მოკაზმულები, როგორც მაშინ ყაჩაღები იკაზმებოდნენ. თავშიშველნი, ორს ბრონეჟილეტი ეცვა, ერთს არა.

საბუთებიო.

მივეცით.

გადმობრძანდით მანქანიდანო.

გადმოვბრძანდით.

სად მიდიოდითო.

თიანეთს, სატირალში მივდივართ, დეიდა გარდაგვეცვალაო, ჩემმა ძმამ.

თებერვალია. ტალახიანი თებერვალი.

თოვლი ტყის პირებზე ალაგ-ალაგ შემორჩენილა.

რა მიგაქვთო, მაღალმა უჟილეტომ.

ავხადეთ კაპოტი.

საქელეხო ღვინო და ცოტაოდენი ბრინჯი მიგვაქვს-მეთქი.

იარაღი გექნებათო.

იარაღი ვინ მოგვაშავა-მეთქი.

თვალისდახამხამებაში გავაწელზე და უბეჯიბეზე ხელის ჩასმა-ამოსმით გაგვჩხრიკეს ორივენი.

ამხელა გზაზე უიარაღოდ რამ წამოგიყვანათ თქვენი დედა... თქვენიო.

ჩვენ იარაღთან საქმე არა გვაქვს. ნუ გვაგინებთ, ბიჭებო-მეთქი.

დამიხედეთ ამის თავმოყვარეობასო, მაღალმა, ეგ თავმოყვარეობა მაშინ სად გქონდა, შე ტრაკო, ჩვენ რო აფხაზეთში სისხლსა ვღვრიდითო.

ჩვენთვის არავის დაუძახნია, თორემ იქნებ ჩვენც გვებრძოლა-მეთქი.

რა დაძახება გინდოდათ, ომი განა ქორწილი იყო დაპატიჟების ქაღალდს რომ ელოდებოდიო.

წამოსულიყავი და გებრძოლა. ჩვენ რა ვალდებული ვიყავით ცხინვალშიც თქვენ მაგივრად გვეომა და სოხუმშიცო.

რა გაახურე შენცო, დაბალმა, შავწვეროსანმა, ცისფერთვალება ყაჩაღმა შეუბღვირა მაღალს.

ფული დაყაჭეთო, წყნარად, სისინით მოგვმართა.

ამოვატრიალეთ ჯიბეები. „დავყაჭეთ“, რაც გაგვაჩნდა. ბევრი არ იყო, სულ სამოციათასამდე რუსული მანეთი.

იცოტავეს.

ჯერ მანქანა გაჩხრიკეს საგულდაგულოდ, მერე ჩვენ ისე ერთგულად, რომ საფისტონე ჯიბეც არ დაგვიტოვეს.

პორტსიგარი ამაფცქვნეს, ჩემს ძმას ბეჭედი წააძრეს, წარმოიდგინეთ, საათებიც კი არ შეგვარჩინეს ხელებზე.

მანქანას მოგვაცილეს და იქვე გამხმარ ხესთან, თხრილის პირას მიგვიყვანეს.

ახლაო, მაღალმა, უჟილეტომ, თუ გინდათ ცოცხალი გადარჩეთ, აქედან ფეხს არ მოიცვლითო, ერთი საათი ეგრე იდექით და მერე გასწიეთ შინისაკენ. ამ შემთხვევაზე კრინტი არავისთან დაძრათ, თორემ, მერე რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო.

უმცროსმა, ქერათმიანმა შუბლწაკრულმა ყაჩაღმა მანქანა დაქოქა.

შენ რაებს ბოდავო, უკისრომ, შავწვეროსანმა. ავტომატი შემართა, ეგღა მაკლია ეგენი ცოცხალი დავტოვო. ორმოცდაათი მეტრი არ გვექნება გავლილი, ორივენი ყივილს ასტეხენ. ხომ ხედავ, რა ჯიუტი სახეები აქვთ, უეჭველია გვიბოზებენ, არ უნდა ლაპარაკიო.

ავტომატი მოგვიშვირა.

მოიცა დაჩიო, მაღალმა. ავტომატი დააწევინა და რაღაცას უჩურჩულებს.

ამასობაში დაქოქილი მანქანიდან უმცროსი გადმოვიდა და ავტომატი მოგვიშვირა.

არ დაგვხოცოთ, ბიჭებო, არ მოიკიდოთ ჩვენი ცოლშვილის ცოდვა-მეთქი, ამოვილუღლუღე შიშისაგან ყელგამშრალმა.

მაღალი შავს კვლავ ეჩურჩულება.

განზე გავიხედე. ეს ლაწირაკი რომ არ გვიმიზნებდეს, შეიძლება გაქცევა, მაგრამ მეჩხერი ტყეა და ერთ-ერთს მაინც დაგვეწევა ავტომატის ტყვია.

მაღალმა ორი ნაბიჯი ჩვენკენ გადმოდგა და გვეკითხება:

რა მოხელეები ხართო.

ჩვენ უბრალო მომღერლები ვართ-მეთქი, ვიცრუე ახლაც არ ვიცი, ეს მომღერლობა რამ გამახსენა.

რას ჰქვია უბრალო მომღერლებიო.

ქორწილებში დოლზე და აკორდეონზე ვუკრავთ. ეს არის ჩვენი ხელობა, სხვა არაფერი ვიცით. არა ვართ ცუდი ხალხი. რაც წაიღეთ, ღმერთმა შეგარგოთ, ბიჭებო, ხმის ამომღები არა ვართ-მეთქი.

მაღალი და შავი ისევ მივიდნენ ერთმანეთთან.

აშკარაა მაღალს არ უნდა ჩვენი დახოცვა, მაგრამ ამფსონს ვერ იყაბულებს.

ჭირის ოფლი გვასხამს.

აბა იმღერეთო, მაღალმა.

ინსტრუმენტები თან რომ არა გვაქვს-მეთქი?

რა მეინსტრუმენტებოდა.

მოეშვი ბაზარს, დადექი უკან, გავაგორებ ამ ღორებს, ახლა ინსტრუმენტები მომთხოვეს ამათაო, შავმა.

მაღალმა ერთხელ კიდევ მიაბრუნებინა განზე ავტომატი.

ვიმღერებთ, ვიმღერებთ-მეთქი, ვიყვირე.

„ეჰეჰეჰეჰე, დარიალს რომ მოადგები!.. – დავიწყე მაგრამ რა დავიწყე, ასეთი გრიალა ხმა ჯერ ყელიდან არ ამომსვლია... რა ყოფილა, კაცო, გადარჩენის, სიმწრის სიმღერა.

„იქ დაგხვდება მშვენიერი ეს ჩემი მხარეეეეეე“...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩემმა ძმამ რომ მეორე უნდა მითხრას? მე კიდევ რაღაცას ვასოლოხლაფორთებ სუფრაზე, მაგრამ ჩემს ძმას სმენის ნატამალი არა აქვს. რომ იტყვიან ბავშვობისას დათვმა ყურზე ფეხი დააბიჯაო, სწორე ეგ არის.

„პატარა და საყვარელო...“ ჩამოვუარე ჩემს ძმას და ისეთი მომიმეორა, გული კინაღამ შემიწუხდა. რაღაცას ჩხავის, მაგრამ მეორე ხმასთან ახლოსაც არ არის.

„ახლა კი ნამდვილად დაგვხოცავენ“, გამიელვა.

ორი ყაჩაღი მაღალს შეჰყურებს.

მაღალი მოგვიახლოვდა. ჩემს ძმას ტუჩზე ხელი მიადო და მეორე ხმა ზუსტად მომაწეპა.

„პატარა და საყვარელო...“

ვმღერით მე და მაღალი ყაჩაღი. ჩემი ძმა ღიღინზე გადავიდა. მე ხმისკანკალით განწირულივით ვყვირი. „ჩემო

ლამაზო თელავოო შენ გენაცვალე“, ყაჩაღს სახეზე ნათელი გადაედო, სახეგაბადვრით, ტკბილქეიფით მეუბნება მეორე ხმას.

როგორც იქნა, გავედით ბოლოში.

მაღალმა უჟილეტომ რაღაცნაირი, იდუმალი თანაგრძნობიანშემცოდე ღიმილით შემოგვხედა და ავტომატმომართულ ყაჩაღებს თავი დაუქნია:

– სწორა ამბობენ, მომღერლები არიან!

სამივენი ჩასხდნენ მანქანაში, ერთხელ კიდევ გაგვიმეორეს, ერთ საათს ხმა რომ არ უნდა ამოგვეღო და წავიდნენ.

ასიოდე მეტრი არ ჰქონდათ გავლილი. „ნივა“ უკანსვლით წამოვიდა.

ალბათ გადაიფიქრეს, ახლა კი ნამდვილად დაგვხოცავენ-მეთქი, ტუჩზე ვიკბინე.

ქერა ყაჩაღმა რიგრიგობით გადმოდგა ტალახში ოთხივე ბოცა ღვინო და ბრინჯიანი ტომარა ზედ დაადო.

ჩვენთვის არაფერი უთქვამ. კარი გამოაღო, ავტომატი მუხლებსშორის ჩასდო და ჩაჯდა.

„ნივამ“ საურმე გზაზე გადაუხვია, მუხნართან წრე დაარტყა და ქვევით, ჭალისკენ დააწვა.

შუადღე წამოსული იყო საბარგო მანქანამ რომ გამოიარა.

ხელი ავუწიეთ.

აქ რამ ამოგიყვანათო, ღვინიან ბოცებს შეხედა შოფერმა.

ფურგუნით მოვდიოდით, მანქანა გაგვიფუჭდა და უკან გავაბრუნეთ-მეთქი.

აშენდა მისი ოჯახი, ფქვილიან ტომრებზე დაგვსხა ჩვენი ბარგი-ბარხანიანად და თიანეთში ჩამოგვიყვანა.

* * *

რომ დავბრუნდით, შაქრიამ უკვე იცოდა, რაც შეგვემთხვა.

დეიდაჩვენის დასაფლავებაზე გაღმა სოფლელი ბიჭი ყო-

ფილიყო და იმას ეამბნა; ასე და ასე მოსვლიათ ძმებ თავკერ-აშვილებსაო.

შაქრიამ წაკვრით, დუმილით, ხელების ფშვნეტით მოგვის-მინა. შიგადაშიგ ამაიოხრებდა; ხომ გეუბნებოდითო.

ცოტა ხანს უნდა დაგვაცადო, ცხვირით მიწაი ვხნავთ, დღე და ღამეს გავასწორებთ და ზარალს აგინაზღაურებთ-მეთქი.

წამოდგა შაქრია, შუბლი გაეხსნა, ორივეს მხარზე დაგვკრა ხელი და ისეთი რამ გვითხრა, ათასში ერთი რომ არ იტყვის:

– ბიჭებო, თქვენი ჭირი წაუღია მაგ „ნივასა“. თქვენ არ შამილონდეთ, რკინა არ არი? მეტი ხო არაფერია, კაცო? რა ვუყოთ, ცოტა თქვენი ბრალიც არი, ცოტა ჩემიცა. არც მამა-ჩემ მახარე ვაზარაშვილ ჰყოლია „ნივაი“ და არც მამაჩემის მამას ნასყიდა ვარაზაშვილსა. თქვენ კარგა იყავით... გადახ-დაზე არც იფიქროთ... ეგაც ჩემი ფეშქაში იყოს...

„ბებერი მეზურნეები“

ამ ბოლო დროს ჩემი თაობის მწერლის არც ერთი მოთხრობა არ მახსენდება ისე ხშირად, როგორც მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“.

ხომ გახსოვთ, ყავლგასული მოხუცები ინერციით რომ ცხოვრობენ.

ჩვენც ისე ვართ, მწერლები, გუშინდელი დღით და ღვთიური, პირველი ბიძგით ჯერ კიდევ ძველებურად ვჯახირობთ, თუმცა მკაცრმა სინამდვილემ საფენელი გამოგვაცალა.

მეჩეჩზე შერჩენილი მენავესავით ამაოდ ვუსვამთ ნიჩბებს.

შეგხვდება ნასახელოვნარი პოეტი. რედაქტორული აჯა თხოვნით მოიკითხავ:

– რას შვრები, სადაა ახალი, კარგი ლექსები?

– არის, არის... დაიბადა რამდენიმე. ამ დღეებში შემოგივლი.

ისე, სიტყვის მასალად, გასამხნევებლად გეუბნება შემოგივლიო, თორემ გულითაც რომ უნდოდეს, ვერსად შემოგივლის. შენი ჟურნალი მეორე წელია აღარ გამოდის, თანამშრომლები შემოგეფანტნენ და რედაქციის ოთახებიდანაც კარგა ხანია გამოგისტუმრეს – ბინის ქირის გადაუხდელობის გამო.

ჟურნალ „მოდინახეს“ ძველი აბრა კარგა ხანია სადღაც მოისროლეს და ახლა მის ადგილას ფირმა „ჭუპა-ჭუპას“ უზარმაზარი ფირნიშია გამოკიდებული.

ამას წინათ ჩვენს კოლეგას სამოცი შეუსრულდა.

თავს იკლავდა; არ გამამხილოთ, ყურადღება არ მომაქციოთ, არც მე მაქვს ხალისი და, ესეც არ იყოს, რა ეიუბილეება ამ მშიერ ქვეყანასო, მაგრამ არ დავუჯერეთ. ტრადიციისამებრ, ჩვენი გავიტანეთ, დამაშვრალი კაცის ეს მრგვალი თარიღი არ მივაფუჩეჩეთ.

მისალმების წერილები ვაფრინეთ პრესაში, მაგრამ ზოგი გაზეთი უქაღალდობის გამო ვერ გამოვიდა. ორიოდე გაზეთმა დასტამბა საიუბილეო გვერდები, მაგრამ შეზღუდული ტირაჟის გამო საიუბილეო აღმაფრენა ვერათუ ქვეყანას ვერ „მოეფინა“, იუბილარი რედაქტორებს დასდევდა – საჩუქრად არა გთხოვთ, წამაკითხეთ მაინც, ვინ რა დაწერა ჩემზე, რომ მადლობა მაინც ვუთხრაო.

მწერალთა კავშირში პატარა საიუბილეო საღამოც გავუმართეთ.

გაყინულ-გალიგვებულ დარბაზში თითების ორთქლვაშებერვით ვეხუტებოდით ერთმანეთს და იმაზე გაცილებით ცოტანი ვჩანდით, ვიდრე სინამდვილეში ვიყავით.

მომხსენებელი გახლდით და თავმჯდომარემ ჩემი გვარი რომ გამოაცხადა, რამდენადაც მომიხერხდა, ცქვიტად მივეახლე ტრიბუნას, გულის სიღრმეში ძლივსმბჟუტავი ცეცხლი გამოვჩხრიკე და, როგორც ჩანს, რიხიანად დავიწყე.

რა გაყვირებსო, დამიძახა ვიღაცამ.

ჩავცხრი, ჩავნელდი, მეტაფორული ხალისი დავკარგე.

სატელევიზიო თადარიგიც დაჭერილი გვქონდა, მაგრამ ჩაბნელებულ დარბაზში „მაცნემ“ ვერაფერი გადაიღო. მეშვიდე მიმსალმებლის გამოსვლის დროს მოვიდა შუქი, გამნათებლები და ოპერატორები ამოძრავდნენ, მაგრამ დენი იმწუთასვე გამოირთო და მეორე დილამდე ჯიუტად არ მოსულა თბილსრესში მორიგი, ამჯერად ოცდამეშვიდე აფეთქების გამო.

გულიც არ დაგვწყვეტია. ტელეგმირებს სასწაულებრივად რომ მოესწროთ და წამითგანათებულ დარბაზში, თუნდაც, პრეზიდიუმი ელვისგარბენით გადაეღოთ, „ფართო მაყურებელი“ მაინც ვერ ნახავდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ტელევიზიისგან სრულიად დამოუკიდებლად, მისი გადაცემები ამ ბოლო დროს დიდი დიღომ-რუსთავის რადიუსს ვერა და ვერ შორდება.

ჩვენს ამხანაგს, როგორც უწინდელ იუბილეზე იყო მიღებული, საიუბილეო სუფრაც ჰქონდა.

სუფრაზე ერთმა ისტორიკოსმა ასეთი ანეკდოტი თქვა:

სამშობლოსშემორჩენილ ქუთაისელ ებრაელს ვიღაც მიესალმა.

– როგორა ხარ? – ჰკითხა.

– მტერი გეყოლა ისე, ვაი ამ ყოფას, ვაი ამ ჭამას უბედურს, – დაიჩივლა ებრაელმა, თუმცა მისი ამბავ-ხაბარით დაინტერესებული ვერა და ვერ იცნო.

უეცრად გაახსენდა. სწორედ ის იყო, პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი.

– ამხანაგო? – დაადევნა.

იფიქრა, მოდიდან გასული „ამხანაგო“ ალბათ ეჩოთირა, იმიტომაც არ მოიხედაო.

– ბატონო!

ყოფილი პირველი მდივანი გზას განაგრძობს.

– შენ გეუბნებიან, ანგელოზათ ნამუშევარო! რას შობით ახლა, სულ წახვედით, აღარ მობრუნდებით?

ეს ბოლო სიტყვები ლამის ჩურჩულით, ლოცვასავით უთხრა შეჩერებულ-შემობრუნებულს.

– ალბათ არა! – იყო სინანულ-ღიმილიანი პასუხი.

ებრაელი შეცბა, კისერი ყარყატივით წაიგრძელა:

– დაგენაცვლე, მერცხალი ინდოეთიდან ბრუნდება და თქვენ სად გაფრინდით იმნაირ მოუსავლეთში რო ვერ გამოაგენით გამოღმა!

სუფრას ჰომერულმა ხარხარმა გადაუარა.

ერთნი ნოსტალგიაგარეული სიცილით იცინოდნენ, მეორეთ ამ ანეკდოტში გარდასულ რეჟიმთა გაბიაბრუება აცინებდათ.

ორივენი მართალნი იყვნენ.

იყავით ფხიზლად!

ქრისტეშობითვე იწურებოდა.

ომითა და შიმშილით გაწამებული კუნძული საპრასია ამ წელსაც უღიმღამოდ, უგემურად შეხვდა შობის დღესასწაულს.

სამშაბათი თენდებოდა.

ოთხს აღარაფერი აკლდა, როცა მოგუგუნე „ო-67“-ის ტრაპთან პრეზიდენტის შავი ლიმუზინი გაჩერდა.

არც დაცვა, არც ექსკორტი პრეზიდენტს მხოლოდ მისი განუყრელი თანაშემწე ეროვნებით იტალიელი ვალო ალფენსო აცილებდა. როდის და როგორ მოხვდნენ ალფენსოს წინაპრები საპრასიაში, კაცმა არ იცის. თვით ალფენსომაც თავისი რომაული წარმოშობა ახლახან გამოჩხრიკა. თანაშემწეს ცოტათი იმაზე მეტი ჭკუა ჰქონდა, ვიდრე, საერთოდ, შეიძლება, ჰქონოდა თანაშემწეს. ამიტომაც პრეზიდენტმა იგი ბარე ოთხჯერ დაითხოვა თანაშემწეობიდან და კვლავ დააბრუნა. იტალიელობა, ამ ბოლო დროს, ჩანს, რაღაცისთვის დასჭირდა ალფენსოს, თორემ თავის წარმომავლობას ჩხრეკას არ დაუწყებდა. აქამდე საპრასიელობა მას სიგრძედაც ჰყოფნიდა და სიგანედაც.

როდესაც ოჯახის წევრები (მეუღლე, ქალიშვილი, სიძე, ორი შვილიშვილი, შვილიშვილების აღმზრდელი ალბიონელი გუვერნანტკა) თვითმფრინავის ღია ხახაში გაუჩინარდნენ, პრეზიდენტმა ირისისფერი სერთუკის ჯიბიდან სამი გრძელი საპრეზიდენტო კონვერტი ამოიღო.

– ალფენსო, ყურადღებით მომისმინე – პრეზიდენტმა საათზე დაიხედა – ხუთის შვიდი წუთია. ათ საათზე ეს წერილები ადრესატებს ჩააბარე. დღესვე უნდა გამოქვეყნდეს-თქო. ასე დამიბარა-თქო, ხომ გესმის?

– კი ბატონო. როდის გელოდოთ?

– ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის. აბა, ყოჩაღად იყავი.

პრეზიდენტმა კიბე მისი ასაკისათვის უჩვეულოდ, მსუბუქად აირბინა და „უ-67“ ნელა, ძიგძიგ-ღრიალით გაემართა ასაფრენი ბილიკისაკენ.

თანაშემწეს არც ეს იდუმალით გაცილება-გაფრენა მოეწონა და არც, თითქოსდა, გარეგნულად მშვიდი პრეზიდენტის – „ღმერთმა იცის“. შინ მისვლისთანავე მან დიპლომატიდან კონვერტი ამოიღო; „გაზეთ საპრასიის რესპუბლიკას“, „საპრასიის ტელევიზიას“, „საპრასიის რადიოსთვის“ განკუთვნილი კონვერტები გახსნა, ორად გაკეცილი წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა. მკითხველს ვთხოვ მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ საერთოდ, პრეზიდენტის თანაშემწე, როცა შინ იყო, წამოწოლილი კითხულობდა ყველაფერს (რაც, რა თქმა უნდა, უნდა წაეკითხა), ამჯერად კი ალფენსო, ჩვეულებისამებრ არ წამოწოლილა (თუმცა ამ უმნიშვნელო დეტალს ნოველის შინაარსისათვის მნიშვნელობა სრულიადაც არა აქვს).

„ჩემო საყვარელო, საპრასიელო ხალხო!

ჩვეულებრივ, როცა ამგვარ წერილს სწერენ, პრეზიდენტები თავს იკლავენ ხოლმე, მაგრამ მე საკუთარი სიცოცხლის ხელყოფისაგან ამჟამად თავს ვიკავებ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ცნობისწადილი მკლავს, გავიგო, რა დღეში ჩავარდები ჩემი წასვლის შემდეგ (გვეშველება თუ არა საერთოდ რამე) და მეორეც, იქნებ რამოდენიმე წლის შემდეგ გული შემოგიბრუნდეს ჩემკენ, წყენამ გაგიაროს და ნება დამრთო, ჩემს პაწაწკინტელა მთიან სოფელში ფლანელისპიჟამოიანმა მოხუცმა მოგონებათა წიგნთან, თუ ბოსტანთან ჩამუხლულმა დავლიო ჩემი ცხოვრების უკანასკნელი დღეები. დარწმუნებული ვარ ჩემი წინათგრძნობა ახლა მაინც არ მიღალატებს და ამიტომაც არ მსურს ჩემი ხელით მოვისწრაფო სიცოცხლე.

ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, მე ყველაზე ტრაგიკული პიროვნება ვარ საპრასიის ხელისუფალთა შორის ამ კუნძულის მთელი ისტორიის მანძილზე. ალბათ არც ერთ მმარ-

თველს არსად, არასოდეს იმდენი უბედურება, ნებით თუ უნებლიეთ, არ დაუტეხია თავისი ხალხისათვის თავზე, რამდენიც მე დავატეხე, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, კიდევ ერთხელ (ჩემი თხოვნით უკანასკნელად) აღიჭურვე მოთმინებით და ეს წერილი ბოლომდე ჩაიკითხე.

რაც მჭირს (და შესაბამისად ჩემს ხალხს რომ ვუი შევყარე) ზოგი ჩემი ჭკუისაგან მჭირს, ზოგი რამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზით მოხდა.

იმპერია „თეთრი დათვი“ რომ დაინგრა, მეჩეჩზე შერჩენილი გემივით იმპერიის დედაქალაქში დავრჩი. როგორც მსოფლიო პოლიტიკოსმა, მართალია, ფუნქცია დავკარგე, მაგრამ ჩემი ძველი გავლენით ისეთი მდგომარეობა შევინარჩუნე, რომ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში მშვიდად, განცხრომით შემეძლო მეცხოვრა.

არ ვისურვე ჩემი სამშობლოს გარეთ ცხოვრება.

ამ დროს დამოუკიდებლობავერშეფერებული საპრასია საეჭვოდ ბოლავდა და „თეთრი დათვის“ ცენტრი მისთვის სანდო კაცს ეძებდა პრეზიდენტის პოსტზე. ჩემზე სანდოს და შესაფერისს ვის იპოვიდნენ.

მართალია, ერთი-ორჯერ სატელევიზიო გამოსვლაში ჩემს ხალხს დავამადლე თავი; ჩემს გარდა სხვა ჭკუათმყოფელი პოლიტიკოსი აქ არ ჩამოვიდოდა-მეთქი, მაგრამ მთლად ასეც არ იყო საქმე. თუ რამე მსურდა მე, ათას ზვირთში გარეულ და ბოლოს ნაფოტივით ისტორიის ქაფზე ატივტივებულ კაცს, ეს იყო საპრასიის პრეზიდენტობა.

თეთრი დათვის დახმარებით მივაღწიე საწადელს.

თავის მხრივ შეკოწიწებისკენ მიბრუნებულმა იმპერიამ საპრასიის უსიტყვო მორჩილება და უფრო მეტიც, იმპერიის მუცელში შებრუნება მომთხოვა.

სხვა გზა არ იყო, დავთანხმდი.

ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგებული და ყაჩაღმორეული დამხვდა.

ხალხს ჩემი იმედი ჰქონდა; მართვა არ ეშლება, დიდი სახელ-გავლენა აქვს, წესრიგს დაამყარებს და საპრასიის საჭეს შემოაბრუნებსო.

არ დაგიმალავთ, მეც მეგონა, რომ ხალხის იმედებს გავამართლებდი. მწარედ მოვტყუვდი. თურმე სხვა საპრასიაში დავბრუნებულვარ. თურმე ყველა ჩემი ძველი მატარებელი გასულა და ისტორიის პლატფორმაზე აღმოვჩნდი, როგორც დაგვიანებული მგზავრი გასული მატარებლის ბილეთით ხელში.

იმით დავიწყე, რომ ცენტრს განვუცხადე, თუ საპრასიელი ხალხის ნდობის მოპოვება გინდათ, თქვენ მიერ წაგლეჯილი და სიმდიებისათვის მოზომილი საბაჩას მიწა, საპრასიას უნდა დავუბრუნოთ-მეთქი.

დამყაბულდნენ. სამშვიდობო ძალები მოითხოვე, ჩვენ შემოვალთ და საბაჩას დაგიბრუნებთო.

ხომ ჯენტლმენური შეთანხმებაა, ავიღო ეს ამბავი ჩემს თავზე-მეთქი?

წყალი არ გაუვაო.

ავიღე ჩემს თავზე საბაჩას მიწის დაბრუნება, იმპერიის სამშვიდობო ძალები შემოვიდნენ, მაგრამ დაპირებულზე სამი თითის კომბინაცია მიჩვენეს.

შევრცხვი ჩემი ხალხის წინაშე, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე.

ცოტა ხნის შემდეგ ცენტრმა გამომიცხადა: ხომ გინდა ჩვენ მიერ საპრასიისთვის წართმეული და უპსუათა მომთაბარე ველური ტომებისათვის გადაცემული ქალაქი ჰანგრა დაგიბრუნოთ და ამით შენი ხალხის თვალში პრესტიჟი აგიწიოთო.

ჩემი ოცნება ეგ არის-მეთქი.

აბა, გაიყვანე შენი ბიჭები ჰანგრიდანო.

გავიყვანო თუ შემოვიყვანო-მეთქი?

ჯერ გაიყვანე, მერე ჩვენ შემოვალთ, ნიშანს მოგცემთ და შემოუძეხი შენს ბიჭებსო.

ხომ ჯენტლმენის სიტყვაა-მეთქი.

კი ნამდვილად ჯენტლმენისაა.

ავიღო ეს ამბავი ჩემს თავზე-მეთქი?

აიღეო.

მალე შემოგრიალდნენ თეთრდათველები ჰანგრაში, თან ჩახუტებულ-ჩაძმობილებულები უპსუებიც შემოჰყვნენ. დღემდე ველოდები, მაგრამ ჩემთვის შემოსვლის ნიშანი არ მოუციათ.

ეს მეორეჯერ მწარედ მომატყუეს და მომატყუებინეს ხალხი. რა ჯენტლმენებთანაც მქონდა საქმე არ ვიცოდი? მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები ხავსს ვეჭიდებოდი და ცოტა თავსაც ვიტყუებდი.

ერთი წლის მერე ჩემი განცხადების ჯერი დადგა და ცენტრს განვუცხადე: ჰანგრა ხომ მოტყუებით წაიღეთ და წაიღეთ, ქალაქ სუნხუას მაინც ნუ გვართმევთ-მეთქი. სამართალი არ არის ქვეყანაზე-მეთქი?

სამართალი როგორ არ არისო, გაიკვირვეს, ჯერ ერთი, შენ, პირადად, ძალიან გვიყვარხარ და, ესეც არ იყოს, ჩვენს კოპწია კუნძულს, საყვარელ საპრასიას როგორ ვაწყენინებთო. სუნხუას ოცდაშვიდი ივლისიდან თითს არ დავაკარებთო.

მაძლევ ჯენტლმენურ სიტყვას? ავიღო ეს ამბავი ჩემს თავზე-მეთქი?

აბა, აბა, აქამდე არ აგიღიაო? როდის იყო ჩვენ, ჯენტლმენები სიტყვას ვტეხდითო.

ამ შეთანხმებიდან ორი თვეც არ იყო გასული, სუნხუაში თეთრი დათვის პირატები შემოგრიალდნენ და უდანაშაულო საპრასიელები ხოცვა-ჟლეტით გამოგვრეკეს ჩვენი მიწიდან.

რა დაგიშავათ ჩვენმა ხალხმა, ან მე რატომ მჭრით თავს-მეთქი ჩავღრიალე ყურმილს.

ცენტრმა მშვიდად მიპასუხა: შენგან არ გვიკვირს? აქ ნამუშევარი მაინც არ იყო. შემოაბრძანე იმპერიაში საპრასია და მეორე დღესვე დაგიბრუნებთ საბაჩასაც და სუნხუასაცო.

ჯენტლმენის სიტყვას ამბობთ-მეთქი?

აიღე, არ წააგებო.

ავიღე ჩემს თავზე იმპერიაში საპრასიას ძალით შეთრევა და ცენტრმა პირობის შესრულების ნაცვლად ჰონის, საგვრიტიას და ქუთაიას წართმევაც მომინდომა.

ნახევრადსაიდუმლოდ საქმეში დასავლეთი რომ ჩავრიე, შერცხვა და კბილის კრაჭუნით დამემუქრა, დამკვირვებელების ამარა დარჩენილს, მუშტი მომიღერა – განანებ, განზე ცქერასო. შემათრიეს ესენგეში.

ეს მე სიკეთეს არ მიზამს-მეთქი და დავპატიჟე საპრასიაში მებახუსე იმპერატორი და მისი ვიწროშუბლა მთავარი პირატი.

ყელზეთოკშებმული, ლამის დაჩოქილი დავხვდი აეროპორტში.

დაბადების დღეც მივულოცე და საჩუქარ-სადღეგრძელოები არ დავაკელი.

წასვლისას გულაჩუყებულმა მითხრა:

კარგი ხალხი ყოფილხართ საპრასიელები. ბოლოს და ბოლოს რას გერჩით, ნამუსიც კარგი საქონელია. ხვალიდან ჰალს გიბრუნებთ და დანარჩენი მერე ვნახოთო.

ჯენტლმენები ბრძანდებით-მეთქი?

აბა რა ვართო.

ავიღო ეს პირობა ჩემს თავზე-მეთქი?

ჰალის დაბრუნებაც ჩემს თავზე ამაღებინეს.

წავიდნენ სტუმრები და მეორე დღეს ჰალიდან ერთბაშად გამოყარ-ამოხოცეს იქ დარჩენილი, საცოდავი საპრასიელები.

ახლა კი თეთრი დათვის ხელმძღვანელობა ჰალს მიბრუნებს კი არა, ზურგმცირესაც მართმევს; დღისით, მზისით, ურცხვად და უსაბუთოდ.

აი, რა მიყო იმპერიამ.

თუ ყურადღებით კითხულობდი ჩემს აღსარებას, მე ჩემი ხალხი ნებით არ გამიყიდია. უნამუსო ტყუილების ჩანჩქერს შემაყენეს. ზოგჯერ ვხვდებოდი მახეს რომ მიგებდნენ, მაგრამ სხვა გზა არ იყო, თვალს ვხუჭავდი.

მეტი აღარ შემიძლია.

მივდივარ და ჩემი ბედი შენი სულგრძელობისთვის მიმინდვია.

ისტორიის საშინელ სარეჯგველაში მოხვედრილი ყელგამშრალი მოვთქვამ და გეაჯები, ნუ გამწირავ.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ იმპერიის სამსახურში შევყავი თავი და გულუბრყვილოდ ვირწმუნე, ამაგს დამიფასებენ-მეთქი.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ საბაჩას მიწის წართმევისას მსოფლიო განგაში არ ავტეხე და თეთრ დათვს სხვა ტყუილებშიც დავყევი.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ტელევიზიით რამდენჯერმე განვაცხადე – უფრო ერთგულად რომ გვებრძოლა, „თეთრ დათვს“ დავამარცხებდით-მეთქი.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ საგვრიტია-ჰონისკენ მომავალ იმპერიულ ტანკებს თვალი ავარიდე და უნებლიედ ვიცრუე – იმპერია კი არ გვიპყრობს ძმათა ომის მსხვერპლნი ვართ-მეთქი.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ოცდახუთმეტიათასი დაღუპული ბიჭი სუნხუაში დავტოვე, მე კი თვითმფრინავში ჩავჯექი და დედაქალაქს მივაშურე. მეორე დღეს, იმის ნაცვლად, რომ ხუთი დღე მაინც პირქვედამხობილი მეგლოვა ჩვენი შვილები, საზეიმოდ თავაწეული ფილარმონიაში წარვუდექი ჩემს თანამზრახველებს და ტაშის გრიალში გავიკვლიე გზა ტრიბუნისაკენ.

რა მეზეიმმელამაზისიტყვებოდა?

ჩემი შეცდომა ძე შეცდომილის შეცდომებს არ შორდება, თუ ჩემს გულში ჩაიხედავს კაცი. არა და ვერც იმათ გავამტყუნებ, ვისაც სჯერა, რომ ჩემი რანგის პოლიტიკოსები ერთსა და იმავე მახეში შვიდჯერ არ მოჰყვებიან, ისინი ოდენ თავისივე ხალხის საზიანო გარიგებებში მონაწილეობენ.

ღმერთი, რჯული, არ არის ასე.

ახლა ყოველ საათს ჩემი ჯდომა პრეზიდენტის სკამზე ახალ-ახალ ცოდვებს ჩამადენინებს და აღარ მინდა ამაო დაპირებებით ვკვებო ჩემი ტანჯული ერი.

ახლა კარგად ვიცი, ვინ არის საპრასიის მტერი, ვინ არის ჩვენი უბედურების თავი და თავი.

ჩემს კვალზე მოსულთ ჩემი ცხოვრების გზა გაკვეთილად მაინც გამოადგებათ.

მივდივარ იმის შეგნებით, რომ ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა, ხოლო ვინც მე ისტორიის სამსხვერპლოდ გამიმეტა, კარგად იცის, რომ შემდგომნი ჩემსავე შეცდომებს არ გაიმეორებენ.

ახლებური გზების ძიების, საპრასიის ახლებურად დამონების ნიჭი კი ამ იმპერიას აღარ გააჩნია.

ჩემს მოტყუებას დაახარჯა საორდღეისოდ შერჩენილი უბადრუკი ძალი და ღონე.

საპრასიელებო, ფხიზლად იყავით!“

არ დაუთმო!

ეს ტბა უწინ საქართველოს შუაგულში მდებარეობდა.

ახლა საზღვარზეა.

ტბის ნახევარი ჩვენ გვიჭირავს, ნახევარი ჩვენს მეზობლებს.

მე ამ სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელი გახლავართ.

წეღან თვალი მოგკარით, ჩემს ოთახში დაკიდებულ რუკას ათვალიერებდით. დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველოს რუკა გახლავთ ის რუკა. თუმცა რაღა ჩემი ახსნა გინდათ. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

ჩემთვის საქართველოს რუკა, ეს რუკაა. სხვამ თავისი საქმე თვითონ იცის. დილით ამ რუკას შევხედავ სახლიდან რომ გავდივარ, ღამით, სანამ დავწვებოდე, ამ რუკას შევავლებ თვალს და ისე ვიძინებ.

ეს ტბა, როგორც მოგახსენეთ, მე რომ მივჯდომივარ ახლა ჩემი ცოლ-შვილით, მთლიანად საქართველოს ტბა იყო. ამის იქეთაც ხუთასი კილომეტრი საქართველო იყო.

შარშან, სექტემბერში ერთი დოცენტი ამოვიდა აქ თბილისიდან სანადიროდ, ჩემთან გაათია ღამე. შევთვერით ცოტა და მე რომ ამ რუკაზე ჩემი დარდი შემოვხაზე, გაეცინა და ჭკუის რიგება დამიწყო: ნუ ამბობ მაგას. აღარ არის ახლა მაგნაირი ლაპარაკის დროო. ისტორიული გამოცდილება ამბობს, რომ რაც წაგვართვეს ქართველებს, იმის უკან დამბრუნებელი ჩვენ არა ვართო. რაღა დროს ტაო-კლარჯეთზე, საინგილოზე, ლორეზე და სოჩაზე ლაპარაკიაო.

შენი თეორიით აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე ლაპარაკსაც უნდა მოვეშვათ-მეთქი.

მოშვებული არა ვართო?

ხომ ხედავ, ჩვენი ხელისუფლება რუსებთან მაღალ დონეზე შეხვედრის დროს უკვე აღარ ლაპარაკობს ამ საკითხზეო.

ჩვენი ხელისუფლება უფრო მსოფლიო პრობლემითაა გატაცებული და იმაზეა გაფაციცებული, დამპყრობელთაგან რომელს მიულოცოს ახალი თანამდებობა.

პარლამენტში მარტო აფხაზეთის ფრაქცია თუ წამოიკვნესებს ხანდახან და იმასაც პოლიტიკური მოუმწიფებლობის იარლიყით აჩუმებენო.

აბა, რა ვქნათ ჩვენ, უბრალო ხალხმა-მეთქი?

დაანებეთ წარსულ დროებზე ტლიკინს თავი და იმას ეცადეთ, რაც შეგვრჩა, ის მიწა მაინც შევინარჩუნოთო, ასე მითხრა დოცენტმა. გვარს არ გეტყვი, გეცნობება უსათუოდ და არ მინდა დასმენასავით გამომივიდეს.

ამნაირი დოცენტი ჰყავს საქართველოს.

მაინტერესებს, შენც ისე ხომ არ ფიქრობ, როგორც ის დოცენტი ფიქრობდა, არა? აგაშენა ღმერთმა!

მთელმა მსოფლიომ გაიღვიძა-მეთქი, შუაზე გაჭრილი გერმანია, ორი მსოფლიო ომის დამწყები გერმანია გაერთიანდა და ჩვენ აღარც ვიჩურჩულსიზმრაოთ წართმეულ მიწებზე-მეთქი? საქართველოს ისტორიული მიწები სხვას რომ მიუტაცნია, დროდადრო არ შევახსენოთ ეს ამბავი მსოფლიოს-მეთქი?

შეხსენებას აზრი არა აქვსო, ისტორიულ მიწებზე ლაპარაკი გაეროს სასაცილოდ ეჩვენებაო. დედამიწაზე არავითარი ისტორიული მიწა არ არსებობს. მიწა, ვინც ზედ ცხოვრობს – იმისიაო.

თუ ასეა, რატომ ერეკება ოთხ მილიონ თურქს გერმანია თავისი მიწიდან, ან რატომ გააძევა იტალიამ მილიონნახევარი ალჟირელი იტალიდან-მეთქი. დღესაც მსოფლიოში თუ სადმე ცეცხლი დაინთება, განა თავისი მიწის შენარჩუნებადაბრუნებისთვის დანთებული ცეცხლი არ არის-მეთქი? ხომ ხედავ, დღესაც ებრძვის საათივით აწყობილ ინგლისში შოტლანდია ალბიონს დამოუკიდებლობისათვის-მეთქი.

მერე ვინ რას მიაღწიაო. წყლის ნაყვაა ეს ყველაფერიო.

მივაკალით ოცდაათიათასი ბიჭი აფხაზეთს, მაგრამ რუსმა მაინც წაგვართვაო.

ა, ასე უნდა აზროვნებდეს დოცენტი, ბატონო?

მე ისტორიკოსი არ გახლავართ, ასტრონომიას ვასწავლი სკოლაში, მაგრამ მთლად ისეც არაა ჩემი საქმე, ყრუანჩელა ვიყო და ჩვენი წარსულისა არაფერი გამეგებოდეს.

ჩავედი რაიცენტრში, მოვაქუჩე რაც საისტორიო წიგნები იყო ბიბლიოთეკაში, ჩამოვიტანე, ჩავუჯექი და ერთ ზაფხულში წავიკითხე ყველაფერი, რაც ჩვენს ისტორიაზე დაწერილა.

არსად, არასოდეს, ამ ბოლო ოთხმოცი წლის გარდა, ხელისუფლებას ქართველი ხალხისათვის არ უთქვამს; კრინტი არ დაძრა იმაზე, რაც წაგართვეს, თორემ მეზობლებს გააღიზიანებო.

გინახავს ასეთი რამ, კაცო?

მეზობელმა თვითონ არ იცის, რა წამართვა, რა არის მისი და რა – ჩემი?

არმად ნაშოვნი, არავის არაფერი შერჩენია.

საიდან მოვიდა დოცენტის თავში ეს გაუგებარი, სულელური აზრი? რამ დაადედლა ჩვენი გენიოსი პოლიტიკოსები ასე ირანის პრეზიდენტთან კრინტს რომ არ ძრავენ იმაზე, რომ ერთ დროს შაჰაბასმა ორასი ათასი ქართველი აყარა კახეთიდან და ფერეიდანში გარეკა, თურქეთის მეჯლისში გამოსვლისას გადაკვრითაც რომ არ ახსენებენ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მილიონობით ქართველს. თვითონ ის კაცი გეუბნება, თურქეთის მთავრობაში რამდენიმე ქართველი მინისტრი ვართო, თურქეთის პარლამენტში რამდენიმე ქართველი ვართო და შენ რა ღმერთი გაგიწყრა, თვალს რომ არიდებ ამდენ ქართველს, შე კაი კაცო? აზერბაიჯანის პრეზიდენტი გეუბნება, საქართველოში მძლავრი აზერბაიჯანული დიასპორაა და კარგად შემინახეთო, შენ კი საინგილოში, ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ სამოციათას ქართველს უმალავ აზერბაიჯანის პრეზიდენტს და კომგაკვირვებასაც (კომუნის-

ტური, ყალბი გაკვირვება) არ გამოთქვამ იმის გამო, რომ ქართველებს საინგილოში ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მუხანათურად შეუცვალეს გვარეროვნება. სოჭის ოლქს რომ თავი დავანებოთ, გუშინწართმეულ აფხაზეთ-სამაჩობლოზეც ყოველდღე ულტიმატუმს არ უყენებთ უსინდისო რუსს და თქვენაა პატრიოტობაზე და ერის მამობაზე რომ დებთ თავს? თქვენი იმედი უნდა მქონდეს ამ საუკუნის ბოლოს დამარცხებულ, გალახულ და ჩექმით გათელილ ქართველს?

ჩავხედე-მეთქი საქართველოს ისტორიას. მთელი ჩვენი ისტორია ქართული მიწების წართმევა-დაბრუნების ამბავია, სხვა არაფერი. სამაჩაბლო და აფხაზეთი კი არა, საქართველოს გული – თბილისი ჰქონდა წაღებული ლამის ოთხასი წელი მტერს და ბოლოს მაინც წავართვით. წავართვით, იმიტომ რომ არასოდეს არ შევგუებივართ ვახტანგ გორგასალის ქალაქის წაგვრაწაგლეჯას. არც ერთი დღით სხვისად არ გვიგულგვიგულისხმია თბილისი. წაგვართვეს კახეთი, დავიბრუნეთ, წაგვართვეს ქართლი – დავიბრუნეთ, ჩამოაჭრეს საქართველოს იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი ისევ შევკარით საქართველო ერთ მუშტად. ბოლოს ბიზანტია-არაბეთ-მონღოლ-სპარს-სელჯუკობა რომ ჩახვეტა ისტორიამ, როგორც დამყრობელდამმონებელი და გააგდებინა სხვის დასაჩაგრავად აღებული შუბი ხელიდან, სკვითმა გაიღვიძა და დაგვიპყრო ახალმა რუსულმა იმპერიამ. დაგვიპყრო და ხალხთა საპყრობილეში შეგვრეკა. ასჩვიდმეტი წელი ვგმინავდით რუსის უღლის ქვეშ და 1918-ში გადავიგდეთ ის უღელი, სამ წელიწადში ისევ დაგვიპყრო, 1990 წელს შეტორტმანდა იმპერია და გაღმა გავცურეთ, მაგრამ დაგვეწია ჯალათი და 1993 წელს ისევ დაგვადო თავისი ბინძური ჩექმა კისერზე.

არა უშავს. გავუძლებთ. კვლავ მალე დაინგრევა ხალხთა საპყრობილე და ისევ მივუშვებთ შუბლს ქართველები თავისუფლების ნიავს.

ტერიტორიის წართმევა, დაპყრობა, ცემა-გვემა დამარცხებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

ერთადერთი ნაკლი გვაქვს ქართველებს: წრეგადასული ეროვნული ხელგაშლილობა.

ჩვენი დამარცხება აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე უხეში შეფარებული ეს სტუმარგველები იარაღს მოგვიშვერდნენ და შვილებს დაგვიხოცავდნენ.

„დაუთმე – პატარაა“, „ნუ უპასუხებ, არ გეკადრება“, „ნუ დაეშვები მის დონემდე“, „ნუ აწყენინებ, სტუმარია“, „შენ ხომ მასპინძელი ხარ, უნდა მოითმინო“...

აი, რამ დაგვღუპა და რამ ჩაგვაგდო ამ დღეში.

ჩვენ ომი მაშინ წავაგეთ, ჩვენს მიწა-წყალზე გადამთიელებს პატარა სახელმწიფოები რომ გამოვუჭერით, მათი ცრუ ზღაპარ-ლეგენდები დავიჯერეთ, წერა-კითხვის მცირემცოდნე ველურ გადამთიელებს უნივერსიტეტები რომ გავუხსენით და უჟურნალისტო „ერს“ ტელევიზია რომ გამოვუჩარხეთ.

ჩვენ მებრძოლის აზროვნებით უნდა აღვიჭურვოთ, თორემ არაფერი გვიშველის. თითოეული ქართველი ჯარისკაცად უნდა თვლიდეს თავს და პასუხს უნდა აგებდეს თითომტკაველი ქართული მიწისთვის.

ჩვენი სოფლის ამბავს გეტყვი.

არეულობა რომ დაიწყო, მეზობლებმა იფიქრეს; ამათთან მონასტერი აირია, ვერაფერს გაიგებენო და, იმ დაჟანგულ კატერს ხომ ხედავ, ლერწმიანში, აიღეს და ორმოცდაათი მეტრის აქეთ ჩამოსწიეს.

ნახეს ჩვენმა მეთევზეებმა, მაგრამ თვალი აარიდეს, აქაოდა რა მნიშვნელობა აქვს, ძრავაამოცლილი, უმოქმედო კატერი სად ეგდებაო.

თვე არ გასულა, გაღმელებმა ნავები დააბეს კატერთან. მალე ჩვენ მხარეს, საზღვარსგამოღმა იმათი ქოხიც გაჩნდა.

მეთევზეები იქეთ-აქეთ ერთმანეთს მეგობრობენ და არც ამაზე დაუწყიათ განგაშგაწევა.

ერთ ღამეს დაჟანგული კატერი ეგერ ე, იმ თხმელებთან მოათრია ვიღაცამ.

მოვიდა ჩემთან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ღორჯოს“ ბრიგადირი ხვისტანი და მითხრა – ასე და ასეა საქმე, სანამ ვითმინოთ ეს ამბავიო.

ჩავიყვანე ათიოდე ბიჭი. დავუბით ნაპირიდან ბაწრები კატერს და უკან მივათრევთ.

თითქოს ნიშანს ელოდნენო, თითქოს იქვე იყვნენ ლაქაშებში მიმალულებიო, მთელი იმათი სოფელი დაგვეცა თავზე.

კატერი ადგილიდან არ გაარყიოთ, თორემ სისხლი დაიღვრებაო.

დიახაც რომ სისხლი დაიღვრება, ოღონდ ვისი, ამას ვნახავ-მეთქი.

არის გადაძახილ-გადმოძახილი. მოდიან ფიწალ-ნიჩბებით.

ახლა თუ შევშინდით და უკან დავიხიეთ, მოგვჭამა ჭირი ამ ნაპირმა.

სოფელში ბიჭი ვაფრინე, ვისაც სიარული შეუძლია, ქვაკეტი აისხას და ამ წუთში აქ გაჩნდეს-მეთქი.

მანამდე დრო უნდა მოვიგო;

უხუცესებს დაუძახეთ, მოვითათბიროთ, გავარკვიოთ; თქვენ შემოხვედით ჩვენს ადგილზე, თუ ჩვენ – თქვენსაზე-მეთქი.

გამოვიდნენ უხუცესები.

ღერღავენ, ჟეჟვატეხავენ, ქოთქოთებენ; ასეო, ისეო უწინ მართალია იქ გადიოდა საზღვარი, მაგრამ „იმის უწინ“ აქ გადიოდა და საერთოდ, ეს ადგილი ჩვენთვის უფრო მოსახერხებელიაო.

რას ჰქვია მოსახერხებელი, ხუთი მილიონი ლიფსიტა გვყავს ამ ადგილზე გაშვებული-მეთქი.

მერე? დაზარდეთ თქვენი ლიფსიტები, ჩვენ ნაპირი გვინდა, წყალს ხომ არ გართმევთო, ჭკუაში გვატყუებენ.

ამასობაში ხორხოცგნიასი გაისმა, სანაპირო ჩვენი ხალხით გაივსო.

დიდი... პატარა... ქალი... რძალი... მოხუცი... ახალგაზრდა... დევნილი... ლტოლვილი... სვანეთიდან ჩამოადგილებული, აჭარიდან ჩამოსახლებული...

მოდიან... მოდიან... მრისხანედ ტუჩმოკუმულნი, მუშტშეკრულნი, თავაწეულნი, დამარქაფებულნი...

„ჩვენ კიდევ მიწის წართმევა გვინდაო?!“

არის რამე აქოჩრილაპოპრილ, ერთი ფიქრით შეკრულ ხალხზე უფრო ლამაზი?

ცოტა ხანს თვალებით გვზომავდნენ.

მერე იკადრეს უკან დახევა.

გავათრიეთ კატერი და საზღვარზე დავდგით. იქვე ნიშნები დავასვეთ და მავთულის ღობეც გავჭიმეთ.

არც მისხალი სხვისი გვინდა და ვერც ჩვენსას დაგითმობთ, არ გეწყინოთ მეზობლებო-მეთქი.

ახლა მშვენივრად ვართ ერთმანეთთან.

მივდივ-მოვდივართ, ვდოსტვყონაღობთ, ვძმადნაფიცობთ.

რომ დაგვეთმო მაშინ?

მადა ჭამაში მოვიდოდა...

ჯოჯოხეთი

– როგორაა საქმე?

– ძველებურად ბატონო.

– არც ერთი ცალი?

– არა.

– რაშია ვითომ საქმე?

– არ უნდათ, ბატონო. საჩუქრადაც რომ გაატანო, არ კიდებს ხელს ის კაცი. გაზეთს, ასე თუ ისე, კიდევ ყიდულობენ, ჟურნალს სათოფეზეც არ ეკარებიან.

რა ექნა დომენტი ბიბიჩაძეს. ვიტრინაშიც გამოადებინა თავისი ჟურნალი მეჯიხურეებს. იქნებ უფრო მიაქციონ ყურადღებაო და ქუჩაშიც, ცალკე, ტაბურეტის სკამზეც დააწყობინა, მაგრამ ყოველდღე ზუსტად ისეთი საუბარი ჰქონდა პრესის გამყიდველებთან, როგორც ამ ნოველის დასაწყისში წაიკითხა, ძვირფასმა მკითხველმა.

ვერ ვიტყვი, მეჯიხურეები არ წუხდნენ-მეთქი, ჟურნალი „გრდემლი“ რომ არ საღდებოდა. ისინი უთანაგრძნობდნენ კიდეც ჭარმაგ რედაქტორს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ამ ეტაპზე ჯიხურში გამომწყვდეულ კეთილშობილ მოქალაქეებს თანაგრძნობის გარდა არაფერი შეუძლიათ.

დომენტი ბიბიჩაძემ ჯიხურებს ჩამოუარა, „გრდემლის“ მკვიდრადგაუსაღებელი ტირაჟი თავის ძველთაძველ, ცისფრადმბოლავ „ჟიგულში“ ჩააწყო და გადაწყვიტა, ბაზრებში ეცადა ბედი. ბაზარში მილეთის ხალხი ირევა და, ვინ იცის, იქნებ ჟურნალის მყიდველიც გამოჩნდესო.

თბილისში, ახლა, ოცდათვრამეტი ლეგალური და თოთხმეტი არალეგალური ბაზარია. ლეგალურ ბაზარში ძირითადად თურქეთის საქონელი, პომიდორი და ნაგვიანევი ალუჩა

იყიდება. არალეგალურში თევზი, ხიზილალა, ზეთისხილი და შიგადაშიგ ნარკოტიკებიც.

დომენტი ბიბიჩაძე თავს წესიერ კაცად თვლიდა და საქმეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ დაწესებულებებთან იჭერდა.

ბაზარ „სარეჯგველას“ დირექტორის კაბინეტში დომინოს ატკაცუნებდნენ. კარი ღია ჰქონდათ. ინტელექტუალური თამაშით გართულებს კარებში დომენტის შესვლა არ გამოპარვიათ, ერთმა გამხდარმა თაგვისფერპიჯაკიანმა კაცმა საანგარიშოს ჩამოჰკრა და ისეთი ღიმილი შეაგება სტუმარს, დაგვიანებით მოვლენილ უცხოელ დამკვირვებლებს რომ შეაგებებენ ხოლმე სინდისის პატიმრები.

ორი მოდომინე უკანსვლა – ღიმილით გაუჩინარდა.

– ბოდიშს ვიხდი, მგონი, უდროო დროს შეგაწუხეთ... მე, ისა „გრდემლის“ მთავარი რედაქტორი დომენტი ბიბიჩაძე ვარ.

– გიცნობთ, ბატონო, მამაჩემის და ვოროშილოვის არ იყოს. თქვენ არ გვიცნობთ, თორემ ბიბიჩაძეს ვინ არ იცნობს კაი მწერალი, კაი კაცი.

– მაგდენის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ რაღაცას ვცდილობთ, ვჩირთიფირთობთ... რაზე შეგაწუხეთ ახლა ჩემო... თქვენი სახელი?

– ბეჟანი, ბატონო.

– რაზე შეგაწუხეთ, ჩემო ბეჟან. ჩვენი ჟურნალი, თუ კითხულობთ, არაა ცუდი ჟურნალი. გულის მოსაფხან სიტყვას მაინც ამბობს ხანდახან.

– მართალი ბრძანებაა.

– მე და ჩემი თანამშრომლები, იმ მკვდარ შვილს ვფიცავ, უხელფასოდ ვმუშაობთ და არც გვინდა კაპიკი აქედან, მაგრამ სტამბის ხარჯი ხომ მაინც უნდა გავისტუმროთ. არა და უსაშველო ხარჯს გვაწერს ამ ბოლო დროს სტამბა, რა ჰქნას იმანაც. ეგებ მოგვეხმაროთ.

– რაში პატივცემულო? ჩვენ ბანკში ერთი კაპიკი არა გვაქვს. გაგვიუქმეს ანგარიში. რომც გვქონდეს, მაინც აკრძალული გვაქვს სპონსორობა. წავიდა ის დრო. ახლა სახელმწიფომ – მარტო მე მაჭამეთო.

– არა, ბატონო, სპონსორობას არ გთხოვთ. სპონსორის ძიება რომ მათხოვრობასთან გააიგივეს ამ ბოლო დროს, კარგად ვიცი, ამიტომ ჩემ თავს არ ვაკადრებ მათხოვრობას. იქნებ ჟურნალის გასაღებაში მოგვეხმაროთ-მეთქი. წაიღებს კაცი, წაიკითხავს.

– მიწა გამისკდებოდეს ახლა და ჩამიტანდეს, არ სჯობია? – შეიცხადა ბაზრის დირექტორმა – თქვენისთანა კაცისთვის უარის თქმას სიკვდილი არ მირჩევნია? ჟურნალს უხსენებ შენ, ლექსს და მოთხრობას უხსენებ მთავრობაზე გამწარებულ, ამ, დამშეულ ხალხს?

– მთავრობა სხვაა და ჟურნალი სხვაა, ბატონო ბეჟან, ამათ ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ!

– მე ვიცი, მაგრამ ამათ იციან? ჰგონიათ ლექსი და მოთხრობაც ხელისუფლებიდან მოდის. როგორც ზღარბს, ისე იღებენ წიგნს ხელში.

– ხომ არ გვეცადა მაინც.

– ყოველდღე მაგ საკითხზე არ მაქვს ჩხუბი, ბატონო? თქვენ პირველი კი არ ხართ. არ ჩამოგითვლით ახლა გვარებს, ვინ არ მომიტანა ლიტერატურა გასასაღებლად, ახლა დატოვებითაც აღარ ვიტოვებ. არ უნდათ, მორჩა და გათავდა. მე თქვენ არ მიცნობთ, თორემ არც მე ვარ მწერლობიდან მთლად შორს მდგომი კაცი ბეჟანი გახლავართ, მე გარაყანია, – ბეჟანმა უჯრა გამოსწია და ორი წიგნი დაუდო წინ „გრდემლის“ გაწამებულ რედაქტორს. ერთს, თხელყდიან, მომცრო წიგნს „ბეჟან გარაყანია, ლექსები“ ეწერა და ყდაზე რატომღაც მარტორქა ეხატა. მეორეს – „ბეჟან გარაყანია, ლექსები და პოემები“. წიგნის ტიტულზე ავტორის თმაშეთხელებული, მაგრამ იმედენერგიულად გამომზირალი სახე შემოგანათებდათ.

– ა, ამ წიგნების ავტორი ვარ მე.

– თქვენ ბრძანდებით გარაყანია? – ასე ყალბად ჯერ არაფერი უთქვამს მწერალ დომენტი ბიბიჩაძეს – მეც არა ვთქვი... მეც არა ვთქვი? როგორ არ გიცნობთ... წამიკითხავს... უბრალოდ აქ არ გელოდით.

– წაკითხვით არაფერი გექნებათ ჩემი, წაკითხული, რადგანაც ამ წიგნებამდე სტრიქონი არ დამიბეჭდეს რედაქტორებმა. მაგრამ წყენა რა შუაშია. მწერლები და პოეტები ძმები ვართ ერთმანეთის. მერე რა, მე პოეტი ვარ, თქვენ პროზაიკოსი. ჩემთვის დიდი სხვაობა არ არსებობს. მე პოეტობის გამო ზემოდან არასოდეს დავყურებ პროზაიკოსს. პროზაიკოსსაც თავისი ადგილი აქვს.

– ოღონდაც... ოღონდაც... პროზაიკოსიც, ასე ვთქვათ, მწერალია...

დომენტი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა სიტყვებით დამშვიდობებოდა პოეტ გარაყანიას. „გრდემლის“ გასაღების იმედი ამ ბაზარში მას საბოლოოდ გადაეწურა.

პირველს აღარაფერი აკლდა დომენტი ბაბიჩაძემ ბაზარ „ოჩხამურის“ ახლოს, დემოკრატიის ჩიხში რომ შეაყენა მანქანა და კიბეს აუყვა.

ცხელოდა ზუსტად ისე, როგორც შეიძლებოდა ცხელოდეს შუაზაფხულის თბილისში დღის პირველ საათზე.

კარგა ხანს იცადა დირექტორის კარებთან, მაგრამ შესვლა ვერ მოახერხა. ერთადერთხელ, მდივანთა ინსტიტუტის შემოღების ასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ბაზრის დირექტორის მდივანი არ ცრუობდა. დაკავებულია, სტუმრები ჰყავსო, უთხრა მან ბიბიჩაძეს და ბაზრის დირექტორს, მართლაც, სტუმრები ჰყავდა.

– შესვენებაზე ხომ არ წავა? – საათზე დაიხედა „გრდემლის“ რედაქტორმა.

– არა, ბატონო, შესვენებაზე საერთოდ არ მიდის. ახლა... რა ვიცი... შეიძლება სტუმრებს გაჰყვეს.

– იქნებ მოახსენოთ, მწერალთა კავშირიდან გელოდებიან-თქო, თუ შეძლებს დღეს მიღებას, თუ არა და სხვა დროს გეახლებით...

მდივანი გოგონა კაბინეტის კართან შეჩერდა და მოიხედა.

– ბოდიშს ვიხდი, რა საქმეზეო რომ მკითხოს?

– ვერლიბრის, – ანგარიშმიუცემლად მიუგო დომენტიმ, ცნობისმოყვარე ქალს – ვერლიბრის ჟანრულ-სტილურ თავისებურებებზე უნდა ვესაუბრო.

მდივანი შევიდა და ორი მამაკაცი ფეხდაფეხ გამოიყოლა.

ერთს – თეთრპერანგოსანს ხელთ სომბრერო ეჭირა, მეორეს – უსომბრეროს, ზუსტად ისე ეცვა, როგორც საბჭოთა კავშირში ამ ორმოციოდე წლის წინათ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ინდოეთის პრეზიდენტ – ჯავახარლალ ნერუს.

– შებრძანდით – მდივანმა „ვერლიბრის თეორეტიკოსს“ გაუღიმა.

ბიბიჩაძემ ხერხს მიმართა: ვაი თუ ჩემი მწერლობით დიდად არ ვეპიტნავო ამ პატიოსან დირეოქტორსო და რესპუბლიკის ხელისუფლების ავტორიტეტს ამოეფარა.

მეო, ხელისუფლების თხოვნა-შუამდგომლობით ვარ თქვენთან მოსულიო, პარლამენტის ერთ-ერთი სპიკერი გირეკავდათ, მაგრამ ვერ დაგიჭირათო, უჭირს მწერლობას და თხოვნაა ზემოდან – უნდა დაგვეხმაროთ ჟურნალ „გრდემლის“ გასაღებაშიო.

– რად მინდა ბატონო ხელისუფლების ხსენება. ხელისუფლება დღეს არი და ხვალ არ იქნება. ხელისუფლება მინდა მეე? რომელ ხელისუფლებას არ სჯობიხართ თქვენ ჩემთვის. ხომ ბიბიჩაძე ბრძანდებით, თვალი ხომ არ მატყუებს? სხვას რომ ეთქვა ერთი კვირის წინ, არ დავიჯერებდი, თუ ბიბიჩაძეს ჩემს კაბინეტში ვნახავდი და ხელის ჩამორთმევა მომიწევდა. თქვენ რომ ტელევიზორში დაგინახავთ, იმ საღამოს თქვენ სადღეგრძელოს სვამს მთელი სადარბაზო. ჩვენს სახლში ასეა, და სხვაგან, რა ვიცი. ალბათ, მაგინებელიც ბევ-

რი გეყოლებათ. რად უნდა თხოვნა მაგ საქმეს. თქვენ თუ არ დაგეხმარებით, აბა ვის უნდა დავეხმაროთ. ბაზარი იმისია, რომ უნდა გავასაღოთ „გრდემლი“, აბა რა უნდა ვქნათ. რამდენი ცალი გაქვთ?

– ჩვენ ხუთასი გვაქვს, მაგრამ თქვენ მხოლოდ ას ცალს შემოგთავაზებთ. მეტით აღარ შეგაწუხებთ.

– თუ შეიძლება სამი ცალი ამოვიღოთ?

ბიბიჩაძემ ჩანთა გახსნა და ბაზრის დირექტორს სამი ჟურნალი გაუწოდა.

დირექტორს ჟურნალისთვის არც დაუხედავს.

– ა, ბატონო, ჩამოვიაროთ ერთად. თქვენ შორიახლო მომყევით. მე შევთავაზებ, მე თვითონ ხომ დირექტორი ვარ. თქვენ იმიტომ გთხოვთ გვერდით დადგომას, რომ დარწმუნდეთ, ვისთან მაქვს საქმე.

დომენტი უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. დირექტორმა კაბინეტის კარი გამოიკეტა და ორივენი სკასავით მობზუილმოფუსფუსე ბაზრის პირისპირ დარჩნენ.

მერე რაც მოხდა, ჯოჯოხეთში გათამაშებულ სცენას წააგავდა. ბაზრის დირექტორი ჯიხურს მიუახლოვდებოდა; ჟურნალი მივიღეთ გადასარევიო. მეჯიხურე ჯერ სიცილძიგძიგს დაიწყებდა, მერე რაკი სახეზე შეატყობდა, რომ დირექტორი არ ხუმრობდა, სიცილს მოსხეპდა და ამოიოხრებდა:

– ხუმრობთ იოსიპოვიჩ? ჟურნალი უნდა ჩემს მშიერ ბავშვებს? თავზე არ დამახევს ჩემი ქმარი საღამოს პურის მაგივრად ჟურნალი რომ მივიტანო სახლში? დილის რვა საათიდან აქ ვარ და ჯერ ერთი „სნიკერსი“ არ გამიყიდია.

– ეს კაცი ფულს კი არ ითხოვს, უფასოდ გირიგებთ ჟურნალს, – ფირფიტას შეცვლიდა დირექტორი, მაგრამ მეჯიხურეები არც ამ ანკესზე ეგებოდნენ. არ გვინდა, დიდი მადლობა, არ გვინდაო, ხელებს ასავსავებდნენ.

მეორე ჯიხურშუკაში შესვლა უაზრობა იყო. ბიბიჩაძემ ჭიშკართან სამივე ჟურნალი გამოართვა მკითხველთა

გულგრილობით შეძრწუნებულ დირექტორს და მანქანისკენ გააბიჯა.

კარის გაღებისთანავე ცხელი ოხშივარი ცხვირპირში ეცა.

ორივე კარი გააღო და დაელოდა, სანამ მანქანაში ტემპერატურა იმ დონემდე დაიწევდა, ფალავანთა კლუბის ორთქლის აბანოში რომ არის ხოლმე.

ბაზარ „ჩაილურის“ დირექტორმა ყურადღებით მოუსმინა, ჰაერმბერი თავისკენ შეატრიალა და ჰკითხა:

– რა წერია თქვენს ჟურნალში პატივცემულო?

– ლექსები, მოთხრობები, წერილები...

– ვისი?

– თანამედროვე პოეტების... წაიკითხავთ, მოგეწონებათ...

– ვის ლექსებს და მოთხრობებს გვთავაზობს თქვენი ჟურნალი, ბატონო, იმ მწერლებისას ხომ არა, ზვიადის გათავისუფლებული საქართველო ისევ იმპერიაში რომ შეათრიეს? როგორ ფიქრობთ ახლა თქვენ, ამ ხელისუფლების ტაშის კვრაში ხელზე სამპირტყავგამძვრალი მწერლების ნაწერს წავიკითხავთ ჩვენ? ერთი კარგი პოეტი სხვას რომ აფრთხილებდა, არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავშიო და თვითონ ისე საიმედოდაა ჩამხტარი, რომ გიგანტამწევითაც ვერ ამოჰყავთ იქედან? ამ ოცი წლის წინ საქართველოს დაქუცმაცების წინააღმდეგ მშვენიერი ლექსი რომ დაწერა და ახლახან საჯაროდ რომ უარჰყო თავისივე ლექსი? ვისი ლექსები და მოთხრობები წავიკითხოთ, ბატონო, ვის გვირჩევთ? ზოგი მწერალი კრინტს რომ არ ძრავს საქართველოს დღევანდელ სატკივარზე და პირგამშრალ ჟურნალისტებს პასუხობს: მე ჩემი დუმილით ვამბობ ჩემს სათქმელსო იმის ნაწერს წავიკითხავ მეე?

– თქვენ ერთი კაცი ხართ. იქნებ სხვა ასე არ ფიქრობს.

– ვინ სხვა, პატივცემულო?

– სხვა... მყიდველ-გამყიდველი... ბაზარი დიდია.

– ამ ბაზარში შვიდლარხელფასიანი მომხმარებელი დადის ბატონო და დიდი უმრავლესობა ჩემსავით ფიქრობს. თუ

გნებავთ, გავიაროთ და ახლავე დაგარწმუნებთ. რაც შეეხება გამყიდველებს, გეცოდინებათ, ალბათ, ჩვენს ბაზარში ოთხმოცდაათი პროცენტი არაქართველი დგას დახლთან. ვინ იყიდის და ვინ წაიკითხავს ჟურნალ „გრდემლს“, მემწვანილე ბაჯი თუ მეწვრილმანე არტაშეს პოღოსიანი?

– კი მაგრამ... რატომ მოხდა ასე?

– მე მეკითხებით ამას ბატონო? დაგავიწყდათ, რას გაჰყვიროდნენ საქართველოს ცეკას პირველი მდივნები? ჩვენი სიძლიერე ჩანს მრავალეროვნულობაშიო! ჯერ არ მომხდარა ისტორიაში ეროვნულად ჭრელი ქვეყანა ბოლომდე ძლიერი ყოფილიყოს. ადრე თუ გვიან იგი აუცილებლად იქცევა ეთნოომების ასპარეზად.

– ეგ მართალია.

– მერე? სწერია თქვენს ჟურნალში საქართველო წასვლადაგვიანებული სტუმრებისაგან უნდა გაიწმინდოსო?

– ეგ... ახლა... მთლად ასე პირდაპირ... ეთიკური არ გამოვა... მსოფლიო ვერ გაგვიგებს.

– რას ვერ გაგვიგებს მსოფლიო? დღეს სომხეთში არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი და აზერბაიჯანში არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი, მაგრამ მსოფლიოს თავი არ მოუკლავს. სამაგიეროდ, ჩვენ ვართ ინტერნაციონალური ლაბორატორია. დღეს საქართველოში ნახევარზე მეტი არაქართველი ცხოვრობს. ეს იცი რას ნიშნავს? მალე საქართველოში ქართველ პრეზიდენტს ველარ ავირჩევთ. ჩვენ 1993 წელს რუსეთთან ომში რომ დავმარცხდით, ეგ არ იყო ისე დიდი უბედურება, როგორიც დემოგრაფიულ ომში ჩვენი დამარცხება გახლავთ. რატომ გაუჩუმდით თქვენ ქართველები ქართულ მიწაზე უცხო ტომის ასე გულუხვად ჩამოთესლებას?

– არ გავუჩუმდით, მაგრამ...

– ჰოდა მაგ „მაგრამმა“ და პირში წყლის ჩაგუბებამ დაგვღუპა ჩვენ...

* * *

მკითხველის ნერვებს მოვერიდები და დიალოგს აქ ვწყვეტ.

... 1996 წლის 19 ივლისს თბილისში, შუაღამისას, თავისი ოროთახიანი ბინის შეუმინავ აივანზე ჟურნალ „გრდემლის“ მთავარმა რედაქტორმა დომენტი ბიბიჩაძემ თავი ჩამოიხრჩო.

ჰუმანიტარული დახმარება

ინტელიგენტი ვარლამ ქესაძე თავისი ოროთახნახევრიანი ბინის გაცივებულ ლოჯიაში პალტომოხურული იჯდა და ძველ გაზეთს კითხულობდა.

ინტელიგენტი ცუდ ხასიათზე იყო.

ყოველღამე ესიზმრებოდა, თითქოს ეთიოპიაში, ათასობით განწირულ ეთიოპიელს შორის ქვიშაძე იწვა და შიმშილით კვდებოდა. დილით გაბურბუსალებული იღვიძებდა და უკვირდა, რომ ცოცხალი იყო.

ინტელიგენტმა უშაქრო ჩაი დალია. ფეხზე უნივერსალური წებო „მომენტით“ სამ ადგილას დაწებებული რეზინის ჩექმები ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა.

თებერვლის ცივი, გაუსაძლისი დღე იყო.

ვარლამ ქესაძეს ეგონა, რომ ქარი იმის მიხედვით იცვლიდა მიმართულებას, საითკენაც ინტელიგენტი შეატრიალებდა თავს, რათა ცხოვრებისგან ისედაც გაწამებული კაცისთვის ერთმანეთში არეული ნამქერი და მტვერი სახეში შეეყარა.

გამგებლის მისაღები ცარიელი იყო.

„ალბათ არ მოსულა, მაგრამ ლოდინითაც რომ არავინ ელოდება? თუმცა რა უნდათ, რომ აკითხონ, მე შენ გეტყვი, მიხვალ ახლანდელ გამგებელთან და სარჩო-საბადებელს გაგიჩენს, ან სამსახურის და ბინის პრობლემას გადაგიწყვეტს“.

მდივანი გოგონაც არსად ჩანდა.

კარი შეაღო.

– შეიძლება?

მაგიდასთან მჯდომმა გამგებელმა წამოუდგომლად დაუქნია ხელი. გამგებელს ყურებიანი კრაველის ქუდი ეხურა და მოლისფერი დრაფის პალტოს საყელოში დათვისფერი „მოხერის“ რიდე ჰქონდა ჩატენილი.

– მე ყოფილი მასწავლებელი გახლავართ, ბატონო, ვარ-ლამ ქესაძე, მათემატიკოსი ვარ. თქვენ, ალბათ, არ გეცო-დინებათ, ახალი კაცი ბრძანდებით – დაიწყო ინტელიგენტმა, მოსულ-დამხვდურმა სალამ-სალამი რომ დაამთავრეს და, როგორც იმერეთში საქმიანი საუბრის დაწყებამდე აუცილე-ბლად მიღებულია, – ერთი-ორი სიტყვით ამინდსაც შეეხნენ.

– გიცნობთ ბატონო, რატომ ყოფილი?

– სკოლაში აღარავინ დადის ბატონო და უმოსწავლო მას-წავლებელი არ გამიგონია მე.

– დროებითი ამბავია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. რომ არ შეგვეწყვიტა სწავლა, დაგვეყინებოდნენ ბავშვები. დათბება და აპრილიდან განვაახლებთ.

– კი განაახლებთ, თუ დარჩა სკოლა. მერხებს იპარავს გამწარებული ხალხი, ბატონო, და შეშად ჩეხავს.

– შეგნების ამბავია, პატივცემულო. ეს ვართ სუულ? მეტი ვერ უნდა მოვითმინოთ? რომელი სკოლაა თქვენი?

– მეთოთხმეტე.

გამგებელმა შარშანდელი კალენდრის ფურცელს რაღაც მიაწერა.

– მე სხვა რამის სათქმელად გეახელით, ბატონო. გაქვთ ცოტა დრო რომ მომისმინოთ?

გამგებელმა თავი დაუქნია. თუმცა ინტელიგენტმაც უკვე მშვენივრად იცოდა, რომ გამგებელს დრო თავზე საყრელად ჰქონდა.

– რა არის იცით? გუშინ ჩამოიარა ვიღაცამ და; ოცდახუ-თიდან სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში გამოცხადდით ჰუმანიტარული დახმარების მისაღებადო.

– მერე? ოცდახუთია დღეს?

– დღეს ოცდაორია. ქე ვიცი, ნუ გეშინიათ, მთლად მასეც არაა ჩემი საქმე, მარა მე წინასწარ იმიტომ მოვედი, რომ გამოგიცხადოთ; უარს ვამბობ ჩემს წილ ჰუმანიტარულ დახ-მარებაზე და ეგება, საერთოდაც, მთელმა რაიონმა ვთქვათ უარი.

– იქნებ თქვენ არ გიჭირთ, პატივცემულო, სხვა რას ერჩით, ხალხი შიმშილით კვდება.

– მე რომ მიჭირს, ისე გაუჭირდა შენს დამაწყევარს, ბატონო, მაგრამ მაინც უარს ვამბობ, ასეა ეს...

– რატომ მაინც? – გამგებელმა პალტოს ჯიბიდან ხელთათმანები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

– რატომ და მესამე წელიწადია ამ დახმარებაზე ვღაღადებთ და ჩვენამდე პირველად მოვიდა. თუმცა, მოვა თუ არა ნამდვილად, ესეც საკითხავია. მაგრამ, როგორც ხმა ისმის, ვიღაცას მაინც ხმარდება ეს დახმარება. მეორეც, ბატონო, დამიჯერეთ მე, სამოცდაშვიდი წლის კაცი ვარ, ამათხოვრებს, აბეჩავებს, ამონავებს კაცს ეს დახმარება. გთრგუნავს, თუ ცოტა ვაჟკაცობა და სიამაყე მაინც შეგრჩა, თავმოყვარეობას გილახავს. ამასაც რომ თავი გავანებოთ, სხვის ხელში შემყურეობა აზარმაცებს ადამიანს. დახმარების იმედი რომ აღარ ექნება, ხელს გამოიღებს კაცი. ფრჩხილებით მოჩიჩქნის, ცხვირით მოხნავს მიწას და რაღაცას მოიყვანს, რაღაცას დათესავს. ხომ ხედავთ, წელსაც დაუმუშავებელი გვრჩება ყანები. ტრაქტორი და საწვავი არ გვაქვსო, თავს ვიმართლებთ. სად ჰქონდა ჩვენს წინაპარს ტრაქტორი, მარა რავარი ლურჯი პური მოდიოდა საქართველოში. დავანებოთ ამასაც თავი, თუ გინდათ. გადაიხედეთ ფანჯრიდან: ე, ეგერ იყიდება ჯიხურებში ჰუმანიტარული დახმარება. ჩემნაირ საწყალ კაცს არ ხვდება ეგ, ბატონო, მაფიას და სპეკულიანტს ამდიდრებს. ჩვენ ისე გადმოგვიგდებენ, უბრალოდ, ფიცში ჩასაყოლებლად. არ გვინდა არანაირი დახმარება, ხომ შეიძლება რომ არ გვინდოდეს? ერთი მომენტიცაა მანდ. გაგაზარმაცებს, შრომას გადაგაჩვევს ჰუმანიტარული დახმარებით ის კაცი და ბოლოს, რომ მოსწყინდები, იმნაირ დროს შეგიწყვეტს იმ დახმარებას, რომ უკვე გვიან იქნება, შიმშილით ჭუკივით ამოგძვრება სული.

გამგებელმა მშვიდად მოუსმინა.

რაიონის პირველ კაცს არც მაშინ გაულია ხმა, როცა ინტელიგენტმა თავისი სათქმელი დაამთავრა და მასპინძელს კითხვის ნიშნიანი სახით მიაჩერდა.

ჩანს, გამგებელმა „იდეების მატარებელი“, ენააქავებულ მორიგ მთხოვნელად მიიჩნია ქესაძე და კამათი არ გაუმართავს.

გამგებელმა მშვიდად მოუსმინა.

ინტელიგენტმა კარგა ხანს იცადა, ბოლოს ქუდი დაიხურა და ისე დასტოვა კაბინეტი, რომ დამხვდურს არ დამშვიდობებია.

ბრუნდებოდა შინ მწარე ფიქრებისგან ნერვებდაღრღნილი ინტელიგენტი და სხვათა შორის ისიც უკვირდა, რატომ არ მიიტანა გულთან გამგებელმა მისი, მისი ჭკუით, აზრიანი წინადადება.

რა იცოდა ვარლამ ქესაძემ, რომ თვით გამგებელიც მაფიის წევრი იყო.

39-ე საფოსტო ყუთი

მამაჩემი ვანო სხირტლაძე ექიმი გახლდათ. 1936 წელს ქუთაისში, ჭომაზე, ლამის, საკუთარი ხელით ააშენა ფსიქონევროლოგიური დისპანსერი. ეს დისპანსერი მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა. ახლაც მაქვს შემონახული დისპანსერის საზეიმო გახსნაზე (მაშინ წესად იყო მიღებული ყველაფერი ახალი, მათ შორის სასაფლაოც და საგიჟეც საზეიმოდ უნდა გაეხსნათ) მამაჩემის ნათქვამი სიტყვა: „მეფის მთავრობა სულით ავადმყოფებისათვის მხოლოდ მონასტრებსა და საპყრობილეებს იმეტებოდა. ზოგჯერ მათ სამეძაო სახლებშიც ათავსებდნენ. ტანჯვა-წამებისთვის იყვნენ ისინი განწირულნი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიცვალა მდგომარეობა. დისპანსერში, რომელსაც დღეს ვხსნით, ყველა პირობა შეიქმნება საბჭოთა სულით ავადმყოფის მოვლა-პატრონობისათვის. საუცხოო ჰავა, შესანიშნავი წყალი, რაციონალური შრომითი თერაპია – სხვა სამკურნალო საშუალებათა კომპლექსში, შესაძლებელს გახდის თავიანთ საქმიანობას და ოჯახს დავუბრუნოთ ათასობით სულით ავადმყოფი, რომელთა რიცხვიც არნახულად იზრდება მას შემდეგ, რაც დედამიწის ერთ მეექვსედზე წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმის საფუძვლებს. ახლა ჩვენი ვალია თავდადებით ვიმუშაოთ და ყველაფერი ვიღონოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკეთილდღეოდ, რათა გავამართლოთ მშობლიური პარტიისა და მთავრობის დიდის ნდობა“.

ათი-თერთმეტი წლის ბიჭი ვიყავი მე მაშინ და მამაჩემს კვირაში ორჯერ მაინც დავყავდი დისპანსერის მშენებლობაზე. ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო. თეთრი პარუსინის შარვალ-კოსტუმი ეცვა და მაღალყელიანი ყავისფერი ჩექმები. ა. დახედე სურათს, ეს ბარიანი, შუაში, ხალხოსნური წვერ-ულვაშით,

მაშინ „ბლანჟეს“ ეძახდნენ, მამაჩემია. თვითონ მუშაობდა – მთავარი ექიმი უბრალო მუშად და მთელი სამედიცინო პერსონალი მშენებლობის დროს გვერდით ჰყავდა ამოყენებული. გახსნის ცერემონიალიც კარგად მახსოვს. ლენტი ჯანმრთელობის კომისარმა გაჭრა. მამაჩემმა სიტყვა რომ დაამთავრა, ხელში აიყვანეს და მაღლა ისროდნენ. ჭკვიანები, რა თქმა უნდა. გიჟები გახსნის დროს იქ არ იყვნენ. პაციენტები მეორე დღეს მოიყვანეს ოზურგეთიდან, ბათუმიდან, ლანჩხუთიდან, ხონიდან და სამტრედიიდან. დახურული მანქანებით მოჰყავდათ. მახსოვს სულ სიმღერ-სიმღერით შემოდიოდნენ ქათქათა პალატებში.

ერთი წელი იმუშავა თავის აშენებულ საავადმყოფოში მამაჩემმა. ოცდაჩვიდმეტის ოცდაშვიდ ნოემბერს სახლში უხასიათოდ დაბრუნდა და დედაჩემს ეუბნებოდა, გუშინდელივით მახსოვს: დღეს რევიზია დამეცა საავადმყოფოში. ყველაფერი კარგი დაწერეს, მარა წასვლისას ერთმა შემმოწმებელმა ჩემი კაბინეტის ქვევით რომ საწყობი მაქვს, იმაში ჩაიხედა და მკითხა: რად გინდა, ვანო, ეს ბუნკერიო. წამლები ინახება სიბნელეში კარგად-მეთქი, ვუპასუხე. მეტი არაფერი უკითხავს, მაგრამ წასვლისას რაღაც საეჭვოდ კიდევ ჩაიხედა შიგო. თურმე ტანმა უაზრა მამაჩემს, რომ ის „შემმოწმებელი“ კაი სული არ ჩანდა და იმიტომ იყო ცუდ ხასიათზე.

მესამე დღეს დააპატიმრეს. დედაჩემს გამოუცხადეს, როგორ ვერ ხვდებოდი, შე ქალო, ხალხის მტერი გყავდა სახლშიო. თავის კაბინეტიდან გვირაბს თხრიდა შენი ქმარი კაპიტალისტურ გარემოცვასთან დასაკავშირებლადო.

როგორ დააპატიმრეს არ იკითხავთ? მამაჩემი დილით საავადმყოფოს სახურავზე ასულიყო, წვიმა ჩამოდიოდა, თურმე ერთ ადგილას და კრამიტს ასწორებდა. ექთანს დაუძახნია, გირეკავენო. „უთხარი კრამიტს ასწორებს-თქვა და დამირეკონ ნახევარ საათში“, უთქვამს მამაჩემს. კრამიტს რომ გაასწორებს, მაშინვე უშიშროებაში მოვიდესო, ექთ-

ნისთვის დაუბარებიათ.

ალბათ, ვინმე ჰყავთ შესამოწმებელი ფსიქიურადო, უფიქრია მამაჩემს, გაკვირვებით კი გაკვირვებია, რაკიღა ასეთ საქმეზე სხვა დროს უშიშროებაში კი არა, ციხის ამბულატორიაში ეძახდნენ.

წასულა ეტლით. ორი-სამი საათი შეგვიანებია. საავადმყოფოს ერთცხენიანი ეტლი ემსახურებოდა მამაჩემს. გამოსულა ბოლოს და მეეტლისათვის უთქვამს: წადი შენ, აქ რაღაცაა გასარკვევი და, როგორც ჩანს, კარგა ხანს მომიწევს დარჩენა. აქედან მე თვითონ მივალ შინო.

ჯუღაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით მაშინ, თხუთმეტ ნომერში. პატარა ეზო გვქონდა. ვთამაშობდით ეზოში მე და ჩემი და, ქარიანი დღე იყო, მახსოვს. ღამდება, არ ჩანს მამა. აწრიალდა დედაჩემი. ალბათ შემორჩა საავადმყოფოშიო. სხვა დროსაც აგვიანებდა.

იქნებოდა ასე, ათი საათი, შავი ლიმუზინი გაჩერდა ჭიშკართან. სამი შლაპიან-პლაშიანი კაცი გადმოვიდა. სხირტლაძე ხომ აქ ცხოვრობსო, ზრდილობიანად მკითხეს. მე თვითონ ავუძეხი კიბეზე. დედაჩემს ფერი ეცვალა, მივხვდი რაშიც იყო საქმე. დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერები დაუწყვეს თავჩაქინდრულ დედაჩემს მაგიდაზე.

დაიწყეს ჩხრეკა. ისე გამალებით მუშაობდნენ, დენზე ჩართულები გეგონებოდა. ჯერ იატაკზე გადმოყრიდნენ ყველაფერს, მერე იქექებოდნენ შიგ. დიდ ტომარაში ჩააწყვეს მამაჩემის ნაწერები, სურათები, საბუთები, ყველაფერი, სანადირო თოფიც კი... მხარზე აიკიდეს და წავიდნენ. სასამართლომდე ქუთაისიდან ფეხი არ მოიცვალოთო, დედაჩემს დაუბარეს.

მეორე დღეს „ქონების აღმწერი“ კომისია მოვიდა. აღწერეს. თუ რამე გვქონდა; საწერი მაგიდით დაწყებული ჭიქათეფშამდე. სამი ოთახიდან ორი დაგვილუქეს და ჩვენ პატარა, საძინებელ ოთახში შეგვყარეს სამივენი. ერთ კვირაში ბინიდან საერთოდ გამოგვყარეს და მწვანეყვავილაზე ვიღა-

ცის ნესტიან, უფანჯრო სარდაფში მიგვიჩინეს ბინა.

იმ სარდაფში გავატარე ჩემი ყმაწვილკაცობა. დღისით ეზოში ვტრიალებდით სამივენი. ეზოში ვსვამდით ჩაის და იქვე ამზადებდა სამფეხაზე დედაჩემი სადილს (თუ რამეს ვიშოვიდით, რასაკვირველია). დასაძინებლად, გვიან ღამით შევდიოდით ნესტიან სარდაფში და დილაადრიან გამოვდიოდით, რევმატიზმი რომ არ დაგვმართნოდა.

დაპატიმრებიდან სამი კვირის თავზე გამოგვიცხადეს: ხალხის მტერი, უცხოეთის დაზღვევის აგენტი ივანე სხირტლაძე გაასამართლეს და შორეულში გადაასახლეს. წერილს, ალბათ დანიშნულების ადგილზე რომ ჩაიყვანენ, მერე მიიღებთო.

გავიდა ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი, ოცდაცხრამეტი. ორმოცში მივიღეთ პირველი წერილი ვიატკიდან. რას მოგვწერდა: რასაც მაშინ ყველა პატიმარი იწერებოდა; ალბათ, იცოდნენ, რომ წერილებს „ფოსტა“ ხსნიდა და კითხულობდა. ჯერ ერთი, რა გახსნა უნდოდა, კონვერტში კი არ იდო. სამკუთხა ბარათებს აგზავნიდნენ, როგორც ჯარისკაცები. პატიმარს კონვერტს ვინ მიაშავებდა. ცოცხალი ვარო, გვწერდა მამაჩემი. თქვენს თავს მიხედეთ, მე როგორმე გავიტანთავსო. სასჯელს ვიატკის მახლობლად ვიხდიო. წერილებს ვუგზავნი აქედან სტალინს, ალბათ მალე გაარკვევენ ჩემს უდანაშაულობას და გამომიშვებენო.

თქვენს თავს მიხედეთო, როგორი მისახედი იყო ჩვენი თავისთვის, მარტო იმან იცის, ვისაც ხალხის მტრის შვილობა გამოუცდია. ჩვენთვის არა კომკავშირი, არა პიონერთა სასახლის წრეში ჩაწერა, არა ფრიადოსანთა დაფაზე გამოკვრა, ან რამე ასარჩევ საბჭოში არჩევა. ჯგუფელებიც კი ჩვენთან ცალკე მეცადინეობას გაურბოდნენ.

ორი წერილი მივიღეთ ორმოც წელში. არ გაგიჭირდებათ თქვენ წარმოდგენა, რა იყო ეს წერილები ჩვენთვის. თითქოს მამა სახლში გვყავდა. მუდმივად იდო მაგიდაზე ის ორი წერილი და ვკითხულობდით სამივენი მორიგეობით.

ხანდახან დღეში სამჯერაც წავიკითხავდი. ზეპირად ვიცოდი, რაც ეწერა შიგ, მაგრამ მაინც გვსიამოვნებდა მამის ხელნაწერი, თითქოსდა გვესაუბრებოდა აგერ ყურისძირში. ყოველ წაკითხვაზე ახალს აღმოვაჩენდით რამეს. მერე ომი დაიწყო და წერილებიც შეწყდა.

შიმშილი, სიცივე და უბედურება ხომ თავისთავად, მაგრამ მე ომი მახსოვს, როგორც მამაჩემის წერილის დიდი, უსაშველო ამაო მოლოდინი. კვირაში სამჯერ მაინც მივდიოდი, მე, ჩემდათავად ჯუღაშვილის 15-ში, ჩვენს ყოფილ ბინაში და ვეკითხებოდი ჩვენი სახლის ახალ ბინადართ. ღვთის გულისათვის, ნუ დამიმალავთ, მამაჩემის წერილი ხომ არ მოსულა-მეთქი.

ომის დამთავრების ორი წლის თავზე, 1947 წელს შუაღამისას ვიღაცამ დააკაკუნა ჩვენი სარდაფის კარებზე. ვინ ბრძანდებითო, დედაჩემი საწოლზე წამოჯდა. არ შეგეშინდეთ, ქალბატონო, მოყვარე ვარო, უცნობმა. ვინ მოყვარე, რა გნებავთ, ბატონო, ამ შუაღამისასო. დედაჩემმა ლამპა აანთო, ვანოს ნაცნობი ვარ, გადასახლებიდან მოვდივარო. სამივენი მივცვივდით კარებთან.

შემოვიდა მთლად გათეთრებული, გამხდარი, ბეჭებში მოხრილი კაცი. დაჯდა. ამოისუნთქა და გულზე ხელი მიიდო. მიიხედ-მოიხედა, – აუჰ, სად გადმოუგდიხართ, როგორ ცხოვრობთ ამ ჯურღმულში, მოგიკვდათ ჩემი თავიო – პირველად ეს თქვა.

მერე დაწვრილებით გვიამბო; ვიატკაში ერთად ვიჯექითო. ბოლო ორი წელია ვანო ყარაგანდაში გადაიყვანეს სამხედრო ტყვეთა და პოლიტიკურ პატიმართა ბანაკშიო. მანამდე არ იყო ცუდად, ვაჟკაცურად უძლებდა ყველაფერს, მაგრამ ამ ბოლო დროს ავად გამხდარა, წამოსვლის წინ ამბავი მომიტანეს, ფეხზე ვერ დგებაო. პატიმრობის ვადა თვენახევრის წინ გაუთავდა. რაკი აქამდე ვერ ჩამოვიდა, როგორც ჩანს, სერიოზულად არის ავადო. მე ვიატკიდან გამათავისუფლეს და ყარაგანდაში ჩასვლის უფლება არ მქონდა, თორემ მკვ-

დარს ან ცოცხალს ჩამოვიყვანდიო. თუ გაქვთ საშუალება, უნდა გაგზავნოთ ვინმე, იქნებ ცოცხალს ჩაუსწროსო. მისამართი ყარაგანდის ოლქი, 39-ე საფოსტო ყუთი. იქ ადვილი მისაგნებია. ვანო სხირტლაძე – ექიმი, ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველამ იცისო. მე თვითონ ჯაფარიძე ვარ. მხატვარი უჩა ჯაფარიძე, თუ გაგიგონიათ, იმისი ძმა გახლავართო. თუ ღმერთი გწამთ, არავის უთხრათ, მე რომ მოგაკითხეთ, ჩვენ ხელწერილი დაგვაწერინეს, რომ ბანაკის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ გავცემდით, თუ გაიგეს, ჯიჯგნას დამიწყებენ და აღარა მაქვს ამის ძალა და ნერვებიო.

მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით. მამაჩემი ცოცხალი აღარ გვეგონა და ახლა მცირე იმედი მაინც გაჩნდა, რომ ცოცხალს ვნახავდით.

დედაჩემი სასტიკ უარზე იდგა, მაგრამ ჩემი გავიტანე – მე უნდა წავსულიყავი მამაჩემის ჩამოსაყვანად. მე, ოცდაორი წლის ბიჭი – არმაზ სხირტლაძე, რომელსაც ქუთაისიდან ჯერ ფეხი არ გამიდგამს.

მივყიდ-მოვყიდეთ თუ რამე გაგვაჩნდა, მოვისისხლფასეთ, რაზეც ხელი მიგვიწვდა, ცოტას ახლობლები შეგვეწივნენ, ცოტა ვიურიისვალეთ და ოქტომბრის თოთხმეტში დავადექი ჩემთვის უცნობ გზას მარშრუტით ქუთაისი-მოსკოვი-ყარაგანდა – ოდცამეცხრამეტე საფოსტო ყუთი.

რა ადვილია სათქმელად და რა გოლგოთის გზაა, ჩემო ბატონო, ეს მარშრუტი ქაღალდზე რომ ორ სტრიქონს იკავებს და სინამდვილეში ათასობით კილომეტრს მოიცავს.

მივდივარ, თითქმის ნასესხები ფულით, ცოტაოდენი წამლებით, ხუთი ლიტრი არყით, ოცი ცალი ლიმონით, ორი ქილა ტყემლის საწებლით და ვეებერთელა შიშით. არც მოსკოვში ვიცნობ ვინმეს და, მით უმეტეს, არც ყარაგანდაში. ყაზახეთზე ჩემი ცოდნა გეოგრაფიის სკოლის სახელმძღვანელოს არ შორდება და, ფიცში ვერ ჩავიყოლებ – ჯამბულის ლექსი ვიცი სტალინზე. სკოლაში გვასწავლეს. თუ გახსოვს, ის ლექსია ასი წლის მოხუცი სტალინს „მამას“ რომ უწოდებს. რუ-

სული? რა რუსული იცოდი შენ, ოცდაორი წლისამ, გაიხსენე და ცოტა იმაზე ნაკლები იანგარიშე ჩემთვის.

კუპეში ჩემთან რუსი ცოლ-ქმარი მგზავრობდა. ხანშიშესულები იყვნენ. წყალტუბოში ვისვენებდითო. ერთი ზედა ადგილი ჰქონდათ ერთი ქვედა. მაგენი კანონის ხალხია ჩემზე უკეთ შენ გეცოდინება და ჩემთვის არც უთხოვიათ, ახალგაზრდა ხარ, დაგვითმე ადგილიო. ეგება ქე ეთხოვათ, იმიტომ რომ გაუჭირდებოდა დროულ კაცს ზევით ახტომა, მაგრამ იქამდე არ მივიყვანე საქმე. თქვენ ქვევით მოისვენეთ, მე ზევით მირჩევნია-მეთქი. რაც ორივემ მლოცეს. მეორე დღეს დილით ჩამოვხტი ნარიდან, ფრთხილად გავაღე კარი და გამოვედი კუპედან. ორივეს ეძინა და, სანამ თვითონ არ დამიძახეს შემოდიო, არ შევსულვარ. მე ვთქვი, არ შევაწუხოთქვა. კონდუქტორს ჩაი და ორცხობილა შემოვატანინე. დედაჩემის გამომცხვარი ჭადი და მრგვალად მოხარშული დედალი შევმატე სუფრას. ძველებური ლიტრიანები ხომ გახსოვს, ფსკერშეკეცილი შავი ბოთლები, ქე-გითხარი, ხუთი იმნაირი ბოთლი მედგა ჩანთაში ორნახადი ჭაჭის არყით სავსე. ერთი ამევიღე და დავდგი. ბევრი ეხვეწა ცოლი არ დალიოო, ბოლოს დაემუქრა კიდეც, სამსახურში გიჩივლებო, მაგრამ ვერ დააშლევინა. ორი ჩაის ჭიქა რეკა რუსმა ეს ჩემი არაყი. გალსტუკი და კოსტუმი მეიშვლიპა, გადამხვია ხელი და იმნაირი „კატიუშა“ დააგუგუნა, მთელ ვაგონს ესმოდა.

დილით კურსკის ვაგზალში რომ შევდიოდით, ოთხი ლიმონი დავაძვრე და მივართვი ცოლ-ქმარს. ზოგიერთს ჩვენ, ქართველები, გიჟები ვგონივართ. არ გეგონოს რომ ამას იმიტომ ვაკეთებდი, ეს რუსები რამეში დამჭირდება-მეთქი. არც მიფიქრია, მამის სულს გეფიცები. მე სხვანაირად არ შემეძლო. ჩვენ ასე ვართ გაზრდილი. მარტო ხვარ დევიწყებდი ჭამას. ისე, ამ ორ დღეში ჩემი დამტვრეული რუსულით ქე მოვუყევი, რა თქმა უნდა, სად მივდიოდი და რა საქმეზე.

სანამ მატარებელი გაჩერდებოდა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს და ქმარმა მითხრა: კაი ბიჭი ჩანხარ, ჩვენ, სამწუხ-

არად, მაგ შენს საქმეში ვერაფერს დაგეხმარებით, უბრალო ინჟინრები ვართ, ცოლ-ქმარი (მერე გავიგე, ქმარი პენსიაზე იყო). ერთი ის შეგვიძლია, წამოდი ჩვენთან ღამეს გაგათევ-ებინებთო.

წავყევი. ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. შვილი მფრი-ნავი გვყავს – ბარნაულში მუშაობსო. ჩამიდგეს შეზლონგი და დამაწვინეს. ძერჟინსკის მოედანზე გამიყვანა მეორე დღეს ჩემმა მასპინძელმა და შორიდან დამანახა კგბ-ს შენობა. არ გეწყინოს, შიგნით ვერ შემოგყვებიო. არ მიმხელდა, თორემ არ აკავშირებდა მთლად კარგი მოგონებები კაგებესთან. მი-ვადექი მისაღებს. რა არი ახალგაზრდობა, თვარა ახლა ვერ გავბედავ, იქანა მისვლას და მაშინდელი კგბ ხომ იცი, რა იქნებოდა. კაგებე კი არ ერქვა, ჩეკა ერქვა მაშინ.

ვინ ხარ? ესა და ეს კაცი ვარ-მეთქი, დავაძვრე პასპორტი, უბნის კომიტეტის მოწმობა ჩაწერაზე. რა გინდა? მამა მყ-ავს ნაპატიმრალი ყარაგანდის გულაგშია, ავად გამხდარა და უნდა ჩავიყვანო ქუთაისში-თქვა.

შენ ჭკუაზე აფრაკათ ხვარ ხარო. რა უნდა ყარაგანდაში გულაგსო. ვინ გასწავლა შენ ასეთი რამეებიო. გატრიალდი ახლავე უკან. მამაშენს ჩვენ ჩამოგიყვანთ, როცა საჭირო იქნებაო.

ორნი იყვნენ. შემეშინდა და ის იყო გადავდგი კარისკენ ნაბიჯი, ვიღაცა შავგვრემანი სამხედრო შემოვიდა. შენი ზემ-ლიაკიაო, რუსებმა. „ჰაეს?“ მომიბრუნდა, რომ შემატყო, ვერ გავიგე, სუფთა ქართულით მეკითხება – ქართველი ხარ ბიჭო? აქ რა გინდა?

ვუთხარი ყველაფერი. ცნობა თუ გაქვს ქუთაისის უშიშ-როებიდან რომ მამაშენი გასამართლებულია და ნამდვილად ყარაგანდაშიაო. დამცინით? როდის იყო მაგნაირ ცნობას უშიშროება იძლეოდა-მეთქი. აბა რა იცი, რომ ყარაგან-დაშიაო. ხომ არ ვეტყოდი უჩა ჯაფარიძის ძმამ გვითხრა-მეთქი. ვიცი, ნამდვილად, 39-ე საფოსტო ყუთი, ყარაგანდი-დან თვრამეტ კილომეტრშია-მეთქი. ჩამაცივდა, ვინ გითხრა

და ვინ გითხრაო. ოღონდ შენ ეგ მითხარი და მე თვითონ წამოგყვები ყარაგანდაშიო. არ ვიცი, ვიღაცამ შუაღამისას ჭიშკრიდან დაგვიძახა, სახეზე არც დამინახავს-მეთქი.

გაეცინა. კარგი ბიჭი ყოფილხარო. მომკიდა ხელი, მატარა ზევით-ქვევით. რომ არ დაგიმალო, ხუთ კაბინეტში მაინც შემიყვანა და გამომიყვანა. ბოლოს თვითონ ჩამყვა ქვევით, მატარებლის ბილეთი გამოაწერინა. იქვე, იმავე შენობაში ბილეთი ამაღებინა და მითხრა – ხვალ, მოსკოვით თექვსმეტ სათზე გადის შენი მატარებელი. გზაში მაინცდამაინც ბევრი არ ილაპარაკო, წარმატებას გისურვებ, თუ გაგიჭირდეს, ამ ნომერზე დამირეკეო, თავისი ნომერი მომცა.

ჩვენ ქართველებს, ორ რამეზე გვაქვს სხვებისაგან განსხვავებული წარმოდგენა, ჩემი დაკვირვებით, „სიშორეზე“ და „ბუნებაზე“. ჩვენთან ყველაფერი ახლოსაა და „შორიაო“. ქართველი კაცი რომ იტყვის, ის „შორი“ ალბათ, ჰა, ქუთაისიდან გურჯაანამდეა – მეტი არა. წარმოიდგინე ცხრა დღე მიდის მოსკოვიდან მატარებელი გაუთავებელ სტეპში და ტრამალებში. ახლა „ბუნება“? „ბუნება“ ჩვენთვის სამოთხის დეკორაციაა დახატული, თბილი, ტკბილი, მომფერებელი. ახლა ყაზახეთის, ბუნება ნახე? ყარაგანდიდან თვრამეტი კილომეტრი ფეხით. ასეთი სიმწარე სამოცდაათი წლის კაცი ვარ მე არ დამდგომია. კიდევ კარგი მარტო არ მოვდიოდი, თვარა ცოცხალი ვერ ჩამოვაღწევდი.

ორი ჩატელეგრეიკებული ქალი დამემგზავრა, ვინ ხარო მკითხეს. ქუთაისელი ვარ, მამა მყავს 39-ე საფოსტო ყუთში პატიმარი-მეთქი, გაჩერდნენ. ერთმა მათგანმა ლოყაზე უშველებელხელთათმანიანი ხელი მიირტყა – არმაზი ხარ შენო?!

გადავირიე კინაღამ. ციმბირს იქეთ, შუა ყაზახეთში, უდაბნოში, ოცკილომეტრში ირგვლივ კაცის ჭაჭანება რომ არაა და ქვიშის გორაკები იქეთ-აქეთ დააქვს ქარს, სიცივე ძვალრბილში რომ ატანს და კბილებში ქვიშა კაწკაწებს, ნიჩბისსახა თვალწვრილა ქალი მეკითხება – არმაზი ხარ შენო?

არმაზი ვარ-მეთქი. ექთნები აღმოჩნდნენ. მამაჩემის ამბულატორიის თანამშრომლები. სისხლი მოეწამლა და ძალიან ცუდად არისო. გუშინწინ ანდერძი დაწერა და დაგვიბარა, რომ მოვკვდები, მხოლოდ წლისთავზე შეატყობინეთ ოჯახსო. სასაფლაო ქვა თვითონ გააკეთებინა – ქართულად და რუსულად წააწერა თავისი გვარიო. სასტიკი წინააღმდეგი იყო შენი ჩამოსვლის, აქედან მაინც ვერ წამიყვანს და ტყუილად გზაში რამე ხიფათს გადაეყრებაო.

ღამის სამი საათი იყო, ბანაკში რომ მივედით. არ ეძინა მამაჩემს. მაღალი სიცხე ჰქონდა. წუხდა, ბორგავდა. ჯერ დავუჩოქე, ვკოცნე, ვეფერე, მივიჩვიე, სუნი ვაგრძნობინე ჯილაგის. მამა-შვილს ერთნაირი სუნი აქვს, ხომ იცი შენ, და მერე გავუმხილე, ვინც ვიყავი.

ჯერ კინაღამ ჩამაკვდა ხელში. რა ყოფილა სიხარულის ელდა, კაცო. მერე ისტერიული ტირილი აუტყდა და ვერ გავაჩერეთ, ბოლოს ჩხუბი დამიწყო, რატომ ჩამოხვედი, რატომ ჩაიგდე თავი ამ დღეშიო. შენ რომ რამე დაგემართოს, ხომ გადაირევა დედაშენიო:

თვე-ნახევარი დავრჩი გულაგის საავადმყოფოში. ცოტა შემოვაბრუნე სასიკვდილოდ გადადებული მამაჩემი. სიცხის დაგდება გაგვიჭირდა ყველაზე უფრო. ორგანიზმის საერთო მოწამვლისა და მოყინვის გამო მარჯვენა ფეხს პულსი აღარ ჰქონდა ტერფთან, სისხლი არ მიეწოდებოდა. მუხლს ქვევით შეგრძნებაც არ ჰქონდა. განგრენული მდგომარეობა იყო, მაგრამ ამპუტაცია არ გავაკეთებინე. მე ვთქვი, შეიძლება მოხდეს სასწაული და ამოძრავდეს სისხლი-მეთქი.

თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა, რაც სჭირდა. ფართო პროფილის ექიმი იყო. ყველაფერს კითხულობდა და ცდილობდა, ყველა სნეულებაზე ჰქონოდა წარმოდგენა. ადამიანიო ერთი ორგანიზმიაო, ერთი ავადმყოფობა მეორეს იწვევს და საბოლოოდ ყველა ავადმყოფობა ტვინიდან მოდისო, იცოდა თქმა. ჩვენი ზოგიერთი ექიმი სიღრმეში კი არ ჩადის, მიზეზს კი არ ეძებს, ერთ ორგანოს მკურნალობს ლო-

კალურად, ორგანიზმისგან გამოთიშულად. გადის სამი თვე და ისევ უჩნდება კაცს წყლულია, თუ ჰიპერტონია. მიდის ექიმთან, ექიმი ეუბნება, რა გიყო, ძმაო, მაშინ ხომ მოგარჩინე, რეჟიმი დაგირღვევია, შენი ბრალიაო. სინამდვილეში არ იყო ბოლომდე მორჩენილი. ის კერა არ იყო აღმოფხვრილი, საიდანაც დაიწყო ავადმყოფობა.

შუა დეკემბერი იყო, რომ გამომიცხადა, ჩემი საქმე წასულია, წადი ახლა შენ. დაბრუნდი ქუთაისში, არ ღირს ჩემი თრევა აქედან, ხომ ხედავ, ფეხზე ვერ ვდგებიო.

რავა ფიქრობ, მამაჩემო, მიგატოვებ ახლა მე შენ აქანა და მარტო ჩავალ ქუთაისში-მეთქი? რამ გაფიქრებინა ეგ ამბავი. სანამ გამომჯობინდებოდე, მზად ვარ ათი წელი ვიჯდე, ასე, ტაბურეტზე შენს გვერდით და გითიო ღამე. უსაშველო არაფერი გჭირს, ნუ გეშინია-მეთქი.

აბა, მაშინ დროს ნულარ დავკარგავთ, თუ წამსვლელები ვართ, წავიდეთ. რა ვიცი ხვალ რას მიზამს ეს ვერაგი სენი. ეგება მოხდეს საოცრება და ღვთის შეწევნით (საერთოდ ღმერთი არ სწამდა, არც მე მწამს, ვერ მოგატყუებ) ცოცხალი ჩამიყვანო ქუთაისშიო.

მეორე დღესვე გამოვვარდი ყარაგანდაში კოლონიების ცენტრში საბუთების გასაფორმებლად და ბილეთის ასაღებად.

ოთხთვენახევრის გათავებული ჰქონდა პატიმრობის ვადა, ამოწერილი ჰყავდათ უკვე. მეტსაც გეტყვი: გარდაიცვალა მუცლის ტიფით და დასაფლავებულია საერთო სასაფლაოზე, ეწერა მამაჩემის გვარის გასწვრივ გრაფაში. წინასწარ ეზრუნა ვიღაცას.

მივედი რკინიგზის სადგურში და მეუბნებიან; დღეიდან ფული შეიცვალა ძველი ფულის ნიშნები ანულირებულიაო. იღბალი არ გინდა? გავვარდი-გამოვვარდი... ერთადერთი გადასაცვლელი პუნქტია ყარაგანდაში. იქაც ათასზე მეტი კაცი დგას რიგში. მოქალაქეებს რაღაც კაპიკებს უხურდავებენ, იმასაც ახსნა-განმარტების ქვეშ. უნდა დაწერო, საიდან გაქვს ფული. იმ გადახურდავებული ფულის მოსკოვიდან ქუთაისში

ჩასვლა არ გინდა? ვზივარ და ვტირი. მომაკვდავი მამა მყავს წასაყვანი და, ჩემდა ჭირად ახლა გამეიცვალა ფული-მეთქი. ტირილი და გაჭირვება იქანა ვის უკვირს. ვიღაცამ მითხრა: ქალაქის საბჭოში მიდიო, მგონი ქართველი მუშაობს იქ საბჭოს მდივნადო. მივედი. მდივნის ოთახს მართლაც აწერია „ლექვინაძე“. შევედი. რუსის ქალი ზის. ლექვინაძე მინდა-მეთქი. მე ვარო. ბოდიშს ვიხდი-მეთქი. აქ კარებზე ქართული გვარი რომ ეწერა, მდივანი ქართველი მეგონა-მეთქი. გაეცინა. რა გაგჭირვებიაო. ავუხსენი ყველაფერი. ადგა ეს ულამაზესი ცისფერთვალა, თეთრთმიანი კინოეკრანიდან გადმოსული ქალი და თავისი ფეხით გამომყვა. ქართული, რასაკვირველია, ერთი სიტყვა არ იცის. თვითონ არ უთქვამს და მე ხომ არ ვკითხავდი, რატომ იყო ლექვინაძე.

რაც იმან ჩემთვის იწვალა. ჯერ გადამცვლელ პუნქტთან, მიტინგის მოწყობა დაჭირდა. ურიგოდ რომ გავეშვით. სიტყვა თქვა ხუთმა-ექვსმა კაცმა და ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს, მართლა გეუბნები.

ახლა ფულის გადაცვლა ნორმის ზევით? საბჭოს მდივანმა ვერავის გააგებინა, რაში გვჭირდებოდა ფული და ბოლოს რევოლვერზე წაივლო ხელი; დაგხოცავთ თქვენი დედაო, მწოლიარე ავადმყოფი მიყავს, რა ქნას აბა, იმათხოვროს გზაშიო?

ახლა ავადმყოფზე გეტყვი! მოსკოვამდე სამი მატარებელი გამოვიცვალეთ. საწყალი მამაჩემი ორი ზეწრით აგვყავდა და ჩამოგვყავდა ვაგონიდან (საკაცე არ შეიძლებოდა, საკაცით ვერ მოტრიალდებოდი) და თითქმის ყველა შემხვედრი გაოცება-აღშფოთებას ვერ მალავდა – რატომ მიგყავთ და სად მიგყავთ ავადმყოფიო. ჯერ ამ გზაზე ავადმყოფი მგზავრი არავის უნახავსო. ამის ხარჯზე ხომ ერთი ჯანმრთელი ადამიანი წამოვიდოდაო. მოკვდებოდა და დაასაფლავებდით ადგილზეო. ვუხსნიდი, რომ თავის მშობლიურ ქალაქში, ცოლშვილის მოსანახულებლად მიმყავდა, თუ მოკვდება თავის მიწაში მაინც დაიმარხება-მეთქი. ისე იყო ხალხი გამკაცრებუ-

ლი, ვუხსნიდი ამას, მაგრამ ვერ ვაგებინებდი. როგორც გიჟს ან როგორც მეზოზოური ერის ადამიანს ისე შემხედავდნენ და გამშორდებოდნენ.

აღარ გადაგღლი მოსკოვამდე, მოსკოვიდან თბილისამდე და თბილისიდან ქუთაისამდე ჩვენი წამების მოყოლით.

სხვათა შორის, თბილისში, სადგურზე უშიშროების წარმომადგენელი დაგვხვდა და ტყავი კინაღამ გამაძრო – რატომ არ შეგვითანხმდი, რომ მიდიოდიო. ქუთაისის უშიშროებამ იცოდა-მეთქი. ჩვენც უნდა გვცოდნოდაო. შენ ყარაგანდაშიც არ იყავი ჩასული, მოსკოვიდან რომ დაგვირეკეს და სასტიკი საყვედური გვითხრესო. ბერიას უმადლოდე, რომ არ გაპატიმრებთ, ბერიამდე მიაღწია თქვენმა ამბავმაო.

1947 წლის 31 დეკემბერს, საახალწლოდ ჩავიყვანე მამაჩემი შინ.

რიონის სადგურში ლამის მთელი ქუთაისი დაგვხვდა.

ორთვენახევარი იცოცხლა ჩამოსვლის მერე, მეტი ვერა.

მშველელნი

თოვდა.

მოედნის ცენტრში მიწაყრილზე თოვლი გამეფებულიყო. ირგვლივ, ასფალტზე, ჯერ ვერ მოეკიდებინა ფეხი.

გადმოფრინდებოდნენ ყვავები თოვლიდან. იქექებოდნენ გზაზე. მანქანა რომ გამოივლიდა, უკანვე გაფრინდებოდნენ. არც სციოდათ და არც ეზარებოდათ, მათი ყვავური გონებით ეს ფრიად აუცილებელი გადაფრენ-გადმოფრენა.

ცირკის მხარეს, ამოსასვლელთან, „ბეტეერი“ იდგა. იქვე რუსის ორი ავტომანქანიანი ჯარისკაცი მიმოდიოდა.

– სადაური ვარო, რა მითხარი? – ჰკითხა, როგორც დრამატურგები იტყვიან ხოლმე, პირველმა ჯარისკაცმა მეორე ჯარისკაცს.

ტამბოვის ოლქიდან.

– თბილისში პირველადა ხარ?

– პირველად.

– საზიზღარი ქალაქია.

– იცი რა, მე ახალი ვარ და, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავდებ აქაურობის ცოდნაზე, მაგრამ ერთი შეხედვით, არც ისე ცუდი ხალხი ჩანს. გუშინ მანქანიდან ვიღაცამ გრძელი პური, ამითი ყველი და არაყი მოგვაწოდა.

– მაგ მხრივ, ჰო, არა უშავთ, მაგრამ გავა ხანი და დარწმუნდები ვისთანაც გაქვს საქმე.

– მაგალითად?

– თუ იცი, ჩვენ აქ რისთვის ვართ?

– რა ვიცი, მე მგონი აქაური რუსების დასაცავად.

– არ დაიჯერო. რუსებს აქ არვინ ერჩის. ესენი მორიელებივით ერთმანეთს ჭამენ.

– ქართველი ქართველს? ხუმრობ? – გაიკვირვა ჯარისკაცმა.

– დედას გეფიცები, მართალს ვამბობ. ხუთი წელი არ გასულა, რაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ჩვენც თვალი დავხუჭეთ. ვაცალეთ თამაში. ვიცოდით, რა მოჰყვებოდა ამათ თავისუფლებას. დაერივნენ ერთმანეთს. ყრუანჩელების ომი გინახავს? არ გაუშვეს საკუთარი ძმა დაუკორტნავ – დაუსახიჩრებელი. ბოლოს დაინახეს, რომ წყდებოდნენ და მუხლზეჩოქვით გვეხვეწნენ, ისევ შემოდითო. სულზე მოვუსწარით.

– ეს რა მითხარი. სხვებიც არიან ერთმანეთის მჭამელი ხალხი? – მცირე პაუზის მერე დაინტერესდა მეორე ჯარისკაცი.

– მე მარტო ქართველები ვიცი. სხვებზე, ვერ მოგატყუებ, არ გამიგონია.– რისი ბრალია, თუ იცი, ეს თვისება საიდან მოდის, გარეგნულად, თითქოსდა, კულტურული ხალხი ჩანს.

კომბატს ვკითხე და ასე ამიხსნა: ესენი ყოველთვის ვიღაცას ჰყავდა დაპყრობილიო. ხან არაბებს, ხან მონღოლებს, ხან რუსების მორჩილებაში იყვნენო. ამიტომ გადაეჩვივნენ დამოუკიდებლად ცხოვრებას, მონის ხასიათი ჩამოუყალიბდათ, მაგრამ გულის სიღრმეში ყოველთვის ნატრობდნენ თავისუფლების დაბრუნებასო. ნატრობდნენ, მაგრამ არც კი იცოდნენ, რა არის თავისუფლება და დამოუკიდებლობაო. ეგონათ, ეს რაღაც თაფლის კასრს მიმჯდარი ბუზის განცხრომა იქნებოდაო. ასე რომ არ აღმოჩნდა, ერთბაშად მოიწყინეს და ერთმანეთს დაუწყეს ბღვერა-გადაბრალება; შენ აფუჭებ, თორემ უკეთესი დამოუკიდებლობა-თავისუფლება გვექნებოდაო. ამიტომაა ერთმანეთს რომ კბენდნენ ეტლის გალიაში შერეკილი უპატრონო ძაღლებივითო. ასე მითხრა კომბატმა.

– იქნებ მართალიც იყოს, მერე? გვიხდიან ჩვენ ამ გაზავებაში რამეს?

– გვიხდიან არა?.. ისე ... საერთოდ... გრძნობენ ჩვენს გარეშე რომ ვერ იარსებებენ და, კაცმა მართალი უნდა თქვას, პატივისცემით, სიყვარულით გვიყურებენ.

– აი, თურმე რა. როგორ ფიქრობ, სანამ უნდა ვიყოთ ამათ გაშველება-დამშვიდებაში. რა, ჩვენს ძმას მეტი საქმე არა აქვს? ჩვენი თავისთვის ვერ მიგვიხედია – შეწუხდა მეორე ჯარისკაცი. ჩანდა, იგი აქამდე ფიქრობდა, რომ უფრო დიდი და სერიოზული საქმისთვის იყო ჩამოყვანილი.

– ვერ გეტყვი. ერთი რამ ვიცი, ეგენი კარგა ხანს ჭკუას ვერ ისწავლიან. ხომ გესმის ღამით სროლის ხმა. დღისით ჩვენი შიშით რომ ვერ ახერხებენ ერთმანეთის დაჟუჟვას, ღამე, თითო-თითოდ კლავენ ერთმანეთს.

– როგორ ფიქრობ, თუ ასეა, ჩვენი აქ ყოფნაც საშიში არ არის? ვინ იცის, რა მოუვათ თავში. ეგენი ერთმანეთს არ ინდობენ და ჩვენ რა ხეირს დაგვაყრიან.

– ხომ გითხარი. ჩვენ, პირიქით, პატივს გვცემენ. გადამრჩენელებს გვეძახიან. ეგ არის, ღამე თვალში არ უნდა შევეჩხიროთ, ერთმანეთში რომ არ შევეშალოთ, თორემ სხვა მხრივ ჩვენ უბატონოდ ხმას არ გვცემენ.

– დარწმუნებული ხარ?

– წყალი არ გაუვა – დაბეჯითებით მიუგო პირველმა ჯარისკაცმა, თუმცა იგრძნო, რომ თანამემამულე ბოლომდე მაინც ვერ დაარწმუნა.

... თოვდა.

ყვავებს მოსწყენოდათ მანქანის ნაფეხურებზე ნამცეცობა. თოვლზე დამსხდარიყვნენ და ერთმანეთს ჩუმად, უყრანტალოდ ათვალიერებდნენ.

ნოველა თანამედროვე ყოფაზე

1994 წლის 11 აპრილს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა „ჯუჯასთან“ არსებული ფართოპროფილიანი კომერციული უნივერსიტეტის „ცოდნის ძუძუ – 319“-ის უმცროსი დოცენტის ბენიამინო ცირამუას კარებზე კაკუნი გაისმა.

განთიადის ოთხი საათი იყო.

აივნის მამლები-დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი ყივილის გარეშეც გათენდებოდა, ზრდილობისა თუ შიშის გამო კანტიკუნტად შეეხმიანებოდნენ ერთმანეთს და მერე რკინის გალიაზე ნისკარტჩამოდებულნი იდუმალი ღიღინ-კრიახით ჩასცქეროდნენ ჩაბნელებულ ქუჩას.

– ბენო, – შეანჯღრია დოცენტი ცოლმა, სწორედ მაშინ, როცა მკლავ-ბალიშზე ნიკაპჩამოდებულ ოჯახის მამას დაახლოებით გედების ტბის ბოლო „პა-ს“ პოზაში ეძინა. ბენომ თავი წამოწია, კარებამდე თმის ქექვით მივიდა, ჭუჭრუტანაში გაიხედა, შემობრუნდა, საწოლთან მიყრილ ფოსტლებში ფეხი წაჰყო, პალტო მოიხურა, კიდევ ერთხელ გაჭრუჭუტანდა და გაუბედავად მორცხვად იკითხა:

– ვინ არის?

– ჩვენ ვართ – მოესმა კარს იქედან. ჭუჭრუტანაში მხოლოდ ორნი ჩანდნენ, უავტომატონი.

– რამ შეგაწუხათ ამ დილაადრიან? გასაძარცვავად მობრძანდით?

– დიახ, – დაბეჯითებით, ერთხმად უპასუხეს მეკობრეებმა დოცენტს. ერთმა მათგანმა კი უკან დაიხია და საჩვენებელ თითზე დაკიდებული ხელყუმბარა დაანახვა.

– კი მაგრამ, ჩვენთან რომ უკვე იყვნენ?

– როდის?

– ზუსტად არ მახსოვს. ორი კვირა არ იქნება გასული.

– ნამდვილად? ჩვენ რომ არაფერი ვიცით? გაგვიღეთ კარი და გავარკვევთ ყველაფერს.

შალითამოხურული ცოლი ძილგამკრთალ ფოცხვერს ჰგავდა. მან ბენო უკან დასწია და კატეგორიულად ჰკითხა კარის სახელურს:

– რამდენჯერ შეიძლება ერთ თვეში ოჯახის გაძარცვა, რას ჩაგვაცივდით ბოლოს და ბოლოს, ხმას რომ არ ვიღებთ იმიტომ? ნამუსიც კარგი საქონელია. ჩადით სხვასთანაც.

– გააღეთ კარი თუ შეიძლება.

ცოლმა კარი გაუღო და ხელყუმბარა რომ დაინახა, ცოტა „პატრუქს დაუწია“.

– რას ამბობდით, ქალბატონო?

– დაბრძანდით, – შესთავაზა დაბნეულმა ბენომ ოთახში შემოსულ, დაუპატიჟებელ სტუმრებს.

– გმადლობთ, ბრძანეთ, ქალბატონო.

– არაფერი. ამ თვეში ორჯერ უკვე გაგვძარცვეს-მეთქი, ეს მინდოდა მეთქვა. საერთოდ, ა ბატონო, თუ რამე დაგვრჩა...

მაღალმა, უსათვალო, ჯინსიანმა, ასე ოცი-ოცდაერთი წლის მძარცველმა უბის წიგნაკი ამოიღო, გადაფურცლ-გადმოფურცლა, ხელყუმბარიანს ცხვირთან მიუტანა და როცა კოლეგისაგან თავის დაქნევით დასტური მიიღო, ისევ დიასახლისს მიუბრუნდა:

– რა არის, ქალბატონო, ადამიანი ორ ნაბიჯზე ვერ უნდა გენდოთ? ორ აპრილს იყვნენ თქვენთან ბოლოს და ახლა, ამ თვეში, მეორეჯერ ვართ. მეტჯერ ხომ არა. აბა, ერთი სხვა უბნელებს ჰკითხეთ, რა დღეში არიან.

– თქვენ ვერ გაგვიგეთ. უბრალოდ არ დაგვრჩა ღირებული არაფერი, თორემ ვინ მამაძაღლი. გნებავთ, ყოველდღე მობრძანდით.

– რა შუაშია, ბატონო, ყოველდღე. თქვენ გგონიათ გვიხარია ჩვენ ღამის სამ საათზე ადგომა და ქუჩა-ქუჩა წოწიალი? მაგრამ თავისი წესი და კანონი აქვს ყველაფერს, – თქვა ხე-

ლყუმბარიანმა და მარცხენა ხელით კარადის უჯრა გამოსწია.

– ეს ვერცხლის შანდლები?

– იყო მაშინაც, თქვენს ამხანაგს ვუთხარი, – ბაბუაჩემის სახსოვარია-მეთქი და დამიტოვა. იმენნოია, გაყიდვა გაგიჭირდებათ.

მძარცველმა უჯრა შესწია.

– ისე, გითხრათ სიმართლე, ან ჩვენ გვასულელებთ ან ერთობ უნიათო ვინმე ჩანხართ – დაიწყო უბისწიგნაკიანმა.

– სამ ადგილას მუშაობს, რა ჰქნას მეტი. ყაჩაღობას ხომ ვერ დაიწყებს ესეც – ჩაერია საუბარში ბენოს თანამეცხედრე.

– ვინ გეუბნებათ ქალბატონო ყაჩაღობას. მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს და ლექციის კითხვით ირჩენ დღეს თავს ადამიანი? მიდგეს-მოდგეს ცოტა. რაღაცა ფირმა გახსნას, კომერციაში შეჰყოს თავი. ამისთანა განათლებულმა კი არა, წერა-კითხვის უცოდინარებმა იშოვეს დღეს ფული.

– საერთოდ... კი... რასაკვირველია, მაგრამ ვერ შევძელი ეს ოხერი, ვერ ავუწყვე ფეხი ცხოვრებას... მეც მრცხვენია, თქვენ გგონიათ მე არ მრცხვენია ხელცარიელი რომ გხვდებით და ძველი, მამაპაპური ნაფტალინიდან ამოღებული ნივთების მეტს ვერაფერს გაძლევთ? – წეღანდელზე უფრო მორცხვად, სინანულით ჩაილაპარაკა ბენო ცირამუამ.

მძარცველებმა და მასპინძლებმა ერთხანს ისაუბრეს, მერე სტუმრებმა ბოდიში მოიხადეს გვეჩქარებაო და წავიდნენ. ამჯერად, თან გაიყოლეს ზემოთ ხსენებული ვერცხლის შანდლები, ხოხობისგამოსახულებიანი უძველესი ჯიბის საათი, ორი ვაუჩერი, ბენოს მეუღლის ნიშნობის ბეჭედი პირველი ქორწინებიდან და ორმოცდათვრამეტი ათასი მანეთი.

ზუსტად შვიდ საათზე ცირამუების კარზე ისევ დააკაკუნეს.

„აღარ შეიძლება ცხოვრება“ გაიფიქრა ბენომ. ახალჩაძინებული ცოლი არ გაუღვიძებია, არც ფოსტლები ჩაუცვამს, წინდებისამარა მიტანტალდა კარებთან და ჭუჭრუტანაშიც კი არ გაუხედავს, ისე გააღო კარი.

კარებში ავტომატიანი პოლიციელი იდგა: ოცდაშვიდიოდე წლის შავულვაშა, სამბისტის მოყვანილობის ათლეტი.

ბენოს არ უკითხავს რამ შეგაწუხათო.

– ბოდიში თქვენთან წუხელის მძარცველები იყვნენ?

– კი? მოხდა რამე? – ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა ბენომ.

– ორნი ხომ? ერთი მაღალი, ასე ჩემსიმაღლე, უსათვალო, მეორე ხელყუმბარიანი უკისრო, ხომ?

– დიახ.

– დიდი ხანია წავიდნენ?

– ასე საათნახევარი იქნება.

– წაიღეს რამე?

– კი. რატომ მეკითხებით?

– საით წავიდნენ?

– არ დავკვირვებივარ, მოხდა რამე? – შეშფოთება დაეტყო ხმაში ბენოს.

– არაფერი... ბოდიში... კარგად ბრძანდებოდეთ – ფიქრიანად ჩაილაპარაკა პოლიციელმა და კიბე ჩაირბინა.

პატიება

ვერ ვიყავი იმ დღეს ხასიათზე. თითქოსდა ლოგინიდან ამყვა უგუნებობა. ხომ არის ისეთი განწყობილება, ყველაფერი რომ ნერვებს გიშლის, ყველაფერი რომ გაღიზიანებს. ასეთ დროს დავიხურავ ქუდს და ფეხით ავუყვები ხოლმე კუს ტბას. სიარულში დარდს ვიქარვებ, გულს გადავაყოლებ. იმ დღეს ვერც ფეხით გავიარე. დილიდან დამირეკეს სამსახურში არ დაიგვიანო შრომითი დისციპლინის კომისია ჩამოივლისო.

ვზივარ კაბინეტში და რომელიღაც პარტიის კბენია გაზეთს ვათვალიერებ. ბიჭურად თმაშეკრეჭილმა გაპუწკულმა გოგომ შემოაღო კარი:

– უკაცრავად, შეიძლება ტელეფონზე დარეკვა?!

– არა! – მივუგე ანგარიშმიუცემლად, ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა.

შემკრთალმა გოგომ უსიტყვოდ გაიხურა კარი.

ჩვენს შენობაში ფასიანი ინსტიტუტია და სტუდენტები ხშირად შემოდიან დასარეკავად. გითხრათ სიმართლე, ზოგი ვერ გამოირჩევა დიდი ზრდილობით. დადგება და გაუთავებლად ლაპარაკობს თავის უაზრო სტუდენტური პრუტუნით, მაგრამ ჯერ არავისთვის მითქვამს დარეკვაზე უარი. რაღა ეს გოგო გავაწბილე-მეთქი – ჩემმა საქციელმა გამაკვირვა.

ვინ იცის, რა საქმე ჰქონდა. არა და ამ სართულზე მეტი ტელეფონი არ დგას. ვერ გამომივიდა კარგად. რას იფიქრებს ბავშვი. ეს რა დათვი მჯდარა კაბინეტშიო. დაერეკა, რას მიშლიდა.

ვერ მოვისვენე. ავდექი და დერეფანში გამოვედი. ჩემი კაბინეტის პირდაპირ, რადიატორს მიყრდნობია. საშუალო ტანის კნაჭა გოგოა. ჯინსის კურტკა და შავი რეიტუზი აცვია.

– დარეკვა თქვენ გინდოდათ?

– დიახ, – მწყრალად შემომხედა და განზე გაიხედა.

– შემობრძანდი, დარეკეთ.

– გმადლობთ, აღარ მინდა.

– მართლა გეუბნებით.

– აღარ მინდა, მეც მართლა გპასუხობთ.

დერეფნის ბოლოში გავედი. ვითომ წყლის დალევა მსურდა. ყასიდად გავუსვი ტუჩები ჩინური ვაზის ჩქერალს და მოვბრუნდი.

– წეღან ხომ გინდოდათ, ქალიშვილო, დარეკვა.

– წეღან მინდოდა, ახლა აღარ მინდა.

– ელოდებით ვინმეს?

– რა, აქ დგომაც არ შეიძლება?

– როგორ არა, რა ჩემი საქმეა... საერთოდ არ მინდა ჩემზე ნაწყენი იყოთ.

– გიშლით რამეს, პატივცემულო? თუ ვაშავებ რამეს, მითხარით და წავალ.

– არა, რას ბრძანებთ. უბრალოდ... აშკარად გეტყობათ რომ ჩემზე ნაწყენი ხართ. არ მინდოდა... ისედაც გამწარდა ცხოვრება... თქვენ რომ დარეკვა მთხოვეთ... არც კი ვიცი, უარი რატომ გითხარით, დღეს რაღაც ვერა ვარ ხასიათზე... შედით რა, დარეკეთ, ძალიან გთხოვთ.

ერთხელ კიდევ უნდოდ შემომხედა. ალბათ ისე საწყალი გამომეტყველება მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს დაიჯერა ჩემი.

გამიღიმა. ჩანთიდან გრძელი, ლურჯი ბლოკნოტი ამოიღო, გადაფურცლა და ასე, ბლოკნოტმომარჯვებულმა შეაბიჯა ჩემს კაბინეტში.

როგორც იქნა ამოვისუნთქე.

პრივატიზაცია

საათივით ავაწყვეთ ცხოვრება.

სად გვეძინა აქამდე.

სამოცდაათი წელი სოციალიზმს რატომ შევაჭამეთ თავი.

პრივატიზაცია ყოფილა, რაც ყოფილა.

ადრე ავტობუსი რომ გრაფიკით დადიოდა და მხოლოდ „გაჩერებაზე“ აჩერებდა, ახლა პრივატიზებული ავტობუსი როცა გაეხარდება, მაშინ ჩამოივლის და, თუ „გაჩერებაზე“ მდგომს დამაჯერებელი სახე არა გაქვს, ისე ჩაგივლის მძღოლი, ხელის დაქნევა რაა, ხელსაც არ დაგიქნევს.

ადრე ავად თუ გახდებოდი, „სასწრაფოს“ დაუძახებდი, ახლა სასწრაფო პრივატიზებულია და თუ მოვიდა, კარებშივე გირიგდება; ჩვენ პრივატიზებული ვართ და კეთილი ინებე, ჯიბეები გადმოიბრუნე, თუ ფული არა გაქვს, ილოცე შენი სულისთვისო.

ადრე უმაღლესში იმას ღებულობდნენ, ვინც კონკურსში გაიმარჯვებდა, ახლა პრივატიზებულ, კერძო სასწავლებლებში შესასვლელად წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელი სრულიადაც არ არის.

ადრე ქალაქში მაღაზიები საჭიროებისდა მიხედვით იყო განლაგებული, ახლა მაღაზიები პრივატიზებულია და მესაკუთრე სრულებითაც არ დაგიდევს, რა გჭირდება. შეიძლება ერთმანეთის გვერდით ოცდაათამდე მაღაზიამ იარსებოს და მარილის საყიდლად შესულს უცხოური პრეზერვატივი შემოგთავაზონ, იმის მიუხედავად, ხმარობ თუ არა პრეზერვატივს საერთოდ და უცხოურს კონკრეტულად.

ადრე ფაბრიკაში თუ მუშაობდი, ხელფასს ხომ ღებულობდი და ღებულობდი, თუ ჭკვიანად მოიქცეოდი, ზაფხულობით საკურორტო საგზურსაც გაძლევდნენ და სიბერეში პენსიასაც გინიშნავდნენ. ახლა საგზურს და პენსიას ვინღა ჩივის,

ექვსი თვე უფასოდ რომ გამუშაონ და ბოლოს სამი თითის კომბინაცია გიჩვენონ, ვერსად იჩივლებ. საჩივარს არავინ ღებულობს. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, სასამართლო პრივატიზებულია და, ვისაც უნდა, იმას ჩასვამს გალიაში. ვისი დასჯაც არ უნდა, ქრისტეს ფეხის მკვნეტელიც რომ იყოს, პარლამენტში დეპუტატობისკენ გზას გაუხსნის.

ადრე ხელმძღვანელი პირი ყველგან დროებით ინიშნებოდა. თუ პერსპექტიული ხელმძღვანელი გამოჩნდებოდა, ძველს (უპერსპექტივოს) ხსნიდნენ და ახალს ნიშნავდნენ.

ახლა ყველაფერი კერძოა, ეს იმას ნიშნავს, რომ უწყება თავისი ენერგიული თანამშრომლებით (რომელთა შორის თავისი ნიჭით დაწინაურების მსურველიც ბევრია) სამუდამოდ განწირულია მეპატრონე-დირექტორის და მისი გარდაცვალების შემდეგ მისი თუნდაც იდიოტი შვილის მოსაწყენი საუფროსო დღეებისათვის.

ჯერ სადა ხართ, ნეტარი დღეები წინ გველის.

მალე ქალაქების პრივატიზაცია დაიწყება, ქალაქის მერი ჩალის ფასად შეიძენს მისადმი დაქვემდებარებულ ქალაქს და როცა მოესურვება გაანათებს, როცა არ მოესურვება ჩააწკვარამებს, როცა მოეხასიათება გაათბობს, არ მოეხასიათება და გაყინავს.

მალე მხარეების პრივატიზაცია დაიწყება. გუბერნატორები სოფლის ფასად შეიძენენ მხარეებს და უნდათ რუსეთს მიუერთებენ, უნდათ სტამბულის ბაზარზე გაჰყიდიან.

ამ გზით თუ ვიარეთ, ბოლო საქართველოს პრივატიზაციაა. რა მოხდება მაშინ, მე ამაზე ფიქრისაც მეშინია. ჯერ ახლა რა დღეშია დავით აღმაშენებლის ქვეყანა და პრივატიზაციის შემდეგ რა დღეში ჩავარდება.

ერთი კაცის ნება-სურვილზე იტრიალებს ლოკატორივით წაღმა-უკუღმა უბედური საქართველო.

თუმცა არც ახლა ტრიალებს ორი კაცის ნება-სურვილზე.

ჩიტი

შუადღე.

აგვისტოს ბუღი.

სუნთქვა ჭირს.

ჩემი სახლის წინ დილიდან ასფალტს თხრიან, კაბელი უნდა შევცვალოთო. ყურისწამღები რახრახი, ღრჭიალი, ურო ს ცემა, დაგადუგი...

თითქოსდა მიწა ზანზარებს. მეორედ მოსვლის ჟამია სწორედ.

პირველ სართულზე მაინც არ ვცხოვრობდე.

დავკეტ-დავგმანე ყველა სარკმელი, ყველა ხვრელი, რაც ქუჩასთან მაკავშირებს, მაგრამ სულისწამღები რახრახ-გრიალი მაინც შემოდის და ზედ საფეთქელთან მიბრაგუნებს.

ქვემოთ, ტროტუარზე გივი ზუმბაძის ბიჭი (ყოფილი მხედრიონელია, სახელი აღარ მახსოვს) ზის, აბოლებს და მშვიდად შესცქერის ასფალტის თხრა-ბურღვას. რა ნერვები აქვს ზოგიერთს.

აივნის მოაჯირზე ჩიტი დაფრინდა. პაწაწკინტელა, ნიავივით მსუბუქი, ჭრელგულა, ღაბუა ჩიტი. ბელურაზე უფრო პატარა.

ერთი ჩახედა ქუჩას, ყური ჰკიდა მოტორის ღრიალს და ჩაქუჩის ბაგუნს, აქ ჩემი ადგილი არ არისო, ჩანს, ეს გაიფიქრა და როგორც მოფრინდა, ისე უხმაუროდ, ლბილად, თითქოს ბაბუაწვერას ულვაშიაო, ჰაერს შეერია.

აფრინდა. ამას აფრენაც არ ერქვა. ხვატს აჰყვა, ასფალტის ცხელ სუნთქვას აჰყვა მაღლა.

ტელეფონოგანაჩენი

ტელეფონი აწკარუნდა.

ვინ რეკავს ამ შუაღამისას?

როგორც იქნა წავიფოსტლფეხე და ტელეფონთან მივფშლატუნდი.

– გისმენ, ბატონო.

– ჩონ მიშველაძე გვინდა!

არაქართული ინტონაცია ბოხი, არც თუ ახალგაზრდული ხმა.

– მე ვარ.

– მწერალი მიშველაძე? რევაზი? – მეკითხება.

– დიახ, ბატონო.

– წავიკითხე „შანსში“ თქვენ სტატია.

– რომელი სტატია.

– დღევანდელ ნომერში თქვენ არ იცით?

– ნოველა? სტატიაო ბრძანეთ და იმიტომ გამიკვირდა.

– ჩონთვის სულერთია, ნოველა იქნება თუ სტატია.

– საქმე ის გახლავთ, რომ სტატიაში ყველაფერი მართალი უნდა იყოს, ნოველაში ზოგი რამ შეიძლება გამოიგონო.

– ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ თქვენი ნაწერი ბოლომდე მართალი არ არის და ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, სტატია იქნება თუ ნოველა. ჩონ შენ პატივს გცემდით.

– ახლა აღარ მცემთ?

– არა.

– რა დავაშავე?

– შენ ჩონი ხალხი თურმე არ გიყვარს. ამას შენგან არ ველოდით. ჩონ გაბრაზებული ვართ.

– რა წერია შიგ ასეთი?

– ამ ოცი წლის წინ ბაღჩო ჩამოვიდა და თფილისთან ახ-

ლოს კარავი დადგაო. რაიაღმასკომი საწყალ ბაღჩოს მიადგა, აქ საიდან მოსულხარო, ბაღჩომ თავის ღმერთი დაიფიცა; მგზავრი ვარ, ცოტა ხანს ვიქნები და წავალო.

სამი წლის მერე კარავში ბაღჩოს სამი შვილი და ორი ცოლი გაჩნდაო. ხუთი წლის მერე ბაღჩოს ექვსი შვილი დაფათურობდა ეზოში. მერე საწყალ ბაღჩოს უფროსმა შვილმა ცოლი მოიყვანა და მეორე კარავი დადგაო. მერე საიდანღაც ბაღჩოს ბიძაშვილები მოვიდნენო. გამრავლდნენ, განზე გაიწიეს და ახლა თბილისის თავზე უზარმაზარი თათრული სოფელიაო. ახლა ყოველდღე ქალაქში კაცს გზავნიან, მიწა დაგვიკანონეთ და ორდერები მოგვეცითო. ხომ ეს არის, ხომ თქვენი დაწერილია?

– მერე? ტყუილია რამე?

– ხომ გითხარით, ცოტა მართალია ცოტა ტყუილია. მე საყვედურის სათქმელად გირეკავთ. თუ შემაგინებთ და ტელეფონს დადებთ, როგორც სხვებმა იციან, ამით არაფერი შეიცვლება. ხუთი წუთის შემდეგ ისევ დაგირეკავთ, მაგრამ მე არ შეგაგინებთ, უბრალოდ გეტყვით, უზრდელობას თავი გაანებეთ და მომისმინეთ-მეთქი.

– როგორ გეკადრებათ, შეგინება რა საკადრისია.

– აბა, კარგად დამიგდეთ ყური. მართალია, ბაღჩო ჩამოვიდა და თბილისის ახლოს კარავი დადგა. მერე?

– რა მერე?

– თქვენ რომ წერთ, რაიაღმასკომი მიადგა და ბაღჩომ უთხრა ცოტა ხანში წავალო. როდის იყო თქვენი აღმასკომის კაცი ისეთი მიამიტი, ბაღჩოს მიწას ლამაზი თვალებისთვის რომ უთმობდა? რატომ სიმართლეს არ წერთ?

– რა სიმართლეს?

– რას და იმ წელიწადს თქვენმა ინსტრუქტორმა ბაღჩოსგან ფული აიღო, მესამე წელსაც აიღო. მერე მეორე კარვის დადგმაშიც ფული აიღო. მერე სახლის უნებართვოდ დადგმაშიც ფული აიღო. მერე ბაღჩოს ბიძაშვილებისგანაც

ფული აიღო. ნამდვილი „მერე“ თუ გინდათ ეს არის. რაო, არ იცით, თქვენი რაიკომის მდივნები მიწებს რომ ჰყიდდნენ და ახლაც გამგებლები რომ ჰყიდიან?

– სამწუხაროდ, თქვენ მართალი ხართ.

– ჰოდა თუ „მართალი ხართ“, რატომ მართალი არ დაწერეთ. თქვენი ნაწერი თქვენი ხალხისთვის უნდა იყოს. თქვენი ხალხის გასაგონად უნდა იყოს, თორემ ბაღჩომ წერა-კითხვა არ იცის და კიდეც რომ იცოდეს, შენს ნაწერს არ წაიკითხავს. არ სცალია.

– რა ცალი ჰკიდია?

– რა ცალი და მიწას ამუშავებს. ბოსტანს უვლის. ბაღ-ჩოს შვილები და შვილიშვილებია მაგ მუქთამჭამელ ქალაქე-ლებს რომ გარჩენენ. აბა, ერთი დღით არ ჩამოვიდნენ ქა-ლაქში? მაინც დალესილი გაქვთ კბილები ერთმანეთზე და უფრო მეტად შეჭამთ ერთმანეთს.

– ეგ მართალია, საუკეთესო მიწები თქვენ გიჭირავთ, ჩვენ სად ვხნათ და ვთესოთ.

– ჩონ პატივს გცემდით. სიმართლის მთქმელი მწერა-ლი გვეგონეთ. დამუშავებულ მიწას რომ გადმოხედავთ, გგონიათ, სულ ასე იყო... მე არ ვიცი, თქვენ რისი დამ-მუშავებლები ხართ? თბილისის ირგვლივ მთელი სოფლები დაჩა-აგარაკებად დაირიგეთ. მართლაც რომ მოპარული და არა ჩვენსავით ჰალალი შრომით ნაშოვნი ფულით სახლები აიშენეთ და მიატოვეთ. ბოსტნის მოვლა კი არა, დასვენებაც არ გინდათ. წელიწადში ერთხელაც არ ადიხართ აგარაკზე. საქმეები გაქვთ. ერთმანეთის სკამზე ხართ ჩასაფრებული. ჩონ შენ პატივს გცემდით. მატყუარა მწერალი ყოფილხართ.

– რა შუაშია მატყუარა. ყველაფერს იმ ერთ პატარა ნოველაში ხომ ვერ ჩავწერდი.

– ბაღჩოსაგან კი არა, სიმართლე თქვენი ხალხისაგან უნდა დაგეწყოთ. ჩამოიარეთ ეს სააგარაკო-საბოსტნე ნა-კვეთები და, თუ ქართველის ერთ მტკაველ ბოსტანს ნახ-

ავთ, მე მტყუანი ვიქნები. ეს ხართ თქვენ. ლაპარაკის მეტი არაფერი შეგიძლიათ.

– დაუკრეფავში ნუ გადახვალთ, თუ შეიძლება.

– დაუკრეფავი თქვენ კარგა ხანია არაფერი გაქვთ. ყველაფერი დაკრეფილია. რატომ გესობათ გულზე სხვისი გამრავლება? რატომ ითვლით სხვის შვილებს? არ სჯობია, თქვენი დაითვალოთ? თქვენ რა თქვენს მიწაზე გამრავლება დაგიშალათ ვინმემ? შეხედეთ კარგად ქუჩაში ნარკოტიკებით გაბრუებულ თქვენს ახალგაზრდებს. ვისი იმედი გაქვთ, ნარკომანების?

– ისიც კარგად ვიცით, ვის შემოაქვს და რატომ შემოაქვს ნარკოტიკები.

– თუ კარგად იცით, რატომ თქვენი ბავშვები გამორბიან ჩვენს სოფელში ნარკოტიკების საყიდლად? რატომ არ გიჯერებენ თქვენ, ასეთ ჭკვიან მწერლებს? ზოგი ჩვენი ცუდი კაცი თუ ნარკოტიკი დათესა და მოხარშა თვითონ არ აკეთებს. თვითონ შვიდშვილიანი არის. თუ თქვენი ახალგაზრდები არ იყიდიდა ის მამუნი არ შემოიტანდა, ხომ მართალია?

– სამწუხაროდ.

– ჰოდა, „სამწუხაროდ“, რატომ იმაზე არაფერს სწერავთ თქვენს სტატიაში?

– ნოველაში.

– თქვენს ნოველაში მწერალო? ჩონ პატივს გცემდით. რატომ შეიჯავრეთ ამ ბოლო დროს ქართველებმა სტუმარი?

– როგორ გეკადრებათ. მე თქვენს ხალხს პატივს ვცემ და ეს არაერთხელ დამიწერია, თუ წაგიკითხავთ.

– აბა ახლა რა ბზიკმა აგახტუნათ? ჩონ მიწაზე ვმუშაობთ. იმ მიწაზე, რომელიც თქვენ მიატოვეთ, ანდა ნაღდ ფულზე მოგვყიდეთ. ჩონ პატიოსანი ხალხი ვართ. როგორ შეიძლება მწერალი შეწუხებული იყო, – ბაღჩო გამრავლდაო. თქონ რატომ არ გამრავლდით?

– რა ვიცი... იქნებ იმიტომ რომ ბაღჩო და სარქისა ასე უსაშველოდ მრავლდება ჩემს მიწაზე.

– ეგ პასუხი არ არის, სწორი პასუხი თქვენ იცით, მაგრამ არ ამბობთ. თავს არ უტყდებით.

– მაინც?

– მაინც ის, რომ ქვეყანაში ცოტა მძიმე დრო დადგა, ომი იყო რუსეთთან და თქვენი ბევრი ახალგაზრდა, აქაოდა სამშობლოს დაცვამ არ მომიწიოსო, საზღვარგარეთ გაიქცა, ვითომ სასწავლებლად. სად ხართ, რატომ არ მიაკითხავთ თქვენს შვილებს საზღვარგარეთ, რას აკეთებენ. გითხრა რას აკეთებენ?

– რას?

– სასწავლებლად წასული ბიჭები გერმანიაში თუ საფრანგეთში დღე მანქანებს რეცხავენ და ღამით ალფონსობით ირჩენენ თავს. კაპიკებზე ბებერ მანდილოსნებს საყვარლობენ ან ჰომოსექსუალისტთა ღამის ბარებში სხედან. იცით თქვენ ამის შესახებ?

– ნაწილობრივ.

– ჰოდა, ბაღჩოს რომ მიადექი, რატომ ამაზე არ წერ შე კაი კაცო? რატომ იმას არ ამბობ, სამამულო ომში როგორ გადამალეთ შვილები თქვენ სახელოვანმა მამებმა და უტუმოხალისეებით, პირტიტველა ბავშვებითა და კრიმინალებით აპირებდით რუსეთთან ომის მოგებას? რატომ იმაზე არ წერთ, ჩემოდანზე შემომჯდარ თქვენ თავკაცებს შვილები საზღვარგარეთ „სამოღვაწეოდ“ რომ ჰყავთ გამწესებული? ესაა თქვენი პატრიოტობა? წარმოგიდგენიათ თქვენ, წიგნიერ კაცს, გიორგი ჭყონდიდელს შვილი უცხოეთში გაეგზავნა, სტუმრად კი არა საცხოვრებლად, საკომერსანტოდ? სხვისი ხელით ნარის გლეჯა იოლია ხომ? სხვისი შვილის სიკვდილი არაფერია, მაგრამ ჩემი შვილის ჯანმრთელად ყოფნისათვის გავუძლებ მშიშარა, შვილის გადამმალავ და ერის მოღალატე მამის სახელს ხომ?

– ყველა ხომ ვერ გაგზავნიდა. ზოგი ჭკვიანი მამა აღმოჩნდა. იცოდა, მის მიერვე დაწყებული ომის შედეგი და შვილის სიცოცხლე სასწორზე არ შეაგდო.

– ახლა ერის გამრავლებაზე სხვის ბუდეში რომ იხედები და შუბლზე ხელს ირტყამ, დავიღუპე, უცხოთესლი მრავლდებაო, რატომ იმაზე არ წერ, შე კაცო, ნოკოტიკით თითებდაყვითლებული თქვენი „გოგონები“ დილამდე ღამის ბარებში რომ სხედან და შამპანურს წრუპავენ, ერთ შვილზე მეტს რომ არ გიჩენენ და იმასაც დიდი ხვეწნა-დამადლებით? კიდევ გითხრა?

– ბრძანე.

– მე ვიცი, აქამდეც გაწყენინე, მაგრამ სიმართლეზე რომ თავს დებ, რატომ არაფერს ამბობ, თავმოყვარე ქართველი აზნაურმწერალი, თქვენი ქალები თურქეთში რომ ბოზობენ და დასტა დასტა დააპორწიალებენ თურქი პოლიციელები საპატიმროდან საპატიმროში? რაო, შეეგუეთ ამ თავსლაფსაც?

– მოიცა, მოიცა!

ყურში ზარივით რეკავს უცნობის ხმა. ლამის საფეთქლები დამისკდეს. თავიდან ნაცნობი, აღმოსავლურ-მეზობლური ინტონაციით დაიწყო: „ჩონ შენ პატივს გცემდით!!. მაგრამ მერე ეშხში შევიდა და სუფთა ქართულ კილოზე გადავიდა. არ შეიძლება სხვამ თქვას – „სამშობლოს დაცვამ არ მომინიოსო“, „შე კაი კაცო“, „უტომოხალისეები“, „სხვისი ხელით ნარის გლეჯა“, „ხვეწნადამადლებით“...

– შენ ქართველი ხარ, ბიჭო!

– არა ვარ ქართველი! ღმერთმა ნუ ქნას. ჩონ შენ პატივს გცემდით. რატომ სიმართლე არ დაწერე. შენ მაინც რაღასი გეშინია!

ისევ მეზობელი ერის კილოზე გადავიდა, მაგრამ უკვე გვიან არის.

– ქართველი ხარ, ქართველი. არ უნდა ამას ლაპარაკი. დიდი მადლობა შეხმიანებისთვის. ვღებულობ შენს შენიშ-ვნებს.

– ჩონ შენ პატივს გცემდით... ლამის ტირილი გაერია ხმაში.

– კარგად, კარგად! წავედი. აწი მაინც აღარ დამეძინება.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

რა მკითხავ-ვარდოობა უნდა, ქართველი იყო.

ტიკინები

სასამართლოს სხდომა ღიად მიმდინარეობდა.

იმდენად ღიად, რომ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტელევიზიით, ევროვიზიით და ინტერვიზიითაც გადაიცემოდა.

უცხოელ ჟურნალისტთათვის პროცესის თარგმნა სამ ენაზე იყო რადიოფიცირებული – ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

ჩინურ ენაზეც აპირებდნენ, მაგრამ არ მოხერხდა. საქართველოში ჩინურის მცოდნე არ მოიძებნა.

უმაღლესი სასამართლოს დარბაზი ხალხს ვერ იტევდა და ზოგნი დერეფანში ფანჯრის რაფებზე ჩამომსხდარიყვნენ.

ცხელოდა.

ჭერზე მოშრიალე უშველებელი პროპელერი მხოლოდ დარბაზის შუაგულს უნიავებდა. დაახლოებით იმ ადგილს, სადაც ბრალდებულთა ჭირისუფლები და ვექილები ისხდნენ.

მე რომ შევაღწიე, სხდომა დაახლოებით საათის-საათნახევრის დაწყებული იყო. მოსამართლეს ბრალდება წაკითხული ჰქონდა და სიტყვა ბრალდებულთათვის მიეცა.

ისინი სულ ხუთნი იყვნენ: ჯემალ იოსავა, ლევან ქებურია, ლექსო ჩიჩუა, თამაზ ჩიქოვანი და ემილ კაკაბაძე.

იოსავას სიტყვას ვერ მივუსწარი.

უბის წიგნაკში მხოლოდ მის მიერ ნათქვამი ბოლო ფრაზა ჩავიწერე:

ჯემალ იოსავა – ასე რომ, როგორც დაინახეთ, მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის. მე დიქტატურის დაუძინებელი მტერი ვარ და, სანამ პირში სული მიდგას, დიქტატურას არ დავუშვებ. იქედან უფრო ვიბრძოლებ, აი, ნახავთ (გაიცინა). აქ ცოტა შეზღუდული ვიყავი. ამათ იკითხონ, თორემ მე რა მიჭირს, ციხე ჩემი სახლია. ფანჯარასთან ჩემი ადგილი

უკვე თავისუფლდება. ბიჭები ახლა იმაზე ბჭობენ, რომელ ფანჯარასთან დამსვან, ხედი საიდან უკეთესი იქნება.

– დაბრძანდით, – ნება დართო მოსამართლემ, მაგრამ ჯემალ იოსავა უკვე იჯდა.

ბლოკნოტში ორი ფურცელი ღიად დავტოვე იოსავას სიტყვის შესავსებად. გაზეთ „სხივის“ წარმომადგენელი გოგონა იწერს თითქმის ზუსტად და იმისგან გადავიწერ-მეთქი.

მივყვეთ ჩემს უბის წიგნაკს:

ლევან ქებურია – მე ბრალდების მარტო იმ ნაწილში ვცნობ თავს დამნაშავედ, რა ნაწილსაც ხელი მოვაწერე. რაც გამოძიებამ მომაწერა, გამოძიების სინდისზე იყოს და, რაც მე დავაშავე, კი ბატონო. ვინ იხევს უკან. იციან ბიჭებმა, მე უკან არ დამიხევია არასოდეს და არც სამშობლო გამიყიდია, ზოგიერთივით აქ. პურის მანქანაზე ვმუშაობდი, თუ ჩალვადარი ვიყავი, არავისი საქმე არაა ეს. თავიდან ყველა უბრალო რაღაცა იყო. არავის არ გამოყოლია დედის მუცლიდან პაგონები. იყავიო, იმ კაცმა, პოლკოვნიკი და რატომ ვიტყოდი ვარს. იყავიო იმ კაცმა სამმართველოს უფროსი და, რა იყო აქ ვარის სათქმელი. სამმართველო, თვარა ატომური იარაღის ჩემოდანი ჩამაბარეს თავისი, პულტია თუ რას ეძახიან, იმით. არეული იყო ქვეყანა და არც ახლაა დაწყობილი, თორემ დაწყობილ ქვეყანაში, როდის იყო ნამინისტრალ კაცს ტყვიას ესროდნენ ქუჩაში. მინისტრობაზე გამახსენდა (გაიცინა) იყავიო იმ კაცმა მინისტრი და, რაზე ვეტყოდი ვარს. მინისტრობა თვარა დივიზიები და არმიები ჩამაბარეს მეც. ახლა რომ ვუყურებ, აქედან, ვთამაშობდით ომობანას. აბა, ქებურია დაარტყი ხობსო, დავარტყამდი, მერე მეტყოდნენ, აბა, ქებურია დაარტყი სენაკსო, ხობიდან გამოვიდოდი და სენაკს დავარტყამდი, მარა ამასობაში ხობში შესული იყვნენ ჩვენი ბიჭები. „ჩვენს ბიჭებს“ ვეძახი, აბა რა დავუძახო, მტრებად მე ისინი არასოდეს არ მიმაჩნდა. ყველას ვიცნობდი კარგად. ყაჩაღობაო, რომ წერია მანდ, ისე შევიდა, თქვენ არ დაგწყევლით, მართლა მტრის სახლში, ჩემს სახლში რომ შე-

ვიდა ნაყაჩაღარი. ქურდობა ქებურიების გვარს არ უკადრია არასოდეს და არც იკადრებს. ჭამა ხომ უნდა ადამიანს და ავტომატიანი ბიჭები წაართმევდნენ, თუ თვითონ არ მისცემდა, ვიღაცას გოჭს ან მოზვერს, აბა რა იქნებოდა. ბოლო დროს ვხვდებოდი მეც, დიდი ნაკითხი რომ არ ვარ, თქვენც კარგად ხედავთ, მაგრამ ჩემი გლეხური ჭკუით ვხვდებოდი მეც, რომ საქართველოს დღეები დათვლილი იყო. აგვტეხა ვიღაცამ და რომ მიგვიშვა ერთმანეთზე, კვდებოდა გულში, ალბათ, სიცილით. გვაცლიან ერთმანეთის ჭამას და მერე გვასწავლიან ორივე მხარეს ერთად ჭკუას-მეთქი, ვამბობდი გულში. გულში კი არა, ხმამაღლაც ვამბობდი. გაგონილი აქვთ ბიჭებს. ამაში ყველაზე მეტად მაშინ დავრწმუნდი, როცა ერთი კაცი სოხუმიდან დამელაპარაკა. მოდი ტელეფონთან, ის გირეკავსო რომ მითხრეს, გამეცინა, მართლა დიდი კაცი ვყოფილვარ, თორემ როდის იყო, ის ჩემთან დარეკვას კადრულობდა-მეთქი. ავიღე ყურმილი, ისაა ნამდვილად. ლევანო, მეუბნება, ხომ ხარ ჩემი ლევანი შენო, ხომ ვართ მეგობრები მე და შენო. წამოიყვანე შენი ბიჭები, მოკრიბე ყველა, ვისაც შეუძლია თოფის დაკავება და დაარტყი მტერს მაქედანო, თორემ გლახათაა სოხუმის საქმეო.

გავშრი. ვის დავარტყა. რუსის ტანკებს შევახოცო ეს საწყალი ბიჭები? მე ვიცოდი, მესამე კლასში ორჯერ ჩანარჩენმა კაცმა, რუსი რომ გვებრძოდა და მაგან არ იცოდა? მაგას კარგი მოფიქრება უნდა, ბატონო ემილ, მე ვუთხარი. ახლა რომ მირეკავ, მაშინ რატომ არ დამირეკე, ომს რომ იწყებდი რუსებთან-მეთქი. მაშინ რატომ არ შემითანხმე, არტილერია და ტანკები რომ ჩამოართვი ჩვენს ბიჭებს სოხუმში და უიარაღოდ დატოვე-მეთქი. ეს ყველაფერი ვუთხარი, თვარა აგერაა თვითონ და დაადასტურებს. ახლა ვიტყვი, რაც არ მითქვამს და გულში გავიფიქრე: ჭკუაში გვატყუებ, ამხანაგო ემილ, ჩვენი დასჯა და გაწყვეტა გაქვს გულში, თორემ არ ხარ ისეთი ჩიტი, რომ არ იცოდე, რუსეთისვე ნაჩუქარი შვიდი გაუბედურებული ტანკით რუსეთის არმიას რომ ვერ

დაგიმარცხებ მე – ლევან ქებურია-მეთქი. ასე იყო ეს. მივხვდი მე ყველაფერს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ლექსო ჩიჩუა: – მე თავს დამნაშავედ არ ვცნობ. პირიქით, მე ბრალმდებელი გახლავართ და, სხვათა შორის, ძალიან მიკვირს რატომ ვზივარ ამ სკამზე. ვილაპარაკოთ ციფრებით და თარიღებით. თქვენ კარგად იცით, რომ მე ფაქტებით ლაპარაკი მიყვარს. 1991 წლის 18 სექტემბერი: ჩვენ ტელევიზიაში ვართ გამაგრებული და ვურეკავ პრეზიდენტს – წინადადებას გაძლევ, დაუყოვნებლივ გადადგე-მეთქი. რატომ უნდა გადავდგეო, მეუბნება. წარმოგიდგენიათ? ზუსტად ამ სიტყვებით მიპასუხა. თუ ვერა ხვდება, რატომ უნდა გადადგეს, რაღა უნდა ველაპარაკო-მეთქი და წავედით თბილისის ზღვაზე. 1992 წლის 12 დეკემბერი. ჩვენ რუსთაველის პროსპექტზე შევიყვანეთ მძიმე ტექნიკა და არტილერია. პრეზიდენტის რეზიდენციაზე იერიშს არ ვაპირებდით, ისე, შესაშინებლად შევიყვანეთ. ვურეკავ პრეზიდენტს – უკანასკნელად გაძლევ წინადადებას გადადგე, თორემ მერე გვიან იქნება-მეთქი. ლექსოვო, მეკითხება, მითხარი კაცურად, ეგ შეიარაღებული ხალხი რისთვის შეაწუხეო. თუ ნებით არ გადადგები, ძალით უნდა გადაგაგდოთ-მეთქი. პაუზა. ეგ მეკუთვნის, ლექსო, შენგან მეო? ხვნეშით მეუბნება. ახლა აქ სენტიმენტების დრო არ არის-მეთქი. მოვიფიქრებო. მოსაფიქრებლად ორი საათი მივეცი. ორი საათის შემდეგ პარლამენტის წინ წამოწოლილ, ზარბაზნების და ჰაუბიცების თრევით გაწამებულ ჩვენს უძილარ ბიჭებს პარლამენტის შენობიდან კარგად გამოძინებულმა პრეზიდენტის დაცვამ ცეცხლი გაუხსნა, ვართ ჩვენ რამეში დამნაშავე?

1992 წლის თებერვალი: მეუბნებიან ემილ კაკაბაძე ჩამოგვყავსო. რა შუაშია კაკაბაძე-მეთქი. კომუნისტური წყობის რესტავრაცია მინდა მე საქართველოში-მეთქი? შენ რომ გახსოვს, ის კაკაბაძე აღარ არისო, მოინათლა და სახელიც შეიცვალაო. თვითონ არ ჩამოვა-მეთქი, უკანასკნელ იმედს ჩავებღაუჭე. ყველაფერი გადაწყვეტილია, უკვე მოვილაპარა-

კეთო, მეუბნებიან. კი მაგრამ, ამ ჩემს გაშლილ სუფრაზე კაცი მოგყავთ და უჩემოდ მოელაპარაკეთ-მეთქი? იღიმებიან, სანამ შენ პრეზიდენტის რეზიდენციას ალყას შემოარტყამდი, მანამდე იყო ყველაფერი გადაწყვეტილიო. ის ათი რუსული ტანკი ოცდარვა დეკემბერს რომ რუსთაველზე შემოგრუხუნდა, ბაბუაშენის – გაბრიელ ჩიჩუას გამოგზავნილი ხომ არ გეგონა, სწორედ რომ ემილ კაკაბაძის დამსახურებაა.

შენ ფიქრი ნუ გაქვს, შენს ადგილს არ დაიჭერს, უბრალო კაცად ჩამოდის საქართველოში, ნოსტალგია აქვს თავისი ქვეყნისო, თავის ფონდს ჩაუდგება სათავეში და ქვეყანას ეკონომიურად წელში გამართავსო, ხომ იცი, რამხელა სახელი და გამავლობა აქვს საზღვარგარეთ. კი, ბატონო, ჩამობრძანდეს, ამ კაბინეტიდან მე ცოცხალი თავით არ გავალ და, სადაც გნებავთ, იქ დასვით, რიგით კაცად თავის სამშობლოში ჩამოსვლას მე ვერავის ავუკრძალავ-მეთქი.

კიდევ გნებავთ ფაქტები? ჯერ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე დაირქვა, მერე სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტზე პრემიერ-მინისტრად სამადლოდ ძლივს რომ გამათრია, მაშინ მივხვდი, რაც მჭირდა. ამით მაგრძნობინა, ხომ ხედავ, რამხელა ძალა მაქვს, ჩემი ყურმოჭრილი მონა იყავი, თორემ მოგივლი შენცო. გავაგრძელო ფაქტებით საუბარი, ბატონო მოსამართლევ? მერე იყო სამაჩაბლო და დაგომისი, მერე იყო გაგრა და სოჭის ხელშეკრულება. მერე იყო სნგ-ში შესვლა და რუსეთთან დამამცირებელი ხელშეკრულება. მერე იყო ბანკის მაქინაციები ერთი მუჭა კრედიტორების გამდიდრება და საწყალი დვალიშვილის გაწირვა. მერე იყო კუპონი და გაზის გათიშვა. ამ დროს უკვე ყველაფერს მიმხვდარი ვიყავი, მაგრამ გვიან იყო. სიმართლე გითხრათ, სახელმწიფო საბჭო რომ შეიქმნა, იმ წუთიდან უკვე ვიცოდი, რაც გვჭირდა, მაგრამ...

მოსამართლე – რა მაგრამ? სანამ პირადად არ შეგეხოთ, რატომ არ ამოიღეთ ხმა?

ბრალდებული ლექსო ჩიჩუა – მრცხვენოდა რომ ამხელა

კაცი ასე გამაცურა. ანდაზა არ გამართლდა – პატარა მელია დიდ მელიას, თურმე ვერასოდეს ვერ მოატყუებს.

თამაზ ჩიქოვანი – მე რა (იღიმება), რა თქმა უნდა, მე ორმხრივ მადლობელი ვარ კაკაბაძის. ჯერ ერთი: საქმე წინ წამიგდო, რასაც მომცემენ, ამ ნაჯდომობას ხომ გამომიბრიან (იღიმება), ასე რომ დღეიდან, ამათთან შედარებით, მე ყველაზე ნაკლებ ხანს მომიწევს ჯდომა. მეორეც, ამ დაჭერამ სიკვდილს გადამარჩინა. ციხეში დაცული მაინც ვარ (იღიმება) გარეთ, ვინ იცის, რომელ მოსახვევში გამაგორებდნენ.

რაზე დამიჭირეს, მე თვითონ არ ვიცი (იღიმება). სენაკში მივდიოდით სავარჯიშოდ, გასაჯანსაღებლად, ყველამ კარგად იცის ამ დარბაზში, ფოდნოსით რომ არ მოგვართმევენ სოხუმს. შენი ბრალიაო რომ მეუბნებიან, სინდისი არ არის? მე რაში ვერიე, ვთქვათ, ვაჟკაცურად. ჯერ შედიო, მითხრეს აფხაზეთში, მერე დაიხიე უკან და ფეხი არ მოიცვალო მაქედანო. მივხვდი, ვინც გვღალატობდა. ეტყობა (იღიმება), სახეზე შემატყვეს მიმხვდარი რომ ვიყავი და მომკოჩეს. არაფერი აღარ ვიყავი ბოლოს. გვარდიის საპატიო სარდალი დამარქვეს ხუმრობით (იღიმება), ვინ რას მეკითხებოდა. დავდიოდი ჩემით, უპრაგონოდ, არამკითხე მოამბესავით ერთი ნაპირიდან მეორისკენ (იღიმება). არც ერთი მენდობოდა ბოლომდე და არც მეორე. გაყიდული რომ იყო სოხუმი, იმაზე შევატყვე; რუსები უკვე ქალაქში იყვნენ და ჩვენ რომ ტელევიზიით ვაცხადებდით, სოხუმი საიმედოდაა დაცული (იღიმება), ჩიტი ვერ შემოფრინდებაო (იღიმება). შემოგრიალდნენ რუსული ტანკები და მთავარი ჩიტი მშვენივრად გამოფრინდა (იღიმება), განწირული ბელურები ჩატოვეს ალმოდებულ ქალაქში. არაფერი არ ვიყავი მე, გიმეორებთ ამას, და ჯარისკაცივით ვიბრძოლე იმ ბავშვების გადასარჩენად. ახლა ყველამ ყველაფერი კარგად იცის, რა საჭიროა მაიმუნობა. რა იყო აქ გამოსაძიებელი.

რომ ჩამოვიდა, მაშინვე ვუთხარი ლექსო ჩიჩუას, ეგ ჩვენთან კოლექტიურ სურათს არ გადაიღებს-მეთქი. ეგ კუსტარ

ადინოჩკაა, მაგას ჩვენი კამპანია ხელს არ აძლევს-მეთქი. მარტო ჯემალ იოსავას სჯეროდა, რომ ბოლომდე გაიტანდა. ჯემალიც კარგად აღადავა (იღიმება). მეცინებოდა, ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჟენევაში რომ აგზავნიდა დელეგაციის ხელმძღვანელად. ამით ჯემალის გაბითურება უნდოდა (იღიმება), თორემ ჟენევის გზა იოსავაზე ნაკლებად იცოდა თვითონ? იოსავა რომ ჰაერში იყო თავისი დელეგაციით, ეს ჟენევაში მოსკოვის წარმომადგენელს და თავის „საქართველოს მეგობრებს“ ტელეფონით ელაპარაკებოდა, ღმერთი არ გაგიწყრეთ და, რაც რუსეთს არ უნდა, ისეთი რამ არ წამოგცდეთო (იღიმება). ჩამოდიოდა ჯემალ იოსავა და გაოცებული იყო (იღიმება): ამ ოხრებთან (რუსებს გულისხმობდა), არანაირი ლაპარაკი არ გადისო. საქმეს ვურჩევ, ველაპარაკები; თქვენთვის უკეთესი არ არის, აფხაზეთიც და მთელი საქართველოც თქვენი რომ იყოს, ვიდრე მარტო აფხაზეთი-მეთქი? ჯერ ზღვაზე დაისვენეთ, მერე „ბორჯომის“ წყალი სვით, იყავით და იბაირამეთ-მეთქი, ვეუბნები ამ ოხრებსო, ამბობდა იოსავა (იღიმება), მაინც ვერაფერი შევაგნებინე, ათს ვიტყვი მე, ჩემი არ ესმით, ერთს იტყვის არძინბა და იმისი გადისო (იღიმება).

ჩვენ ხომ ჩვენი ჭკუის დაგვემართა, მარა (იღიმება), არც თვითონ ადგას კარგი დღე (იღიმება).

დამნაშავე როგორ არა ვარ, მაგრამ თქვენ რომ მანდ გიწერიათ (იღიმება) ეგ არ არის ჩემი დანაშაული. ეგ შიშით დაწერილი საბრალდებო დასკვნაა. დამითმე რამე, კაცი არა ხარო? მეუბნებოდა გამომძიებელი (იღიმება), სხვათაშორის კარგი ბიჭია, დავძმაკაცდით (იღიმება). ჩემი მთავარი დანაშაული იცით რა არის? გენერლობას რომ დავხარბდი და პირველ პრეზიდენტს მინისტრობაზე რომ დავეთანხმე. რა ჩემი საქმე იყო, სად თავდაცვის მინისტრი და სად მხატვარი კაცი. ესაა ჩემი სიტყვა (არ იღიმება).

ემილ კაკაბაძე – რატომ არ ამბობს არავინ... მეე... ჩემი სახელის და... მდგომარეობის კაცი... რატომ ჩამოვედი საქა-

რთველოში... მე... კაცმა რომ თქვას, არ მინდოდა საბჭოთა კავშირის დაშლა... ტყუილად მაწერდნენ მლიქვნელი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები იმპერიის დაშლას და ბერლინის კედლის დანგრევას. მე... და გორბაჩოვს სახელმწიფო გარდაქმნა, გადაკეთება გვინდოდა, მარა მოგვატყუა დასავლეთმა. ჩიხში მოგვიმწყვდია. პუტჩის მერე სხვა გზა არ მქონდა და ელცინს მივემხრე... მეე... არც კომუნისტური პარტიის გაუქმების მომხრე ვიყავი... ამ პარტიამ გამზარდა... ვუთხარი კიდეც... ბორია, ნუ იზამ ამ საქმეს-მეთქი... არ დამიჯერა... ბორია, როგორც გორბაჩოვის კაცს, აღარ მენდო და დავრჩი მოსკოვში ფაქტიურად უსამსახუროდ... ასოციაცია გამევიგონე, მაგრამ ასოციაცია რომ არაფერი არ არის (იცინის) თქვენ კარგად იცით. მივედი ელცინთან, წავალ საქართველოში. კავკასია ძნელი რეგიონია... იქედან უფრო მოგეხმარებით-მეთქი. გაეხარდა ელცინს... გადამკოცნა... ახლა დავრწმუნდი, რუსეთის ერთგული რომ ყოფილხარო... აი, ასეთ მდგომარეობაში დავბრუნდი საქართველოში მე... ეს ნაბიჯი ფაქტიურად პოლიტიკურ თვითმკვლელობას ნიშნავდა... სხვა, ჩემს ადგილას, დაჰკრავდა ფეხს და ლოსანჟელოსში გაფრინდებოდა... ლექციებს წაიკითხავდა და იცხოვრებდა... მე... არ გავფრინდი. ჩემი სამშობლოს გადარჩენა მინდოდა და იმიტომ.

როგორც გადავარჩინე, კარგად ხედავთ. ჩემი ბრალი არაფერი არ არის. მომატყუეს ეს დროული კაცი. უნამუსოდ მომატყუეს. მე... არ მეგონა თუ მართლა... ასეთი ბინძური საქმე იყო პოლიტიკა.

ჩამოვედი... ქვეყანა დანგრეულია... ყველა ნატოს და დასავლეთს გაიძახის... დაველაპარაკე მოსკოვს, ყველას დასავლეთი აკერია პირზე და სნგ-ს ვერ უხსენებ ვერავის-მეთქი. შენც მიყევი დინებასო, კრემლმა, ვითომ შენც დასავლეთის ორიენტაციის მომხრე ხარო. თან პარალელურად ქვეყანა დაამშიე და სამოქალაქო ომის გაღვივებას ხელი შეუწყვეო. როცა დაინახავს ხალხი, რომ დასავლეთმა ვე-

რაფერი ხეირი დამართა ქვეყანას, თვითონ ამოიღებს გულიდან ამერიკა-გერმანიის და ნატოს სიყვარულსო.

მეც ისე მოვიქეცი, როგორც მოსკოვმა მიკარნახა. ხან გენშერი ჩამოვიყვანე და ხან ბეიკერი. დამიჯერა ხალხის დიდმა ნაწილმა, მარტო ქუჩის პოლიტიკოსებმა არ დამიჯერეს. სად არიან, ვინც ცოცხალია, ვინც ტერორს გადაურჩა (იცინის) რატომ არ სხედან ისინი ჩვენს გვერდით. გაიქცნენ? გაქცევა ადვილია. თუ არ ვარგოდა, რატომ მისცეს ხმა სნგ-ში შესვლას, თუ ასეთი ცუდი იყო, რატომ დამიმტკიცეს ერთხმად კონსტიტუციის პროექტი.

მერე რუსებმა დაგომისის ხელშეკრულებით მომატყუეს და სამაჩაბლოში რუსის ჯარი ჩააყენეს. მთავარი მოტყუება თურმე წინ მქონდა. მითხრეს მოსკოვიდან... საქართველო ორადაა გახლეჩილი... ქვეყანას ყველაზე მეტად ომი ასუფთავებსო. პატარა ომს გავაჩაღებთ, ვითომ აფხაზეთი იბრძვის... საქართველოს ცოტას შევაჯანჯღარებთ... ზვიადისტებს საბოლოოდ ჭკუაზე მოვიყვანთ და შენს წინ დავაჩოქებთ, იქნებ გროზნოს შეფარებული პრეზიდენტიც ჩავაბათ ამ ომში და მისი პრობლემაც მოგიხსნათ, მერე ჭკუაზე მოყვანილ, მოთვინიერებულ საქართველოს შემოუძეხი სნგ-ში და იმეფე დამშვიდებულ საქართველოში, რამდენ ხანსაც გინდაო.

უნამუსოდ მომატყუეს... საქართველოს შეჯანჯღარება-მოთვინიერებაში რუსებმა ჯოხი იქეთ გადაღუნეს და, ჩემთან შეუთანხმებლად, ოცდაათი ათასი დარჩეული ბიჭი მოგვიკლეს. სამაჩაბლო და აფხაზეთი ქართველობისგან გაწმინდეს და მესამედი ტერიტორია წაგვართვეს. ეს რა ჰქენითმეთქი... მე... რომ ვუთხარი ელცინს და გრაჩოვს, აბა, როგორ გინდოდაო, სხვანაირად სტაბილიზაციას ვერ მივაღწევდითო. ვიცით ჩვენ ქართველი კაცის ხასიათი... საქართველო თუ არ დააჩოქე, ჭკუას არ ისწავლისო.

მე... რა... მეტი... გზა... მქონდა და მივიღე ერთპიროვნულად საქართველოს სნგ-ში შესვლის გადაწყვეტილება. ახლა...

ხომ სნგ-ში ვართ... ხომ მოთვინიერებულია საქართველო ცოტა ეკონომიკა გამიჯანსაღეთ, ქარხნების ამუშავებაში მომეხმარეთ, ხალხმა ჩემი ჩამოსვლის სიკეთე რომ დაინახოს-მეთქი, ვთხოვე რუსეთს. უსირცხვილოდ მიჩვენეს სამი თითის კომბინაცია.

ასე მომატყუეს... ჩემს ხალხს დამიპირისპირეს... კარგი, ეკონომიურად არ გვეხმარებით... თურქმენეთს გაზი მაინც გამოაშვებინეთ-მეთქი, ისევ სამი თითის კომბინაცია მიჩვენეს... მე... ძალიან გავბრაზდი, მაგრამ რა უნდა მექნა. მერე ლტოლვილების საცოდაობით ღამე რომ ვეღარ ვიძინებდი, შევევედრე კრემლს – წართმეული მიწები მაინც დაგვიბრუნეთ-მეთქი. ისევ (აღარ ვიცი მერამდენედ) სამი თითის კომბინაცია მიჩვენა მოსკოვმა. ბოლოს, ნირწამხდარმა და იმედგაწურულმა, ერთი უმნიშვნელო რამ შევთხოვე მოსკოვს – არძინბა მაინც მოგვაშორე, არძინბა წაიყვანე კრემლში სტალინთან (იცინის) და აფხაზეთი თქვენი იყოს-მეთქი. რუსეთს ხომ სამი თითი (იცინის) გამზადებული აქვს. დამპირდნენ, მაგრამ მომატყუეს.

ახლა გეკითხებით მე თქვენ: კაცი, რომელსაც სახელმწიფოებრივ დონეზე წამდაუწუმ ატყუებენ, დამნაშავეა?.. არ არის დამნაშავე. დამნაშავეები ისინი არიან, ვინც მართალ, მიმნდობ, გულუბრყვილო კაცს წამდაუწუმ ატყუებს... ტყუილები რეიგანმა და ბუშმაც იცოდნენ, ტყუილი დაპირებები კოლმაც იცის, მაგრამ ასეთი აშკარა და უსინდისო ტყუილები, ელცინს რომ ეხერხება, ნამდვილად არა.

პირველად რომ მიჩვენეს სამი თითის კომბინაცია, მაშინ მივხვდი ყველაფერს, მაგრამ უკვე გვიან იყო. კარგა შორს შევტოპე. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და ბოლოს იქამდე მივედი, რომ საქართველოს გუბერნიებად დაყოფის რუსულ გეგმასაც კი დავუჭირე მხარი.

მოსამართლე – ბრალდებულო კაკაბაძევ, როცა დარწმუნდით, რომ რუსეთი თქვენთან აღარ თანამშრომლობდა რატომ არ გადადექით?

– ასე გულუბრყვილო როგორ იქნებოდაო. ალბათ, წინასწარ შეთანხმებული იყო რუსებთანო, იტყოდნენ. სამშობლოს გამყიდველის სახელი რომ ამეცილებინა, იმიტომ არ გადავდექი. თანაც მინდოდა, კიდევ მეცადა, საქმის გამოსწორება. იქნებ ვანია აზრზე მოსულიყო... მაგრამ მეტი არ იქნა ჩემი მტერი (იცინის).

* * *

სასამართლო, როგორც ვატყობ, კარგა ხანს გაგრძელდება.

მოვაბიჯებ დანგრეულ პროსპექტზე და გულს მიგლეჯს განაგონი, ჯიბეს მიწვავს უბის წიგნაკი, რომლის ხმაურიანი ფურცლებიდან ჩემი განწირული ერის კვნესა-ვაება მესმის.

არ ვიცი, როგორ წავა პროცესი, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, სახალხო მოსამართლე ბრალდებულთაგან ერთ-ერთს სხვაზე მეტად დასჯის.

რომელს? ამის მიხვედრა მკითხველს არ გაუჭირდება.

ძიება გრძელდება

ერთ ქარიან, უთავბოლო დღეს ჟურნალ „აიაზმის“ რედაქტორს ავალო ავალიშვილს უნიჭო მწერალმა გიგო გოგრიჭიძემ მოთხრობა მიუტანა. დაგვიტოვეთ ბატონო გიგო და პასუხს ერთ კვირაში მოგახსენებთო, თავაზიანად უთხრა ავალომ, როგორც ასეთ შემთხვევაში რედაქტორები თავაზიანად ეუბნებიან ხოლმე ნიჭიერ თუ უნიჭო ავტორებს.

კეთილი და პატიოსანი, მიუგო გიგომ, მოთხრობა დატოვა, ამოიხვნეშა და წავიდა. საერთოდ რატომ ამოიხვნეშებენ ხოლმე ადამიანები ცნობილია, მაგრამ ამჯერად რატომ ამოიხვნეშა გოგრიჭიძემ, ჩვენთვის ბურუსითაა მოცული. საბოლოოდ კი ამოსახვნეშად ვის ექნება საქმე, სამიოდე წუთში გაიგებს პატივცემული მკითხველი.

რედაქტორმა ავალიშვილმა დაახლოებით იცოდა, რაც იქნებოდა გოგრიჭიძის მოთხრობა, მაგრამ მაინც იმდღესვე წაიკითხა. ვინ იცის, იქნებ, სურდა გაეგო, ხომ არ ატყუებდა გუმანი, ან იქნებ, უნდოდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ გიგო ღირებულს ვერასოდეს ვერაფერს შექმნიდა.

სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გოგრიჭიძის მოთხრობა იმაზე უფრო სუსტი გამოდგა, ვიდრე ავალო ელოდა. ცხრაგვერდიან საშინელებაში სრულად არაფერზე იყო ლაპარაკი და ბოლოს ავტორი ამ თავის უნიჭო „თხზულებას“ შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „დანარჩენს მკითხველი თვითონ მიხვდება“.

„აიაზმას“ რედაქტორს, პირველად მის ცხოვრებაში, ნერვებმა უმტყუნა. იფიქრა, ამ სისაძაგლით გოგრიჭიძე, ვინ იცის კიდევ, რამდენ რედაქტორს გაამწარებსო, მოთხრობა ოთხად გადახია და საქაღალდეში ჩაუძახა.

ზუსტად ერთი კვირის თავზე უნიჭო მწერალი გიგო გოგრიჭიძე რედაქციაში გამოცხადდა.

მას რედაქტორის ჯანმრთელობის გარდა თავისი მოთხრობის ბედი აინტერესებდა.

ივნისი იწურებოდა. ტყემლის ყვავილობა იმერეთში კარგახნის ჩათავებული იყო.

ავალომ, რამდენადაც მოახერხა, ტაქტიანად აუხსნა გოგრიჭიძეს, რომ მისი მოთხრობა მოისუსტებდა, ფრაგმენტულობას რომ თავი გავანებოთ, პრობლემა გამოკვეთილი არ იყო და საერთოდაც ჟურნალ „აიაზმას“ პროფილს არ შეესაბამებოდა.

დაახლოებით მეც ამგვარ პასუხს ველოდიო მშვიდად ჩაილაპარაკა გოგრიჭიძემ და დაამატა, წავიღებ, რაკი ასეა საქმე ჩემს მოთხრობას უკანო.

ამ დამატებამ რედაქტორს მაჯა აუჩქარა.

ჯერ მოჩვენებითი ფუსფუსით ეძება თავის უჯრებში მოთხრობა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ იგი ურნაში ჩაგროვილ სხვა ქაღალდებთან ერთად დამლაგებელს კარგა ხნის გადაყრილი ჰქონდა. მერე მოადგილეს პასუხისმგებელ მდივანს და განყოფილების გამგეს უხმო და უაზრო მზერით ჰკითხა:

ბატონი გიგოს მოთხრობა ხომ არ შეგხვედრიათო. თქვენთან არისო, ლამის ერთხმად მიუგეს თანამშრომლებმა.

მოადგილის პასუხისმგებელი მდივნის და განსაკუთრებით განყოფილების გამგის სხვა რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცს. სიბრაზისაგან პირგამშრალმა რედაქტორმა წაიბუტბუტა: ეხლა გამახსენდა, შინ წავიღე წასაკითხად, ამ დღეებში გამომიარე და მოგართმევო.

გოგრიჭიძე მესამე დღეს გამოჩნდა. მისი ფიქრით (და არც თუ უსაფუძვლოდ) „ამ დღეებში“ სწორედ მესამე ან მეორე დღე იგულისხმებოდა.

გიგოს დანახვაზე რედაქტორს სუნთქვა შეეკრა. ჯერ ამინდზე და პოლიტიკაზე ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ გოგრიჭიძე არ აჰყვა, მას ამჯერად მხოლოდ თავისი პირმშოს, თავისი მოთხრობის ხელში ჩაგდება აინტერესებდა.

– ჯერ ასეთი არ დამმართია, არ ვიცი რა ცამ ჩაყლაპა. გადავქექე მთელი ბინა და ვერ მივაგენი. სად წავიღებდი ვითომ? – ცელქობაში დაჭერილი ბავშვის მიამიტობით შეაჩერდა რედაქტორი მოთხრობის მოღუშულ ავტორს.

– მე მეკითხები? – მშვიდად უთხრა გიგომ.

– იქნება სადმე, ქალალდებში შემყვებოდა. ხდება ხოლმე. აბა სად წავიდოდა ვის რად უნდოდა შენი მოთხრობა – „შენი უნიჭო მოთხრობა“, კინაღამ წამოსცდა ავტორს.

– მითუმეტეს, – ეს ერთი სიტყვა აღირსა პასუხად ნახევრად გულშეღონებულ რედაქტორს გოგრიჭიძემ.

– როდის მოგაკითხოთ?

– რაზე?

– ჩემს მოთხრობაზე.

– დარეკე ამ დღეებში. ან ტელეფონი დამიტოვე და როგორც კი ვიპოვი, მე თვითონ დაგირეკავ – კმაყოფილი დარჩა თავისი „მიგნებით“ რედაქტორი.

– ზეგ მოგაკითხავთ. სასწრაფოდ მჭირდება – პასუხს აღარ დაუცადა წარმოუდგენლად სუსტი მოთხრობის ავტორმა – კარგად ბრძანდებოდეთ.

ორი დღის შემდეგ მედიდურ ავტორს რედაქტორი ღარიბი ნათესავივით ელრიჯებოდა.

– ვერ ვიპოვე. ღამე ჯავრით აღარ მძინავს. მეორე პირი გექნება.

– არა მაქვს.

– შავი გექნება, ხელნაწერი, მომიტანე, მე გადაგიბეჭდავ.

– საქმე ისაა, რომ ხელნაწერიც დავკარგე. ხელნაწერი რომ მქონდეს, ამდენს ვივლიდი ასე და შეგაწუხებდი?

– შავი როგორ არ გექნება. შეინახავდი სადმე, კარგად დაძებნე.

– შენ მასწავლი ახლა, ბატონო ავალო, რა მაქვს სახლში და რა არა მაქვს?

– რა იყო, შე კაცო, რა შემჭამე ამ შენი მოთხრობის გულისთვის ამოიხვნეშა ავალომ და მეორედ გაიფიქრა; კიდევ

კარგი, „ამ შენი უნიჭო მოთხრობის გულისთვის“ რომ არ ვუთხარიო. – მე არავის არ ვჭამ, ბატონო ავალო.

– დამეკარგა. ჩამომახრჩვე ახლა – წეღანდელზე უფრო მწარედ ამოიხვნეშა ავალომ.

– დაგეკარგა ხომ? გაპოვნინებ თუ კაცი ვარ. მე ვიცი, რავაცხა დაგეკარგა – კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ თქვა. ეგ იყო თავი მუქარით დააქნია და კარი გაიჯახუნა.

ერთი კვირის თავზე ავალო გამომძიებელთან იჯდა და ახსნა-განმარტებას წერდა.

გამომძიებელი ოცდახუთიოდე წლის ბობრი, ჟღალწვერა ბიჭი იყო.

ბრალდებულმა წერა რომ დაამთავრა, გამომძიებელმა ჩაუკითხა ჩვენება, ნომერი დააწერა და „საქმეში“ ჩადო.

– დამეკარგა, – ამოიხვნეშა რედაქტორმა – ისე, ჩვენს შორის დარჩეს, საშინლად სუსტი მოთხრობა იყო.

გამომძიებელს აშკარად ჩანდა, მოთხრობის ხარისხი არ აინტერესებდა.

– არც სხვები წყვეტენ ვარსკვლავებს, ბატონო ავალო, ვიცით, ჩვენც ვკითხულობთ რაღაც-რაღაცებს. ხანდახან თუ უპატრონო ხარ, ისეთ მოთხრობას გამოგატანს უკან რედაქტორი, წუნი რომ არ დაედება. ნამდვილ ამბავს დასწერ და არ მჯერა, მოგონილიაო, გეუბნება – რედაქტორზე გამწყრალი ტონით თქვა გამომძიებელმა და ავალო ავალიშვილმა გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ ესეც სუსტ მოთხრობებს წერსო.

– საერთოდ კი... ხდება – არ გაამწვავა ავალომ.

– ისიც ხომ ხდება, ბატონო ავალო, ხანდახან ძალით „დაგიკარგავენ“ რედაქციაში მოთხრობას და მერე ამ შენს თემას და სიუჟეტს სხვა გამოიყენებს – თვალმოჭუტვით თითქოს რაღაც საიდუმლოს მივაგენიო, ირონიული ღიმილით თქვა გამომძიებელმა.

– იქნებ... ოდესღაც... სადმე ისეც მომხდარა, როგორც თქვენ ბრძანებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში უნიჭოზე უნიჭო მოთხრობასთან გვქონდა საქმე. უნდა დამიჯეროთ – ამოიხვნეშა ავალომ.

– ჩვენ მხოლოდ ფაქტებს ვუჯერებთ. აი, რომ ვიპოვით, მერე ვილაპარაკოთ. თავისუფალი ბრძანდებით, კარგად დაძებნეთ. გოგრიჭიძის მოთხრობის მოსაპარავად რიო დე ჟანეიროდან არავინ ჩამოვიდოდა. მანდვე გექნებათ. კარგად ბრძანდებოდეთ. ამ დღეებში დაგიძახებთ.

ავალომ ხვნეშა-ხვნეშით ძლივს მიაღწია სახლამდე. თვალებში ნისლი ედგა და მარცხენა მკლავი დაბუჟებოდა.

არ შეგეშინდეს ძვირფასო მკითხველო, ავალოს ინფარქტი ან სისხლის ჩაქცევა არ მოსვლია, როგორც ასეთ სიტუაციაში ამთავრებენ ხოლმე ნოველებს ჩემი კოლეგები.

განცხადება დაწერა და რედაქტორობიდან გადადგა.

„აიაზმას“ ახლა სხვა რედაქტორი ჰყავს.

გიგო გოგრიჭიძის მოთხრობის საქმე კი ჯერ წარმოებით არ შეწყვეტილა.

ასე რომ, ახალ რედაქტორს მთლად სახარბიელო მემკვიდრეობა არ დახვედრია.

აი მიზეზი

– რა გინდა, შალვა? – მოუბრუნდა დელეგაციის ხელმძღვანელი ნესტორ ჯგერენაია დელეგაციის წევრს, შალვა ნიორაძეს.

– არაფერი, – დაიბნა შალვა.

– აბა, რას მომეწებე, შე კაცო, გვერდით. დაბრძანდით ეგერ სავარძელში. ათვალიერე აქაურობა. რა საინტერესოა, რას ვწერ ამ დასაწვავში.

ქალაქ ზემო ხამსაანის ერთი პატარა მეორე კლასის სასტუმროს ადმინისტრატორმა ქალმა, რასაკვირველია, ვერ გაიგო შალვასა და ნესტორის სრულიად საჭირო და შინაარსიანი საუბარი, მაგრამ გუმანით მიხვდა, რომ დატუქსვის ფაქტის ძალაუნებური მოწმე იყო. ადმინისტრატორის ეჭვს აძლიერებდა დარცხვენილ მოწაფესავით თავდახრილი შალვა, რომელსაც ნესტორი დაახლოებით ასეთი გამომეტყველებით შეჰყურებდა: „ახლა ქვეყანა კი არ დაგიქცევია, ჩემო შალვა, მაგრამ ამ პირველივე შენიშვნას იმიტომ გაძლევ, რომ, ჯერ ერთი, საამისოდ უფლებამოსილი ვარ, და თუ ზოგიერთებს ასეთ ვითარებაში მაინც არ გაგრძნობინეთ ხელმძღვანელის რკინის ხელი, შეიძლება დელეგაციამ ხრწნა დაიწყოსო. თანაც იმდენად შენი დასჯა კი არ მაინტერესებს, რამდენადაც შეგნება იმისა, რომ ამ თექვსმეტ დღეს მაინც ვარ თქვენი უფროსი და გამგებელიო“.

პირველ კაცად ყოფნის ჭია ყველა კაცში კი არ ზის, მაგრამ ნესტორის არსებაში რატომღაც იჯდა.

– სათხოვარი მაქვს პატარა, – შალვა შეეცადა ხელმძღვანელისათვის ყურში ეთქვა ეს სიტყვები.

ნესტორმა უკმაყოფილოდ მიიხედ-მოიხედა და გაჭირვებულ წევრს ყური ათხოვა.

ადმინისტრატორმა ქალმა დაასკვნა, ეტყობა, შერიგდნენო და შვებით ამოისუნთქა.

– რას შვრები? – ჰკითხა ნესტორმა და რაკი შეატყო, რომ საქმე მისთვის მაინცდამაინც საინტერესო საგანს არ შეეხებოდა, მთხოვნელს ყური მოაცილა და წელში გაიმართა.

– ვხვრინავ! – გამოაცხადა შალვამ.

ადმინისტრატორს პირველად არ უთქვამს, ასე დროულად და მოსწრებულად.

– ჩვენ გვაქვს მხოლოდ ორ და სამადგილიანი ნომრები, ერთადგილიანები არა გვაქვს.

– გესმის, რაში ყოფილა საქმე? – აღფრთოვანდა ადმინისტრატორი ქალის მიმხვედრიანობით ნესტორი.

– კი, ბატონო, ასე თუა. მე ვხვრინავ და სხვა ვინმე არ შევაწუხო-თქვა, ორი ღამეა მატარებელში არ მიძინია. ვიცი ჩემი უბედური თავის ამბავი. თუ არა აქვთ ცალკე ოთახი, რას ვერჩი ახლა ამ პატიოსან ხალხს, ხმის ამომღები არ ვარ, – ამ სიტყვებთან ერთად შალვა მოაჯირს მოშორდა და მოსაცდელისაკენ წამოვიდა, მაგრამ ნესტორი ასე ადვილად როდი მოეშვა.

– რა აუცილებელია ახლა, რომ მარტო იყოთ, შალვა ბატონო. რა მოთხოვნაა ახლა ეს. ერთად წამოვედით, რვა კაცი ვართ. მართლა და მართლა, რას ვემართლებით ამ ხალხს, თუ ერთად უნდა ვიყოთ. თუ არა და არავისთვის არ დაუხევია შაფათავას კალთა – გინდა თუ არა წაბრძანდი ზემო ხამსაანში რამენაირადო; აქედანვე უნდა ვიცოდეთ, ჩვენ აქ სამუშაოდ ვართ წამოსული და არა დროის სატარებლად, ამხელა წარმოების გაცნობას ცოტა ენერგია არ უნდა, ხალხს უნდა შევხვდეთ და თავი უნდა გამოვიჩინოთ. ასე რომ, თუ კაცი ხარ, ჩემო შალვა, მეორედ არ გავიგონო ასე მინდა და ისე მინდას ლაპარაკი.

ინტონაციაზე, ჟესტებზე, მიხრა-მოხრაზე და რაც მთავარია, მახვილებზე ეტყობოდა ნესტორს, რომ იგი ამ სიტყვებს დელეგაციის დანარჩენი ექვსი წევრის გასაგონადაც ამბობდა, აქაოდა არ დამიწყოთ სხვებმაც ცალკე ნომრების და ქუჩის მხარეს ოთახების მოთხოვნაო.

– რა გახდა ახლა, ბატონო ნესტორ, ასეთი. ამდენ ლაპარაკად ღირს ეს ამბავი? – ცოტა არ იყოს გაწყრა შალვა.

– აბა, რა წითელი კვერცხი ხართ თქვენ, მაგალითად, რომ მარტო ერთადგილიანში შესახლდეთ და კვერნაძეს სამიანში ვუკრათ თავი?

კვერნაძისათვის სულ ერთი იყო სად მოათავსებდნენ, მაგრამ მისი გვარის ხსენება ეხამუშა და ფეხზე წამოდგა.

– სიტყვაზე ვამბობ, მაგალითად! – გამოასწორა თავისი ფრაზის ბოლო პუნქტი ჯგერენაიამ, მაგრამ მთლიანად ამ გამოსვლის პროვოკაციული ნაწილი, რასაკვირველია, ძალაში დატოვა.

ამასობაში მორიგემ გასაღებები ჩამოარიგა და შალვას გამო ატეხილი კამათი, რომელიც, ვინ იცის, როგორ გაგრძელდებოდა, ერთბაშად დამთავრდა. თურმე სულ არ ყოფილა საჭირო საგულდაგულოდ სიის ჩამოწერა და ამდენი განაწილ-გამონაწილება, ჩემოდნებს ხელი დაავლეს და ვისაც ვისთან გაეხარდებოდა, იქითკენ წავიდა. დელეგაციას ორი საათი უნდა დაესვენა და საღამოს შვიდ საათზე ახალგაზრდა მებამბეებთან შეხვედრაზე უნდა წასულიყო. მკითხველი, ალბათ, თვითონ მიხვდებოდა, რომ ამ შემთხვევამ შალვას ავტორიტეტი სასწორზე შეაგდო. არ ეგონათ, თუ ცვლის ოსტატი ასეთი თავკერძა ვინმე აღმოჩნდებოდა. „თუ პატივცემულს ჩვენთან ყოფნა არ უხარია, არც ჩვენ მოვიკლავთ თავს მაგასთან ნომერში მოხვედრაზეო“, – თავისთვის გულში გადაწყვიტეს დელეგაციის წევრებმა და რას იფიქრებდა ამხანაგი ჯგერენაია, რომ მისმა უტაქტო საქციელმა (კაცი ჩუმად გელაპარაკება, ჩუმად გაეცი პასუხი შენც) შალვასა და კომპანიას შორის განხეთქილების ვაშლი გააგორა. შალვას მიერ ცალკე ოთახის მოთხოვნის ნამდვილი მიზეზი კი, როგორც დავინახეთ, მიჩქმალულ იქნა.

ცოტა მერე მინდოდა მეთქვა, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გავაცნობ მკითხველს, რა დელეგაციასთან

გვაქვს საქმე და ვინ არიან ქალაქ ზემო ხამსაანის დღევანდელი სტუმრები. დელეგაცია ქეჩა-ბამბეულის ფაბრიკის დირექტორმა შაფათავამ უწოდა ამ ჯგუფს, თორემ, კაცმა რომ თქვას, რა დელეგაციაა. ეს გახლავთ ქვემო ტაბიკონის ქეჩა-ბამბეულის ფაბრიკის რვაკაციანი ბრიგადა, რომელიც ზემო ხამსაანის ბამბეულის კომბინატს ეწვია მეგობრობის დასამყარებლად, გამოცდილების გასაზიარებლად, მისახედ-მოსახედად. დელეგაციას, არ დავმალავ და ექსკურსიული მიზანიც გააჩნია, რადგანაც, თუ ასეთი სასიამოვნო დავალებით არა, სპეციალურად შეიძლება არც კი წახვიდე ზემო ხამსაანში; თუმცა ეს ქალაქი ბამბეულის კომბინატის გარდა სხვა ბევრი რამითაც გახლავთ ცნობილი. იგი, განსხვავებით ქვემო ტაბიკონისაგან (რომელიც უკიდურეს დასავლეთში მდებარეობს), განლაგებულია უკიდურეს აღმოსავლეთში მდინარე ტატამოკას ნაპირზე. ტატამოკა იმხელა მდინარეა, რომ რესპუბლიკის ყველა მდინარე ერთად რომ შეკრა, ტატამოკას ერთ ტოტსაც ვერ გაუტოლდება. სხვა არა იყოს რა, მარტო ამოდენა მდინარის სანახავად ღირდა ასე შორს წამოსვლა. „დელეგაცია“ (როგორც დირექტორმა უწოდა) თვით ამხანაგმა შაფათავამ დააკომპლექტა და, დირექტორებს რას გაუგებ, რა ნიშნით შეარჩია მან ეს რვა ჯანსაღი მამაკაცი, პატარა თვითმფრინავმა საათნახევრიანი ფრენის შემდეგ ზემო ხამსაანში რომ ჩამოიყვანა.

შალვასთან ერთად ნომერში კვერნაძე და ეძგვერაძე მოხვდნენ. ცვლის ოსტატმა გასაღები მოარგო და თანამეოთახენი წინ გაატარა. მაგრამ ეს ჯენტლმენური ნაბიჯი მაშინვე ინანა. ოთახში ორი ნორმალური საწოლი და პირსაბანთან შეზლონგი იდგა. ახლა ესენი საწოლებს მივარდებიან და მე შეზლონგზე მომიწევს ჭრაჭუნიო, გაუელვა შალვას და, სხვათა შორის, არც შემცდარა. სიბრაზისაგან სახეანთებულმა შეზლონგთან მიაგდო თავისი ჩემოდანი და გარეთ გამოვიდა, მერე ველარაფრით ვერ გაიხსენა, როგორ გაატარა ავტობუსის მოსვლამდე დარჩენილი ორი საათი.

სასტუმროს ფოიეში ლოყებღაჟღაჟა მებამბემ რომ შემოანათა და „გამარჯობათ, ამხანაგო“ დაიძახა, შალვა მაშინ გამოერკვა.

საათზე დაიხედა და ვახშმის საქმე როგორ იქნებაო, თუ იციო, სხვათა შორის ჰკითხა გვერდით მჯდომს – ქეჩა-ბამბეულის ფაბრიკის უფროს ეკონომისტს კალე კაპანაძეს.

კალემ ისე გაიცინა, თითქოს ვახშმის პრობლემა მას სრულიადაც არ აინტერესებდა და თითქოს შალვამ განსაცვიფრებელი საკითხი წამოჭრა. სიცილს რომ მორჩა, წინ გადაიხარა და კვერნაძეს გადააწოდა შალვას შეკითხვა. ახლა კვერნაძე ჩაბჟირდა. როგორც იქნა ჯგერენაიამდე მიაღწია ამ ამბავმა, ჯგერენაია ლოყებღაჟღაჟა მასპინძელს ესაუბრებოდა, როცა შეკითხვა მიიღო, გვერდით მჯდომს ბოდიში მოუხადა, პატარა ორგანიზაციული საკითხი მაქვს და, თუ შეიძლება, ქართულად მოვაგვარებო. მასპინძლისაგან თავაზიანი თანხმობა რომ მიიღო, ავტობუსს მოუბრუნდა.

– კვდები მშიერი, შალვა?

– არა, ბატონო, თუ საჭიროა სამ დღეს მოვითმენ შიმშილს, მარა ისე ვიკითხე, რავა, არ შეიძლებოდა?

– აბა, ჭამაზე გვაქვს ლაპარაკი ჩვენ ახლა, შალვა? საჭმელად ვართ აქ ჩამოსული?! – ჩუმად, სისინით თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

„რავა უკუღმა ესმით ჩემი დღეს ყველაფერიო“, – გაიფიქრა შალვამ და ეძგვერაძის მიერ ირონიით მოწოდებულ მომპასის ტიპის კამფეტს („ჰა, ამით მაინც გაირთე თავი ცოტა ხანსო“) ხელი არ დააკარა.

– მასპინძლები ესენი არიან და თვითონ იციან თავისი საქმე. ვკითხო ახლა ამ უცხო კაცს – შალვას შია და როდის გვაჭმევ-თქვა? – აიმრიზა ნესტორი.

– რა მოხდა, რა იყო, ეგება ჩვენ მაგათ ნავახშმევი ვგონივართ? – უკან არ დაიხია ცვლის ოსტატმა, თუმცა იგრძნო, რომ ვერც ამ კითხვამ მოუტანა დიდი სარგებლობა როგორც დელეგაციის სრულუფლებიან წევრს.

ჭუჭრუტანებიანად განათებულ დარბაზში დელეგაციის გამოჩენას მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მაგიდები ნახევარწრედ იყო ერთმანეთზე მიდგმული. სუფრა გაშლილი დახვდათ. ყოველ ექვს კაცზე თითო ბოთლი ღვინო და დაწნულ ლამბაქზე დახვავებული ფორთოხალი და ბანანი მოდიოდა. ღვინო ძირითადად წითელი ჩანდა, აქა-იქ მრავალფეროვნებისათვის თეთრი ღვინო ჩაედგათ. ხელის ჩამორთმევის ცერემონიალმა კარგა ხანს გასტანა. კომბინატის ხელმძღვანელი ბირთვი და რამდენიმე ახალგაზრდა მუშა ისე დიდხანს, ღონივრად და გულშიჩამწვდომად ართმევდა ხელს სტუმრებს (განურჩევლად იმისა, ვინ იყო ხელმძღვანელი მათგან და ვინ უჩინო), რომ კვერნაძე აღელდა და ერთი-ორისკენ საკოცნელადაც კი გაიწია.

მასპინძელთაგან ყველაზე ახლოს მყოფმა ჭიქა შეავსო. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“, ჭიქიანად თქვა, მერე შეატყო, რომ ასე არ ივარგებდა, ჭიქა დადო, მიკროფონი ახლოს მოსწია და მაგიდიდან ქინძისთავგაყრილი ქაღალდები აიღო. შალვამ შეატყო, რომ სიტყვა ათ გვერდზე ნაკლები მაინც არ იქნებოდა და სმენად იქცა.

„მეო, – თქვა მასპინძელმა, – ამ კომბინატის ადგილკომს ვხელმძღვანელობო. მართალია, ჩვენი ქალაქები ასე შორს არის ერთმანეთისაგან, მაგრამ ჩვენ ბევრი რამ გვსმენია თქვენს შესახებო. სახელდახელოდ რომ გავიხსენო, ამას წინათ თქვენმა „ცხრაკაცამ“ თავისი გასტროლები წარმატებით ჩაამთავრა ზემო ხამსაანშიო. კონცერტებმა, როგორც გაზეთები აღნიშნავდნენ, მოხიბლა ჩვენი მაყურებელი, მაგრამ ბილეთი, უნდა ვთქვა გატეხილად, ცოტა ძვირი ღირდაო. ჩვენ ერთმანეთისაგან ასე შორს მცხოვრებთ ბამბა გვაახლოვებსო. ორივენი ბამბის უკვდავ საქმეს ვემსახურებითო. ამ კვარტალში ცოტა გარღვევა გვქონდა, მაგრამ იმ კვარტალში ამდენ და ამდენ ბამბას მივყიდით სახელმწიფოსო“.

ორატორმა უეცრად შეწყვიტა სიტყვა და მთელი სერიო-

ზულობით იკითხა: – „ვისაც ყავა სურს, ხელი ასწიოსო“. მიიხედ-მოიხედა და როცა თეთრხალათიანი აქტივისტი გოგონა გამოჩნდა, პირველმა თვითონ აღმართა ღონიერი, მზისაგან გარუჯული მარჯვენა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველანი სტუმრებს შესცქეროდნენ.

ადგილკომის ხელმძღვანელმა კვლავ (უფრო ნათლად და გასაგონად) გამოაცხადა: „ვისაც ყავა ნებავს, ხელის აწევით დაგვიდასტუროსო“.

როგორც მოგახსენეთ, ყველანი სტუმრებს შესცქეროდნენ, სტუმრები კი თავის მხრივ ნესტორ ჯგერენაიას არ აცილებდნენ თვალს.

როგორც ჯგერენაია გადაწყვეტდა, ისე იქნებოდა, თორემ პაწაწინა ფინჯნით მორთმეულ ყავას დელეგაციის შემადგენლობისათვის პრინციპული მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ერთი ფინჯანი ყავა გინდა იქით ყოფილიყო, გინდა აქეთ.

„დელეგაციის“ თავი ადგა და თქვა:

– დიდი მადლობა ყავისათვის, მაგრამ ჩვენ ახლახან გეახელით და მეტი აღარ გვინდა.

– სხვებს?! – გაიკვირვა მასპინძელმა, რაკი შეატყო, რომ ჯგერენაია ყველას ნაცვლად ლაპარაკობდა.

– არც სხვებს უნდათ, ყველამ, რვავემ ერთად დავლიეთ წამოსვლის წინ ყავა.

ადგილკომის თავმჯდომარემ მხრები აიჩეჩა. იგი კარგად ვერ გაერკვა, რა ხდებოდა. როგორ შეიძლებოდა, მისი ფიქრით, რვა კაცს ერთად ნდომოდა, ან არ ნდომოდა ყავა.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, შალვა ნიორაძემ იფიქრა, ახლა კი დადგა ჩემი ჯერი, მე თუ ვიხსნი მეგობრებს სირცხვილისაგან, თორემ არაა საშველიო, და ხელი ასწია.

– აი, აგერ ამხანაგს სურს ყავა! – ფრიად გაიხარა მებამბეთა ადგილკომის პირველმა კაცმა და თეთრხალათიან გოგონას საზეიმო იერით აუწყა: „ორი ყავა!“

დელეგაციამ ნესტორს თვალი მოაცილა და ახლა შალვას შეაცქერდა, უყურებდნენ დაუფარავი სიბრაზით, როგორც კეთროვანს, ან როგორც იუდა ისკარიოტელს, რომელმაც ესესაა გასცა ქრისტე.

შალვას კი, კიდევ კარგა ხანს ეჭირა მაღლა შემართული მარჯვენა და სრულიადაც არ განიცდიდა სინდისის ქენჯნას ჩადენილი დანაშაულის გამო.

ორატორმა სიტყვა განაგრძო.

ძვირფასო სტუმრებოვო, რაც შეგვიძლია ვეცდებით, რომ არ მოგაწყინოთ ამ ერთი კვირის განმავლობაშიო. შეიძლება, თქვენ რომ იცით, ისეთი მასპინძლობა ვერ გაგიწიოთ, მაგრამ ნუ დაგვძრახავთო. ასეთი კონტაქტები აქამდეც უნდა გვქონოდაო. ზოგს, რომ იტყვიან, ჩვენგან ისწავლით, ზოგს თქვენ გვასწავლით და ასე წავა ბამბის საქმე წინო.

უეცრად აქტივისტმა ქალმა ორი ფინჯანი ყავა შემოაფრიალა. ერთი თავმჯდომარეს დაუდო წინ და მეორე შალვა ნიორაძეს.

ორატორმა სიტყვა ისევ შეწყვიტა. ყავას დასწვდა. მარცხენაში ლამბაქი დაიკავა, მარჯვენაში ფინჯანი და დინჯად, როგორც მისი მდგომარეობის კაცს შეეფერებოდა, მოსვა.

დელეგაციის წევრებს შორის ჩურჩული ატყდა. შვიდი თავი (შალვა ყავას სვამდა და თავისთვის იყო) წუთით ერთმანეთს მიუახლოვდა და როცა გაიფანტნენ, ჯგერენაია წამოდგა და გამოაცხადა:

– ბოდიშს ვიხდით, რომ გაწყვეტინებთ, ძვირფასო თავმჯდომარევ, თუ შეიძლება კიდევ შვიდი ყავა მოგვართვან, – სიმწრის ღიმილი დაიოკა და დაამატა: – ამას ჩვენი დელეგაციის წევრის, შალვა ნიორაძის, სოლიდარობით ვაკეთებთ!

დარბაზში საშინელი ხარხარი გაისმა. ყველაზე მეტს თავმჯდომარე იცინოდა. იგი ცრემლებს იწმენდდა და ლუღლუღებდა: „ყავა? სოლიდარობისათვის? შვიდივეს ერთად? აგაშენათ ღმერთმა, კარგი ხუმრობაა. ჩემს დღეში ასეთი ხუმრობა არ მომისმენია. ნამდვილი არწივები ხართ“.

„არწივებმა“ კმაყოფილი სახეებით გადახედეს ერთმანეთს. ადგილკომმა სიტყვა განაგრძო, მაგრამ რატომღაც იგი სულ შალვას შესცქეროდა. ისე უღიმოდა და ისე თავაზიანად მოითხოვდა მისგან დასტურს ნათქვამისათვის, თითქოს შალვა ნიორაძე ყოფილიყოს დელეგაციის ხელმძღვანელი.

ორატორმა სიტყვა რომ დაამთავრა, გაისმა მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად არ ქცეულა და არც ფეხზე ამდგარან ყველანი.

თავისი გამოსვლით კმაყოფილმა ორატორმა ერთხელ კიდევ დაუწია თავი მიკროფონს და გამოაცხადა:

– ახლა კი ჩვენს ძვირფას სტუმრებს ვთხოვთ, მოგვცენ შეკითხვები. რა აინტერესებთ, რა პრობლემებია მათთვის უფრო ახლობელი.

დარბაზში ისევ ჩამოვარდა სიჩუმე.

შეკითხვა არ ჩანდა.

არ იყვნენ შეკითხვებისათვის მზად დელეგაციის წევრები. პატარ-პატარა სიტყვის თქმა ყველას შეეძლო, მაგრამ შეკითხვაზე არც უფიქრიათ. უბრალოდ, არ ეგონათ თუ დასჭირდებოდათ.

„ყველაფერი ნათელიაო“, ჩაილაპარაკა ნესტორმა. მაგრამ კაციშვილმა ყურადღება არ მიაქცია. ყველანი შეკითხვას ელოდნენ. რად ღირდა ახლა თუნდაც ერთი სულ უბრალო შეკითხვა და დელეგაციის წევრთა თავზე ისევ შალვას ხელი აღიმართა.

– აი, შეკითხვაც! – აცმუკდა თავმჯდომარე და მიკროფონი თვითონ მოურბენინა შალვას. თანაც გვერდით დაუდგა და ისე დაუწყო ყურება, როგორც წვერებიან აღმოსავლელ ბრძენს, რომელიც თუ რამეს იტყვის, უეჭველად ჩასაწერს და გენიალურს.

შალვა ადგა, მიიხედ-მოიხედა და მიკროფონს გაუბედავად ჩაულაპარაკა:

– მე შავ ღვინოს არა ვსვამ, ღვიძლი მტკივა და, თუ შეიძლება, თეთრი ღვინო მომიტანეთ!

მასპინძელთაგან არავის გაღიმებია. ადგილკომის თავმჯდომარე შემოტრიალდა და კუთხესთან ყუთში ჩაწყობილ ბოთლებს ჩააფრინდა. თეთრი ამოარჩია, თვითონვე გაუხსნა და წინ დაუდო მიკროფონთან მოთმინებით მდგარ სტუმარს.

შალვამ გულთბილად მადლობა მოახსენა და დაჯდა.

ეტყობა, დელეგაციას სურდა, შალვას ეს მოქმედება ხუმრობაში გაეტარებინა და ნესტორის ხელმძღვანელობით ისეთი ხარხარი ატეხა, რომ ჭაღმა ბზრიალი დაიწყო. მასპინძელთა შორის თუ იცინოდა ვინმე, ეს ისე, ზრდილობის გულისთვის, თორემ დამხვდურთაგან შალვას საქციელში სასაცილო რამ არავის შეუმჩნევია.

ადგილკომის თავმჯდომარემ უკან დაბრუნება აღარ ისურვა, თავისი სკამი მოატანინა და შალვას გვერდით მოთავსდა.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მასპინძლებმა თავიანთი თვითშემოქმედების საუკეთესო ნომრები წარმოადგინეს, მერე ზემო ხამსაანის ხედებიანი სამ-სამი საფოსტო ღია ბარათი ჩამოურიგეს სტუმრებს და ამ ყოფაში თორმეტი საათიც მოახლოვდა. ამ გარემოებას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ქვემო ტაბიკონში სამი საათით ადრე ღამდება, მკითხველი მიხვდება, რატომ ერეოდათ თვლემა სტუმრებს. მასპინძლებმაც დიდი პაუზით აგრძნობინეს ჩამოსულთ, შეხვედრის პროგრამა ამოიწურაო, მაგრამ დამაგვირგვინებელი სიტყვა არ ჩანდა. ახლა დიპლომატიის ელემენტარული მცოდნეც კი მიხვდებოდა, რომ ჯგერენაიას უნდა აეღო ჭიქა, მასპინძლებისათვის მადლობა გადაეხადა და დროებით გამოთხოვების ცერემონიალი შეესრულებინა. მაგრამ ჯგერენაია ამდენს ვერ ხვდებოდა, მასპინძლები კი, მასპინძლები ხომ არ იტყოდნენ, წაბრძანდით ახლა, დავიღალეთ, ხვალამდე კარგად გვეყოლეთო.

მართალია, არ იყო მისი საქმე, მაგრამ აქაც შალვა ნიორაძემ იხსნა დელეგაცია გასაჭირისაგან. ადგა, ჭიქა შეავსო, დარბაზის შუაგულში გამოვიდა და დაიწყო:

– ძვირფასო მასპინძლებო, პატივცემულო ადგილკომის თავმჯდომარევ, ზემო ხამსაანის ბამბეულის კომბინატის შესანიშნავო ახალგაზრდებო...

ცვლის ოსტატმა დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაუხადა ყველას ამ მშვენიერი საღამოსათვის. ჩვენს ურთიერთგაცნობას დამეგობრების კარგი პირი უჩანსო. მე ძალიან მიხარია, რომ თქვენ ასეთი კარგები, შრომისმოყვარენი და უბრალოები ხართ ყველანიო. გეპატიჟებით ყველას აქ მყოფთ, ჩამობრძანდით ჩვენთან, ქვემო ტაბიკონშიო.

ეს ბოლო სიტყვები, შეიძლება, ზოგს გაცვეთილად მოეჩვენოს, მაგრამ იმ შემთხვევაში ასე იყო საჭირო.

შეხვედრა დამთავრდა. მასპინძლებმა ახლა სხვა ავტობუსით მიიყვანეს დელეგაცია სასტუმროში და ზედ კიბეებამდე მიაცილეს.

როცა მასპინძლები გაიკრიფნენ, ჯგერენაიამ თავის ოთახში დელეგაციის სრული შემადგენლობის მცირე სხდომა მოიწვია.

შალვამ იცოდა, რომ დატუქსავდნენ, მაგრამ ამდენს მაინც არ ელოდა.

– ვისაც ხელმძღვანელობა უნდოდეს საერთოდ ამ შემთხვევაში და ვინც ამ დელეგაციის უფროსობაზე იყოს დახარბებული, ხვალ დილა არ გაუთენდეს იმას, მაგრამ დამავალა იმ კაცმა და უარი ვერ ვთქვი. მე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ვერ ისწავლა ხალხის შერჩევა შაფათავამ. მე ვიცოდი, რომ ბოლოს და ბოლოს ვიღაცა ჩაგვაშხამებდა ამ მგზავრობას. და, საერთოდ, კაცი თურმე მგზავრობაში უნდა გაიცნო! – მართალია, რკინის ლოგიკით არ გამოირჩეოდა ჯგერენაიას სიტყვა, მაგრამ ყველანი ხვდებოდნენ, რაში იყო საქმე. არადა, ისეთი გამოსვლებიც ხომ მოგვისმენია მე და შენ, ჩემო მკითხველო, კაცი რომ ვერ მიხვდება, რა უნდა, რას მოითხოვს, რას ამტკიცებს ორატორი.

ჯგერენაიამ დაახლოებით ამგვარად ილაპარაკა ორმოც წუთს, კონკრეტულად არაფერი უთქვამს და არც არავის შეხებია.

სიჩუმე შალვამ დაარღვია.

– პირდაპირ მითხარით, ეს ყველაფერი ხომ ჩემზე იყო, რა საჭიროა მიკიბვ-მოკიბვა.

– თავს გვჭრი! – იყვირა კვერნაძემ და საკუთარი ხმის თვითონვე შეეშინდა, მაგრამ მაინც ნასიამოვნები დარჩა თავისი გაბედულებით.

– რას ვაკეთებ? – ყრუ ხმით იკითხა შალვამ.

– თავს გვჭრი, სწორს გეუბნება, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! – გული მიეცა ნესტორს.

– რა ვქენი, მაინც ასეთი, კონკრეტულად? – შალვამ იფიქრა, როცა ჩემს საქციელს აწონ-დაწონიან, იქნებ ცოტა ჭკუაზე მოვიდნენო.

– მეტს რას გვიზამ, შე კაი კაცო! ჩამოსულები არ ვიყავით და ცალკე მინდა ყოფნაო, ვითომ შენზე ნაკლები ვიყოთ აქ რომელიმე. მერე ყველას გვშიოდა, მაგრამ არავის არ დაუწყია ბავშვივით ტირილი, როდის გვაჭმევენო. ძველი ყავის მსმელივით შენ ერთმა მოითხოვე ყავა, მერე შეკითხვაზე რომ ასწიე ხელი, ყველას გაგვეხარდა, მაგრამ შეკითხვაც ჩაგვიგდე.

– რატომ ჩაგიგდეთ შეკითხვა?

– ვერ ხვდები ამდენს?! – აპილპილდა კალე ეძგვერაძე. – იმ ხალხს ეგონა, რაღაცას ბამბის ტექნოლოგიაზე გვკითხავსო. შენ, არც აციე, არც აცხელე და თეთრი ღვინო მოითხოვე. მეტი თავის მოჭრა შეიძლება?

– არ შეიძლება ჩემთვის შავი ღვინო და რა მექნა აბა?

– რა გექნა და მჯდარიყავი შენთვის, ხომ ხედავდი ექვს კაცზე ერთი ბოთლი იდგა. იმ შენს ნახევარ ჭიქას შავს დალევდი თუ თეთრს რა მნიშვნელობა ჰქონდა?

– და ბოლოს (მაინც დავკარგე კაცი და უფროსობის ნდობას მაინც მოვიხვეჭო, გადაწყვიტა კვერნაძემ), შენი ადგილი უნდა იცოდე. არ გეკუთვნოდა შენ ბოლო სიტყვა. არ იცი, რომ არ გეკუთვნოდა? ჩვენ ხელმძღვანელი იმიტომ გვყავს, რომ როცა საჭირო იქნებოდა, ის იტყოდა, რაც საჭირო იყო. ვინ

დაგავალა შენ, გამოდი და დოურტყი რეჩიო. ასე უპრაგონოდ შეიძლება ლაპარაკი? ასე მოიქეცითო, ეს გაგვაფრთხილა შაფათავამ?

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. დელეგაციის დანარჩენ წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ, ისინი (ცოდვას ვერ დავიდებ) ჩუმად ისხდნენ და საკუთარ ხელის თითებს ათვალიერებდნენ.

– გჯერათ ახლა თქვენ თვითონ, რასაც ამბობთ? – თავის სიმართლეში დარწმუნებული ბრალდებულის ხმით იკითხა შალვამ. – ლოთიანად, მართლა გჯერათ, თუ ერთმანეთს აჰყევით?

ხმა არავის ამოუღია.

შალვა წამოდგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, გაიღიმა და ნელა წავიდა თავისი ოთახისაკენ.

* * *

აეროპორტის სალაროსთან ხელჩანთიანმა მელოტმა კაცმა მოირბინა, იაფფასიანი იაპონური ქუდი და ყელსახვევი (არ დამეკარგოსო) ცალ ხელში ეჭირა, მეორით კი შავ ფართოთასმიან ჩემოდანს მოათრევდა. იმ სალაროსთან, ეტყობა, მთლად სანუგეშო რამ ვერ უთხრეს, რადგანაც ქუდსა და ჩემოდანს ხელები შეუნაცვლა და მეორე სალაროსკენ გაიქცა.

ეს კაცი, როგორც საერთოდ დაგვიანებულმა მგზავრებმა იციან, დიდხანს და დამაჯერებლად უმტკიცებდა მოლარეს, სასწრაფო საქმე მაქვს და სწორედ ამ რეისით უნდა გავფრინდე ქვემო ტაბიკონშიო.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია თავისას, რეგისტრაციის რიგში იდგა (თვითმფრინავის გაფრენამდე სულ რაღაც ნახევარი საათი რჩებოდა) და ფიქრობდა:

„არა, ახლა აქ რომ მოცვივდნენ შვიდივე და თან რომ გადამყვნენ, დაბრუნებით მაინც არ დავბრუნდები. მორჩა, მივდივარ, არ უნდივართ და კარგად იყვნენ. არ მოსწონთ ჩემი არაფერი და ნუ უნდათ. ეგებ ასე სჯობდეს. ერთი კაცი

არ ადგა და არ თქვა, რა მოხდა ამნაირიო. ახლა, დღეს, საამქროში რომ მივლენ და ჰკითხავენ, მერვე სად არისო, არ შერცხვებათ? რაღაცას მოიფიქრებენ, აბა, რა ღმერთი გაუწყრებათ! მთლად თავს როგორ მოიჭრიან. ისე გავუხადეთ საქმე, რომ გაიქცაო, ხომ არ იტყვიან! ავად გახდა ან დეპეშა მიილო სახლიდანო, ასე უნდა უთხრან. მე? მე რა ვთქვა. სამსახურში, კარგი, ჯერ არ გავალ, მაგრამ შინ? ყველამ იცის, რომ ორ კვირაში უნდა დავბრუნებულიყავი. მეორე დღესვე რომ გამოიქეცი, რა ბზიკმა გიკბინაო, არ მკითხავენ? რაც უნდათ, ის იფიქრონ. შეიძლება ბავშვურ საქმეს ჩავდივარ, მარა იქ ყოფნა, იმათთან ჩაფსკვნა და მასლაათი აღარ შემიძლია, ეტყობა, ჩვენ სხვადასხვანი ვართ. ახლა, აქვე რომ მოვარდნენ, ტრაპიდანვე რომ მომინდომონ ჩამოხსნა, აწი იქ მიმბრუნებელი არა ვართ“.

რეგისტრაცია დამთავრდა.

მგზავრებს გასასვლელისაკენ უხმეს.

აეროპორტში მომვარდნელი და შალვა ნიორაძის ტრაპიდან ჩამომხსნელი არავინ ჩანდა.

გაღმა

აივნიდან ლურჯად აფოფრილი, დინებებით დახაზული ზღვა მოჩანდა.

ქვევით, სიცხით დაუნჯებულ პლაჟზე მზეს მიფიცხებული სხეულები ეყარნენ და ზღვის შრიალი რომ არა, ირგვლივ დაისადგურებდა მკვდრული, შემაშინებელი სიჩუმე.

აივანზე ორნი ისხდნენ – შავტუხა ჟურნალისტი ახმედ საფვარი და მისი ცოლი ამალია.

– არ ჩავიდეთ? – ჩუმად, თითქოს თავისივე ხმისა რცხვენიაო, ჩაილაპარაკა ქალმა.

– რაღაც არ მინდა, ამ დილით წყალში უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა, ეტყობა გავცივდი, შენ ჩადი.

ცოლმა არაფერი უპასუხა. ტრანზისტორს თითი ჩაჰკრა და მუხლებზე დაიდო.

„ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს ბეირუთი, ბეირუთი ლაპარაკობს!

დღეს ლიბანის უმაღლესმა სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ჟურნალისტ ჰამიდ ჯაჰილ ხუნიას, რომელსაც ბრალად ედება პრეზიდენტზე შეიარაღებული თავდასხმა და სისტემატურად მთავრობის საწინააღმდეგო სტატიების ბეჭდვა თავის გაზეთ „ალ ჰასურაში“.

განაჩენით უკმაყოფილო ელემენტებმა (სამოცამდე კაცი), რომლებიც თავს ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის მებრძოლებად ასაღებდნენ, შეანგრიეს სასამართლოს შენობის კარი და მოითხოვეს განაჩენის გაუქმება. სასამართლოს თავმჯდომარემ აუხსნა მათ, რომ განაჩენის სიმკაცრე პრეზიდენტის უშუალო განაწყენებამ გამოიწვია და რომ იგი შეეცდება მოესაუბროს იმპერატორს განაჩენის შერბილების თაობაზე.

დღეს, საღამოს რვა საათზე ბეირუთის პოლიციის დეპარტამენტს ცეცხლი გაუხსნეს ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა, პოლიციელებმა თავდაცვის მიზნით გახსნეს საპასუხო ცეცხლი, რის შედეგადაც მოკლულია 6 თავდამსხმელი, დაჭრილია 14, ხოლო 30 კაცამდე დატუსაღებულია. წესრიგის დამცველთა შორის მსხვერპლი არ არის, პოლიციის შენობაც უვნებლად გადარჩა“.

უკანასკნელი ცნობების გადაცემა უეცრად შეწყდა და ეთერში გაბმული, ნაღვლიანი ლიბანური სიმღერა გაისმა. ვიღაც მღეროდა ცხრა მთას გაღმა გადაკარგულ სატრფოზე, კი არ მღეროდა, ტიროდა, სიმღერაში არ იყო იმედის მცირეოდენი ნაპერწკალიც.

– არ უნდა დაგეწყო, – თქვა ქალმა ისე, რომ ლურჯ ჰორიზონტზე გაქვავებული თეთრი კატარღისათვის თვალი არ მოუცილებია.

– რა? – ჰკითხა ქმარმა, მისკენ არც მოუხედავს.

– მთავრობის პწკენა.

– მე არაფერი არ დამიწყია, სხვათა შორის, შენ რომ „მთავრობის პწკენას“ ეძახი, ეგ ათასი წლის დაწყებულია და პიროვნების, სინდისის თავისუფლებისათვის ბრძოლა ჰქვია.

– რაკი ეგრეა, ცოტათი ფრთხილად უნდა გებრძოლა.

– მე ვწერდი.

– საქმეც მაგაშია.

– კაცი მე არ მომიკლავს და დეპარტამენტი არ ამიფეთქებია.

– საოცარი კაცი ხარ. – ცოლს გაეცინა, – დაგავიწყდა შენი ფელეტონები არჩევნებზე? აღარ გახსოვს, პრეზიდენტს რომ ლანძღვა-გინების საჯარო წერილი მისწერე?

– მართალი არ ვიყავი? ეს ხომ არ უნდა გეთქვა?

– ახმედ, რატომ გავიწყდება, რომ ორი სიმართლე არსებობს. შენ, შენის მხრივ, იქნებ მართალი იყავი, მაგრამ იმათაც ხომ აქვთ თავიანთი სიმართლე.

– სიმართლე მხოლოდ ერთია.

– საოცარია თქვენი საქმე. მთავრობას ებრძვით და ყურში ხელს რომ მოგკიდებენ, აღშფოთებულნი ხართ, მთავრობის გადაგდება გვინდა და არ გვაცლიანო.

– თავიდან დავიწყოთ ახლა? – უხალისოდ გახედა ქმარმა.

– რა? – ცოლს ზღვისთვის თვალი არ მოუცილებია.

– გუშინწინდელი კამათი.

– მე აქ საკამათოს ვერაფერს ვხედავ.

– ჰოდა, ჩუმად იყავი. ეს მარტო ლიბანში შეიძლება მოხდეს, რაც მე დამმართეს. განა შეიძლება, კაცს სდევნიდე, რატომ არ გიყვარვარო? განა შეიძლება, კაცს თავისი შეხედულებებისთვის ციხეში სვამდე?

– არა ხარ მართალი, შენ შენი შეხედულებებისთვის არავინ გაპატიმრებდა, თუ შეინახავდი შენთვის ამ „შეხედულებებს“. მაგრამ, როცა გაზეთებში აშკარა პროტესტის ბეჭდვა დაიწყე, „ნება უნდა დაგერთო“ მთავრობისთვისაც, რომ ეჭვის თვალით შეეხედა შენთვის.

– მე თოფი არ მისვრია და კიდევ გეუბნები, მთავრობისთვის ტერორი არ დამინიშნავს. ვწერდი, როგორც მეწერებოდა.

– გამარჯობა შენი! და შენისთანების მოწოდებით ხომ არ მოხდა, დღეს ექვსი კაცი რომ მოკლეს, თორმეტი თუ თოთხმეტი დაჭრეს და ოცდაათი დააპატიმრეს?

ახმედი გაჩუმდა. ზღვა ნერვებისმომშლელად მშვიდი იყო.

– ეს კატარღა გუშინ საღამოსაც აქ იდგა. არ მოძრაობს, – ისე ხაზგასმით თქვა ცოლმა, თითქოს ზღვაში კატარღის დგომას მათთვის ახლა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

– ისვენებს, – სერიოზულად უპასუხა ქმარმა.

ამალიას გაეცინა.

– ბერდები კაცი და რაც სტუდენტობისას იყავი, იგივე რჩები. დღესაც ვერ ვარჩევ, როდის ხუმრობ და როდის არა.

ისევ სიჩუმე. კაცმა თავზე გადაუსვა ხელი თანამეცხედრეს და თვალებში ჩახედა.

– დაიღალე?

– მეტყობა? – ორჭოფული პასუხი იყო.

– ლაპარაკზე კი, ისე არა.

– არ იყო ჩვენგან ამდენი მსხვერპლი საჭირო. უფრო ჭკვიანურად უნდა გებრძოლა.

– შიშმა დაღუპა კაცობრიობა, შიში რომ არა, მსოფლიო ერთ კვირაში დაეწყობოდა.

– კარგი ერთი, გგონია, შენისთანა თავგახურებულები ბევრნი არიან? დედამიწაზე მცხოვრებ კაცთა აბსოლუტურ უმრავლესობას მშვიდი, წყნარი ცხოვრება უნდა ამ ორი დღის წუთისოფელში.

– მეც მშვიდი, წყნარი, თავისუფალი ცხოვრებისთვის ვიბრძვი.

– იბრძოდი...

– ახლაც ვიბრძვი! – ამ სიტყვებმა ქმარი გააღიზიანა, – ვიცოდი, რომ შენ ოდესღაც წამომძახებდი ამას!

– რას?

– ჩვენს ლტოლვილობას.

– ეს აუცილებელი იყო, ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვქცეულიყავით.

– არ იყო აუცილებელი, არა!

– მაშინ ჩვენი ცოდოც დაგედებოდა.

– ვისი თქვენი?

– ჩემი, ალის, როზეტასი.

– ბავშვებს ხელს არ ახლებდნენ.

– ჯერაც არ უხლიათ, შარშანწინ არ იყო ილ-კასარის მეჩეჩთან ერთი ავტობუსი ქალ-ბავშვიანად რომ დახოცეს და წყალში გადაყარეს?

– აბა როგორ გინდა, უმსხვერპლოდ ამხელა საქმეს ალლაჰიც ვერ გააკეთებს.

– თუ ამბოხების მოწყობა თავიდანვე გქონდა ფიქრად, ცოლი არ უნდა შეგერთო და ბავშვები არ უნდა გაგეჩინა. ჩვენ ისედაც დამნაშავენი ვართ მათ წინაშე.

– რატომ, განა აქ ცუდად გრძნობთ თავს?

– ხუთი წელია სამშობლო არ გვინახავს, ახმედ! – ქალის

ხმაში ცრემლი რიალებდა.

– მერე? ცოტაც მოვითმინოთ და დავბრუნდებით. ხუთი წელი განა ასე დიდი დროა?

– ჩვენთვის არა, ბავშვებისათვის კი, ისინი ახლა ხდებიან მოქალაქეებად. ახლა სჭირდებათ ყველაზე მეტად ის, საიდანაც გამოვიქეცით, – სამშობლო.

– გახსოვს, რა ისტერიკა ატეხე, წამოსვლაზე უარი რომ გითხარი? ახლა მე მაბრალებ?

– შენ არაფერს გაბრალებ, ახმედ, ერთი დღეც არ შეიძლებოდა ჩვენი იქ დარჩენა, მე როგორ მეყურებინა შენს ზურგში დამიზნებული ავტომატის ლულისთვის.

– ჰოდა, ახლა ნუ მაყვედრი, თუ ქალი ხარ.

– გაყვედრი? არასოდეს, მე მხოლოდ იმას ვტირი, რომ როზეტას არაბული უკვე დაავიწყდა.

– რომ დავბრუნდებით, გაიხსენებს.

– როდის, ახმედ, როდის? შენ მეუბნებოდი, ერთ წელიწადში ყველაფერი ჩაწყნარდება და დავბრუნდებითო. ამ ლოდინში ხუთი წელი გავიდა.

ქმარი წამოდგა. მოაჯირს გადაეყრდნო, ერთხანს უცქირა ზღვას, მერე შემოტრიალდა. თვალი ცრემლით ჰქონდა სავსე.

– არ უნდა წამოვსულიყავით.

– რატომ? შენ აქედანაც ხომ იბრძვი.

– აქედან ბრძოლა სხვაა. ეს მაინც გაქცეულის ბრძოლაა. ჭიშკარს გარედან ყეფაა და ის მადლი არ აქვს.

ცოლმა მკერდზე მიადო თავი და ჩალისფერი, სამხრეებიანი კვართის ღილები შეუხსნა.

– მალე ყველაფერი ჩაწყნარდება და დავბრუნდებით.

– უჩვენოდ, ალბათ, არაფერიც არ ჩაწყნარდება. – ახმედი წელში გაიმართა და აივნის სვეტს კეფით მიეყრდნო.

ისევ სიჩუმე.

– წამოხვალ? – სხვისი ხმით, შორიდან იკითხა ქმარმა.

– ხვალვე, – ქალის პასუხში შიშიც ჟღერდა და სიმტკიცეც.

სიმღერა შეწყდა და დიქტორი კვლავ ალაპარაკდა:

„დღეს საღამოს რვა საათზე ბეირუთის პოლიციის დეპარტამენტს ცეცხლი დაუშინეს ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა. პოლიციელებმა თავდაცვის მიზნით გახსნეს საპასუხო ცეცხლი, რის შედეგადაც მოკლულია 6 თავდამსხმელი, დაჭრილია 14, ხოლო 30 კაცამდე დატუსაღებულია. წესრიგის დამცველთა შორის მსხვერპლი არ არის, პოლიციის შენობაც უვნებლად გადარჩა“.

... მოურიდებელი კაკუნი გაისმა. ორივენი წამოვარდნენ. პარმაღზე აბრეშუმის გრძელ ხალათში გამოწყობილი თეთრთმიანი, ლამაზი ქალი იდგა.

– მაპატიეთ, ვერ გაგაგონეთ და ცოტა უხეშად მომივიდა.

– რას ბრძანებთ, მობრძანდით, – ქალმა უკან დაიხია და სკამს პირსახოცი ააცალა.

– გმადლობთ, არა მცალია, თუ არ შეწუხდებით, გამორთეთ რადიო. ჩემი ქმარი მუშაობს და ხელი ეშლება.

– ჩემი სიკვდილი! – შეიცხადა ამალიამ, მაგრამ სანამ იგი ბოდიშს იხდიდა, ახმედს დადუმებული ტრანზისტორი ხელში ეჭირა და დარცხვენილი, მოწიწებით შესცქეროდა სტუმარს.

– უკაცრავად, რა პროფესიისაა თქვენი ქმარი? – ახმედმა მაშინ დააწია ქერათმიან მზეთუნახავს, როცა იგი გამარჯვებულის იერით წასვლას აპირებდა.

– თარგმნის, – მიუგო აბრეშუმის ხალათიანმა, თმაზე ხელი გადაისვა და ცოლ-ქმარს კიდევ ერთხელ გაუღიმა, – გმადლობთ.

რა იცოდა მთარგმნელის ანგელოზმა მეუღლემ, რომ ტრანზისტორის ხმა ლტოლვილთათვის მარტო რადიოს ლაპარაკი როდი იყო. იგი აზიის ცხელი ქარებიდან ნახევარი საათით გამოწვეული სამშობლოც გახლდათ.

სასჯელი

შუაღამე გადასული იყო, როცა ინდიკო საკანდელიძე და მისი ცოლი ზარის გაბმულმა წკრიალმა გამოაღვიძა.

ორივენი საწოლზე წამოჯდნენ და მწუხარე სახით ერთმანეთს კარგა ხანს შესცქეროდნენ.

– ვნახავ ერთი, ვინაა, – ინდიკო ხალათს დაწვდა და ფეხებით ფლოსტებს დაუწყო ძებნა.

– რა ნახვა უნდა, ელდარი იქნება. ზარზე ეტყობა, მთვრალია, გახეთქილი. რა ვქნათ? – ცოლს გაბზარული, ათრთოლებული ხმა ჰქონდა. ინდიკო მალე მობრუნდა, საწოლზე დაეშვა, კისერი მოიფხანა და დაამთქნარა.

– ელდარია. რა ვქნათ?

– ხომ გითხარი, აწი მაგას ვერ მოვიშორებთ-მეთქი. მაინც ყველაფერი უნაირო იცი. ლოთის შემოჩვევა შენ პატარა საქმე გგონია? რომ დაუჯდები და „ჩემო ელდარ, ჩემო ელდარო“ სადღეგრძელოებს გაუბავ, ე, უგე ახლა პასუხი.

– ნუ გააბი, ქალო, ჭრიჭინასავით. რა ვქნათ, მითხარი!

ზარი არ ცხრებოდა. სტუმარს ღილაკისთვის თითი მიეჭირებინა და ვინ იცის, იქნებ თვლემდა კიდეც.

– გავალ მე და ვეტყვი, შინ არ არის-მეთქი, – გამოსავალი იპოვა ცოლმა.

– მოიცა, ქალო, აბა, სად ვიქნები ამ შუაღამისას. უხერხულია.

– უხერხულობა რომ ესმოდეს მაგას, ღამის სამ საათზე ხალხის შეწუხება არ გამიგია მე! – ქალი უკვე ჰოლში მიაბიჯებდა.

– ვინ ბრძანდებით?

– ელდარი ვარ, ქიქოძე, – უპასუხა გვარიანად შეზარხოშებული კაცის ჩახრინწულმა ხმამ.

– რაშია, ელდარ, საქმე? – ინდიკოს მეუღლე კარის გაღებას არ აპირებდა.

– გამიღეთ ერთ წუთას. საქმე მაქვს.

ინდიკომ გასაღების ხმა რომ გაიგონა, გული შეუქანდა და საბანი თავზე წაიფარა.

– ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, ასე გვიან შეწუხებისათვის, მთვრალი ვარ. ინდიკო მინდოდა, ჩემი ძმაკაცი! – ეს უკანასკნელი სიტყვა ელდარ ქიქოძემ ლოთისთვის დამახასიათებელი სილბოთი და სიყვარულით წარმოთქვა.

– რა დროს ინდიკოა ამ შუაღამეზე, ელდარ ბატონო? – ცოლი ღია კარში იდგა და სტუმრის შეპატიჟებას არც კი აპირებდა.

– არ გეწყინოთ, ქალბატონო. ლუკმა არაფერი მინდა. ცოტა შევთვერი და ინდიკოსთან ლაპარაკი მომენატრა, ჩემს ძმაკაცთან.

– არაა ინდიკო სახლში, – ინდიკოს მეუღლეს ცივი, კატეგორიული ხმა ჰქონდა.

– აუჰ, – ელდარი კედელს მიეყრდნო და ნუშისფრად აღუებულ შუბლ-ცხვირზე ხელი მძიმედ, საფუძვლიანად ჩამოისვა.

– მივლინებაში აფრინეს სასწრაფოდ. ამ თვეში არ იქნება.

– ეს რა მითხარი?! – სტუმარმა ისე შეიცხადა „ძმაკაცის მივლინებაში წასვლა“, თითქოს რაღაც დიდი უბედურება დაატყდაო თავს, – არაფერი დაუბარებია?

– რაზე?

– ჩემზე არაფერი უთქვამს?

– არაფერი? გინდოდათ რამე? – შეწუხდა ქალი.

– არა, ისე, ხომ არაფერი დაუბარებია-თქვა. წავალ აბა, კარგად... სულ კარგად...

ელდარი ისეთი მთვრალი გახლდათ, რომ ლიფტის ღილაკს სამჯერ ააცილა ცერა თითი.

– წავიდა? – შეთქმულის ხმით ჰკითხა ქმარმა ცოლს.

ქალმა თავი დაუქნია, ხალათი სკამზე გადაკიდა და საწოლზე ზურგით დაეშვა.

– შემეცოდა ხომ იცი, საწყალი. ფეხზე ძლივს იდგა.

– ასე არ უნდა დათვრეს ადამიანისშვილი.

– გაუბედურდა. მაინც ნამეტანი წავიდა ხელიდან.

– სად წავა. ვის მიადგება ამაღამ ნეტავი კარზე?

– იხეტიალებს ქუჩაში, ალბათ. თემქაში წამსვლელი ეგ არ არის ამაღამ.

– თემქაში რა უნდა? – ქმარმა საბანი გვერდებში ამოიგო და ჭერს მიაჩერდა.

– თემქაში ცხოვრობსო, ასე არ თქვი?

– თემქაში მაგისი ცოლ-შვილი ცხოვრობს. იმ ამბის მერე ცოლი შინ უშვებს კი არა, ბავშვებს თვალით არ ანახვებს. გაფრთხილებული ჰყავს თურმე სკოლა, რომ გამოჩნდეს ელდარი და ბავშვების ნახვა მოიწადინოს, იმ წუთშივე მილიციას აცნობეთო.

– ისე, თავის მხრივ, მართალია ის ქალიც.

– ელდარს ვკითხე და, – ინდიკოს გაეცინა, – მომიგონეს მტრებმაო. რა ჩანგალი, რისი ჩანგალი. ასე მიცნობ შენო? რა ვიცი. იქნებ მართლა მოუგონეს.

– რა მტერი ჰყავს ელდარს ამისთანა?

– ცოლმა მოუგონაო, ამბობენ.

– ასეა თუ ისე. საცოდავი კია და...

– საცოდავი როგორ არ არის. ასე უპატრონობით და მოუვლელობით სულ წავა ადამიანისშვილი ხელიდან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცოლ-ქმარი საკანდელიძეები კარგა ხანს საუბრობდნენ. იმათ ასაკში გატეხილი ძილის გაგრძელება იოლი საქმე როდი გახლავთ.

უდროო დროს, დაუპატიჟებლად მოსვლას იმერეთში წაყუდებას ეძახიან. ელდარის პირველი წაყუდება რომ ყოფილიყო, მასპინძელთა საქციელს საძრახისად ჩავთვლიდით, მაგრამ ქიქოძე ამ კვირაში მეოთხედ აწუხებდა საკანდელიძეებს და თანაც ნაშუაღამევს. ძალიან უნდა გიყვარდეს კაცი, რომ ნაშუაღამევს მთვრალს კარი გაუღო და მისი გაუთავებელი ლუღლუღი ისმინო უძილობით გაბურბუსალებულმა. ელდარ

ქიქოძემ კი, ღმერთო შეგცოდე და, არც სიფხიზლეში იცოდა მაინცდამაინც დაწყობილი ლაპარაკი.

მეორე დღეს სამსახურში მიმავალ ინდიკოს ნელი სინაურიძე წამოეწია და მკლავზე წააფრინდა.

– აქ ხარ, თბილისში ხარ, შენ, ინდიკო?

ნელი მარტოხელა დედა გახლდათ. თავისი ერთადერთი თორმეტი წლის გოგონათი ინდიკოს მეზობლად ცხოვრობდა. მის ქმარს დასასვენებელ სახლში გაეცნო ქალი, შეყვარებოდა და ომსკში გაყოლოდა. ნელი რომელიღაც სკოლაში ბიბლიოთეკარად მუშაობდა. სულ ეს იყო, რაც ინდიკომ სინაურიძის ქალზე იცოდა და არცთუ დიდი მიმოსვლა და მეზობლობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდეც ქალბატონი ნელის ასეთი წათამამება.

– აბა, სად უნდა ვიყო? – კითხვა შეუბრუნა ინდიკომ.

– წუხელის შინ გეძინა? – ნელი ეშმაკურად იღიმებოდა.

– კი, რავა, რა იყო?

– აშაგენა ღმერთმა. შენ სახლში ხარ და შენი სტუმრები ჩემთან ათევენ ღამეს? – ნელიმ გულიანად რომ გადაიკისკისა, ინდიკომ უკვე იცოდა ვის ეხებოდა საუბარი, მაგრამ დროის მოსაგებად მაინც იუცხოვა.

– რა სტუმარი, ვინ სტუმარი?

– წუხელის, ასე სამი იქნებოდა, დამიკაკუნა ვიღაცამ, – სხაპასხუპით გააბა ნელიმ, – წამოვცვივდით მე და ჩემი გოგო გულგახეთქილები. ხომ იცით, უკაცო ოჯახი. ხანდახან ჩიტის ფრთხიალიც გვაშინებს. გავიჭვრიტე. ვიღაცა, ასე თქვენი ხნის, ორმოცამდე იქნება, სიმპათიური მამაკაცი დგას კართან. ეტყობა მთვრალია. ვინ გნებავთ-მეთქი, კარის გაუღებლად ვკითხე. არასოდეს დამავიწყდება მისი მუდარით სავსე ხმა – ქალბატონო, ინდიკო საკანდელიძის მეგობარი ვარ, არ ვარ ცუდი კაცი, მთვრალი ვარ, შორს ვცხოვრობ აქედან, ინდიკოსანები შინ არ არიან, გავიყინე სიცივით, ქენით მადლი და გამიღეთ კარიო. თქვენი სახელი რომ მიხსენა და თანაც ვხედავ, მთვრალია აშკარად, კარს როგორ არ გავუღებდი.

კარგი შინაურივით პლაში გაიხადა, ხელი დაიბანა, სარკეში თმა დაივარცხნა და მერე ჩამოგვართვა დედა-შვილს ხელი. გამოვუტანე, რაც მქონდა. რა მექნებოდა ახლა მე. უკაცო ოჯახი ხომ იცით. რა კაცი, რა ადამიანი, ინდიკო ბატონო. თქვენ ცუდი მეგობარი როგორ გეყოლებოდათ, მაგრამ ეგ ელდარი, რა გვარი ვარო? ქიქოძე, ხო ქიქოძე. ნამდვილად ღვთის კაციო რომ იტყვიან, ის არის, რა სიტყვები გვითხრა, რა სადღეგრძელოები. რა ამბები მოგვიყვა. ამნაირი სუფთა გულის კაცი მე არ მინახავს. წარამარა ბოდიშს იხდიდა, მთვრალი ვარ და გაწუხებთო, მაგრამ რა ჰქონდა საბოდიშო? ბოდიში ჩვენ გვეკუთვნოდა, ისე რომ, ვერ დავუხვდით, როგორც ეკადრებოდა. დედა-შვილი პირდაღებული ვუსმენდით მთელი ღამე. ისე შემოგვათენდა, არ გაგვიგია. ახლა წავიდა ა, ერთი საათიც არ იქნება. გვიამბო ყველაფერი თავისი გასაჭირი. აბა ამნაირ კაცს რომ ვერ გაუგებს და პატივს არ სცემს, ქალია იის? როგორი გულდაწყვეტილი, როგორი დანაღვლიანებულია თავისი მდგომარეობის გამო. ღვინო კი არ მიყვარს, მაგრამ დარდის გამო ვსვამო. რანაირად გინდა გულჯავრიანმა გაათენო ამხელა ღამეო. ჩემი სიავის არ იყოს, მაგას ადამიანი არ უნდა შეხვედროდა ცხოვრებაში? ან რა სადღვეგრძელოები სცოდნია. მე შენ გეტყვი, შეეშალა რამე, კაცი რომ გადააჭარბებს ხანდახან, თვალებს რომ დაგიწყობს და ღლიცინს რომ დაგიწყებს. უბატონოდ ერთი სიტყვა. სულ თქვენობით და ბოდიშობით გველაპარაკებოდა. მერე რანაირი დახვეწილი მანერები, რა ღირსეულად ეჭირა თავი. თქვენ რანაირად ყვარებიხართ. ხომ იცნობთ ინდიკოსო. როგორ არ ვიცნობ-მეთქი. ინდიკო არ იცით თქვენ, რა კაციაო. კაცი კი არა, ანგელოსია ნამდვილიო. ინდიკოს ფასი მისმა ცოლმაც კი არ იცისო. მაგის მეტი კაცი-პატრონი არ მყავს ამ ქვეყანაზეო. ინდიკო რომ არ მიმართავდეს ხელს, სულ დავიკარგებოდიო. მშიერი კი არავინ კვდება დღეს, მაგრამ ინდიკოსთან საუბარი მამშვიდებს და მალამაზებსო. მთელი დღე წელგამართული დავდივარ მერე და ამ ქვეყანას სხვა

თვალით ვუყურებო. აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას, ბატონო ინდიკო; ასე უნდა, აბა რა. ორჯერ გაიმეორა წუხელის თქვენი და თქვენი ოჯახის სადღეგრძელო.

ინდიკო ყურადღებით უსმენდა სინაურიძის ქალს და როგორც კი დრო იხელთა, შეშფოთებულმა გააწყვეტინა.

– საით წავიდა? არაფერი დაუბარებია?

– რაზე?

– ჩემზე არაფერი უთქვამს? სად მივდივარო? წუხელის ნათლიმამასთან ვიყავით სტუმრად და ღამე, რაღაც იღბლად, იქ დავრჩით. რომ მცოდნოდა მოვიდოდა, ფეხს გადავადგამდი სადმე? როდის მოვალო, ხომ არ უთქვამს?

– არაფერი დაუბარებია, – ნელი ქუჩას გასცქეროდა და ცდილობდა ზუსტად აღედგინა ღამეული სტუმრის გაცილების სურათი, – დილით ცხელი ჩაი გამოვუწყვე. არ დალია. ჩაი არ მიყვარსო. არც კონიაკს დააკარა პირი. სახეზე ცივი წყალი შეისხა და კიდევ ერთხელ მოგვიხადა ბოდიში. კიბეზე რომ ჩადიოდა, ისეთი თვალებით შემოგვხედა, რომ გული დამემდუღრა. შევატყვე, აშკარად არ უნდოდა წასვლა. დაბარებით, არაფერი დაუბარებია.

ინდიკოს გულში რაღაც ჩაწყდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამ ქალმა შესანიშნავად იცოდა, რომ წუხელის ელდარ ქიქოძეს ინდიკო საკანდელიძე დაემალა. იცოდა და განგებ არ ეუბნებოდა, რომ ამით უფრო შეერცხვინა და თავის სინდისთან მარტო დაეტოვებინა. ინდიკოს ეგონა, რომ ახლა მთელმა ქალაქმა იცოდა წუხანდელი ამბავი. თავი ჩაღუნა, გმადლობთ, ჩემო ნელი, დიდი მადლობელი ვარ, ჩაილუღლუღა და წელმოწყვეტილივით გააბიჯა.

ამ ამბის შემდეგ სამი დღეც არ გასულა და ელდარ ქიქოძე ისევ გამოჩნდა საკანდელიძეების ეზო-ყურეში.

ზარის ხმაზე ინდიკომ და მისმა ცოლმა ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ ქმარმა უსიტყვოდ მოიხურა ხალათი და კარისაკენ წავიდა.

ნელის გოგო შერჩა ხელთ.

– ინდიკო ბიძია, ჩვენთან სტუმარია და თქვენს ნახვას თხოულობსო.

– თქვენი სტუმარი? რა ჰქვია?

– ელდარი.

– მერე ჩემთან ვერ მოვიდა? ელდარი რა თქვენი სტუმარია?! – ინდიკო ქუდს ეძებდა, მაგრამ ამასობაში გოგონამ კიბე ჩაირბინა და მერე ინდიკომ თვითონვე დაასკვნა, რომ თორმეტი წლის გოგონასათვის ძალიან რთულ კითხვებს აძლევდა.

... გაშლილ სუფრასთან ელდარი იჯდა. ხელში ჭიქა ეჭირა და არაფერ უჩვეულოს არ ამბობდა. – ზღვაში გასული მეზღვაურების სადღეგრძელოს სვამდა.

მის წინ დაბალ სკამზე ნელი სინაურიძე იჯდა და სტუმარს მონუსხულივით შესცქეროდა.

ინდიკოს შემოსვლა მაშინ გაიგეს, როცა მეზობელმა განგებ ჩაახველა, აქაოდა მოვედი, ყურადღება მომაქციეთო.

დამნაშავე

შუაღამისას მილიციის მორიგესთან ანაფორიანი მღვდელი მიიჭრა და ილუმინატორის შუქით გაჩახჩახებულ მაგიდაზე ერთი ბღუჯა ჟღალი თმა დაყარა.

მორიგემ სათვალე გაიკეთა და, უპირველეს ყოვლისა, თმას დახედა. მერე მძიმედ წამოდგა, სეიფიდან ბორჯომი გამოიღო, აქლოშინებულ მღვდელს გაუხსნელად წინ დაუდგა და თმაზე ანიშნა.

– რა არის ეს, მამაო?

– ვერ ხედავ, თმაია, – მიახალა მღვდელმა და გაბრაზება უფრო რომ შეტყობოდა, განზე და ცოტა მაღლა შეაბრუნა თავი.

– რად მინდა მერე მე ეს თმაი, მამაო? – კვლავ მშვიდად ჰკითხა მორიგემ.

– რას ჰქვია, რად გინდა. ეს თმაი ბეშკენაძის ვაცისათვის კი არ ამიგლეჯია ზურგზე. აგერ აქედანაა აპუტული! – მღვდელმა ყურს ზემოთ თმა გადაიწია და, ცოტა არ იყოს, გაწითლებული, თმაშეთხელებული ადგილი გამოაჩინა. – ამდენს ვერ უნდა მიხვდე შენ?!

– შეიძლება? – ჰკითხა მორიგემ და თმას დასწვდა.

– კი ბატონო, – ნება დართო მღვდელმა.

მორიგემ უჯრიდან ლუპა დააძრო, ანაგლეჯი თმა საფეთქელთან მიუტანა მღვდელს, დიდხანს გულმოდგინედ ათვალიერებდა, და როგორც იქნა, დაასკვნა:

– კი. თქვენი თმაა.

– მერე? – ვერ ისვენებდა მღვდელი.

– რა მერე? შენი თმაია-მეთქი, ხომ გეუბნები.

– ამისათვის მოვედი აქანა? ჩემი რომაა, უშენოდაც ვიცი!

მორიგე წამოდგა. სამორიგეო მოაჯირს გადაეყრდნო. ცოტა ხანს ამ მდგომარეობაში შესცქეროდა მღვდელს. მერე

უკან დაიწყო ხელები და გაიარ-გამოიარა. მორიგეს არ ეჩქარებოდა.

– შენ, მამაო, მწვანე ბაზრის ქვევით რომ ეკლესიაა, იქ არ მუშაობ?

– რას ჰქვია, ვმუშაობ! – კიდევ უფრო გაწყრა მღვდელი და კიდევ უფრო მაღლა და განზე შეაბრუნა თავი.

– აბა, რავა ითქმის, – გაეცინა მორიგეს. – კი აღარ ვიცი, ეს ოხერი.

– კი არ ვმუშაობ, ვწირავ.

– ჰო, წირავ თუ ბოვშვებს ნათლავ, სულ ერთია. შენი სამუშაო მაგია. რა გვარი ბრძანდები?

– ნუცუბიძე.

– სახელი?

– კუკური.

– რა უბრალო სახელი გრქმევიათ! – გაიკვირვა მორიგემ. მისი ვარაუდით, მღვდელს საბა თუ არა, ამბროსი მაინც უნდა რქმეოდა.

– ამ შუალამეზე რამ შეგაწუხა, კუკური?

მღვდელი აიმრიზა.

– მამაო-თქვა, შე უპატრონო, თორემ კუკურის მოგცემ მე შენ! ამ ანაფორაში რომ მიყურებ, ხვარაფერი გეშლება!

– რა იყო, რას მეჩხუბები, შე კაი კაცო?

– თუ ძმა ხარ, მე შარის თავი არა მაქვს. შენ ენა გექავება და მე გულზე ვარ გამსკდარი. დაზარალებული მევედი და რავარც საჭიროა, ისე მომექეცი, თორემ დაკარგავ მაგ „პაგონებს“, მამაჩემსა აქვს ცხონება!

მორიგემ ჯიბის დანა დააძრო და ფრჩხილების წმენდას შეუდგა.

– შენს მეტი არავინაა ამ დასაქცევში?

– ნუ ილანძღები, მამაო.

– შენს მეტი არავინ დარჩა, აბა, ამ სამართლის კარზე?

– ნუ იწყევლები, მე შენ გელაპარაკები!

– რა გინდა, ძმაო, ჩემგან, ხომ არაფერი მმართებს შენი? მორიგე გამომძიებელთან მიმიყვანე.

– ჰოდა, მასე დაილაპარაკე, შე კაი დედმამიშვილო, ახლა შენი მღვდლობისათვის თავზე კი ვერ დაგისვამთ.

მორიგემ ადგილობრივი ტელსმენის სახელური დაატრიალა და ყურმილი აიღო.

– ოთარ უფროსო, მღვდელია. არ ვიცი არაფერი. თუ არ გძინავთ, გამოვუშვებ. არის უფროსო! – მერე მღვდელს დერეფანზე მიუთითა: – მეოთხე ოთახში მიბრძანდით.

მღვდელმა თმა გულმოდგინედ აკრიფა, ანაფორა აიკეცა და მეოთხე ოთახს მიაშურა.

მალე იგი მილიციის ოღასკურის ქვეგანყოფილების უფროს გამომძიებელს – ოთარ ნანეიშვილს მისთვის თმაწვერის დაგლეჯის ამაზრზენ ამბავს უყვებოდა. ოთარი ახალგაღვიძებული იყო, რაც იმაზე ეტყობოდა, რომ საფეთქლებთან გაჭაღარავებული ხშირი თმა უწესრიგოდ ეყარა შუბლზე და წამდაუწუმ თვალებს ისრესდა.

– ახლა კი, მართალია, აკრძალული გვაქვს, მაგრამ ხანდახან, რა დასამალია, და, ახლად დაქორწინებულებს უარს ვერ ვეუბნები. მე, მაგალითად, თუ მმაჩის ქაღალდი არ მაჩვენეს, ხელს არ ვკიდებ საქმეს. ჯვრისწერაზე უარს როგორ ვეტყოდი, მაგრამ არ მეცალა, კაცო, სტუმარი მყავდა. ეკლესია დაკეტილი იყო. ხომ გაქვთ თქვენ ყველას სამუშაო საათები? რაო, მღვდელს არ უნდა დასვენება? ჩვენ არ ვიღლებით თუ? აბა, ერთი დღე დადექი ჩემს ადგილზე? მარტო საცეცხლურის ქნევა მოგკლავს და საკმევლის სუნი დაგათრობს. საღამოს ფეხებს ძლივს მივათრევ.

– რამდენი ხანია, რაც ამ საქმეზე ბრძანდები?

– ე, ისე მღვდლად ხუთი წელია და ადრე საკონსერვოში ვმუშაობდი. მე ქე მიცნობთ თქვენ, დომენტის ბიჭი ვარ, ნუცუბიძის.

– აა, ჰოო, – კეფა მოიფხანა გამომძიებელმა. – ამ თმებში რას გიცნობდი.

– არ იყო არაფერი ამ საკონსერვოში თვარა, ბაღნებს გეფიცები, არ წამოვიდოდი. აქ ცუდად კი არ ვარ, მარა ამ თმამ შემჭამა. სიცხეში სულს ვერ ვითქვამ. ამას კიდევ გაუძლებს კაცი, მარა, რაკი მღვდელი ვარ, ზოგიერთს ჰგონია, ენა არა მაქვს პირში და ხელები დაობებული მაქვს; შაქროია გიორგაძეს გავალახიებდი თავს? მარა აყევი ახლა მაგას და მაგნაირი იქნები შენც. ასე კი არ გაგიგებენ. მღვდელმა ცემატყეპა დაიწყოო და ქე მიგაბრძანებენ სამსახურიდან. აპაა, ჩვენც გვყავს ჩვენი უფროსი და ჩვენი რევიზია.

– მაინც ვერ გავიგე, მოგვარდა შაქროია გიორგაძე, დაგაპუტა თმა-წვერი და გაიქცა?

– მაცადე, აბა რას გიყვები. ჯერ სხვა მოვიდა. ვინცხა ხელისმომკიდე ვარო. არ წავყევი. მერე ხნიერი კაცი მევიდა, გამომეცნაურა, ვითომ ძალიან ნაცნობი იყო, ვერ წამოვალ, მე ვუთხარი. ა, ხომ ხედავ, სტუმრები მყავს-მეთქი. მეხვეწა, მარა ვერას გახდა და გეიხურა კარი.

– ეკლესიიდან შორს ცხოვრობ?

– არა, იქვე, მეოთხე მოსახლე ვარ. მესამე კაცად შაქროია მოვიდა, შაქროია უბედური. ხომ იცით მაგის თავქარიანი ხასიათი.

– კი, მაგრამ, ამ ბოლო დროს ცუდი არაფერი გამიგია. მუშაობსო, ცოლი ითხოვაო. ჩხუბს და აყალმაყალს დაანება თავიო და ისევ დაიწყო მაგან?

– რა, ბატონო? შაქროიას მორჯულება ასე ადვილია? ვინ თქვა, მოჭკვიანდაო. შემოვარდა, ერთი წუთს გამობრძანდიო. ვიცოდი, რა საქმეზეც იყო, მარა მაინც გავხედე. წამოდი, ჩემი ძმა ცოლს ირთავს და ჯვარი უნდა დაგვწეროვო. არ მცალია, მე ვუთხარი, იმგენს რომ ვარი ვუთხარი, ახლა შენ რომ წამოგყვე, შენ რა წითელი კვერცხი ხარ, მე ვუთხარი. ჩამაჯინდა და ჩამაჯინდა. არ მცალია, არ ვიცი მეო. გააღებ ახლა ეკლესიის კარებს და ჯვარს დაგვწერო, არაფერი არ გამივიდა. შენი სტუმარი სტუმარია და ჩემი სტუმარი არაა სტუმარი-მეთქი, მე ვუთხარი. არ მეცალა, ბაღნებს გეფიცები, თორემ არ მინ-

დოდა ახლა ვითომ ფული? ამ ლაპარაკში მტაცა თმაზე ხელი და ბატივით ბდღვნა დამიწყო. ძლივს დევიხსენი თავი. შენს სახლში რომ არ ვიყო, ერთ ღერს არ შეგარჩენდიო, – მითხრა და წავიდა. ასეა ჩემი საქმე. ის ახლა ქორწილში ქეიფობს და მე გულზე ვარ გამსკდარი. ერთი გაფიქრება გავიფიქრე: წავალ, გევიპარსავ, მივადგები ქორწილში, ვჭედავ შუბლში ტყვიას და დავასვენებ სხვასაც-მეთქი. მაგრამ ასე ვარგა? დავხოცოთ ერთმანეთი? ა, აგერაა თმა და თქვენ იცით ახლა. ოთარია, თუ კაცი ხარ, ეს საქმე არ მიფუჩეჩდეს, თვარა სადაც საჭიროა, იქანა მივალ და ვინცხა გადაყვება ამ საქმეს!

– რავა გეკადრებათ, ა, ქაღალდი და დამიწერეთ ახლა რაც მოყევით, ყველაფერი, წვრილად.

მღვდელმა დიდხანს წერა. ბუტბუტით და ტუჩების ცმაცუნით.

გამომძიებელმა საჩივარი ჩაიკითხა, მღვდელს ორ ადგილას ხელი მოაწერინა და უთხრა:

– წაბრძანდით თქვენ, მამაო. მე გავგზავნი მილიციას, მოვაყვანინებ დღესვე და ხვალ მოგვიწევს, ერთხელ კიდევ, თქვენი შეწუხება.

– ჩემი რაზე?

– დასაპირისპირებლად.

– არა, თუ კაცი ხარ. მე ნუ გამომაჩენთ. ეს ჩემი საჩივარიც არ წააკითხოთ. ვითომ სხვამ მოიტანა ამბავი თქვენამდე. არ მინდა ახლა ხალხი ავალაპარაკო, ხომ იცი, ჩვენს ქალაქს ჭორი მეტი კი არ უნდა, მღვდელი გაპუტეს და მილიციაში გეიქცაო. რომ მოიყვანთ იმ ხვადაგს, თვითონ იტყვის ყველაფერს, რა ვიცი, რავა დამალავს.

– კაი. კი, ბატონო.

გასვლისას მღვდელმა თმას დახედა.

– ეს თმა იყოს თუ წავიღო უკან?

ოთარმა კონვერტი ამოიღო.

– თქვენი ხელით ამ კონვერტში ჩაყარეთ და გარედან დააწერეთ.

მღვდელი დიდხანს ყოყმანობდა. არ იცოდა, როგორ დაეწერა. ჯერ იფიქრა, „მღვდელ კუკური ნუცუბიძის თმას“ დავაწერო, მერე გადაწყვიტა, „შაქრო გიორგაძის მიერ ანაპუტავი მღვდელ კუკური ნუცუბიძის თმა“ დაეწერა, ბოლოს უბრალოდ „კ. ნუცუბიძე“ დააწერა, კონვერტს ენა გაუსვ-გამოუსვა, გულმოდგინედ დააწება და გამომძიებელს გამოემშვიდობა.

მღვდელი კუკური ნუცუბიძე მორიგის ადგილს ისე გაცდა, რომ მილიცის მოხელისათვის არც კი მიუხედავს. აქაოდა, მე შენთან აღარაფერი მესაქმება, მე უფრო მაღალ ინსტანციებში მაქვს საქმეო.

* * *

მამლის ყივილის დრო მოახლოებული იყო, როცა ოთარ ნანეიშვილთან უბნის რწმუნებული შევიდა. გამომძიებელს მშვიდად ეძინა. რწმუნებულმა ერთი-ორჯერ ჩაახველა (შენჯღრევა ვერ გაუბედა უფროსს), მერე მაგიდიდან კალმისტარი აიღო და ფანჯარას მიუკაკუნა. ოთარი წამოჯდა, დაამთქნარა, ქუდი დაიხურა და მოსულს ახედა.

– რა ჰქენი?

– მოვიყვანე.

გამომძიებელი სწრაფად წამოხტა და ტახტიდან საწერ მაგიდასთან გადაჯდა.

– სადაა?

– აგერ მყავს, სამორიგეოში.

– წინააღმდეგობა ხომ არ გაუწევია?

– არა. ქორწილიდან წამოვიყვანე.

– შენ შეხვედი წიგნით?

– არა, ბავშვს გამოვაძახებინე ეზოში. რომ ვუთხარი, გიბარებენ-თქვა, გაეცინა, რა უნდათ აწიო. ცოლს დაუბარა, ცივ „ბორჯომს“ ამოვიტან სარდაფიდან და მოვალ ახლავეო. ასე რომ, არავის გაუგია მაგის წამოყვანა.

– კარგი, დაუძახე მთვრალია?

– არა, შაქროიის დამთრობი იმ ქორწილში ვინ იქნებოდა.

– მოიყვანე და შენ, ყოველ შემთხვევისათვის, ყური აქეთ გეჭიროს.

– კი, ბატონო.

– თუ იცი, ჯიბეში ხვარაფერი აქვს?

– ვერ გეტყვით, გაჩხრეკა ვერ გავუბედე, არა მგონია. ქორწილში დანას არ ჩაიდებდა ჯიბეში.

მორიგე გავიდა თუ არა, გამომძიებლის კაბინეტის კარის უკიდურეს ზედა ნაწილში შავგვრემანი, თმაგადასლექილი თავი გამოჩნდა.

– შენ ხარ? შემოდი.

ოთარი არ ამდგარა, შემოსულისათვის ხელი არ ჩამოურთმევია, რაც იმას ნიშნავდა, რომ საუბარი ოფიციალური და მკაცრი იქნებოდა.

შაქრო გიორგაძე – ორმეტრიანი, ლამაზი ცხვირ-პირის მქონე, მსხვილმაჯებიანი, ულვაშებიანად სუფთად გაპარსული კაცი, ისე მორცხვად და მოხდენილად შემოვიდა, შემოთავაზებულ სკამზე ისეთი რევერანსებით და მადლობებით დაჯდა, რომ საქმეში ჩაუხედავი იფიქრებდა, ამ კაცს მთელი ცხოვრება საკონსულოებსა და საელჩოებში აქვს გატარებული. დამხვდურმა კი მშვენივრად იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ეს რამდენიმე წელია დაცხრა შაქროია, თორემ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს მისგან სისხლი ჰქონდათ გამშრალი. ალმასხან გიორგაძის ბიჭი ქალაქში პირველი დამრტყმელი იყო. პატარა შელაპარაკებისათვის კაცს ყბას აახევდა, ყველას გამომსარჩლებელი, ჩახლაფორთებული საქმის გამრჩევი და გამრიგე ეგ იყო. რამდენჯერმე სხვადასხვა ვადით ნაჯდომიც გახლდათ.

– რა იყო, ბიჭო, ვერ უნდა ისწავლო შენ ჭკუა?

– რაზე ბრძანებთ, ოთარ ბატონო?!

– კაი ახლა, თუ ძმა ხარ, არ დამიწყო აქანა, „ოთარ ბატონო“ და „ოთარ პატივცემულო“. რა დროს შენი ძველბიჭობაა, კაცო? ვეღარ გეიგე, რომ აღარაა ძველბიჭობის დრო?

– ასე მიცნობთ მე, ოთარ ბატონო? რასაც ახლა შენ მეუბნები, მასე ვარიგებ მე შენს პატარა ბიჭს, როცა ქუჩაში შემხვდება. ნამეტანს კი ნუ მიზამ. მადლობა ღმერთს, გუშინდელები არ ვართ და ქე ვიცნობთ ერთმანეთს.

– რომ გითხრა, გული მოგივა და ა, კონვერტი, ბატონო, და ა, განცხადება; შენ ჩემზე ნაკლებად არ ერკვევი კანონებში და ეს მღვდლის საქმე კაი ხუთწლიანია.

– რომელი მღვდლის?

რომელი და რომელცახას ააპუტე ეს თმა, კუკურია ნუცუბიძის.

შაქროს გაეცინა, კისერს აუსვ-დაუსვა მარჯვენა ხელი, საჩივარი გაშალა, არ წაუკითხავს, ისე დაკეცა და გამომძიებელს გაუწოდა.

– მაშ, მიჩივლა კუკურია გლახამ? ხედავთ, რავა გამევიდნენ მთლად კაცობიდან, რავა დაკარგეს ნამუსი?

– აბა, აბა! თმას რომ აგაპუტავენ უნდა გაჩერდე, მეითმინო! მილიციაში ჩივილი რა ვაჟკაცობაა.

– გააჩნია, ჩემო ოთარ, რაზე აგაპუტავენ.

– რაზეც უნდა იყოს. ასეთი წყენინებისათვის შენთვის რომ თმები ეპუტათ, ქე იქნებოდი ახლა გამანული ეფროსინეს ღორივით.

– როცა ღირსი ვიყავი, არც მაგი დაუკლიათ, ნუ გეშინია.

– რაო, მაინც, რა დაგიშავა იმ კაცმა?

– მე კი არა, თავის თავს დაუშავა. მე რა უნდა დამიშავოს. კისერში რამ წამითაქა და ჩემმა ენამო, ხომ გაგიგონია კარგად მიცნობს კუკურია. ჩვენს ქუჩაზე არ გაიზარდა? ერთი რვა წლით მაინც ხომ ვარ მაგაზე უფროსი, იმნაირი საწყალი ბოვშვი იყო, ქუჩაში რომ შემხვდებოდა, ტირილს მისით იწყებდა. ჩვენ გვერდით არ ვაყენებდით კუკურიას „ბირჟაზე“ არ გაფუჭდეს და სიგლახეს არ მიეჩვის-თქვა, მარა მაგნაირები ფულს რომ იშოვიან, ყვალაფერი ავიწყდებათ. რა მინდოდა მე, რა ვთხოვე, რა შეუძლია? სიმართლე გითხრათ, ვერიდებოდი მისვლას. მე ვთქვი, მე რომ მივიდე და უარი მითხრას,

გული მეტკინება-მეთქი. ორი კაცი ვაახლეთ. შენც არ მო-
მიკვდე, ნარდს ვთამაშობ და არ მცალიაო. ჩემმა ძმამ ითხოვა,
უმცროსმა, ცოლი. პატარა გოგო ვინცხა, მისნაირი გაწკიპული
მეიყვანა, ენაცვალოს ორივეს ჩემი თავი! ხელი რომ მოაწერეს,
ახლა გვირგვინიც ვიფსკვნათო. შევაბმევიეთ დომენტია ხა-
ბურძანიას თავისი დაობებული ფაეტონი და მივადექით ეკლე-
სიას. ბოვშვებია, ხომ იცით, უხარიათ. მაგენისთვის საქმეა
ყველაფერი. ხელისმომკიდემ რომ უარი მოიტანა, წამოხტა
ვიღაცა ჭარმაგი კაცი ქალის მხრიდან, მე მევიყვანო, თქვა,
წავიდა, ისიც გაწბილებული არ მობრუნდა? ვდგავართ შაბა-
თის მათხოვრებივით ეკლესიის დაკეტილ კარებთან. მოიწყინა
ჩემმა ძმამ. ამას თავი დაანებე, პატარძალმა ტირილი დაიწყო,
იღბალი არ მქონიაო, სლუკუნებს პატარა გოგო. გული მემეწვა.
მე ვთქვი, მეტი ვერ უნდა გაგიგოს კაცმა. მეტი ანგარიში არ
უნდა გაგიწიოს? რა ვართ, აბა, ჩვენ მეტი ერთმანეთის-მეთქი.
ყველამ მე შემომხედა, ხომ იცი, ახლა ეს რა ვნახე, კაცო! ჩემ-
თან ლაპარაკიც არ მოისურვა, ხვალ მოდით და დავწერ ჯვარ-
სო. კი მარა, ხვალ რანაირად, მე ვუთხარი. ქორწილი ამაღა-
მაა. ხვალ ვიღას უნდა, შენი პუტუნი, მე ვუთხარი, გაგიგონია?
შემაქცია ზურგი, ნარდს ვთამაშობ, ხომ მხედავო (აქ შაქროს
გაეცინა) მოვკიდე ხელი, მოდი აქ მე ვუთხარი, მთლად გიყიდი,
რაც ნარდია ქვეყანაზე, ოღონდ ახლა ნუ მომჭრი თავს, ნუ
გამაწბილებ, მე ვუთხარი. შენთვის ათი წუთის საქმეა-მეთქი.
წადი, საქმე ნახეო, მითხრა. ველარ მოვითმინე და ქე შემრჩა
ხელში მისი საგარეოდ დავარცხნილი ქოჩორი

– რა დრო იყო?

– ახალი შეღამებული. მე შენ გეტყვი, შორს ცხოვრობს
ეკლესიიდან. ორი ნაბიჯის გადადგმა დაეზარა.

– მერე რა ჰქენით?

– მოვბრუნდი უკან და, რავარც იქნა, დავამშვიდე სიძე-
პატარძალი, მაგნაირი მღვდლის არც ჯვარი მინდა და არც
ხატი, მე ვუთხარი.

– ასე იყო ნამდვილად?

– ნამდვილად? ჩემი ტყვილი გაგიგონიათ სადმე, ოთარ ბატონო?

– სტუმრები მყავსო, აბა? ვინ ყავდა ნეტავი?

– ვინცხა თავისნაირი შავები ეყოლებოდა, რა ვიცი.

– თქვენი ჩხუბი გაიგეს?

– არა მგონია. კუკურია დიდი თავმოყვარეა. რავა გაამხელდა. აქ რომ მოვიდა, ისიც მიკვირს.

– მოვიდა კი არა, თუ აპატიეთ, ზევით წავალო.

– კაი, კაცო. ერთს დოუბღვერ ხვალ და თვითონ გამეიქცევა საჩივრის დასახევად. არ ვიცი მაგნაირი კაცის ამბავი?

– ისე, შენც არა ხარ მართალი.

– მართალი ვარ-მეთქი, ვამბობ? რამდენჯერ დავიფიცე, გლახასთან არ მივიდე საქმეზე, მაგრამ არ გამომდის. ეს ცხოვრება, ეს უპატრონო, მაინც გაგისვრის ხელს. ველარ მოვითმინე. ნერვები არ მეყო. მიდი ახლა ამხელა მაყრიონთან და მოახსენე: პატივცემულმა კუკურიამ არ ინება თქვენი ჯვრისდაწერა-თქვა, რავარი სათქმელია.

– სწორი ხარ. ძნელია.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

– რომელმა ძმამ შეირთოვო, რა თქვი?

– უმცროსმა. კბილის ტექნიკუმი რომ დაამთავრა, ჯუმბერ ვაჩიბერიძესთან რომ მუშაობს. რძალი მაღლაკელი მარდალეიშვილის გოგოა, კაი ოჯახია, წესიერი. დედ-მამა მასწავლებლები ჰყოლია.

– თამადად ვინ გყავთ?

– გოგია თოდუა. კარპეს სიძე, პროფესორი რომაა. ქე მიყვება ჯერჯერობით გვარიანად. ახლა, ჩემი წამოსვლის მერე, თუ არ აურია.

– ბიჭო, შაქროია, შენი ძმის ქორიწლში არ უნდა ვყოფილიყავი მეე?

შაქროიამ თავი ჩაჰკიდა.

– პატარა ქორწილია, ბოვშვებს გეფიცები, ორმოცდაათ კაცამდე ზის. არავისთვის არ დაგვიძახნია. მარტო ახლო

მეზობლები და ნათესავებია. დიდი ქორწილის თავი არ გვქონდა.

– არც ღირს ახლა დიდი ქორწილი. ყველას მაინც ვერ დაპატიჟებ და ტყუილად ხალხს მოინდურებ.

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე. მამლებმა იყივლეს. ცოტა ხნის შემდეგ შაქრომ ყრუდ ამოილაპარაკა:

– რავა იქნება ახლა ჩემი საქმე. ამაღამვე ჩამსვამთ თუ დავბრუნდე ქორწილში და ხვალ მოვიდე?

ოთარი წამოდგა. ჯიბიდან გასაღების შეკვრა ამოიღო, გულმოდგინედ დაკეტა უჯრები, სეიფი, თმა გადაივარცხნა, საფეთქლებზე ჩამოშლილი ქოჩორი ქუდში შეიკეცა და ბრალდებულს მიუბრუნდა:

– წადი ახლა. ჯერ არ მივცემ მსვლელობას საქმეს და ხვალ კუკურიას მოუარე რამეფრად. ისე, თმა მეტი უნდა აგეპუტა, მეტის ღირსი ყოფილა.

შაქრომ ცხვირსახოცი ამოიღო, ხელისგულები გაიმშრალა და გამომძიებელს თვალებში შეხედა.

– ოთარ ბატონო, პატარა ხანს... რავა გკადრო მარა... ცალკე დავჯდებით... ორად ორი ჭიქა... თუ დამილოცავ დაქორწინებულებს... შენთვის მოვკვდები... ხომ იცი, შაქრო ვარ... მე... გიორგაძე.

– მადლობა ღმერთს, ახლა მაინც რომ მიხვდი, – გაუღიმა ოთარმა და სტუმარი წინ გაატარა.

გამომძიებელი და დამნაშავე კიბეზე მხიარული მასლაათით რომ ჩადიოდნენ, მილიციის მორიგემ გაოცებისაგან პირი დააღო. მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა და ღამის „რაპორტის“ გადაწერა განაგრძო. ეს მორიგე „რაპორტს“ ყოველთვის წინა ღამის მორიგისაგან იწერდა და ტექსტი დღესაც ასეთი, სტანდარტული გახლდათ: „ჩვენი მორიგეობის დროს რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია“.

ჯუმბერ ბრეგვაძის სიყმაწვილიდან

თემა, რომელსაც საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი ამუშავებდა, რომელიღაც დიდი თემის ნაწილი იყო და წლიდან წლამდე გარდამავალ თემად იწოდებოდა. წლის ბოლოს ისე ლამაზად ჩააწიკწიკებდნენ ხოლმე მეცნიერული კვლევის შედეგების ნახევრად ყალბ ოქმებს, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს ეგონებოდა, აბა, აქ კეთდება საქმე თუ სადმე კეთდებაო. სხვა მხრივ ინსტიტუტი სხვა კვლევით ინსტიტუტებს არაფრით ჩამორჩებოდა.

ყველა ვაკანტური და უვაკანტო თანამდებობა დაკავებული იყო. ინსტიტუტს ჰყავდა დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, ერმალო აბესაძე, ერთადერთი აკადემიკოსი გაიოზ ტერელაძე, რომელიც წელიწადში ცხრა თვე მაინც საზღვარგარეთის სხვადასხვა ლაბორატორიებში გახლდათ მივლინებული და მრავალრიცხოვანი ასპირანტები უიმედოდ ელოდებოდნენ. გარდა ამისა, ინსტიტუტს ჰყავდა ორი შტატგარეშე ლაბორანტი და რამდენიმე სტუდენტ-პრაქტიკანტი, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში დარჩენის სურვილს გულში ღრმად რომ იმარხავდნენ. აღარც კია საჭირო მკითხველს ვაუწყო, რომ, როგორც სხვა კვლევით ინსტიტუტებში, იქაც იყვნენ მოწოდებით მეცნიერნი და გარემოებათა გამო ნახევარ შტატს შეფარებული ოჯახის ქალები, იყვნენ ყალბი ენთუზიასტები და ნამდვილი ენთუზიასტები. როგორც ყველა ინსტიტუტში, აქაც სუფევდნენ აუტანლად ლამაზი ქალები, მოწყენილობისა და უსაქმობის გამო ნიადაგ შეყვარებული ლამაზი ქალები, სწორედ მათი ენერგიული მეცადინეობის შედეგი გახლდათ ის ამბავი, რომ ინსტიტუტს ჟამიდან ჟამად შესძრავდა ჭორი – მავანი და მავანი მეცნიერი თანამშრომელი ცოლ-შვილს ტოვებს და, ამურის ისრით დაკოდილი, ახალ ცხოვრებას იწ-

ყებსო, მეცნიერის ცოლ-შვილისთვის სავალალო ამ ჭორში ის გახლდათ, რომ იგი ზოგჯერ მართლდებოდა, დაბოლოს, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაში, ინსტიტუტშიც იყვნენ პატიოსანი მუშაკები და ი ნ ტ რ ი გ ა ნ ე ბ ი. ბოლო სიტყვას მე ხაზი გავუსვი სწორედ იმიტომ, რომ ამ ნოველის მთავარ პერსონაჟს ჯუმბერ ბრეგვაძეს დაუკავშირდა იგი, ხოლო სამართლიანად მიეწერა ეს ტიტული ადრე უწყინარ ჯუმბერს თუ უსამართლოდ, ამან ჩემი მკითხველი, თუ რა თქმა უნდა, მოთმინებამ არ უღალატა, სულ რაღაც თხუთმეტიოდე გვერდის წაკითხვის შემდეგ შეიტყობს.

ჯუმბერ ბრეგვაძე ფილოქსერ-მირმანოლოგიური პრობლემების კვლევის საცდელ-საექსპერიმენტო ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად მუშაობდა. უმაღლესი პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და ინსტიტუტში რომ გაანაწილეს, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ განაწილების ფურცელი ყველაფერს როდი ნიშნავდა. დირექტორმა, რომ იტყვიან, ქოში უკულმა ჰყარა, წაიღე და მიაფარე შუბლზე, ბიძიკო, ეს ქაღალდი შენს გამომნაწილებელს, სად მაქვს ადგილი მეო. თუ გინდა, ჩადექი რიგში, ჯერ, თუ რამე გამოჩნდა, ორი უშტატო მყავს, ისინი უნდა დავაკმაყოფილო და მესამე შენ იქნებიო. საერთოდ, გირჩევ, სხვაგან მოძებნო სამუშაო, პირველი ხარისხის დიპლომი აგიღია, ვინ დაგიკავებს სამსახურსო.

ოთხი თვის ამაო გარჯის შემდეგ ჯუმბერს მოეჩვენა, რომ მისთვის თავისუფალი ადგილი მთელ დუნიაზე არ მოიძებნებოდა და სასოწარკვეთამდე ცოტა აკლდა, კვლავ გამანაწილებელ კომისიას რომ მიაკითხა. კომისიის თავმჯდომარემ დიდხანს უსმინა, ეტყობოდა ჯუმბერ ბრეგვაძის მაგალითი ახალი როდი იყო. ტელეფონს დასწვდა, მოსულს აბესაძის ნომერი ჰკითხა და გულით ინატრა, დირექტორი ადგილზე არ აღმოჩენილიყო, მაგრამ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში პირველ ზარზევე დასწვდნენ ყურმილს.

– ბატონო ერმალო, კომისიიდან თოლორდავა გაწუხებთ,

წინ მიდევს თქვენი ხელმოწერილი ცნობა, ფილოქსერ-მირ-მანოლოგიურ ლაბორატორიაში უმცროსი ლაბორანტის შტა-ტის გამონთავისუფლების შესახებ. ივნისში გამოვგზავნეთ თქვენთან – განაწილების ფურცელს დახედა – ბრეგვაძე, კარგი ბიჭი. როგორ არა, მოსულა, მოსულა, და თქვენ გი-ბრძანებიათ, თავისუფალი ადგილი არ მაქვსო. როდის მი-იღეთ? არა, ბატონო ერმალო, თქვენი მოთხოვნა რვა აპრილ-საა ხელმოწერილი. ეგ, ეტყობა, ადრინდელია. ჩვენ რა ვქნათ, აბა? მომისმინეთ, ბატონო ერმალო. ასეც არ შეიძლება. ჩვენ თავზე არავის არ გახვევთ. რატომ კადრულობთ ასეთ სი-ტყვებს? დაამთავრა კაცმა ფრიადზე, მეტი რა ქნას? თქვენ, მის ადგილას, როგორ მოიქცეოდით? ორივე ქაღალდი ხელთა აქვს, ერთი სიტყვით, მოვა ახლავე თქვენთან. რაღაც უნდა გამოუძებნოთ. სახლი არავის არ ეწვის. კი... კი... გასაგებია. განაწილება განაწილებაა, ბატონო ერმალო!

ზუსტად ამ საუბრის შემდეგ ორ წელიწადს იმსახურა უშ-ტატოდ ინსტიტუტში ჯუმბერ ბრეგვაძემ. სრულად იწვნია ის უხერხულობანი, უშტატო მუშაკის ტკბილ-მწარე ცხოვრებას თან რომ ახლავს. ამ ხნის განმავლობაში ის ორი უშტატოც დააკმაყოფილეს და სხვა უშტატოებით შეავსეს (როგორც ჩანს, ინსტიტუტს ორი-სამი უშტატო თანამშრომელი ნიადაგ უნდა ჰყავდეს). გარდა ამისა, სამი ახალი თანამშრომელი დაე-მატა ინსტიტუტს (ორი ლამაზი ქალი და ერთი, ადრე სახლმ-მართველად ნამუშევარი, ომის ინვალიდი). ხმა გავრცელდა, ამ უკანასკნელებმა თავიანთი შტატი თან მოიტანესო, მაგრამ რანაირად მოიტანეს შტატი და საიდან მოაქვთ შტატები საერ-თოდ, დამერწმუნეთ, ეს ამბავი ჯუმბერმა დღესაც არ იცის.

ბოლოს მაინც გაჭრა პირველი ხარისხის დიპლომის კა-ვალერის კეთილსინდისიერმა სიჯიუტემ. როგორც იქნა, მიიღეს მოწყალება და დანიშნეს ჯუმბერი მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად.

ამ ორი წლის განმავლობაში ჯუმბერი მიხვდა, რომ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელობის უმ-

თავრესი საზრუნავი (სხვა, მცირე საზრუნავთა გვერდით) სამსახურში თანამშრომელთა დროული მოსვლა-წასვლა იყო. მიუხედავად სატაბელო სისტემისა და მეთვალყურე დისპეტ-ჩერთა გაძლიერებული სიფხიზლისა, სამსახურში დროულად (და საერთოდ) გამოცხადება, განსხვავებით ყველა სხვა საკვ-ლევ-სამეცნიერო ინსტიტუტისაგან, ამ ინსტინქტის აქილევ-სის ქუსლი გახლდათ. ამიტომაც აქ ყველაფერი სამსახურში მოსვლა-წასვლით იზომებოდა. კაცის ღირსებასაც ამ ნიშნით არკვევდნენ, დილით თუ დროულად ცხადდებოდი და ექვს საათზე გადიოდი ინსტიტუტის ალაყაფის კარიდან, ეს იმას ნიშნავდა, რომ შენ პატიოსანი მუშაკი და, ვინ იცის, კარგი მეცნიერიც კი ბრძანდებოდი. ტაბელისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ინსტიტუტის მესვეურნი „შრომის მაღალ დისციპლინას“ ეძახდნენ. და იყო გაუთავებელი ღონისძიე-ბანი გამცდენთა და გამსეირნებელთა მისამართით. დღე არ გავიდოდა, რომ საკანცელარიო დაფაზე რემინგტონზე დაბე-ჭდილი, მრგვალბეჭედდასმული ბრძანება არ გამოჩენილიყო. ბრძანება საყვედურს უცხადებდა „გაურკვეველი მიზეზით სამსახურის გამცდენს“ და განმეორების შემთხვევაში მოხ-სნით ემუქრებოდა. მაგრამ ამ ინსტიტუტში სამსახურში გამოუცხადებლობისათვის არავინ მოუხსნიათ (ან დაუქვეით-ებიათ) თანამდებობიდან. იმიტომ კი არა, რომ გაცდენის გამ-მეორებელი სანთლით საძებნი იყო, იმიტომ, რომ აცდენდა მხოლოდ ის, ვისაც პატრონი ჰყავდა. უპატრონოები კი (ჯუმ-ბერ ბრეგვაძეც მათ რიცხვში ერია), უმეტეს შემთხვევაში სა-მაგალითოდ მუშაობდნენ და თუ მაინც მოხდებოდა სასწაული და გააცდენდნენ, ისეთი გასამართლებელი საბუთი ჰქონდათ, რომ დირექტორები სიმწრისგან კბილებს აღრჭიალებდნენ, მაგრამ პოლიკლინიკა-საავადმყოფოების ეჭვმიუტანელ ბე-ჭედს ვერას უხერხებდნენ.

ლაბორატორიაში ჯუმბერიანად ხუთი კაცი მუშაობდა. „მუშაობდა“ ცოტა ხმამაღალ სიტყვად მეჩვენება ამ ლაბორა-ტორიის თანამშრომელთა მისამართით. ნუ გამიწყრებიან სხვა

ლაბორატორიების თანამშრომლები, სადაც შემოქმედებითი შრომა დუღს და გადმოდუღს. ლაბორატორიის გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი. ბონდო კაკალაშვილი დილის საათებში მუდამ ადგილზე იყო... მოსვლიდან, საშუალოდ, ათ-თხუთმეტ ადგილას დარეკავდა, დაახლოებით თერთმეტ საათზე ლაბორანტს დაუბარებდა, თათბირზე მივდივარო და მიდიოდა თავისი რთული საქმეების მოსაგვარებლად. საქმეები კი მართლაც რომ რთული ჰქონდა, ამ ოთხიოდე წლის წინათ ლოს-ანჟელესში მცხოვრებ მის უშვილო ბიძას ბონდოსთვის მემკვიდრეობად დიდძალი ქონება დაეტოვებინა, და ახლა ამ ქონების დასამტკიცებლად დარბოდა იურიდიულ კონსულტაციებში. უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები იოსებ ტაბუციძე და ბადრი მაჩიტიძე „შრომის დისციპლინის“ საუკეთესო დამცველებად ითვლებოდნენ მთელს ინსტიტუტში. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ კი რჩებოდნენ სამსახურში, რადგანაც ხშირად საქმე მოითხოვდა. რა იყო ეს საქმე? იოსები და ბადრი მთელს ქალაქში განთქმულნი იყვნენ როგორც მსუბუქი ავტომანქანების კუსტარული სიგნალიზაციის ოსტატები. დაქირავებული ჰქონდათ ინსტიტუტის გარაჟის განაპირა ბოქსი და მუშტარიც ბუზივით ეხვიათ. რაკი უშუალო მეცნიერული მუშაობის ნაცვლად მეგობრები ხელოსნობას ეწეოდნენ, ისინი ყველაზე ტკბილი და ზრდილობიანი, უწყინარი ახალგაზრდები იყვნენ მთელს ინსტიტუტში. ასე გასინჯეთ, ხელფასის უწყისსაც კი თვეში ორჯერ მორცხვად აწერდნენ ხელს და ყურებგაწითლებულნი შორდებოდნენ სალაროს.

ლაბორატორიის მეხუთე თანამშრომელი, უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბარბალე გელოვანი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა. ამ ორი წლის განმავლობაში ჯუმბერმა იგი ორჯერ ნახა. ერთხელ საახალწლო საღამოზე და მეორეჯერ იოსებ ტაბუცაძის ქორწილში. მომხიბვლელ ბარბალეს ორივეჯერ ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი, ღაბაბიანი, მელოტი კაცი ახლდა. ზოგი ამბობდა, ქმარიაო, ზოგი ღაბაბიანს საყვარლობას აბრალებდა. ჯუმბერმა

პირველი უფრო დაიჯერა, რადგანაც ბარბალეს კავალერი საყვარლის იერით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა.

როგორც ხედავთ, ლაბორატორიაში ყველაზე პატარა კაცი ჯუმბერ ბრეგვაძე გახლდათ. ეს მშვენივრად იცოდა მან და ისიც უწყოდა, რომ შემოწმებისას ჯოხი უსათუოდ ლაბორანტის თავზე გადატყდებოდა, ამიტომაც გარდა სამსახურში წესიერად გამოცხადებისა, იგი კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა; ან გაუთავებელ ექსპერიმენტს იმეორებდა, ან მის სპეციალობასთან ნაწილობრივად დაკავშირებული რომელიმე გერმანული სტატიის თარგმნით იმტვრევდა თავს, ანდა, ეს იშვიათად ხდებოდა, სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანს კითხულობდა.

იმ დილით ლაბორატორიაში ჩვეულებრივ ორნი ისხდნენ – ლაბორანტი და გამგე. ბონდომ დარეკვები მოათავა, რომელიღაც იურისკონსულტს ტელეფონით შეუთანხმდა, ერთ საათში მანდ ვიქნებიო, მელნისფერი ხალათი გაიხადა, მენზურის თავზე დამაგრებულ სარკის ნატეხში ჩაიხედა, კისერ-ყურიდან თმა ამოივარცხნა (მელოტი თავის დაფარვის ამ საეჭვო გზას, რატომღაც, ბევრნი მიმართავენ), მერე წიგნებს ჩაჭიჭინებულ ჯუმბერს გამოხედა, ხალათი ისევ ჩაიცვა, თავის მაგიდასთან დაჯდა და ლაბორანტს უხმო.

– სამაღარიჩოდ გაქვს საქმე. როგორც იქნა, გამოვღლიტე აბესაძეს გუშინ შენი დანიშვნის ბრძანება.

ჯუმბერმა უკვე იცოდა, რომ გუშინ ოთხ საათსა და თორმეტ წუთზე საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის კანონიერი თანამშრომელი გახდა, ბრძანების ასლიც ჯიბეში ედო, მაგრამ „გამოვღლიტეზე“ შეატყო კაკალაშვილს, რომ სურდა დირექტორის მიერ სულგრძელად გაღებული მოწყალება თავის დამსახურებად ჩაეთვალა და ლაბორანტმა გამგის სურვილს ხელი არ შეუშალა.

– მადლობელი ვარ. კიდევ უარზე იყო?

– უარზე იყოვო? – ხმას მოუმატა ბონდომ და ბრეგვაძის მოჩვენებითი მიამიტობით ფრიად გაიხარა. – შენ არ იცნობ

ერმალოს. ეგ კაცი კი არა, მელაა. ცირკიდან გაქცეული მელა. ყველანაირი სიგლახე რომ აქვს ნასწავლი. ერთ ნაბიჯზე არ ინდობა. ვიღაცის ვიღაცას აფორმებდა შენს ადგილზე. მაგრამ შევუნთე ცეცხლი.

ჯუმბერი მეექვსე კლასში იყო, როცა მისმა რეაბილიტირებულმა ბაბუაძმამ – ხუტუნიამ დამოძღვრა: კაცს კაცის გინებაში უსაბუთოდ არ აჰყვე, ბიძია, რას გაუგებ, ვის რა უდევს გულშიო. არ ახსოვდა ჯუმბერს, რას მოაყოლა ეს ზნეობრივი ფორმულა მრავალნატანჯმა, უეჭველ სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა ხუტუნიამ, ღმერთო შეგცოდე და, თვით ხუტუნიაც ბუნდოვნად ახსოვდა, მაგრამ მისი ერთადერთი დარიგება არასოდეს ამოსულა ახალგაზრდა ქიმიკოსის გონებიდან.

ახლაც ხუტუნია გაახსენდა, მერცხლის კუდივით შუაზე გაყოფილი წარბები მოიქექა და ბონდოს კალმახის ტანივით დაწინწკლული, თაფლისფერი თვალები შეანათა.

– ორ წელიწადს უხელფასოდ მუშაობა არ ვაკმაროთო? ხომ არ დასცდენია, რამდენი ჰქონდა ბაბუაჩემს ამ ინსტიტუტის ვალი?

– შენ იხუმრე და, – ბონდომ ხელები ხელებში ჩაიხვია და ჭერს ახედა, – ბეწვზე ეკიდა გუშინ შენი საქმე. კი მაგრამ, სინდისიც კარგი საქონელია, რა პირით შევხედო იმკაცსმეთქი. მოიცადოს ცოტაცო, რაკი ამდენი იცადაო, ერმალომ.

– მაინც?

– ეს „ცოტაც“ რას ნიშნავდა, იცი? ერთი ამდენი კიდევ მოგიწევდა ლოდინი. მე ასეთი უნაპირო და უნამუსო, აბესაძე რომაა, წიგნშიც კი არ წამიკითხავს, – ბონდომ ხმას დაუწია: – ახლა შენ უკვე ჩვენი კაცი ხარ და ყველაფერი უნდა იცოდე. არ არსებობს სიგლახე ქვეყანაზე, ერმალო აბესაძე რომ არ სჩადიოდეს. ა, – უჯრა გამოსწია და ქაღალდების შეკვრა დააძრო, – წაიკითხე, რა წერია ამ ქაღალდზე, ჩვენ ამ კვარტალში თორმეტი ლიტრი ჭლურტი, რვა ჭიქა კმონიუმმჟავა და თერთმეტი ყუთი წარბიდი გვაწერია, თვალით გინახავს

რამე? სად წავიდა თუ იცი? უნდა იცოდე, ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა, სინამდვილეში ჩვენი ინსტიტუტის საწყობიდან მარცხნივ გაიყიდა და ფული ერმალომ ჩაიჯიბა. ეს ერთი უმნიშვნელო დეტალია აბესაძის მავნებლობების. დოქტორი რომ გახდა, მე მგონი, თვითონაც უკვირს. თუ აწერია დამოუკიდებლად მისი გვარი თუნდაც ერთ სტატიას? სანთლით რომ ეძებო, ვერ აღმოაჩენ. რაც არ არის, რას იპოვი. გაიოზ ტერელაძის გვარსაა ამოფარებული. ისიც, სამადლოდ, თანაავტორად იხსენიებს. მაგრამ ამ ბოლო დროს, მე მგონი, ტერელაძეც ხვდება, ვისთანაც აქვს საქმე. ერთი დღე იქნება, ანასინს ეტყვის აბესაძის თანაავტორობას აკადემიკოსი. შენ მინდა, იცოდე ეს ყველაფერი. აქამდე არ გეუბნებოდი იმიტომ, რომ მაინც შუა გზაზე იყავი. ახლა აქეთ, გამოღმა ხარ. უნდა ერკვეოდე, ვინ ვინ არის.

ეს თქვა თუ არა, ბონდო კაკალაშვილი წამოდგა, ხალათი ლურსმანზე დაჰკიდა, სარკის ნატეხში ერთხელ კიდევ ჩაიხედა, თათბირზე მივდივარო, ლაბორანტს დაუბარა და კარი გაიკეტა.

მართალია, ჯუმბერს აბესაძის პიროვნებისადმი თავისი დამოკიდებულება ამ საუბარში არ გაუმჟღავნებია, და, კაცმა რომ თქვას, არც ლაბორატორიის გამგეს მოუთხოვია მისგან თანაგრძნობა, მაგრამ ამდილანდელმა საუბარმა უმცროსი ლაბორანტი ღრმად ჩააფიქრა. დიდხანს ეჭირა ერთი საუწყებო გაზეთი ხელში, მაგრამ იქ დაბეჭდილ მარტივ კორესპონდენციებს ვერაფერი გაუგო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ ასოებს აყოლებდა თვალს, ფიქრით ეს კვლავ ერმალო აბესაძეს დასტრიალებდა.

რატომ გაუცხადა ასე დაუფარავად ინსტიტუტის საიდუმლო დღეს ბონდო კაკალაშვილმა? ხომ არ ცდიდა? ხომ არ აინტერესებდა ლაბორატორიის გამგეს, იყო თუ არა ჭორიკანა მისი ახალი თანამშრომელი? ჭლურტ-კმონიუმმჟავა-წარბიდის ფაქტიც მართალს ჰგავდა და არც ის იყო ჭაშმარიტებას მოკლებული, რომ აბესაძის სამეცნიერო სახელი ძირითა-

დად ავტორთა ჯგუფის სტატიებით გახლდათ ნასაზრდოები, მაგრამ რა ხელს აძლევდა ბონდო კაკალაშვილს, რომ უმცროს ლაბორანტს სცოდნოდა ყოველივე ეს და ისიც ახლა, როცა ორი წლის თავზე ძლივძლივობით თავის ტიტულს გულის გამაწვრილებელი „უშტატო“ ჩამოაცილა? „არა, ჯუმბერ, ადამიანის ბუნების უცნაურობას საზღვარი არა აქვს, ვინ იცის, ვის რა უძევს გულში. შენ შენს საქმეს მიხედე, შენს წისქვილს უდარაჯე, იოლად ნურვის განიკითხავ, რათა უნებლიე ცოდვაში არ ჩადგა ფეხი“, – ხმამაღალი ფიქრით ურჩია თავის თავს ბრეგვაძემ და წყლის გამოსახდელი აპარატი ჩართო, რათა მისი ღუღუნისთვის გული გადაეყოლებინა და უსიამოვნო ფიქრებისგან განთავისუფლებულიყო.

ნასადილევს ლაბორატორიის კარზე ქაღალდი გააკრა – ახლავე მოვალო და დერეფნის ბოლოს, აკადემიკოს გაიოზ ტერელაძის ასპირანტებს შორის ბოლო კაცი მოძებნა, რიგი დაიკავა. რა უნდოდა ლაბორანტს აკადემიკოსთან? ჩემდა იღბლად, ქალაქშია, ვინ იცის, მერე როდის ვნახავ. ჩემს მეცნიერულ ინტერესებზე ორიოდე სიტყვას ვეტყვი და იქნებ მომავალი დისერტაციის სათაურიც გამოვტყუოო.

სამი საათის შემდეგ იგი მსოფლიოში განთქმული სწავლულის პირისპირ იჯდა. „რა უბრალოა“, გაიფიქრა ჯუმბერმა, როცა ტერელაძის ყურ-კისერში ჩაჩურთულ, თეთრ თმას და მეცხრამეტე საუკუნის უცნობი მხატვრის მიერ დახატული „იამშჩიკის“ მსგავს სახეს ჰკიდა თვალი.

აკადემიკოსი ორიოდე დღის დაბრუნებული იყო რომელიღაც ნეიტრალური სახელმწიფოს დედაქალაქიდან, სადაც უფასო მკურნალობის საავადმყოფოში თვე-ნახევარი გაეტარებინა. რას აღარ ჰყვებოდნენ გაიოზ ტერელაძის ავადმყოფობის მიზეზებზე: ზოგი ამბობდა, ბანანის კანზე ფეხი დაუცდა და ტროტუარს თავი ჩამოჰკრაო. ზოგი უფრო ჰეროიკულ ამბავს ჰყვებოდა: უმწეო ქალ-ჩვილთ გამოესარჩლა და ხულიგნების ბრბომ სცემაო. ღმერთო შეგცოდე, თავად აკადემიკოსსაც (გასაგები მიზეზის გამო) ბუნდოვნად ახსოვდა

თავისივე ავადმყოფობის მიზეზი და აბა, უმცროსი ლაბორანტი ჯუმბერ ბრეგვაძე საიდან შეიტყობდა?

არც ამბავი, არც ხაბარი, აკადემიკოსს დაღლილი სახე ჰქონდა და ჯუმბერიც შეწუხდა, სად სცალია ამხელა პიროვნებას ჩემთან სასაუბროდ, ალბათ კაცობრიობის ხნის მეცნიერულ ალმოჩენას მოვაცდინეო.

– რაზე მუშაობთ? – პირდაპირ საქმეზე გადავიდა გაიოზ ტერელაძე.

– თუთის ფოთლის ანემიის შპრიცით მკურნალობის საშუალებებზე, – სხაპასხუპით მიაყარა ჯუმბერმა.

– ჩემი შრომები წაკითხული გაქვთ?

– რამდენადაც ვიცი, თქვენ ამ პრობლემაზე არ გიმუშავნიათ, – პასუხი მზად ჰქონდა უმცროს ლაბორანტს.

– საერთოდ გეკითხები, – არ დაიბნა აკადემიკოსი.

– საერთოდ, რა თქმა უნდა.

– რა უცხო ენა იცით?

– ფრანგული. ვკითხულობ და ვთარგმნი ლექსიკონის დახმარებით.

აკადემიკოსმა დაამთქნარა და ცხვირზე ხელი ჩამოისვა.

– ფრანგული არ გეყოფათ.

– ?

– ფრანგული არ გეყოფათ-მეთქი. თუთის ფოთლის ანემიაზე ფრანგები ნაკლებად მუშაობენ. ინგლისური უნდა ისწავლოთ.

– საერთოდ, რა ლოკალური მიმართულებით მირჩევდით მუშაობის წარმართვას? – ოქრო პაუზით ისარგებლა ბრეგვაძემ.

– ინგლისური კარგად შეისწავლე და მერე ვილაპარაკოთ, – აკადემიკოსმა ფანჯარაში გაიხედა, რაც მიმხვედრიანი მოსაუბრისთვის აუდიენციის დამთავრების ნიშანი იყო.

– შტატში ხართ? – კართან მისულ უმცროს ლაბორანტს დაადევნა ტერელაძემ.

– დიახ, – ჯუმბერი შედგა და მოიხედა.

– ვისი რეკომენდაციით მიგიღეს?

– განაწილებით. პირველი ხარისხის დიპლომი მქონდა.

– და ეს საკმარისი აღმოჩნდა აბესაძისთვის? რად მატყუებთ, ახალგაზრდავ. თქვენ, ჩვეულებრივ ადამიანებს, რატომ გეჩვენებათ სწავლულები მიამიტ და გულუბრყვილო ხალხად? შენ გგონია, მაგდენს ვერ ვხვდებით ჩვენ?

– რა მოგახსენოთ, – ბრეგვაძეს სიმწრის ოფლმა დაასხა. – ნამდვილად ასე იყო.

– მე ვიცი, როგორც იქნებოდა. სამი ვარიანტიდან ერთ-ერთია: პირველი – დიდმა კაცმა დაურეკა, მეორე – კორუპციამ თავისი გაიტანა და მესამე, ილაჯი გაუწყდა, თავი მოაბეზრეთ. მე კარგად ვიცი, რა ჟულიკიცაა ეგ თქვენი აბესაძე.

– მე... ახალი კაცი ვარ... ისე კარგად არ ვიცნობ, – სიტყვებს ყლაპავდა უმცროსი ლაბორანტი.

– ყური დამიგდეთ. თქვენი გვარი?

– ბრეგვაძე.

– ყური დამიგდეთ, ბრეგვაძე. იცით რას სჩადის აბესაძე? საწყალ სწავლულებს მივლინებებზე უარს ეუბნება, ყალბ საბუთებს ადგენს და მივლინების თანხას თვითონ იჯიბავს. ფაქტი გნებავთ? ამ ერთი თვის წინ ჩემს ასისტენტს, მიროტაძეს მივლინების ფიქტიური საბუთი მისცა. ვერ გაგინაღდებთ, საშუალება არა გვაქვსო. მივლინების თანხა კი გაცემულია და უწყისზე ყალბი ხელმოწერაც არის, ახლახან შევიტყვე ეს ამბავი. გარდა ამისა, ხეპრე, უხეში, გაუთლელი კაცია. მე გამოვიგონე, მე ვაქციე კაცად და თავს მჭრის. რვა წელია დირექტორია და რუსული ხეირიანად ვერ ისწავლა.

– ნუთუ მართლა? – გაიოცა ბრეგვაძემ.

– როდის იყო მე ტყუილს ვამბობდი, ჩივაძე, – პათეტიკური სახე მიიღო აკადემიკოსმა.

– ბრეგვაძე, ბატონო, – შეაშველა უმცროსმა ლაბორანტმა.

– როდის იყო მე ტყუილს ვამბობდი, ბრეგვაძე – გაიმეორა ტერელაძემ და ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი გაეხადა, სათვალე გაიკეთა.

თავისი ლაბორატორიისკენ რომ მიაბიჯებდა, ჯუმბერს უსიამოვნოდ აჟრჟოლებდა, გაიოზ ტერელაძესთან ახლოს მისვლით მის არსებაში ერთბაშად დაიმსხვრა დიდი მეცნიერის ხატი, ბავშვობიდანვე რომ ოცნებით აგვირისტებდა. „მე მეგონა, ცაში დაფრინავდა, მე მეგონა, ისე რთული იქნებოდა აკადემიკოსთან ლაპარაკი, რომ ჩემი ჩანასახოვანი ცოდნის პატრონი სირცხვილით დავიწვებოდი, ტერმინებისა და ჰიპოთეზების ტევრში გზას ვერ გავიკვლევდი. მეცნიერებაზე სიტყვაც არ ჩამოუგდია, რა ჩემი საქმე იყო, ასისტენტ მიროტაძეს მივლინება გაუნაღდეს თუ არა, იქნებ მე შევცდი, თავი კარგად ვერ ვაჩვენე და ამიტომაც დაეშვა მაღალი მეცნიერული მატერიებიდან აბესაძის წუმპემდე“.

ამ შეხვედრიდან ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, რომ უმცროს ლაბორანტს აკადემიკოსთან საუბარი თითქმის დაევიწყებინა და სხვა, უფრო ნაღდ, საზრუნავს შესდგომოდა. ფანჯარას გადაყუდებული თავზე თმის ძირების გასამაგრებელ წამალს ისხამდა. წამალთან მიმართებაში იქნებ „ისვამდა“ უფრო სწორი იყოს, მაგრამ ჯუმბერი დიახაც რომ თავს იბანდა წამლით, რომელსაც იგი იქვე, ლაბორატორიაში ძირხვენისა და დაფნის ნახარშისგან ამზადებდა. ბრეგვაძეს, ამ ბოლო დროს, თმა დიდის აღმავლობით სცვიოდა და გულით სურდა, როგორმე ცოლის შერთვამდე მაინც შეენარჩუნებინა, ხოლო ცოლის შერთვას ახალგაზრდა სპეციალისტს თუ რაიმე დააჩქარებინებდა, ისევ და ისევ თავისი, გაქცევის გზაზე დამდგარი ქოჩორი.

კალისტა ტოროშელიძე შემოფრიალდა და, კაცმა რომ თქვას, რა ისეთ საძრახის საქმეში შემოუსწრო ჯუმბერს, მაგრამ ეს უკანასკნელი დამნაშავესავით კედელს მიაწყდა, წამლით სავსე ფიალა ონკანს შეუშვირა და პირსახოცს დასწვდა.

გვინ იყო.

– შველის?

– რას? – ჯუმბერმა თმა გაიმშრალა და სარკის ნატეხს დაუპირისპირდა.

– რას და წელის ტკივილს, რა გჭირთ ამ კაცებს, სადაც კი შევედი დღეს, ყელა თმის წამალს ისვამს.

– რა ვიცი, ჯერ ვერაფერს ვატყობ, – მორცხვად გაიღიმა ბრეგვაძემ.

კალისტა კანცელარიაში მუშაობდა. მთლად კურიერი არ იყო, მაგრამ მდივან-მემანქანესა და შიკრიკს შორის, რაღაც საშუალო თანამდებობა ეჭირა. გაიძახოდა, სტაჟის გულისთვის ვმუშაობო, მაგრამ რა სტაჟი სჭირდებოდა ისეთი, ამ ხუთ წელიწადში რომ ვერ დააგროვა? მოკლედ შეკრეჭილი, ფერფლისფერი თმა და აპრეხილი, თხელი ცხვირი ჰქონდა. ბარძაყებზე უმჭიდროვესად შემოჭერილი ჯინსი, აწუხებდა თუ არა, ვერ გეტყვით, მგრამ მოხდენით ნამდვილად უხდებოდა.

ჯუმბერს არ ახსოვს, რომ ტოროშელიძის ლამაზი გოგო მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში შემოსულიყო, ამიტომაც უფრო აღიზიანებდა კანცელარიის მოხელის უბოდიშო თავისუფლება. კალისტამ ოთახი ღიღინით შემოირბინა, ყველაფერს ჩახედა, ყველგან ჩაჰყო ცხვირი. ეს რა არისო, მინის ქილაზე იკითხავდა. ბრეგვაძე სანამ აუხსნიდა, გოგონა საცობს მოხსნიდა, დაყნოსავდა „ფუჰო“, იტყოდა და სხვა სინჯარა-მენზურისკენ გარბოდა.

– შენა, – კალისტა ოთახის შუაგულში გაჩერდა, მარჯვენა ფეხი წინ წამოსწია, მერე მანეკენივით ფეხები ერთმანეთს შეაწება და დაბნეულ ლაბორანტს ტანის რხევით, გვერდულად გამოხედა – უმცროსი პრეპარატორობა პროფილში გადის?

– რა ვიცი, – მანეკენის ლამაზ ფეხებს თვალი მოარიდა ჯუმბერმა, – ჩემს დროს ითვლებოდა, რას გაუგებ, ყოველ წელიწადს ცვლიან წესებს.

– იცი რატომ გკითხე? აბესაძეს უმცროს პრეპარატორად გადავყავარ.

– როდის?

– როგორც კი ადგილი გამოჩნდებაო, თუ არ მატყუებს, ასე მითხრა. ისე, ძალიან სკოლზკი კაცია. მატყუარებს ვერ

ვიტან. ჩემთან ცუდად არ არის, მაგრამ გაიძვერაა, იცი რამ-დენი მკვდარი სული ჰყავს გაფორმებული?

– რამდენი? – უგულოდ ჰკითხა ბრეგვაძემ.

– ერთი ხომ თქვენთანაა – ბარბალე გელოვანი. მეორე ვილაც კოტე კრიჭინაშვილი, მოიცა კიდევ, ჰო... გრიგოლ ჯაბუა, ოთხი თვის წინ გააფორმა, ესენი მე რომ ვიცი და მე რომ არ ვიცი, ისეთი რამდენია. ამათ ხელფასს თვითონ იჯიბავსო. ამბობენ.

– ვინ ამბობს?

– ყველანი, მთელი ინსტიტუტი ამას ლაპარაკობს, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავს. მე რაში მაინტერესებს, მე სტაჟის გულისთვის ვმუშაობ. მაგრამ ვერ ვიტან ასეთებს, იცი, გარდა ამისა, მე მგონი, გოგოებიც უყვარს. ხანდახან ისე გამიშტერებს თვალს ეს ამ ხნის კაცი, რომ სიცილისგან ხუთვა მეწყება.

– აბა გადასულხარ უმცროს პრეპარატორად.

– კარგი რა, არ გრცხვენია? საით უკაკუნებ. ერთი ხელი გაატოკოს, იქნებ გოგირდმჟავა შევასხა თვალებში.

– სად იშოვი გოგირდმჟავას?

– მაგის სამყოფს ვიშოვი. პაკა!

ხელი გაუსვა ჰაერს კალისტამ, რომელიღაც რუმინული სუნამოს სურნელი დატოვა და კატასავით უხმოდ გაძვრა კარში.

ჯუმბერმა კარი ჩაკეტა, ძირხვენისა და დაფნის ნახარშს დასწვდა, კისერში პირსახოცი ჩაიფინა, ფანჯარას გადაეყუდა და თმის ძირების გამაგრების საეჭვო გზას დაადგა.

საქმეს რომ მორჩა, თავი შეიმშრალა, მაგიდაზე დახვავე-ბულ ქაღალდებს შორის „ახლავე მოვალ“ მოძებნა, კარზე გააკრა, კიბეს ჩაუყვა და ეზოში გავიდა

გარეთ ცხელოდა.

ატმის ნერგებზე უხვად მიშვებული წყალი ქვევით, ქუჩაში იშლებოდა და მანქანებს ადევნებული წყლის მარაო ზემოდან სასიამოვნო სანახავი იყო.

სახლების თავზე რუხ-ყვითლად ათიმთიმებული ხვატი იწვა. მამადავითსა და შავნაბადას ამოეყოთ თავები მანქანა-ქარხანათა შხამიანი თავისაბურიდან და ქალაქს მაღლა, ცისკენ ეწეოდნენ.

ქალაქი კი, თითქოს ვერ ამჩნევდა მის თავზე გაწოლილ ჯანღს, მაღალ ძაბვაზე იყო ჩართული, ადამიანები გაფაციცებული სახეებით მიმორბოდნენ და მაღლა ასახედად არ ეცალათ.

გვერდით ერმალო აბესაძემ ჩაუარა, ჩინურ ვაზისკენ გადაიხარა, წყალი მოსვა, ხელისგულები დაისველა, შუბლზე მოისვა, ცხვირსახოცი დაიქნია, ხელები შეიმშრალა და „გაზ-24“-თან დახრილი სიგნალიზაციის ოსტატებისკენ გაემართა.

ჯუმბერ ბრეგვაძეს მოეჩვენა, რომ დირექტორმა დაინახა, მაგრამ არ მიესალმა.

„რას მამადლის, ეს ინსტიტუტი მამამისის მემკვიდრეობად ხომ არ მიაჩნია, დამნიშნა უმცროს ლაბორანტად, დიდი ამბავი, მადლობა მოვახსენე, მეტი რა მექნა. თავისი დირექტორობა არ უკვირს და ჩემი ლაბორანტობა უკვირს?“ – გაიფიქრა და თითქოს თავისივე ფიქრისა შეეშინდაო, ისევ ქალაქის თავზე ჩამომხობილ კორიანტელს მიაჩერდა.

– ნამდვილი ყოფილა, კი, არაფრის არ რცხვენია მაგნებს. უგონებდნენ მეგონა. ჭორი იქნება-მეთქი. ა, შეხედე, ნამდვილი ყოფილა.

არც გაუგია, როდის ამოუდგა გვერდით მეტაბელე ზაზა წიფურია.

– რაზე ამბობ?

ზაზა სიგნალიზაციის ჯიხურისკენ მიმავალ ერმალოს თვალს არ აცილებდა.

– ახლა უყურე. ა, ჩვენ თვალწინ მოხდება ყველაფერი, დირექტორი წილშიაო, ტყვილი მეგონა. როგორ იკადრებს ამხელა კაცი სოსო ტაბუცაძეს და ბადრი მაჩიტაძეს ფული გამოართვას-მეთქი, კინაღამ ვეჩხუბე ერთ კაცს, დამენიძლავეო და, კიდევ კარგი, არ დავენიძლავე, ხომ წავაგებდი ნიძლავს, ა, უყურე მაგნებს.

თითქოსდა ზაზას ნათქვამის დასადასტურებლად მოქმედებენო, დირექტორმა ბადრი მაჩიტიძეს მხარზე ხელი მოუთათუნა, ბადრი წელში გაიმართა, მანქანის ქვეშ პირაღმა გაწოლილ ტაბუცაძეს რაღაც გადაულაპარაკა, მერე დირექტორი და მაჩიტიძე ბოქსში შევიდნენ, ათიოდე წუთში გამოტრიალდნენ, ერმალო გამოუმშვიდობებლად წამოვიდა, ბადრი კი ისევ მანქანას დაუბრუნდა.

– ხომ ყოფილა ის კაცი მართალი, წილში რომაა, ამას უნდა ახლა ბევრი ლაპარაკი? ეს რა ვნახე, დედაია, მთლად წასულა ხელიდან, კი...

თავისი „აღმოჩენით“ გახარებულ წიფურიას სიტყვა პირში შეატოვა და სახანძრო სტენდის გვერდით, კიბის ქვეშ მოთავსებულ ბუფეტში შევიდა. ქერათმიანი, ფუნთულამკლავება მებუფეტე ქალი დახლს გადმოყრდნობოდა და ვიღაცას გაცხარებით უმტკიცებდა: „თუ ასე გაგრძელდა, არა, გენაცვალე, მე აქ გამჩერებელი არა ვარ. დროებით, დროებითო, აღარ გათავდა ეს დროებით? შევედი იმ დღეს; შალვოვიჩ, სანამ ვიყო კიბის ქვეშ, კაციშვილი აღარ შემოდის, ჩაი რომ დალიოს ადამიანმა, იმის ადგილიც არა გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ხალხის მრცხვენია-მეთქი: რა ვქნა მეო, როგორ თუ რა ჰქნა, დირექტორი შენ ხარ, თუ არ გჭირდებათ ეს ბუფეტი, დახურეთ საერთოდ, თუ არა და, მუშაობის ნორმალური პირობები შემიქმენით-მეთქი. შეაყარე კედელს ცერცვი. არა, გენაცვალე, მე აქ გამჩერებელი არა ვარ. იმ თვის გეგმა ნახევარიც არ შემიტანია. არც შემოდის არავინ, ვინ შემოვა ამ სათაგურში“.

უმცროსმა ლაბორანტმა ჩაის დალევა გადაიფიქრა და თავის სამუშაო კაბინეტს დაუბრუნდა. ასე არასოდეს ნდომებია მარტო დარჩენა. საღამომდე იმდენი წყალი გამოხადა, რომ ლაბორატორიის ჯამ-ჭურჭელი პირწმინდად დაავსო და სანამ კარში ლოთი დამლაგებელი ქალი არ გამოჩნდა, არ გაუგია, რომ სამუშაო საათები კარგა ხნის დამთავრებული იყო.

გამოსვლისას თმის წამლით სავსე ქილას შეხედა, საექიმბაშო განრიგით წამლის მორიგი გადასხმა სწორედ ახლა უწევდა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და გავიდა.

მერე ვერაფრით ვეღარ გაიხსენა, როგორ მივიდა შინ და ივახშმა თუ არა საერთოდ. რომ გამოერკვა, წერა უკვე დამთავრებული ჰქონდა. ერმალო აბესაძის დანაშაულობათა ნუსხა ოთხ ფურცელს მოიცავდა. გადაიკითხა, კალამი დადო და კედელზე სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის სერგეი ლაზოს სურათს გამომშრალი თვალებით მიაჩერდა. „რა ჩაიდინა? ხომ აშკარა იყო, რომ ბაბუძმა ხუტუნია ამ საქციელს არ მოუწონებდა. ბოლოს და ბოლოს, აბესაძისგან აშკარად გამწარებულები ჯიუტად დუმდნენ და ჯუმბერი რა წითელი კოჭი იყო სხვის მაგივრადაც ებზრიალა? იმ კაცს მისთვის ხომ არაფერი დაუშავებია, რატომ უნდა აღმართოს ხელი და ისიც მან, ახალგამომცხვარმა უმცროსმა ლაბორანტმა?“

ბოლოს, შიშსა და მორიდებას ჯუმბერის არსებაში სხვა გრძნობამ სძლია: „კი ბატონო, დავხევ ამ ოთხ ფურცელს და ცეცხლს შევუკეთებ, ამაზე ადვილი რა არის, მაგრამ ეშველება ამით საქმეს? მთელი ინსტიტუტი შეუჭამია კაცს და პასუხს არავინ თხოვს, სამართალია? ყველამ რომ პირში წყალი დავიგუბოთ, უარესს არ იზამს აბესაძე? გარდა საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვისა, ხომ არსებობს ქვეყნად ვაჟკაცობა და თავგანწირვა, ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, რა თავგანწირვაა, კაცმა რომ თქვას, მივიტან ამ ქაღალდს, სადაც საჭიროა, შეამოწმებენ სიმართლეს და კუდით ქვას ასროლინებენ შენს ერმალოს“.

ასე ფიქრობდა ჩვენი ნოველის გმირი იმ საღამოს. თხზულება-საჩივარი გულმოდგინედ გადაწერა, ხელმოუწერლად ჩადო კონვერტში და ენით დააწებპა, მაგრამ ანონიმური ავტორობა შეურაცხოფად მიიჩნია, კონვერტი გახსნა, თავისი სახელი და გვარი გარკვევით მოაწერა და ღრმად ამოისუნთქა.

ვერ გეტყვით, რომ იმ ღამეს მშვიდად ეძინა. დილით გზად სამმართველოში შეირბინა „საჩივრისა და წინადადებების“ ყუთს მიადგა და კონვერტი რომ ჩაუშვა, ირგვლივ ისე ამაყად მიმოიხედა, თითქოს, ეს-ესაა საშვილიშვილო საქმე განასრულა და ქვეყანას ჭირი მოაშორაო.

სამი დღის შემდეგ ადგილკომში უხმეს. ადგილკომის თავმჯდომარე ულვაშრქება, ელამი, ახმახი ბიქტორ ტაფაძე ღვიძლი შვილივით შეხვდა; გაბედულება მოუწონა, თქვენ თუ არ იბრძოლეთ სიმართლისთვის, ახალგაზრდებმა, ხომ ხედავ, რა ხდებაო. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ერმალო აბესაძე ამის ჩამდენი იყოო. შენ, ალბათ, საბუთებიც გაქვს მოგროვილი, თორემ ისე ხომ არ დაწერდი ამასო, – საკანცელარიო სამაგრებით შეკრული ოთხი ფურცელი აუფრიალა ცხვირწინ და დიდად გაიოცა, როდესაც უმცროსმა ლაბორანტმა აუწყა, არავითარი დოკუმენტი არ გამაჩნია, უბრალოდ, რაც ეჭვმიუტანელი სიმართლეა და რასაც მთელი ინსტიტუტი ლაპარაკობს, ის დავწერეო.

ბიქტორ ტაფაძემ ნიკაპი მოიქექა და კარგა ხანს თვალებში შესცქეროდა დამწყებ მომჩივან-მოხალისეს. მერე თითქოს უთანაგრძნობსო, წამოდგა, გაიარა-გამოიარა და ბეჭებზე რამდენჯერმე დაჰკრა ხელი, თითქოსდა წინასწარ იცოდა ტაფაძემ, როგორ წარიმართებოდა ბრეგვაძის მიერ უნებლიეთ დატრიალებული კარუსელი.

– ჩემო ჯუმბერ, რაკი დაიწყე, ბოლომდე უნდა მიიყვანო საქმე, ახლა შეჩერება შენსავე საზიანოდ მოგიბრუნდება. წაიღე ეს განცხადება და რამდენიმე კაცს მაინც მოაწერინე ხელი. ასე, ა, „განცხადების ჭეშმარიტებას ვადასტურებ“ და ხელმოწერა. მე თვითონ მოგიწერდი ხელს, მაგრამ ოფიციალური პირი ვარ და არ შეიძლება. ისე, ყველაფერში მხარს დაგიჭერ, ახლა მთავარია, არ დავმარცხდეთ. მათ, ვინც ეს ფაქტები გაცნობა, მე მგონი, უნდა ეყოთ ვაჟკაცობა და მოაწერონ ხელი. მთავარია, მარტო არ დარჩე. თუ ეს განცხადება მოწმეებით არ გაამაგრე, ცილისმწამებელი შეგერქმევა და მერე ნუღარ დამემდურები, – ნარკვევი საქაღალდეში ჩადო, გაოგნებულ ჯუმბერს იღლიის ქვეშ შეუჩურთა, წარმატება უსურვა და კარამდე მოაცილა.

აკადემიკოს გაიოზ ტერელაძის უფხიზლესი მცველი, თავის მომაბეზრებლად ენერგიული, შეუხედავი ლაბორანტი – ვერა, რომელსაც თავისი პირდაპირი მოვალეობა დავიწყე-

ბოდა და ტექნიკური მდივნის ფუნქციებით აღჭურვილიყო, ბრეგვაძის იღბლად, კარაქის საშოვნელად გახლდათ წასული და აკადემიკოსის კაბინეტთან, ამ სერიოზული მიზეზის გამო, არავინ იდგა.

ტერელაძემ კართან ატუზული ლაბორანტი კარგა ხანს ალოდინა (მაინცდამაინც მაშინ მოუნდა გაზეთების გადათვალიერება), ბოლოს თავი ასწია, სადღაც შორს და უაზროდ გაიხედა, თითები გაატკაცუნა და ვარდისფერფარდაჩამოფარებულ სარკმელს ჰკითხა:

– რაზე მუშაობთ?

ბრეგვაძემ აუხსნა, რაზეც მუშაობდა და იქვე მიაყოლა, რომ აკადემიკოსის შრომები წაკითხული ჰქონდა და ამ ბოლო დროს ფრანგულთან ერთად, ინგლისურის შესწავლასაც მიჰყო ხელი.

– ინგლისური კარგია... გამოგადგებათ... წარმოიდგინეთ, მე პროფესორები ვიცი, ინგლისურის ინჩიბინჩი რომ არ გაეგებათ. აბა, თქვენ მითხარით, ინგლისურის გარეშე შეიძლება მეცნიერს მეცნიერი დავუძახოთ?

– არა, – რა თქმა უნდა, დაეთანხმა ჯუმბერი და მოწიწებით დაუდო განცხადება მაგიდაზე: – თუ შეიძლება, ხელი მომიწერეთ.

დაიწყო ლოდინის მტანჯველი წუთები. აკადემიკოსი დიდხანს დამარცვლებით კითხულობდა ერმალო აბესაძის „მოღვაწეობის“ ნუსხას, ხანდახან შეჩერდებოდა და წინადადებას თავიდან იწყებდა, აშკარად ჩანდა, რომ უცხო ენების (და განსაკუთრებით ინგლისურის) ჩინებულად მცოდნე ტერელაძე ქართულს არცთუ ბრწყინვალედ ფლობდა.

– ჩინებულია, – როგორც იქნა, ჩაამთავრა კითხვა დიდმა მეცნიერმა – თქვენ თვითონ დაწერეთ?

– დიახ, – თავი ასწია ჯუმბერმა.

– მიიტანეთ სადმე?

– კი... მაგრამ... რამდენიმე მოწმეა საჭიროვო. თქვენ რომ მოაწერთ ხელს, გამაგრდება.

– რას იზამს? – როგორ ჰგავდა აკადემიკოსი ახლა, ამ წუთში „ბითლსების“ ფირფიტაზე დახატულ მეგიტარეს.

– მეტი ძალა ექნება, პატივცემულო.

ტერელაძემ თავიდან დაიწყო საჩივრის კითხვა. თითქოს ზეპირად სწავლობსო, მაღლა აიხედავად და ფრაზას გაიმეორებდა.

– ჩინებული შედგენილია. ყველაფერი სწორია. მიროტაძის ფაქტი?

– თქვენ მითხარით, თუ გახსოვთ.

– მე? – ტერელაძემ ხმას დაუწია. – მე გითხარით, მახსოვს. ხომ კარგად მოვიქეცი, რომ გითხარით? ზოგიერთი ჩემს ადგილზე არც კი გეტყოდათ. აბა, თქვენ იცით. ბოლომდე მისდიეთ ამ საქმეს. არავის უთხრათ, რომ ჩემთან იყავით. კარგად ბრძანდებოდეთ. მოიცათ, ეს ნაშრომი გრჩებათ.

– ხელს ვერ მომიწერთ? – სასოწარკვეთა ჩაბუდებულიყო ლაბორანტის ხმაში.

– რა თქმა უნდა, ვერა. მე ასეთ დოკუმენტებს ხელს არ ვაწერ, ჩემთვის უხერხულია. აბა, კარგად, მხნედ, მედგრად, როგორც ინგლისელები იტყვიან, – სანამ კარს მიხურავდა, დერეფანს იდუმალი მზერა მოავლო და ჩურჩულით თქვა: – მიროტაძის ფაქტიც მშვენივრად ზის. თუ გკითხონ, ყური მოვკარითქო. აღარ მახსოვს, ვინ მითხრათქო. ასე აჯობებს საქმისთვის.

თავდახრილი, გაწბილებული მოაბიჯებდა თავისი ლაბორატორიისკენ ჯუმბერი და შავფრანკიანი ტერელაძე საოცრად აგონებდა აუზდამშრალი ზოოპარკის პინგვინს – სიცხისაგან შეწუხებული მი და მო რომ აწყდება.

წყლის გამოსახდელი აღარ ირთვებოდა. შავი სატინის ხალათი ჩაიცვა, ბონდოს უჯრიდან ინსტრუმენტების ყუთი ამოიღო და აპარატის დაშლას შეუდგა. კარგა ხანს უკირკიტა. მერე ისევ ააწყო. უკვირდა: ყველაფერი რიგზე იყო. არც დამწვარი იყო კონტაქტები, არც გაწყვეტილი, აპარატი კი მაინც არ მუშაობდა. ქანჩები ჩვრით გაწმინდა. თავის ადგილას შეინახა და საათზე დაიხედა. ხუთი სრულდებოდა, სა-

დაცაა ლაბორატორიის გამგეც უნდა გამოჩენილიყო. თმის წამლიან ქილას დასწვდა, ფანჯარას გადაეყუდა და პირველივე პეშვი ისხურა თუ არა თავზე, კალისტა ტოროშელიძე შემოფრთხიალდა დაუკაკუნებლად. ჯუმბერმა ქილა იატაკზე დადგა და პირსახოცს მისწვდა.

კალისტამ ტანის ჩვეული რხევით შემოურბინა ლაბორატორიას და ისე გაუჩერდა ჯუმბერს წინ, თითქოს ეკითხებოდა, ეს თეთრი ჯინსი მიხდება თუ არაო. ხელები კეფასთან, თმაში შეეყო და იღიმებოდა. იმდღევანდელზე უფრო ლამაზი ჩანდა და თეთრი ჯინსიც ძალიან უხდებოდა.

– კალისტა, რა კარგია, რომ მოხვედი, შენთან საქმე მქონდა, – ბრეგვაძე საქაღალდეს დასწვდა.

– ჩემთან საქმე? ოჰო, – მარცხენა ფეხი წინ წამოსწია და ჯანმრთელი სხეული გაარწია კალისტამ.

– საჩივარი დავწერე, აბესაძეზე.

– რა საინტერესოა! – ტაში შემოჰკრა ტოროშელიძემ, – რას უზამენ?

– უკეთეს შემთხვევაში, მოხსნა არ ასცდება.

– შენა, – კალისტა ფანჯარასთან მიდგა და ფურცლები ისე ააშრიალა, რომ, აშკარად ჩანდა, წამკითხავი არ იყო, – მკვდარი სულები რომ ჰყავს, გიწერია?

– კი.

– გოგოები რომ უყვარს?

– არა. ეგ დიდ ცოდვად არ უნდა ითვლებოდეს, ჩემი ფიქრით.

– გაგიჟდი? ჩაამატე აუცილებლად. უკვე თვალების ჟუჟუნზე გადავიდა. ჭკვიანად თუ იქნები, მე გიპატრონებო. ჩემი მფარველობის ქვეშ მეყოლებიო. მკლავზე ხელიც ჩამომისვა.

– შენ?

– რა მე?

– რა პასუხს აძლევ?

– ჯერჯერობით ვუთმენ და მერე. იქნებ, ისეთი ვიფრინო, ლანჩებს კეფაზე ირტყამდეს.

– მოაწერე ხელი.

– რას?

– ამ საჩივარს.

– ხო აზრზე ხარ! – კალისტამ გადაიხარხარა. – ხომ არ გაგიჟდი? იმ დღესვე გამაგდებს. – ფანჯარას მოშორდა, – წავედი, პაკა! – კართან მივიდა და მოიხედა.

– ჯუმბერ, ჯუმბერ, უმცროსი პრეპარატობა პროფილში გადის?!

– არა! – შეუღრინა ჯუმბერმა.

კალისტა და ბონდო კარში შეეფეთნენ ერთმანეთს. ბონდომ გაუღიმა, სად მიდიხარ, ანგელოზო, გვაყურებინე შენთვის ცოტა ხანსო, შაქრად დაუტკბა, ხელზე აკოცა და შემოაბრუნა კიდეც, მაგრამ კალისტამ დახრილ ლაბორანტს მწყრალად შეხედა, მეჩქარებაო, საქმიანად აწრიალდა და წავიდა.

კაკალაშვილმა თვალი გააყოლა და პიჯაკს რომ ჰკიდებდა, ჯუმბერს შეხედა.

– ხომ არავინ მიკითხა? ამნაირებისაა დღეს ქვეყანა. რა ჰქვია ამ გოგოს?

– დარეკა ვიღაცამ. კალისტა ჰქვია.– არ უთქვამს, ვინ ვარო? კაი უბედური იქნება ეს შენი კალისტაც, ნუ გეშინია.

– კაცის ხმა იყო. ისე, არ ჩანს გლახა გოგო, რა ვიცი.

– დღე და ღამე კაბინეტში უზის ერმალოს. მაგის გამშვებია აბესაძე? ისე, აქეთ, ჩვენკენ, ცხვირზე ბუზს არ იჯენს, გეგონება, ციდან ჩამოფრინდა და, საერთოდ, რანაირი წესით მრავლდება ადამიანი, ისიც არ იცისო. იმ დღეს ბარქაია უშნოდ გაეხუმრა და მთელი საათი ტიროდა, ეს რა მკადრაო. ასე იციან მაგნაირმა გოგოებმა. არ ჭამო ეგ ამბავი შენ. ვინც ნამეტანი პატიოსნებაზე დებს თავს, სწორედ ისაა ქვეყნის დამქცევი.

– ყველას თავისი მუღამი აქვს, – ანდაზითვე უპასუხა ბრეგვაძემ, საქაღალდე წინ დაუდო და დააყოლა:

– გადახედე ერთი ამას, თუ დრო გაქვს.

ბონდომ კითხვა რომ დაამთავრა, ხელები კისერზე შემოიწყო და დაამთქნარა, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოხტა, ხალათი ჩაიცვა, კარი ჩაკეტა, ჯუმბერს ეცა და გადაეხვია.

– ეს რა გიქნია, შენ გენაცვალოს ბონდო. კაცი შენ ყოფილხარ!

– არავინ ამოიღო ხმა და სანამდე გვეცადა, – ქება შეიფერა ლაბორანტმა.

– ვინაა ხმის ამომღები. ამ ინსტიტუტში ნახევარი მაგის ხალხია. ასეც რომ არ იყოს, არ იცი, რავარი დადედლებულია ქვეყანა? ყველა თავის ტყავს უფრთხილდება. ჩემსავით და შენსავით კი არ ჭრიან სხვები. ოხოხოხო, – ქაღალდებს დახედა, – არ ამოიგიღია ოთხში? იხტუნოს ახლა. თანაც ყველაფერი რომ მართალი გიწერია? დასვამენ ნიჩაბზე, წყალი არ გაუვა.

– ხელი უნდა მოაწერო, – მშვიდად უთხრა ჯუმბერმა.

– მეე? – სხვისი ხმით იკითხა კაკალაშვილმა.

– შენ და სხვებმაც.

– ვინ გითხრა?

– ბიქტორ ტაფაძემ.

– ბიქტორს აჩვენე უკვე? – ბონდოს შაბში მოხარშული თევზის ფერი დაედო. – ჩემზე ხომ არაფერი გითქვამს?

– არა.

ბონდო დამშვიდდა. ხალათი გაიხადა, პიჯაკი ჩაიცვა, ერთხანს ტელეფონი აჩხაკუნა, მერე ერთბაშად აბუზღუნდა: – კაცო, ვერსად ვერ დაგირეკია, საქმეა ესო? – გასვლისას მობრუნდა, თითქოს უმცროსი ლაბორანტი ახლა შეამჩნიაო, დერეფანს გახედა, კარი მოიხურა და საიდუმლოდ აუწყა:

– ჯუმბერ ჩემო. მე რომ ამ ქაღალდზე ხელი მოგიწერო, საქმეს წავახდენთ, იციან, დირექტორი ჩემთან კარგად რომ არ არის და ბონდომ შეაგულიანაო, ჩემზე იტყვიან. ამით შენც დამცირდები და მეც შეთქმულების ორგანიზატორობას მომაკერებენ. სხვებს მოაწერინე ხელი. ვინ არ მოგიწერს. მე ხომ ისედაც აგერ გყავარ. ხელმოუწერლად შენს მხარეზე არ ვარ?

ასისტენტ მიროტაძეს ფინური პიჯაკისთვის სახელო მოერღვია, ნემს-სათითური მოემარჯვებინა და კერვას შესდგომოდა.

ბრეგვაძეს სალამიც დაასწრო და ისიც აუწყა, ფინელები, მართალია, პალტოს კარგს კერავენ, მაგრამ პიჯაკის შეკერვას ვიეტნამელები უკეთ ახერხებენო.

განცხადება-საჩივარს რომ გაეცნო, ხმა არ ამოუღია, ისევ საკერავს დაუბრუნდა და როცა ჯუმბერმა შეახსენა – რა გადაწყვიტეო, ცრემლგამშრალმა ამოღეღრა:

– მოგიკვდა ჩემი თავი, ჯუმბერ. შენ გვერდით არ უნდა ვიდგე ახლა მეე? ყველაფერი სწორია. არ შეგეშინდეს არაფრის. იმ კვირიდან ექვსთვიან შვებულებას ვიღებ, დავბრუნდები ექვს თვეში და, არათუ ხელს მოვაწერ შენს საჩივარზე, მეტსაც ვიზამ. მე სხვა კაცი ვარ, მე არ მიცნობ შენ ჯერ კარგად. მიროტაძეს არავისი არ ეშინია, ასეა ეს!

მერე ისევ სახელოს გამოჭრის ფინურ მეთოდს დაუწყო ლანძღვა. რომ ჰკითხოთ, მსოფლიოს სტანდარტების დონეზე ჰკერავენო. რა მოვუხერხო, არ ვიცი. გადაკეთება უფრო ძნელია, სხვათა შორის, ვიდრე ახლის შეკერვაო.

მეტაბელე წიფურიამ უკვე იცოდა, რა საქმეზეც იყო მოსული უმცროსი ლაბორანტი და, ბუნებრივია, ისიც იცოდა, რომ ხელს არავინ უწერდა საჩივარზე. ზაზა „გონივრულად“ მოიქცა, წაკითხვითაც კი არ შეუწუხებია თავი. მე ყველაზე პატარა კაცი ვარ ამ ინსტიტუტში, ჩემო ჯუმბერ, ყველანი რომ მოაწერენ ხელს, მერე შემომიარე და მეც მოვაწერო. რა წაკითხვა უნდა შენს დაწერილს, საათივით გექნება აწყობილი, ვიცი მეო. მაგნებს არ შერჩებათ პარპაში. დირექტორი კაცი რომ საძრახ საქმეს იკადრებს, სხვა რას იზამდეს იქნება, მითხარი ერთი შენო.

ლაბორატორიაში რომ დაბრუნდა, შუბლი უხურდა. თმის წამალმა ცოტა გააგრილა, მაგრამ მალევე მოეძალა უგუნებობა. წინ და უკან დააბიჯებდა და მკლავებზე ხელს ისვამდა ციებიანივით. ტელეფონი აწკრიალდა:

– ალო, ჯუმბერ, – ნაცნობი ხმა იყო, რბილი და ხავერდოვანი, ღმერთო, ვისა აქვს ასეთი ხმა. ვერაფრით გაიხსენა.

– გისმენთ.

– ჯუმბერ, მარტო ხარ?

– ყველა გაგებით.

– მანდ ხომ არავინ არის-მეთქი.

– არა. ვინ ბრძანდებით.

– არა აქვს მნიშვნელობა. ცუდ ხასიათზე ხარ?

– მაქვს კიდეც მიზეზი.

– მომისმინე. შენ ახალგაზრდა ხარ და გამოუცდელობამ გძლია. მაგათთან სხვანაირი ბრძოლაა საჭირო. კრებაზე უნდა გამოსულიყავი და გემხილა. მაშინვე აზრი შეიქმნებოდა, გახმაურდებოდა.

– ვინ ბრძანდებით?

– რა მნიშვნელობა აქვს. შენი კეთილისმყოფელი. ზოგი იმდენად გაიძვერაა, რომ დადის და ხმას ავრცელებს; ბრეგვაძეს საჩივარი შეუთხზავსო. აბა, საჩივარი რა საკადრისიაო, კვერს უკრავენ სხვები. ამ ინსტიტუტში ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ საჩივარის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებიან. კრებაზე რომ გეთქვა, ვერ მოითმინაო, იტყოდნენ და სწორად შეაფასებდნენ.

– რა ეშველება ამ საქმეს? – ყოველშემთხვევისთვის ჰკითხა ბრეგვაძემ.

– ბოლომდე უნდა იბრძოლო. იცოდე, მე შენთან ვიქნები. არც ეგრეა საქმე. მარტო არ დაგტოვებთ. ამ ინსტიტუტში კარგი ადამიანებიც ბლომად არიან. კრებაზე გამოდი, კრებაზე. მე ხალხს დავრაზმავ, მხარს დაგიჭერთ. არ შეგეშინდეს.

– ვინ ბრძანდებით? გმადლობთ გამხნევებისთვის!

– ყოჩაღად იყავი, – უცნობმა ყურმილი დადო.

ჯუმბერს კარგა ხანს ეჭირა ხელში ატუტუნებული ყურმილი, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა ვისი ხმა იყო. იქნებ ესეც მატყუებს, იქნებ მცდისო, გაიფიქრა უმცროსმა ლაბორანტმა და გული შეეკუმშა.

ჯუმბერ ბრეგვაძე, მიხვდა, რომ ერმალოსთან ბრძოლა წააგო. მარტო დარჩა. ტროლეიბუსით შინ რომ ბრუნდებოდა, ცდილობდა გაეხსენებინა, სად დაუშვა შეცდომა, მაგრამ ვერა და ვერ მოიგონა. „თითქოსდა მოვლენათა ლოგიკა სხვა ახსნას იძლეოდა? ჯუმბერი ახლაც დარწმუნებული იყო, რომ

ერმალოსთვის ჭკუის სწავლება მთელს ინსტიტუტს გულით სურდა. მაშ, რა მოხდა, რა დაემართა ამ ხალხს? ნუთუ ეს ყველაფერი თვალთმაქცობა იყო? ნუთუ პირი შეკრეს უმცროსი ლაბორანტის წინააღმდეგ და სააღდგომო ბატკანივით გაწირეს? რაღა მაინცდამაინც მასთან საუბრისას მოუნდებოდა ყველას ერმალო აბესაძის თავგასულობაზე სიტყვის ჩამორგდება? ნუთუ აკადემიკოსიც კი ერთი რგოლი იყო ჯუმბერ ბრეგვაძის გასაპამპულავებლად მოწყობილი შეთქმულებისა? კი მაგრამ, რა დააშავა ასეთი? რა ეშველება ამ საქმეს?“

შინ რომ დაბრუნდა, თავისი თხზულება ცეცხლს მისცა და მტკიცედ გადაწყვიტა, არასოდეს მსგავსი რამ არ დაეწერა. „ქვეყანაზე წარღვნაც რომ დატრიალდეს, ხმის ამომღები არა ვარ, თუ ახლა, ამ შემაზრზენი ამბიდან მშვიდობით გამოვძვერი, უბატონოდ ხმას აღარ გავცემ არავის. როგორ გამაბრიყვეს. ერმალოები ჩემზე მეტად რომ სჭირდება ამ ხალხს, როგორ ვერ მივხვდი, მე სულელი“.

მეორე დღეს, თორმეტ საათზე კალისტამ კარში შემოყო თავი და ტაფაძე გიბარებსო, აუწყა.

ადგილკომის თავმჯდომარემ გულდასმით მოუსმინა და როცა საქმის ვითარება შეიტყო, აღშფოთება ვერ დამალა:

– გრცხვენოდეს, ჭაბუკო, – ნიკაპზე ხელს ისვამდა ადგილკომის თავმჯდომარე, – ასე უცებ როგორ დაყარე ფარხმალი. ეს ხართ სუულ? ესაა მგზნებარე ახალგაზრდობა? პატარა წინააღმდეგობა და ხელებს ჩამოუშვებთ და ცხვრებივით გაირინდებით. არ მოგიწერეს ხელი მხდალებმა, რა მოხდა მერე განა ყველა, ვისაც ისტორიული საქმეები გაუკეთებია, თავიდანვე მარტო არ იყო? ჯერ ერთი, რა უფლებით დაწვი საჩივარი. ის ხომ უკვე ჩვენი დოკუმენტი იყო. ოთხგანაა დავთრებში გატარებული.

ჯუმბერმა აუხსნა, რომ დაიღალა და არავითარი სურვილი არა აქვს ერმალო აბესაძის წინააღმდეგ მოქმედებისა. მე ამ ინსტიტუტში ჩემმა მეცნიერულმა ინტერესებმა მომიყვანა და, თუ კაცი ხარ, ნურასოდეს ნუ მომაგონებთ ამ ჩემს

დაუფიქრებელ ნაბიჯს. ქვეყნის გამასწორებლად მე არა ვარ გაჩენილი, მე ერთი საწყალი, წიგნის კაცი ვარ და ჩემმა უსაგნო ატროკებამ ღრმად დამარწმუნა, რომ ჯერჯერობით ჩემნაირი არამკითხე მესია ამ ცხოვრებას არა სჭირდება. სულ ტყუილად ვიბრალებთ ჩვენს თავზე რაღაც-რაღაცებსო.

ბიქტორ ტაფაძემ ფანტომასის სიცილით გაიცინა, რკინის ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა და უმცროს ლაბორანტს თავზე დაადგა.

– შენ როგორ ფიქრობ, რატომაა აბესაძე ამ ინსტიტუტის დირექტორი და მე რატომ არა ვარ?

ჯუმბერმა კითხვა ვერ გაიგო.

– მომისმინე, შვილო, გინახავს, გაგიგონია, მარტო მეცნიერული და პირადი ღირსებები გამხდარიყოს საკმარისი საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად კაცის დასანიშნად?

ჯუმბერმა კვლავ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ.

– მაგით რა გინდათ მითხრათ, ბატონო ბიქტორ?

– რა მინდა და, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე. რაკი აბესაძე დირექტორია, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს მეორე კაცი ამ ქვეყანაზე, რომელიც მის დირექტორობას დარაჯობს და ერმალოს სკამისკენ გაწვდილ ყველა გრძელ ხელს დამოკლებით ემუქრება. ჩვენთვის არც აბესაძის დანიშვნა უკითხავთ და არც მოხსნას გვკითხავენ. ამნაირი, პატატვრანი საჩივრებისთვის დირექტორებს რომ ყურებს ახევდნენ, ეს ქვეყანა უყურო ხალხით გაივსებოდა. არა, ჩემო ჯუმბერ, არ დაიჯერო მაგ ამბავი. ერმალო იმიტომაა დირექტორი, რომ მისი ბედი საიმედო ადგილასაა გადაწყვეტილი. არ დაიჯერო, სუსტი მუშაობისთვის დირექტორი გაანთავისუფლესო, ვინმემ რომ გითხრას.

– ცოტა მეც გამეგება, ციდან ჩამოფრენილი არც მე გახლავართ, ბატონო ბიქტორ, მაგრამ რამ გამაბრიყვა, იცით? დიდი და პატარა ყველა, ყველა (კინაღამ წამომცდა, თქვენიანადო), გამარჯობის მერე თუ რამეს მეტყოდა, მხოლოდ და მხოლოდ ერმალო აბესაძის ავკაცობას, მეც მართალი მეგ-

ონა და მე ვთქვი, ცოტას მაინც წავეხმარები ამ დატანჯულ ხალხს-მეთქი.

– მერე ვინ გითხრა, რომ მართალს არ ამბობდნენ? რაც შენ იმ განცხადებაში გეწერა, სრული ჭეშმარიტებაა, ათ იმდენს მე თვითონ დაგიმატებდი, მაგრამ თუ იცი, რატომ დარჩი მარტო დონ-კიხოტივით? ერმალო მართლა გაიძვერაა და უკმაყოფილო მასას ცოტა საბუთს როდი აძლევს სალანძღავად, მაგრამ, დამერწმუნე, ამ ინსტიტუტში სამი კაციც არ იქნება ერმალოს მოხსნა რომ გულით სურდეს.

– პატიოსან კაცს უპატიოსნო კაცის გზიდან ჩამოშორება რომ უნდოდეს, გასაკვირია, ბიქტორ ბატონო?

– თეთრი ყვავები მარტო იგავებში ცხოვრობენ, ჩემო ჯუმბერ, სხვაგან შეიძლება ასე არ არის, მაგრამ ამ ინსტიტუტში ნამდვილად ასეა: ბიჭი ხარ და გაბედე, არაფერი დააშავო, არ იცუღლუტო, შინაგანაწესი არ დაარღვიო. მთელი ინსტიტუტი დაგესევა და მანამ არ მოგეშვება, სანამ დანაშაულს არ ჩაგადენინებს. წინასწარ ვიცოდი, რომ მარტო დაგტოვებდნენ. როცა თანადგომას ვისწავლით, ჯუმბერ ბრეგვაძეებს ველარ მოერევიან და განახლების ზარი მაშინ დაიგუგუნებს.

– თანადგომაზე სპარტაკიც და ემელიანე პუგაჩოვიც ლაპარაკობდნენ. ნუთუ დღესაც ეს უნდა აწუხებდეს ამდენი რამის მომსწრე კაცობრიობას?

– უთუოდ. თქვენ, პატიოსნები, ერთად და ცალკე უნდა დადგეთ. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ადამიანები ივიწყებენ ისტორიის ცეცხლოვან გაკვეთილებს, ანდა ავიწყებინებენ. ბევრმა თავიდან უნდა ისწავლოს, რომ პატიოსანი ცხოვრებისთვის ბრძოლაში ერთი მერცხალი ვერას გახდება. ხანდახან მაინც უნდა ასწიოს თავი ყოველდღიური ფუსფუსისაგან და თუ ბევრს ვერაფერს შეძლებს, „ჰეი“ მაინც უნდა დაიყვიროს, რათა მის გვერდით გატრუნული დამნაშავე შეაკრთოს.

– თქვენ რომ ასე ლამაზად ლაპარაკობთ და ყველაფერი იცით. თქვენ მაინც რატომ არ მომიწერეთ ხელი, ბატონო ბიქტორ? – ხმის კანკალით ჰკითხა ჯუმბერმა.

– მეც იმ მიზეზითვე, ჩემო კარგო, რა მიზეზითაც სხვებმა არ მოგიწერეს. შემეშინდა, რომ მაინც მარტო დაგვტოვებდნენ და ამ საჩივარს მხოლოდ ორი კაცის – ჩემი და შენი ხელმოწერა ექნებოდა. ხო ხედავ, რაც გვჭირს, როგორ გავთიშულვართ, როგორ არ ვენდობით ერთმანეთს.

– ვისაც მივმართე, ყველას რომ მოეწერა ხელი?

– მაინც ვეჭვობ, რომ ერმალო აბესაძეს დღესდღეობით მოვერეოდით. ჯერ კიდევ სქელია ის მაუდი, კოლექტიურ საჩივრებს რომ ამოსდებენ ხოლმე.

– როგორ არ მინდოდა თქვენი სახითაც შეშინებულ კაცთან მელაპარაკნა. კარგად ბრძანდებოდეთ, – ჯუმბერს სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა. წამოდგა და მთვარეულივით გააბიჯა კარისკენ.

მირჩევნოდა გეთქვა – „წინდახედულ და ფრთხილ კაცთანო“, ყმაწვილო, – დააწია ადგილკომის თავმჯდომარემ.

ჯუმბერს რომ ეგონა, ყველაფერი დამთავრდაო, თურმე მაშინ დაიწყო ყველაფერი.

სამი დღის განმავლობაში არავის შეუწუხებია და, კაცმა რომ თქვას, თვითონაც ცდილობდა, რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, თვალში არავის ეჩხირებოდა. ლაბორატორიიდან არც კი გამოსულა.

ხუთშაბათ დილით ზაზა წიფურიამ გამოცხადების ჟურნალში ხელი არ მოაწერინა; შვიდი წუთით დაიგვიანე და უფლება არა მაქვსო. ამ დაგვიანებისთვის ერთ საათში პირველი საყვედურის ბრძანებაც გამოჩნდა. ბრძანება კალისტა ტოროშელიძემ შემოუტანა და ჩაბარების დავთარში ხელი მოაწერინა. იმ საღამოსვე, როგორც დასჯილი, ქუჩაში მორიგეობის სიიდან ამოიღეს და ამ თვის პრემიალური ხელფასის უწყისშიც ვეღარ შეგიტანთო, გამოუცხადეს. ორშაბათს მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში სამნეო ნაწილის გამგე, ყოფილი ქურდი ხარაბაძე შემოვიდა, დიდხანს იბუჯურა და ბოლოს უმცროს ლაბორანტს აცნობა – იძულებული ვარ, ბრძანებაში გაგატარო წყლის და ელექტროენერ-

გიის უყაირათო ხარჯვისთვისო. ოთხშაბათს, ნასადილევს ინსტიტუტში ხმა დაირხა: ხუთ საათზე, ქვევით, უნივერმაღში ყველი გაიყიდებაო. ჯუმბერს სულმა წასძლია და ხალათჩაცმულმა კიბე ჩაირბინა. მთელი ინსტიტუტი და ახლომახლო სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებიც უნივერმაღის წინ ფუსფუსებდნენ. უმცროსმა ლაბორანტმაც ბევრი იწრიალა, მაგრამ საიმედო ვერაფერი შეიტყო. ის-ის იყო, ბადრი მაჩიტაძისთვის უნდა ეთხოვა: თუ ძმა ხარ, იქნებ ერთი კილო ჩემთვისაც შეიძინოო, რომ გამოაცხადეს: ყველს დღეს ნუღარ ელოდებით, ხვალ გაიყიდებაო. უკან რომ დაბრუნდა, კარზე გაკრული ქაღალდი „ყველზე გავედი“ ადგილზე აღარ დახვდა და ელდა ეცა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მეორე დღეს დაიბარეს და მწუხარე სახით აუწყეს: შე კაცო, რა გჭირს ამ ბოლო დროს, ახლახანს დაგვიანებისთვის საყვედური გამოგიცხადეს და კიდევ გაპარულხარ. ყველას გვინდა ყველი, მაგრამ სამსახური სამსახურიაო. თვის ბოლოს სამეცნიერო მუშაობის განყოფილების უფროსი, ინდივიდუალური და კვარტალური გეგმის შეუსრულებლობისათვის საერთო კრებაზე დამუშავებით რომ დაემუქრა, ვეღარ მოითმინა და ბონდო კაკალაშვილს შესჩივლა: – ხომ ხედავ, რას მიკეთებენ, ახლა ნოემბრის ბოლოს ატესტაცია იწყება და ჩემი საყვედურების პატრონს, ვიცი, უეჭველად გამანთავისუფლებენო, ბონდომ გული როდი გაუკეთა; მართალს ამბობ, სამსახურიდან გაგდების საშიშროება გემუქრება. ვიცოდი, რომ ერმალო იმ საჩივარს არ გაპატიებდაო. ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ეახლო დირექტორს და დაუფიქრებელი ნაბიჯისთვის პატიება სთხოვო, იქნებ მოიღოს მოწყალება და დანაშაული გაპატიოსო.

... ბონდო რომ გავიდა, ჯუმბერ ბრეგვაძე დიდხანს და გულმოდგინედ კეტავდა ლაბორატორიის კარს, რომ ცოტა ხანს მაინც დარჩენილიყო თავის ავ ფიქრებთან.

წყლის სახდელი გამორთო. თმის გასამაგრებელი წამალი ხელსაბანში ჩაცალა, მინის ქილა გამორეცხა და მუყაოს ყუთ-

ში ჩადო. სველი ხელები ხალათზე შეიმშრალა და ფანჯარას გადაეყუდა.

ვერაფერს ველარ არჩევდა. ქალაქის თავზე გაწოლილ რუხ-ყვითელ ჯანღს დაეფარა ირგვლივ ყოველი, ყრუ გუგუნი ისმოდა მხოლოდ და ატმის ნერგებზე მიშვებული წყლის ჩხრიალი. მერე ტყვიისფერი ლანდები აუცეკვდნენ თვალწინ.

სძულდა ყველა და ყველაფერი, როგორ არ უნდოდა, ეფიქრა იმაზე, რაც ლურსმანივით ჩასჭედოდა გონებაში და გულ-მუცელს უღრღნიდა. თვალები მოისრისა, თავი გაატოკა, ხალათი გაიხადა, სახეზე ცივი წყალი შეისხა და უეცრად ლანდები გაქრნენ და ჯუმბერს ყრუ ნაბიჯების ხმა მოესმა. თითქოს ზარებს თანდათან და უფრო ძლიერად რეკავენ. „დერეფანში ვიღაც მოდის. ეტყობა, ლანჩებზე რკინის ნალები აქვს. ვინღა იჭედებს ახლა ლანჩებზე ნალებს“.

ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა. დაუპატიჟებელი სტუმარი სადაცაა ლაბორატორიის კარებს მოადგება.

უმცროსმა ლაბორანტმა კვართის ღილები შეიკრა, თმაზე ხელი გადაისვა, ფანჯარაზე მსუბუქად შეხტა, ერთი გადაიხედა, მერე თვალები დახუჭა და გადახტა.

ამ ნოველის ავტორს სიჩქარეში გამორჩა ეთქვა შენთვის, ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველო, რომ მირმანოლოგიური ლაბორატორია მესამე სართულზე მდებარეობდა; ხოლო მესამე სართულიდან გადახტომა, მოგეხსენებათ, თვითმკვლელობისთვის ასპროცენტიან გარანტიას არ იძლევა; შეიძლება შენდაუნებურად გადარჩე კიდეც.

ცხვარი

მშვენიერი ამინდი იდგა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მეორე კურსის სტუდენტები ინსტიტუტის ძველი, დანჯღრეული ავტობუსით ექსკურსიაზე მიდიოდნენ.

ექსკურსიის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი, ფასანაური-ყაზბეგი-თბილისი. სტუდენტებს წინ კიდევ ერთი შინაარსიანი დღე ელოდათ. საქართველოს თვალწარმტაცი სამხედრო გზა, ფასანაურის ვიწროები, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი და, რაც მთავარია, ერთად ყოფნით გამოწვეული სიხარული და აღფრთოვანება.

საექსკურსიო განწყობილებას იშვიათად რომ სხვა რომელიმე განწყობილება შეედაროს. ხუმრობის დროს ყველა შეძლებისდაგვარად ხუმრობს, სიმღერის დროს თითქმის ყველა მღერის. „თითქმის“ აქ იმიტომ ვიხმარეთ, რომ მღერის ისიც კი, ვისაც ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ შეუგნია, რომ მისი მუსიკალური მონაცემების გამო უმჯობესია არ იმღეროს.

ავტობუსი ეს-ესაა მცხეთას გასცდა და სამტრედიისაკენ გაშვერილ საგზაო ნიშანს მარჯვნივ აუხვია. ოცდაოთხკაციანი ავტობუსის წინა სავარძელში ზის ექსკურსიის ხელმძღვანელი, პროფესორი ამბერკი გოგისვანიძე. პატივცემული პროფესორი დღეს საგანგებოდ, საექსკურსიოდ გამოწყობილა. თეთრი მოსასხამი და ცისფერი, საყელო გახსნილი (პროფესორი, რასაკვირველია, უჰალსტუხოდაა) პერანგი ძალიან უხდება.

ქართველურ დიალექტთა ცნობილ სპეციალისტს ექსკურსიაზე სიარული მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ სტუდენტთა მოკრძალებული თხოვნა ვერ უარყო და მთელი ავტობუსი ბედნიერია, რომ საექსკურსიოდ თავიანთი საყვარელი პროფესორი დაითანხმეს.

სტუდენტებს განსაკუთრებით ხიბლავთ ამბერკი გოგისვანიძის რბილი, ხავერდოვანი ხმა და ის მაღალპატრიოტული განწყობა, რასაც პროფესორი ყოველ ლექციაზე ამჟღავნებს. ბატონი ამბერკის ლექციებს გადაჰყავხართ სიკეთისა და პატიოსნების რომანტიულ, ნახევრადზღაპრულ სამყაროში. პროფესორის პათეტიურ ღაღადისს, მის ჯიუტ სურვილს – ყველაფერი რაინდულსა და კეთილშობილურს დაუქვემდებაროს, მსმენელზე სულიერი გამწმენდელის ზემოქმედება გააჩნია. ამბერკის ამქვეყნიურ წინააღმდეგობათა და სიძნელეთა შესახებ ლაპარაკი არ უყვარს. იგი თითქოს კლასიკური ლიტერატურის გმირთა რომანტიულ ქვეყანაში ცხოვრობს და ირგვლივ მყოფნიც ნელა, შეუმჩნევლად ამ სამყაროში გადაჰყავს. შემოწმებულია, რომ ამ მხრივ ზემოქმედებას იოლად დაჰყვებიან პირველი და მეორე კურსის სტუდენტები. ზედა კურსზე ახალგაზრდები, მათსავე განწყობილების საზიანოდ, უფრო პრაქტიკულნი ხდებიან. ბატონი ამბერკი კი, ძირითადად, პირველ-მეორე კურსებს ასწავლის. იგი წლების განმავლობაში ერთგული რჩება თავისი პედაგოგიური და მეცნიერული სტილისა. სტუდენტებსაც ცხოვრებაში გასვლის შემდეგ თუ ვისიმე ლექციები ახსოვთ ვარდისფრად, ეს ამბერკი გოგისვანიძის ლექციები გახლავთ. ბედნიერი კაცია ბატონი ამბერკი.

ჩვენ აქ არ მოვყვებით ექსკურსიის წვრილმან ეპიზოდებს. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ ყოველ ექსკურსიას ჰყავს თავისი ადგილობრივი მნიშვნელობის ხუმარა. ხუმარა ამ სიტყვის ყველაზე საპატიო გაგებით. არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ერთ ექსკურსიად გაერთიანებულიყო ოცდაოთხი კაცი, ერთად ოცდაოთხი მიკროსამყარო. აქ არიან ექსცენტრიკებიც და ფლეგმატიკოსებიც, აქ არიან პეიზაჟების მიმართ პოეტურად მგრძნობიარენი და გულგრილნიც. იქნებ აქ არიან მომავალი გმირები და მომავალი სისხლის სამართლის დამნაშავენიც. აქ არიან უკვე ჩამოყალიბებული სერიოზული კაცები და ჯერ დაუდეგარი,

აბეზარა ბიჭუნებიც. და რაც მთავარია, აქ ალბათ არიან სიყვარულზე სრულიად სხვადასხვა შეხედულების მქონენი. ეს ყველაფერი გაერთიანებულია ერთ სიტყვად, ერთ დანჯღრეულ ავტობუსად – ექსკურსიად. სხედან ახლა ისინი და ცდილობენ შეინარჩუნონ ერთიანი ექსკურსიული ანსამბლი. ექსკურსია ქრება მაშინ, როცა ყველა თავთავის ფიქრში გაერთობა, როცა ყველას თავისი საზრუნავი შეახსენებს თავს. გარეგნულად თითქოს ეს ყველაფერი მარტივად მოჩანს, მაგრამ ჰკითხეთ აბა მეოთხე რიგში მსხდომ ქალ-ვაჟს ერთმანეთის თითები რომ დაუჭერიათ, ჰკითხეთ ფანჯრისკენ მიბრუნებულ უყურადღებო ბიჭს, გვერდით მჯდომმა გოგონამ ვერაფრით საუბარში რომ ვერ ჩაითრია. მაგრამ ასეთი ლირიკული ჩაღრმავებანი ჩვენი საქმე არ არის. არც იმაზე გავაცდენთ მკითხველს თუ როგორ გაიგრილეს ცივი წყლით შუბლი და მწვანე ბალახზე უკვე შეფოთლილი კაკლის ხის ქვეშ რა მადიანად ისადილეს. ეს ყველაფერი ათასჯერაა აღწერილი დეტალიზაციის მოყვარულ მწერალთა ვრცელ მოთხრობებსა და ნარკვევებში. ავტობუსი დაბა ყაზბეგს უახლოვდება, პროფესორი ამბერკი გოგისვანიძე შემობრუნდება და იტყვის:

– იცით, ყმაწვილებო, როცა მთებში მივდივარ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მაღლა, სისპეტაკის სასუფეველს ვუახლოვდები და მეშინია, ცოდვა-მადლის აწონვის საკითხი რომ დადგეს.

სტუდენტები მთლად კარგად ვერ ჩაწვდნენ ბატონი ამბერკის ნათქვამის სიღრმეს, მაგრამ სმენად იქცნენ და პროფესორისათვის ესეც საკმარისი იყო.

– რატომ, პატივცემულო? – პაუზის შემდეგ იკითხა ერთმა, ამ ავტობუსში ყველაზე თამამმა სტუდენტმა.

– რატომ და ჩვენ ყველას ჩვენი ადამიანური ცოდვანი გვაწევს. ცხოვრებამ თავისი მსახვრალი ხელი დაგვადო მხარზე და გვითხრა – იცხოვრეთ, გაუძელით, თუ ვერ გაუძლებთ,

სხვანი მოვლენ თქვენს ადგილას. და ჩვენც წელში ვწყდებით, ნემსის ყუნწში ვძვრებით, ვეჩვევით, ათას პატარა ცოდვას ჩავდივართ ჩვენი თავისა და სინდისის წინაშე, რომ გადავრჩეთ, გავუძლოთ.

– განა ყველგან ასე არ არის, მთაშიც და ბარშიც? – იკითხა იმავე სტუდენტმა. პროფესორმა ახლა შეხედა მას. შეკითხვის მომცემი ვაჟკაცურად შეკრეჭილთმიანი, ლამაზი, კეხიანი ცხვირის და ბრიალა თვალების მქონე გოგონა იყო.

უკანა რიგში მსხდომნი წინ გადმოჯდნენ. საუბარი მეორეკურსელთათვის განსაკუთრებით საინტერესო ელფერს იძენდა.

– ყველგან ასეა, მაგრამ შორეული სოფლები, მიუვალი ადგილები, მთები, მაინც შედარებით დაცულია მავნე გავლენებისაგან, ბარში, დიდ ქალაქებში ადამიანებს ერთმანეთთან სხვა ურთიერთობა აქვთ. ჩვენ ყოველდღიურად ათას უცნობს ვხვდებით, ვღებულობთ, ვესაუბრებით. რასაკვირველია, სისულელეა იმის მტკიცება, რომ ყველას ერთნაირად ვუსმენთ და თუ საჭიროებს, ერთნაირად ვუწევთ დახმარების ხელს. ქალაქში „ლავირება“ გვიხდება, სოფლად კი კატეგორია „უცნობი“ თითქმის არ არსებობს. იქ ერთმანეთთან წლების განმავლობაში განსაზღვრული, თითქოსდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ურთიერთობა აქვთ. იქ ადამიანს უპირატესად თავისი პიროვნული ღირსებების მიხედვით აფასებენ. ქალაქი კი, ქალაქი მატყუარაა, ზოგჯერ შეიძლება წლების განმავლობაში შენს გვერდით მუშაობდეს კაცი და ვერ გაიცნო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმიტომ რომ, შენ მასთან ცალმხრივი, პროფესიული ურთიერთობა გაქვს. არ იცნობ მას ოჯახთან, ტოლ-მეგობრებთან, ნათესავებთან ყოფნისას, ხშირად არ იცი რას აკეთებს იგი სამუშაოსგან თავისუფალ დროს.

– იქნებ სჯობდეს ადამიანს ასე, შორიდან უცქირო და არ ჩაწვდე მის ყოველ წვრილმანს, იქნებ ადამიანი ასე უფრო საყვარელია? – იკითხა შუა რიგებიდან ოდნავ გაბზარულმა, ვაჟკაცურმა ხმამ.

– არა ხართ მართალი! – მიუგო პროფესორმა, – უმჯობესია ცხოვრებაში შენი ნაცნობების წრე განსაზღვრული იყოს და მათ კარგად იცნობდე, ვიდრე შენს ირგვლივ ტრიალებდეს რებუსისმსგავსი, რთული, ზოგჯერ ნიღბიანი სახეები. თუ ატყობთ, ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი ურთიერთობის გარკვევას მიაქვს. არათუ უბრალო ნაცნობი, წლების განმავლობაში მეგობრობ კაცთან და ბოლოს ისეთ სისაძაგლეს გაგიკეთებს, რომ სანანებლად დაგრჩება მისი მეგობრობაც და მასთან გატარებული დღეებიც.

– ეს იქნებ იმიტომაცაა, რომ ადამიანებს სწყინდებათ ერთმანეთი, – წაიფილოსოფოსა პროფესორის უკან, ფანჯარასთან მოკალათებულმა ქერათმიანმა გოგონამ.

– ვერ გავიგე! – სათვალე მოიხსნა პროფესორმა და რეპლიკის მომცემს შეხედა.

– მაგალითად, მე მქონია ასეთი შემთხვევა: სკოლაში განუყრელი მეგობარი მყავდა. ერთ მერხზე ვიჯექით.

– რა ერქვა? – იკითხა ვიღაცამ.

– რა მნიშვნელობა აქვს, – სახესმოწოლილი თმები უკან გადაიგდო გოგონამ, – როზა ვაშაყმაძე. სულ ერთად ვიყავით. მერე, ერთმანეთი, საოცრად არასიმპათიურ არსებებად მოგვეჩვენებოდა, როცა ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის, უცებ მოგვწყინდებოდა და ვიჩხუბებდით. გაივლიდა ერთი კვირა, შევრიგდებოდით და უფრო გვიყვარდა ერთმანეთი. ის ჩხუბი კატალიზატორივით მოქმედებდა ჩვენზე. რის ბრალი იყო ეს? მე ასე ვხსნი. დიდხანს ერთად ყოფნისას, პიროვნების სრულად შეცნობისას შეიძლება ადამიანი ისე გამარტივდეს, რომ უინტერესო გახდეს.

პროფესორმა სათვალე მოიხსნა, თვალები ავტობუსის ჭერს მიაპყრო და რაღაც რთულისა და იდუმალის თქმას აპირებდა, მაგრამ ოქროსთმიანმა ქალიშვილმა არ დააცალა:

– მე ვფიქრობ, ადამიანმა გული არავის არ უნდა გაუხსნას ბოლომდე.

ამ სიტყვებზე სავარძლებს შორის ფეხზე მდგარ, სახელურზე ჩამოკიდებულ სამ ბიჭს ერთდროულად გაეცინა.

– რა გაცინებთ?! – გაწყრა მოკამათე.

– დიახ, – ყოველთვის უნდა დაიტოვო რაღაც შენეული, გაუცემელი. ადამიანი ყოველთვის ახალი უნდა იყოს. ბოლომდე გაუშიფრავი. გულახდილებს ხშირად დასცინიან. გულახდილობა გულუბრყვილობაა.

– რას ლაპარაკობ, გოგო შენ?! – წამოხტა ქერათმიანის უკან აქამდე ჩუმად მჯდარი ლურჯსვიტრიანი ყმაწვილი, რომელსაც პირველსავე ფრაზაზე შეეტყო, რომ დასავლეთ საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხიდან უნდა ყოფილიყო, – გამოცანებით ლაპარაკი ჯობია გულახდილობას? ამ დამალვამაა რომ გაართულა ცხოვრება, ყველა რომ იმას ლაპარაკობდეს, რასაც ფიქრობს, ცხოვრება უფრო ადვილი იქნებოდა. აბა, რა, მით უმეტეს მეგობართან არაფერი დამალული არ უნდა გქონდეს!

სახელურზე ჩამოკიდებულ სამ ჯინსიან ბიჭს ისევ გაეცინა.

– ასე არის ეს! – განაგრძო ლურჯსვიტრიანმა, – გულახდილობას რა სჯობია, გულახდილობა პირველია!

– საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო, – თქვა ბატონმა ამბერკიმ და ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. პროფესორს არ სურდა უსისტემო სტუდენტურ კამათში მომრიგებლის როლი დარჩენოდა. ბატონ ამბერკის უყვარდა, როცა თვითონ ლაპარაკობდა და სხვები სულგანაბულნი უსმენდნენ. – ჩვენ ახლა საქართველოს მთიანეთში ვიმყოფებით. გაიხსენეთ ყაზბეგის, ვაჟას გმირები. რა მართლები, რა პირდაპირები, რა ვაჟკაცურნი არიან ისინი.

– მერე ეს მთის ბრალია? – ოდნავი პაუზა იშოვა თუ არა ჩაურთო ვიღაცამ. პროფესორი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

– მთის ბრალიც არის. მთა გაურყვნელია. იგი დიდხანს ინარჩუნებს ერის საუკეთესო ეთიკურ და ეთნოგრაფიულ თვისებებს. მთა მოდას ასე იოლად არ დაჰყვება. მთაში თითქოს დროც ნელა გადის. თუ გახსოვთ, საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი მაღალი მთიანეთი თემური წყობილებით შეხვდა.

– ეს, იქნებ, ერთი მხრივ კარგია, რომ მთა უფრო პატრიარქალურია და მუზეუმივით ინახავს ნაციონალურ თვისებებს, მაგრამ შესაბამისად ცივილიზაციაც რომ გვიან აღწევს? – ისევ აღელდა კრიტიკულად განწყობილი ქერათმიანი გოგონა.

– რას ეძახი, გოგო, შენ ცივილიზაციას?

– რას ვეძახი? ყველაფერთან ერთად თბილ წყალს და არა ძროხის ბაგაზე წოლას. იქნებ ძველად მთაში მცხოვრებნი თვეში ერთხელ იბანდნენ ტანს? დაფიქრდი აბა, სისხლის აღების სულელურ ჩვეულებაზე მეოცე საუკუნემდე უნდა გველაპარაკნა? და ცივილიზაციას კიდევ იმას ვეძახი, რომ როცა გოგოს ელაპარაკები, ხელებს არ უნდა იქნევდე და არ უნდა ყვიროდე! – არ დაუთმო აპილპილებულმა ქალიშვილმა.

– ძალიან ცივილიზებული ხალხი იყო ჩვენს საუკუნეში მაიდანეკს და ოსვენციმს რომ აგებდა, რა სისხლის აღებაზე ლაპარაკობ. ჯერ ერთი, სადაა სისხლის აღება და მეორეც, ცივილიზაცია პირობითია. ან მე და შენ არ გვესმის, რას ნიშნავს ცივილიზაცია. თუ ცივილიზაცია, შენი ჭკუით, თბილი წყალი და თმის ყვითლად შეღებვაა, ეგება ჯობდეს ცოტა მოთმენა და ამ ნასესხებ ცივილიზაციას არ შევაჭამოთ ის საუკუნური ცივილიზაცია, რომელსაც ფიც-ვერცხლის ჭამა, გატანა, ერთგულება, სამშობლოს გამახვილებული გრძნობა და თავდადება ჰქვია.

– ეს ყველაფერი სხვათა შორის კომფორტს, თბილ წყალს და ასეთ რაღაცებს სულ არ უშლის ხელს! – მიუგო ქერათმიანმა და თავისი რბილი, საყვარელი თმები თითების მოხდენილი მოძრაობით ისევ უკან გადაიყარა.

კამათი კვლავ რთულ განვითარებას იძენდა და პროფესორ ამბერკი გოგისვანიძის ჩარევა აუცილებელი იყო. პროფესორმაც არ დააყოვნა.

– გარდა ამისა, მთიელის ხასიათის ჩამოყალიბებას ბუნებრივი პირობებიც უწყობს ხელს, – ვითომ ამერიკა აღმოაჩინა, ბატონმა ამბერკიმ, – პირქუში ბუნება ადამიანს სიჩუმეს

აჩვევს. მაღალი მთები სისპეტაკეს და სიამაყეს უნერგავს. მძიმე კლიმატური პირობები ვაჟკაცობას და ამტანიანობას. იგი სტუმრის მონატრულია და ამიტომ უყვარს სტუმარი ასე განსაკუთრებით. მოიგონეთ ვაჟას და ყაზბეგის გმირები... – პროფესორი ამის მსგავს და უფრო საინტერესო რამის თქმას აპირებდა, მაგრამ ავტობუსი უეცრად შეჩერდა და უკანა რიგებიდან ვიღაცამ იყვირა: – ცხვარი! ექსკურსანტები ფანჯრებს მიაწყდნენ. მართლაც დიდებული სანახაობა იყო. ავტობუსი ცხვრის უზარმაზარ მდინარეში იდგა. გზა და მისი სანაპირონი კარგა მანძილზე გადათეთრებული იყო. მიდიოდნენ ცხვრები ჩქარი, ცხვრული ნაბიჯებით, დუმების თანთალით და თავის კანტურით. ირგვლივ ძაღლების ყეფა, ცხვრების პეტელი და მეცხვარეთა გაურკვეველი შეძახილი ერთმანეთში არეულიყო. ავტობუსში ვიღაცამ აზრი გამოთქვა, ერთი ცხვარი ვიყიდოთ და სტეფანწმინდაში, მუზეუმის დათვალიერების შემდეგ დავკლათო. პროფესორიც დაითანხმეს. ელვისსისწრაფით ჩამოკრიფეს მანეთ-მანეთი და ჟივილ-ხივილით ჩაცვივდნენ ცხვრის მდინარეში, წინ ამბერკი გოგისვანიძე მიუძღოდათ. პროფესორს მკლავზე თავისი განუყრელი მოსასხამი გადაეგდო და ხელში ახლახან მოგროვილი ოცდახუთი მანეთი ეჭირა:

– გამარჯობათ, – ხელი გაუწოდა პროფესორმა დაბამბულ რუსულ „ტელეგრეიკაში“ და გრძელ რეზინის ჩექმებში გამოწყობილ მწყემსს, ხელში დიდი კომბალი და ფაფახი ვაჟკაცურ იერს რომ აძლევდა.

მეცხვარემ სალამზე უპასუხა და გზის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ მისკენ მიპყრობილი ოცდახუთი სახე რომ შენიშნა, ეტყობა რაღაც უნდა მკითხონო, გაიფიქრა და შეჩერდა.

– გიმრავლოს ცხორი, – მოხევურად მოუქცია პროფესორმა და სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ მოუხდა ნათქვამი. მეცხვარეც, რასაკვირველია, მიხვდა ამ ხელოვნურობას და პროფესორის სურვილი უპასუხოდ დატოვა.

– ექსკურსიაზე მივდივართ, – დაიბნა პროფესორი და სიტყვებს დაუწყო ძებნა, მერე თითქოს გამოსავალი იპოვაო დაუმატა, – სულ რამდენი ცხვარი იქნება?

– ორი ათასამდე – მიუგო მეცხვარემ.

– ყოველდღე ითვლით? – იკითხა მეგრულ-აქცენტიანმა სტუდენტმა.

მეცხვარეს გაეცინა.

– რას ჰქვია ორიათასამდე, ზუსტად არ იცით რამდენია? – საუბარში ჩაერია ჩვენი ნაცნობი ქერათმიანი გოგონა, რომელიც მზის შუქზე და მწვანე ფერდობების ფონზე კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა.

– რაიდ არ ვიცი. ერთი ცხორ რომ დააკლდეს, გადავხედამთ და მაშინვე შევიტყობთ. – თავი მოიწონა მეცხვარემ და ჩვენი ქერათმიანი საეჭვოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ერთი ცხვარი გვინდა, ვერ შეელევით? – ჰკითხა სამი ჯინსიანი ბიჭიდან ყველაზე მაღალმა. მეცხვარემ კოპები შეიკრა და თავი გააქნია.

– სტუდენტს სურდა ეკითხა, ხომ ვერ მოგვყიდითო, – დააზუსტა პროფესორმა.

– რაიდ ვერ მაგყიდით, – დამშვიდდა მეცხვარე. მიიხედ-მოიხედა, ცხვარს შეერია, ცოტა ხანს იბუტბუტა, მერე ერთ-ერთს ხელი ჩაავლო და ქარავნიდან გამოათრია. – ეს გასაყიდ არს!

– რამდენს აფასებთ? – ჰკითხა პროფესორმა.

– სამ თუმან უნდა.

– ოცდახუთად არ შეიძლება? – გაულიმა ბატონმა ამბერკიმ.

– არა.

– იცით რა, – ბატონი ამბერკი შეეცადა აეხსნა მეცხვარისათვის, – ესენი პედინსტიტუტის სტუდენტები არიან. ფული მეტი არა აქვთ. ოცდახუთ მანეთს გაძლევენ და აიღეთ.

მეცხვარემ უარის ნიშნად განზე გაიხედა. ეტყობა, მასზე გულისამაჩუყებლად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ ექსკურსანტები სტუდენეტები იყვნენ.

პროფესორს სახეზე შეეტყო, რომ გული ეტკინა.

– დავამატებთ, პატივცემულო. – თქვა ვიღაცამ.

– დამატებაში არ არის საქმე, ფული მეცა მაქვს, მაგრამ საქმე პრინციპშია. რა მოსაზრება აქვს ისეთი, რომ მაინცდამაინც ოცდაათ მანეთად უნდა მოგვყიდოს ეს გამხმარი, გატყაული ცხვარი, – თქვა პროფესორმა ისე, რომ მასთან ახლოს მდგომ სტუდენტებს გაეგონათ.

– ალბათ ვალი აქვს, – იხუმრა ლურჯსვიტრიანმა. არავის გასცინებია.

– მეგობარო, ნუ გვაწყენინებ, მოგვეც ოცდახუთად, – შეეხვეწა ბატონი ამბერკი.

– მე არ მეხუმრების, – გაწყრა მეცხვარე, – თუ გინდათ, იყიდეთ, არადა მშვიდობით გივლიათ. – იგი ცხვარს განთავისუფლებას უპირებდა, მაგრამ ქერათმიანმა დაიყვირა. – არ გაუშვათ, გთხოვთ!

– უკანასკნელი ფასი გვითხარით, – პროფესორს სახეზე ფერი აღარ ედო.

– ოცდარვად წაიყვანეთ.

– საქმე იმაშია, რომ ჩვენ ოცდახუთი კაცი ვართ. მანეთმანეთი ჩამოვკრიბეთ.

– ხელმეორედ ჩამაჰკრიბეთ, – გაეცინა მეცხვარეს. პროფესორმა იფიქრა, რაკი გავაცინეთ, ეტყობა მოლბაო და მომენტი შეურჩია.

– აჰა, გამოგვართვი ოცდახუთი.

– არ იქნების! გითხარით, არ იქნების და მორჩა! – ხმას აუწია მწყემსმა.

– ნუთუ ასე ძვირფასია შენთვის ის სამი მანეთი, რომ ამდენი ხალხის წინაშე თავს იმცირებ?

– რად ვიმცირებ? – გაუკვირდა მწყემსს.

– ხომ ხედავთ, გოგონები გიყურებენ. ვაჟკაცი არა ხარ? დაგვითმე ოცდახუთ მანეთად, – თავმოყვარეობაზე ითამაშა პროფესორმა.

– თქვენ მაცლილ ხალხ ხართ. სათამაშოდ არა მცალია, ახლა ოცდარვადაც არ გაგატანთ, – გაბრაზდა მწყემსი. გამოუმშვიდობებლად და უცერემონიოდ გაეცალა.

* * *

ბნელოდა. ექსკურსანტები უკან ბრუნდებოდნენ.

დაღლილობა, სიცივე და დანჯღრეული ავტობუსი ახლა უფრო მძაფრად იგრძნობოდა.

ექსკურსიის მეორე ნახევარი აშკარად უხალისოდ ჩატარდა. მწყემსმა ყველას გუნება გაუფუჭა.

პროფესორი ამბერკი გოგისვანიძე მთელი გზა ჩუმად იჯდა, „ეტყობა დავბერდი, მომქანცა მგზავრობამ, რაღა დროს ჩემ ექსკურსიებია“, – დროდადრო გაიფიქრებდა პროფესორი.

მაგრამ მარტო ეს არ იყო მიზეზი, თუ პროფესორი შემდეგ ექსკურსიაზე უარს იტყოდა, ის მიზეზი არავის ეცოდინებოდა, თვით პროფესორის გარდა, ...და იქნებ სხვებისთვის ასე სჯობდა.

პოპულარული

კოტე მარდალეიშვილი დაბა კუხიანიძეში ერთბაშად იქცა ყველაზე პოპულარულ პიროვნებად. კუხიანიძე საკმაოდ მოზრდილი დაბაა, მაგრამ აქაც მოქალაქეთა ყურადღების მიქცევა არც მაინცდამაინც ძნელი საქმეა.

კუხიანიძეს ძალიან უყვარს გამოჩენილი პიროვნებანი. ჭორი კუხიანიძეშიც ელვის სისწრაფით ვრცელდება და ამას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვემო იმერეთის ამ ულამაზეს დაბაში გონებამახვილი და ტკბილმოუბარი ხალხი ცხოვრობს.

პოპულარობის სხვადასხვა მიზეზის მიუხედავად, კუხიანიძეშიც პოპულარობის ვადა ფრიად შეზღუდულია. აქ არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ პოპულარული კაცი. ეს დაბა მხოლოდ დროებით აგიყვანს ცაში, დროებით გაღიარებს და მალე გადაგისვრის დავიწყების ჭაობში. დაბას მალე სწყინდება პოპულარული ადამიანები. იგი გამუდმებულ ძიებაშია და როგორც კი არენაზე ახალ სახელს ამოატივტივებს, ძველს ბოდიშისმოუხდელად ივიწყებს.

სხვადასხვა დროსა და ვითარებაში ვინღა არ ყოფილა პოპულარული დაბა კუხიანიძეში. ვისზე არ ულაპარაკიათ არაჩვეულებრივი აზარტითა და სიყვარულით, ვინ არ მიუცილებიათ სახლამდე იდუმალი მზერით და ვის სახელზე არ შეუქმნიათ დახლართული სიუჟეტებიანი ლეგენდები. მაგრამ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. ღმერთმა ერთ დღეს ნუ გვანახოს მოწყენილი ჩვენი კოპწია დაბა.

დაბა დიახაც იმისია, რომ ერთი საჭორაო და სალაპარაკო რამ მაინც თუ არ ექნა, დაობდება, მოიწყენს, ენას ხავსი მოეკიდება.

კოტე მარდალეიშვილის უეცარი პოპულარობის მიზეზი შემდეგი გახლდათ: კოტემ ორდენოსანი კინოსტუდიის მიერ

გამოშვებულ ახალ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმში მთავარი როლი ითამაშა.

აქამდე ათი წელი გაატარა კოტემ კუხიანიძის დრამატული თეატრის სცენაზე. მისი შემოქმედებითი ალბომი არაერთ ურთულეს სცენურ სახეს ინახავს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გახდა კოტე პოპულარული. არა და სიმართლე გითხრათ, პოპულარობა კოტეს ოცნება იყო, მართალია, კოტე ოცდაჩვიდმეტი წლის კაცია, მართალია ცოლ-შვილი კარგა ხანია კისერზე აზის და იაფ გატაცებებსაც აწი ვეღარ აჰყვება, მაგრამ ვერც ერთხელ მაინც მდგარა ქალაქის ყურადღების ცენტრში, დამეთანხმება, რომ შემოქმედი კაცისათვის პოპულარობა დიდი ჯილდოა. გცნობენ, გიღიმიან, გიწვევენ, შენს გვერდით ყოფნა, შენთან სურათის გადაღება უხარიათ. უცნობებთან სხვათა შორის ჩამოაგდებენ შენზე საუბარს, ათას აფორიზმს, ათას ხუმრობას მოგაწერენ. შენს ჯანმრთელობაზე ამატირებელ ზღაპრებს ჰყვებიან, შენს სიყვარულებზე უამრავ მომხიბვლელ ლეგენდას შეთხზავენ. შენი ყველაფერი აინტერესებთ; ხმა, სიარული, ჩაცმა-დახურვა, მიხრა-მოხრა, მენიუ. წელიწადში თორმეტჯერ დაგირხევენ ხმას ცოლს შორდება და მავანს და მავანს ირთავსო. აბანოში ურიგოდ გიშვებენ, ნოქრები სხვებივით არ გძარცვავენ, სადგურის მოლარე ბილეთს როგორ დაგიკავებს, ქალიშვილები მრავლისაღმთქმელად გიღიმიან. ერთი სიტყვით პოპულარობა დიდი ჯილდოა. ნეტავ მას, ვინც პოპულარობას იაფი გზით კი არა, მუხლჩაუხრელი შემოქმედებითი შრომით მიაღწია. კოტეს პოპულარობა, რასაკვირველია, იაფად შეძენილი არ იყო.

ფილმი, რომელშიც კოტე მარდალეიშვილი მთავარ როლს ასრულებს, ერთ კვირაზე მეტია წარმატებით მიდის დაბის ყველა კინოთეატრში. კუხიანიძეში ახალი ქართული ფილმი ნამდვილი ზეიმი იყო. ქართულ ფილმს კბილი არ გაესინჯებოდა. წარმატებისათვის ისიც საკმარისი იყო, რომ კუხიანიძის მცხოვრებნი ერთხელ კიდევ თვალს შეავლებდნენ მათთ-

ვის საყვარელ კინომსახიობებს. ამჯერად კი ფილმის გამარ-ჯვება (დაბის და მისი ახლომახლო სოფლების მასშტაბით) გარანტირებული იყო. ჯერ ერთი, ფილმი ქართული გახლ-დათ და მეორეც, მთავარ როლს დაბა კუხიანიძის მკვიდრი, დრამატული თეატრის მსახიობი კოტე მარდალეიშვილი ას-რულებდა. ფილმისგან მიღებულ სიამოვნებას სრულჰყოფდა ის ფაქტი, რომ კინოთეატრიდან გამოსულ მაყურებელს იქვე ხვდებოდა პირველი სკოლის ეზოს ქვის მოაჯირზე მიყრდ-ნობილი ფილმის მთავარი მოქმედი პირი. ამ დროს კოტე, თითქოს აქ არაფერიაო, უდარდელად აბოლებდა და თავის მეგობრებს ესაუბრებოდა. თითქოს ვერ ამჩნევდა კოტე, რო-გორ იკვრებოდა წრე მის გარშემო, რა აღტაცებით, სიყვარუ-ლით, მოფერებით და შურითაც შეჰყურებდა მას კუხიანიძელ მაყურებელთა ათასი თვალი. გამოცნობა რომ არ გაჭირვე-ბოდათ, კოტე სწორედ იმ პერანგს იცვამდა, რითაც ფილმში გადაიღეს. ასე რომ დაბა კუხიანიძეში კოტეს დღეები იყო. კოტე ქუხდა.

მუდმივი სხვა რა არის, რომ კოტეს ნეტარება ყოფილიყო. ამბავი, რომელსაც გიამბობთ, ნახევარ დაბასაც არ გაუგია. მეორე დღეს კოტე (გამჩენმა აწი მაინც კარგად ამყოფოს) ისევ კინო „კომუნის“ წინ იდგა და მაყურებლებს მისი თვა-ლიერების სიამოვნებას არ აკლებდა, მაგრამ გუშინ ამ დროს ერთმა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ ცოტა დაანაღვ-ლიანა კოტე და გული არ მაძლევს რომ საიდუმლო შევუ-ნახო. თუმცა საიდუმლოც საიდუმლოს გააჩნია. სხვა შემ-თხვევაში ამ სტრიქონების ავტორი ენას კბილს დააჭერდა, მაგრამ ეს ამბავი ისეთი ჩვეულებრივი გახლავთ (რისგანაც თვით პატივცემული მკითხველიც როდია დაზღვეული) რომ, ვფიქრობ, კოტეს ავტორიტეტს ზიანს არ მოუტანს და ამი-ტომ ვამხელ.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ორშაბათ დღეს, ორ საათზე ჩვენი ნოველის პოპულარული გმირი ჩვეულებრივად კინოს წინ იდგა და, ღმერთმა მოთმენა მისცეს, ალბათ ბოლო სე-

ანსამდე იდგომებოდა, რომ უეცრად მუცლის არეში მწვავე ტკივილი არ ეგრძნო. ცოტა ხანს ითმინა კოტემ, იქნებ გადამიაროსო და რომ უკეთესობა ვერ შეატყო, ბიჭებს დაემშვიდობა და უახლოესი აფთიაქისკენ გაიქცა. მუცლის ტკივილი თანდათან მატულობდა. კოტემ ფერი დაკარგა. კუჭი ბორგავდა, არც ნაწლავები უნდა ყოფილიყვნენ უკეთეს დღეში. ერთი სიტყვით, თუ გამოცდილ მკითხველთან მაქვს საქმე, იოლად მიხვდება, რომ კოტეს რაიმე უსაშველო კი არ სჭირდა, უბრალოდ, თვით ყველაზე გამოუცდელი ექიმისთვისაც კი გასაგები მიზეზის გამო, კუჭი სტკიოდა.

საბედნიეროდ, აფთიაქში ერთი თმაგადასლექილი ფარმაცევტის გარდა არავინ იყო. კოტე სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა აფთიაქარს და თითქოს დიდი საიდუმლოს განდობას აპირებსო, ჩურჩულით ჰკითხა:

– უკაცრავად, მუცლის ტკივილის ხვარაფერი გაქვთ?

ფარმაცევტმა (იგი ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილი იყო. ვნებისმომგვრელი ნესტოები და გრძელი, განზე წასული წამწამები ჰქონდა) ერთი ამოხედა მსახიობს და თითქოს სხვათაშორის ჰკითხა:

– რისი?

– მუცლის გვრემის.

ქალიშვილს მეტი არაფერი უთქვამს. სახეზე ორივე ხელი აიფარა და ორიოდე ნახტომით წამლების დასაწყობი მბრუნავი კარადის უკან გაუჩინარდა.

კოტე დახლს არ მოშორებია. მუცლის ტკივილი წელში გამართვის საშუალებას არ აძლევდა და ასე დახლსჩამოყრდნობილი ცოტა შვებას გრძნობდა.

არ გაუვლია ორ წუთს და კარადის მიღმა სათვალიანი ქალის თავი გამოჩნდა. მალე სამი თეთრხალათიანი გამოფრიალდა. მარჯვენა მხარეს აფთიაქის მმართველმა გამოაღო კაბინეტის კარი, მოსული შეათვალიერა და თავის მაგიდას დაუბრუნდა. მმართველმა კარი ღია დატოვა. კოტე მარდალეიშვილი მისი კაბინეტიდანაც კარგად ჩანდა. მალე ის

ფარმაცევტი გოგონაც გამოჩნდა. გულმოდგინედ ცდილობდა სერიოზული გამომეტყველება მიეღო და როცა არ გამოსდიოდა, სახეზე ცხვირსახოცს იფარებდა.

– რა გნებავდათ? – ჰკითხა სათვალიანმა.

– მუცლის ტკივილის წამალი ვიკითხე. – მიუგო კოტემ და ეტყობოდა უკვე ნანობდა, რომ მაინცდამაინც ამ აფთიაქში მოუხდა შემოსვლა და ისიც ასეთ ნახევრადსერიოზულ წამალზე.

– მუცლის ტკივილის ორგვარი საშუალება არსებობს, ტკივილგამაყუჩებელი და კუჭის ასაშლელი. თქვენ რომელი გნებავთ? – დაშაქრული ხმით ჰკითხა ქალმა.

აფთიაქის სამმა თანამშრომელმა ერთდროულად გადაიხარხარა. მეოთხემ კი ისევ აიფარა ცხვირსახოცი და მიიმალა.

„ფეხი მომტეხოდა და აქ არ შემოვსულიყავი, რაღა ეშველება ამ საქმეს, რა ჯანდაბამ ამატკივა ეს უპატრონო. შენ დააწყნარებ ამგენს?“ – წუხდა კოტე.

– ერთი რამ გვაინტერესებს. ამირანი (კოტეს გმირს ერქვა) თხოულობს მერე იმ ორშვილიან ქალს? – ჰკითხა ერთმა თეთრხალათიანმა და დანარჩენ ორ თეთრხალათიანს გამოეყო.

– კი, ბატონო, – ცივად მიუგო კოტემ.

– რა გადასარევი კინოა! – აღტაცება ვერ დამალა მათ შორის ყველაზე ახალგაზრდამ და მსახიობს ღრმა, მეოცნებე თვალები გაუსწორა.

აქ დარჩენა არ გამოდიოდა, კოტემ გამოსავალი იპოვა:

– ასეა აბა? კარგი მაშინ... მუცლის წამალიო და... ჩემთვის მეტი არაფერი დაუბარებიათ. წავალ, ვკითხავ, რომელი უნდათ. რომელზე კეტავთ თქვენ?

– გვიანობამდე ვმუშაობთ!

– როცა გნებავთ მობრძანდით! – თითქმის ერთხმად წამოიძახეს ფარმაცევტებმა და გამოსულს გულდაწყვეიილი მზერა გამოაყოლეს.

ცხელოდა.

კოტეს ტკივილისაგან სული კბილით ეჭირა. ორივე ხელი მუცელზე მიედო და გარბოდა.

პოლიკლინიკაში თეთრად შეღებილ სკამზე ჩამოჯდა და სული მოითქვა. წამლების სუნმა გული კინაღამ აურია, მაგრამ მოითმინა და აღარც კი ახსოვს, როგორ აღმოჩნდა თერაპევტთან. ექიმის მოსაცდელი ხალხით გაივსო. ექიმებმა და მათმა გამოცდილმა თანაშემწეებმა თავიანთი ავადმყოფები მიატოვეს და სათითაოდ აღებდნენ კაბინეტის კარებს, სადაც ზეწარგადაფარებულ საწოლზე წელში ოთხად მოკეცილი კოტე მარდალეიშვილი იჯდა.

– ბოდიში, თქვენ კოტე მარდალეიშვილი ბრძანდებით ხომ? – ჰკითხა შუახნის მანდილოსანმა, რომელსაც თეთრი ხალათი ტანზე ასკდებოდა.

– დიახ, – უპასუხა კოტემ და შუბლზე ცივი ოფლი ცხვირსახოცით შეიმშრალა.

– ის არის! – გასძახა ექიმმა კარებს და თითქოს ნიშანი მისცესო. ცნობისმოყვარე ბრბომ ექიმის კარები შემოგლიჯა და ეკრანიდან ჩამოსულ კაცს გარს შემოეხვია. ავადმყოფებს ავადმყოფობა დაავიწყდათ, ექიმებს სამსახურებრივი მოვალეობა. ოთახში ტევა არ იყო.

მუცლის ტკივილის გამხელა, რასაკვირველია, აღარ გამოდიოდა. კოტე ძლივს გასწორდა წელში, რამდენადაც შეეძლო ტანჯვის კვალი მოიცილა და თეთრხალათიანს ჰკითხა:

– ბოდიში, თქვენთან სანდუხაძე ხომ არ მუშაობს?

– გოგოა? – იკითხა ბრბოდან ვიღაცამ.

– არა, ბიჭია, ახალი დამთავრებული აქვს. თბილისელია, ლოყაზე ტყირპი აქვს. დიდი ხანია არ მინახავს... კარგად იყავით... – სხაპასხუპით მიაყარა კოტემ შეკრებილთ და ავადმყოფ-ექიმთა მჭიდრო წრე სუსტ ადგილას გაარღვია.

მაშინ ხიდს გამოღმა, რედაქციის შენობის წინ ქალაქის მეორე პოლიკლინიკა იყო. გამწარებულმა კოტემ იქეთ ქნა პირი.

მორიგე ექიმი კაცი აღმოჩნდა. სანამ №2 პოლიკლინიკის თანამშრომლები კოტეს მოსვლას შეიტყობდნენ და დერეფან-

ში გამოეფინებოდნენ, მან გულდასმით გასინჯა ავადმყოფი და თავაზიანად ითხოვა, მეორე ოთახში გაბრძანდით, პირველი დახმარება უნდა აღმოგიჩინოთ.

როცა მეორე ოთახში გადიოდა. კოტე კარებთან შეკრებილთ ისევ ხელის აწევით მიესალმა და ათასგვარ შორისდებულში ეს სიტყვები გამოარჩია:

– ის არის!

– ხომ გითხარით!

– ცხოვრებაში უკეთესია!

– მე კინოში უფრო მომწონს!

– აქ რა უნდა ნეტავი?

– ანგელოზია პირდაპირ!

– აქ დაველოდოთ!

– გზა შევუკრათ!

– ცოლიანია?

მეორე ოთახში კოტე ცოტა ხანს მარტო იჯდა. მალე ცისფერთვალება, მაღალი ქალიშვილი გამოჩნდა. იგი იცინოდა და სახეს განზე აბრუნებდა. კოტემ ვერ გაიგო, რა აცინებდა.

– კუჭი უნდა ამოგირეცხოთ.

კოტემ ვერც ახლა გაიგო, რა იყო აქ სასაცილო.

– სიამოვნებით, – მორჩილად უთხრა მან ცისფერთვალებას.

მალე მეორე საშუალო ტანის, ინით შეღებილთმიანი ქალიშვილი შემოვიდა და მანაც სერიოზულად განუცხადა.

– კუჭი ამოურეცხეთო, ექიმმა.

– თანახმაა – ძლივს მოასწრო მაღალმა და სიცილისაგან კინაღამ წელში გადატყდა. კოტე მაშინ მიხვდა ყველაფერს, როცა ქალიშვილებმა მინის ოთხკუთხედი ქილით თბილი წყალი და წითელი ფერის რეზინის მილი შემოიტანეს (რეზინის მილი მაღალს, ცისფერთვალებას ეჭირა), ერთმა ქალიშვილმა მხარზე დაადო ხელი და რაღაც (გამამხნევებელი) უთხრა, მეორემ კი სახე გვერდზე შეაბრუნა და კოტემ დაინახა, როგორ ცახცახებდა სიცილისაგან გაგუდული ქალიშვილის ხელებში ოთხკუთხედი მინის თბილი წყლით სავსე ქილა...

როცა ინისფერთმიანმა უჩურჩულა, შარვლის გახდა მოგიწევთო, კოტე გონს მოეგო. ჯოჯოხეთური ტკივილის მიუხედავად, სწრაფად წამოხტა და მსახიობისთვის სარეკორდო სიჩქარით გაირბინა გრძელი დერეფანი.

კუჭი თავისას არ იშლიდა, შინისკენ გარბოდა ჩვენი დატანჯული გმირი და თავის სიცოცხლეში პირველად სწუხდა, რომ პოპულარული კაცი იყო. ... მეორე დღის ამბავი კი ჩვენმა ბევრისგამგონე და ყველგანნავალმა მკითხველმა უკვე იცის.

სამნი

კოსტა სანაძე ადრე იღვიძებდა. ვერ გეტყვით, რომ კოსტას ეს ძალიან მოსწონდა, მაგრამ ადრე ეღვიძებოდა და რა ექნა. უკვე მესამე წელიწადი იწურებოდა, რაც სოფელ ნაგებში ყველაზე ადრე ამდგომ კაცად აღიარეს. რა დაღლილიც უნდა ყოფილიყო, რა გვიანაც უნდა დაწოლილიყო, რადიოს პირველ მისალმებას კოსტა სანაძე ფეხზე ხვდებოდა.

ვინც ადრე დგება, ყველას შრომის ფრონტზე როდი მიუხარია. სისტემატურად ადრე ამდგომთა დიდი უმრავლესობა სათანადოდ შესწავლილი არ არის. რასაკვირველია, ჩვენდა საბედნიეროდ, ადრე დგება ის ჯანსაღი მოქალაქე, ვინც განთიადისას უახლოესი ჯიხურიდან გაფითრებული ურეკავს მილიციის მორიგეს: უნივერმაღის ვიტრინები ჩამტვრეულია, კარს ლუქი აღარ ადევს და საწყობში საეჭვო პირები ფუსფუსებენო. მაგრამ, შესაბამისად, უფრო ადრე დგებიან ისინი (საწყობში საეჭვოდ მოფუთფუთენი), მართლმსაჯულების დამცველი წუთი წუთზე რომ მოაკითხავს და თავისმართლების არნახულ პერსპექტივებს გადაუშლის.

კოსტა სანაძე და მისი ადრე ადგომა აქ იმისათვის დაგვჭირდა, რომ სოფელ ნაგების მიწათმოწყობის უფროს ზედამხედველს კანონიერების დარღვევის შესახებ ამბავი მოუტანოს. კოსტამ დროებითი საპირფარეშოს ფანჯრიდან კარგად დაინახა, რომ ხევსგაღმა, სასაფლაოს ცოტა ქვემოთ, მთის ძირში, ხელისგულივით პატარა ვაკეზე, ღამით კარავი გაჩენილიყო. კოსტას მეზობლები ძალიან უყვარდა, მაგრამ მეზობლებს იმის შემდეგ შეიყვარებდა, როცა დარწმუნდებოდა, რომ ისინი კანონიერი მეზობლები იყვნენ. მიწის ნაკვეთი მათს სახელზე იყო გაფორმებული და სახლიც სათანადო პროექტით და ნებართვით აეშენებინათ. მართალია,

კარვისადმი პროექტის კრიტერიუმი თავის კატეგორიულობას მაინცდამაინც ვერ ინარჩუნებს, მაგრამ კოსტამ შესანიშნავად იცის, რომ კარვის დადგმასაც თავისი წესრიგი აქვს. თანაც მას მოეხსენება არაერთი შემთხვევა ნაგების სინამდვილიდან, როცა იწყებდნენ საბოსტნე ნაკეკვთით, გადადიოდნენ კარავზე, კარავიდან ხის ჯიხურამდე (მოფერებით „სარაიას“, რომ ეძახდნენ), მერე „სარაია“, ზღაპრული ყუთივით ზომა-წონაში მატულობდა და ისე მაღლა იწევდა, რომ მარმარილოს კიბით ძლივს შეაღწევდი, ამიტომაც, და სხვა მიზეზთა გამოც, კოსტას სრული მორალური უფლება ჰქონდა დილაადრიან ზედამხედველის შეწუხებისა. ბოლოს და ბოლოს, ჩემს პირად საქმეზე ხომ არ ვაწუხებო, თავს იმართლებდა გზადაგზა კოსტა და ძალიან უნდოდა გარეგნულად არ შეტყობოდა, რომ ხსენებულ ადგილზე დიდი ხანია თვალი შევარდნოდა და ნასვენზე საქველმოქმედო მიზნით პომიდვრის რომელიმე ჯიშის გაშენებას აპირებდა.

მიწათმოწყობის ზედამხედველი მაშინვე წამოხტა და როცა კოსტასთან ერთად თავდაღმართზე ჩამორბოდა, გზადაგზა ცდილობდა მთლიანად შეესისხლხორცებინა თანამგზავრის ისედაც ღარიბული ცოდნა მის საზედამხედველო ტერიტორიაზე კარვის გაჩენის შესახებ. სხვა დროს შეიძლება ზედამხედველი ასე არ მოქცეულიყო, მაგრამ მიწათდატაცების ფაქტებისათვის წაყრუების გამო იგი ორი კვირის ნასაყვედურევი იყო და მოხსნისა ეშინოდა. კაცმა რომ თქვას, ზედამხედველი ასეთ ადგილს სხვაგანაც იშოვიდა, მაგრამ სულ რაღაც წელიწადნახევარი დარჩენოდა პენსიაში გასვლამდე და ჭარმაგ კაცს ახალი სამსახურის ძებნის თავი აღარ ჰქონდა. უნდოდა როგორმე პენსიაში გაესწრო და თავი სამშვიდობოს დაეგულებინა. საერთოდ ეს ზედამხედველი ცუდი კაცი არ იყო.

ოპერაციის სულისჩამდგმელმა კოსტა სანაძემ კარავი დაანახვა სახელმწიფო მოხელეს და თვითონ, უსაფრთხოებრივი მოსაზრებით, თავის ეზოში შევიდა. მართლაც და ხომ

შეიძლებოდა ახალ მეზობლებს ეჭვი აეღოთ, ეს ზედამხედველი კი, მოვალეა თანამდებობრივად ეკუთვნის მოსვლა, მაგრამ ეს მისი მომყოლი ვინღა არისო. სულმა ხომ არ წაძლია, დაპირებულმა ჯილდომ ხომ არ დააბრმავა და ხომ არ დაგვასმინა ნეტავიო. კოსტას მოწმეთა თანდასწრებით მოქმედება არ უყვარდა. იგი ოპერაციის შუაგულში არ იჭრებოდა. ცეცხლს დაანთებდა თვითონ მოკრძალებით განზე რჩებოდა. ასეთი ხასიათი ჰქონდა კოსტას და მოკალი თუ გინდა.

ბევრი უარა ზედამხედველმა კარავს, მაგრამ დასაკაკუნებელი ადგილი რომ ვერ მოუნახა, ბრეზენტის კარი გადასწია და თამამად შევიდა. სადად მოწყობილ კარავში ჭუჭრუტანებიდან დაძრული სინათლე ჭიატებდა. მოთელილ ბალახზე ჭილოფი ეგო. ჭილოფზე სამკუთხედს ქმნიდა სამი საძილე ტომარა. ზედამხედველს ხმა არავინ გასცა და ამიტომ ერთი-ორჯერ შესამჩნევად უნიჭოდ, არაბუნებრივად ჩაახველა. საძილე ტომრები სდუმდნენ.

– არის აქ ვინმე?! – ჩასძახა ტომრებს ზედამხედველმა, თუმცა კარგად არჩევდა საძილე ტომრებიდან ამოჩრილ თავებს და ერთერთი ტომრიდან მოკრძალებული ხვრინვაც ესმოდა.

საძილე ტომრები ამოძრავდნენ. კარავში დაირხა:

– გახედე, ბიჭო, ვაჟია, – სტუმარია ჩვენთან.

ტომარა დანადასმულივით გადაიხსნა და ზედამხედველმა თვალი მოჰკრა საძილე ტომრის თბილი მუცლიდან როგორ გამოიჩეკა საშუალო ტანის გამხდარი ბიჭი. მან ჯერ მოსულს შეავლო თვალი, მერე პერანგის ღილები დინჯად შეიკრა, საძილე გულმოდგინედ დაკეცა და კარავის კუთხეში მიაგდო. მიიხედ-მოიხედა, კეფა მოიფხანა და რაკი სკამი ვერსად დალანდა, ისევ საძილე ტომარას მიუბრუნდა, სტუმარს ფეხებთან დაუდო და მშვიდი ხმით უთხრა:

– დაბრძანდით, ბატონო.

– რომელია თქვენი უფროსი?! – რიხიანად იკითხა ზედამხედველმა. გამხდარს ეხამუშა სტუმრის კილო. მან ტუჩზე ხელი მიიდო და თითქმის ჩურჩულით აცნობა:

– ჩუ... ჩუმად. რა გაყვირებს. – ტომრებს გადახედა, – უფროსს სძინავს, – და საძილე პარკზე თავაზიანად მიუთითა მოსულს, – დაბრძანდით.

– სად მიდიხართ? – დაინტერესდა ზედამხედველი.

– არსად, – მიუგო დამხვდურმა და რაკი დარწმუნდა, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი უფრო ხმადაბლა თქმას არ აპირებდა, ორივე ტომარა ნაზად დაარწია. გაჩერდა, ცოტა ხანს მიაყურა და რაკი ტომრები სდუმდნენ, ახლა უფრო ენერგიულად დაუწყო ნჯღრევა.

– რა იყო, ბიჭო? – თავი ამოყო სუფთად თავყბაგაპარსულმა მამაკაცმა. ზედამხედველმა უკვე შეაჩვია თვალი კარვის სინათლეს და კარგად გაარჩია, რომ გაპარსულს კეხიანი ცხვირი და არწივისებური გამოხედვა ჰქონდა.

გამღვიძებელმა ფეხზე მდგომისკენ მიახედა თავისი თანამეკარვე.

მალე ზედამხედველის წინაშე სამი ბიჭი იჯდა. ისინი თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. უბრალოდ, ღარიბულად ეცვათ. ძმები აღმოჩნდნენ. პირწმინდად გაპარსული უფროსი იყო. ოდნავ გაბზარული ხმა ჰქონდა. მის ლამაზ, მრგვალ თავს და კეფასმიკრულ ყურებს თითქოს უხდებოდა უთმობა. ფეხმორთხმით იჯდა და ჩექმის წვერს ჯოხს უკაკუნებდა. შუათანას ძირს ჩამოვრილი ოდნავ შეთხელებული თმები და შავი, ხშირი წარბები თითქმის უფარავდა შუბლს. დაძარღვული ხელები მუხლებზე ეწყო. დაკუნთულ მკლავებზე და გამოკვეთილ ბეჭებზე ასკდებოდა მოკლესახელოებიანი ჩითის პერანგი. უმცროსი ფერმკრთალი პირისახის, გამხდარი, კარგად ასხმული ყმაწვილი კუთხეში მიმჯდარიყო და ტილოს თეთრ ტუფლებს შავად ღებავდა. უფროსი ოცდაათწლამდე იქნებოდა. ძმები დიდი დიდი ორი-სამი წლით თუ ჩამორჩებოდნენ ერთიმეორეს.

უფროსი ნაწყვეტ-ნაწყვეტად საუბრობდა და ზედამხედველს პირდაპირ თვალებში უყურებდა. შუათანას ერთხელაც არ აუწევია თავი. იგი მიწას დასცქეროდა და თვლიდა, რომ საუბარში მისი ჩარევა საჭირო არ იყო. დამწყები ისედაც

კარგად ჰყვებოდა. შუათანამ მხოლოდ ერთხელ თავისი ბოხი, ხავერდოვანი ხმით გააწყვეტინა სიტყვა უფროსს.

– ბიჭო, ვაჟია, ავარდი ერთი ზევით. ყველ-პური იყიდე და ერთი ბოთლი ღვინოც გამოიძღვანიე. შევრცხვით ამ უცხო კაცთან.

ვაჟა კარებს ეცა, მაგრამ სტუმარი წინ გადაუდგა.

– ნუ წუხდებით, მეჩქარება, არ ღირს. – მან თითქმის ხელში აიყვანა, გასაფრენად გამზადებული ვაჟა და ადგილზე დააბრუნა.

– ჩვენი საქმე ასეა, ბატონო, – განაგრძობდა უფროსი, – ბოდიშს ვიხდით, სახელი თქვენი დამავიწყდა.

– გოგი, ალექსანდრე.

– ბატონო? – ყურს ხელი მოახმარა უფროსმა.

– გოგი, ალექსანდრე. ორივე მქვია, რომელიც გინდათ დამიძახეთ, – კუშტად მიუგო ზედამხედველმა.

– ალექსანდრე ბატონო, – უფროსმა ძმამ რატომღაც „ალექსანდრე“ აირჩია, – მე ბონდო მქვია. ამას მაქსიმე (შუა-თანაზე მიუთითა) უმცროსი ვაჟა გახლავთ. ჩვენი საქმე სხ-ვანაირადაა, ალექსანდრე ბატონო. ჩვენ ახლა ბავშვები აღარ ვართ და ყველაფერი ვიცით ცოტ-ცოტა. რასაკვირველია, თქვენ მართალი ბრძანდებით. კანონი კანონია. უნებართვოდ ვინ ჩაგასახლებს და წესიერმა კაცმა არც უნდა კადრო შენს თავს, რომ ამისთვის შენიშვნა მოგცენ. მარა ჩვენს საქმეს არ ეწყობა ეს კანონი. ჩვენი საქმე სხვანაირადაა. გიამბობთ ყველაფერს და თუ გასამტყუნარი ვართ, გაგვამტყუნეთ. სამი ძმები ვართ ჩვენ. მშობლები არა გვყავს. ბავშვობა სხვადასხ-ვა ბავშვთა სახლებში და ინტერნატებში გავატარეთ. მერე მოვძებნეთ ერთმანეთი და ახლა აგერ ათი წელიწადია ერთად ვართ. არ გეწყინოთ, ბატონო და ორი სიტყვით გეტყვით, რა ხალხი ვართ ჩვენ. მე ჩემო ბატონო, ვთარგმნი ხანდახან ინგ-ლისურიდან ქართულად წიგნს. ორი უმაღლესი დავამთავრე. ჯერ უცხო ენები და მერე უნივერსიტეტი – ფილოლოგიური. თარგმნა ძნელი საქმე ყოფილა. წლიდან წლამდე ხანდახან

ერთ წიგნს ვუზივარ. ეს ჩემი ძმა, მაქსიმე, პროფესიით ჟურნალისტია, ჯერჯერობით სხვაგან ვერაფერი იშოვა და ბიბლიოთეკაში მუშაობს. უმცროსი, ვაჟა – მხატვარია. წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია და ვნახოთ, რას იზამს – ეს ვართ ჩვენ. ახლა გაგიკვირდებათ მარა, აქამდე სტუდქალაქში ვცხოვრობდით. ახლა სტუდენტები აღარ ვართ და ხომ არ შევაბერდებით ამ სტუდქალაქს. გვპირდებიან ბინას, მოგვცემენ, ალბათ, როცა იქნება, მანამდე ერთ ვიწრო ოთახში ჩაკეტვას ჰაერზე ყოფნა ვარჩიეთ, რა დასამალია და რვა თუმანს ვერ მივცემთ, ჩემო ბატონო, ოთახის დაქირავებაში. ნაკლებად იმნაირს ვინ მოგცემს, რომ სამმა კაცმა ფეხები გაშალოს. გუშინ ვიყიდეთ ეს კარავი. შევათვალიერეთ ადგილები და (ჩაეცინა) ეს ადგილი ძალიან მოგვეწონა. წყლისპირია და ქალაქთან ახლოსაა. შემოქმედი ხალხი ვართ, ბატონო და, არ გაგეცინოთ, სოფლური იდილია მოგვენატრა, ჩიტების ჭიკჭიკის და ბაყაყების ყიყინის მოსმენა გვინდა.

– წასულიყავით მაშინ სოფელში? – ეს ტრაფარეტული რჩევა თუ კითხვა ძლივს ამოღერღა ზედამხედველმა.

– ვიცით, ალექსანდრე ბატონო, მაგრამ ჯერჯერობით, ხომ გითხარით, სხვადასხვანაირადაა ჩვენი საქმე. ჯერჯერობით ქალაქს ვართ მიჯაჭვული. მე – ჩემი თარგმნით და ხელშეკრულებებით. აქ თუ არ იქენი, თუ არ მიდექ-მოდექი, სოფელში ვინ გამოგიგზავნის სათარგმნელს. მაქსიმე – თავისი სამსახურით. ვაჟა ახლა იწყებს მხატვრობაში ნაბიჯის გადაგმას და პატარა სახელი თუ არ ექნა, კაციშვილი ყურადღებას არ მიაქცევს, არც აქ და არც სოფელში. ასე რომ, ჯერჯერობით ასეა ჩვენი საქმე. ხვალ ვინ იცის, ვინ საით წავა.

ალექსანდრე ჩაფიქრდა. მისი თანამდებობის კაცისათვის ჩვეულებრივი სიტყვები („ვინ მოგცათ უნებართვოდ კარვის ჩადგმის უფლება, იცით თუ არა, რომ პასუხს გაგებინებენ, ახლავე გამოვუძახებ მილიციას, ნახევარ საათში გაათავისუფლეთ ტერიტორია“...) აქ აღარ გავიდოდა. ალექსანდრემ გაიფიქრა, შეგნებული ბიჭები არიანო და თავის შეცოდების გზას დაადგა.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აწი რაღას აპირებთ?

– რას ვაპირებთ, ბიჭო? – ბონდომ მაქსიმეს შეხედა, ამით აგრძნობინა, ჩავერიე ლაპარაკში, ამ ერთ კითხვას მაინც უპასუხე შენო.

– ჩვენ არაფერს არ ვაპირებთ, ბატონო. – განზე გაიხედა მაქსიმემ – მეტი გზა, ერთი არაკის არ იყოს, ჩვენ არა გვაქვს. თქვენ თუ აპირებთ, რამეს, გვითხარით და რა ვქნათ ახლა, სადაც საჭირო იქნება, იქანა ვაგებთ პასუხს.

– ბავშვები რომ იყოთ, სხვა საქმეა. – მშვიდად თქვა ალექსანდრემ, – განათლებული, ნავალი ხალხი ყოფილხ-ართ. ხვალ რომ ჩამოივლის მილიცია, როგორ ფიქრობთ, ამ საქმისთვის თავზე დაგვისობენ ხელს, ან მე და ან თქვენ?

– მილიციით ნუ გვაშინებ, პატივცემულო! – გაცხარდა ვაჟა. – გამოგზავნეთ მილიცია და ჩვენ ვეტყვით რავარც საჭიროა. სამი ძმისთვის პატარა კარვის გასაშლელი მიწა თუ გაწყდა ამ ქვეყანაზე, ვიკითხავთ იმასაც.

– გაჩერდი, ბიჭო შენ! – ისეთი ტონით უთხრა უფროსმა ძმამ უმცროსს, რომ სტუმარს ეგრძნო, თქვენი ხათრით ვაჩუ-მებ, თორემ ახლა ჩვენში დარჩეს და მართალს ამბობს ეს ბავშვიო.

– რა გავჩერდე, აბა რას მიხსენებენ მილიციას აქანა. მი-ლიციამ ქე იცის ვის უნდა სდიოს. – გული მიეცა ვაჟას.

– საქმე არაფერი გაქვს, ბიჭო, შენ?! – გაწყრა მაქსიმე – გკითხა ვინმემ რამე? რას ერევი კაჭკაჭივით ამ სხვების ლაპარაკში. იჯექი მანდ შენთვის და თუ გკითხავენ რამეს, უპასუხე, არადა, რას იღლი თავს. ვკმარვართ ჩვენ აქანა ჯერჯერობით.

– რა ვთქვი ამისთანა. – ჩაიბუზღუნა ვაჟამ და ისევ თა-ვის საყვარელ საქმეს (თეთრი ტილოს ფეხსაცმელების შავად შეღებვას) დაუბრუნდა.

– რა მოგეწონათ ახლა მაინცდამაინც ამ ადგილის. – უკანასკნელი იმედიღა დარჩა ალექსანდრეს, – ერთი ჩავარდნი-ლი ადგილია. ზაფხულში კაცი სულს ვერ მოითქვამს. კარგი რომ

იყოს, როგორ ფიქრობთ, არ დასახლდებოდა აქამდე ვინმე? მე მომთხოვენ პასუხს... ადგილია ჩავარდნილი... არ გამოდის ასე... პირველი შემთხვევა კი არაა, არ ვიცი მე... აღარაფერი აღარ ვიცი – ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ალექსანდრე და როცა დარწმუნდა, რომ ძმებს უკვე მისი აზრი აღარ აინტერესებდათ, რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზა კიდევ დააგდო კარავში და წელმოწყვეტილივით გააბიჯა. გარეთ გამოსვლისას კი თავის თავს უსაყვედურა: „ახია ჩემზე, რაც მომივა. ჩემნაირ რბილ კაცს როგორ უნდა ანდოს მთავრობამ ამხელა ადგილიო“.

კოსტა სანაძეს ფარდა ოდნავ გაეწია და აღმართზე მიმავალ მიწათმოწყობის უფროს ზედამხედველს შესცქეროდა. ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. მან არ იცოდა, როგორ დამთავრდა ალექსანდრესა და მოაგარაკეთა შორის მოლაპარაკება. როცა ზედამხედველი თვალს მიეფარა, კოსტა ფანჯარას მოშორდა და ძველთაძველი კარადის თავზე, სამოვრის გვერდით დადგმულ სარკეში დიდხანს ათვალიერებდა თავის სახეს.

ალექსანდრეს წასვლის შემდეგ კარავში სიჩუმე ჩამოწვა. ეტყობოდა ძმებისთვის ზედამხედველის ვიზიტი მოულოდნელი არ იყო.

– რავა იტყვი შენ, მაქსიმე, – ამოკვნესასავით გაისმა კარავში ბონდოს ხმა, – წავიდეთ ვითომ აქედანაც?

– არსად არ მივდივარ მე. ნუ დაგლახავდები მთლად. ჩიტს ვერ აგვიფრენს ვერავინ, – უპასუხა მაქსიმემ.

– კაცო, მე ჩემზე კი არ ვამბობ. მე რაის მეშინია და არაფრის, მარა ეს პატიოსანი კაცი რომ ჩავარდეს ჩვენი გულისთვის, გაგეხარდება შენ? ხომ ხედავდი, მე მომთხოვენ პასუხსო.

– არ ჩამოახრჩობენ, ნუ გეშინია, სადაც არ უნდა მივსულიყავით, ასე იქნებოდა იქაც. ამაზე უკეთეს ადგილს ჩვენ, ტყუილია, ვერ ვნახავთ. ხელს არავის ვუშლით და სიწყნარეცაა. რაც მთავარია ორ ფეხის ნაბიჯზე ვართ ქალაქთან. ჩევირბენთ მოკლეზე და სასაფლაოდან ყოველ წუთას გადის ტროლეიბუსი.

– გეჩქარება, ახლა ბონდო შენ სადმე? – იკითხა ვაჟამ.

– არა, უპასუხა ბონდომ.

– მაქსიმე, მიდიხარ ახლა ქვევით? – ახლა მაქსიმეს მიუბრუნდა ვაჟა.

– რა იყო? – კითხვა გაუმეორა მაქსიმემ.

– რა იყო და დღეს მაინც წავიდეთ. გადავიღოთ სამივემ სურათი, ერთად. სურათიც არ გვაქვს ერთად გადაღებული, საქმეა ეს?

მაქსიმემ წინადადება პასუხის ღირსად არ ჩათვალა. ბონდომ კი, რამდენადაც მოუხერხდა, ტკბილად უთხრა უმცროს ძმას:

– მოვასწრებთ სურათის გადაღებას. ხვალეც ამთვისაა. რაია ასე საჩქარო. ხომ არაფერს აპირებ ვაჟია?

– ხვალ, ვინ იცის, ვინ საით ვიქნებით. ერთხელ ვერ მოვაბით თავი ამ საქმეს. სირცხვილია, რას იტყვის ხალხი, ერთად სურათი არ გადაგვიღია ძმებს.

როცა ზურგჩანთებზე დახრილ ბონდოს და მაქსიმეს შეავლო თვალი, ვაჟა ერთბაშად გაჩუმდა, ჩანს იგი მიხვდა, რომ ძმებს უფრო სერიოზული საქმე აწუხებდათ, ვიდრე ერთად სურათის გადაღება იყო.

* * *

შაბათ-კვირას ძმები ქალაქს სტოვებდნენ: აიკიდებდნენ ზურგჩანთებს, ისაგზლებდნენ შავ პურს და გასტრონომის ყველს და მიდიოდნენ. საგარეუბნო მატარებელთა კონდუქტორები კარგად იცნობდნენ ძმებს და ბილეთს აღარც კი უსინჯავდნენ. ეს რამდენიმე წელიწადია ბონდოს, მაქსიმეს და ვაჟას ჩვეულებად ექცათ ხეტიალი. მათ ფეხით მოიარეს საქართველოს თითქმის ყველა რაიონი. მოინახულეს უამრავი კულტურის ძეგლი. ეს არ იყო ჩვეულებრივი ექსკურსია. ძმები არცთუ ნასიამოვნები ბრუნდებოდნენ ამ ექსკურსიიდან, ისინი შრომობდნენ, წვალობდნენ და იტანჯებოდნენ კიდეც ზოგჯერ, დაიგულებდნენ ნახევრადმიტოვებულ ეკლესიას, რომლის მსგავსიც მრავალია ჩვენს კურთხეულ მიწაზე და შეე-

სეოდნენ. ერთი საფლავის ქვებს ხავსს აცლიდა, მეორე უგვარო წარწერებს ფრთხილად შლიდა, მესამე სახურავჩანგრეულ შენობას, ღიად დარჩენილ კედლებზე კრამიტებს ალაგებდა. მერე უფროსი გაიქცეოდა სოფლის საბჭოში ან ეკლესიის დარაჯს უხმობდა, დაარიგებდა, ასე ქენი, ისე ქენი, მოუარე იქაურობას, მოქეიფე ხალხი არ ჩამოუშვა, ქვა არ გაატანო არავისო. თუ მასპინძლები მათი ვინაობით დაინტერესდებოდნენ, ძმები ერთხმად პასუხობდნენ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინა ვართ, ქართველები ვართ, განა ეს საკმარისი არ არისო? ძმებს სქელი ალბომი სავსე ჰქონდათ ჩანაწერებით. თუმცა ჩაწერა არც კი სჭირდებოდათ, ძილშიაც ახსოვდათ, რომელ ძეგლს რა სტკიოდა, რას სჭირდებოდა რესტავრაცია, ვინ იყო ამა თუ იმ ეკლესია-მონასტრის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი და როგორ ასრულებდა თავის საქმეს. ძმები თავისებურად პატრონობდნენ თავის ქვეყანას. ისინი, ამ ბოლო დროს, მხოლოდ ერთმანეთს შესჩიოდნენ გულწრფელი ჩივილით; („დაინახე, რავა ინგრევა ეს კედელი?“, „აქ ხომ დიდი ქვა ეგდო წინა შაბათს?“ „დიდუუ, სპილენძის ფილები ქე წაუღია ვიღაცას“, და ა. შ.), სხვებთან აღარაფერს ამბობდნენ ამის შესახებ, რადგანაც ერთხელ გული გაუტყდათ და ცდილობდნენ მათი რუდუნება სხვებისთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. რაზე გაუტყდათ გული? დაწერეს ერთხელ ძმებმა დიდი წერილი, დაარქვეს „რას ჩივიან მიტოვებული ციხე-მონასტრები“ (წერილში ლაპარაკი იყო იმ ძეგლთა შესახებ, რომლებიც რატომღაც უმნიშვნელოვანეს ძეგლთა სიაში არ აღმოჩნდნენ და ამიტომ მათს მოვლა-რესტავრაციაზე ცოტა ვინმე ზრუნავდა) და მიადგნენ ერთ რედაქციას. რედაქტორმა მოუსმინა ძმებს და ჰკითხა. „თქვენ როგორ ფიქრობთ, არ არის სახელმწიფოს მიერ თანხა გამოყოფილი?“ „თანხა, როგორ არა, – მიუგეს ძმებმა, – დადგენილებაც არის, მაგრამ არ სრულდება, მიუკაკუნებენ აქა-იქ, წაუსვამენ გლახა საღებავს, მიაკრავენ დაფას; ამა და ამ საუკუნეშია აშენებულიო და ამით თავდება ყველაფერი“. „ესე იგი თქვენ ედავებით

ცალკეულ პირებს ხომ?“ – იკითხა რედაქტორმა. „დიახ“, – მიუგეს ძმებმა. „ვის მაინც?“ ეს რედაქტორი, განსხვავებით სხვა რედაქტორებისაგან, ცოტა უყურადღებო კაცი იყო და ამიტომაც წეღან წერილი ბიჭების თანდასწრებით უხალისოდ, უაზროდ წაიკითხა და აღარ ახსოვდა, ვის ედავებოდნენ ძმები. „ჩვენ ძეგლების მიმართ უყურადღებობისათვის ვაკრიტიკებთ ამას, იმას და ამასო“, – აუხსნეს ძმებმა. რედაქტორმა მაშინვე გადაწყვიტა, რომ წერილს არ დაბეჭდავდა, მაგრამ ეს გულისამრევი დასკვნა ძმებს ორთვიანი მომქანცველი ლოდინის შემდეგ აუწყა. ძმებმა ჩამოუარეს თითქმის ყველა საზოგადო მოღვაწეს. ყველა მეცნიერს, ვისი აზრისთვისაც რედაქციას ანგარიში უნდა გაეწია. წააკითხეს წერილი და მოაწერინეს ხელი, რომ თანახმა იყვნენ ამ სტატიის გამოქვეყნებისა. მაგრამ წერილი მაინც არ დაიბეჭდა.

მერმე ძმებმა სცადეს ძეგლის მოყვარულთა სხდომა მოეწვიათ. დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრისათვის თავი მოეყარათ და იქ ეთქვათ თავიანთი სათქმელი. მაქსიმემ გადაწყვიტა ღონისძიება იმ ბიბლიოთეკაში ჩაეტარებინა, სადაც თვითონ მუშაობდა. გააკრეს განცხადება. ჩამოურეკეს ძეგლის მოყვარულებს და სხდომის დაწყებამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, რომ ძმები დიდი გაუგებრობის წინაშე აღმოჩნდნენ. მაქსიმემ იფიქრა, ბარემ კულტმასობრივი სექტორის გამგესაც ვთხოვ დასწრებას, გაუხარდებაო და ქუდი იშვლიპა.

კულტმასობრივი სექტორის გამგე, თურმე გამწყრალი იყო, რატომ მე არ შემითანხმეს ასეთი კარგი ღონისძიება, მუშაობაში მეც ჩამეთვლებოდაო და მაქსიმეს ცოტა უხალისოდ შეხვდა.

– კი მაგრამ, მომზადებული გაქვთ სხდომა? – იკითხა სექტორმა.

– კი, – უპასუხა მაქსიმემ.– ვინაა მომხსენებელი?

– მომხსენებელი კარგი მყავს, სხვა თქვი შენ თვარა. – კეფა მოიფხანა მაქსიმემ.

– ვინაა მაინც?

– ჩემი ძმა ბონდო.

– თანამომხსენებელი თუ გყავთ?

– კი. მე ვიქნები თანამომხსენებელი.

– სიტყვაში ვინ გამოვა? – ენა – ჩაუვარდა სექტორის გამგეს.

– სიტყვაში ჩემი უმცროსი ძმა ვაჟა, და გამოვლენ ალბათ სხვებიც.

– ჰოდა, გენაცვალე, ასეთი სხდომა სახლში ჩაატარეთ. ბიბლიოთეკა აქ არაფერ შუაშია.

– რას ლაპარაკობთ? – დაიქუხა მაქსიმემ.

– ნუ ყვირი! – ხმას აუწია სექტორის გამგემ, – ვინ მოგცა უფლება, ოჯახურ სხდომას ბიბლიოთეკის სახელით რომ ატარებ. იცი შენ რას ნიშნავს ბიბლიოთეკის ძეგლის მოყვარულთა სხდომის ჩატარება? უნდა გახსნას დირექტორმა, მოხსენება უნდა წაიკითხოს ადგილკომის თავმჯდომარემ, სიტყვები უნდა თქვან განყოფილების გამგეებმა, და თუ დრო დარჩა, სხვებმაც, სხდომა უნდა შეაჯამოს დირექტორმა.

მაქსიმეს ნერვები არ ეყო, ცუდი არაფერი წამომცდესო და კარები გამოიჯახუნა, მას ფეხდაფეხ გამოჰყვა კულტმასობრივი სექტორის გამგე, რომელმაც ბიბლიოთეკის კარებზე გაკრული ვაჟას დაწერილი განცხადება ჩამოხია, დაქმუჭნა და სანაგვე ყუთში ჩატენა. ამის შემდეგ ძმებს საზოგადოებრივ ღონისძიებებზე კრინტი არ დაუძრავთ. ძეგლები კი კვლავ ძველებურად უყვარდათ და მათი მოვლისათვის ყველაფერს აკეთებდნენ. ძეგლების მოვლა ძმათა ჩვეულებრივ საქმედ, მოთხოვნილებად იქცა.

* * *

კოსტა მართალი გამოდგა. ძმებმა კარავს ნაგვერდულების კედლები ააფარეს. გამხმარი მაზუთის ქაღალდით („ტოლს“ რომ ეძახიან) გადახურეს. კედლები ყავრით შეკრეს და მიწით გალესეს. საიდანღაც თუნუქის ღუმელი მოათრიეს და ფანჯარაში გააყოფინეს თავი. საძილე ტომრები შე-

ზლონგებით შეცვალეს. ტაბურეტის სისტემის სამი სკამი იშოვეს. რეპროდუქტორი შეიძინეს და ჭერზე დაჰკიდეს. ხელისგულისხელა მიწაზე ატმის და ალუბლის ნერგები ჩაჰყარეს. სამი ქათამი იყიდეს და შორს რომ არ წასულიყვნენ, ფეხზე რკინის ნაჭრები გამოაბეს. ბონდო მეფუტკრეთა საზოგადოებაში ჩაეწერა და მალე ეზოში სამი სკა გაჩნდა. ძმებს ხელში მეფუტკრეობის პოპულარული ბროშურა „ქართული ფუტკარი“ ეჭირათ და მორიგეობით კითხულობდნენ. მაქსიმემ ვიღაცას თათრის ძაღლის ლეკვი გამოართვა და ეზოში დააბა. გამოიწერეს გაზეთი და სოფელ ნაგებში ახალი კომლი გაჩნდა. არავითარი უბედურება არ მომხდარა. მიწათმომწყობის უფროსი ზედამხედველი არ მოუხსნიათ. სასოფლო საბჭოში ორჯერ დაიბარეს ძმები და მესამედ კომლად ჩარიცხვის წიგნაკი მისცეს. ძმები მიწის რენტის გადასახადს იხდიდნენ. ძმების ქოხში ელექტრონის სინათლე ენთო, ძმები ცხოვრობდნენ.

ვნებები დაცხრა. ყველამ დაისვენა. შაბათ-კვირას ძმები ისევ ძეგლებისაკენ მიეშურებოდნენ. მხოლოდ და მხოლოდ კოსტა ვერ ისვენებდა. თუ გახსოვთ, ნოველის დასაწყისში მე მოგახსენეთ, რომ კოსტას ადგილი, რომელზედაც ძმები დასახლდნენ, თავისთვის უნდოდა. ამ მიწაზე იგი დარგავდა საადრეო პომიდორსა და გვიან გაზაფხულზე შეღავათიან ფასებში მიჰყიდდა პომიდორის მოყვარულ მოქალაქეებს.

ერთ საღამოს ვაჟამ ძაღლი რომ გადააბა, სახლის უკან, ზემოთ ფერდობზე უშველებელი ნაპრალი შენიშნა. ნაპრალის გაჩენის მიზეზი ის იყო, რომ ძმებმა ეზოს გაფართოების მიზნით კლდეს ძირი გამოუთხარეს. წვიმამ მიწა დაალბო და დაიმეწყრა. ვაჟამ ეს ამბავი ბონდოს და მაქსიმეს შეატყობინა. იმ ღამეს რაღას იზამდნენ, გათენებას დავუცადოთ და კლდე ქვემოდან ყორით გავამაგროთო. გადაწყვიტეს. შუაღამისას ძმები საშინელმა გრუხუნმა გამოაღვიძა. ნიფხავ-პერანგისამარა გამოცვივდნენ და დაინახეს, რომ კლდე ჩამორღვეულიყო და მათი ფიცრული სანახევროდ დაეფარა. მოშვავებული მიწა

კედლებს მოსწოლოდა, კიდევ კარგი რბილი მიწა იყო, თორემ ნანგრევს რომ ქვები ჩამოჰყოლოდა, კედლებს დაანგრევდა. მთელი ღამე მუშაობდნენ ბიჭები. ქოხის კედლებს სანახევროდ მოაცილეს მიწა და ახლა ღელიდან ქვებს ეზიდებოდნენ, რომ ყორე აეგოთ და ქოხის უკან კლდესაფარი გაეკეთებინათ. ამ გაწამაწიაში იყვნენ ბიჭები, როცა დილით მათ სახლს კოსტა სანაძე მოუახლოვდა. კოსტამ გამთენიისხანს დაინახა ქოხის ირგვლივ ჩამოშვავებული მიწა და იფიქრა, ახლა მაინც აიყრიან გუდუნაბადს ძმები და გადასახლდებიანო.

– სახლში მობრძანდით, – შეეპატიჟა სტუმარს ბონდო. კოსტამ ქოხს გახედა და გაიფიქრა, ეშმაკს არ სძინავს. რა გარანტია მაქვს, რომ ჩემს აქ ყოფნაში მეორეჯერ არ წამოვა ზვავი და ცოცხლად არ ჩამმარხავსო, ამიტომ კარის მეზობელმა ეზოში ყოფნა არჩია. ვაჟამ ტაბურეტები გამოარბენინა.

– ბევრი გიმუშავნიათ, – უგემურად ჩაილაპარაკა კოსტამ.

– დავწყდით ხალხი, თვალი არ მოგვიხუჭავს, – თქვა მაქსიმემ და მოსულს ბებერებით გადაყვითლებული ხელისგულები დაანახა.

– ეს კლდე მაინც არაა სანდო – თქვა კოსტამ.

– არა, ბატონო, გამიგონია? ერთ დღეს ჩამოინგრევა და თაგვებივით ამოგვრეჯგავს ამ ქოხში, – დაეთანხმა ბონდო.

– უბედურება არ დატრიალდეს კაცო, უნდა გადასახლდეთ აქედან, – მოყვარული მეზობლის ტონით თქვა კოსტამ.

– არა, ჩემო კოსტა, ჩვენ აქედან წამსვლელი აღარ ვართ. დღე და ღამეს გავასწორებთ, კლდეს გავამაგრებთ, მიწას ქვევით ჩავზვინავთ და გავძლებთ როგორმე, – თქვა ბონდომ.

– ესეც არ იყოს, ახლა აყრის და სხვაგან წასვლის თავი აღარა გვაქვს, კვერი დაუკრა ძმას მაქსიმემ.

კოსტა აიმრიზა.

– მე თქვენთვის ვამბობ. აქ ცხოვრება არ შეიძლება, საშიშია.

– ვიცით, გვესმის, მარა ახლა ასეა ჩვენი საქმე. არ ეწყობა სხვანაირად და რა ვქნათ ახლა, – ჯიუტად განუმარტა სტუმარს ვაჟამ.

– ისე, ჩვენში დარჩეს და, – ლუღლუღით დაიწყო კოსტამ, – თქვენ ჩემს მიწაზე დასახლდით.

– რაი? – იკითხა ბონდომ.

– ეს ადგილი ჩემია, უფრო სწორად ჩვენ გვეკუთვნის. პაპაჩემის მამას უყიდია. ნახეთ ნასყიდობის ქაღალდი, – და კოსტამ უბიდან ძველი, გაცრეცილი საბუთი დააძრო, ხელისკანკალით გაშალა და ბონდოს გაუწოდა.

ბონდო მდუმარედ დაჰყურებდა ძველთაძველ საბუთს.

ვაჟას ხარხარი აუვარდა. მაქსიმემ კი ნიჩბის ტარს იდაყვი დააყრდნო და ჩუმად, დარიგებულივით უთხრა კეთილ მეზობელს.

– შენ მიწა გიჭირს, ჩემო კოსტა და მიწა კი არა, ნაბაკევის ეკლესია გვენგრევა თავზე. აღმოსავლეთის კედელი მთლად მორღვეულა და ზედ საკურთხეველზეა ამოსული ბალახი.

– რაზეა ამოსული? – იკითხა კოსტამ.

– საკურთხეველზე.

კოსტამ არ იცოდა რას ნიშნავდა „საკურთხეველი“, ამიტომაც საუბარი დამთავრებულად ჩათვალა, როგორც გენებოთო, თქვა და უკანმოუხედავად გავიდან ეზოდან.

ძმები მარტო დარჩნენ. მდუმარედ ისხდნენ ისინი თავიანთი ქოხის პარმაღზე და მიწას დაჰყურებდნენ. ქვევით დამშრალი ღელე მოჩანდა.

– ამ საქმეს რომ მოვრჩებით, უსათუოდ წავიდეთ და გადავიღოთ სურათი. სამივემ ერთად. – დაარღვია სიჩუმე ვაჟამ.

დილის ათი საათი იყო.

ფხიზელი

ზუსტად რვა საათი არ იქნებოდა და არც ბევრი აკლდა, როცა კაფე „შამპინიონში“ საეჭვოდ გამოწყობილი ორი კაცი შემოვიდა. საეჭვოდ ჩაცმულთ იმიტომ ჰგავდნენ, რომ მოდიდან ამ ორი-სამი წლის წინათ გამოსული კოსტიუმები ეცვათ. „შამპინიონი“ კი ახალგაზრდული კაფე იყო და თუ კაცს მოესურვებოდა ჩაცმულობით მაინც არ გამორჩეულიყო კაფეს ხმაურიან სტუმართაგან, ჯინსის შარვალი და მკერდზე უცხოწარწერიანი, ტანზე შემოტმასნილი მოკლესახელოებიანი „მაიკა“ უნდა ჩაეცვა.

საეჭვოდ ჩაცმულმა შავსათვალიანმა მამაკაცებმა შემოსვლისას შვეიცარს რაღაც გადაულაპარაკეს, შვეიცარმა ხელები გაასავსავა და თავი გააქნია. დარბაზი მოათვალიერეს და აუზში ჩასასვლელი კიბის თავზე მრგვალ მაგიდას დაადგეს თვალი. ვინმემ არ დაგვასწროსო და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ მაგიდისაკენ. ერთდროულად გამოსწიეს სკამები და დასხდნენ თუ არა, კიდევ ერთხელ საეჭვოდ მიმოიხედეს. ერთმა მათგანმა მენიუ გაშალა და კითხვას შეუდგა, მაგრამ მეორემ ბოდიშისმოუხდელად გამოართვა, დაკეცა, გვერდზე გადადო და კვლავ ოფიციანტს მიუბრუნდა. საეჭვოდ ჩაცმულნი დიდხანს და სერიოზულად უხსნიდნენ რაღაცას ოფიციანტს. ოფიციანტი ჭირვეულობდა. ბოლოს მაინც გატყდა, უბის წიგნაკი ამოიღო და წერას შეუდგა. შეკვეთა რომ მიიღო, ახირებულ სტუმრებს თვალი ჩაუკრა და მოხდენილი, ლამაზი ოფიციანტი ქალისათვის დამახასიათებელი ტანის რხევით გაუჩინარდა. შავსათვალიანებმა ერთმანეთს გადახედეს და შვებით ამოისუნთქეს.

ოფიციანტი შორს არ წასულა. იქვე კარადის უჯრა გამოსწია, თეფშები და დანა-ჩანგალი ააჩხრიალა და სუფრას რომ

შლიდა, იდუმალებით მოცულ მომხმარებლებს დაუფარავად გაუზიარა საკუთარი აზრი ადამიანის ჯანმრთელობაზე სიცხიანი დღეების ზემოქმედების შესახებ. შავსათვალიანებს კამათი არ დაუწყიათ, მათ თავიანთი საზრუნავი აწუხებდათ და ამიტომაც მომტანი ქალის მარტივ აზრებს უსიტყვოდ დაეთანხმნენ.

მომხმარებლებთან გაშინაურების ნაცადმა ხერხმა (რაც საბოლოოდ სათანადო გავლენას ახდენს ანგარიშზე) რომ არ გაჭრა, ოფიციანტმა ერთბაშად მოიწყინა, კონუსისებურად დაკეცილი ხელსახოცები ცხვირწინ ააცალა სტუმრებს და წელანდელზე უფრო ლამაზი ნაბიჯებით გაემართა ბუფეტისაკენ.

„შამპინიონის“ მასპინძლობის იმედზე დარჩენილმა უცნობებმა ერთხელ კიდევ მიმოიხედეს. ერთმანეთს თითქოს ესალმებიანო, თავი დაუქნიეს და ერთდროულად მოიხსნეს შავი სათვალეები. ახლა კი მთელს კაფეს თავისუფლად შეეძლო მათი დათვალიერება.

ერთს ლაშა ერქვა, მეორეს – ფარნა. განათლებით ფილოსოფოსები გახლდნენ. სპეციალობით სამსახური რომ ვერ ეშოვათ, ამ ოცი წლის წინათ ერთად დაეწყოთ მუშაობა წყალთა მეურნეობის სამმართველოში ინსტრუქტორ-ორგანიზატორის თანამდებობაზე. შერჩენოდნენ ამ ადგილებს. მათი არც დაწინაურება უცდია ვინმეს და არც ჩამოქვეითება. განუყრელი მეგობრები სამმართველოს მდუღარე ცხოვრებაში მაინცდამაინც არ ერეოდნენ. განმარტოებით ყოფნა უყვარდათ. შესვენებაზე ლაშა და ფარნა ერთად იდგნენ სოსისისა და ჩაის რიგში და ამ ყუათიანი სადილის შემდეგ ერთად აბოლებდნენ „ბელომორკანალს“ გრძელ, ვიწრო დერეფანში. ფილოსოფოსებს თავიანთი სასაუბრო, თავიანთი სამყარო ჰქონდათ. სამსახურებრივ მოვალეობას თითქოსდა იმიტომ ასრულებდნენ მორჩილებით, რომ ცოლ-შვილი ერჩინათ. კრებებზე არასოდეს სიტყვით არ გამოდიოდნენ და არც უნაპირო ენთუზიაზმით აწუხებდნენ ხელმძღვანელ ამხანაგებს. სამმართველოში ისინი ბევრს არ უყვარდა, რადგანაც ეჩვენე-

ბოდათ, რომ აქაოდა, ფილოსოფოსები ვართო, ცოტა ამპარტავნულად იქცეოდნენ და სხვებს ზემოდან დაჰყურებდნენ.

ლაშა მაღალი, გამხდარი, არცთუ უდროოდ გამელოტებული კაცი იყო. ფართო, შავი თვალები და თუთიყუშისებური ცხვირი ჰქონდა. ლაპარაკის დროს ცოტა ენას უკიდებდა. წამდაუწუმ იღიმებოდა და გაქლიბულივით მილეულ ნაცრისფერ კბილებს აჩენდა. სუსტმაჯებიან გრძელ ხელებს ხან ძვლების რაჩხუნით დააწყობდა მაგიდაზე, ხან კი ისე უიმედოდ ჩამოყრიდა, რომ იფიქრებდით, ეს იყო და ეს, აწი ეს კაცი ხელების მაღლა ამწევი აღარ არისო. უხეში, შავი ულვაშები ცხვირის ნესტოებიდანვე ეზრდებოდა, მეწისქვილესავით ხმამაღლა ლაპარაკობდა და მარცხენა წარბს ისე ლამაზად ათამაშებდა, რომ დამლაპარაკებელი ძალაუნებურად (და ცოტა შიშითაც) მის წარბებს თვალს არ აშორებდა. თავზე, ზამთარ-ზაფხულ, კეპიანი თეთრი ქუდი ეხურა, თუ რაიმე აუცილებლობა არ მოითხოვდა, ლაშა კეპს თავიდან არ იშორებდა. სიმართლე გითხრათ, უკეპოდ ლაშა გაცილებით არასიმპათიური ჩანდა თავისი უთავბოლოდ შერჩენილი თითო-ოროლა თმისა და მზედაუკვრელი, ავადმყოფურად თეთრი თავის კანის გამო.

ფარნა პირმრგვალი, ცისფერთვალება, საშუალოზე ოდნავ დაბალი გახლდათ. მუდამ დაღლილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა. საუბრის დროს ხელისგულებს ერთმანეთს გამალებით უსვამდა და წამდაუწუმ ამთქნარებდა. ჰალსტუხი თავისთავად ურიგო არ ეკეთა, მაგრამ ისე უშნოდ ჰქონდა განასკვული, რომ იფიქრებდით დღეს პირველად უკეთია და ისიც იმიტომ, რომ შესანახი ადგილი არა აქვსო. ხანდახან ტუჩზე ხელს აიფარებდა და ისე საიდუმლოდ ეტყოდა ლაშას საოცრად ჩვეულებრივ რაღაცას, რომ ეს უკანასკნელი ბრაზდებოდა, რა იყო აქ დასამალი და ყურში სათქმელიო, წეკოსგან გაყვითლებული თითები უთრთოდა და ამიტომაც ისინი ერთთავად მუხლებზე ეწყო. თუ გააბრაზებდნენ, ხმას არ აუწევდა, მაგრამ მარცხენა მხარეს კისრის ძარღვები ებერებოდა და სახეზე წითლად გამოაყრიდა. ყველაზე უკეთ მაშინ გრძნობდა თავს, როცა ზო-

მიერად ნასვამი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად არ სვამდა, მეორე დღეს თავის ტკივილი იცოდა და სუნთქვა ეკვროდა. სხვა მხრივ არავითარი ახირება არ შემიმჩნევია მისთვის, ერთი პატიოსანი კაცი იყო.

თუ ზემოთ სადმე არ მითქვამს, ახლა ვიტყვი, კაფე „შამპინიონის“ შუაგულში აუზი ელვარებდა. მინის ფსკერიდან სხვადასხვა ფერად განათებული წყალი იქაურობას ზღაპრულ ათინათს ჰფენდა. მაგიდები აუზის გარშემო ორ სართულად იყო განლაგებული. აუზის გვერდით, მინის ფანჯრების გასწვრივ, ესტრადა და პატარა საცეკვაო მოედანი მოჩანდა.

კაფეში, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო. მიმტანები აკრობატთა სიმარჯვით დააფრიალებდნენ ჭრელყვავილებიან სინებს მაგიდებს შორის. შავკოსტუმიანი ადმინისტრატორი ქალი, რომელსაც მეტი სოლიდურობისათვის მკერდზე შრომის ვეტერანის მედალი ეკიდა (სხვათა შორის, ამაოდ გარჯილიყო, სოლიდურობა და სიმკაცრე ისედაც არ აკლდა), შემოსასვლელთან იდგა და აბეზარ მომხმარებლებს იგერიებდა. იგი საკმაოდ თამამად და დამამცირებლად ექცეოდა იმ პირებს, ურიგოდ რომ აპირებდნენ „შამპინიონში“ მოხვედრას. იქაც ტყუილუბრალოდ იშლიდა ნერვებს. რიგში მდუმარედ და მრისხანედ მდგარი, იმ გაგანია სიცხეში ერთურთს ერთგულად და მონოლითურად მიკრული სტუმრები ურიგოს და უბედურს თვითონაც კარგად გაუსწორდებოდნენ – ცოცხალი თავით არ გაატარებდნენ.

რვა საათი შესრულდა თუ არა, სამზარეულოს ფარდიდან ექვსი ფრაკიანი ახალგაზრდა გამოვარდა, ესტრადაზე ყვავებივით შეფრინდნენ, თავთავიანთ ინსტრუმენტებს დააცხრნენ და საბოლოოდ განდევნეს „შამპინიონის“ დარბაზიდან სიჩუმე და მყუდროება.

სექსტეტი ისე ყურისწამღებად გრიალებდა, თითქოსდა იგი „შამპინიონის“ სტუმრებისათვის კი არა, ქუჩაში თავიანთ რთულ საქმეებზე მიმავალი მოქალაქეებისათვის უკრავდა.

ჯაზის პირველივე აკორდები ჰაერში რომ გაიბნა, ჩვე-

ნი ნაცნობები მიხვდნენ, რომ არცთუ სახარბიელო ადგილი შეერჩიათ. ისინი ესტრადის ზემოთ, კიბის თავზე ისხდნენ და ენერგიული მებარაბნის „მუსიკა“ ზედ გულის კოვზზე სცემდა ორივეს.

– მოგვიდა მშვიდობა! – თქვა ფარნამ.

– რა გიყო ახლა, ცოტა ხანს ვიჯდეთ და წავიდეთ. დღესაც მშიერს ნუ დამაძინებ, თუ კაცი ხარ.

– არ მინდა, არაფერი არ მინდა აქაური. მე ვთქვი, ვივახშმებთ წესიერად. რა შემაჭმევს ლუკმას ამ ბრაგუნ-პრუწუნში. შენი ბრალია, შენ აიჩემე „შამპინიონი“!

– გავუძლებთ ცოტა ხანს. გუშინ რომ ვიყავით, იქ უარესი არ იყო? მეცხრამეტე სართულზე საათ-ნახევარი ერთი ცალი კამფეტის და კოქტეილის რიგში რომ ვიდექით. მერე, ადგილი რომ აღარსად იყო, ფეხზე ჩამოწყვეტილებმა მშიერ მუცელზე კოქტეილი რომ დავურტყვით და მთელი ღამე ჭიანჭველები რომ მივლიდა ტანში, ის სჯობდა?

ფარნას გუშინდელი საღამო გაახსენდა და უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

– ამხელა ქალაქში არ არის არსად, კაცო, ისეთი ადგილი, ორმა კაცმა წყნარად, მშვიდად რომ ივახშმოს?

– ივახშმე მერე, ვინ გიშლის. ცეკვას კი არავინ გაძალებს.

– კაცო, ეგება არ ვარ ცეკვა-გრიალის ხასიათზე.

– აბა რის ხასიათზე ხარ?

– არ შეიძლება კაფეში შემოვიდეთ კუთხეში დასაჯდომად, სამუსაიფოდ?

– ფარნა ჩემო, როცა საღამოს რესტორანში ან კაფეში შედიხარ, სწორედ საორკესტრო განწყობილება უნდა გქონდეს. თუ ჩუმი მუსაიფი გინდა, ბაღში დაჯექი და იმუსაიფე, თუ ვახშამი გინდა და სხვა არაფერი, შედი სასადილოში ან სასტუმროს ბუფეტში და ივახშმე. და სხვათა შორის, კულტურული ხალხისთვის ესეც გარკვეულია – რვა საათის შემდეგ მარტო მივლინებით ჩამოსულები და დიაბეტიანები ვახშმობენ.

– ნეტავი შენ თუ გჯერა, რასაც ლაპარაკობ, რესტორანი და კაფე დასასვენებლადაა გამოგონილი, თვარა ადამიანების ნერვების მოშლა სხვაგანც კარგად შეიძლება. აქ, ამ აუზის ირგვლივ, ლურჯი მკრთალი სინათლისა და ფეხაკრეფით მოსიარულე ოფიციანტების მეტი არაფერი არ უნდა იგრძნობოდეს. სხვათა შორის, ჭამა ჯაზის ღრიალში არ შეიძლება.

– ვისაც ცეკვა უნდა?

– ვისაც ცეკვა უნდა, – კეფა მოიფხანა ფარნამ, – მათთვის ქვევით, ჰოლში ან გვერდით, მეორე დარბაზში უნდა იყოს საცეკვაო არენა. მჭიდროდ დახურული კარებს იქით იგრიალოს ორკესტრმა. ცეკვა მოგესურვება: ადგები, გახვალ, იცეკვებ და როცა ცეკვა მოგწყინდება, ისევ მოუბრუნდები შენს წყნარ ადგილს. თუ რამე უნდა დაღლილ კაცს საღამოობით, ეს არის სიმშვიდე. არა ვარ მართალი?

– ხომ გითხარი, ვინ გაძალებს აქ შემოსვლას, თუ დაღლილი ხარ, პარკში დაჯექი და გედების სრიალს უყურე.

– კაი გამოსავალია ჩემმა მზემ. ამ ერთნაირობამ, ამ ცუდად გაგებულმა მასობრიობამ წელში გამტეხა. არ შეიძლება ყველამ ერთად იცეკვოს, ერთად იხაროს, ერთად იდღესასწაულოს. ნუ წამართმევ მე მარტო დარჩენის სიამოვნებას.

– ვინ გართმევს. ამ კაფეში ჩვენ მოსაწვევი ბარათებით კი არ მოვსულვართ.

– გუშინდელი სასტუმროს ადმინისტრატორისა არ იყოს – ექვსკაციანში რომ კინაღამ შეგვასახლა, ერთ და ორადგილიანები არა გვაქვსო. როგორ შეიძლება, ლაშა, სასტუმროში ექვსსაწოლიანი ნომერი იყოს. რატომ ვამცირებთ ერთმანეთს ასე? რატომ ვზრუნავთ ასე ენერგიულად იმისათვის, რომ ინდივიდი გავაგდოთ ჩვენი არსებიდან?! რატომ ვზრუნავთ იმისათვის, რომ ორი კაცი მარტო არ დარჩეს ერთმანეთთან წყნარად და თავისუფლად სამუსაიფოდ?

რა უშნო დასკვნების გამოტანა იცი, ფარნა, რამ აგამღვრია, შე კაცო, ასე. შენ ისე დაგისუსტდა ნერვები, რომ თვითონ აუკრძალე შენს თავს მშვიდად ცხოვრება. რევიზ-

იაზე ჩამოსული კომისიის წევრივითა ხარ, ყველაფერს მუშტრის თვალით ამოწმებ. ყველაფერში იდეალურს ეძებ. პატარა მიზეზს იპოვი და მთელ დუნიაზე ხარ აღრენილი. იცხოვრე სხვებივით ჩვეულებრივად და უშფოთველად, შე კაცო; შენს თავს რიგითი წევრის, უბრალო კაცის იარლიყი თუ არ მიაკერე, გაგიჭირდება ცხოვრება.

ორკესტრმა ხმას უმატა და მეგობრები თუმცა ყურში ჩაჰყვიროდნენ ერთმანეთს, მაინც ძლივს აგებინებდნენ. ცეკვით არავინ ცეკვავდა, მაგრამ ორკესტრს თავისი პროგრამა ჰქონდა და ერთგულად ასრულებდა. ილაპარაკეს ამინდზე, ფეხბურთის მსაჯებზე, ავტოინსპექციაზე, ცენტრალურ გათბობაზე, სანატორიუმის საგზურებზე და ამასობაში მოხდენილმა ოფიციანტმა ქალმა ვახშამიც მოიტანა. ფარნას და ლაშას უფრო სერიოზული საქმე გაუჩნდათ, ვიდრე მათი უსისტემო საუბარი იყო. ამიტომ სერიოზულად ჩაუღრმავდნენ ვახშამს და სამუსაფიოდ კარგა ხანს აღარ სცხელოდათ.

ცოტა რომ შენაყრდნენ, ფარნას ისევ აეშალა ლაპარაკის საღერღელი. სიგარეტს თავი მოუსრისა, მოუკიდა და ისე ღრმად მოქაჩა, ლაპარაკისას კარგა ხანს ამოსდიოდა პირიდან თამბაქოს ბოლი.

– ამ ბოლო დროს მეჩვენება, თითქოს ვიღაცა, სხვა განაგებს ჩვენს სიხარულს, წყენას, მუშაობას, გართობას. იგი გვკარნახობს იდუმალი კულისებიდან – როდის რა უნდა ვაკეთოთ. მოეხასიათება – გვამღერებს, მოესურვება – გაგვაჩუმებს. ყოველდღე ველი – აი, დღეს მაინც დაამთავრებს ის ვიღაცა ჩვენს აღზრდას, უკვე სრულფასოვან მოქალაქეებად ჩაგვთვლის და გაგვიშვებს-მეთქი ჩვენს ნებაზე.

– რას ჰქვია, ჩვენს ნებაზე! – ბოლო ლუკმა ჩაიდო ლაშამ პირში და ქაღალდის ხელსახოცი ჩამოიხსნა.

– დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის მიგვიშვებს. მოგვცემს უფლებას მის დუდუკზე არ ვიცეკვოთ. ჩვენ-ჩვენი პატარ-პატარა ჩანჩქერები გვქონდეს და ჩვენ-ჩვენი კალმახები ვათამაშოთ.

– დაღლილი კაცის ფილოსოფიაა. შენი ნათქვამი იმდენად ყალბი და მოგონილია, რომ საკამათოც არ არის, თორემ სიამოვნებით დაგიწყებდი კამათს.

– ვერაფერ კამათს ვერ დამიწყებდი, შენ კამათის უნარი კარგა ხანია დაკარგე. ხანდახან რომ აზრებს ვუცვლით ერთიმეორეს – შენ ეს კამათი ნუ გგონია. მოწყენილობის გასაქარვებლად გამოვუგონებთ ხოლმე ჩვენს თავს სალაპარაკოს და არა ჭეშმარიტების დასადგენად. ჭეშმარიტება კარგა ხანია აღარ გვაინტერესებს – არც მე და არც შენ.

– ამ ხალხს? – ხელები გადააჯვარედინა ლაშამ და ჭერს ახედა.

– ამ ხალხზე მე ლაპარაკიც არ მინდა. ამ დარბაზში ახლა ადამიანურად გამოწყობილი ცხვრები სხედან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ მათგანს შეიძლება სამი უმაღლესის დიპლომი ედოს ჯიბეში, ისინი ფილოსოფიურად თითქმის აღარ აზროვნებენ.

– რას ეძახი შენ „ფილოსოფიურ აზროვნებას“?

– ერთხელ მაინც რომ დაუსვამ კითხვას შენ თავს – რა ხარ, ვინა ხარ, რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე.

– იქნება მათ გულში ერთხელ უკვე უპასუხეს ამ კითხვას და ყოველდღიურად ამ „ფილოსოფიით“ თავს აღარ იწუხებენ.

– არ დაიჯერო. ისინი ცხოვრებამ მანქანებად აქცია. მუშაობენ, სწავლობენ, ცოლ-შვილს უვლიან, კრებებზეც სიტყვებით გამოდიან, მაგრამ არ ცხოვრობენ.

– რომელიღაც ბულვარული გაზეთის ჩვენზე გაბრაზებული ჟურნალისტის სიტყვებით ნუ მელაპარაკები. ეს ხალხი ძალიან კარგად ცხოვრობს და ძალიან კარგად იცის, რა უნდა აკეთოს.

– ვითომ? – თვალებში ათასი ეშმაკი ჩაუსახლდა ფარნას და აღტაცების დასაფარავად თითები თითებში გაუყარა. – გინდა დაგარწმუნო, რომ „შამპინიონში“ ახლა ადამიანები კი არა, ცხვრები სხედან? ამათ საკუთარი თითქმის აღარაფერი აქვთ, წამხედურობით ცხოვრობენ. გინდა? ავიღებ ხელში ამ

საღამოს დირიჟორობას და ამ ხალხს რასაც მოვისურვებ, იმას გავაკეთებინებ.

– წავიდეთ აქედან, შენ დღეს რაღაც ვერა ხარ დაწყობილი. თავს გაიბითურებ და მეტი არაფერი გამოვა ამ შენი ორიგინალობიდან.

– შენ რა გინდა, შენ იჯექი და მიყურე! – ისე დაიმედებულად თქვა ფარნამ, რომ იფიქრებდით, უმაღლესი ჭეშმარიტების გასაღები ამ კაცს ჯიბეში უდევსო.

ამის მერე რაც მოხდა, ქვეყანამ იცის და იქნებ არც კი ღირდეს მოსაყოლად. მით უმეტეს, რომ ფარნას უღირს საქციელზე მეორე დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა და ამხანაგურმა სასამართლომ ერთი კვირის თავზე ეს დანაშაული რომ განიხილა, მხედველობაში მიიღო წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქტორ-ორგანიზატორის სუფთა ბიოგრაფია (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ფარნამ პირველად დაარღვია წესრიგი) და ფილოსოფოსი ამჯერად საყვედურს დააჯერეს. ამ ამბიდან კარგა ხანი გავიდა და ჩვენ მოუზომავი „განცხადებით“ ფარნას, რომელიც ბევრ რამეზე ახლა ალბათ სხვაგვარად ფიქრობს, იქნებ გულიც კი ვატკინოთ, მაგრამ ნოველა რითიმე ხომ უნდა დამთავრდეს.

ორკესტრმა თავისი მორიგი საეჭვო ღირებულების „იმპროვიზაცია“ რომ დაამთავრა, ფარნამ ტაში დასცხო, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ სექსტეტის ეს ნომერი (იმ საღამოს შესრულებული ნომრებიდან) ტაშს ყველაზე ნაკლებ იმსახურებდა.

დარბაზიდან ფარნას ჯერ გაუბედავად წამოეშველნენ, ხოლო შემდეგ ისე ერთსულოვნად დასცხეს სტუმრებმა, რომ ტაშის გრიალში თეთრხალათიანი მზარეულები და მზარეულის თანაშემწეები გარეთ გამოეფინენ.

ლაშა იჯდა და იღიმებოდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორკესტრი უკრავდა, მაგრამ არავინ ცეკვავდა, ფარნა წამოდგა, იქვე გვერდით მაგიდასთან მივიდა, გრძელკაბიან შავგვრემან ქალს თავი დაუკრა

და საცეკვაოდ გაიყვანა. მალე ფარნას სხვებმაც წაჰბაძეს და პატარა მოედანი მოცეკვავეებით გაივსო.

ლაშა იჯდა და იღიმებოდა.

ნახევარი საათი არც გასულა, ფარნამ ისევ გამოიწვია ის ქალი და საცეკვაოდ ესტრადასთან კი არ ჩაიყვანა, არამედ იქვე, კიბის თავზე დაატრიალა. მალე კიბის თავზე პატარა მოედანი (ოფიციანტები რომ ძლივს უვლიდნენ გვერდს ერთმანეთს) მოცეკვავეებით გაივსო. ფარნამ ლაშას მოხედა, თვალი ჩაუკრა და თავის მოცეკვავე პარტნიორი საცეკვაო მოედნისაკენ წაიყვანა. სხვებიც მიჰყვნენ და კიბის თავი ხელად დაცარიელდა.

ლაშა იჯდა და იღიმებოდა.

მალე ფარნა ისევ გავიდა საცეკვაოდ. ცეკვის დროს ნელ-ნელა დაიწყო გახდა (ლაშას თვალები გაუფართოვდა და გაქცევა დააპირა), ჯერ ჰალსტუხი მოიხსნა და მოისროლა, მერე პიჯაკი ჩამოკიდა საქსოფონის ტუჩზე, ორკესტრის გრიალში პერანგი ბოლომდე ჩაიხსნა და ისე განაგრძო ცეკვა. მოცეკვავეთა შორის რამდენიმემ უკვე მიჰბაძა ფარნას, ზოგიერთებმა კი ფარნას ინიციატივა შემოქმედებითად განავითარეს და პერანგს ღილები სრულიად დააგლიჯეს.

ლაშა იჯდა და იღიმებოდა.

ორკესტრი ღრიალებდა „შამპინიონში“ უჩვეულო გამოცოცხლებამ დაისადგურა.

ფარნამ ერთი გამოხედა თავის მეგობარს და თავისი ფილოსოფია კიდევ უფრო რომ გაემაგრებინა, აუზში გადახტა. ორკესტრის გრიალსა და სტუმრების ღრიანცელში ფარნა წყალში ეგზალტიურ ცეკვას განაგრძობდა: იგრიხებოდა, ყვიროდა, მკლავებს დამდუღრულივით ათამაშებდა, სხვებსაც იხმობდა წყალში საცეკვაოდ, მაგრამ ამაოდ. დარბაზი, რომელიც აქამდე აღფრთოვანებული იყო ფარნას გამომგონებლობით, აღარ გაჰყვა წყალში საცეკვაოდ. თვით მისმა პარტნიორმა ქალმაც ზურგი შეაქცია და თავის მაგიდას მიუბრუნდა.

მერე ორკესტრი ერთბაშად გაჩუმდა და გაოგნებულმა ლაშამ დაინახა, როგორ ეხმარებოდა წითელქუდა მილიციელი გალუმპულ ფარნას აუზიდან ამოსვლაში.

ფარნა ოპერატიული მანქანისაკენ რომ მიჰყავდათ, ლაშა მილიციის მუშაკს გვერდით მისდევდა და რაღაცას უხსნიდა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელს, რასაკვირველია, მისი არ ესმოდა. მილიციელს მხოლოდ ერთი რამ უკვირდა: რატომ იყო წესრიგის დამრღვევი ასე ზედმიწევნით ფხიზელი.

ასარჩევი

ენგურის ხიდთან 5
დაბრუნება 11
სხვა ქვეყანაში 15
აბი 19
სამასი წლის შემდეგ 23
ნოველა, რომელიც არ უნდა დამეწერა 31
კალე 35
ისევ ეროვნულ ქურასთან 38
ღამურა 42
გაბრაზებულთა პარადი 47
დაბმული ძაღლი 50
ეშმაკზე ადრე დაბადებული 53
გაპენსიონერება 57
სენს ვინღა დაეძებს 62
ღვინის წერტი 66
კულტურის გადამრჩენი 71
ორი ნაპირი 78
ვიზიტი 81
ჟურნალისტი ბზიკაძე და ხელმწიფე 84
არა ვარ მართალი? 87
თავშენახულნი 92
სიბნელე 95
რცხვენოდა, რომ ცოცხალი იყო 98
სამების ტაძრის ქვა 105
უიღბლო 110
ახალი არხი 113
იმიგრანტი 118
ტელესაუბარი 123
საკლასო წერა 128
მეძავი 131
სად იყავით მაშინ 137
კისერი ერთს და კინჩხი მეორეს 146
ორსახოვანნი 151
ვერტმფრენი 153
ხელმაქცი 159
გენერალი მუსხელიძე 163
მაღლა, მთაზე 167
იალა, იატაკქვეშ 174

ხუთიათასი წლის ფიალა 180
უბრალო საქმე 184
სახლ-მუზეუმი..... 188
გალია 193
ნათლისღება საინგილოში..... 198
ერთი-ერთზე 207
სერობა 215
შარი 226
ყისმათი 229
წერილი..... 234
სანამ პირში სული მიდგას..... 238
დევნილი 244
„სხვა რაღა დარჩა?“ 252
გაიღვიძე! 259
ქმარი თორმეტი დღით 268
არსენა 271
მესაფლავე 273
სიმწრის სიმღერა 278
„ბებერი მეზურნეები“ 285
იყავით ფხიზლად! 288
არ დაუთმო! 296
ჯოჯოხეთი 303
ჰუმანიტარული დახმარება 312
39-ე საფოსტო ყუთი 316
მშველელნი 329
ნოველა თანამედროვე ყოფაზე 332
პატიება 336
პრივატიზაცია 338
ჩიტი 340
ტელეფონოგანაჩენი 341
ტიკინები 348
ძიება გრძელდება 359
აი მიზეზი 364
გაღმა 378
სასჯელი..... 384
დამნაშავე 391
ჯუმბერ ბრეგვაძის სიყმაწვილიდან 402
ცხვარი 433
პოპულარული..... 444
სამნი 452
ფხიზელი 467

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ X

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012